მ ი ლ ე ნ ი უ მ ი ს ს ა გ ა

გოგონა დრაკონის ტატუით

მსოფლიო ბესტსელერი

სტიგ ლარსონი

პროლოგი

პარასკევი, I/XI

ეს ყოველ წელს მეორდებოდა, რიტუალივით. დღეს ამ კაცს დაბადების დღე ჰქონდა, ოთხმოცდაორი წლისა შესრულდა. როგორც ყოველთვის, ახლაც საჩუქრად მიღებულ ყვავილს ბრჭყვიალა ქაღალდი შემოახია და დაურეკა პოლიციის ინსპექტორ მორელს, რომელიც პენსიაზე გასვლის შემდეგ დალარნაში, სილიაენის ტბის პირას ცხოვრობდა. ის და ინსპექტორი მორელი არა მხოლოდ თანატოლები, ერთ დღეს დაბადებულებიც იყვნენ, რაც ამ ვითარებას ცოტათი ირონიულ ელფერს სძენდა. სავარძელში მყუდროდ მოკალათებული მოხუცი პოლიციელი ყავას სვამდა და ზარს ელოდა.

– მივიღე.

– წელს რა სახეობისაა?

– არ ვიცი. ვინმეს ვაჩვენებ და დავადგენ. თეთრი ყვავილია.

– ისევ არანაირი წერილი, არა?

– მხოლოდ ყვავილია. ჩარჩო ხელნაკეთია, ზუსტად შარშანდელისნაირი.

– საფოსტო ბეჭედი?

– სტოკჰოლმისაა.

– ხელწერა?

– იგივე: სწორი, კოხტა, მთავრული ასოები.

ამით თემა დაიხურა და წუთით სრული სიჩუმე ჩამოვარდა. მოხუცი პოლიციელი სავარძლის საზურგეზე გადაწვა და ჩიბუხი გააბოლა. კარგად იცოდა, რომ მისგან აღარავინ ელოდა მწვავე შეკითხვას ან მახვილგონივრულ კომენტარს, რითაც საქმეს უეცრად ნათელი მოეფინებოდა. ის დიდებული დღეები წარსულში დარჩა და ორი ბერიკაცის საუბარიც იმ ჩახლართული ამბის თანამდევ რიტუალად იქცა, რომლის გახსნითაც მთელ მსოფლიოში მათ გარდა არავინ იყო დაინტერესებული.

მცენარეს ლათინურად Leptospermum Rubinette ერქვა. ათსანტიმეტრიანი ყლორტი, გვიმრასავით ფოთლები და ხუთფურცლიანი თეთრი ყვავილი ჰქონდა.

ეს მცენარე ავსტრალიის მთაგორიან რეგიონებში, ხშირ ბალახს შორის იზრდებოდა და იქაურები „უდაბნოს თოვლს“ ეძახდნენ.

ერთხელ უფსალას ბოტანიკური ბაღიდან წერილი მოვიდა, რომელშიც ბოტანიკოსი ქალბატონი აღნიშნავდა, ეს მცენარე შვედეთში გავრცელებული არაა, „ჩაის ხეს“

ენათესავება და ხშირად ეშლებათ Leptospermum scoparium-ში, რომელიც ახალ ზელანდიაში იზრდებაო. თუმცა, ბოტანიკოსის თქმით, ამ უკანასკნელისგან განსხვავებით, Rubinette-ს ყვავილის ფურცლები თურმე მიკროსკოპული ზომის ვარდისფერი ლაქებით ყოფილა მოწინწკლული, რაც ყვავილს ვარდისფერ შეფერილობას სძენდა.

Rubinette არაფრით გამორჩეული მცენარე იყო, არც სამკურნალო თვისებები ჰქონდა, არც – გამაბრუებელი. არც საკვებად ვარგოდა და არც ქსოვილების საღებავად. თუმცა, ავსტრალიელი აბორიგენები მას წმინდა მცენარედ მიიჩნევდნენ, ისევე, როგორც მთელ აიერს-როკის რეგიონს და, ყველაფერს, რაც იმ მიწაზე ხარობდა.

ბოტანიკოსის თქმით, პირადად მას ადრე არასდროს ენახა ეს მცენარე. თუმცა, კოლეგებთან გასაუბრების შემდეგ გაერკვია, რომ გეტებორგის სანერგეში რამდენჯერმე უცდიათ მისი გახარება: შესაძლოა, რომელიმე მოყვარული ბოტანიკოსი უვლიდეს კიდეც; უბრალოდ, შვედეთის მკაცრი კლიმატის გამო, სითბოსა და ფხვიერი მიწის მოყვარულ ყვავილს ნახევარი წელი ხშირი მორწყვა და სათბურის პირობებში ზრდა სჭირდებაო.

იმ ფაქტს, რომ ყვავილი შვედეთისთვის ასეთ იშვიათობას წარმოადგენდა, წესით, მისი გამომგზავნის ადგილმდებარეობის დადგენა უნდა გაეადვილებინა, მაგრამ სინამდვილეში, ეს არც ისე იოლი იყო. ვერც კატალოგებს გადახედავდით, ვერც ლიცენზიას გადაამოწმებდით – ვინ ახარებდა ამ ყვავილს შვედეთში. ათობით ან ასობით ენთუზიასტს მიუწვდებოდა ხელი მის თესლამდე თუ ნერგამდე. ვერც იმას გამორიცხავდით, რომ ევროპის ნებისმიერი წერტილიდან ან პირდაპირ ავსტრალიიდან სპეციალური შეკვეთით გამოგზავნეს შვედეთში.

მოხუცი ყოველი წლის პირველ ნოემბერს სხვადასხვა ჯიშის ყვავილს იღებდა. ყველა ყვავილი ლამაზი იყო, უმეტესად – იშვიათი სახეობისა, ყოველთვის გამომშრალი და გაბრტყელებული, სახატავ ფურცელზე დაწებებული და 29X16 სანტიმეტრიან უბრალო ჩარჩოში ჩასმული.

ყვავილების იდუმალი ამბავი პრესაში არასდროს გახმაურებულა. მხოლოდ რამდენიმე ადამიანმა იცოდა. ოცდაათი წლის წინ ყვავილების რეგულარული მიღება სერიოზული კვლევის საგანი გახდა ეროვნული სასამართლო ექსპერტიზის ლაბორატორიის თითის ანაბეჭდების ექსპერტებს, გრაფოლოგებს, გამომძიებლებსა და ადრესატის ერთი-ორ ნათესავსა და მეგობარს შორის... მაგრამ თანდათან დრამას სულ სამი მთავარი გმირიღა შემორჩა: მოხუცი იუბილარი, პენსიაზე გასული დეტექტივი და საჩუქრის გამომგზავნი უცნობი პიროვნება. Iპირველ ორს უკვე იმ ასაკამდე მიეღწია, რომ ამ საქმით დაინტერესებული პირების რაოდენობა მალე ალბათ მინიმუმამდე შემცირდებოდა.

დეტექტივი გამოცდილი პოლიციელი იყო. არასდროს ივიწყებდა თავის პირველ საქმეს, როცა ელექტროსადგურში გაშმაგებული, მთვრალი მუშა დააკავა, სანამ ის თავის თავს ან ვინმეს ზიანს მიაყენებდა. კარიერის მანძილზე მოხუც პოლიციელს მრავალი ბრაკონიერი, თაღლითი, ცოლზე მოძალადე ქმარი, მანქანების ქურდი და მთვრალი მძღოლი დაეკავებინა; ბინის გამტეხებს, ნარკოდილერებს, მოძალადეებს და ერთ გიჟსაც, რომელიც ბომბის აფეთქებას აპირებდა, დაპირისპირებოდა. ცხრა მკვლელობის გამოძიებაშიც მიეღო მონაწილეობა. ცხრიდან ხუთ შემთხვევაში მკვლელმა თვითონ დაურეკა პოლიციას და სინანულით განაცხადა რომ ცოლი, ძმა ან ახლო ნათესავი მოკლა. ორი მკვლელობა რამდენიმე დღეში გაიხსნა, ერთის გახსნას ეროვნული კრიმინალური პოლიციის დახმარება და ორი წელი დასჭირდა.

მეცხრე მკვლელობის გამოძიებისას პოლიციამ დამნაშავის ვინაობა დაადგინა, მაგრამ, ინსპექტორისთვის დიდად სამწუხაროდ, სამხილების ნაკლებობის გამო პროკურორმა საქმე დახურა. თუმცა, ასე იყო თუ ისე, ყოფილ პოლიციელს ზურგს უკან მაინც შთამბეჭდავი კარიერა ჰქონდა მოტოვებული.

ოღონდ, მოხუცი დეტექტივი მაინც უკმაყოფილო იყო. მისთვის „ყვავილების საქმე“ უკანასკნელ ამოუხსნელ და გამაღიზიანებელ თავსატეხად რჩებოდა. სიტუაცია ორმაგად აბსურდული იყო იმის გამოც, რომ სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას თუ თავისუფალ დროს ათასობით საათის ტვინის ჭყლეტისა და ფიქრის შემდეგ, იმასაც კი ვერ იტყოდა, რომ დანაშაული ნამდვილად ჩაიდინეს.

ორმა ბერიკაცმა მხოლოდ ის იცოდა, რომ ყვავილების გამომგზავნს ხელთათმანები ეკეთა, ამიტომ ჩარჩოზე ან მინაზე თითების ანაბეჭდი არ რჩებოდა. თანაც ჩარჩოს ყიდვა მსოფლიოს ნებისმიერ ფოტოატელიესა და საკანცელარიო მაღაზიაში შეიძლებოდა. ამანათს უმეტესად სტოკჰოლმის ბეჭედი ერტყა, სამჯერ – ლონდონის, ორჯერ – პარიზის და კოპენჰაგენის, თითოჯერ – მადრიდის, ბონისა და პენსაკოლასი. ინსპექტორმა რუკაზე მოძებნა და დაადგინა, რომ პენსაკოლა ფლორიდის შტატის ქალაქი ყოფილა.

ყურმილის დაკიდების შემდეგ ოთხმოცდაორი წლის იუბილარი კიდევ დიდხანს დაჰყურებდა ლამაზ, მაგრამ უსარგებლო საჩუქარს. მერე კედელს შეხედა, სადაც ჩარჩოში ჩასმული ორმოცდასამი ყვავილი ეკიდა. ათჩარჩოიანი ოთხი მწკრივი. ბოლო მწკრივში მხოლოდ ოთხი ჩარჩო იყო, ხოლო პირველი, ზედა მწკრივის მეცხრე ყვავილი არსად ჩანდა. „უდაბნოს თოვლი“ ორმოცდამეოთხე იყო.

მოხუცი უეცრად აქვითინდა. თითქმის ორმოცი წლის შემდეგ პირველად სძლია ემოციამ.

პირველი ნაწილი. სტიმული

20 დეკემბერი – 3 იანვარი

შვედეთში ქალების 18%-ს ერთხელ მაინც დამუქრებია საფრთხე მამაკაცისგან.

თავი I

პარასკევი, 20/XII

სასამართლო დასრულდა. ყველაფერი, რაც სათქმელი იყო, ითქვა. მან თავიდანვე იცოდა, რომ პროცესს წააგებდა. განაჩენი წერილობით პარასკევს, დილის ათ საათზე გადასცეს. ახლა მხოლოდ საოლქო სასამართლოს დერეფანში მომლოდინე რეპორტიორების წინაშე შემაჯამებელი კომენტარის გაკეთება იყო საჭირო.

„კალე“ -მიქაელ ბლუმკვისტმა რეპორტიორები გასვლისას დაინახა და ნაბიჯი შეანელა. განაჩენის სამართლიანობის მათთან განხილვის სურვილი არ ჰქონდა, მაგრამ მშვენივრად იცოდა, რომ შეკითხვებისთვის თავის არიდებას ვერ შეძლებდა და კომენტარი აუცილებლად უნდა გაეკეთებინა.

„აი, თურმე როგორია, იყო დამნაშავე და მიკროფონს შენ გიშვერდნენ“, – გაიფიქრა, წელში გაიმართა და გაიღიმა.

რეპორტიორები მეგობრულად, ლამის თანაგრძნობით მიესალმნენ.

– აბა, ვნახოთ... Aftonbladet, Expressen, TV4, TT სააგენტო და... თქვენ საიდან ხართ? აა, დიახ. Dagens Industri. როგორც ჩანს, ცნობილი ადამიანი გავხდი.

– კომენტარს ხომ არ გააკეთებდით, კალე ბლუმკვისტ? – ჰკითხა საღამოს გაზეთის რეპორტიორმა.

ამ მეტსახელის გაგონებაზე ბლუმკვისტი კინაღამ დაიჯღანა.

როცა ოცდასამი წლის ახალბედა ჟურნალისტმა პირველი საზაფხულო სამუშაო მიიღო, ბლუმკვისტი შემთხვევით ბანკების მძარცველებს გადაეყარა, რომელთაც უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში ხუთი ბანკი გაეძარცვათ. ამ ბანდისთვის დამახასიათებელი ნიშანი ის იყო, რომ ზუსტად გათვლილი გეგმით ერთდროულად ორ ბანკს ძარცვავდა ხოლმე. მძარცველები სახეზე დისნეის მულტფილმების გმირების ნიღბებს იკეთებდნენ, ამიტომ პოლიციამ მათ „იხვი დონალდის ბანდა“ შეარქვა. თუმცა, გაზეთებმა სახელი უფრო შესაფერისი „დათვების ბანდით“ შეცვალეს. რადგან მძარცველები უხეშად იქცეოდნენ და ერთი-ორჯერ

ცნობისმოყვარე გამვლელებს ცეცხლსასროლი იარაღიდან გამაფრთხილებელი გასროლითაც დაემუქრნენ.

მეექვსედ, საშობაო სეზონის პიკში, ოსტერგოტლანდის ბანკს დაესხნენ თავს. იმ დროს ბანკში ადგილობრივი რადიოსადგურის რეპორტიორიც იმყოფებოდა. როგორც კი მძარცველები გაიქცნენ, რეპორტიორმა სატელეფონო ჯიხურთან მიირბინა და რადიოს პირდაპირ ეთერში აცნობა მომხდარი ძარცვის შესახებ.

იმ დროს ბლუმკვისტი მეგობარ გოგონასთან ერთად მშობლების საზაფხულო აგარაკზე ისვენებდა. შემდეგში პოლიციასაც კი ვერ აუხსნა ზუსტად, რატომ, მაგრამ როცა რადიოს პირდაპირ ეთერში მომხდარ ძარცვაზე მოისმინა, ბლუმკვისტს მაშინვე თავისი აგარაკიდან რამდენიმე ასეული მეტრის მოშორებით, გზისპირა კოტეჯში მცხოვრები ოთხი კაცი გაახსენდა. რამდენიმე დღით ადრე შემთხვევით თვალი მოეკრა, იმ ეზოში ბადმინტონს როგორ თამაშობდნენ ქერა, დაკუნთული ტიპები, ტანზემოთ შიშვლები და შორტებში ჩაცმულნი. აშკარად კულტურისტები უნდა ყოფილიყვნენ, მაგრამ ბლუმკვისტს ისინი იმიტომ უფრო დაამახსოვრდა, რომ ბადმინტონს თაკარა მზეში თამაშობდნენ და გაუკვირდა, ნეტა ასე მონდომებით რად ირჯებიანო.

მართალია, დარწმუნებული არ იყო, რომ ისინი ბანკის მძარცველები იყვნენ, მაგრამ იმ ბორცვზე მაინც ავიდა, საიდანაც მათი კოტეჯი ჩანდა. ორმოც წუთში კოტეჯის წინ „ვოლვო“ გაჩერდა. მანქანიდან ახალგაზრდა კაცები გადმოხტნენ. ყველას სპორტული ჩანთა მოჰქონდა. ბლუმკვისტმა ჯერ იფიქრა, შეიძლება სულაც საცურაო აუზიდან მოვიდნენო, მაგრამ უცებ ერთ-ერთი ახალგაზრდა მანქანასთან დაბრუნდა, ნოხს ქვემოდან რაღაც გამოიღო და სასწრაფოდ ქურთუკის ქვეშ შემალა.

ბლუმკვისტმა იმსიშორიდანაც კი გაარჩია AK4, ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღი, რომელიც მთელი წელი მისი მუდმივი თანამგზავრი იყო სამხედრო სამსახურში ყოფნისას.

ბლუმკვისტმა პოლიციას დაურეკა და ასე დაიწყო კოტეჯის სამდღიანი ალყა, რომელსაც მედია პირდაპირ ეთერში აშუქებდა. ყურადღების ცენტრში მყოფმა ბლუმკვისტმა სოლიდური ჰონორარი მიიღო ერთ-ერთი საღამოს გაზეთისგან. პოლიციამ კი თავისი შტაბი პირდაპირ ბლუმკვისტის აგარაკის ბაღში გახსნა.

„დათვების ბანდის“ შეპყრობაში მონაწილეობამ ახალგაზრდა ჟურნალისტს სახელი გაუთქვა. ერთადერთი, რაც იმ შემთხვევიდან ბლუმკვისტს ცუდად აგონდებოდა, იყო ის, რომ ერთმა საღამოს გაზეთმა ასეთი სათაური გამოიტანა წინა გვერდზე: „კალე ბლუმკვისტი საქმეს ხსნის“. გამოცდილმა ჟურნალისტმა ქალმა თავის ნახევრად სახუმარო სტატიაში მრავალი პარალელი გაავლო ასტრიდ ლინდგრენის საბავშვო ნაწარმოების ახალგაზრდა დეტექტივთან. უფრო უარესი, სტატიას თან ერთვოდა

ნახევრად ბუნდოვანი, უხეიროდ გადიდებული ფოტო, რომელზეც ბლუმკვისტი საჩვენებელი თითით სადღაც მიუთითებდა.

ბლუმკვისტს სიცოცხლეში არასდროს გამოეყენებინა სახელი კალე, მაგრამ, მისდა სამწუხაროდ, მას შემდეგ კოლეგები სულ კალე ბლუმკვისტად მოიხსენიებდნენ. მართალია, ასტრიდ ლინდგრენის წიგნები ძალიან უყვარდა, მაგრამ ბლუმკვისტს მეტსახელი მაინც აღიზიანებდა – პირდაპირი თუ არა, შეფარული ირონია მაინც იგრძნობოდა მასში. მრავალი წელი და უფრო მეტი ჟურნალისტური წონის მოპოვება იყო საჭირო ამ მეტსახელის ჩამოსაშორებლად. როცა ვინმე ასე მიმართავდა, ბლუმკვისტი მაშინვე უკმაყოფილოდ შეიშმუშნებოდა ხოლმე.

მაგრამ ახლა მშვიდად გაიღიმა და საღამოს გაზეთის რეპორტიორს უპასუხა:

– ოჰ, კარგი ერთი, თვითონაც მოიფიქრებთ რამეს. მაინც სულ ასე იქცევით.

ეს გამკიცხავად არ წარმოუთქვამს. მეტ-ნაკლებად ყველანი იცნობდნენ ერთმანეთს; თანაც ბლუმკვისტის ყველაზე მწვავე კრიტიკოსები დღეს არსად ჩანდნენ. ერთ-ერთი აქ მყოფი ჟურნალისტი ადრე მისი თანამშრომელი იყო. ხოლო TV4-ის საავტორო გადაცემის ეს წამყვანი რამდენიმე წლის წინ წვეულებაზე კინაღამ შეაბა კიდეც.

– დღეს პროცესზე მძიმე წნეხის ქვეშ აღმოჩნდით. თავს როგორ გრძნობთ? – ჰკითხა Dagens Industri-ის ახალბედა ჟურნალისტმა.

მიუხედავად ვითარების სერიოზულობისა, ვერც ბლუმკვისტმა და ვერც სხვა გამოცდილმა ჟურნალისტებმა გაღიმებისგან თავი ვერ შეიკავეს. ბლუმკვისტმა TV4-ის ჟურნალისტს გახედა. „თავს როგორ გრძნობთ?“ – ასე ცალტვინა სპორტული ჟურნალისტი ეკითხება ფინიშის ხაზზე გასულ სუნთქვაშეკრულ სპრინტერს.

– მხოლოდ იმის გამო ვწუხვარ, რომ სასამართლომ სხვა განაჩენი არ გამოიტანა, – ოდნავ უხალისოდ უპასუხა ბლუმკვისტმა.

– სამთვიანი პატიმრობა და ჯარიმის სახით 150 000 კრონის გადახდა მოგისაჯეს. საკმაოდ მკაცრი სასჯელია, – განაგრძო TV4-ის ჟურნალისტმა.

– არა უშავს. გავუძლებ.

– ვენერსტრომს ბოდიშს მოუხდით? ხელს ჩამოართმევთ?

– არა მგონია.

– მაშ, მაინც გაიმეორებთ, რომ ის თაღლითია? – ეს უკვე Dagens Industri-ის რეპორტიორმა ჰკითხა.

სასამართლომ ბლუმკვისტი ფინანსისტ ჰანს-ერიკ ვენერსტრომისთვის ცილისწამებასა და სახელის გატეხაში დაადანაშაულა. საქმე დაიხურა, ბლუმკვისტი კი გასაჩივრებას არ აპირებდა. წესით, არც არაფერი დაშავდებოდა, თუ

სასამართლოში თავის გასამართლებლად ნათქვამ სიტყვებს სასამართლოს შენობის კიბის საფეხურებზეც გაიმეორებდა... მაგრამ ბლუმკვისტმა თავი შეიკავა.

– მეგონა, ჩემ ხელთ არსებული ინფორმაციის გამოქვეყნების ყველანაირი საფუძველი მქონდა. თუმცა, სასამართლომ სხვაგვარად განსაჯა და მეც მის განაჩენს უნდა დავემორჩილო. ჩვენმა რედაქციამ ჯერ ეს განაჩენი უნდა განიხილოს. მხოლოდ ამის შემდეგ დავგეგმავთ შემდგომ ნაბიჯებს. მეტს ვერაფერს დავამატებ.

– კი, მაგრამ, როგორ გამოგრჩათ, რომ ჟურნალისტმა თავისი სტატია სამხილებითაც უნდა განამტკიცოს? – არ ეშვებოდა TV4-ის ჟურნალისტი. გულგრილი გამომეტყველება ჰქონდა, თუმცა მის თვალებში ბლუმკვისტმა მაინც შეამჩნია იმედგაცრუების კვალი.

Dagens Industri -ის რეპორტიორის გარდა, კიბეზე გამოცდილი, თავისი საქმის მცოდნე ჟურნალისტები იდგნენ. რასაკვირველია, ბლუმკვისტის პასუხი არავის მოსჩვენებია დამაჯერებლად.

– მეტს ვერაფერს დავამატებ, – გაიმეორა ბლუმკვისტმა.

თუმცა, TV4-ის ჟურნალისტი მაინც არ მოეშვა და განცალკევებით, კამერის წინ კიდევ რამდენიმე შეკითხვა დაუსვა. ქალი უფრო თავაზიანად ეპყრობოდა, ვიდრე ბლუმკვისტი იმსახურებდა. ბლუმკვისტმაც რამდენიმე მკაფიო პასუხი გასცა ქალის უკან მდგარი სხვა ჟურნალისტების გასაგონადაც. „ჩემი პროცესი, რასაკვირველია, დღის მთავარი ამბავია, მაგრამ არა წლის მოვლენა“, – უფრო თავის თავს შეახსენა ბლუმკვისტმა. რეპორტიორებმა ის მოისმინეს, რაც სურდათ, და თავ-თავიანთ რედაქციებს დაუბრუნდნენ.

ბლუმკვისტი ფეხით გასეირნებას აპირებდა, მაგრამ ინტერვიუს დროს გათოშილმა, დეკემბრის სუსხიან დღეს გარეთ ხეტიალი გადაიფიქრა. კიბეზე ჩასვლისას თვალი მოჰკრა, როგორ გადმოვიდა მანქანიდან უილიამ ბორგი. ალბათ ინტერვიუს დასრულებას იქ ელოდა. ბორგმაც დაინახა ბლუმკვისტი და გაუღიმა.

– მარტო იმისთვის ღირდა აქ მოსვლა, რომ მაგ ქაღალდით ხელში მენახე.

ბლუმკვისტმა არაფერი უპასუხა.

ბლუმკვისტს და ბორგს თხუთმეტწლიანი ნაცნობობა აკავშირებდათ. ერთ დროს ერთი დილის გაზეთის ფინანსური განყოფილების სტაჟიორებად მუშაობდნენ. შესაძლოა, სწორედ მაშინ გაჩაღდა მათ შორის მტრობა, რომელიც დღესაც გრძელდებოდა. ბლუმკვისტის თვალში ბორგი მესამეხარისხოვანი რეპორტიორი იყო, რომელიც ყველას თავს აბეზრებდა თავისი სულელური ხუმრობითა და უფროსი ასაკის რეპორტიორებზე დამცინავი შენიშვნებით. ბორგს განსაკუთრებით რეპორტიორი ქალები სძულდა. პირველი კამათის შემდეგ ბლუმკვისტსა და ბორგს შორის დაპირისპირება პირდაპირ ურთიერთსიძულვილში გადაიზარდა.

წლების განმავლობაში მათი გზები ბევრჯერ გადაიკვეთა, მაგრამ ოთხმოცდაათიანი წლების მიწურულს უკვე სერიოზულად გადაემტერნენ ერთმანეთს. ბლუმკვისტმა ეკონომიკის მიმომხილველ ჟურნალისტებზე გამოსცა წიგნი, რომელშიც ბორგის „სულელური“ სტატიებიდან მოიყვანა ციტატები. წიგნში ბორგი ნამდვილ იდიოტად იყო გამოყვანილი, რომელიც რეალურ ფაქტებს თავდაყირა აყენებდა და მაღალფარდოვანი სიტყვებით აქებდა გაკოტრების პირას მდგარ Dot-com[i] კომპანიებს. ამ წიგნის გამოსვლის შემდეგ ბორგი და ბლუმკვისტი სოდერმალმის ერთ-ერთ ბარში შემთხვევით შეხვდნენ ერთმანეთს და მათი შელაპარაკება კინაღამ მუშტი-კრივში გადაიზარდა. მას შემდეგ ბორგმა ჟურნალისტობას თავი ანება და ახლა ერთი ფირმის საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილებაში ბევრად მაღალშემოსავლიან თანამდებობაზე მუშაობდა. ეს ფირმა მეწარმე ჰანს-ერიკ ვენერსტრომის გავლენის სფეროში შედიოდა.

ბლუმკვისტი და ბორგი კარგა ხანს დაჟინებით მისჩერებოდნენ ერთმანეთს, მერე ბლუმკვისტმა დემონსტრაციულად ზურგი შეაქცია. ზუსტად ბორგისთვის დამახასიათებელი საქციელი იყო – სასამართლოს წინ მხოლოდ იმიტომ იცდიდა, რომ მისთვის დაეცინა.

ავტობუსი პირდაპირ ბორგის მანქანის წინ გაჩერდა და ბლუმკვისტი მაშინვე შიგ შეხტა. ფრიდჰემსპალმზე ჩამოვიდა. კარგა ხანს ყოყმანობდა, საით წასულიყო. ხელში ისევ განაჩენი ეჭირა. ბოლოს პოლიციის განყოფილების მიწისქვეშა ავტოსადგომის შესასვლელის გვერდით მდებარე კაფე „ანასკენ“ გაემართა.

ნახევარი საათის შემდეგ რძიან ყავას და სენდვიჩს მიირთმევდა და რადიოთი შუადღის ახალ ამბებს უსმენდა. იერუსალიმში თვითმკვლელ ტერორისტს ბომბი აეფეთქებინა, ხოლო შვედეთის მთავრობას სპეციალური კომისია შეექმნა სამშენებლო კომპანიების არალეგალური შეთანხმებების გამოსაძიებლად.

„დღეს დილით ჟურნალ „მილენიუმის“ ჟურნალისტს მიქაელ ბლუმკვისტს სასამართლომ ოთხმოცდაათდღიანი პატიმრობა მიუსაჯა მეწარმე ჰანს-ერიკ ვენერსტრომის წინააღმდეგ ცილისწამებისთვის. წლის დასაწყისში თავის ჟურნალში გამოქვეყნებულ გახმაურებულ სტატიაში ბლუმკვისტმა ბრალი დასდო ვენერსტრომს პოლონეთის სამრეწველო სფეროში ინვესტირებისთვის განკუთვნილი სახელმწიფო ფინანსების არამიზნობრივ ხარჯვაში და ამ თანხების იარაღით უკანონო ვაჭრობაში გამოყენებაში. ბლუმკვისტს მორალური ზიანის ასანაზღაურებლად 150 000 შვედური კრონის გადახდაც დაეკისრა. ვენერსტრომის ადვოკატმა განაცხადა, რომ მისი კლიენტი სასამართლოს გადაწყვეტილებით კმაყოფილია. ადვოკატის თქმით, საშინელი ცილისწამებისთვის ბლუმკვისტი სწორედ ასეთ სასჯელს იმსახურებს“.

განაჩენი ოცდაექვსგვერდიანი იყო. ბლუმკვისტი თხუთმეტ პუნქტში სცნეს დამნაშავედ. თითოეული პუნქტი ათი ათას კრონად და ექვსდღიან პატიმრობად დაუჯდა. გარდა ამისა, სასამართლო ხარჯებიც დასაფარი იყო და ადვოკატის

გასამრჯელოც – გასასტუმრებელი. ხარჯი დიდი იყო, მაგრამ უფრო მეტიც შეიძლებოდა ყოფილიყო. საბედნიეროდ, სასამართლომ დანარჩენ შვიდ პუნქტში გაამართლა.

განაჩენის წაკითხვისას გული დაუმძიმდა. გაუკვირდა, თუმცა, სასამართლო პროცესის დაწყებისთანავე იცოდა, რომ საქმის მოგების არანაირი შანსი არ ჰქონდა, თუ სასწაული არ მოხდებოდა. შედეგს თავიდანვე შეგუებული იყო. პირველი ორი დღის განმავლობაში მშვიდად ესწრებოდა სასამართლო განხილვებს, მომდევნო თერთმეტ დღეს აუღელვებლად ელოდა, როდის გამოიტანდნენ მსაჯულები იმ განაჩენს, რომელიც ხელში გადასცეს. რატომღაც თავი ახლაღა იგრძნო ცუდად.

სენდვიჩის ლუკმა პირში ისე უჩვეულოდ გასქელდა, ძლივს ჩაყლაპა. თეფში გვერდზე გასწია.

ბლუმკვისტი ცხოვრებაში პირველად დაადანაშაულეს. სიმართლე ითქვას, არაფრით გამორჩეული სასამართლო პროცესი იყო. მსუბუქი დანაშაულისთვის გაასამართლეს. ბოლოს და ბოლოს, არავინ დაუყაჩაღებია, მოუკლავს ან გაუუპატიურებია. აი, ფინანსური კუთხით კი, ამ საქმის წაგებამ ძალიან აზარალა. „მილენიუმი“ ნამდვილად არ იყო შეუზღუდავი ფინანსური რესურსების მქონე მედიაფლაგმანი; ჟურნალს ისედაც ძლივს გაჰქონდა თავი.

მეორე მხრივ, არც საშინელი კატასტროფა მომხდარა. პრობლემა მხოლოდ ის იყო, რომ ბლუმკვისტი ერთდროულად „მილენიუმის“ თანამფლობელი, რეპორტიორი და რედაქტორი იყო. 150 000 კრონის ჯარიმის საკუთარი ჯიბიდან გადახდას აპირებდა, თუნდაც მთელი თავისი დანაზოგის ფასად; ხოლო ჟურნალი როგორმე დანარჩენ ხარჯებს დაფარავდა. ბიუჯეტის სწორად განკარგვის შემთხვევაში იქნებ ფინანსური კრიზისისთვისაც დაეღწიათ თავი.

გაიფიქრა, ბინა ხომ არ გავყიდოო, მაგრამ ამის წარმოდგენამაც კი მძიმედ იმოქმედა. ბედნიერი ოთხმოციანების მიწურულს, როცა სტაბილური სამსახური და სოლიდური ხელფასი ჰქონდა, მუდმივი საცხოვრებლის ძიება დაიწყო. მრავალი ბინა დაათვალიერა, სანამ ბელმანსგატანის ბოლოს მდებარე 70 კვადრატული მეტრის მანსარდა არ იპოვა. წინა მოსახლეს მისი გარემონტება დაეწყო, მაგრამ Dot-com კომპანიას საზღვარგარეთ სამსახური შეეთავაზებინა და მანაც ბლუმკვისტს შედარებით იაფად მიჰყიდა.

ბლუმკვისტმა ინტერიერის დიზაინის თავდაპირველი ჩანაფიქრი არ მოიწონა და სამუშაო თვითონ დაასრულა. სააბაზანო და სამზარეულო გაარემონტა, მაგრამ პარკეტის დაგებასა და ოთახის ორად გატიხვრაში ფულის დახარჯვის ნაცვლად, იატაკი მოაპრიალა და კედლები შეათეთრა, კედელზე დარჩენილი თვალშისაცემი ლაქები კი ემანუელ ბერნსთოუნის ორი აკვარელით დაფარა. შედეგად, ბინა ღია საცხოვრებლად იქცა, საძინებლით წიგნის კარადის უკან და სასადილო ოთახით

დახლს უკან მოწყობილი მცირე სამზარეულოს გვერდით. ბინას მანსარდის ორი და ფრონტონის ერთი ფანჯარა ჰქონდა. აქედან გამლასტანის, სტოკჰოლმის ძველი უბნის, სახურავების და მდინარე რიდარფიერდენის ხედი იშლებოდა. მოჩანდა ასევე სლუსენი და ქალაქის რატუშა. ამჟამინდელი მდგომარეობის გათვალისწინებით, ასეთი ბინის ხელახლა ყიდვა ალბათ ძალიან გაუჭირდებოდა, ამიტომ ძალიან სურდა ბინის შენარჩუნება.

თუმცა, ბინის დაკარგვის შიში არაფერი იყო იმ ზიანთან შედარებით, რაც მის კარიერას მიადგა. მისი პროფესიული თავმოყვარეობა იმდენად შეილახა, რომ სახელის აღდგენას – თუ ეს საერთოდ მოხერხდებოდა – კიდევ დიდი ხანი დასჭირდებოდა.

ნდობის საკითხი იყო. უახლოეს მომავალში ალბათ ნებისმიერი რედაქტორი უარს იტყოდა მისი სტატიის გამოქვეყნებაზე. საგამომცემლო საქმით დაკავებული ბევრი მეგობარი ჰყავდა. ისინი გაუგებდნენ, რომ უიღბლობისა და უჩვეულო შემთხვევის მსხვერპლი გახდა, მაგრამ უკვე უმცირეს შეცდომასაც ვეღარ დაუშვებდა.

ყველაზე მეტად მაინც ის აწუხებდა, რომ დაამცირეს. ყველა კოზირი ხელში ეჭირა და „არმანის“ კოსტიუმში გამოწკეპილ განგსტერთან წააგო – საძაგელ ბირჟის სპეკულანტთან, „იაპისთან“, რომელსაც ცბიერად მოღიმარი, გაქექილი ადვოკატი ჰყავდა.

„ჯანდაბა, ასე როგორ ჩავფლავდი?“

ვენერსტრომის საქმე დამაიმედებლად დაიწყო თორმეტმეტრიანი იახტის კაიუტაში წელიწად-ნახევრის წინ, ივანობის დღეს. რეგიონის თვითმმართველობის საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილებაში მომუშავე ბლუმკვისტის ყოფილმა კოლეგა-ჟურნალისტმა თავის ახალ მეგობარ გოგონაზე შთაბეჭდილების მოსახდენად სტოკჰოლმის არქიპელაგის გარშემო საცურაოდ იახტა „სკამპი“ იქირავა. ჰალსტაჰამარიდან სტოკჰოლმში სულ ცოტა ხნით ადრე ჩასული გოგონა მცირე ყოყმანის შემდეგ მოგზაურობაზე დათანხმდა, ოღონდ იმ პირობით, თუ მათთან ერთად მისი და და დის მეგობარი ბიჭი წამოვიდოდნენ. ჰალსტაჰამარელ სამეულს ნაოსნობისა არაფერი გაეგებოდა; საუბედუროდ, არც ბლუმკვისტის ძველმა კოლეგამ იცოდა იახტის მართვა. ამიტომ გამგზავრებამდე სამი დღით ადრე ბლუმკვისტს დაურეკა და დაითანხმა, ეკიპაჟის მეხუთე წევრი გამხდარიყო.

ბლუმკვისტი ჯერ უარზე იყო, მაგრამ როცა არქიპელაგზე მშვენიერ კომპანიაში დასვენებასა და კარგ კვებას შეჰპირდნენ, დათანხმდა.

მოგზაურობა ნამდვილ კოშმარად იქცა. ბულანდოდან ფურუსუნდის ყურემდე იოლი გზა სულ ცხრა კვანძის სიჩქარით გაცურეს, რადგან ბლუმკვისტის ყოფილი კოლეგის მეგობარ გოგონას ზღვაში გასვლისთანავე ზღვის ავადმყოფობა დაემართა. მისი და თავის მეგობარ ბიჭს წაეჩხუბა. ნაოსნობის შესწავლით კი არც ერთი არ

დაინტერესებულა. მალე გაირკვა, რომ იახტის მართვა მთლიანად ბლუმკვისტზე იყო მინდობილი, სხვები კი, მართალია, კეთილი განზრახვით, მაგრამ უსარგებლო რჩევებით გულს უწყალებდნენ. კუნძულ ანგსოს ყურეში გატარებული პირველი ღამის შემდეგ ბლუმკვისტმა ფურუსუნდში იახტიდან გადმოსვლა და ავტობუსით შინ დაბრუნება დააპირა, მაგრამ დანარჩენები იმდენს ემუდარნენ, რომ გადაიფიქრა.

მომდევნო დღეს, შუადღით, თვალწარმტაც კუნძულ არჰოლმასთან მიცურეს. ჯერაც საკმაოდ ადრე იყო და ნავმისაბმელზე თავისუფალ ადგილს მიაგნეს. ნასადილევს ბლუმკვისტმა შეამჩნია, როგორ შემოცურდა ყურეში გროტ-იალქანაშვებული ყვითელი, ფიბერგლასის კარკასიანი M-30. ბლუმკვისტმა მიმოიხედა. ერთადერთი თავისუფალი ადგილი მათ იახტასა და მდიდრულ ნავს შორის იყო დარჩენილი. ბლუმკვისტი ფეხზე წამოდგა და მესაჭეს თავისკენ ანიშნა. მესაჭემაც მადლობის ნიშნად ხელი დაუქნია და მათკენ გამოცურა.

ალბათ, ეული ნაოსანია, ვინც ძრავის დაქოქვით თავს არ იწუხებსო, გაიფიქრა ბლუმკვისტმა.

მალე ღუზის ჯაჭვის ჟღარუნი გაისმა და იალქანიც დაეშვა. მესაჭე კატასავით მოქნილად ატრიალებდა საჭეს, რომ ვიწრო სადგომზე შეტეულიყო, თან ნავის მისაბმელადაც ემზადებოდა.

ბლუმკვისტი მოაჯირზე შედგა და ხელი ახალმოსულის ნავის ცხვირისკენ გაიშვირა ბაგირის ჩამოსართმევად. ახალმოსულმა ნელა შემოაცურა თავისი ნავი და „სკამპის“ გვერდით გააჩერა. ბაგირი ბლუმკვისტს ესროლა და ამ დროს ერთმანეთი იცნეს.

– გამარჯობა, რობან. არ შეგიძლია ძრავა დაქოქო, რომ შენს ირგვლივ ყველას ნავი არ გაფხაჭნო და საღებავი არ გადააცალო?

– მიკეს გაუმარჯოს. კი ვიფიქრე, საიდანღაც მეცნობა-მეთქი. ძრავა გაფუჭდა, თორემ ამ რკინის ჯართის დაქოქვა კი არ მეზარება. ორი დღის წინ როდლოგასთან ჩამიქრა.

ერთმანეთს ხელი ჩამოართვეს.

სამოცდაათიან წლებში ბლუმკვისტი და რობერტ ლინდბერგი კუნგსჰოლმის სკოლაში მეგობრები იყვნენ, თანაც – საკმაოდ ახლო მეგობრები. როგორც ხშირად ხდება ხოლმე, სკოლის დამთავრების შემდეგ მათი გზები გაიყო. მას შემდეგ სულ ათჯერ შეხვედროდნენ ერთმანეთს, ბოლოს – შვიდი თუ რვა წლის წინ.

ერთმანეთი ყურადღებით შეათვალიერეს. ლინდბერგს თმა აბურდვოდა, გარუჯულიყო და სულ მცირე, ორი კვირის გაუპარსავი მაინც იქნებოდა.

ბლუმკვისტს მაშინვე გამოუკეთდა გუნება. როცა ყოფილი კოლეგა და მისი სულელი მეგობარი გოგონა კუნძულის მეორე მხარეს ივანობის დღესასწაულზე საცეკვაოდ

წავიდნენ, თვითონ თავისი თანაკლასელის ნავზე აკვავიტეს გადასაკრავად და ქაშაყის საჭმელად გადავიდა.

საღამოს, მას მერე, რაც არჰოლმას საძაგელ კოღოებთან ბრძოლაში დამარცხებულებმა კაიუტას შეაფარეს თავი და რამდენიმე სირჩა აკვავიტეც გამოცალეს, საუბარი ფინანსური სამყაროს ეთიკურობაზე მეგობრულ ლაყბობაში გადაიზარდა. ლინდბერგს სტოკჰოლმის ეკონომიკის სასწავლებელი დაემთავრებინა და საბანკო საქმეში იყო ჩართული. სტოკჰოლმის ჟურნალისტიკის სასწავლებლის კურსდამთავრებული ბლუმკვისტი კი თავის კარიერას საბანკო და საფინანსო სამყაროში მომხდარი კორუფციის ფაქტების გამოძიებას და გამოქვეყნებას უძღვნიდა. საუბარი 90-იანი წლების „ოქროს პარაშუტის“[ii] კონტრაქტების ეთიკურ მხარეზე ჩამოვარდა და ლინდბერგმა ერთი-ორი ნაძირალა საქმოსანი ახსენა.

– ჰანს-ერიკ ვენერსტრომზე რატომ არაფერს წერ? – ჰკითხა უცებ ბლუმკვისტს.

– არ ვიცოდი, მასზეც თუ იყო რამე დასაწერი.

– რამე გამოქექე. ღვთის გულისათვის, გამოქექე. მრეწველობის ხელშეწყობის სააგენტოს პროგრამაზე გსმენია რამე?

– მგონი, „ვარშავის პაქტის“ ქვეყნებს ეხმარებოდნენ ფეხზე წამოდგომაში. რამდენიმე წლის წინ დაიხურა. ჩემთვის საინტერესო არაფერია.

– „მრეწველობის ხელშეწყობის სააგენტო“ სახელმწიფო პროექტი იყო, რომლის ადმინისტრირებას ათამდე მსხვილი შვედური ფირმა ეწეოდა. ამ პროექტმა სახელმწიფოსგან ფინანსური გარანტია მიიღო პოლონეთსა და ბალტიისპირეთში ამ ქვეყნების მთავრობებთან შეთანხმებული პროექტების განსახორციელებლად. შვედეთის პროფკავშირიც გარანტორად გამოვიდა, რომ შვედური მოდელი ამ ქვეყნებში მშრომელი ძალის მოძრაობის გაძლიერებას შეუწყობდა ხელს. თეორიულად, ეს მოდელი აღმოსავლეთის რეჟიმებს საკუთარი ძალებით ეკონომიკის აღდგენის შესაძლებლობას მისცემდა. პრაქტიკულად კი შვედური კომპანიები, სახელმწიფო სუბსიდირების წყალობით, აღმოსავლეთ ევროპაში ადგილობრივი კომპანიების თანამეპატრონენი ხდებოდნენ. ის წყეული მინისტრი „ქრისტიანული პარტიიდან“ თავგამოდებით იცავდა სააგენტოს პროექტებს, რომელთა მიხედვითაც კრაკოვში ქაღალდის გადამამუშავებელი, ხოლო ტალინში ცემენტის ქარხანა უნდა აეშენებინათ, რიგაში კი მეტალურგიული ქარხნის რეაბილიტაცია მოეხდინათ და ა. შ. ფინანსურ რესურსებს განკარგავდა სააგენტოს საბჭო, რომელშიც საბანკო და საფინანსო სამყაროს მსხვილი მოთამაშეები შედიოდნენ.

– მაშ, ეს გადამხდელთა თანხები იყო?

– თითქმის ნახევარი სახელმწიფო სახსრები იყო, დანარჩენი ბანკებიდან და მსხვილი კორპორაციებიდან შედიოდა. თუმცა, განზრახვა აშკარად არ ჰქონდათ

კეთილშობილური. საბანკო და სამრეწველო სფეროს წარმომადგენლები დიდძალ მოგებას ელოდნენ, თორემ სხვა შემთხვევაში თავს ნამდვილად არ შეიწუხებდნენ.

– რა რაოდენების თანხაზეა საუბარი?

– ჯერ დამამთავრებინე. მრეწველობის ხელშეწყობის სააგენტო ისეთ მსხვილ შვედურ ფირმებთან ურთიერთობდა, რომლებსაც აღმოსავლეთ ევროპის ბაზარზე სურდათ შესვლა. მაგალითად, კომპანიებთან: ASEA Brown Boveri ან Skanska Construction. ერთი სიტყვით, სოლიდურ და არასაეჭვო ფირმებთან.

– არასაეჭვო? Skanska Construction-ის მმართველი დირექტორი არ იყო, თავისი ბიჭებისთვის საეჭვო საბირჟო გარიგებებში ნახევარი მილიარდის გახარჯვის გამო რომ დაითხოვეს? ან ლონდონსა და ოსლოში უძრავი ქონების ისტერიკულ შესყიდვებზე რას იტყვი?

– რა თქმა უნდა, იდიოტები ყველგან ჰყავთ; მაგრამ ეს კომპანიები შვედური მრეწველობის ხერხემალია და რაღაცას მაინც აწარმოებენ.

– ვენერსტრომი ამ ამბავთან რა შუაშია?

– ვენერსტრომი ყველასთვის მოულოდნელად გამოჩნდა; სამრეწველო ბიზნესში მანამდე არანაირი წონა არ გააჩნდა, არც სხვა პროექტებში მონაწილეობდა. მან ქონება საფონდო ბირჟაზე დააგროვა და კაპიტალი სოლიდურ კომპანიებში დააბანდა. როგორც იტყვიან, სცენაზე უკანა კარიდან შემოვიდა.

ბლუმკვისტმა ჭიქაში რაიმერსჰოლმური ბრენდი დაისხა და სავარძლის საზურგეზე გადაწოლილმა ყველაფრის გახსენება დაიწყო, თუ რამე იცოდა ვენერსტრომზე.

ჰანს-ერიკ ვენერსტრომი ნორლანდში დაიბადა და სამოცდაათიან წლებში იქვე დააარსა საინვესტიციო კომპანია. ოთხმოციან წლებში გამდიდრებული, სტოკჰოლმში გადავიდა და დააარსა კომპანია „ვენერსტრომ-გრუპი“, რომელსაც ლონდონსა და ნიუ-იორკშიც ჰქონდა ოფისები. მალე „ვენერსტრომ-გრუპის“ მსხვილ შვედურ ფირმასთან – Beijer-თან – ერთად მოხსენიება დაიწყეს. ვენერსტრომი აქციებითა და ფასიანი ქაღალდებით ვაჭრობდა, მოკლევადიან გარიგებებს დებდა; თანდათან მისი სახელი შვედური ჟურნალ-გაზეთების პირველ ფურცლებზე გამოჩნდა, სხვა შვედი მილიარდერების სახელების გვერდით. ვენერსტრომმა სტრანდვეგენის ბულვარზე მდიდრული სახლი შეიძინა; კუნძულ ვარდმოზე ფეშენებელური საზაფხულო ვილა აიშენა, ხოლო ჩოგბურთის გაკოტრებული ექს-ვარსკვლავისგან ოცდაათი მეტრის სიგრძის, მოტორიანი იახტა იყიდა. ბუნებით გაქექილი ვაჭარი იყო და ოთხმოციანი წლებიც ხომ ვაჭრების და საბაზრო სპეკულანტების დრო იყო?! განსაკუთრებული ვენერსტრომს არაფერი ჩაუდენია. პირიქით, სხვებისგან განსხვავებით, ჩრდილში ყოფნას ამჯობინებდა. მას აკლდა იან სტენბეკის ბრწყინვალება და არც თავისი ცხოვრების ყოველი დეტალის გამოჭენების

უფლებას აძლევდა ვინმეს. ვენერსტრომმა მოგვიანებით უძრავი ქონების ყიდვა-გაყიდვას თავი ანება და აღმოსავლეთის ბლოკის ქვეყნებში დაიწყო კაპიტალის დაბანდება. როცა ოთხმოცდაათიანებში თამაშის ახალი წესები დადგინდა და კომპანიების აღმასრულებელ დირექტორებს „ოქროს პარაშუტების“ განაღდება მოუწიათ, ვენერსტრომის კომპანია კრიზისს მშვენივრად გაუმკლავდა. „შვედური წარმატების ამბავი“ – ასე შეაფასა ეს ფაქტი The Financial Times-მა.

– 1992 წელს ვენერსტრომი მრეწველობის ხელშეწყობის სააგენტოს დაუკავშირდა და თავისი პროექტის დაფინანსება სთხოვა, – განაგრძო ლინდბერგმა, – მან წარმოადგინა პოლონური მხარის ინტერესით გამაგრებული გეგმა, რომელიც საკვები პროდუქტების შესაფუთი მასალების მწარმოებელი ქარხნის გახსნას გულისხმობდა.

– კონსერვის ქილებს გულისხმობ?

– დაახლოებით. არ ვიცი, ვისთან ჩააწყო ვენერსტრომმა საქმე, მაგრამ სააგენტომ მას 60 მილიონი კრონა გამოუყო.

– ო, ეს უკვე საინტერესოა. მოდი, გამოვიცნობ: ის ფული მას მერე აღარავის უნახავს.

– ცდები, – ეშმაკურად გაიღიმა ლინდბერგმა და აკვავიტე გადაჰკრა, – მერე რაც მოხდა, ბუღალტრული აღრიცხვების კლასიკური მაგალითია. ვენერსტრომმა ნამდვილად გახსნა შესაფუთი მასალების ქარხანა პოლონეთში, ლოძში. კომპანიას „მინოსი“ ერქვა. 1993 წელს სააგენტომ რამდენიმე ანგარიშიც მიიღო მათგან საქმის წარმატებული მიმდინარეობის შესახებ... და 1994 წელს, ყველასთვის მოულოდნელად, „მინოსი“ გაკოტრდა.

ლინდბერგმა ცარიელი ჭიქა დამცინავად დადგა მაგიდაზე.

– სააგენტოს მთავარი პრობლემა ის იყო, რომ პროექტზე თვალყურის დევნების ხეირიანი მექანიზმი არ გააჩნდა. ალბათ გახსოვს, ბერლინის კედელი რომ დაინგრა, ყველა როგორ ოპტიმისტურად იყო განწყობილი. ატომური ომის საფრთხე უკან დარჩა. გვეგონა, ყველგან დემოკრატიული მმართველობა დამყარდებოდა და ბოლშევიკები ერთ ღამეში ჩვეულებრივ კაპიტალისტებად გარდაიქმნებოდნენ. დასავლეთ ევროპის ქვეყნების მთავრობები აღმოსავლეთში დემოკრატიის გამყარებას გეგმავდნენ. მსხვილსა თუ წვრილ ბიზნესმენს, ყველას სურდა ახალი ევროპის მშენებლობაში მონაწილეობის მიღება.

– არ მეგონა, დასავლელი კაპიტალისტები ასეთი ქველმოქმედები თუ იყვნენ...

– დამიჯერე, ეს ყოველი კაპიტალისტის სანუკვარი ოცნება იყო. რუსეთი და აღმოსავლეთი ევროპა, ჩინეთის შემდეგ, ალბათ ყველაზე დიდი აუთვისებელი ბაზარია. მთავრობა და სამრეწველო სექტორი შეწყობილად მოქმედებდა, მით უმეტეს, რომ კომპანიებს მხოლოდ უმნიშვნელო ინვესტირება უწევდათ. საბოლოო ჯამში, სააგენტომ გადამხდელთა ოცდაათი მილიარდი კრონა შეჭამა. არადა, ფული

რამდენიმე წლის შემდეგ უნდა ამოეღოთ და მოგებასაც ელოდნენ. სააგენტო ფორმალურად სახელმწიფო ინიციატივას წარმოადგენდა, მაგრამ სამრეწველო სფეროსგან იმხელა ზეწოლას განიცდიდა, რომ, შეიძლება ითქვას, დამოუკიდებლად მოქმედებდა.

– მაინც ვერ გავიგე, რითაა საინტერესო ეს ამბავი?

– მოითმინე. თავიდან პროექტს დაფინანსების პრობლემები არ ჰქონდა, შვედეთს ჯერაც არ შეხებოდა „საპროცენტო განაკვეთების კრიზისი“. მთავრობა ამაყობდა სააგენტოს ამოქმედებით და მას აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში დემოკრატიის განვითარებაში შვედეთის მიერ შეტანილ წვლილად აცხადებდა.

– ეს კონსერვატორების მმართველობის დროს მოხდა?

– ამ ამბავს პოლიტიკაში ნუ აურევ. როცა საქმე ფულს ეხება, მნიშვნელობა არ აქვს რომელი პარტიაა ქვეყნის სათავეში. მოკლედ, საქმე დაიძრა. შემდეგ სავალუტო პრობლემები დაიწყო, მერე მთავრობაში გადარეული „ახალი დემოკრატები“ მოვიდნენ, გახსოვს? მათ უკმაყოფილება გამოთქვეს, მრეწველობის ხელშეწყობის სააგენტო ძალიან ჩაკეტილი ორგანიზაციაა და მკაცრი მეთვალყურეობა სჭირდებაო. ერთ-ერთ მათ თანამოაზრეს, ეს სააგენტო „შვედეთის საერთაშორისო განვითარების ფონდი“ ეგონა და ფიქრობდა, რომ რაღაც „ტანზანიის ეკონომიკური ხელშეწყობის“ მსგავს სულელურ პროექტებზე იყო საუბარი. 1994 წელს შეიქმნა სახელმწიფო კომისია მრეწველობის ხელშეწყობის სააგენტოს საქმიანობის გამოსაძიებლად. იმ დროისთვის უკვე რამდენიმე პროექტის მიმართ გასჩენოდათ ეჭვი. „მინოსით“ დაიწყეს.

– და ვენერსტრომმა ვერ დაასაბუთა, რაში დახარჯა გამოყოფილი თანხა.

– ისევ ცდები. მან უნაკლო ანგარიში წარმოადგინა, რომელშიც მითითებული იყო, რომ 54 მილიონი კრონა „მინოსში“ ჩაიდო. გაირკვა, რომ პოსტკომუნისტურ პოლონეთს დიდი ადმინისტრაციული პრობლემები ჰქონდა საიმისოდ, რომ საკვები პროდუქტების შესაფუთ თანამედროვე ქარხანას გამართულად ემუშავა. ამიტომაც მისმა ქარხანამ მსგავსივე გერმანული პროექტით გახსნილ ქარხანასთან კონკურენციას ვერ გაუძლო. გერმანელები მაშინ ყველანაირად ცდილობდნენ, აღმოსავლეთის ბლოკის ქვეყნების ბაზრები ჩაეგდოთ ხელში.

– შენ თქვი, რომ ვენერსტრომს სამოცი მილიონი კრონა გამოუყვეს.

– დიახ. ეს უპროცენტო სესხი იყო. თავდაპირველი ჩანაფიქრით, კომპანიებს ვალი რამდენიმე წელიწადში უნდა დაებრუნებინათ, მაგრამ „მინოსი“ გაკოტრდა და ამაში ვენერსტრომს ბრალი არ მიუძღოდა. სახელმწიფო გარანტიები ამუშავდა და ვენერსტრომს კომპენსაციაც კი გადაუხადეს. მხოლოდ „მინოსის“ გაკოტრებისას დაკარგული თანხის გადახდა მოსთხოვეს. ვენერსტრომმა შეძლო დაემტკიცებინა,

რომ ყველაფერთან ერთად ქარხანაში დაბანდებული საკმაოდ დიდი პირადი კაპიტალიც დაკარგა.

– მოიცა, თუ სწორად გავიგე, სახელმწიფომ ბიუჯეტიდან მილიარდები გამოყო და დიპლომატებს საზღვრების გახსნა დაავალა. ბიზნესმენებმა კი გამოყოფილი თანხა მიიღეს და სარისკო და სპეკულაციურ საქმეებში დააბანდეს, საიდანაც შემდეგ უზარმაზარი შემოსავალი მიიღეს. სხვანაირად რომ ვთქვათ, ფული გააკეთეს. ბიზნესი ბიზნესია.

– ნამდვილი ცინიკოსი ხარ. სახელმწიფოსგან აღებული სესხი უკან არ დაუბრუნებიათ.

– თავად ამბობ, უპროცენტო სესხი იყოო. გამოდის, რომ გადასახადების გადამხდელებს, ვინც ეს ფული გაიღო, საბოლოო ჯამში არაფერი ერგო. ვენერსტრომმა სამოცი მილიონი კრონა მიიღო და ორმოცდათოთხმეტი მილიონი საქმეში ჩადო. დანარჩენ ექვს მილიონს რა უყო?

– როცა ცხადი გახდა, რომ მრეწველობის ხელშეწყობის სააგენტოს საქმიანობის გამოძიებას დაიწყებდნენ, ვენერსტრომმა სააგენტოს ექვსი მილიონის ჩეკი გაუგზავნა ანგარიშის გასასწორებლად. ამგვარად, ეს საქმე მოგვარდა. ყოველ შემთხვევაში, კანონის წინაშე.

– როგორც ჩანს, ვენერსტრომმა სააგენტოს თანხიდან რამდენიმე მილიონი არამიზნობრივად დახარჯა. მაგრამ ეს რა მოსატანია იმ ნახევარ მილიარდთან, Skanska-მ რომ გააქრო ან მილიარდ კრონასთან, ABB-ის აღმასრულებელი დირექტორების „ოქროს პარაშუტზე“ რომ დაიხარჯა! აი, სინამდვილეში რა აგიჟებს ხალხს. დღევანდელ მკითხველს უნიჭო სპეკულანტების თაღლითობებით ვეღარ გააკვირვებ, თუნდაც თაღლითს სახელმწიფო ფული ჰქონდეს გაფლანგული. სულ ეს იყო?

– საინტერესო კიდევ წინაა.

– ვენერსტრომის პოლონურ გარიგებებზე ამდენი რამ საიდან იცი?

– ოთხმოცდაათიანებში ჰანდელსბანკში ვმუშაობდი. აბა, გამოიცანი, ვინ ადგენდა ანგარიშებს მრეწველობის ხელშეწყობის სააგენტოში ბანკის წარმომადგენლისთვის?

– აა, გასაგებია. მიდი, განაგრძე.

– მოკლედ, სააგენტომ ვენერსტრომისგან საბუღალტრო ანგარიშები მიიღო. დოკუმენტები შემოწმდა. დანაკლისი დაიფარა. ვენერსტრომმა ექვსი მილიონის უკან დაბრუნება გონივრულად მოიფიქრა.

– შენ მთავარზე მიამბე.

– სწორედ ესაა მთავარი, ძვირფასო ბლუმკვისტ. სააგენტო ვენერსტრომის ახსნა-განმარტებამ დააკმაყოფილა. მისთვის გამოყოფილი თანხა უსარგებლოდ გაიფლანგა, მაგრამ ის არავის გაუკრიტიკებია თუნდაც საქმის არასწორად წარმართვისთვის. ზედნადებები, ტრანსფერები, ყველა დოკუმენტი შევამოწმეთ. ვერსად ვერანაირი ხარვეზი ვერ აღმოვუჩინეთ. მე დავიჯერე. ჩემმა უფროსმა დაიჯერა. სააგენტომ დაიჯერა. სახელმწიფოც ვეღარაფერს შეედავებოდა.

– ხელჩასაჭიდი არის რამე?

– აი, უკვე საჩოთირო მონაკვეთს მივადექით, – უეცრად გამოცოცხლდა ლინდბერგი, – რახან შენ ჟურნალისტი ხარ, იმედია, ეს ჩვენ შორის დარჩება.

– კარგი ერთი. ეს ყველაფერი იმიტომ მიამბე, რომ არაფერი დამეწერა?

– დიახ. რაც აქამდე მოგიყევი, ეს საჯარო ინფორმაციაა. შეგიძლია, თავად გადაამოწმო და სტატიაც დაწერო. დანარჩენზე – რასაც ახლა გიამბობ – შეგიძლია დაწერო, ოღონდ წყაროს ვინაობა ანონიმურად უნდა დატოვო!

– გასაგებია. ისე კი, „ჩვენ შორის დარჩება“ თანამედროვე ტერმინოლოგიით იმას ნიშნავს, რომ რაც მითხრეს, საიდუმლოა და გამხელა არ შეიძლება.

– ერთი მაგ ტერმინოლოგიისაც. რაც გინდა ის დაწერე, ოღონდ ჩემს სახელს ნუ ახსენებ. შევთანხმდით?

– რა თქმა უნდა, – დაეთანხმა ბლუმკვისტი.

და შეცდომაც დაუშვა. ოღონდ დღეს სინანული უკვე გვიანი იყო.

– მაშ, კარგი. „მინოსის საქმე“ ათზე მეტი წლის წინ მოხდა, მას მერე, რაც ბერლინის კედელი დაინგრა და კომუნისტებიც კანონმორჩილ კაპიტალისტებად იქცნენ. მე მათ შორის ვიყავი, ვინც ვენერსტრომის ბიზნესს იკვლევდა, და მთელი ის დრო სულ ვეჭვობდი, რომ რაღაც ისე არ იყო.

– ეს მაშინ რატომ არ განაცხადე, სანამ გაამართლებდით?

– უფროსს კი ვესაუბრე, მაგრამ არანაირი სამხილი არ გვქონდა. დოკუმენტები სრულ წესრიგში იყო. მოხსენებაზე ხელის მოწერის გარდა აღარაფერი დამრჩენოდა. ყოველთვის, როცა ვენერსტრომის სახელს გაზეთში მოვკრავ თვალს, სულ „მინოსის საქმე“ მახსენდება და, სხვათა შორის, არა მხოლოდ ამის გამო. ოთხმოცდაათიანების მიწურულს ჩემი ბანკი ვენერსტრომთან ერთად საკმაოდ დიდ ბიზნესს აწარმოებდა. თუმცა, საბოლოოდ ბევრი არაფერი გამოვიდა.

– რატომ, თქვენც „გადაგაგდოთ“?

– არა, „გადაგდება“ არაფერ შუაშია. ორივე მხარემ კარგი ფული გავაკეთეთ. უბრალოდ... არ ვიცი, ზუსტად როგორ აგიხსნა, თან ჩემს დამსაქმებელზე ვსაუბრობ

და არ მინდა, რამე არასწორად წამომცდეს. მოკლედ, ვენერსტრომმა პირადად ჩემზე, როგორც იტყვიან, ვერანაირი შთაბეჭდილება ვერ მოახდინა. არადა, ხომ იცი, პრესაში ვენერსტრომი ლამის ფინანსურ ჯადოქრად არის წარმოდგენილი. ამას კარგად იყენებს. ეს, ერთგვარად, მისი კაპიტალია.

– ვხვდები, რასაც გულისხმობ.

– პირველი შეხვედრისთანვე ვიფიქრე, რომ ეს კაცი თაღლითი იყო. პირდაპირ გეტყვი, ფინანსისტადაც კი არ ვარგოდა. ზოგჯერ რაღაც საკითხებზე გაჯიუტდებოდა და აზრს ვერაფრით შეაცვლევინებდი. თუმცა, მრჩევლებად მებრძოლი და მტკიცე ნებისყოფის ახალგაზრდები ჰყავდა. ერთი სიტყვით, პიროვნულად მაინცდამაინც არ მომეწონა.

– მერე?

– რამდენიმე წლის წინ პოლონეთში, ქალაქ ლოძში გავემგზავრე. სადილზე ქალაქის მერის მაგიდასთან მოვხვდი. პოლონეთის ეკონომიკური განვითარების სირთულეებზე ჩამოვარდა საუბარი და მე „მინოსის“ პროექტი ვახსენე. მერმა ისეთი გაკვირვებით შემომხედა, თითქოს ამ პროექტზე პირველად გაიგონაო. ასე თქვა, მაგ პატარა საქმიდან რა უნდა გამოსულიყოო. მერე გაეცინა და დაამატა – სიტყვასიტყვით გავიმეორებ: „თუ თქვენს ინვესტორებს მაგის მეტი არ შეუძლიათ, კარგად ყოფილა შვედეთის საქმე!“ გესმის, რა მითხრა?

– ჰო, ლოძის მერი საკმაოდ ენამოსწრებული ყმაწვილი ყოფილა. მიდი, განაგრძე.

– მომდევნო დილით შეხვედრა მქონდა, შემდეგ კი მთელი დღით გავთავისუფლდი. ცნობისმოყვარეობამ მძლია და „მინოსის“ დახურული ქარხნის სანახავად წავედი ქალაქგარეთ. გიგანტური „მინოსის“ ქარხანა სინამდვილეში ერთი ნახევრად დანგრეული შენობა აღმოჩნდა – დაჟანგებული რკინის საწყობი, რომელიც წითელმა არმიამ ორმოცდაათიან წლებში ააშენა. იმ ნაკვეთის დარაჯს შევხვდი. ის ცოტას გერმანულად ლაპარაკობდა და მითხრა, ჩემი ნათესავი „მინოსში“ მუშაობდაო. მასთან სახლში წავედით. დარაჯი მითარგმნიდა. გაინტერესებს, რა მითხრა იმ კაცმა?

– ძალიან.

– „მინოსი“ 1992 წელს გაიხსნა და იქ თხუთმეტ მუშაზე მეტს არასდროს უმუშავია. მათ შორის, უმრავლესობა ხანში შესული ქალები იყვნენ. მათი ხელფასი თვეში 150 კრონას შეადგენდა. თავიდან, სანამ მანქანა-მოწყობილობებს დააყენებდნენ, მშრომელი ძალა იქაურობის გასუფთავებით იყო დაკავებული, ოქტომბრის დასაწყისში კი სამი მუყაოს ყუთით რაღაც მოწყობილობები ჩაიტანეს. ყველა ძველი და ჩამოწერილი იყო. რამდენიმე ათასი კრონის ღირებულებისა თუ იქნებოდა. მანქანა-მოწყობილობები მუშაობდა, მაგრამ ხშირად გამოდიოდა მწყობრიდან.

ბუნებრივია, სათადარიგო ნაწილები არ ჰქონდათ და მუშაობა გამუდმებით ფერხდებოდა.

– თანდათან უფრო საინტერესო ხდება, – თქვა ბლუმკვისტმა, – „მინოსში“ რას აწარმოებდნენ?

– 1992 წლიდან 1993 წლის პირველ ნახევრამდე სარეცხი ფხვნილების და კვერცხის ჩასაწყობ მუყაოს ფირფიტებს. მერე ქაღალდის პარკების დამზადებაც დაიწყეს. თუმცა, ქარხანას გადასამუშავებელი მასალა საკმარისად არ მიეწოდებოდა, ამიტომ წარმოების გაზრდაზე საუბარიც კი არასდროს ყოფილა.

– მგონი, იმ ქარხანაში დიდი ინვესტიცია არ განხორციელებულა, არა?

– გამოვთვალე. ორი წლის იჯარის თანხა ალბათ 15 000 კრონას არ აღემატებოდა. სახელფასო ფონდი დიდი-დიდი 150 000 კრონა ყოფილიყო. მანქანების და ტრანსპორტის ფრახტი... კვერცხის ჩასაწყობი ფირფიტების გადასაზიდი ფურგონი... ჯამში ალბათ 250 000 კრონა თუ გამოვა. ახლა ამას ქარხნის ამუშავების ნებართვის საფასურიც დაამატე, რამდენჯერმე წინ და უკან მგზავრობის თანხაც – როგორც ჩანს, შვედეთიდან რამდენიმე თვეში ერთხელ ზედამხედველი ჩამოდიოდა. მოკლედ, მთელი ეს ოპერაცია 2 000 000 კრონამდე დაჯდებოდა, შეიძლება, უფრო ნაკლებიც. 1993 წლის ზაფხულში ხელმძღვანელმა მუშებს განუცხადა, რომ ქარხანა იხურებოდა. ცოტა ხანში უნგრული სატვირთო მანქანა მოვიდა და მთელი მანქანა-მოწყობილობები გაზიდეს. მშვიდობით, „მინოსო“.

სასამართლო პროცესის მსვლელობისას ბლუმკვისტი ხშირად ფიქრობდა ივანობის ამ დღეზე.

იმ საღამოს ლინდბერგთან საუბრისას ისეთი შეგრძნება დაეუფლა, თითქოს ბავშვობაში დაბრუნდა და ისევ თანაკლასელ მეგობართან ლაყბობდა. მოზარდობის ასაკში ის და ლინდბერგი ხშირად უზიარებდნენ ერთმანეთს თავიანთ ახალგაზრდულ პრობლემებს. ზრდასრულ ასაკში კი ორივენი გაუცხოვებულიყვნენ, სრულიად განსხვავებულ პიროვნებებად ქცეულიყვნენ. საუბრისას ბლუმკვისტმა ვერაფრით გაიხსენა, რამ დაამეგობრა ის და ლინდბერგი სკოლაში. ლინდბერგი თავდაჭერილი, გოგონებთან ურთიერთობისას განსაკუთრებით მორცხვი ბიჭი იყო. თუმცა, სწავლის დამთავრებისა და მუშაობის დაწყების შემდეგ წარმატებულ კაცად იქცა და მუდმივად ფინანსური სამყაროს იერარქიის მაღალი საფეხურებისკენ მიიწევდა.

ბლუმკვისტი ალკოჰოლს არ ეტანებოდა, მაგრამ ძველ მეგობართან შეხვედრამ ის საშინელი მოგზაურობა სასიამოვნო საღამოდ აქცია და ერთი-ორი ზედმეტი ჭიქისგან თავი აღარ შეუკავებია. თავიდან ლინდბერგის მონაყოლი სერიოზულად არ მიუღია, რადგან ეგონა, ისევ მეგობრულად ლაყბობდნენ. თუმცა, თანდათან ვენერსტრომის ამბავმა ჩაითრია და ბოლოს ბუნებრივი უკმაყოფილების გრძნობა გაუჩნდა.

– ერთი წამით, – წამოიძახა უცებ, – ვენერსტრომი ერთ-ერთი საუკეთესო საბაზრო სპეკულანტია. გამოდის, ამ საქმით მილიარდი იშოვა...

– „ვენერსტრომ-გრუპის“ ქონება უკვე ორას მილიარდ კრონას უკაკუნებს. ალბათ გაინტერესებს, მილიარდერმა რაღაც ორმოცდაათი მილიონისთვის ასე რატომ გარისკაო.

– მოდი, ასე ვთქვათ: რატომ გარისკა თავისი და თავისი კომპანიის კარგი სახელი – მისი მაქინაციები ხომ აშკარად საეჭვო იყო, მიუხედავად იმისა, რომ მშრალად გამოძვრა?

– არც ისე საეჭვო ყოფილა, თუ იმას გავითვალისწინებთ, რომ მრეწველობის ხელშეწყობის სააგენტოს საბჭომ, ბანკირებმა, მთავრობამ და საპარლამენტო რევიზიამ ვენერსტრომის საბუღალტრო ანგარიშებში ვერანაირი დარღვევა ვერ აღმოაჩინა.

– და მაინც, ასეთი მცირე თანხისთვის ამხელა რისკის გაწევა ძალიან სულელური საქციელია.

– დიახ, მაგრამ დაფიქრდი: „ვენერსტრომ-გრუპი“ საინვესტიციო კომპანიაა, რომელიც უძრავ-მოძრავი ქონებით, ფასიანი ქაღალდებით, ვალუტით... მოკლედ, რით აღარ ვაჭრობს. ვენერსტრომი მრეწველობის ხელშეწყობის სააგენტოს 1992 წელს დაუკავშირდა, როცა ბაზარს ის-ის იყო ძირი უნდა გავარდნოდა. გახსოვს 1992 წლის შემოდგომა?

– მახსოვს, თან როგორ! მაშინ ბინის საყიდლად მცოცავი საპროცენტო განაკვეთით იპოთეკური სესხი მქონდა აღებული, როცა საპროცენტო განაკვეთი ოქტომბერში ერთბაშად ხუთასი პროცენტით გაიზარდა. ცხრამეტ პროცენტზე გავიჭედე.

– მართლაც საშინელი დრო იყო, – დაუდასტურა ლინდბერგმა, – მეც მაგრად ვიზარალე იმ წელს. ჰანს-ერიკ ვენერსტრომიც – როგორც სხვა საბაზრო მოთამაშეები – იმავე სირთულეებთან გამკლავებას ცდილობდა. მის კომპანიას მილიარდობით კრონის ღირებულების სხვადასხვა ტიპის ფასიანი ქაღალდები ჰქონდა, მაგრამ ნაღდი ფული – ცოტა. ნაღდი ფულის სესხად აღება კი გართულდა. ასეთ დროს, როგორც წესი, უძრავ ქონებას ყიდიან დანაკლისის დასაფარად, მაგრამ იმ პერიოდში უძრავი ქონების მყიდველიც არავინ იყო.

– ფულადი რესურსების გადინების პრობლემა...

– ზუსტად. ამ პრობლემის წინაშე მხოლოდ ვენერსტრომი არ დამდგარა. ყველა ბიზნესმენი...

– ბიზნესმენებს ნუ უწოდებ. ასეთებისთვის ბიზნესმენის წოდება სერიოზული პროფესიის შეურაცხყოფაა.

– კარგი, კრიზისის გამო ყველა საბაზრო სპეკულანტს ნაღდი ფული შემოაკლდა. ახლა დაუკვირდი: ვენერსტრომმა სამოცი მილიონი კრონა მიიღო. ექვსი მილიონი სახელმწიფოს დაუბრუნა, ოღონდ სამი წლის შემდეგ. „მინოსის“ რეალური ღირებულება ორი მილიონი კრონაც კი არ იყო. სამი წლის განმავლობაში სამოცი მილიონით ბევრად მეტ სარგებელს მიიღებდა. გააჩნია, სად დააბანდა ეს ფული. წესით, მრეწველობის ხელშეწყობის სააგენტოს ფული, სულ ცოტა, უნდა გაეორმაგებინა. მე კი მგონია, რომ გააათმაგა მაინც. ასე რომ, საქმე მხოლოდ სულ „რაღაც“ რამდენიმე მილიონზე არ ყოფილა. აბა, გაგვიმარჯოს!

თავი II

პარასკევი, 20/XII

დრაგან არმანსკი ორმოცდათექვსმეტი წლის წინ ხორვატიაში დაიბადა. მამამისი ბელორუსში მცხოვრები სომეხი ებრაელი იყო, ხოლო დედა – საბერძნეთიდან დევნილი ბოსნიელი მუსლიმი. არმანსკი დედამ აღზარდა და განათლებაც მანვე მიაღებინა, ამიტომ ზრდასრულ ასაკში არმანსკიც იმ ჭრელ ჯგუფში აღმოჩნდა, რომელსაც მედია მუსლიმურს უწოდებს. შვედეთის საიმიგრაციო სამსახურმა, რაოდენ უცნაურიც უნდა იყოს, ის სერბად დაარეგისტრირა. მის პასპორტში აღნიშნული იყო, რომ ის შვედეთის მოქალაქეა. თუმცა, პასპორტის ფოტოზე კვადრატული სახე, ძლიერი ყბა, გაუპარსავი ღაწვები და შევერცხლილი საფეთქლები მოჩანდა. არმანსკის ხშირად არაბადაც მოიხსენიებდნენ, თუმცა, მის ძარღვებში ერთი წვეთი არაბული სისხლი არ ერია.

ამერიკულ განგსტერულ ფილმებში რომ მაფიოზური კლანის ბოსია, იმას ჰგავდა, სინამდვილეში კი ნიჭიერი ფინანსური დირექტორი იყო, რომლის კარიერაც სამოცდაათიანი წლების დასაწყისში Milton Security-ის ბუღალტრის თანამდებობით დაიწყო და სამი ათწლეულის შემდეგ კომპანიის ოპერატიული ხელმძღვანელისა და აღმასრულებელი დირექტორის თანამდებობამდე მივიდა.

ფინანსური ინფორმაციის დაცვისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფაში ბადალი არ ჰყავდა. ევალებოდა საფრთხის აღმოჩენა, საპასუხო სტრატეგიის დაგეგმვა და ინდუსტრიულ ქურდებზე, გამომძალველებსა და ჯაშუშებზე მუდამ ერთი ნაბიჯით წინ დგომა. დრაგან არმანსკის აღმასვლა მაშინ დაიწყო, როცა აღმოაჩინა, როგორ მოხერხებულად მოატყუეს კლიენტი საბუღალტრო ანგარიშების წარმოებისას. მან ათობით ეჭვმიტანილს შორის ნამდვილი დამნაშავის პოვნა შეძლო. არმანსკი დააწინაურეს და ფირმის ფინანსური თაღლითობის საკითხების მთავარ ექსპერტად დანიშნეს. თხუთმეტი წლის შემდეგ აღმასრულებელ დირექტორად აირჩიეს. მან Milton Security შვედეთის ყველაზე კომპეტენტურ და სანდო ფირმად აქცია უსაფრთხოების უზრუნველყოფის მხრივ.

კომპანიას 380 შტატიანი და 300 უშტატო თანამშრომელი ჰყავდა. Falck-თან ან Svensk Bevakningstjänst-თან შედარებით, რასაკვირველია, დასაქმებულთა რაოდენობა მცირე იყო. თუმცა, როცა არმანსკიმ მუშაობა დაიწყო, ფირმას Johan Fredrik Miltons Allmänna Bevaknings ერქვა და მის ძირითად კლიენტებს წარმოადგენდა სავაჭრო ცენტრები, რომელთათვისაც უმთავრესი დარაჯები და დაკუნთული მცველები იყვნენ. არმანსკის ხელმძღვანელობით Milton Security თანამედროვე ტექნოლოგიებით აღჭურვილ მეწინავე ფირმად იქცა. მოხუცი ღამის დარაჯები, უნიფორმიანი ფეტიშისტები და ღამის ცვლაში მომუშავე სტუდენტები პროფესიული უნარ-ჩვევების

მქონე კადრებით შეიცვალა. არმანსკიმ ყოფილი პოლიციელები ოპერატიული ხელმძღვანელების, საერთაშორისო ტერორიზმის საკითხებში გათვითცნობიერებული პოლიტოლოგებისა და ინდუსტრიული შპიონაჟის წინააღმდეგ მებრძოლთა თანამდებობებზე დანიშნა; რაც მთავარია, საუკეთესო სატელეკომუნიკაციო ტექნიკოსები და ინფორმაციული ტექნოლოგიების ექსპერტები დაიქირავა. კომპანია ქალაქ სოლნადან სტოკჰოლმში გადავიდა და პირდაპირ ქალაქის შუაგულში, სლუსენთან ახლოს, პრესტიჟულ ადგილას გახსნა ოფისი.

ოთხმოცდაათიანი წლების დასაწყისში მაღალი დონის დაცვითი საშუალებებით აღჭურვილი Milton Security უკვე კლიენტების ექსკლუზიურ ჯგუფს ემსახურებოდა: მეტწილად საშუალო სიდიდის კორპორაციებს და შემლებულ პიროვნებებს – ახლად გამდიდრებულ როკ-ვარსკვლავებს, საბაზრო სპეკულანტებს და Dot-com კომპანიების ავანტიურისტ მფლობელებს. კომპანია ცოცხალი ძალითაც იცავდა საზღვარგარეთ, განსაკუთრებით შუა აღმოსავლეთში მომუშავე შვედურ ფირმებს. კომპანიას შემოსავლის 70 პროცენტი სწორედ ამ საქმიანობით შესდიოდა. არმანსკის ხელმძღვანელობით Milton Security-ის გაყიდვები 40 მილიონი შვედური კრონადან ორ მილიარდამდე გაიზარდა. უსაფრთხოების დაცვა სარფიანი ბიზნესი იყო.

კომპანიის საქმიანობა სამ ძირითად სფეროს მოიცავდა: 1. „კონსულტაციებს უსაფრთხოების საკითხებში“, რაც არსებული ან სავარაუდო საფრთხეების გაუვნებელყოფას ითვალისწინებდა; 2. „დამცავი საშუალებების გამოყენებას“. როგორც წესი, ასეთ შემთხვევებში სათვალთვალო კამერებს, სიგნალიზაციებს, ელექტრონულ საკეტებს ან მაღალტექნოლოგიურ დამცავ მოწყობილობებს აყენებდნენ. 3. „პირადი დაცვა“ – ამ შემთხვევაში კონკრეტულ პიროვნებას ან კომპანიას პირად მცველს ან მცველებს მიუჩენდნენ ხოლმე. ბოლო ათი წლის განმავლობაში ამ უკანასკნელ სერვისზე მოთხოვნა განსაკუთრებით გაზრდილიყო. მდიდარი ქალბატონები ყოფილი საყვარლებისგან, ქმრებისგან ან კრიმინალებისგან თავის დაცვას პირადი მცველების საშუალებით ცდილობდნენ. გარდა ამისა, Milton Security -ის კოოპერატიული შეთანხმება ჰქონდა დადებული კარგი რეპუტაციის მქონე მსგავს ევროპულსა და ჩრდილო ამერიკულ ფირმებთან. კომპანია უზრუნველყოფდა უცხოელი სტუმრების დაცვასაც; ერთხელ, მაგალითად, იცავდნენ ცნობილ ჰოლივუდელ მსახიობ ქალს, რომელიც ტროლჰატანში ორთვიან კინოგადაღებებზე იმყოფებოდა. მსახიობის აგენტის თქმით, მისი კლიენტის ვარსკვლავური სტატუსი აუცილებლად მოითხოვდა პირადი მცველებით მის უზრუნველყოფას, როცა ის დროდადრო სასტუმროს გარშემო სეირნობდა.

მეოთხე სამსახურს, სადაც კომპანიას მხოლოდ რამდენიმე თანამშრომელი ჰყავდა დასაქმებული, „პირადი ინფორმაციის მოძიებას“ უწოდებდნენ, ხოლო ამ საქმით დაკავებულებს – ხუმრობით – „მქექავებს“.

არმანსკის მაინცდამაინც არ ხიბლავდა ეს საქმიანობა. რთული და ნაკლებად სარფიანი იყო. ამ საქმით დაკავებულ თანამშრომლებს უფრო დიდი პასუხისმგებლობა ეკისრებოდათ და უფრო მეტი გამოცდილებაც მოეთხოვებოდათ, ვიდრე მხოლოდ სატელეკომუნიკაციო ტექნოლოგიებისა და უსაფრთხოებისთვის საჭირო აპარატების დაყენების ცოდნაა. „მქექავები“ უმეტესად ინფორმაციას აგროვებდნენ პიროვნებაზე, ვის სამსახურში აყვანასაც აპირებდა რომელიმე ფირმა; ან თუ რომელიმე ფირმას აინტერესებდა, მისი თანამშრომელი უჩუმრად ხომ არ აწვდიდა შიდა ინფორმაციას კონკურენტ ფირმას ან რამე საეჭვო საქმიანობით ხომ არ იყო დაკავებული. თუმცა, არც ისე იშვიათად, არმანსკის პირადი პრობლემების მოგვარებასაც სთხოვდნენ, რაც უმეტესად არასასიამოვნო აურზაურს იწვევდა ხოლმე.

„მაინტერესებს, ვისთან მეგობრობს ჩემი ქალიშვილი... მგონი, ცოლი მღალატობს... ის ბიჭი კარგი ტიპია, მაგრამ ცუდ ხალხში ტრიალებს... შანტაჟს მიწყობენ...“

მეტწილად არმანსკი ასეთ კლიენტებს პირდაპირ უარს ეუბნებოდა... მისი აზრით, თუკი ქალიშვილი სრულწლოვანი იყო, უფლება ჰქონდა ნებისმიერ ნაძირალასთან ემეგობრა; ხოლო ურთიერთობა ცოლ-ქმარს ერთმანეთში თვითონ უნდა გაერკვია. ყველა ასეთი საქმე სკანდალის საფრთხეს შეიცავდა მისი ფირმისთვის. სწორედ ამიტომ დრაგან არმანსკი საგულდაგულოდ არჩევდა, რა სახის დავალებას დათანხმებოდა, მიუხედავად კლიენტის გადამხდელუნარიანობისა.

დღევანდელი დილის თემაც კერძო შეკვეთა იყო. არმანსკიმ დაჭმუჭნილი შარვლის ტოტები გაისწორა და სავარძლის საზურგეზე გადაწვა. მან ეჭვის თვალით შეხედა თავისზე ოცდათორმეტი წლით უმცროს კოლეგა ლიზბეთ სალანდერს. ამ გოგონას დანახვაზე ყოველთვის იმას ფიქრობდა, რომ პრესტიჟული დაწესებულებისთვის მისი გარეგნობა და ჩაცმულობა ძალიან თვალშისაცემი და შეუფერებელი იყო. არმანსკის უნდობლობა ერთი მხრივ საფუძვლიანი იყო, მეორე მხრივ კი – ყოველგვარ საფუძველს მოკლებული. არმანსკის თვალში, სალანდერი უთუოდ ყველაზე ნიჭიერი მკვლევარი იყო, ვისაც კი კარიერის მანძილზე შეხვედროდა. იმ ოთხი წლის განმავლობაში, რაც მათთან მუშაობდა, გოგონა საქმეს მონდომებით ასრულებდა; მისი მოხსენებები მუდამ სრულყოფილი და ინფორმაციული იყო.

არმანსკის აზრით, სალანდერი უნიკალური ნიჭის პატრონი იყო. პოლიციის არქივების შემოწმება და კვლევის ობიექტის პროფესიულ უნარ-ჩვევებზე ან სამსახურეობრივ გამოცდილებაზე ცნობების მოპოვება ყველას შეეძლო. აი, სალანდერი კი წარმოსახვის უნარითაც გამოირჩეოდა და ყოველთვის იმაზე მეტს და განსხვავებულს გამოქექავდა, ვიდრე არმანსკი ელოდა. ოღონდ როგორ, არმანსკი ვერ ხვდებოდა. ზოგჯერ იმასაც გაიფიქრებდა, ნამდვილი ჯადოქარიაო. გოგონას ბიუროკრატიული არქივები ლამის თავიდან ბოლომდე გამოკვლეული ჰქონდა და

სასურველ პიროვნებაზე ნებისმიერი ინფორმაციის მოპოვება შეეძლო. თუ სადმე რამე „ტალახი“ იყო ამოსაქექი, რაკეტასავით ზუსტად ზედ დააცხრებოდა ხოლმე.

ლიზბეთ სალანდერს ნიჭს ნამდვილად ვერ დაუკარგავდით.

მისი ცნობები კვლევის ობიექტისთვის კატასტროფულ შედეგს იწვევდა. არმანსკის კარგად ახსოვდა, ერთი ფარმაცევტული ფირმის შესყიდვის მსურველი კლიენტის დაკვეთით, როგორ დაავალა სალანდერს ამ ფარმაცევტული ფირმის მკვლევარზე საფუძვლიანი გამოძიება ჩაეტარებინა, და ერთკვირიანი ვადა მისცა. მაგრამ გოგონა ოთხი კვირით გაუჩინარდა, ერთი თვის შემდეგ კი დაბრუნდა და ცნობები მოიტანა, რომ კვლევის ობიექტი პედოფილი იყო, ტალინში ორჯერ გადაეხადა ფული ცამეტი წლის მეძავთან სექსისთვის და, სავარაუდოდ, არაჯანსაღი ინტერესი ჰქონდა იმ ქალის ქალიშვილის მიმართ, ვისთანაც ამჟამად ცხოვრობდა.

სალანდერის უხიაგ ხასიათს არმანსკი ხანდახან სიგიჟის ზღვრამდე მიჰყავდა. მაგალითად, იმ პედოფილზე გამოძიების დროს ერთხელაც არ დაურეკავს ან უპასუხია არმანსკის სატელეფონო ზარებისთვის. ერთ საღამოს კი გაუფრთხილებლად დაადგა თავზე და სწორედ მაშინ, როცა არმანსკი შინ წასვლას აპირებდა, სკანდალური მასალით სავსე საქაღალდე უსიტყვოდ დაუდო მაგიდაზე. არმანსკი მასალებს მოგვიანებით, თავის ვილაში, ცოლთან ერთად ჭიქა ღვინით ხელში, ტელევიზორის წინ გაეცნო.

სალანდერის მოხსენება, როგორც ყოველთვის, ზედმიწევნით ზუსტი იყო – თან ციტატები, შენიშვნები და ინფორმაციის წყარო ერთვოდა. პირველ რამდენიმე ფურცელზე მოცემული იყო ცნობები კვლევის ობიექტის წარსულის, მისი განათლების, კარიერის და ფინანსური მდგომარეობის შესახებ. ტალინში არასრულწლოვან მეძავთან კავშირზე მხოლოდ 24-ე გვერდზე ეწერა; სალანდერს გულგრილად მიეწერა ეს სკანდალური ინფორმაცია ჩვეულებრივზე ჩვეულებრივი ცნობის ქვეშ, რომ კვლევის ობიექტი სოლენტუნაში ცხოვრობდა და მუქლურჯ „ვოლვოს“ მართავდა. თავისი ცნობების უტყუარობას, სალანდერი, თანდართული დოკუმენტაციით ამტკიცებდა. მათ შორის, ფოტოთი, რომელზეც გამოსახული იყო კვლევის ობიექტი ცამეტი წლის გოგონასთან ერთად. სურათი ტალინის სასტუმროს დერეფანში იყო გადაღებული, კაცს გოგონას სვიტერის ქვეშ ჰქონდა ხელი შეყოფილი. სალანდერს ის გოგოც მოეძებნა და მასთან საუბარი დიქტოფონზე ჩაეწერა.

სალანდერის მოხსენებამ ზუსტად ის გამოიწვია, რის თავიდან არიდებაც არმანსკის უნდოდა – სკანდალი. ჯერ ექიმის გამოწერილი გასტრიტის საწინააღმდეგო აბი მიიღო. შემდეგ კლიენტს დაურეკა და სასწრაფოდ შეხვედრა სთხოვა. კლიენტის დაჟინებული მოთხოვნით, არმანსკი იძულებული გახდა მასალები პოლიციისთვის გადაეცა. ნამდვილი კოშმარი იყო. სალანდერის ცნობები რომ ზუსტი არ ყოფილიყო და კაცისთვის დანაშაული ვერ დაემტკიცებინათ, კომპანიას ალბათ ცილისწამებისთვის უჩივლებდნენ.

არმანსკის გოგონას გასაოცარი გულგრილობა კი არ აბრაზებდა, არამედ Milton Security-ს კონსერვატული იმიჯისთვის სრულიად შეუფერებელი ლიზბეთ სალანდერის სახე, რომელიც საერთო სურათიდან ისე იყო ამოვარდნილი, როგორც ბიზონი – იახტების გამოფენა-გაყიდვიდან. არმანსკის პირველი კლასის მკვლევარი ფერმკრთალი, ავადმყოფურად გამხდარი ახალგაზრდა ქალი იყო, მოკლედ შეჭრილი თმით, პირსინგიანი ცხვირითა და წარბებით. კისერზე ორსანტიმეტრიანი კრაზანას ტატუ ჰქონდა. თითო-თითო ტატუ მარცხენა მკლავის კუნთსა და კოჭზე რკალად შემოხვეოდა. სალანდერს ერთი-ორჯერ სპორტული უმკლავო მაისური ეცვა და არმანსკიმ შეამჩნია, რომ მას მარცხენა ბეჭზე დრაკონიც ეხატა. ლიზბეთი ბუნებრივად წითური იყო, მაგრამ თმას ყორანივით შავად იღებავდა. ყოველთვის ისე გამოიყურებოდა, თითქოს როკერების ერთკვირიანი ორგიიდან ახალი დაბრუნებულიაო.

სინამდვილეში არმანსკიმ იცოდა, რომ ლიზბეთი უმადობას საერთოდ არ უჩიოდა, პირიქით, ათასგვარ სისაძაგლეს ჭამდა. უბრალოდ, ასეთი აღნაგობის იყო. მოზარდივით ტანწვრილს, პატარა მკერდი და მოკლე ხელები ჰქონდა. ოცდაოთხი წლის იყო, მაგრამ ზოგჯერ თოთხმეტისა გეგონებოდათ.

ფართო პირი, პატარა ცხვირი და გრძელი ყვრიმალები აზიურ იერს აძლევდა. ობობასავით სხარტად მოძრაობდა. მისი თითები კომპიუტერის კლავიატურაზე თითქოს დაცურავდა. სამოდელო კარიერისთვის ზედმეტად გამხდარი იყო, მაგრამ საჭირო მაკიაჟით შელამაზებული მისი მშვენიერი სახე მსოფლიოს ნებისმიერ ბილბორდს დაამშვენებდა. ზოგჯერ შავ პომადას წაისვამდა და, მიუხედავად ტატუებისა და პირსინგიანი ცხვირ-წარბებისა... ჰმმმ... რაც უნდა უცნაური იყოს, მაინც მიმზიდველად გამოიყურებოდა.

ის ფაქტი, რომ სალანდერი დრაგან არმანსკისთვის მუშაობდა, კიდევ უფრო გასაკვირი იყო. არმანსკი, როგორც წესი, ასეთი ტიპის ქალებთან არასდროს იჭერდა საქმეს.

თავიდან ლიზბეთ სალანდერი ოფისში თანაშემწედ აიყვანეს. ჰოლგერ პალმგრენმა, პენსიაზე მიმავალმა ადვოკატმა, ვინც ჯ. ფ. მილტონის პირად საქმეებს აგვარებდა, არმანსკის უთხრა, ეს ლიზბეთ სალანდერი ცოტა რთული ხასიათის კია, მაგრამ ძალიან გონიერი გოგონაა. პალმგრენმა ურჩია არმანსკის, ლიზბეთისთვის თავის გამოჩენის შანსი მიეცა და არმანსკიც, მართალია, უხალისოდ, მაგრამ მაინც დათანხმდა. პალმგრენი ისეთი ხალხის კატეგორიას მიეკუთვნებოდა, ვისაც უარი თავისის გატანის სურვილს უფრო უმძაფრებს. ამიტომ არმანსკიც პირდაპირ დაჰპირდა, რომ სალანდერს დააკვირდებოდა. პალმგრენი გაჭირვებულ ბავშვებს და სხვა სოციალურად დაუცველ პირებს ყოველთვის ეხმარებოდა, მაგრამ არმანსკის კადრების შერჩევის თავისებური ხედვა ჰქონდა.

სალანდერთან შეხვედრისთანავე ინანა, რომ პალმგრენს დასთანხმდა. გოგონა მხოლოდ რთული ხასიათის კი არა, ჭირვეულობის განსახიერება იყო – აღარც სკოლაში დადიოდა და არც უმაღლესი განათლების მიღებას აპირებდა.

თავიდან, რამდენიმე თვეს, სრული დღით მუშაობდა... თითქმის სრულით. ოფისში დროდადრო შემოივლიდა ხოლმე, ყავას მოადუღებდა, ფოსტაში წერილებს წაიღებდა და საბუთების ასლებს გადაიღებდა, მაგრამ ჩვეულებრივი სამსახურეობრივი რუტინა მისთვის ნამდვილი ანათემა იყო. მეორე მხრივ, სხვა თანამშრომლების გაღიზიანების ტალანტი ჰქონდა. მას „ორუჯრედიანი გოგონა“ შეარქვეს: ტვინის ერთი უჯრედი იმისთვის აქვს, რომ ისუნთქოს, მეორე კი – იმისთვის, რომ ფეხზე იდგესო. თავის თავზე არასდროს არაფერს ამბობდა. რამდენიმე კოლეგამ მასთან გამოლაპარაკება სცადა, მაგრამ პასუხი რომ ვერ მიიღეს, შეეშვნენ. მისი გულგრილობა ყველაში ზიზღს და უნდობლობას იწვევდა. თანამშრომლებმა მალე აითვალისწუნეს, ამის გამოსწორება არ იქნებაო, და ხელი ჩაიქნიეს. ყველასგან გარიყული სალანდერი Milton Security-ს დერეფნებში გზააბნეულ კატასავით მარტო დახეტიალობდა ხოლმე.

ერთი თვის შემდეგ არმანსკი მიხვდა, მისგან პრობლემების მეტი არაფერია მოსალოდნელიო, და სალანდერი გასათავისუფლებლად თავისთან დაიბარა. გოგონამ სიტყვის შეუბრუნებლად და წარბშეუხრელად მოისმინა უფროსის საყვედური. საქმეს უგულისყუროდ უდგებიო, დაასრულა არმანსკიმ და დააპირა დაემატებინა, კარგი იქნება, სამსახურს სადმე სხვაგან თუ მოძებნი, სადაც შენი ნიჭი გამოადგებათო, მაგრამ სალანდერმა გააწყვეტინა:

– თუ მოსამსახურე გჭირდებათ, შეგიძლიათ დასაქმების სააგენტოდან შეარჩიოთ ვინმე. მე ყველაფერთან და ყველასთან გამკლავება შემიძლია და, თუ მხოლოდ ფოსტის გადასარჩევად გჭირდებით, ნამდვილი იდიოტი ყოფილხართ.

გაოგნებულსა და გაბრაზებულ არმანსკის ენა დაება და სალანდერმაც მშვიდად განაგრძო:

– აქ ერთი კაცი გყავთ, ვინც სამი კვირის განმავლობაში სრულიად უსარგებლო მოხსენებას წერდა იმ „იაპიზე“ , რომლის სამსახურში მიღებას Dot-com კომპანია აპირებს. გუშინ იმ სულელური მოხსენების ასლი გადავიღე. ვხედავ, მაგიდაზე გიდევთ.

არმანსკიმ საქაღალდეს თვალი შეავლო და, ყოველი შემთხვევისთვის, მკაცრად წარმოთქვა:

– კონფიდენციალური მოხსენებების წაკითხვის უფლება არ გაქვთ.

– მართალია, მაგრამ თქვენს ფირმაში უსაფრთხოების რამდენიმე ნორმა აშკარად დარღვეულია. თქვენი მითითების თანახმად, ამ მოხსენების ასლი იმ ტიპს თვითონვე

უნდა გაეკეთებინა, მაგრამ გუშინ ბარში წასვლამდე მე მომიგდო. სხვათა შორის, მისი წინა მოხსენება ბუფეტში ვიპოვე.

– სად?

– დაწყნარდით. ისევ მის სეიფში შევინახე.

– თავისი სეიფის კოდი მოგცათ? – წამოიძახა განცვიფრებულმა არმანსკიმ.

– არა. დავთრის ქვეშ ამოდებულ ქაღალდის ნაგლეჯზე ეწერა, კომპიუტერის პაროლთან ერთად. მთავარი ისაა, რომ მაგ თქვენმა ვითომ დეტექტივმა სრულიად უსარგებლო ძიება ჩაატარა. მას გამორჩა, რომ იმ „იაპის“ აზარტული თამაშები უყვარს და კოკაინსაც ისე იყნოსავს, როგორც მტვერსასრუტი მტვერს. და კიდევ ის, რომ მისმა მეგობარმა გოგონამ ქალთა კრიზისულ ცენტრს მიმართა, მას მერე, რაც იმ ტიპმა ცემით ლამის გახეთქა.

არმანსკი უხმოდ ფურცლავდა მოხსენებას. ტექსტი მკაფიო და გასაგები იყო, მიეთითებინათ წყაროები და კვლევის ობიექტის მეგობრების და ნაცნობების განცხადებები. ბოლოს წარბები აზიდა და ერთი სიტყვა თქვა:

– დაამტკიცე!

– დრო რამდენი მაქვს?

– სამი დღე. თუ ვერ დაამტკიცებ, იცოდე, რომ დათხოვნილი ხარ.

სამი დღის შემდეგ ლიზბეთ სალანდერი ასევე დამაჯერებელი და სანდო წყაროებისგან მოპოვებული მასალებით დაბრუნდა. ახალი მოხსენების მიხედვით, სასიამოვნო გარეგნობის ახალგაზრდა „იაპი“ წარმოუდგენელი ნაძირალა იყო. არმანსკიმ შაბათ-კვირას რამდენჯერმე გადაიკითხა სალანდერის მასალები, ხოლო ორშაბათს უხალისოდ გადაამოწმა მისი ცნობები. თუმცა, თავიდანვე იცოდა, რომ სალანდერის მოხსენება სრულიად ზუსტი გამოდგებოდა.

არმანსკი საკუთარ თავზე გაბრაზდა, სალანდერის პოტენციალი აქამდე როგორ ვერ შევამჩნიე ან სულელი და გონებრივად ჩამორჩენილი რატომ მეგონაო. ვერაფრით წარმოიდგენდა, რომ გოგო, რომელსაც სკოლაც კი არ დაემთავრებინა, გრამატიკულად გამართულ მოხსენებას დაწერდა. მოხსენებას თან ერთვოდა ისეთი დეტალური აღწერა და ცნობები, რომ არმანსკი ვერაფრით მიხვდა, საიდან გამოქექა ისინი სალანდერმა.

Milton Security-ს არც ერთ თანამშრომელს არ შეეძლო ქალთა კრიზისული ცენტრის ექიმის კონფიდენციალური ჟურნალიდან ინფორმაციის მოპოვება. როცა სალანდერს ჰკითხა, შენ როგორ მოიპოვეო, მან უბრალოდ უპასუხა, ჩემს ინფორმატორს ვერ „დავწვავო“. როგორც ჩანდა, სალანდერი თავისი მეთოდების არმანსკისთან ან

ვინმესთან გამხელას არ აპირებდა. არმანსკის ეს არ ესიამოვნა, მაგრამ გოგონას გამოცდის ცდუნებას ვერ გაუძლო.

რამდენიმე დღეს ფიქრობდა ამ საკითხზე. ჰოლგერ პალმგრენის სიტყვები გაახსენდა, ერთ შანსს ყველა იმსახურებსო. მერე თავის მუსლიმურ განათლებაზეც დაფიქრდა, რომლის მიხედვითაც, საზოგადოებისგან გარიყულების დახმარება ღვთის წინაშე მისი ვალდებულება იყო. რასაკვირველია, არმანსკის ღმერთის არ სწამდა და თინეიჯერობის შემდეგ არც მეჩეთში ყოფილიყო, მაგრამ ლიზბეთ სალანდერში ის პიროვნება ამოიცნო, ვისაც მისი დახმარება ესაჭიროებოდა. ბოლო ათწლეულის განმავლობაში კი უანგაროდ ბევრს არ დახმარებოდა.

გაპანღურების ნაცვლად სალანდერი კაბინეტში დაიბარა და სცადა, გაერკვია რა იყო გოგონას ასეთი გულჩათხრობილობის მიზეზი. მისი ეჭვები დადასტურდა. გოგონას მძიმე ემოციური ტრავმა ჰქონდა გადატანილი. თუმცა, მისი მოღუშული გარეგნობის ქვეშ არაჩვეულებრივი ინტელექტი იმალებოდა. მართალია, მოსაბეზრებელი და ცივი მოეჩვენა, მაგრამ თავისდა გასაკვირად, მაინც დადებითად განეწყო მის მიმართ.

მომდევნო თვეების განმავლობაში სალანდერი არმანსკის მფარველობის ქვეშ აღმოჩნდა. სიმართლე ითქვას, არმანსკი მას როგორც სოციალურ პროექტს ისე უყურებდა. გოგონას პირდაპირ დავალებებს აძლევდა და ცდილობდა ზუსტი მითითებებიც მიეცა, კვლევები როგორ ჩაეტარებინა. ლიზბეთ სალანდერი მოთმინებით მოუსმენდა ხოლმე, მაგრამ საქმეს მაინც თავისებურად აგვარებდა. არმანსკიმ Milton Security-ის ტექნიკურ დირექტორს სთხოვა, მისთვის ინფორმაციული ტექნოლოგიების მცირე კურსი ჩაეტარებინა. გასაუბრების შემდეგ გაირკვა, რომ ლიზბეთი ბევრ თანამშრომელზე უკეთ ერკვეოდა კომპიუტერებში.

მიუხედავად არმანსკის არაერთი მცდელობისა, მისთვის ტრეინინგები ჩაეტარებინა და საქმის უკეთესად მართვა ესწავლებინა, სალანდერი Milton Security-ის სამუშაო რუტინაში მაინც ვერ ჩააბა. გოგონას ამის არანაირი სურვილი არ გამოუჩენია. ამან არმანსკი მძიმე მდგომარეობაში ჩააგდო.

სხვა თანამშრომელს ნამდვილად არ მოუთმენდა სამსახურის გაცდენას და აუცილებლად უბრძანებდა, ოფისში წესიერად ჩაცმულს ევლო; სალანდერის შემთხვევაში კი ეშინოდა, თუ გაგდებით დავემუქრები, გოგონა უბრალოდ მხრებს აიჩეჩავს და წავაო.

უფრო მეტად ის აწუხებდა, რომ გოგონას მიმართ საკუთარ გრძნობებში ვერ გარკვეულიყო. სალანდერი ერთი მხრივ – გამაღიზიანებელი და საძაგელი, მეორე მხრივ კი მომხიბვლელი ეჩვენებოდა. არა, სექსუალური მიმზიდველობა არაფერ შუაში იყო. არმანსკის ქერა, გამოკვეთილფორმებიანი ქალები მოსწონდა, სქელი ტუჩები ყოველთვის სექსუალურ ფანტაზიებს აღუძრავდა. თანაც, უკვე ოცი წლის დაოჯახებული იყო. მის ფინელ ცოლს რიტვა ერქვა და სრულიად აკმაყოფილებდა

მის მოთხოვნილებებს. მისთვის არასდროს ეღალატა, გარდა... იმ ერთი შემთხვევისა, რომელზეც მის ცოლს არაფერი შეუტყვია, თორემ შეიძლებოდა, ყველაფერი არასწორად გაეგო. ერთი სიტყვით, არმანსკის ბედნიერი ოჯახი ჰქონდა და სალანდერისხელა ორი ქალიშვილიც ჰყავდა. ყოველ შემთხვევაში, ნამდვილად არ აინტერესებდა ბრტყელმკერდიანი გოგონები, რომლებიც შორიდან ბიჭებში ეშლებათ ხოლმე. ეს მისი სტილი არ იყო.

და მაინც, ხანდახან, თავისდა უნებურად, ლიზბეთ სალანდერზე ფიქრს იწყებდა და ხვდებოდა, რომ გოგონა როგორღაც მაინც ზემოქმედებდა მასზე. შესაძლოა, ეს იმის ბრალია, რომ სალანდერი ჩემთვის მეტისმეტად უცხო და უცნაურია, ასე ალბათ ნიმფის ან ბერძნული ამფორის სურათიც მომეწონებოდაო, ფიქრობდა არმანსკი. ის სალანდერის ცხოვრების წესს ვერასდროს შეეგუებოდა და არც სალანდერი აძლევდა მასში ჩარევის უფლებას.

ერთხელ არმანსკი გამლასტანში სტურტორიეტზე კაფეში იჯდა, როცა სალანდერი შემოვიდა და მოშორებით მაგიდას მიუჯდა. მასავით ჩაცმულ სამ გოგოსთან და ერთ ბიჭთან ერთად იყო. არმანსკი ინტერესით ადევნებდა თვალს. ლიზბეთი კაფეშიც ისე თავშეკავებულად იქცეოდა, როგორც სამსახურში. თუმცა, ერთი-ორჯერ თითქოს გაეცინა წითური გოგონას ხუმრობაზე.

არმანსკიმ გაიფიქრა, ნეტა მე რომ მწვანედ შეღებილი თმით, გაცვეთილი ჯინსებით და უხამსად მოხატული, ჯაჭვებახორხლილი ტყავის ქურთუკით მივიდე სამსახურში, სალანდერი რას იფიქრებსო. ალბათ დასცინებდა.

კაფეში სალანდერი მისგან ზურგშექცევით იჯდა და უკან ერთხელაც არ შემობრუნებულა. არც შეუმჩნევია, მისი უფროსი იქვე რომ იჯდა. არმანსკი მისმა სიახლოვემ რატომღაც შეაწუხა. ცოტა ხანში წამოდგა და კაფედან უჩუმრად გაპარვას აპირებდა, მაგრამ გოგონა სწორედ მაშინ შემოტრიალდა, თითქოს მთელი ეს დრო იცოდა, რომ ის აქ იჯდაო, და ისე დაჟინებით მიაჩერდა, რომ დაბნეულმა არმანსკიმ სასწრაფოდ დატოვა კაფე, თითქოს ლიზბეთი არც დაენახოს. გოგონა არ მისალმებია, მაგრამ მისი მწველი მზერა მოსახვევამდე მიაცილებდა არმანსკის.

სალანდერი იშვიათად იცინოდა. მაგრამ არმანსკიმ თანდათან შეამჩნია, რომ ხასიათი უუმჯობესდებოდა. რბილად რომ ვთქვათ, დიდი იუმორის გრძნობით არ გამოირჩეოდა, ბევრი-ბევრი ალმაცერად, ირონიულად გაღიმებოდა რამეზე.

არმანსკის ხანდახან ისე აღიზიანებდა მისი არაემოციურობა, რომ ლამის მხრებში ხელები ჩაევლო და ძლიერად შეენჯღრია. უნდოდა, მის „აბჯარში“ ბზარი მოეძებნა; ძალიან უნდოდა, როგორმე მისი მეგობრობა ან, სულ ცოტა, პატივისცემა მაინც მოეპოვებინა.

თავის გრძნობებზე სალანდერთან საუბარი მისი სამსახურში აყვანიდან ცხრა თვის შემდეგ სცადა. Milton Security-მ საშობაო წვეულება გამართა და არმანსკიც ცოტა

შეზარხოშდა. უხერხული არაფერი მომხდარა. არმანსკიმ უბრალოდ უთხრა კარგი გოგონა ხარ და თუ დახმარება დაგჭირდება, არ მოგერიდოს, მე მომმართეო. მერე გადაეხვია კიდეც. რასაკვირველია, მეგობრულად.

სალანდერი მკლავებიდან დაუძვრა და წვეულება დატოვა. მომდევნო დღეს არც სამსახურში გამოჩენილა და არც სატელეფონო ზარზე უპასუხია. მისმა არყოფნამ არმანსკი ძალიან დააღონა. საკუთარ გრძნობებს ვერავის უზიარებდა და მაშინ პირველად გაიაზრა, რამდენად მავნე მიზიდულობას გრძნობდა გოგონას მიმართ.

სამი კვირის შემდეგ, როცა არმანსკი საღამოს წლიურ ანგარიშზე მუშაობდა, სალანდერი დაბრუნდა. მოჩვენებასავით უჩუმრად შევიდა მის კაბინეტში და ზღურბლზე გაშეშებული, ნახევრად ბნელიდან მიაჩერდა კაცს. არმანსკიმ კარგა ხნის შემდეგ იგრძნო, რომ უთვალთვალებდნენ.

– ყავა ხომ არ გნებავთ? – ჰკითხა სალანდერმა და ესპრესოს ავტომატიდან გამოღებული ჭიქა გაუწოდა. არმანსკიმ უხმოდ გამოართვა. ერთდროულად შვებითაც ამოისუნთქა და შეკრთა კიდეც, როცა გოგონამ ქუსლით კარი დახურა. ის მეორე მხრიდან მიუჯდა მაგიდას და არმანსკის პირდაპირ თვალებში შეხედა. შემდეგ ისეთი შეკითხვა დაუსვა, რომელზეც ვერც სიცილით უპასუხებდა და ვერც დუმილით.

– დრაგან, მოგწონვართ?

არმანსკი გაშრა. ენა ჩაუვარდა. ინსტინქტურად დააპირა თავი განაწყენებულად მოეჩვენებინა, მაგრამ სალანდერის გამომეტყველება შეამჩნია და გააცნობიერა, რომ გოგონამ პირველად დაუსვა ასეთი ინტიმური შეკითხვა – მისგან სერიოზულ პასუხს ელოდა და სიცილს შეურაცხყოფად მიიღებდა. ჩანდა, ლიზბეთი დიდხანს იკრებდა მხნეობას მისთვის ამ შეკითხვის დასასმელად. არმანსკიმ საწერ-კალამი დადო და სავარძლის საზურგეზე გადაწვა.

– ეს შეკითხვა რატომ გაგიჩნდა? – ჰკითხა მან სალანდერს.

– იმიტომ, რომ ვხედავ, როგორ მიყურებთ, ან თვალს მარიდებთ. ხანდახან ხელს გამოსწევთ, რომ შემეხოთ, მაგრამ თავს იკავებთ.

– დარწმუნებული ვარ, რომ შეგეხო, თითს წამაკვნეტ, – გაუღიმა არმანსკიმ.

სალანდერს არ გაუღიმია. იცდიდა.

– ლიზბეთ, მე შენი უფროსი ვარ და, თუნდაც მიზიდავდე, შენთან სასიყვარულო ურთიერთობას მაინც არ გავაბამ.

სალანდერი ისევ იცდიდა.

– დიახ, ხანდახან ძალიან მიზიდავ ხოლმე. ვერ აგიხსნი, რატომ, მაგრამ ძალიან მომწონხარ. ფიზიკურ ლტოლვას არ ვგულისხმობ.

– ეს კარგია. რადგან ჩვენ შორის არაფერი მოხდება.

არმანსკის გაეცინა. სალანდერი პირველად დაელაპარაკა პირადულ საკითხებზე და მამაკაცისთვის ყველაზე სამწუხარო რამ უთხრა. არმანსკიმ საჭირო სიტყვების მოძებნა სცადა.

– ლიზბეთ, გასაგებია, რომ ორმოცდაათს გადაცილებული მამაკაცი არ გაინტერესებს.

– მე არ მაინტერესებს ორმოცდაათს გადაცილებული მამაკაცი, რომელიც ჩემი უფროსია, – სალანდერმა ხელი ასწია, – მაცალეთ, დავასრულო. ზოგჯერ სულელივით იქცევით და საძაგელ ბიუროკრატს ჰგავხართ, მაგრამ ნამდვილად მიმზიდველი მამაკაცი ხართ და... მეც ვგრძნობ რაღაცას... მაგრამ თქვენ ჩემი უფროსი ხართ და ცოლი გყავთ, ვისაც მეც ვიცნობ; თანაც მინდა, რომ თქვენთან მუშაობა გავაგრძელო. ნამდვილი იდიოტი ვიქნები, თქვენთან რომანი რომ გავაბა.

არმანსკის არაფერი უთქვამს, სუნთქვასაც ძლივს ბედავდა.

– ნუ იფიქრებთ, ვერ ვამჩნევდე, ჩემთვის რაც გააკეთეთ. ამის გამო თქვენი მადლიერი ვარ. გმადლობთ, რომ თქვენს ინტუიციას არ ენდეთ და თავის გამოჩენის შანსი მომეცით. თუმცა, თქვენს საყვარლობას არ ვაპირებ და არც მამად მიმაჩნიხართ.

– ჩემგან რას ითხოვ? – ნაღვლიანად ამოიოხრა მცირე პაუზის შემდეგ არმანსკიმ.

– მინდა, თქვენთან მუშაობა გავაგრძელო, თუ თქვენც თანახმა ხართ.

არმანსკიმ თავი დაუქნია და რაც შეიძლებოდა გულწრფელად უთხრა:

– ძალიან მინდა, რომ ჩემთან მუშაობა გააგრძელო. მაგრამ ისიც მინდა, რომ მეგობრად მთვლიდე და მენდობოდე.

სალანდერმა თავი დაუქნია.

– ძალიან ჩაკეტილი ხარ და შენთან დამეგობრება ძნელია, – გოგონა უხერხულად შეიშმუშნა, მაგრამ არმანსკიმ მაინც განაგრძო: – მესმის, რომ არ გსურს, შენს ცხოვრებაში ვინმე ჩაერიოს, და ვეცდები, ზედმეტად არ შეგაწუხო. მაგრამ ხომ შეიძლება ისევ მომწონდე?

სალანდერი დიდხანს ფიქრობდა. შემდეგ წამოდგა, მაგიდას შემოუარა და არმანსკის გადაეხვია. კაცი ასეთმა პასუხმა ძალიან გააკვირვა. სალანდერის ხელის ხელში აღება მხოლოდ მას მერე გაბედა, რაც გოგონამ მკლავები შეუშვა.

– შეიძლება ვიმეგობროთ?

სალანდერმა თავი დაუქნია.

ამ ერთი შემთხვევის გარდა, ლიზბეთ სალანდერს მის მიმართ სინაზე აღარასოდეს გამოუჩენია; აღარც შეხებია. არმანსკის ის ჩახუტება ყოველთვის ტკბილად ახსენდებოდა.

ოთხი წელი გასულიყო იმ საღამოდან და თავისი პირადი ცხოვრების და წარსულის დეტალები ლიზბეთ სალანდერს არმანსკისთვის ჯერ მაინც არ გაემხილა.

ერთხელ საკუთარი ძალებით სცადა გოგონაზე ცნობების მოძიება. ჰოლგერ პალმგრენსაც შეხვდა. მოხუც ადვოკატს მისი დანახვა არ გაჰკვირვებია. იმან, რაც არმანსკიმ მისგან შეიტყო, კიდევ უფრო დააეჭვა. თუმცა, სალანდერთან სიტყვაც არ დასცდენია იმაზე, რომ მის ცხოვრებაში იქექებოდა. თავის ეჭვებს გულში ინახავდა და თვალყურის დევნებას აგრძელებდა.

იმ უცნაურ საღამოს არმანსკი და სალანდერი საქმიან ურთიერთობაზეც შეთანხმდნენ. მომავალში გოგონა თავისუფალ კონტრაქტორად ითანამშრობლებდა მათ კომპანიასთან და მისთვის გამოკვლევებს ჩაატარებდა. სალანდერი ყოველთვიურად მიიღებდა გარკვეული ოდენობის თანხას, მიუხედავად იმისა, მოუწევდა თუ არა რაიმენაირი დავალების შესრულება; ხოლო თუ დავალებას შეასრულებდა, დამატებით ანაზღაურებასაც მიიღებდა. მას ეძლეოდა შეუზღუდავი მოქმედების უფლება. თუმცა, თავის მხრივ, სალანდერმაც პირობა დადო, რომ არასდროს ჩაიდენდა ისეთ რამეს, რაც არმანსკის სახელს გაუტეხდა ან Milton Security-ს სკანდალში გახვევდა.

ეს შეთანხმება არმანსკისთვის, სალანდერისთვის და კომპანიისთვის საუკეთესო გამოსავალი იყო. არმანსკიმ „პირადი ინფორმაციის მოძიების“ განყოფილების კადრები მინიმუმამდე შეამცირა და რუტინული სამუშაო, რაც ძირითადად კვლევის ობიექტის საკრედიტო წარსულის შემოწმებას გულისხმობდა, თავის ძველ კოლეგას მიანდო. სხვა უფრო რთულ და ჩახლართულ დავალებებს სალანდერი და რამდენიმე მასავით უშტატო თანამშრომელი ასრულებდა. თავისუფალ კონტრაქტორებზე Milton Security პასუხს არ აგებდა. ვინაიდან არმანსკი მუდმივად დაინტერესებული იყო სალანდერის მომსახურებით, გოგონა უფულობას არ უჩიოდა. შეეძლო უფრო მეტიც გამოემუშავებინა, მაგრამ სალანდერი მხოლოდ მაშინ მუშაობდა, როცა თვითონ მოისურვებდა.

არმანსკი თანდათან შეეგუა მის უცნაურობას, თუმცა, კლიენტებთან შეხვედრას მაინც უკრძალავდა. დღევანდელი შეხვედრა გამონაკლისი იყო.

შეხვედრაზე სალანდერი შავი მაისურით გამოცხადდა, რომელზეც ეშვებიანი უცხოპლანეტელი იყო გამოსახული და ქვეშ ეწერა: I am also an alien.[iii]

დაფლეთილნაწიბურებიანი შავი კაბა და გაცვეთილი, ვიწრო ტყავის ქურთუკი ეცვა, წელზე ტყავისავე ქამარი შემოერტყა. „დოკ მარტენის“ მძიმე ჩექმებით მობრაგუნდა. ჰორიზონტალურზოლებიანი, გრძელი წითელ-მწვანე წინდებიც მოუჩანდა. ისეთი

მაკიაჟი გაეკეთებინა, იფიქრებდით, დალტონიკიაო. ერთი სიტყვით, საგანგებოდ „გამოპრანჭულიყო“.

არმანსკიმ ერთი ამოიოხრა და კონსერვატულად ჩაცმულ სათვალიან სტუმარს გახედა. დირკ ფროდემ, მოხუცმა ადვოკატმა, დაიჟინა, პირადად მინდა შევხვდე და შეკითხვები დავუსვა პიროვნებას, ვინც გამოკლვევა ჩაატარაო. არმანსკიმ ყველა ცივილური ხერხი იხმარა ამ შეხვედრის ჩასაშლელად: სალანდერი სხვაგან გაემგზავრა, გაცივდა და საქმეებშია ჩაფლულიო, მაგრამ ადვოკატი მოთმინებით იცდიდა, არსად მეჩქარება, სხვა დროს მოვალო. სხვა გზა რომ აღარ დარჩა, არმანსკი შეხვედრაზე დათანხმდა. და, აი, სამოცდაათს მიტანებული ფროდე ლიზბეთ სალანდერს დაუფარავი აღფრთოვანებით მისჩერებოდა. სალანდერი კი ჩვეული გულცივობით უბღვერდა.

არმანსკიმ კიდევ ერთხელ ამოიოხრა და მაგიდაზე საქაღალდეს შეავლო თვალი. კარლ მიქაელ ბლუმკვისტი – ეწერა ყდაზე. სახელის ქვეშ წვრილად მიეთითებინათ სოცდაზღვევის ნომერი. ეს სახელი ხმამაღლა წარმოთქვა თუ არა, მონუსხული დირკ ფროდე გამოფხიზლდა და არმანსკისკენ შეტრიალდა.

– აბა, რას მეტყვით მიქაელ ბლუმკვისტზე? – იკითხა მან.

– ეს კვლევა ფრეკენ სალანდერმა ჩაატარა, – წამიერი ყოყმანის შემდეგ უპასუხა არმანსკიმ და ღიმილით (რომელსაც მეტი დამაჯერებლობა უნდა შეემატებინა სიტუაციისთვის, მაგრამ მობოდიშებასავით უფრო გამოუვიდა) განაგრძო: – მისი ასაკი ნუ მოგატყუებთ. ის ჩვენი საუკეთესო მკვლევარია.

– ეჭვიც არ მეპარება, – ისეთი ტონით თქვა ფროდემ, თითქოს საპირისპიროს ფიქრობსო, – აბა, მიამბეთ, რა დაადგინა?

ფროდემ აშკარად არ იცოდა, როგორ მოქცეულიყო სალანდერის წინაშე. არმანსკის ისე დაუსვა შეკითხვა, თითქოს გოგონა ოთახში საერთოდ არ იჯდა. სალანდერმა საღეჭი რეზინით ბუშტი გაბერა და სანამ არმანსკი ფროდეს უპასუხებდა, არმანსკის ჰკითხა:

– თუ შეიძლება ჰკითხეთ კლიენტს, გრძელი ვერსიის მოსმენა ურჩევნია თუ მოკლესი?

წუთით უხერხული სიჩუმე ჩამოვარდა. მერე ფროდე სალანდერისკენ შებრუნდა და თავაზიანი, მეგობრული ტონით სცადა შეცდომის გამოსწორება.

– დიდად მადლობელი დავრჩები, თუ ფრეკენ სალანდერი კვლევის შედეგებს სიტყვიერად მომახსენებს.

სალანდერი ისე მტრულად მიაჩერდა მოხუც ადვოკატს, რომ ფროდეს ტანში ცივმა ჟრუანტელმა დაუარა. უცებ გოგონას სახიდან მტრული გამომეტყველება გაქრა და ფროდემ გაიფიქრა, ხომ არ მომეჩვენაო. სალანდერმა თავაზიანად დაიწყო:

– ნება მიბოძეთ, გითხრათ, რომ დავალება არც ისე რთული იყო, თუმცა მითითებები საკმაოდ ბუნდოვანი მომეჩვენა. თქვენ გსურდათ „ყველაფრის გამოქექვა, რისაც კი შეიძლებოდა“, თუმცა, არ გითქვამთ, კონკრეტულად რა გაინტერესებდათ. ამიტომაც ამ კვლევაში მისი ცხოვრების სხვადასხვა მხარეს შევეხებით. მოხსენება 193 გვერდიანია, აქედან 120 გვერდი ბლუმკვისტის სტატიების ასლებს და მასზე საგაზეთო ჩანაწერებს ეთმობა. ბლუმკვისტი საჯარო პიროვნებაა, ბევრს არაფერს მალავს.

– მაგრამ საიდუმლო მაინც აქვს? – ჩაეძია ფროდე.

– საიდუმლო ყველას აქვს, – გულგრილად უპასუხა ლიზბეთმა, – მთავარია, მათი დადგენა მოახერხო.

– გისმენთ.

– მიქაელ ბლუმკვისტი ორმოცდაორი წლისაა. დაიბადა 1960 წლის 18 იანვარს ბორლენგეში, მაგრამ იქ არასდროს უცხოვრია. მისი მშობლები, კურტ და ანიტა ბლუმკვისტები დაახლოებით ოცდათხუთმეტი წლისანი იყვნენ, როცა შვილი შეეძინათ. ორივე გარდაცვლილია. მამამისი მანქანა-მოწყობილობების ტექნიკოსი იყო და ხშირად მოგზაურობდა, ხოლო დედამისს, რამდენადაც დავადგინე, არასდროს უმუშავია, დიასახლისი იყო. ოჯახი სტოკჰოლმში დასახლდა, როცა მიქაელი სკოლაში შევიდა. ჰყავს სამი წლით უმცროსი და, ანიკა, რომელიც ადვოკატია; აგრეთვე – დეიდაშვილები. ყავას არ შემოგვთავაზებთ?

ეს შეკითხვა არმანსკისთვის იყო გამიზნული. მან შეხვედრისთვის გამზადებული თერმოსიდან სამი ჭიქა ყავა ჩამოასხა და სალანდერს ანიშნა, განაგრძეო.

– ამგვარად, 1966 წელს ოჯახი პატარა ესინგენზე დასახლდა. ბლუმკვისტი ჯერ ბრომას სკოლაში დადიოდა, შემდეგ – კუნგსჰოლმენის მოსამზადებელ სკოლაში. სკოლა კარგ ნიშნებზე დაასრულა – საქაღალდეში ატესტატის ასლია. მოსამზადებელ სკოლაში სწავლობდა მუსიკას და იყო ბას-გიტარისტი როკ ჯგუფისა Bootstrap, რომლის სინგლიც, სხვათა შორის, 1979 წლის ზაფხულში რადიოშიც ტრიალებდა. სკოლის დამთავრების შემდეგ ბლუმკვისტი სტოკჰოლმის მეტროში ბილეთების კონტროლიორად მოეწყო. გარკვეული თანხა დააგროვა და ერთი წლით აზიაში იმოგზაურა – უმეტესად ინდოეთსა და ტაილანდში. იქიდან გემით ავსტრალიაში გადავიდა. ოცდაერთი წლისამ სტოკჰოლმში ჟურნალისტიკის შესწავლა დაიწყო. თუმცა, პირველი კურსის დახურვის შემდეგ ჯარში გაიწვიეს და ერთი წელი ლაპლანდიაში, ქალაქ კირუნაში ქვეითთა ნაწილში მსახურობდა. ეს ერთგვარი „მაჩოების დანაყოფი“ იყო. ბლუმკვისტმა დადებითი შეფასებით გაიარა

სავალდებულო სამხედრო სამსახური, დაასრულა უმაღლესი სასწავლებელი და მას შემდეგ ჟურნალისტიკაში მოღვაწეობს. უფრო დეტალურად გნებავთ?

– მიამბეთ, რაც თქვენ მიგაჩნიათ მნიშვნელოვნად.

– პირადად მე, პრაქტიკულ გოჭად დავახასიათებდი „სამი გოჭის ზღაპრიდან“. ბრწყინვალე ჟურნალისტია. ოთხმოციან წლებში სამსახური ბევრჯერ გამოიცვალა. ჯერ პროვინციულ გაზეთებში მუშაობდა, მერე სტოკჰოლმში გადმოვიდა. აგერ სიაც. წარმატება ბანკის მძარცველი „დათვების ბანდის“ გამოაშკარავებამ მოუტანა.

– ჰო, კალე ბლუმკვისტი შეარქვეს.

– ეს მეტსახელი ეზიზღება. მესმის მისი. ჩემთვის რომ ვინმეს გაზეთში პეპი გრძელიწინდა ეწოდებინა, მაშინვე თვალს ჩავულურჯებდი.

სალანდერმა მკაცრად გახედა არმანსკის, რომელმაც ნერწყვი ჩაყლაპა. მას არაერთხელ გაევლო გულში, რომ სალანდერი ზუსტად პეპი გრძელიწინდას ჰგავდა.

– ერთ-ერთი წყარო აცხადებს, რომ იმ შემთხვევამდე ბლუმკვისტს კრიმინალური ქრონიკების რეპორტიორად სურდა მუშაობა. პრაქტიკაც კი გაიარა ერთ-ერთ საღამოს გაზეთში. თუმცა, სახელი პოლიტიკის და ეკონომიკის მიმომხილველ ჟურნალისტად გაითქვა. თითქმის სულ თავისუფალ კონტრაქტორად მუშაობდა, მხოლოდ ოთხმოციანი წლების მიწურულს ჩასვეს საღამოს გაზეთის შტატში. 1990 წელს იმ გაზეთიდან წამოვიდა და ახლობლებთან ერთად ყოველთვიური ჟურნალი „მილენიუმი“ დააარსა. ჟურნალმა არსებობა საგამომცემლო სახლების მხარდაჭერის გარეშე დაიწყო, თუმცა მისი ტირაჟი თანდათან 21 000-მდე გაიზარდა. „მილენიუმის“ რედაქცია იეტგატანზე, აქედან რამდენიმე კვარტლის მოშორებით მდებარეობს.

– მემარცხენეთა ჟურნალია.

– გააჩნია, რას გულისხმობთ „მემარცხენეობაში“. „მილენიუმს“ კრიტიკულ ჟურნალად მიიჩნევენ, თუმცა, ანარქისტები ფიქრობენ, რომ ისეთივე იაფფასიანი ბურჟუაზიული ჟურნალია, როგორც „Arena“ ან „Ordfront“; „ცენტრისტი სტუდენტების ასოციაცია“ კი მთელ რედაქციას ბოლშევიკებს უწოდებს. არ არსებობს არანაირი სამხილი იმისა, ბლუმკვისტი ოდესმე პოლიტიკურად აქტიური ყოფილიყო, თვით სკოლაში სწავლის პერიოდშიც, როცა მემარცხენეთა ტალღა გაძლიერდა. ჟურნალისტიკის სასწავლებელში ბლუმკვისტი ერთ გოგონასთან მეგობრობდა, რომელიც სკოლაში აქტიური სინდიკალისტი იყო, დღეს კი პარლამენტში „მემარცხენეთა“ პარტიას წარმოადგენს. ბლუმკვისტს „მემარცხენის“ იარლიყი იმიტომ მიაკერეს, რომ ძირითადად ფინანსური სამყაროს კორუფციული და საეჭვო გარიგებების გამოძიებითაა დაკავებული. რამდენიმე ცნობილი პოლიტიკური ფიგურა და ფინანსისტი ამხილა – ჩემი აზრით, დამსახურებულად. ყველაზე ცნობილი „არბოგას საქმეა“, რომლის შედეგად „კონსერვატული პარტიის“

წარმომადგენელი თანამდებობიდან გადადგა, ხოლო მუნიციპალური საბჭოს დეპუტატს ერთწლიანი პატიმრობა მიუსაჯეს თანამდებობის ბოროტად გამოყენებისთვის. კრიმინალების დანაშაულში მხილება ძნელად თუ შეიძლება „მემარცხენეობის“ გამოვლინებად ჩაითვალოს.

– თქვენი აზრი გასაგებია. კიდევ ხომ არ დაამატებთ რამეს?

– ბლუმკვისტს ორი წიგნი აქვს დაწერილი. ერთი „არბოგას საქმეზე“, მეორე – ეკონომიკური საკითხების მიმომხილველებზე – სათაურით „ტამპლიერები“; სამი წლის წინ გამოიცა. წიგნი არ წამიკითხავს, მაგრამ მედიამიმომხილველთა შორის დიდი კამათის საგანი გახდა.

– მის ფინანსურ მდგომარეობაზე რას მეტყვით? – ჰკითხა ფროდემ.

– მდიდარი არაა, მაგრამ არც შიმშილით კვდება. მისი საშემოსავლო დეკლარაცია ანგარიშს ერთვის თან. საბანკო ანაბარზე – საპენსიოზეც და შემნახველზეც – 250 000 შვედური კრონა დევს. ცალკე ანგარიშზე, რომელსაც სამგზავრო და სამსახურეობრივი ხარჯებისთვის იყენებს, დაახლოებით – 100 000 შვედური კრონა. ბელმანსგატანზე 65 კვადრატული მეტრი ფართობის კოოპერატიული ბინა აქვს – ბინის საფასური მთლიანად გადახდილია. კიდევ უძრავ ქონებას ფლობს სანდჰამნში, არქიპელაგზე. ოცდაათი კვადრატული მეტრის ფართობის კოტეჯს საზაფხულო აგარაკად იყენებს, სოფლის ყველაზე ლამაზ ადგილას, წყლის პირას დგას. ეს კოტეჯი, როგორც ჩანს, ბიძამისმა იყიდა ჯერ კიდევ ორმოციან წლებში, როცა ასეთი აგარაკები უბრალო მოკვდავთათვისაც ხელმისაწვდომი იყო. ბლუმკვისტსაც მისგან გადმოეცა მემკვიდრეობით. მან და მისმა დამ ქონება გაიყვეს. დას მშობლების ბინა ერგო პატარა ესინგენზე, ხოლო ბლუმკვისტს – ეს კოტეჯი. ნამდვილად არ ვიცი, რამდენი შეიძლება ღირდეს დღეს ის ქოხი – ალბათ, რამდენიმე მილიონი – თუმცა, ბლუმკვისტი მის გაყიდვას არ ჩქარობს. პირიქით, ხშირად ჩადის ხოლმე იქ დასასვენებლად.

– შემოსავალი?

– ის „მილენიუმის“ თანამფლობელია, მაგრამ მისი თვიური ხელფასი მხოლოდ 12 000 კრონას შეადგენს. დანარჩენს თავისუფალ კონტრაქტორად მუშაობიდან იღებს. სამი წლის წინ შემოსავლიანი წელიწადი ჰქონდა – 450 000 კრონა გამოიმუშავა, შარშან – მხოლოდ 120 000 კრონა.

– 150 000 კრონა ჯარიმის სახით უნდა გადაიხადოს, ამას ემატება ადვოკატის ანაზღაურება და სხვა ხარჯებიც, – თქვა ფროდემ, – ანუ, გასავალი მის შემოსავალს აჭარბებს. საპატიმროში გასატარებელი სამი თვეც არ დაგვავიწყდეს. ეს ოთხმოცდაათი დღეც ძვირად დაუჯდება.

– რაც იმას ნიშნავს, რომ ჯიბეგაფხეკილი დარჩება, – დაასრულა სალანდერმა.

– პატიოსანი პიროვნებაა?

– პატიოსნება, ასე ვთქვათ, მისი კაპიტალია. ბიზნესის სამყაროსთან დაპირისპირებული მტკიცე და კეთილშობილი მებრძოლის იმიჯი აქვს. სატელევიზიო გადაცემებში ხშირად იწვევენ სტუმრად.

– ცილისწამებაში დადანაშაულების შემდეგ, არა მგონია, მაგ კაპიტალიდან რამე შერჩეს, – შენიშნა ფროდემ.

– სიმართლე გითხრათ, არ ვიცი, რა მოთხოვნებს უყენებენ ჟურნალისტს, მაგრამ ასეთი რეგრესის შემდეგ „დეტექტივ კალე ბლუმკვისტს“ კიდევ დიდი ხანი დასჭირდება ჟურნალისტური პრემიის მისაღებად. ამჯერად მართლა გაიფუჭა სახელი, – თქვა სალანდერმა, – თუ ჩემი აზრი გაინტერესებთ ამ ამბავთან დაკავშირებით...

არმანსკიმ თვალები დაჭყიტა. მთელი იმ პერიოდის განმავლობაში, რაც სალანდერი მასთან მუშაობდა, არასდროს გამოეთქვა საკუთარი აზრი კვლევის ობიექტზე. მხოლოდ მშრალი ფაქტების მოხსენიებით შემოიფარგლებოდა ხოლმე.

– ვენერსტრომის საქმის გამოკვლევა მე არ მევალებოდა, მაგრამ სასამართლო პროცესის მიმდინარეობას თვალს მაინც ვადევნებდი და, უნდა გამოგიტყდეთ, რომ გაოგნებული დავრჩი. რაღაც ისე არაა... მიქაელ ბლუმკვისტს არ სჩვევია თავის სტატიებში გადაუმოწმებელი ფაქტების მოყვანა.

სალანდერმა კეფა მოიქექა. ფროდე მოთმინებით უცდიდა. არმანსკიმ გაიფიქრა, იქნებ სალანდერი შეცდა ან აღარ იცის, როგორ გააგრძელოსო. დაეჭვებულ ლიზბეთ სალანდერს პირველად ხედავდა. გოგონამ გააგრძელა:

– ჩვენ შორის დარჩეს და... მართალია, ვენერსტრომის საქმე ძირფესვიანად არ შემისწავლია, მაგრამ მაინც მგონია, რომ მიქაელ ბლუმკვისტი გააცურეს. ამ ამბავში იმაზე მეტი იმალება, ვიდრე სასამართლო განაჩენში აისახა.

ადვოკატმა ყურადღებით შეათვალიერა სალანდერი და არმანსკიმ შეამჩნია, რომ კლიენტს ახლა მხოლოდ გოგონას ჩაცმულობა და გარეგნობა არ აკვირვებდა. ჩანდა, ვენერსტრომის საქმით ფროდეც იყო დაინტერესებული. უფრო ზუსტად, ფროდე კერძოდ ვენერსტრომის საქმემ კი არა, იმან უფრო დააინტერესა, რომ სალანდერმა აღნიშნა ბლუმკვისტი მოატყუესო, გაიფიქრა არმანსკიმ.

– რას გულისხმობთ? – ჰკითხა გოგონას ფროდემ.

– სრულად დარწმუნებული, რა თქმა უნდა, ვერ ვიქნები, მაგრამ, მგონია, რომ ვიღაცამ მოატყუა.

– ასე რატომ ფიქრობთ?

– ბლუმკვისტის პროფესიული წარსული მიანიშნებს, რომ ის ფრთხილი რეპორტიორია. ყოველი ფაქტი, რომელიც მის მამხილებელ სტატიებში ქვეყნდებოდა, მუდამ დასაბუთებული იყო. მის სასამართლო პროცესს დავესწარი. მომეჩვენა, რომ უბრძოლველად დანებდა, რაც მას არ ახასიათებს. თუ სასამართლოს დავუჯერებთ, ბლუმკვისტმა ასეთი სკანდალური ამბავი გამოიგონა იმისათვის, რომ... თავისი კარიერა დაენგრია?! ეს ბლუმკვისტის სტილი ნაღდად არაა.

– აბა, მაშ, რა მოხდა, თქვენი აზრით?

– შემიძლია, მხოლოდ ვივარაუდო. ბლუმკვისტს უთუოდ სჯეროდა თავისი ამბის ნამდვილობისა, მაგრამ უცებ რაღაც შეიცვალა და მისი სტატია ყალბი ფაქტებით სავსე გამოდგა, რაც ნიშნავს იმას, რომ ან ინფორმატორი მიაჩნდა სანდო პიროვნებად, ან ვიღაცამ განგებ მიაწოდა ყალბი ცნობები – რაც ცოტა ძნელი დასაჯერებელია. შესაძლოა, სასიკვდილო საფრთხის წინაშე აღმოჩნდა და იფიქრა, აჯობებს, ყალბი სტატია დავწერო და არაკომპეტენტურ იდიოტად გამოვჩნდე, ვიდრე ბრძოლა განვაგრძოო. მაგრამ, როგორც ვთქვი, ეს მხოლოდ ჩემი ვარაუდებია.

ფროდემ სალანდერს ხელის აღმართვით გააწყვეტინა სიტყვა. წუთით ჩუმად იჯდა და თითებს სავარძლის სახელურზე აკაკუნებდა. მერე გოგონასკენ მიტრიალდა.

– ვენერსტრომის საქმის გამოკვლევა რომ გთხოვოთ... არის შანსი იმისა, რომ რამეს გამოიძიებთ?

– ამაზე ვერაფერს გიპასუხებთ. შესაძლოა, გამოსაძიებელი არც არაფერი იყოს.

– მაგრამ თქვენ მაინც ცდიდით?

– ეს ჩემი გადასაწყვეტი არაა, – მხრები აიჩეჩა სალანდერმა, – მე ჰერ არმანსკისთან ვმუშაობ, ის წყვეტს, რა დამავალოს. თანაც, გააჩნია, თქვენ რა სახის ინფორმაციის მოპოვება გსურთ.

– მაშ, ასე გკითხავთ... იმედია, ეს ჩვენ შორის დარჩება...

არმანსკიმ ფროდეს თავი დაუქნია.

– ამ კონკრეტულ საქმეზე არაფერი ვიცი, მაგრამ ის კი უეჭველად ვიცი, რომ ვენერსტრომი ბევრ მაქინაციაშია გარეული. ვენერსტრომის საქმემ მიქაელ ბლუმკვისტის ცხოვრებაზე სერიოზული ზეგავლენა იქონია და მაინტერესებს, რამდენად მართებულია თქვენი ვარაუდები.

საუბარმა მოულოდნელი მიმართულება მიიღო. არმანსკი მაშინვე დაიძაბა. ფროდე Milton Security-ს იმ საქმის გამოძიებას სთხოვდა, რაც სასამართლომ უკვე დახურა. თუკი ბლუმკვისტს მართლა ემუქრებოდა ვინმე, საქმე ალბათ ძალიან საჩოთირო იყო. თუ მისი კომპანია ამ საქმის გამოქექვას დაიწყებდა, უთუოდ ვენერსტრომის იურისტების არმიასთან დაპირისპირება მოუწევდა. არმანსკის სულაც არ მოეწონა ეს

აზრი. მით უმეტეს საშიში იყო კვლევა დაევალებინა სალანდერისთვის, რომელიც უკონტროლო რაკეტასავით მოქმედებდა.

არმანსკის მხოლოდ კომპანიის ბედი არ აწუხებდა. მართალია, სალანდერს დაჰპირდა, რომ მის ცხოვრებაში არასდროს ჩაერეოდა და ყველანაირად ცდილობდა კიდეც, არ შეეწუხებინა, მაგრამ გულში მაინც დარდობდა მასზე. ზოგჯერ სალანდერს თავის ქალიშვილებსაც ადარებდა. არმანსკის თავი კარგ მამად მიაჩნდა, მხოლოდ საჭიროების შემთხვევაში ერეოდა შვილების საქმეებში. თუმცა, მის ქალიშვილებს სალანდერისნაირი ცხოვრების წესი რომ აერჩიათ, ალბათ არ მოუწონებდა.

თავისი ხორვატიული – ან იქნებ ბოსნიური თუ სომხური – გულის სიღრმეში სწამდა, რომ სალანდერს ასეთი ცხოვრების წესი დაღუპავდა. გოგონა ადვილ მსხვერპლად მიაჩნდა ნებისმიერისთვის, ვინც მისთვის ავს ისურვებდა. არმანსკი სულ შიშობდა, ვაითუ ერთ დილას გავიღვიძო და მაცნობონ, სალანდერს ვინმემ რამე დაუშავაო.

– ასეთი სახის გამოძიება ძალიან ძვირი დაჯდება, – ფრთხილად წარმოთქვა არმანსკიმ ფროდეს მოთხოვნის სერიოზულობის შესაფასებლად.

– შეგვიძლია ფასზე შევთანხმდეთ, – თქვა ფროდემ, – შეუძლებელს არ ვითხოვ, მაგრამ, ვხედავ, რომ თქვენი კოლეგა, როგორც თავად დამარწმუნეთ, ბრწყინვალე მკვლევარია.

– სალანდერ? – გოგონასკენ შეტრიალდა წარბებაზიდული არმანსკი.

– ამჟამად მაინც არაფერზე ვმუშაობ.

– კარგი. ოღონდ რაღაც-რაღაც შეზღუდვებზე წინასწარ შევთანხმდებით. ახლა კი მოხსენება ბოლომდე მოვისმინოთ.

– მხოლოდ პირად ცხოვრებაზე თუ დავამატებ ცნობებს. 1986 წელს მიქაელ ბლუმკვისტი მონიკა აბრაჰამსონზე დაქორწინდა და იმავე წელს ქალიშვილი, პერნილა, შეეძინათ. ცოლ-ქმარი 1991 წელს განქორწინდა. აბრაჰამსონი ხელახლა გათხოვდა. მიქაელ ბლუმკვისტი ყოფილ ცოლთან დღემდე მეგობრობს. ქალიშვილი დედასთან ცხოვრობს და მამას იშვიათად ნახულობს.

ფროდემ ისევ ითხოვა ყავა და მერე სალანდერს მიუბრუნდა.

– თქვენ თქვით, საიდუმლო ყველას აქვსო. რამეს მიაგენით?

– იმას ვგულისხმობდი, რომ პირადი ცხოვრებიდან ყველა რაღაცას მალავს. ბლუმკვისტი ქალებში აშკარად დიდი პოპულარობით სარგებლობს. რამდენიმე საყვარელი ჰყავდა და არაერთი ხანმოკლე რომანიც ჰქონია. თუმცა, ერთი პიროვნება გამუდმებით ბრუნდება მის ცხოვრებაში. უჩვეულო ურთიერთობა აკავშირებთ.

– რა მხრივ?

– ერიკა ბერგერი, „მილენიუმის“ მთავარი რედაქტორია. ეს ქალი საზოგადოების ზედა ფენის წარმომადგენელია. დედა შვედი ჰყავს, მამა – წარმოშობით ბელგიელი, მაგრამ შვედეთის მოქალაქე. ბლუმკვისტმა და ბერგერმა ჟურნალისტიკის სასწავლებელში გაიცნეს ერთმანეთი და მას შემდეგ მრავალჯერ გაწყვიტეს და განაახლეს სასიყვარულო ურთიერთობა.

– ეს არც ისე უჩვეულოა, – თქვა ფროდემ.

– არა, ალბათ არაა. თუ იმას არ ჩავთვლით, რომ ბერგერი გათხოვილია. მისი ქმარი გრეგერ ბეკმანი ნაკლებად ცნობილი მხატვარია. მისი საშინელი ნახატები ბევრ საჯარო ადგილს „ამშვენებს“ .

– ესე იგი, ერიკა ბერგერი ქმარს ღალატობს.

– ბეკმანმა მათი ურთიერთობის შესახებ ყველაფერი იცის. როგორც ჩანს, ყველა მხარე კმაყოფილია ამგვარი ვითარებით. ბერგერს ხან ბლუმკვისტთან სძინავს, ხან – ქმართან. როგორ ახერხებენ ამას, არ ვიცი, მაგრამ, ჩემი აზრით, ეს აბრაჰამსონის და ბლუმკვისტის განქორწინების უმთავრესი მიზეზი იყო.

თავი III

პარასკევი, 20/XII – შაბათი, 21/XII

საწერ მაგიდასთან მჯდარმა ერიკა ბერგერმა გაკვირვებით აჰხედა რედაქციაში შესულ გათოშილ მიქაელ ბლუმკვისტს. „მილენიუმის“ რედაქცია იეტგატანზე, პრესტიჟულ უბანში, Greenpeace-ის ოფისის თავზე მდებარეობდა. ქირა მეტისმეტად ძვირი იყო მწირი ფინანსური შესაძლებლობების ჟურნალისთვის, მაგრამ ყველანი შეთანხმებულიყვნენ, რომ ოფისს აუცილებლად შეინარჩუნებდნენ.

ბერგერმა საათს შეხედა. 17:10 იყო. სტოკჰოლმში უკვე ბნელოდა. ქალი ბლუმკვისტს სადილობისას ელოდა.

– მაპატიე, – მოუბოდიშა ბლუმკვისტმა, სანამ ბერგერი ხმას ამოიღებდა, – განაჩენის გამო გულდამძიმებული ვიყავი და საუბრის ხალისი არ მქონდა. მარტო ვსეირნობდი და ვფიქრობდი.

– განაჩენი რადიოში მოვისმინე. TV4-ის იმ წამყვანმა დარეკა და კომენტარის გაკეთება მთხოვა.

– რა უპასუხე?

– ვუთხარი, რომ კომენტარის გაკეთებამდე განაჩენს ყურადღებით უნდა გავცნობოდით. მოკლედ, არაფერი მითქვამს. თუმცა, მე მაინც მგონია, რომ ეს მცდარი სტრატეგიაა. პრესა სუსტებად ჩაგვთვლის. ამაღამ ტელევიზიითაც აუცილებლად კბილს გაგვკრავენ.

ბლუმკვისტი დაღვრემილი უსმენდა.

– როგორ ხარ? – ჰკითხა ქალმა.

ბლუმკვისტმა მხრები აიჩეჩა და კაბინეტში, ფანჯარასთან მდგარ ერიკას საყვარელ სავარძელში მოწყვეტით ჩაეშვა. მკაცრი სტილით მოწყობილ კაბინეტში ერთი საწერი მაგიდა, წიგნების კარადა და იაფფასიანი საოფისე ავეჯი იდგა. ყველაფერი IKEA-ს ფირმისა იყო, გარდა ორი კომფორტული და ექსტრავაგანტული სავარძლისა და მათ შორის მდგარი პატარა მაგიდისა. რა ვქნა, ისე ვარ გაზრდილი, ამ მცირე სიამოვნებაზე უარს ვერ ვამბობო, ხშირად იმეორებდა ერიკა და საწერ მაგიდასთან ჯდომა რომ მობეზრდებოდა, რომელიმე სავარძელში მუხლებშეკეცილი ჩაჯდებოდა ხოლმე. ბლუმკვისტი იეტგატანს გადასცქეროდა. ბნელ ქუჩაში ხალხი ირეოდა. გახურებული საშობაო ვაჭრობა იყო.

– ალბათ მალე გამივლის, – თქვა ბლუმკვისტმა, – მაგრამ ახლა თავს ისე ვგრძნობ, თითქოს სახალხოდ სილა გამაწნეს.

– ჰო, წარმომიდგენია. ეს ყველასთვის მძიმე დარტყმაა. იანე დალმანი შინ ადრე წავიდა.

– არა მგონია, ჩემი განაჩენით ძალიან კმაყოფილი იყოს.

– ხომ იცი, იანე რა ბუზღუნაცაა.

მიქაელმა თავი გააქნია. ბოლო ცხრა თვის განმავლობაში დალმანი ჟურნალის აღმასრულებელ რედაქტორად მუშაობდა. სწორედ მის ამ თანამდებობაზე დანიშვნას დაემთხვა „ვენერსტრომის საქმის“ დაწყება და დალმანი სრულიად მოულოდნელად სარედაქციო კრიზისში აღმოჩნდა. ბლუმკვისტმა სცადა გაეხსენებინა, რა მიზნით შეარჩიეს მან და ბერგერმა დალმანი. რასაკვირველია, ის კომპეტენტური იყო. ჟურნალში გადმოსვლამდე „TT-ის საინფორმაციო სააგენტოში“, საღამოს გაზეთებსა და რადიოს საინფორმაციო გამოშვება „ექოში“ ემუშავა. ბლუმკვისტმა არაერთხელ ინანა, დალმანი რომ აიყვანეს. ის ყველაფერს შავ ფერში ხედავდა და დიდი პესიმისტი ვინმე იყო.

– კრისტერისგან ხომ არაფერი გაგიგია? – ქუჩისთვის თვალის მოუცილებლად ჰკითხა ერიკას ბლუმკვისტმა.

კრისტერ მალმი – „მილენიუმის“ სამხატვრო რედაქტორი და დიზაინერი – ბლუმკვისტთან და ბერგერთან ერთად ჟურნალის თანამეპატრონეც იყო. ამჟამად თავის მეგობარ ბიჭთან ერთად საზღვარგარეთ მოგზაურობდა.

– მოკითხვა შემოგითვალა.

– ჩემი მოვალეობის შესრულება მას მოუწევს.

– მორჩი, მიკე. რედაქტორს ერთი-ორჯერ შემოლაწუნება არაფერს აწყენს. უკეთესიც კია. ესეც საქმის ნაწილია.

– გეთანხმები, მაგრამ სტატიის ავტორიც მე ვარ და ჟურნალის თანამფლობელიც, რაც უკვე ჩემს შეცდომაზე მიუთითებს.

მთელ დღეს ისედაც შფოთსა და მღელვარებაში მყოფმა ბერგერმა კინაღამ იფეთქა. სასამართლო პროცესის დაწყებამდე მთელი ორი კვირა ბლუმკვისტი მოღუშული დადიოდა, მაგრამ ასეთ მოწყენილს და დათრგუნვილს, ბერგერი პირველად ხედავდა. ქალმა მაგიდას შემოუარა, ბლუმკვისტს კალთაში ჩაუჯდა და მკლავები კისერზე შემოჰხვია.

– მიქაელ, ორივემ ვიცით, რა და როგორ მოხდა. ნაწილობრივ, ეს ჩემი ბრალიცაა. ახლა მთავარია, ეს ქარიშხალი ერთად გადავიტანოთ.

– არანაირი ქარიშხლის გადატანა საჭირო არაა. ჩემთვის გამოტანილი განაჩენი პრესისთვის იმას ნიშნავს, რომ შუბლში ტყვია ჩამაჭედეს. „მილენიუმის“ რედაქტორად ვეღარ დავრჩები. ჟურნალისთვის ახლა უმთავრესია, გატეხილი სახელი აღიდგინოს. ეს შენც ჩემსავით კარგად იცი.

– თუ გგონია, რომ ყველაფრის შენს თავზე დაბრალების ნებას მოგცემ, მაშინ, ამდენი წლის ერთობლივი მუშაობის მიუხედავად, კარგად ვერ გაგიცვნივარ.

– კარგად ვიცი, როგორიც ხარ, რიკი, – თანამშრომლების მიმართ ყოველთვის კეთილგანწყობილი. ნება რომ მოგცენ, ვენერსტრომის იურისტებთან ბრძოლას იქამდე გააგრძელებ, სანამ საკუთარ კარიერასაც არ დაინგრევ. გონივრულად უნდა მოვიქცეთ.

– შენი აზრით, გონივრულია ზღვაში გადახტე და ყველამ იფიქროს, რომ ხელი მე გკარი?

– „მილენიუმის“ ბედი ახლა შენს ხელშია. კრისტერი კარგი ბიჭია, მაგრამ ის მხოლოდ დიზაინსა და ფოტოებში ერკვევა. ქუჩაში მილიარდერებთან ბრძოლა მისი საქმე არაა. ცოტა ხნით უნდა გავუჩინარდე, საერთოდ შევეშვები რედაქტორობას, რეპორტიორობას და ჟურნალის გამოცემას. ვენერსტრომმა იცის, რომ მის მაქინაციებზე ბევრი რამ ვიცი და, სანამ „მილენიუმთან“ რამე კავშირი მექნება, ჟურნალის საბოლოოდ განადგურებას ეცდება.

– მაშ, ყველა ფაქტი გამოვაქვეყნოთ! გამარჯვება ან სიკვდილი!

– აზრი არ აქვს, ვერაფერს დავამტკიცებთ. თანაც ჩემი რეპუტაცია შელახულია. მოდი, შევეგუოთ იმ აზრს, რომ ეს რაუნდი ვენერსტრომმა მოიგო.

– კარგი, სამსახურიდან დაგითხოვ. მერე რას იზამ?

– დასვენება მჭირდება. სრულიად გამოფიტული ვარ. ცოტა ხნით განვმარტოვდები ჯერ სადმე, მერე – ციხეში. დანარჩენს მომავალი გვიჩვენებს.

ბერგერმა ბლუმკვისტის თავი მკერდზე მიიკრა და კაცს ძლიერად ჩაეხუტა.

– თუ გინდა, ამაღამ შენთან დავრჩები.

ბლუმკვისტმა თავი დაუქნია.

– კარგი. გრეგერს უკვე ვუთხარი, რომ ამაღამ შენთან ვრჩები.

ოთახს მხოლოდ ქუჩიდან შემოსული ლამპიონების შუქი ანათებდა. ბერგერს ორ საათზე ჩაეძინა. ბლუმკვისტს ეღვიძა და ნახევრად ბნელში ქალის პროფილს აკვირდებოდა. ბერგერს საბანი მხრებამდე გადაეფარებინა და მისი მკერდი საბნის ქვეშ ნელა ადიოდ-ჩამოდიოდა. ბლუმკვისტი მოდუნებული იყო, მღელვარება

გულიდან გადაჰყროდა. ბერგერი ყოველთვის ახერხებდა მის დამშვიდებას. ბლუმკვისტსაც კარგად გამოსდიოდა იგივე.

„ოცი წელია, ერთმანეთს ვიცნობთ, – გაიფიქრა კაცმა, – და კიდევ ოცი წელი გავაგრძელებ მასთან წოლას“.

ბლუმკვისტი და ბერგერი თავიანთ ურთიერთობას არასდროს არავის უმალავდნენ, მიუხედავად იმისა, რომ ამის გამო ხშირად უხერხულ ვითარებაშიც მოხვედრილან.

ერთმანეთი ჟურნალისტიკის სასწავლებლის მეორე კურსზე გაიცნეს. წვეულებაზე შეხვდნენ და დამშვიდობებამდე ტელეფონის ნომრები გაცვალეს. ორივემ იმწუთიდანვე იცოდა, რომ საწოლში ერთად აღმოჩნდებოდნენ და ზუსტად ერთ კვირაში, ისე, რომ თავიანთი იმჟამინდელი პარტნიორებისთვის არაფერი აუხსნიათ, ასეც მოხდა.

ბლუმკვისტმა იცოდა, რომ ეს არ იყო სიყვარული ძველმოდური გაგებით: ის და ბერგერი არ იცხოვრებდნენ ერთ სახლში, ერთად არ დაფარავდნენ სახლის საყიდლად აღებულ იპოთეკურ სესხს, არ დადგამდნენ ნაძვის ხეებს და არ ეყოლებოდათ შვილები. ოთხმოციან წლებში, როცა ორივე თავისუფალი იყო, ერთად ცხოვრებაზე ბევრჯერ დაფიქრდნენ. ბლუმკვისტი თანახმა იყო, მაგრამ ბერგერი უკანასკნელ მომენტში ყოველთვის გადაიფიქრებდა ხოლმე. ამტკიცებდა, არაფერი გამოგვივა, თუ ერთმანეთი შეგვიყვარდება, რაც გვაქვს, ყველაფერს დავკარგავთო. ბლუმკვისტს კი არც ერთი ქალი ისე არ იზიდავდა, როგორც ბერგერი. ერთმანეთს კარგად ეწყობოდნენ და უერთმანეთოდ ვერ ძლებდნენ.

ზოგჯერ იმდენ დროს ატარებდნენ ერთად, რომ ბევრს ცოლ-ქმარი ეგონა; ზოგჯერ თვეობით ვერ ხედავდნენ ერთმანეთს. თუმცა, როგორც ალკოჰოლიკი ვერ აუვლის გვერდს არყის მაღაზიას, ისე ბლუმკვისტი და ბერგერი ადრე თუ გვიან ისევ ერთმანეთს უბრუნდებოდნენ.

სამწუხაროდ, მათი ასეთი ურთიერთობა, საბოლოო ჯამში, მხოლოდ ტკივილს იწვევდა. მათ უამრავი პირობა დაარღვიეს და მრავალი საყვარელი მიატოვეს – ბლუმკვისტს ოჯახი დაენგრა იმის გამო, რომ ერიკა ბერგერი ვერ მიატოვა. მას არასდროს დაუმალავს თავისი ცოლისთვის ბერგერის შესახებ, მაგრამ მონიკას ეგონა, რომ დაქორწინებისა და შვილის გაჩენის შემდეგ ყველაფერი დასრულდებოდა. როცა ბერგერი გრეგერ ბეკმანს გაჰყვა ცოლად, ბლუმკვისტმაც იფიქრა, ყველაფერი მართლაც დასრულდაო; მას და ბერგერს მთელი წელი მხოლოდ საქმიანი ურთიერთობა აკავშირებდათ. შემდეგ „მილენიუმი“ დააარსეს და რამდენიმე კვირაში ყველა სხვა გონივრული განზრახვა გადაავიწყდათ. ერთ საღამოს ვნებიანი სექსი ჰქონდათ პირდაპირ ბერგერის საწერ მაგიდაზე. ამას მძიმე პერიოდი მოჰყვა. ბლუმკვისტს, ერთი მხრივ, ოჯახის შენარჩუნება და შვილისთვის მამობის გაწევა სურდა, მეორე მხრივ კი, ბერგერი ძლიერ იზიდავდა. სალანდერმა ზუსტად

გამოიცნო: სწორედ ბლუმკვისტის მუდმივმა ღალატმა აიძულა მონიკა, ქმარს გაჰყროდა.

რაც უნდა უცნაური იყოს, ბეკმანი ბერგერისა და ბლუმკვისტის ურთიერთობას არ ეწინააღმდეგებოდა. ბერგერი არასდროს მალავდა ბლუმკვისტის მიმართ თავის გრძნობებს და ქმარს მაშინვე გაუმხილა, რომ ის და ბლუმკვისტი ისევ ერთად იყვნენ. ალბათ მხატვარი უნდა იყო ან საკუთარ შემოქმედებასა თუ საკუთარ თავზე ფიქრებით შთანთქმული, რომ შენი ცოლის სხვა კაცთან წოლას უსიტყვოდ შეეგუო. ბერგერი შვებულებასაც კი ჰყოფდა. ნახევარს ქმართან ატარებდა, ნახევარს – საყვარელთან, სანდჰამნის საზაფხულო აგარაკზე. ბლუმკვისტი მაინცდამაინც დიდი აზრის არ იყო ბეკმანზე და ვერც იმას ხვდებოდა, რატომ უყვარდა ბერგერს ის კაცი. თუმცა, მაინც კმაყოფილი იყო, რომ ბეკმანი ცოლს ნებას აძლევდა, ერთდროულად ორი კაცი ჰყვარებოდა.

ბლუმკვისტმა ვერ დაიძინა და ოთხ საათზე ადგა. სამზარეულოში გავიდა და კიდევ ერთხელ, თავიდან ბოლომდე წაიკითხა სასამართლოს განაჩენი. ამ გადასახედიდან, არჰოლმაში შეხვედრა ნამდვილად საბედისწეროდ ეჩვენებოდა. ზუსტად არ იცოდა, იახტის კაიუტაში შეზარხოშებულმა ლინდბერგმა ვენერსტრომის თაღლითობაზე სადღეგრძელოებს შორის გასართობად უამბო თუ მართლა სურდა, რომ ეს ინფორმაცია საჯარო გამხდარიყო.

ბლუმკვისტი უფრო პირველი ვერსიისკენ იხრებოდა. ან იქნებ ლინდბერგს პირადი ან საქმიანი მიზნებით ვენერსტრომისთვის ზიანის მიყენება სურდა და ჟურნალისტთან შემთხვევითი შეხვედრა ამისთვის გამოიყენა? მიუხედავად სიმთვრალისა, ლინდბერგმა ხომ დაჟინებით მოსთხოვა ბლუმკვისტს, ინფორმატორის ვინაობა ანონიმურად დატოვეო. შემდეგ კი თავისუფლად განაგრძო თხრობა, როცა დარწმუნდა, რომ მეგობარი მის ვინაობას არასდროს გაამხელდა.

თუკი არჰოლმაში ის შეხვედრა დადგმული იყო, მაშინ ლინდბერგს უმაღლეს დონეზე შეუსრულებია თავისი როლი. მაგრამ ისინი ხომ სრულიად შემთხვევით შეხვდნენ?

შესაძლოა, ლინდბერგმა არც იცოდა, რომ ბლუმკვისტი ვენერსტრომისნაირი პიროვნებების მიმართ ზიზღს განიცდიდა. თავისი კარიერის განმავლობაში შეძენილ გამოცდილებას ბლუმკვისტი მტკიცედ დაერწმუნებინა, რომ ნებისმიერი ბანკის დირექტორი თუ კორპორაციის ცნობილი ხელმძღვანელი ნაღდი კრეტინია.

ბლუმკვისტი არ იცნობდა ლიზბეთ სალანდერს და არანაირი წარმოდგენა არ ჰქონდა გოგონას მიერ იმ დღეს ადვოკატ ფროდესთვის წარდგენილ ანგარიშზე. თუმცა, ეს მოხსენება მასაც რომ მოესმინა, ალბათ თავის ქნევით დაეთანხმებოდა, რომ ფინანსისტების მიმართ მისი ზიზღი სულაც არ იყო მემარცხენე პოლიტიკური რადიკალიზმით გამოწვეული. მართალია, მიქაელს პოლიტიკა აინტერესებდა, მაგრამ ძალიან სკეპტიკურად უყურებდა ყოველგვარ „იზმს“. მხოლოდ ერთ, 1982 წლის

საპარლამენტო არჩევნებში მიიღო მონაწილეობა და მაშინაც მცირე ყოყმანის შემდეგ „სოციალ-დემოკრატებს“ მისცა ხმა. მისი აზრით, არაფერი იქნებოდა იმაზე უარესი, კიდევ სამი წლით იოსტა ბომანი ჰყოლოდათ ფინანსთა მინისტრად, ხოლო ტურბიორნ ფელდინი (ან თუნდაც ულა ულსტენი) – პრემიერ-მინისტრად. ამიტომაც ხმა მისცა ულოფ პალმეს და ხელთ შერჩა პრემიერ-მინისტრის სიკვდილი, „ბოფორსის სკანდალი“ და ებე კარლსონი.

თავისი კოლეგა ჟურნალისტების მიმართ ბლუმკვისტის ზიზღი მათ ამორალურობას ეფუძნებოდა. პირადად მისთვის ყველაფერი მარტივად იყო; ბანკის დირექტორი, ვინც მილიარდებს უაზრო საბაზრო სპეკულაციებში ფლანგავს, თანამდებობიდან უნდა გაათავისუფლო; აღმასრულებელი დირექტორი, ვინც „ხელოვნურ“ კომპანიებს ქმნის, ციხეში უნდა ჩასვა; კომუნალური ბინის მესაკუთრე, ვინც ახალგაზრდებს ერთ ოთახსა და საერთო ტუალეტში დიდძალ თანხას ახდევინებს, უნდა ჩამოახრჩო.

ბლუმკვისტის აზრით, ეკონომიკური საკითხების მიმომხილველი ჟურნალისტის მოვალეობა იმ „ზვიგენების“ გამოვლენა უნდა იყოს, ვინც საბანკო კრიზისს იწვევს და მცირე ინვესტორების დანაზოგებს ფლანგავს; ეკონომიკური საკითხების მიმომხილველი ჟურნალისტი მაღალი თანამდებობის ფინანსისტების ყოველ ნაბიჯს ისე უმოწყალოდ და გულმოდგინედ უნდა აკონტროლებდეს, როგორც პოლიტიკის მიმომხილველი ჟურნალისტები აკონტროლებენ მინისტრებსა და პარლამენტარებს. ბლუმკვისტი ვერაფრით ხვდებოდა, რატომ მიაჩნდათ გავლენიანი ეკონომიკური გამოცემების ჟურნალისტებს ვიღაც საშუალო ბირჟის სპეკულანტი ნამდვილ როკ-ვარსკვლავად.

თავისი ხედვისა და შეუდრეკელი პოზიციის გამო ბლუმკვისტს ბევრჯერ მოსვლია უთანხმოება თავის კოლეგებთან. მაგალითად, ბორგი, მის მარადიულ მტრად იყო ქცეული. ბლუმკვისტმა საზოგადოებაში კრიტიკოსის სახელი დაიმკვიდრა და ხშირად იწვევდნენ სატელევიზიო გადაცემებში მწვავე კომენტარის გასაკეთებლად, თუკი რომელიმე კომპანიის აღმასრულებელი საბჭოს წევრს მილიარდობით კრონის გაფლანგვაში გამოიჭერდნენ.

ამ ყველაფრის გამო ბლუმკვისტს ეჭვი არ ეპარებოდა, რომ ამ საღამოს ბევრი საღამოს გაზეთის რედაქციაში შამპანურით იზეიმეს მისი დამარცხება.

ერიკაც იზიარებდა მის აზრს ჟურნალისტის როლსა და მოვალეობაზე. ჯერ კიდევ ჟურნალისტიკის სასწავლებელში სწავლისას ოცნებობდნენ საკუთარ ჟურნალზე, რომელიც სწორედ ასეთ პრინციპებზე იქნებოდა დაფუძნებული.

ერიკაზე უკეთესი უფროსის წარმოდგენა, მიქაელის აზრით, შეუძლებელი იყო. ის დიდებული ორგანიზატორი იყო, თანამშრომლებს კეთილად ეპყრობოდა და ენდობოდა, მაგრამ საჭიროების შემთხვევაში, არც სიმკაცრის გამოჩენას და კამათს ერიდებოდა. რაც მთავარია, ყოველთვის ცივი გონებით მოქმედებდა, როცა

ჟურნალის ახალ ნომერზე მუშაობდნენ. მას და მიქაელს ხშირად განსხვავებული აზრი გააჩნდათ ამა თუ იმ საკითხზე და ბევრჯერ ცხარედაც კამათობდნენ, მაგრამ ერთმანეთისა მტკიცედ სჯეროდათ და ერთად დაუმარცხებელ გუნდს წარმოადგენდნენ. ბლუმკვისტი მასალებს იძიებდა და სტატიებს წერდა, ბერგერი კი მკითხველისთვის მისაღებად ფუთავდა ჟურნალს.

„მილენიუმი“ მათი ერთობლივი შრომის ნაყოფი იყო, მაგრამ მისი არსებობა ალბათ ყოველთვის ეჭვქვეშ იდგებოდა, რომ არა ერიკას ფინანსური რესურსების მოძიების უჩვეულო ნიჭი. მუშათა კლასიდან გამოსული ბიჭი და მდიდართა კლასიდან გამოსული გოგონა ერთად სამაგალითოდ მოქმედებდნენ. ერიკას მემკვიდრეობითაც ერგო გარკვეული თანხა. ჟურნალის დასაარსებლად ძირითადი ფული სწორედ მან გაიღო. შემდეგ კი მამა და სხვა ნაცნობები დაითანხმა, პროექტში მნიშვნელოვანი თანხა ჩაედოთ.

მიქაელს ყოველთვის უკვირდა, რატომ დაინტერესდა ერიკა „მილენიუმით“. რა თქმა უნდა, ის, რომ თავის მიერ დაარსებული ჟურნალის თანამფლობელი და მთავარი რედაქტორი იყო, ბერგერს საზოგადოების თვალში უფრო მეტ ავტორიტეტს სძენდა, ვიდრე სხვა რომელიმე სამსახურში მოიპოვებდა. თუმცა, მიქაელისგან განსხვავებით, უმაღლესი სასწავლებლის დამთავრების შემდეგ, ერიკას სატელევიზიო ჟურნალისტიკა უფრო აინტერესებდა. ეკრანზეც არაჩვეულებრივად გამოიყურებოდა და, მებრძოლი ბუნებისა, ნებიმისმიერ კონკურენციასაც გაუძლებდა; გარდა ამისა, საჭირო კონტაქტებიც გააჩნდა ბიუროკრატიულ წრეებში. ამ საქმეს რომ გაჰყოლოდა, ერიკა ბერგერი უკვე რომელიმე სატელევიზიო არხის ხელმძღვანელი იქნებოდა და უფრო მაღალ ანაზღაურებასაც მიიღებდა, ვიდრე თვითონ უხდიდა საკუთარ თავს.

ბერგერმა კრისტერ მალმიც დაარწმუნა, ჟურნალის თანამეპატრონე გამხდარიყო. კრისტერი ცნობილი ეგზიბიციონისტი გეი იყო, რომელიც თავის მეგობარ ბიჭთან ერთად ხანდახან ჟურნალის „საშინაო ამბების“ განყოფილებაში ჩნდებოდა. მის მიმართ ინტერესი მას შემდეგ გაიზარდა, რაც არნოლდ მაგნუსონთან გადავიდა საცხოვრებლად. „სამეფო დრამატული თეატრის“ მსახიობ მაგნუსონს სახელი უფრო რეალურ შოუში მონაწილეობით გაეთქვა. კრისტერი და არნი ყვითელი პრესის ნამდვილი ვარსკვლავები იყვნენ.

ოცდათექვსმეტი წლის ნიჭიერი ფოტოგრაფი და დიზაინერი მალმი „მილენიუმს“ თანამედროვედ და მიმზიდველად აფორმებდა. თვეში ერთ კვირას რედაქციაში ატარებდა და ჟურნალის გრაფიკულ დიზაინზე მუშაობდა.

„მილენიუმის“ კოლექტივი ერთი სტაჟიორის, სრულ განაკვეთზე მომუშავე სამი და ნახევარ განაკვეთზე მომუშავე ორი ჟურნალისტისგან შედგებოდა. ჟურნალის შენახვა ძვირი ჯდებოდა, მაგრამ ხარჯების დაფარვასაც ახერხებდნენ და სარეკლამო შემოსავლებიც ნელა, მაგრამ თანდათან იზრდებოდა. „მილენიუმს“ სერიოზულ და სანდო ჟურნალად იცნობდნენ.

თუმცა, სიტუაცია ალბათ მალე შეიცვლებოდა. ბლუმკვისტმა თვალი გადაავლო მისი და ერიკას კომენტარებს, რომელიც უმალ გაევრცელებინა „TT -ის საინფორმაციო სააგენტოს“ და უკვე Aftonbladet-ის ვებ-გვერდზეც დაედოთ.

„დადანაშაულებელი ჟურნალისტი „მილენიუმს“ ტოვებს.

სტოკოჰოლმი (TT)

„ჟურნალისტი მიქაელ ბლუმკვისტი ჟურნალ „მილენიუმის“ რედაქტორის თანამდებობას ტოვებს, – განაცხადა ჟურნალის მთავარმა რედაქტორმა და თანამფლობელმა ერიკა ბერგერმა.

ბლუმკვისტი ჟურნალიდან საკუთარი სურვილით მიდის.

„ბოლო თვეების განმავლობაში ვითარების დრამატულმა განვითარებამ, ის ძალიან გადაღალა და დასვენება სჭირდება“, – აცხადებს ერიკა ბერგერი.

ბლუმკვისტი ერთ-ერთი დამფუძნებელია ჟურნალ „მილენიუმისა“ , რომელმაც არსებობა 1990 წელს დაიწყო. ბერგერის აზრით, ეგრეთ წოდებული „ვენერსტრომის საქმის“ წაგება ჟურნალის მომავალზე უარყოფითად არ აისახება.

„ჟურნალის ახალი ნომერი შემდეგ თვეში გამოვა, – განაცხადა მან, – მიქაელ ბლუმკვისტმა დიდი როლი ითამაშა ჟურნალის განვითარებაში, მაგრამ დღეს ჩვენ ჟურნალის ისტორიის ამ ფურცელს გადავშლით“.

ბერგერი „ვენერსტრომის საქმეს“ უიღბლო შემთხვევითობად მიიჩნევს და წუხს ჰანს-ერიკ ვენერსტრომისთვის მიყენებული უსიამოვნების გამო.

თავად ბლუმკვისტს ამ დრომდე კომენტარი არ გაუკეთებია. მასთან დაკავშირება შეუძლებელია“.

– რა საშინელებაა, – თქვა ბერგერმა, როცა ეს პრეს-რელიზი ელფოსტით გაგზავნეს, – ბევრი იფიქრებს, რომ შენ იდიოტი ხარ, მე კი უსულგულო ძუკნა, რომელმაც ჟურნალიდან გაგაგდო.

– სამაგიეროდ ჩვენს მეგობრებს ახალი საჭორაო თემა გამოუჩნდებათ, – სიტუაციის განმუხტვა სცადა ბლუმკვისტმა, მაგრამ ქალს არც კი გაღიმებია.

– სათადარიგო გეგმა არ მაქვს, მაგრამ მგონია, რომ შეცდომას ვუშვებთ, – თქვა მან.

– ეს ერთადერთი გამოსავალია. თუ ჟურნალი მკითხველის ნდობას დაკარგავს, ამდენი წლის ნაშრომი სულ წყალში გადაგვეყრება. კარგად იცი, რომ სარეკლამო შემოსავალმა ისედაც იკლო. სხვათა შორის, კომპიუტერულმა კომპანიამ რა გვიპასუხა?

ბერგერმა ამოიოხრა.

– ამ დილით დამირეკეს და მაცნობეს, რომ მომდევნო ნომერში რეკლამას აღარ განათავსებენ.

– ვენერსტრომი იმ კომპანიის მეწილეა. არა მგონია, დამთხვევა იყოს.

– იმედია, ახალი კლიენტებიც არ დაფრთხებიან. ვენერსტრომი გავლენიანი კია, მაგრამ მთელ შვედეთს არ ფლობს. ჩვენც გვყავს მომხრეები.

ბლუმკვისტმა ქალს წელზე შემოჰხვია ხელი და თავისკენ მიიზიდა.

– ერთხელაც ჰერ ვენერსტრომს ისეთ თაღლითობაში გამოვიჭერთ, რომ უოლ-სტრიტიც კი შეზანზარდებდა, მაგრამ ჯერ ეს აჟიოტაჟი უნდა მიწყნარდეს.

– ვიცი, მაგრამ არ მინდა, დამპალ ძუკნად გამოვჩნდე. თანაც შენც საშინელ მდგომარეობაში აღმოჩნდები, თუ თავს ისე მოვაჩვენებთ, თითქოს ურთიერთობა გავწყვიტეთ.

– რიკი, სანამ მე და შენ ერთმანეთს ვენდობით, შანსი კიდევ გვაქვს. ინტუიციას უნდა ვენდოთ. ახლა უკან დახევის დროა.

ბერგერი უხალისოდ დაეთანხმა, რომ მისი სიტყვები მკაცრი, მაგრამ გონივრული იყო.

თავი IV

ორშაბათი, 23/XII-ხუთშაბათი, 26/XII

ბერგერი შაბათ-კვირას ბლუმკვისტთან დარჩა. საწოლიდან მხოლოდ სააბაზანოში გასასვლელად ან საჭმელად დგებოდნენ. თუმცა, სულ სექსითაც არ იყვნენ დაკავებულნი. საათობით იწვნენ და საუბრობდნენ, სამომავლო გეგმებს აწყობდნენ და წარმატების შანსებს აფასებდნენ. ორშაბათ დილას, შობის წინადღეს, ბერგერი კოცნით დაემშვიდობა და შინ წავიდა.

ორშაბათი დილა ბლუმკვისტმა ჭურჭლის რეცხვასა და ბინის დალაგებას მოანდომა. შემდეგ რედაქციაში წავიდა და თავისი სამუშაო მაგიდის ალაგება დაიწყო. ჟურნალთან კავშირის გაწყვეტას არ აპირებდა, მაგრამ ბერგერი უკვე დაერწმუნებინა, რომ დროებით ჟურნალიდან უნდა წასულიყო და შინ ემუშავა.

რედაქცია ცარიელი იყო, კოლეგები საშობაო შვებულებაში იყვნენ. ბლუმკვისტი საქაღალდეებს არჩევდა და მუყაოს ყუთში აწყობდა, როცა ტელეფონი აწკრიალდა.

– მიქაელ ბლუმკვისტს სთხოვეთ, თუ შეიძლება, – მეგობრული, მაგრამ უცნობი ხმა გაისმა ყურმილში.

– გისმენთ.

– უკაცრავად, რომ გაწუხებთ. მე დირკ ფროდე ვარ, – ბლუმკვისტმა სახელი და დრო ჩაინიშნა, – ადვოკატი ვარ და წარმოვადგენ ჩემს კლიენტს, რომელსაც თქვენთან შეხვედრის დიდი სურვილი აქვს.

– კეთილი. გადაეცით თქვენს კლიენტს, რომ დამირეკოს.

– მას პირადად სურს თქვენთან შეხვედრა.

– მაშინ დრო დავთქვათ და რედაქციაში მოვიდეს. ოღონდ, დაუჩქაროს. მალე სამსახურიდან მივდივარ.

– ჩემს კლიენტს სურს, ჰედესტადში შეგხვდეთ. იქამდე სულ სამი საათის გზაა მატარებლით.

ბლუმკვისტმა საქაღალდეები განზე გასწია. მედიას უამრავი გიჟის მიზიდვა შეუძლია, გირეკავენ და ათასგვარ სულელურ რჩევას გაძლევენ. ყოველ საინფორმაციო სააგენტოს მთელ მსოფლიოში გამუდმებით აწვდიან ცნობებს უფოლოგები, გრაფოლოგები, საიენტოლოგები, პარანოიკები და შეთქმულების თეორიების მოყვარულები.

ერთხელ ბლუმკვისტი მშრომელთა საგანმანათლებლო ასოციაციის დარბაზში მწერალ კარლ ალვარ ნილსონის ულოფ პალმეს მკვლელობის წლისთავისადმი

მიძღვნილ ლექციას უსმენდა. სერიოზული ლექცია იყო, მსმენელთა შორის ლენარტ ბოდსტრომი და პალმეს სხვა მეგობრებიც ისხდნენ. თუმცა, საოცრად ბევრი მოყვარული გამომძიებელიც მოსულიყო. მათ შორის ერთი ორმოცს გადაცილებული ქალიც იყო, რომელმაც ლექციის დასრულების და კითხვა-პასუხის რეჟიმში გადასვლის შემდეგ, შეთავაზებულ მიკროფონს ხელი სტაცა და ძლივს გასარჩევად აჩურჩულდა. მისმა უჩვეულო საქციელმა აუდიტორია ისე დააინტერესა, რომ აღარავის გაჰკვირვებია, როცა ქალმა თქვა:

– მე ვიცი, ვინ მოკლა ულოფ პალმე.

ქალს ირონიულად შესთავაზეს, თუ რამე ინფორმაციას ფლობთ, პალმეს მკვლელობის გამოძიებას დაეხმარეთო, მაგრამ მან სასწრაფოდ უპასუხა:

– არ შემიძლია, – თქვა ჩუმად, – ეს ძალიან საშიშია.

ბლუმკვისტმა გაიფიქრა, იქნებ ფროდეც ერთ-ერთი ასეთი „სიმართლის მცოდნეა“, რომელმაც „სეპოს“, უსაფრთხოების პოლიციის, საიდუმლო საგიჟეთზე უნდა მიამბოს, სადაც ტვინის გამორეცხვის და კონტროლის აკრძალულ ექსპერიმენტებს ატარებენო.

– მე სახლში არავისთან მივდივარ ხოლმე, – უპასუხა ბლუმკვისტმა ფროდეს.

– ვიმედოვნებ, ჩვენთვის გამონაკლისს დაუშვებთ. ჩემი კლიენტი ოთხმოც წელს გადაცილებულია და სტოკჰოლმში ჩამოსვლა ფიზიკურად ძალიან გადაღლის. თუ დაიჟინებთ, რასაკვირველია, როგორმე რამეს მოვიფიქრებთ, მაგრამ მაინც აჯობებდა თუ პატივს დაგვდებდით და...

– ვინაა თქვენი კლიენტი?

– დარწმუნებული ვარ, თქვენი პროფესიის ადამიანს მისი სახელი მრავალჯერ გექნებათ გაგონილი. ჩემი კლიენტი ჰენრიკ ვანგერია.

ბლუმკვისტი მოულოდნელობისგან სავარძლის საზურგეზე გადაწვა. რა თქმა უნდა, ჰენრიკ ვანგერის სახელი გაეგონა. ეს იყო მეწარმე და ყოფილი თავმჯდომარე ვანგერის კორპორაციისა, რომლის სახელიც სატყეო მასალის სახერხებთან, მაღაროებთან, ფოლადის, ლითონის და ტექსტილის წარმოებასთან ასოცირდებოდა. თავის დროზე ვანგერი დიდი კაცი იყო, ოჯახის ნამდვილი პატრიარქი, გავლენიანი და უშიშარი პიროვნება, შვედეთის ინდუსტრიის ქვაკუთხედი, მატს კარლგრენთან და „ელექტროლუქსელ“ ჰანს ვერტენთან ერთად ბიზნესმენთა ძველი სკოლის თვალსაჩინო წარმომადგენელი; შვედეთის მრეწველობის ხერხემალი ქვეყნის სოციალური კეთილდღეობის ზენიტში და ა. შ.

ვანგერების კორპორაცია კვლავაც ოჯახის მფლობელობაში იყო, მაგრამ ოცდახუთი წლის განმავლობაში ძალიან დაეუძლურებინა უამრავ რეორგანიზაციას, საფონდო

ბირჟისა თუ საბანკო კრიზისს, აზიურ კონკურენციას, ექსპორტის შემცირებას და სხვა ბევრ უსიამოვნებას. კორპორაციის დასუსტებას ვანგერების ოჯახის გავლენიანობაც შეემცირებინა. კომპანიას ამჟამად მარტინ ვანგერი მართავდა, რომლის სახელის გაგონებაზეც ბლუმკვისტს ყოველთვის თვალწინ წარმოუდგებოდა ჩია, დონდლო და ხშირთმიანი კაცი, რომელიც ხანდახან გაიელვებდა ხოლმე ტელევიზორის ეკრანებზე. აი, ჰენრიკ ვანგერზე კი ბევრი არაფერი იცოდა – უკვე ოცი წელი გასულიყო მისი აქტიური ბიზნესიდან წასვლის შემდეგ.

– ჰენრიკ ვანგერს ჩემთან შეხვედრა რატომ სურს?

– მრავალი წელია, რაც ჰერ ვანგერის ადვოკატი ვარ, მაგრამ თავის სათქმელს ის თვითონ გეტყვით. მე მხოლოდ იმის თქმა შემიძლია, რომ ჰერ ვანგერს თქვენთვის სამუშაოს შეთავაზება სურს.

– სამუშაოს? სულაც არ ვაპირებ ვანგერების კომპანიაში მუშაობას. პრეს-მდივანი გჭირდებათ?

– არა. არ ვიცი, როგორ აგიხსნათ. ჰერ ვანგერს ძალიან ეჩქარება თქვენთან პირადულ საკითხზე საუბარი.

– კიდევ უფრო დამაბნიეთ.

– მაპატიეთ. მაშ, არსებობს შანსი, რომ ჰედესტადში გვესტუმრებით? ბუნებრივია, თქვენს სამგზავრო ხარჯებსაც ჩვენ დავფარავთ და ანაზღაურებასაც სათანადოს მიიღებთ.

– ძალიან უხერხულ დროს დამიკავშირდით. ბევრი საქმე მაქვს და თან... ამ ბოლო დღეებში, გაზეთის სათაურებში ჩემი სახელი ალბათ ბევრჯერ ამოიკითხეთ.

– „ვენერსტრომის საქმეს“ გულისხმობთ? – ჩაიფხუკუნა ფროდემ, – პრესას რამდენიმედღიანი გასართობი მიეცა. თუმცა, ჰერ ვანგერი იმ სტატიამ უფრო დააინტერესა, რამაც მთელი ეს აურზაური გამოიწვია. სურს, რომ სამუშაოს შესასრულებლად დაგიქირავოთ. მე მხოლოდ შუამავალი ვარ. სამუშაოს შინაარსის ახსნა მხოლოდ მას შეუძლია.

– კარგა ხანია, ასეთი უცნაური შეთავაზება არ მიმიღია. მოდი, ცოტას დავფიქრდები. როგორ დაგიკავშირდეთ?

ბლუმკვისტი მაგიდაზე უწესრიგოდ მიმოფანტულ ქაღალდებს დააშტერდა. წარმოდგენა არ ჰქონდა, რა სამუშაო უნდა შეეთავაზებინა მისთვის ჰენრიკ ვანგერს, მაგრამ ადვოკატმა მისი დაინტერესება შეძლო.

ბლუმკვისტმა „ვანგერების კომპანია“ ჩაწერა Google-ში. გაირკვა, რომ მიუხედავად მათი ოჯახის გავლენიანობის შემცირებისა, პრესა თითქმის ყოველდღე წერდა მათზე.

ბლუმკვისტმა კომპანიის საქმიანობის ანალიზის ათამდე ფაილი შეინახა. შემდეგ ფროდესა და ჰენრიკ და მარტინ ვანგერებზე ცნობები მოძებნა.

მარტინ ვანგერი ვანგერების კორპორაციის აღმასრულებელი დირექტორის მოვალეობას ასრულებდა და საკმაოდ პოპულარული იყო – მის სახელი ბევრგან შეხვდა. ფროდეზე ბევრი ცნობა ვერ მოიძია. ის ჰედესტადის გოლფის კლუბის საბჭოს და როტერი-კლუბის აქტიური წევრი იყო. ჰენრიკ ვანგერი, ერთი გამონაკლისის გარდა, ისეთ სტატიებში იყო მოხსენიებული, რომლებიც კომპანიის ისტორიას ეხებოდა. ორი წლის წინ Hedestads-Kuriren-ის ყოფილი მაგნატის ოთხმოცი წლის იუბილესთვის მისალოცი სტატია და მოკლე სკეტჩი მიეძღვნა. ბლუმკვისტმა საინტერესო მასალები ამობეჭდა და ერთ საქაღალდეში ჩააწყო. სულ დაახლოებით ორმოცდაათი ფურცელი გამოვიდა. შემდეგ მაგიდა ბოლომდე აალაგა, მუყაოს ყუთი დალუქა და გაურკვეველი დროით სახლში წავიდა.

სალანდერმა შობის წინაღამე ქალაქ უპლანდს-ვესბის „აპელვიკენის პანსიონატში“ გაატარა. საჩუქრები ეყიდა: „დიორის“ ქალის სუნამო და ინგლისური კექსი. ყავას სვამდა და თვალს არ აშორებდა ორმოცდაექვსი წლის ქალს, რომელიც ტლანქი თითებით ამაოდ ცდილობდა ლენტის გახსნას. სალანდერს თვალებში სიბრალული ჩასდგომოდა, თუმცა ვერაფრით იჯერებდა, რომ ეს უცხო ქალი დედამისი იყო – მას არც გარეგნობით ჰგავდა და არც ხასიათით.

სალანდერის დედამ ლენტთან ბრძოლას თავი ანება და უმწეოდ დააშტერდა საჩუქრის ყუთს. დღეს მას მძიმე დღე ჰქონდა. სალანდერმა მაგიდაზე, თვალსაჩინო ადგილას დადებული მაკრატელი ახლოს მიუჩოჩა. დედამისი უეცრად გამოერკვა.

– ალბათ, ფიქრობ, რომ სულელი ვარ.

– არა, დედა. შენ არ ხარ სულელი. ეს ცხოვრებაა უსამართლო.

– შენი და ნახე?

– კარგა ხანია, არ მინახავს.

– ის საერთოდ არ დადის ჩემს სანახავად.

– ვიცი. არც ჩემს სანახავად დადის ხოლმე.

– სადმე მუშაობ?

– კი. კარგი სამსახური მაქვს.

– სად ცხოვრობ? ისიც კი არ ვიცი, სად ცხოვრობ.

– შენს ძველ ბინაში ლუნდაგატანზე. უკვე რამდენიმე წელია, იქ ვცხოვრობ. ახლა ქირას მე ვიხდი.

– ზაფხულში როგორმე გინახულებ.

– კარგი. ზაფხულში მინახულე.

სალანდერის დედამ, როგორც იქნა, გახსნა ყუთი და არომატი შეიყნოსა.

– გმადლობ, კამილა, – თქვა მან.

– ლიზბეთ. მე ლიზბეთი მქვია.

დედამ დარცხვენილად გამოხედა. სალანდერმა ის ტელევიზორის საყურებლად საერთო ოთახში გაიყვანა.

ბლუმკვისტმა შობის წინაღამე სოლენტუნაში თავისი ყოფილი ცოლის, მონიკასა და მისი ახალი ქმრის სახლში გაატარა, სადაც თავის ქალიშვილ პერნილასთან ერთად დისნეის მულტფილმების სპეციალურ ერთსაათიან გამოშვებას უყურა. მონიკასთან ხანგრძლივი თათბირის შემდეგ შვილს საშობაოდ „აიპოდი“ და ასანთის კოლოფისხელა MP3 ფლეიერი უყიდეს. ამ პატარა ფლეიერში პერნილას მუსიკალური დისკების მთელი კოლექცია ეტეოდა.

მამამ და ქალიშვილმა მთელი საღამო მეორე სართულზე გაატარეს. მიქაელი და მონიკა რომ განქორწინდნენ, პერნილა მხოლოდ ხუთი წლისა იყო. შვიდი წლისას უკვე მამინაცვალი ჰყავდა; მამის სანახავად თვეში ერთხელ დადიოდა, საზაფხულო არდადეგებისას კი ერთი კვირით მასთან ერთად ისვენებდა სანდჰამნში. ერთად ყოველთვის კარგად ერთობოდნენ, მაგრამ ბლუმკვისტმა ყოფილი ცოლის ხელახლა გათხოვების შემდეგ თავის ქალიშვილს უფლება მისცა, თავად გადაეწყვიტა, როდის და რამდენი ხნით ისურვებდა მასთან შეხვედრას. თინეიჯერობის პირველ-ორ წელს პერნილა მამას იშვიათად ხვდებოდა, მაგრამ ბოლო ორი წლის განმავლობაში შეხვედრებს ისევ მოუხშირა.

გოგონა სასამართლო პროცესს თვალს ადევნებდა და სჯეროდა, რომ მამამისი უდანაშაულო იყო, მიუხედავად იმისა, რომ ამის დამტკიცება ვერ შეძლო.

მერე მამას პარალელურკლასელ შეყვარებულზე გაუმხილა და ისიც უთხრა, ადგილობრივი ეკლესის მრევლი გავხდიო. გაკვირვებულმა ბლუმკვისტმა კომენტარისგან თავი შეიკავა.

სადილად დარჩენა სთხოვეს, მაგრამ ბლუმკვისტს თავისი დის ოჯახისგან უკვე მიეღო მიპატიჟება და სტაკეტის პრესტიჟულ გარეუბანში ელოდებოდნენ.

დილით ბეკმანებმაც დაპატიჟეს სალტშენბადენში, მაგრამ ბლუმკვისტმა თავაზიანად იუარა. გრეგერის კეთილგანწყობასაც ჰქონდა საზღვარი და ამ საზღვრის დარღვევა ნამდვილად არ სურდა.

ამიტომაც თავის დას, უკვე ქმრის გვარზე გადასულ ანიკა ჯიანინის ეწვია. რომ მივიდა, ბლუმკვისტის იტალიური წარმოშობის სიძე, ანიკა და მათი ორი შვილი, ოჯახის სხვა ახლობლებთან ერთად, უკვე საშობაო გოჭს ჭრიდნენ. სადილობისას ბლუმკვისტმა დასრულებულ სასამართლო პროცესზე რამდენიმე შეკითხვას უპასუხა და მეგობრული, მაგრამ უსარგებლო რჩევებიც მიიღო.

განაჩენზე მხოლოდ მის დას არ უთქვამს არაფერი, თუმცა, ის ერთადერთი იურისტი იყო მთელ ოთახში. საოლქო სასამართლოს პრაქტიკანტად და პროკურორის თანაშემწედ რამდენიმეწლიანი სტაჟის შემდეგ ანიკას რამდენიმე კოლეგასთან ერთად საკუთარი საადვოკატო ფირმა გაეხსნა. მისი ოფისი კუნგსჰოლმზე მდებარეობდა და ძირითადად საოჯახო სამართლის საქმეების გარჩევით იყო დაკავებული. ბლუმკვისტს არც კი შეუმჩნევია, თანდათან როგორ გახშირდა ძალადობის მსხვერპლი ქალებისა და ფემინისტების დამცველი მისი უმცროსი დის სახელი გაზეთებსა და სატელევეზიო გადაცემებში.

მიქაელი ყავის მოდუღებაში ეხმარებოდა, როცა ანიკამ მხარზე ხელი დაადო და ჰკითხა, როგორ ხარო. ძმამ უპასუხა, ასე ცუდად ცხოვრებაში არასდროს ვყოფილვარო.

– სხვა დროს ნამდვილი ადვოკატი აიყვანე, – ურჩია ანიკამ.

– ამ საქმეს ვერანაირი ადვოკატი ვერ მომაგებინებდა. თუმცა, მოდი, ეს პროცესი დაწვრილებით მოგვიანებით განვიხილოთ.

ანიკა ძმას გადაეხვია და ლოყაზე აკოცა. შემდეგ საშობაო ნამცხვარი და ყავა სასადილო ოთახში გაიტანეს. ბლუმკვისტმა მოიბოდიშა და სამზარეულოში გავიდა დასარეკად. ჰედესტადში დირკ ფროდეს დაურეკა. ყურმილში მხიარული ჟრიამული ისმოდა.

– შობას გილოცავთ, – მიესალმა ფროდე, – მაშ, ჩამოსვლა გადაწყვიტეთ?

– ამჟამად არანაირი გადაუდებელი საქმე არ მაქვს და თქვენმა შემოთავაზებამ ძალიან დამაინტერესა. ზეგ გესტუმრებით, თუ თქვენც გაწყობთ.

– დიდებულია, დიდებული. ძალიან მიხარია. ახლა კი, იმედია, არ მიწყენთ, მაგრამ შვილებისა და შვილიშვილების ჟრიამულში ჩემი ხმაც ძლივს მესმის. შეიძლება, ხვალ გადმოგირეკოთ და ზუსტ დროზე შევთანხმდეთ? როგორ დაგიკავშირდეთ?

ბლუმკვისტმა შინ დაბრუნებამდე ინანა, რომ ადვოკატს დათანხმდა, მაგრამ დარეკვა და შეხვედრის გაუქმება უხერხული იქნებოდა. ამიტომ 26 დეკემბერს მატარებლით ჰედესტადში გაემგზავრა. მართვის მოწმობა კი ჰქონდა, მაგრამ საკუთარი მანქანის ყიდვა რატომღაც არასდროს უფიქრია.

ფროდე მართალი გამოდგა. სულ სამი საათი იმგზავრა. უფსალას შემდეგ ნორლანდის სანაპიროს გასწვრივ რამდენიმე პატარა ინდუსტრიული ქალაქი გაიარა და ბოლოს ჰედესტადში ჩავიდა. პატარა დასახლება იყო, იევლედან ჩრდილოეთით, სულ ერთი საათის სავალზე.

შობის წინაღამეს მოეთოვა, მაგრამ როცა ბლუმკვისტი მატარებლიდან ჩამოვიდა, ცა მოწმენდილი, ჰაერი კი ყინულივით სუსხიანი იყო. მაშინღა გააცნობიერა, რომ ზამთრის ტანსაცმელი არ ეცვა. საბედნიეროდ, ფროდეს მისი ფოტო ნანახი ჰქონდა და ბაქანზე ადვილად იცნო. პირდაპირ თავისი „მერსედესის“ თბილ სალონში ჩასვა. ჰედესტადის ქუჩებს თოვლისგან წმენდდნენ. ფროდე ფრთხილად მიუყვებოდა ვიწრო ქუჩებს. თოვლის ნამქერი ეგზოტიკურ იერს სძენდა ქალაქს. ბლუმკვისტს მოეჩვენა, რომ სტოკჰოლმიდან სულ სხვა პლანეტაზე გადავიდა, თუმცა, სერგელის მოედნიდან, სტოკჰოლმის ცენტრიდან, აქამდე სულ სამი საათის გზა იყო. მოხუცი ადვოკატისკენ მალულად გაიხედა და თვალი შეავლო მის კუთხოვან სახეს, მეჩხერი წარბებით, გაბურძგნილი ჭაღარა თმითა და ზორბა ცხვირზე დასკუპებული სქელმინებიანი სათვალით.

– პირველად ხართ ჰედესტადში? – ჰკითხა ფროდემ.

ბლუმკვისტმა თანხმობის ნიშნად თავი დაუქნია.

– ძველი სამრეწველო ქალაქია ნავსადგურით. მოსახლეობა სულ 24 000 ადამიანს შეადგენს. თუმცა, ხალხს აქ ცხოვრება მოსწონს. ჰერ ვანგერი ქალაქის სამხრეთ კიდეში, ჰედებიზე ცხოვრობს.

– თქვენც აქ ცხოვრობთ?

– დიახ, მაგრამ აქაური არ ვარ. სამხრეთში, სკონეში დავიბადე, მაგრამ უმაღლესის დამთავრებისთანავე, 1962 წლიდან ჰერ ვანგერთან ვმუშაობ. მე კორპორატიული ადვოკატი ვარ. მე და ჰერ ვანგერი წლებია, ვმეგობრობთ. დღესდღეობით ოფიციალურად პენსიაზე ვარ, ჩემი ერთადერთი კლიენტი ჰერ ვანგერია, რომელიც ასევე პენსიაზეა, ამიტომ ჩემი მომსახურება იშვიათად სჭირდება ხოლმე.

– მხოლოდ სახელგატეხილი ჟურნალისტების მისატყუებლად.

– საკუთარ თავზე მცდარი წარმოდგენისა ნუ იქნებით. თქვენ პირველი არ ხართ, ვინც ჰანს-ერიკ ვენერსტრომის წინააღმდეგ ომში დამარცხდა.

ბლუმკვისტი ფროდეს სიტყვებმა დააეჭვა, მისკენ მიტრიალდა და ჰკითხა:

– ამ მოპატიჟებას ვენერსტრომთან რამე კავშირი აქვს?

– არა, – უპასუხა ფროდემ, – ჰერ ვანგერი ვენერსტრომის მეგობართა წრეს ნამდვილად არ ეკუთვნის, თუმცა, თქვენს სასამართლო პროცესს მაინც ყურადღებით ადევნებდა თვალს. მას სულ სხვა საკითხზე სურს თქვენთან შეხვედრა.

– რაზეც თქვენ ვერაფერს გამიმხელთ.

– იმიტომ, რომ ამის უფლება არ მაქვს. ყველაფერი ისე მოვაგვარეთ, რომ ღამით ჰერ ვანგერის სახლში დარჩენას შეძლებთ; ან, თუ გნებავთ, ქალაქის საუკეთესო სასტუმროში დაგიჯავშნით ნომერს.

– სიმართლე გითხრათ, ამაღამვე სტოკჰოლმში დაბრუნებას ვაპირებდი.

ჰედებისკენ მიმავალი გზა ისევ დათოვლილი იყო და ფროდეს მოყინული მონაკვეთებისთვის თავის არიდება უწევდა. ძველი ქალაქის ცენტრი ბოთნიის ყურის გასწვრივ ჩამწკრივებული სახლებისგან შედგებოდა. მათ ნახევარრკალად გარს ახალი, თანამედროვე სახლები შემორტყმოდა. ქალაქი პატარა გორაკებიან კუნძულზეც გადაშლილიყო, რომელიც მატერიკს ხიდით უკავშირდებოდა. მატერიკზე, ხიდის თავთან ქვის თეთრი ეკლესია იდგა, ხოლო ეკლესიის პირდაპირ, ქუჩის გადაღმა ნეონის ძველმოდურ აბრაზე ელვარებდა წარწერა: „სუზანის კაფე და საკონდიტრო“. ფროდე ხიდზე გადავიდა და კიდევ ასიოდე მეტრი პირდაპირ იარა. მერე მარცხნივ, ახლად გაწმენდილ გზაზე გადაუხვია. გზა ქვის შენობისკენ მიიწევდა. მთლად სასახლეს ვერ დაარქმევდით, მაგრამ დასახლების სხვა სახლებზე ბევრად დიდი იყო.

– ეს ვანგერების მამულია, – თქვა ფროდემ, – ოდესღაც ეს სახლი სიცოცხლით იყო სავსე, დღეს კი მხოლოდ ჰენრიკი და მისი მოახლე ცხოვრობენ. თავისუფალი ოთახები მრავლადაა.

მანქანიდან გადმოვიდნენ. ფროდემ ჩრდილოეთით მიუთითა.

– ტრადიციულად ვანგერების კორპორაციის ხელმძღვანელი ამ სახლში ცხოვრობს, მაგრამ მარტინ ვანგერმა თანამედროვე სახლი მოისურვა და თავისთვის ცალკე, აი, იქ აიშენა.

ბლუმკვისტმა მიმოიხედა და გაიფიქრა, ნეტა ვინ მაძალებდა, ფროდეს მიპატიჟებას რომ დავთანხმდიო. გადაწყვიტა, თუ მოხერხდება, ამაღამვე სტოკჰოლმში დავბრუნდებიო. სადარბაზო კარამდე ქვის საფეხურები ადიოდა, მაგრამ სანამ მას აუყვებოდნენ, კარი გაიღო. ბლუმკვისტმა ინტერნეტში ნანახი ფოტოს წყალობით მაშინვე იცნო ჰენრიკ ვანგერი.

იმ სურათებზე ჰენრიკ ვანგერი შედარებით ახალგაზრდა იყო, მაგრამ ოთხმოცდაორი წლის მოხუცის კვალობაზე, ახლაც საკმაოდ ჯანმრთელად გამოიყურებოდა: დაძარღვული სხეული და უხეში, დანაოჭებული სახე ჰქონდა, სქელი ჭაღარა თმა უკან გადაევარცხნა. კოხტად დაუთოებული შავი შარვალი, თეთრი პერანგი და გაცვეთილი ყავისფერი ჟაკეტი ეცვა. ტუჩს ზემოთ ულვაშის წვრილი ზოლი დაეტოვებინა და რკინისჩარჩოიანი სათვალე ეკეთა.

– მე ჰენრიკ ვანგერი ვარ, – გაეცნო ბლუმკვისტს, – გმადლობთ, რომ მესტუმრეთ.

– გამარჯობა. ძალიან გამიკვირდა, რომ ჩემთან შეხვედრა ისურვეთ.

– შინ შემოდით. აქ ცივა. თქვენთვის საძინებელი გავამზადებინე. ხომ არ წაიხემსებდით? ჩვენ გვიან ვსადილობთ. ეს ანა ნიგრენია, ჩემი მომვლელი.

ბლუმკვისტმა სამოცს გადაცილებულ, დაბალ, ჯმუხ ქალს ჩამოართვა ხელი. ქალმა ქურთუკი გამოართვა და ჰოლში, კარადაში ჩამოკიდა. შემდეგ თბილი ფლოსტები შესთავაზა.

მიქაელმა ქალს მადლობა გადაუხადა და ჰენრიკ ვანგერს მიუბრუნდა.

– არა მგონია, სადილობამდე დავრჩე. გააჩნია, რა გაქვთ ჩაფიქრებული.

ვანგერმა ფროდეს გახედა და თითქოს რაღაც ანიშნა, მაგრამ ბლუმკვისტი ვერაფერს მიხვდა.

– აჯობებს, თქვენ ორნი მარტო დაგტოვოთ, – თქვა ფროდემ, – მე შინ დავბრუნდები და შვილიშვილებს დავუცაცხანებ, სანამ მთელ სახლს თავზე დაიმხობენ, – შემდეგ მიქაელს მიუბრუნდა: – გაღმა ნაპირზე ვცხოვრობ, მარჯვნივ. ფეხით ხუთი წუთის სავალია. საკონდიტროს უკან მესამე სახლია სანაპიროს მიმართულებით. თუ დაგჭირდებით, დამირეკეთ.

ბლუმკვისტმა ჯიბეში ჩაიყო ხელი და თავისი დიქტოფონი ჩართო. წარმოდგენა არ ჰქონდა, რა უნდოდა ვანგერს, მაგრამ ვენერსტრომის საქმესთან დაკავშირებულმა თორმეტთვიანმა აურზაურმა დაარწმუნა, რომ ყოველი უჩვეულო შემთხვევის ზუსტად დაფიქსირება იყო საჭირო. ეს უეცარი დაპატიჟება ჰედესტადში კი სწორედ უჩვეულოთა კატეგორიას ეკუთვნოდა.

ვანგერი ფროდეს მხარზე ხელის თათუნით დაემშვიდობა, ადვოკატი კარამდე მიაცილა და კარი დახურა თუ არა, ისევ ბლუმკვისტისკენ შემობრუნდა.

– რაკი გეჩქარებათ, პირდაპირ საქმეზე გადავალ. მე არაფერი მაქვს ჩაფიქრებული. გთხოვთ, ჯერ მომისმინოთ და მხოლოდ ამის შემდეგ მიიღოთ გადაწყვეტილება. თქვენ ჟურნალისტი ხართ და მინდა, კერძო სამუშაო შემოგთავაზოთ. ანამ ყავა მოგვიმზადა. ჩემს კაბინეტში ავიდეთ.

120 კვადრატული მეტრის მართკუთხა ფორმის კაბინეტის ერთი კედელი, მთელი ცხრა მეტრი იატაკიდან ჭერამდე, წიგნის თაროებს ეკავა. რჩეული ბიბლიოთეკა იყო: ბიოგრაფიები, ისტორიული ნარკვევები, ფინანსური და ბიზნესლიტერატურა, A4 საქაღალდეები. წიგნები უწესრიგოდ ეწყო. ჩანდა, ისინი მხოლოდ სილამაზისთვის არ იყო გამოფენილი და ხშირად კითხულობდნენ. მოპირდაპირე კედელთან დიდი მუხის მაგიდა იდგა. მაგიდის უკან, კედელზე, ჩარჩოში ჩასმული გაბრტყელებული ყვავილების კოლექცია ეკიდა.

ფანჯრიდან ხიდის და ეკლესიის ხედი იშლებოდა. ოთახში იდგა დივანი და ყავის მაგიდა, რომელზეც თერმოსი, ფუნთუშები და ნამცხვრები ეწყო.

ვანგერმა ლანგრისკენ ანიშნა, მაგრამ ბლუმკვისტმა ვითომ ვერ დაინახა. ჯერ წიგნების თაროებთან მივიდა, შემდეგ – ჩარჩოში ჩასმულ ყვავილებთან. მაგიდა ალაგებული იყო, რამდენიმე საქაღალდე ერთმანეთზე დაეწყოთ. მაგიდის კიდეზე ვერცხლისჩარჩოიანი ფოტო იდო. მასზე გამოსახული იყო შავთმიანი გოგო, ლამაზი, მაგრამ ეშმაკური გამომეტყველებით; ახალგაზრდა გოგონა, რომელიც მალე ძალიან საშიში უნდა გახდესო, გაიფიქრა ბლუმკვისტმა. დროთა განმავლობაში გაცრეცილი პორტრეტი აშკარად კონფირმაციის დროინდელი[iv] უნდა ყოფილიყო.

– გახსოვთ ეს გოგო, მიქაელ? – ჰკითხა ვანგერმა.

– მახსოვს?!

– დიახ, მას შეხვედრიხართ. სხვათა შორის, ამ ოთახშიც ნამყოფი ხართ.

ბლუმკვისტი შეტრიალდა და თავი გააქნია.

– ჰო, აბა, თქვენ საიდან გეხსომებათ? მე მამათქვენს ვიცნობდი. 50-60-იან წლებში კურტი რამდენჯერმე დავიქირავე ტექნიკოსად. ნიჭიერი კაცი იყო. ვარწმუნებდი, სწავლა გააგრძელე და ინჟინერი გახდი-მეთქი. მთელი1963 წლის ზაფხული აქ გაატარეთ, მაშინ ჰედესტადში ქაღალდის ქარხანას ახალი მანქანა-მოწყობილობები დავუყენეთ. თქვენი ოჯახისთვის საცხოვრებელი ვერ ვიშოვეთ და გზის გადაღმა ხის კოტეჯში შეგასახლეთ. აი, ფანჯრიდან ჩანს.

ვანგერმა ფოტო აიღო.

– ეს ჰარიეტ ვანგერია, ჩემი ძმის, რიკარდის შვილიშვილი. ჰარიეტთან ხშირად გტოვებდნენ ხოლმე. მაშინ ორი თუ სამი წლისა იქნებოდით, ზუსტად არ მახსოვს. ჰარიეტი ცამეტისა იყო.

– მაპატიეთ, მაგრამ საერთოდ არ მახსოვს, რასაც თქვენ მიყვებით, – ბლუმკვისტი იმასაც ვერ იტყოდა, რომ ვანგერი სიმართლეს ამბობდა.

– მესმის თქვენი. თუმცა, მე თქვენ მახსოვხართ. ეზოში დარბოდით, ჰარიეტი კი უკან დაგდევდათ. მესმოდა, როგორ ყვიროდით, როცა ძირს ეცემოდით. მახსოვს, ერთხელ ყვითელი, რკინის სათამაშო ტრაქტორი გაჩუქეთ. იმ ტრაქტორით მე ვთამაშობდი ბავშვობაში. ის სათამაშო ძალიან მოგეწონათ, ეტყობა, მისმა ფერმა მოგხიბლათ.

ბლუმკვისტს გააჟრჟოლა. გაახსენდა ყვითელი ტრაქტორი.

– ის სათამაშო გახსოვთ?

– მახსოვს. გაგიკვირდებათ, მაგრამ ის ტრაქტორი ჯერაც ცოცხალია და სტოკჰოლმის სათამაშოების მუზეუმში ინახება. ათი წლის წინ ძველ, ორიგინალურ სათამაშოებს იბარებდნენ და მეც მივიტანე.

– მართლა? – მხიარულად ჩაიცინა ვანგერმა, – ნება მომეცით, რაღაც გაჩვენოთ...

მოხუცმა ერთ-ერთი ქვედა თაროდან ფოტოალბომი გამოიღო. ბლუმკვისტმა შეამჩნია, რომ კაცს დახრა უჭირდა და წელში გამართვისას თაროს ჩამოეყრდნო სულის მოსათქმელად. ალბომი ყავის მაგიდაზე დადო და ზუსტად იქ გადაშალა, სადაც უნდოდა: შავ-თეთრი ფოტოს ქვედა, მარცხენა კუთხეში ფოტოგრაფის ლანდი ჩანდა. წინა პლანზე შორტებში გამოწყობილი ქერა ბიჭი იდგა და ფოტოკამერას ცოტა შეშფოთებული შესცქეროდა.

– ეს თქვენ ხართ. თქვენი მშობლები უკანა ხედზე ჩანან. ბაღში ხის მერხზე სხედან. ჰარიეტს დედათქვენი ეფარება, ხოლო მამათქვენისგან მარცხნივ რომ ბიჭი დგას, ჰარიეტის ძმა მარტინია. სწორედ ის ხელმძღვანელობს დღეს ვანგერების კომპანიას.

ფოტოზე ბლუმკვისტის დედა უკვე ანიკაზე იყო ორსულად. სანამ მიქაელი სურათს ათვალიერებდა, ჰენრიკ ვანგერმა ყავა დაუსხა და ფუნთუშები ახლოს მიუწია.

– ვიცი, რომ მამათქვენი გარდაიცვალა. დედა ისევ ცოცხალია?

– სამი წლის წინ გარდაიცვალა, – უპასუხა ბლუმკვისტმა.

– კეთილი ქალი იყო. კარგად მახსოვს.

– დიახ, მაგრამ დარწმუნებული ვარ, აქ ჩემს მშობლებთან გატარებული ძველი დროის გასახსენებლად არ მოგიწვევივართ.

– მართალს ბრძანებთ. რამდენიმე დღეა, ვამზადებ სათქმელს, მაგრამ ახლა, როცა ჩამობრძანდით, ვერ გადამიწყვეტია, როგორ დავიწყო. ეჭვიც არ მეპარება, ჩემზე ცნობებს მოიძიებდით და ალბათ უკვე გეცოდინებათ, რომ ერთ დროს შვედეთის სამრეწველო და შრომის ბაზარზე დიდი გავლენა მქონდა. დღეს მომაკვდავი მოხუცი ვარ და სიკვდილი სწორედ რომ შესაფერი დასაწყისია ჩემი საუბრისთვის.

ბლუმკვისტმა ნორლანდული სტილის ყავადანში მოდუღებული შავი ყავა მოსვა და ცნობისმოყვარეობით შეპყრობილი, სმენად იქცა.

– თეძოს ტკივილი მაწუხებს და დიდხანს სიარული მიჭირს. დრო მოვა და თქვენც მიხვდებით, რა საშინელებაა სიბერე. თუმცა, თავს ავად ან მოხუცად არ ვგრძნობ. სიკვდილს სულაც არ ვნატრობ, მაგრამ უკვე ისეთ ასაკში ვარ, რომ უნდა ვაღიარო – ჩემი დღეები დათვლილია. ანგარიში უნდა დავხურო და დაუმთავრებელი საქმეები დავამთავრო. ხომ ხვდებით, რასაც ვგულისხმობ?

ბლუმკვისტმა თავი დაუქნია. ვანგერი ისე მხნედ საუბრობდა, ბლუმკვისტი მალევე მიხვდა, რომ ის არც ავადმყოფი იყო და არც გამოჩერჩეტებული ბერიკაცი.

– მაინც ვერ გავიგე, რატომ ვარ დღეს აქ, – შენიშნა ბლუმკვისტმა.

– მინდა, რომ ანგარიშის დახურვასა და დაუმთავრებელი საქმის დასრულებაში დამეხმაროთ.

– რატომ მე? რატომ ფიქრობთ, რომ თქვენი დახმარება მე შემიძლია?

– იმიტომ, რომ როცა იმაზე ვფიქრობდი, სამუშაო ვისთვის შემეთავაზებინა, პრესაში თქვენი სახელი ამოტივტივდა. მაშინვე გიცანით. შეიძლება, იმიტომ, რომ ბავშვობაში ხშირად მეჯექით კალთაში. ცუდად ნუ გამიგებთ, – წარსულის მოგონებებიდან ისევ აწმყოს დაუბრუნდა მოხუცი, – იმის იმედი როდი მაქვს, რომ თავს შეგაცოდებთ და დამეხმარებით. უბრალოდ, გულმა მიკარნახა, კონკრეტულად თქვენ დაგკავშირებოდით.

მიქაელს გულწრფელად გაეღიმა.

– რა გითხრათ. მე არ მახსოვს, როგორ ვიჯექი თქვენს კალთაში. თქვენ როგორღა გაგახსენდით? ეს ხომ შორეულ სამოციან წლებში იყო.

– არასწორად გამიგეთ. თქვენი ოჯახი სტოკჰოლმში მაშინ გადასახლდა, როცა მამათქვენი Zarinders Mekaniska-ში სახელოსნოს ხელმძღვანელად დანიშნეს. ეს სამუშაო მე ვუშოვე. მას მერეც რამდენჯერმე შევხვდი მამათქვენს, როცა Zarinders-თან მქონდა საქმე. ახლო მეგობრები არ ვყოფილვართ, მაგრამ ცოტას გავისაუბრებდით ხოლმე. ბოლოს სიკვდილამდე ერთი წლით ადრე შევხვდი. მითხრა, რომ ჟურნალისტიკის სასწავლებელში სწავლობდით. თქვენით ძალიან ამაყობდა. თანდათან, იმ ბანკის მძარცველების დაპატიმრებიდან მოყოლებული, პოპულარული გახდით. თქვენს კარიერას თვალს ვადევნებდი და თქვენი მრავალი სტატიაც წამიკითხავს. სხვათა შორის, „მილენიუმს“ ხშირად ვკითხულობ.

– კარგი, გასაგებია. აი, ჩამოვედი. გთხოვთ, მითხარით, რით შემიძლია დაგეხმაროთ?

ვანგერმა ჯერ ხელებზე დაიხედა, მერე ყავა მოსვა, თითქოს მცირე პაუზა სჭირდებოდა, სანამ მთავარს იტყოდა.

– სანამ დავიწყებდე, მიქაელ, მინდა, რომ შევთანხმდეთ. მინდა, ორ რამეში დამეხმაროთ. პირველი, ასე ვთქვათ, საბაბი იქნება, მეორე კი – მიზანი.

– რა სახის შეთანხმებას მთავაზობთ?

– ჩემს ამბავს ორ ნაწილად მოგიყვებით. პირველი ამბავი ვანგერების ოჯახზეა. ეს საბაბი იქნება. ეს გრძელი და ბნელი ამბავია. ვეცდები, სიმართლე შეულამაზებლად გიამბოთ. ამბის მეორე ნაწილი იმას ეხება, რაშიც თქვენი დახმარება მჭირდება. ერთი-

ორ მომენტში შეიძლება იფიქროთ, რომ... რაღაც სიგიჟეს ვბოდავ. მინდა, დამპირდეთ, რომ ბოლომდე მათქმევინებთ სათქმელს და მოისმენთ, რას გთავაზობთ. მხოლოდ ამის შემდეგ გადაწყვიტეთ, დათანხმდებით ამ სამუშაოს თუ არა.

ბლუმკვისტმა ამოიოხრა. ცხადი იყო, რომ საღამოს მატარებელს ვეღარ მიუსწრებდა. ვანგერი მის გაშვებას არ აპირებდა. თუნდაც ფროდესთვის დაერეკა, სადგურამდე მიმიყვანეთო, მისი მანქანა ალბათ როგორღაც „გაფუჭდებოდა“.

ჰენრიკ ვანგერს კარგად დაეგეგმა, როგორ შეეკავებინა სტუმარი. ბლუმკვისტს ისეთი შეგრძნება დაეუფლა, თითქოს რაც ქალაქში ჩამოსვლის შემდეგ მოხდა, ყველაფერი წინასწარ გათვლილი იყო: უეცარი შესავალი, რომ ბავშვობაში მასპინძელს შეხვედრია; ალბომში შენახული მისი მშობლების ფოტოს ჩვენება; იმის ხაზგასმა, რომ მამამისი და ჰენრიკ ვანგერი მეგობრები იყვნენ; მლიქვნელური კომპლიმენტები, რომ მოხუცმა იცოდა, ვინ იყო მიქაელ ბლუმკვისტი და მის წარმატებულ კარიერას შორიდან თვალს ადევნებდა... რასაკვირველია, ჰენრიკ ვანგერი ალბათ ნაწილობრივ გულწრფელობასაც იჩენდა, მაგრამ აშკარა იყო, რომ ბლუმკვისტზე ფსიქოლოგიურ ზემოქმედებასაც ცდილობდა. ბოლოს და ბოლოს, ვანგერი გამოცდილი მანიპულატორი იყო – სხვანაირად შვედეთის ერთ-ერთი წამყვანი საქმოსანი როგორ გახდებოდა?!

ამიტომაც ბლუმკვისტმა იფიქრა, ვანგერი ისეთ რამეს შემომთავაზებს, რის გაკეთების არანაირი სურვილი არ მაქვსო. გადაწყვიტა, სათქმელს დავასრულებინებ და თავაზიანად უარს ვეტყვი, მერე იქნებ საღამოს მატარებელსაც მივუსწროო.

– უკაცრავად, ჰერ ვანგერ, – თქვა მან, – უკვე ოცი წუთია აქ ვარ. კიდევ ოცდაათ წუთს დაგითმობთ იმის სათქმელად, რა გინდათ ჩემგან. შემდეგ ტაქსის გამოვიძახებ და შინ დავბრუნდები.

წამით კეთილი ბერიკაცის ნიღაბი გაქრა და ჰენრიკ ვანგერი მძლავრი კორპორაციის მკაცრ და უმოწყალო ხელმძღვანელს დაემსგავსა. მოხუცმა პირქუშად ჩაიღიმა.

– გასაგებია.

– არაა საჭირო შორიდან მოვლა. პირდაპირ მითხარით, რის გაკეთებას მთავაზობთ და მეც პირდაპირ გიპასუხებთ, თანახმა ვარ სამუშაოზე თუ არა.

– მაშ, თქვენი აზრით, თუ ნახევარ საათში ვერ დაგითანხმეთ, ამას ვერასდროს შევძლებ?

– დიახ, ასე მგონია.

– მაგრამ ჩემი ამბავი გრძელია და ჩახლართული.

– შეამოკლეთ და გაამარტივეთ. ჟურნალისტები ასე ვიქცევით. ოცდაცხრა წუთი დაგრჩათ.

ვანგერმა ხელი ასწია.

– საკმარისია. თქვენი აზრი გასაგებია. დიახ, გადაჭარბება არასდროსაა ჭკვიანური. მე ისეთი ვინმე მჭირდება, ვინც რაღაც საქმეს გამოიძიებს, ოღონდ კრიტიკული აზროვნებაც უნდა შეეძლოს, უკან არაფერზე იხევდეს და პატიოსანი იყოს. მიმაჩნია, რომ ასეთი თქვენ ხართ და მლიქვნელობა არაფერ შუაშია. კარგი ჟურნალისტი ამ თვისებებს უნდა ფლობდეს. თქვენი წიგნი „ტამპლიერები“ დიდი ინტერესით წავიკითხე. თქვენც იმიტომ შეგარჩიეთ, რომ მამათქვენს ვიცნობდი და ისიც ვიცოდი, რასაც წარმოადგენთ. როგორც გავიგე, „ვენერსტრომის საქმის“ წაგების გამო ჟურნალიდან წამოხვედით, რაც იმას ნიშნავს, რომ ამჟამად უმუშევარი ხართ და ფინანსური პრობლემებიც გაქვთ.

– და თქვენ გსურთ ჩემი არასახარბიელო ფინანსური მდგომარეობით ისარგებლოთ, არა?

– შესაძლოა. მაგრამ მიქაელ – შეიძლება, ასე მოგმართოთ? – მე თქვენს მოტყუებას არ ვაპირებ. ამისთვის ძალიან მოხუცი ვარ. თუ ჩემი შეთავაზება არ მოგეწონებათ, შეგიძლიათ პირდაპირ მითხრათ, თავიდან მომწყდითო. მაშინ მეც სხვის მოძებნას ვეცდები.

– კარგი. მითხარით, რას მთავაზობთ.

– ვანგერების ოჯახზე რა იცით?

– ის, რის წაკითხვაც ინტერნეტში შევძელი მას მერე, რაც ფროდემ ორშაბათს დამირეკა. თქვენი მმართველობის პერიოდში „ვანგერების კორპორაცია“ შვედეთის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი სამრეწველო ფირმა იყო, დღეს კი არც ისე გავლენიანია. კორპორაციას ახლა მარტინ ვანგერი ხელმძღვანელობს. კიდევ რაღაც-რაღაცეებიც ვიცი, მაგრამ თქვენ კერძოდ რაზე მიუთითებთ?

– მარტინი... კარგი კაცია, მაგრამ მხოლოდ ზურგის ქარში უყვარს ცურვა. კრიზისულ მომენტებში კომპანიის მართვის ნიჭი არ აქვს. მოდერნიზაციის და სპეციალიზაციის მომხრეა – რაც ძალიან კარგია – მაგრამ თავისი იდეების გატანა და, მით უმეტეს, მათ განსახორციელებლად ფინანსური რესურსების მობილიზება უჭირს. ოცდახუთი წლის წინ „ვანგერების კორპორაცია“ სერიოზულ კონკურენციას უწევდა „ვალენბერგის ჯგუფს“. შვედეთში ორმოცი ათას ადამიანს ვასაქმებდით. დღეს ამ საქმიანობათა უმეტესობა კორეასა და ბრაზილიაშია გადატანილი. თანამშრომელთა რაოდენობა ათი ათასამდე შევამცირეთ და ერთი-ორ წელიწადში, თუ ზურგის ქარი არ დაუბერავს, მხოლოდ ხუთი ათასი გვეყოლება, ისინიც – მცირე მრეწველობაში დასაქმებულები. ასე თუ გაგრძელდა, ახლო მომავალში „ვანგერების კორპორაცია“ ისტორიის სანაგვეზე აღმოჩნდება.

ბლუმკვისტმა თავი დაუქნია. „ვანგერების კორპორაციის“ შესახებ ინტერნეტიდან გადმოქაჩული ინფორმაციის წაკითხვის და გაანალიზების შემდეგ თვითონაც ეს დასკვნა გამოეტანა.

– „ვანგერების კორპორაცია“ ჯერ ისევ ოჯახის მფლობელობაშია. შვედეთში რამდენიმე ასეთი კომპანიაა დარჩენილი. კორპორაციის აქციებს ოჯახის ოცდაათი წევრი თითქმის თანაბრად ინაწილებს და წვრილ მესაკუთრეებად ითვლებიან. ეს ყოველთვის იყო ჩვენი კორპორაციის სიძლიერის საფუძველი, თუმცა, იმავდროულად – სისუსტისაც, – ვანგერი რამდენიმე წამით შეყოვნდა და მერე მტკიცედ გააგრძელა: – მიქაელ, შეგიძლიათ კითხვები მოგვიანებით დამისვათ, მაგრამ ახლა სიტყვაზე მენდეთ: ჩემი ოჯახის წევრების უმეტესობა მეზიზღება. მრავალი მათგანი ქურდი, ძუნწი, მკვეხარა და უვიცია. კომპანიას თითქმის ოცდათხუთმეტი წელი ვმართავდი და მთელი ეს დრო განუწყვეტლივ მებრძოდნენ. ჩემი ოჯახი ჩემი უდიდესი მტერი იყო, კონკურენტ ფირმებსა და მთავრობაზე უარესი მტერი.

უკვე გითხარით, რომ მსურს, ორ რამეში დამეხმაროთ. პირველი, მინდა, რომ ვანგერების ისტორია ან ბიოგრაფია დაწეროთ. შეგიძლიათ, უბრალოდ, ჩემი ბიოგრაფია უწოდოთ. ჩემი დღიურები და არქივები თქვენს განკარგულებაშია. ჩემს ყველაზე დიდ საიდუმლოს გაგანდობთ, ნებას გაძლევთ, ყველანაირი სისაძაგლე ამოქექოთ და ყოველი სიბინძურე სააშკარაოზე გამოიტანოთ. დამიჯერეთ, ჩვენი ოჯახის ისტორიასთან შედარებით შექსპირის ტრაგედიები მხიარულ გასართობად მოგეჩვენებათ.

– რატომ?

– რა, რატომ? რატომ მინდა ვანგერების ოჯახის სკანდალური ისტორიის გამოქვეყნება? თუ რატომ გთხოვთ ამის გაკეთებას თქვენ?

– ორივე შეკითხვაზე მაინტერესებს თქვენი პასუხი.

– სიმართლე გითხრათ, დიდად არ მანაღვლებს, წიგნს გამოსცემთ თუ არა. თუმცა, ჩვენი ისტორია აუცილებლად ფურცელზე უნდა გადაიტანოთ და თუნდაც ერთი ასლი სამეფო ბიბლიოთეკას გადასცეთ. მინდა, როცა მე მოვკვდები, ამ ამბავს მომავალი თაობა გაეცნოს. გასაკვირად უბრალო მიზანი მაქვს: შურისძიება.

– რისთვის?

– ვამაყობ, რომ ჩემი სახელი სიტყვის კაცობასთან და პატიოსნებასთან ასოცირდება. პოლიტიკური თამაშების მონაწილე არასდროს ვყოფილვარ. პროფკავშირებთანაც არასდროს შემქმნია პრობლემა. თვით პრემიერ-მინისტრი ერლანდერიც დიდ პატივს მცემდა. მორალისა და ეთიკის ზღვარზე არასდროს გადამიბიჯებია. მე ათასობით შვედური ოჯახის კეთილდღეობაზე ვიყავი პასუხისმგებელი, ჩემს თანამშრომლებზე

ვზრუნავდი. უცნაურია, მაგრამ მარტინსაც ასეთი დამოკიდებულება აქვს, თუმცა, ჩემგან განსხვავებული პიროვნებაა. სამწუხაროდ, მე და მარტინი ოჯახში გამონაკლისებს წარმოვადგენთ. არსებობს მრავალი მიზეზი იმისა, თუ რატომაა ასეთ ცუდ მდგომარეობაში „ვანგერების კორპორაცია“; უმთავრესი კი ოჯახის წევრების სულმოკლეობა და სიხარბეა. თუ ჩემს წინადადებას დათანხმდებით, მოგიყვებით, როგორ უთხრიან ძირს ჩემი ნათესავები ჩვენს ფირმას.

– არ მოგატყუებთ, – თქვა ბლუმკვისტმა, – ასეთი წიგნის დაწერას თვეები დასჭირდება, მე კი ამის არც სურვილი მაქვს და არც – ძალა.

– მჯერა, რომ თქვენს გადარწმუნებას შევძლებ.

– მეეჭვება. თქვენ მითხარით, ორი რამ უნდა გთხოვოთო. წიგნის წერა საბაბი იქნება. თქვენი ნამდვილი მიზანი რა არის?

ვანგერი გაჭირვებით წამოდგა, მაგიდიდან ჰარიეტ ვანგერის ფოტო აიღო და ბლუმკვისტს წინ დაუდო.

– ბიოგრაფიის წერისას, მინდა, რომ ოჯახის ყველა წევრი ჟურნალისტის მახვილი მზერით შეაფასოთ. ბიოგრაფიის წერა იმის ალიბის შეგიქმნით, თუ რატომ იქექებით ოჯახის ისტორიაში. მინდა, რომ ერთი იდუმალი ამბავი გამოიძიოთ. ნამდვილი დავალება ესაა.

– იდუმალი ამბავი?

– ჰარიეტი ჩემი ძმის შვილიშვილი იყო. სულ ხუთი ძმა ვიყავით. რიკარდი უფროსი იყო. ის 1907 წელს დაიბადა. მე უმცროსი ძმა ვარ, 1920 წელს დავიბადე. არ ვიცი, რატომ შექმნა ღმერთმა ასეთი ბავშვების ჯგრო... – წუთით ვანგერს სიტყვა გაუწყდა და მოგონებებში ჩაიძირა. შემდეგ მტკიცედ გააგრძელა, – ჯერ ჩემს ძმაზე, რიკარდზე, მოგიყვებით. ჩათვალეთ, რომ ეს მცირე მაგალითია იმისა, რაც ჩემს ოჯახურ ქრონიკებში უნდა დაწეროთ.

ჰენრიკ ვანგერმა კიდევ ერთხელ დაისხა ყავა.

– 1924 წელს ჩვიდმეტი წლის რიკარდი, ფანატიკოსი ნაციონალისტი და ანტისემიტი, „შვედეთის ნაციონალ-სოციალისტური თავისუფლების ლიგას“ შეუერთდა. ეს შვედეთში დაარსებული ერთ-ერთი პირველი ნაცისტური ჯგუფი იყო. ხომ საოცარია, რომ ნაცისტები ყველგან იყენებენ სიტყვას „თავისუფლება“?

ვანგერმა თაროდან სხვა ალბომი გადმოიღო და კარგა ხანს ფურცლავდა, სანამ მისთვის საჭირო გვერდს არ მიაგნო.

– აი, ეს რიკარდია ვეტერინარ ბირგერ ფურუგორდთან, ეგრეთ წოდებული „ფურუგორდის მოძრაობისა“ და ოცდაათიანი წლების დასაწყისის დიდი ნაცისტური მოძრაობის ლიდერთან ერთად. თუმცა, რიკარდი მასთან არ დარჩენილა, რამდენიმე

წლის შემდეგ „ფაშისტ მებრძოლთა შვედურ ორგანიზაციაში“ გაწევრიანდა. იქ გაიცნო პერ ენგდალი და მისი თანამოაზრენი, რომლებიც მალე შვედეთის უღირსი შვილები უნდა გამხდარიყვნენ.

ალბომი შემდეგ გვერდზე გადაშალა: რიკარდ ვანგერი სამხედრო უნიფორმაში გამოწყობილიყო.

– მამაჩვენის ნების საწინააღმდეგოდ, არმიაში ჩაირიცხა და ოცდაათიან წლებში ქვეყნის ნაცისტური დანაყოფების უმრავლესობაში ჩაეწერა. თუკი სადმე რამე ავადმყოფური იდეებით დაავადებულთა საიდუმლო დაჯგუფება არსებობდა, მისი სახელი ყველგან მოიხსენიებოდა. 1933 წელს „ლინდჰოლმის მოძრაობა“ დაიწყო. ეს „ნაციონალ-სოციალისტური მუშათა პარტია“ იყო. შვედურ ნაციზმზე თუ იცით რამე?

– ისტორიკოსი არ ვარ, მაგრამ წიგნები წამიკითხავს.

– 1939 წელს მეორე მსოფლიო ომი დაიწყო, ხოლო 1940 წელს – ფინეთის „ზამთრის ომი“. „ლინდჰოლმის მოძრაობის“ მრავალი წევრი ფინეთის არმიაში მოხალისედ ჩაირიცხა. შვედეთის არმიის კაპიტნისჩინიანი რიკარდიც მათ შორის იყო. ის საბჭოთა კავშირთან ზავის დადებამდე, 1940 წლის თებერვალში მოკლეს. შესაბამისად, ნაცისტური მოძრაობისთვის თავდადებულ გმირად იქცა და ერთ-ერთ საბრძოლო დანაყოფს მისი სახელი უწოდეს. დღესაც კი, რიკარდის სიკვდილის წლისთავზე, მისი სახელის პატივსაცემად, ათობით იდიოტი სტოკჰოლმის სასაფლაოზე იკრიბება ხოლმე.

– გასაგებია.

– 1926 წელს ცხრამეტი წლის რიკარდმა ფალუნელი მასწავლებლის ქალიშვილთან, მარგარეტასთან გააბა რომანი. რომელიღაც პოლიტიკურ შეხვედრაზე გაიცნეს ერთმანეთი და ერთად იწვნენ. 1927 წელს მარგარეტას რიკარდისგან შვილი გაუჩნდა, გოტფრიდი. წყვილი შვილის დაბადების შემდეგ დაქორწინდა. ოცდაათიანი წლების პირველ ნახევარში, სანამ მისი პოლკი გალვეში იყო დაბანაკებული, ჩემმა ძმამ ცოლ-შვილი აქ, ჰედესტადში გამოგზავნა. თავისუფალ დროს რიკარდი ბევრს მოგზაურობდა და ნაციზმის აგიტაციას ეწეოდა. 1936 წელს მამაჩემთან დიდი ჩხუბი მოუვიდა და მამაჩემმა ოჯახიდან განკვეთა. რიკარდი ცოლ-შვილთან ერთად სტოკჰოლმში დასახლდა და იქ საკმაოდ ღარიბულად ცხოვრობდა, რადგან ოჯახის რჩენა თავად უწევდა.

– საკუთარი ფული არ ჰქონდა?

– მისი მემკვიდრეობა ჩვენს ფირმაში იყო დაბანდებული და ოჯახის ნებართვის გარეშე თავის წილს ვერ გაყიდდა. ამ გაჭირვებულ მდგომარეობას ისიც დაემატა, რომ რიკარდი ნამდვილი მხეცი იყო. ცოლს ხშირად სცემდა და არც ბავშვს ინდობდა. გოტფრიდი მუდმივ შიშსა და შეურაცხყოფაში იზრდებოდა. ის ცამეტი წლის იყო,

როცა რიკარდი მოკლეს. ეჭვი მაქვს, ის დღე ბავშვის ცხოვრებაში ერთ-ერთი საუკეთესო იყო. მამაჩემმა დაქვრივებული მარგარეტი და მისი შვილი შეიბრალა და ჰედესტადში გადმოიყვანა. მათთვის ქალაქში ბინა შეიძინა და ყველანაირად ეხმარებოდა.

რიკარდისგან განსხვავებით, რომელიც ოჯახის ბნელ, ფანატიკურ მხარეს წარმოადგენდა, გოტფრიდი უსაქმური და ზარმაცი იყო. თვრამეტი წლისა შევიფარე – ბოლოს და ბოლოს, ის ჩემი გარდაცვლილი ძმის შვილი იყო; თანაც, მასზე მხოლოდ შვიდი წლით უფროსი ვიყავი. მიუხედავად ჩემი ახალგაზრდული ასაკისა, უკვე ფირმის საბჭოს წევრი ვიყავი და ცხადი იყო, რომ მამამისის შემდეგ მმართველობას მე ჩავიბარებდი, რადგან გოტფრიდს ოჯახი მაინც უცხოდ თვლიდა.

ჰენრიკ ვანგერი წუთით ჩაფიქრდა.

– მამაჩემი შვილიშვილთან მიმართებით ყოყმანებდა, გოტფრიდი პირადად მე დავასაქმე ჩვენს კომპანიაში. ეს ომის შემდეგ მოხდა. გოტფრიდმა სცადა ემუშავა, მაგრამ ბუნებით ძალიან ზარმაცი იყო. მომხიბვლელი, უდარდელი ბიჭი ქალებში პოპულარობით სარგებლობდა. იყო პერიოდები, როცა ხშირად სვამდა. ძნელია, მასზე ჩემი აზრის სიტყვებით გადმოცემა... მთლად უმაქნისიც არა, მაგრამ საქმეში ძალიან არასაიმედო იყო. ბევრჯერ გამიცრუა იმედი. დროთა განმავლობაში გალოთდა და 1965 წელს დაიღუპა – შემთხვევით წყალში დაიხრჩო. ეს ჰედების კუნძულის მეორე ნაპირზე მოხდა, სადაც გოტფრიდს ქოხი ჰქონდა და იქ ჩუმ-ჩუმად სვამდა ხოლმე.

– მაშ, ჰარიეტის და მარტინის მამა გოტფრიდია? – მის წინ დადებული ფოტოსკენ მიუთითა ბლუმკვისტმა, თან გულში თავის თავს უხალისოდ გამოუტყდა, რომ მოხუცის ისტორიამ ძალიან დააინტერესა.

– დიახ. ორმოციანი წლების მიწურულს გოტფრიდმა შვედეთში ომის შემდეგ გადმოსახლებული გერმანელი იზაბელა კიონიგი გაიცნო. ლამაზი ქალი იყო, გარბოსა და ინგრიდ ბერგმანივით მომნუსხველი. ალბათ ჰარიეტს დედის გენები უფრო გამოჰყვა, ვიდრე გოტფრიდისა. როგორც ფოტოზე ხედავთ, თოთხმეტი წლის ასაკშიც ძალიან ლამაზი გოგონა იყო.

ბლუმკვისტმა და ვანგერმა ფოტოს კიდევ ერთხელ შეავლეს თვალი.

– მაგრამ, მოდი, გავაგრძელოთ. იზაბელა 1928 წელს დაიბადა და დღესაც ცოცხალია. ის თერთმეტი წლის იყო, როცა ომი დაიწყო. ხომ წარმოგიდგენიათ, რა საშინელებაა საჰაერო დაბომბვების ქვეშ მოქცეულ ბერლინში თინეიჯერად ყოფნა. ალბათ შვედეთში რომ გადმოსახლდა, თავი ნამდვილ სამოთხეში იგრძნო. საუბედუროდ, იზაბელა გოტფრიდს ბევრი მანკიერი თვისებით ჰგავდა: ზარმაცი და ქარაფშუტა იყო. გამუდმებით მოგზაურობდა შვედეთშიც და საზღვარგარეთაც; პასუხისმგებლობის ნატამალიც არ გააჩნდა. ამან აშკარად ზეგავლენა მოახდინა მათ შვილებზეც. მარტინი

1948 წელს დაიბადა, ხოლო ჰარიეტი – 1950 წელს. ქაოსური ბავშვობა ჰქონდათ. დედა სულ სადღაც დაეხეტებოდა და სახლში თითქმის არასდროს იყო, მამა კი ლოთობდა.

1958 წელს ვეღარ მოვითმინე და გადავწყვიტე ჩავრეულიყავი. იმ დროს გოტფრიდი და იზაბელა ჰედესტადში ცხოვრობდნენ. ვაიძულე, აქ გადმოსულიყვნენ. შეიძლება ითქვას, რომ მარტინი და ჰარიეტი ბედის ანაბარა ჰყავდათ მიგდებული.

ვანგერმა საათს შეხედა.

– ჩემი ოცდაათი წუთი თითქმის ამოიწურა, მაგრამ თხრობასაც მალე დავამთავრებ. ცოტა დროს კიდევ მომცემთ?

– მიდით, დაასრულეთ.

– მოკლედ გეტყვით. უშვილო ვიყავი, განსახვავებით ჩემი ძმების და ოჯახის სხვა წევრებისგან, რომლებიც ვანგერების გვარის გამრავლების იდეით იყვნენ შეპყრობილები. გოტფრიდი და იზაბელა აქ გადმოსახლდნენ, მაგრამ მუდმივად განქორწინების ზღვარზე იმყოფებოდნენ. ერთი წლის შემდეგ გოტფრიდი თავის ქოხში გადავიდა საცხოვრებლად. მხოლოდ ზამთარში ბრუნდებოდა ხოლმე იზაბელასთან. მარტინსა და ჰარიეტზე მე ვზრუნავდი. ისინი ჩემს ღვიძლ შვილებად მიმაჩნდა.

მარტინი... სიმართლე გითხრათ, ახალგაზრდულ ასაკში ჰქონია პერიოდი, როცა მიფიქრია, ვაითუ ესეც მამამისის კვალს გაჰყვეს-მეთქი. სუსტი, გულჩათხრობილი და მელანქოლიური პიროვნება იყო, თუმცა, შეეძლო მხიარული და სასიამოვნოც ყოფილიყო. მძიმე ბავშვობა ჰქონდა გადატანილი, მაგრამ უნივერსიტეტში სწავლისას ცოტა გამოცოცხლდა. ის ხომ... ბოლოს და ბოლოს, ის, მართალია, უკვე დაქუცმაცებული, მაგრამ მაინც „ვანგერების კორპორაციის“ ხელმძღვანელია და ეს მის წარმატებულობაზე მეტყველებს.

– და ჰარიეტი?

– ჰარიეტი ჩემი თვალისჩინი იყო. ვცდილობდი ყველა ხიფათისგან დამეცვა და მისთვის თავდაჯერებულობა შემემატებინა. საკუთარი ქალიშვილივით მიყვარდა იგი და მასაც მშობლებზე მეტად ვუყვარდი. ჰარიეტი ძალიან განსხვავებული გოგონა იყო. ძმასავით ისიც გულჩათხრობილი იყო. მოზარდობის ასაკში რელიგიურიც გახდა, რაც ჩვენი ოჯახისთვის ძალიან უცხოა. ჭკვიანი და კეთილგონიერი იყო, ზრდილობიანიც და პრინციპულიც. თოთხმეტი თუ თხუთმეტი წლისა იქნებოდა, როცა დავრწმუნდი, რომ ერთ დღესაც სწორედ ჰარიეტი – არა მისი ძმა ან ჩემი სხვა ძმისწულები – ჩაუდგებოდა ვანგერების ბიზნესს სათავეში; ან, სულ ცოტა, მის მმართველობაში მნიშვნელოვან როლს ითამაშებდა.

– მაშ, აბა, რა მოხდა?

– აი, მივადექით ნამდვილ მიზეზს, რის გამოც თქვენი დაქირავება მსურს. მინდა, გამირკვიოთ, ოჯახის რომელმა წევრმა მოკლა ჰარიეტი და იმ დღიდან მოყოლებული, მთელი ორმოცი წელი, ვინ ცდილობს ჩემს ჭკუიდან შეშლას.

თავი V

ხუთშაბათი, 26/XII

მოხუცი ჰენრიკ ვანგერის ბოლო სიტყვებმა ბლუმკვისტი იმდენად გააოცა, რომ ხელახლა გაამეორებინა, იქნებ რამე არასწორად მომესმაო. სტატიებში, რომელთაც ინტერნეტში გაეცნო, ვანგერების ოჯახში მომხდარ მკვლელობაზე არაფერი იყო ნათქვამი.

– ეს 1966 წლის 24 სექტემბერს მოხდა. თექვსმეტი წლის ჰარიეტი მოსამზადებელი სკოლის მეორე კურსზე ახალი გადასული იყო. ის შაბათი ჩემი ცხოვრების უსაშინლეს დღედ იქცა. ისე გამოვიკვლიე იმდღევანდელი დეტალები, რომ, ასე მგონია, ყოველ წუთს დაწვრილებით აღგიწერთ – გარდა უმთავრესისა.

ჰენრიკ ვანგერმა ხელით ჰაერში რკალი მოხაზა.

– აქ, ამ სახლში, ჩვენი ოჯახი იყო შეკრებილი. ყოველწლიური საძაგელი სადილი იმართებოდა. ეს ტრადიცია ბაბუაჩემმა დაამკვიდრა და თანდათან საზიზღრობაში გადაიზარდა. ტრადიციას ბოლო ოთხმოციან წლებში მოეღო, როცა მარტინმა გადაწყვიტა, ოჯახურ ბიზნესზე საუბარი და კენჭისყრა საბჭოს სხდომაზე უნდა გაიმართოს, როგორც წესი და რიგიაო. ეს მარტინის საუკეთესო გადაწყვეტილებაა, რაც კი ოდესმე მიუღია.

– თქვენ თქვით, რომ ჰარიეტი მოკლეს...

– მოითმინეთ. ბოლომდე მათქმევინეთ, რაც მოხდა. როგორც აღვნიშნე, შაბათი იყო. იმ დღეს ბავშვთა დღე იყო და ჰედესტადის სპორტ-კლუბის ორგანიზებული საზეიმო აღლუმი და წვეულება იმართებოდა. ჰარიეტი ქალაქში წავიდა და სკოლის მეგობრებთან ერთად აღლუმს დაესწრო. აქ, ჰედებიზე, 14:00-ზე დაბრუნდა. სადილი 17:00-ზე იმართებოდა და ოჯახის სხვა ახალგაზრდა წევრებთან ერთად, ისიც უნდა დასწრებოდა.

ჰენრიკ ვანგერი წამოდგა და ფანჯარასთან მივიდა. მერე ბლუმკვისტი თავისთან იხმო და გარეთ გაახედა.

– 14:15-ზე, ჰარიეტის სახლში დაბრუნებიდან რამდენიმე წუთში, ხიდზე ავტოავარია მოხდა. კაცი, სახელად გუსტავ არონსონი, ჰედების კუნძულზე მდებარე პატარა ფერმის, ოსტერგორდენის მფლობელის ძმა, ხიდზე უხვევდა და პირდაპირ მაზუთის ტანკერიან სატვირთოს შეეჯახა. ეტყობა, ორივე მანქანა გადაჭარბებული სიჩქარით მიდიოდა და მცირე ავტოსაგზაო შემთხვევა საშინელ კატასტროფაში გადაიზარდა. სატვირთოს მძღოლმა, სავარაუდოდ, ინსტინქტურად, მანქანისთვის თავის არიდება სცადა და ხიდის მოაჯირს შეასკდა. სატვირთო ამოყირავდა, მისმა საბარგულმა ხიდის მოაჯირი გაარღვია და ნახევრად ჰაერში დაეკიდა. მოაჯირის რკინის ძელმა ცისტერნა გახვრიტა და მაზუთი გადმოიღვარა. ამასობაში დალეწილ მანქანაში გაჭედილი არონსონი ტკივილისგან გამწარებული ყვიროდა. სატვირთოს მძღოლიც დაშავდა, მაგრამ მან კაბინიდან გადმოსვლა როგორღაც მოახერხა.

მოხუცი ისევ სავარძელში ჩაჯდა.

– ამ ავტოავარიას ჰარიეტთან პირდაპირი კავშირი არ აქვს. თუმცა, მან საბედისწერო როლი ითამაშა. დაზარალებულთა დასახმარებლად ხიდს ორივე მხრიდან ხალხი მიაწყდა. მაზუთის აალების დიდი საფრთხე იყო და განგაში გამოცხადდა. პოლიციის ოფიცრები, სასწრაფო დახმარება, მაშველები, მეხანძრეები, ჟურნალისტები და სეირის მაყურებლები შეგროვდნენ. ბუნებრივია, ყველანი მატერიკის მხრიდან მოადგნენ ხიდს. აქეთა მხარეს ვინც ვიყავით, არონსონის მანქანიდან გადმოყვანა ვცადეთ, რაც ძალიან ძნელი გამოდგა, რადგან დალეწილ მანქანაში გაჭედილიყო და თან სერიოზულადაც დაშავებულიყო.

შიშველი ხელებით მისი გათავისუფლება ვერ მოვახერხეთ. დამტვრეული მანქანის კარის რკინის ელექტროხერხით გახერხვა ან თუნდაც გალღობა შეიძლებოდა, მაგრამ ვერ გავბედეთ, რადგან უმცირესი ნაპერწკალიც კი მაზუთის აალებას გამოიწვევდა. აყირავებული სატვირთოს გარშემო გადმოღვრილი მაზუთის ნამდვილი ზღვა იდგა. რომ აფეთქებულიყო, ყველანი დავიხოცებოდით. მატერიკის მხრიდან ჩვენამდე მოღწევას დიდი ხანი დასჭირდა. სატვირთო ზედ შუა ხიდზე იყო ამოყირავებული, ხოლო მასზე გადაბობღება იგივე იყო, რაც ნაღმზე ფეხის დაბიჯება.

ბლუმკვისტს მოეჩვენა, რომ მოხუცი წინასწარ მომზადებულ, ათასჯერ გამეორებულ ისტორიას უყვებოდა, რათა მისი ინტერესი კიდევ უფრო გაეღვივებინა. უნდა ითქვას, ამას მშვენივრად ახერხებდა, რადგან კარგი მთხრობელი იყო. მეორე მხრივ, ბლუმკვისტს ის უკვირდა, რომ მისმა ამბავმა სულ სხვა მიმართულება მიიღო.

– ეს ავტოკატასტროფა ჩვენთვის იმით არის საინტერესო, რომ ხიდი სრული ოცდაოთხი საათით გადაკეტილი იყო. მაზუთი ტანკერიდან ბოლომდე კვირა საღამოს გამოტუმბეს. მხოლოდ ამის შემდეგ ასწიეს ამწეთი სატვირთო მანქანა და ხიდიც გაიხსნა. ამ ოცდაოთხი საათის განმავლობაში ჰედების კუნძული გარე სამყაროსგან სრულიად მოწყვეტილი იყო. მატერიკზე გადასვლის ერთადერთი საშუალება მეხანძრეთა ნავი იყო, რომელიც ხალხის გადასაყვანად ეკლესიის ქვემოთ,

ძველ ნავსადგომთან მოაყენეს. რამდენიმე საათის განმავლობაში ნავი მაშველების გარდა არავის გამოუყენებია. იმ ნავით კუნძულელების გაღმა ნაპირზე გადაყვანა მხოლოდ შაბათს გვიან ღამით დაიწყეს. კარგად ხვდებით ამ ფაქტის მნიშვნელობას?

– გამოდის, რომ ჰარიეტს აქ, კუნძულზე შეემთხვა რაღაც, – შენიშნა ბლუმკვისტმა, – ხოლო ეჭვმიტანილთა რიცხვი მაშინ კუნძულზე გამომწყვეული ხალხით შემოიფარგლება. ჩაკეტილი ოთახის საიდუმლოს ჰგავს, ოღონდ კუნძულის ფორმატში!

ვანგერმა ირონიულად ჩაიცინა.

– მიქაელ, თქვენ სრულიად მართალი ხართ. მეც წამიკითხავს დოროთი სეიერზი. მაშ ასე, ასეთი ფაქტები გვაქვს: ჰარიეტი კუნძულზე სამის ათ წუთზე დაბრუნდა. თუ ბავშვებს და დაუქორწინებელ სტუმრებსაც ჩავთვლით, დღის განმავლობაში სახლში ოჯახის ორმოცი წევრი იყო. მსახურების და აქ მცხოვრებლებთან ერთად სახლსა და მამულში მთლიანად სამოცდახუთი ადამიანი იმყოფებოდა. ზოგიერთი მათგანი, ვინც ღამით აქ დარჩენას აპირებდა, ახლომახლო სახლებში ან სასტუმრო ოთახებში დაბინავდა.

ჰარიეტი ადრე გზის გადაღმა მდგარ სახლში ცხოვრობდა. თუმცა, გოტფრიდი და იზაბელა შვილებს ყურადღებას არ აქცევდნენ და ეს გოგონას ძალიან ადარდებდა, სწავლას გულს ვერ უდებდა. მეც ჩემს სახლში გადმოსვლაზე დავითანხმე. იზაბელას ალბათ გაუხარდა კიდეც, რომ პასუხისმგებლობა თავიდან მოიცილა. ერთი სიტყვით, იმ დროისთვის ჰარიეტი უკვე ორი წლის გადმოსახლებული იყო ჩემ სახლში და იმ დღესაც სწორედ აქ მოვიდა. ვიცით, რომ ეზოში შეხვდა და გამოელაპარაკა ჰარალდს, ჩემს ძმას. შემდეგ ზემოთ ამოვიდა, ამ ოთახში, და მე მომესალმა. მითხრა, რომ ჩემთან რაღაცაზე საუბარი უნდოდა. იმ მომენტში ნათესავებს ველაპარაკებოდი და მისთვის ვერ მოვიცალე. თუმცა, ჰარიეტი ძალიან აღელვებული იყო და დავპირდი, როგორც კი გავთავისუფლდები, შენს ოთახში შემოვალ-მეთქი. ის კაბინეტიდან გავიდა და მას მერე აღარ მინახავს. რამდენიმე წუთის შემდეგ ხიდზე ავტოკატასტროფა მოხდა და იმ აურზაურში ყველა გეგმა აირ-დაირია.

– ჰარიეტი როგორ მოკვდა?

– საქმე უფრო რთულადაა და ქრონოლოგიური სიზუსტით უნდა მოგიყვეთ. როცა ავარია მოხდა, ყველამ მიატოვა თავისი საქმე და ხიდისკენ გაიქცა. მე... მგონი, არონსონის შველა ვითავე და რამდენიმე საათს ძალიან დაკავებული ვიყავი. ჰარიეტიც მოსულა ხიდთან – რამდენიმე მოწმემ დაადასტურა – მაგრამ მაზუთის აალების საფრთხე იმდენად დიდი იყო, რომ ყველას, მათ გარდა, ვინც არონსონს მანქანიდან გადმოყვანაში ვეხმარებოდით, იქაურობის დატოვება ვუბრძანე. ხიდზე სულ ხუთნი დავრჩით. ჩემი ძმა ჰარალდიც იქ იყო და ჩემი ერთ-ერთი მუშა მაგნუს ნილსონიც. აგრეთვე გვეხმარებოდა, სახერხში მომუშავე სიქსტენ ნორდლანდერი,

რომელიც მეთევზეთა ნავსადგურთან ცხოვრობდა; და კიდევ, ერთი თექვსმეტი წლის ბიჭი ჯერკერ არონსონი. ის გუსტავის ძმისშვილი იყო, თორემ ხიდზე არც მას დავტოვებდი.

სამს რომ ოცი აკლდა, ჰარიეტი ამ სახლის სამზარეულოში იჯდა. ის იზაბელამ ნახა. რამდენიმე წუთის შემდეგ, ჰედების ეკლესიის პასტორ ოტო ფალკს შეეჩეხა. მაშინ პასტორის სახლი იქ იდგა, სადაც ახლა მარტინის ვილა დგას და პასტორიც ხიდის ამ მხარეს ცხოვრობდა. როცა ავარია მოხდა, პასტორი გაცივებული იყო და ლოგინში იწვა. თუმცა, მისთვის ვიღაცას ტელეფონით დაერეკა. ხიდისკენ მიიჩქაროდა, როცა ჰარიეტს გზაზე გაუჩერებია და რაღაცის თქმა დაუპირებია, მაგრამ პასტორს ხელით უნიშნებია, ახლა არ მცალიაო და გზა გაუგრძელებია. ფალკი უკანასკნელი ადამიანია, ვინც ჰარიეტი ცოცხალი ნახა.

– ჰარიეტი როგორ მოკვდა? – გაიმეორა შეკითხვა ბლუმკვისტმა.

– არ ვიცი, – ნაღვლიანად უპასუხა ჰენრიკ ვანგერმა, – არონსონი მანქანიდან 17:00-ზე გადმოვიყვანეთ. სხვათა შორის, გადარჩა, მაგრამ ძლიერად დაშავებული იყო. სადღაც ექვსი საათისთვის ხანძრის გაჩენის საფრთხეც გაქრა და სიტუაციაც თანდათან დაწყნარდა. გადადებული ოჯახური სადილის დაწყება მხოლოდ 20:00-ზე მოვახერხეთ და სწორედ მაგიდასთან შევნიშნეთ, რომ ჰარიეტი გვაკლდა. მე ერთ-ერთი ბიძაშვილი ჰარიეტის დასაძახებლად გავგზავნე, მაგრამ ის მეორე სართულიდან ჩამოვიდა და გვითხრა, მისი ოთახი ცარიელიაო. დიდად არ ავღელვებულვარ. ვიფიქრე, ალბათ სასეირნოდ წავიდა ან მისთვის არ უთქვამთ, რომ სადილი მზად იყო-მეთქი. იმ საღამოს ოჯახის წევრებთან ერთად მრავალი თემა მქონდა განსახილველი და ბევრ რამეზე უნდა მეკამათა კიდეც. ამიტომაც მომდევნო დილამდე, როცა იზაბელამ მოინდომა მისი ნახვა, არავის გაუცნობიერებია, რომ ჰარიეტი წინა დღის შემდეგ არც ერთს არ გვინახავს, – მოხუცმა ხელები ფართოდ გაშალა, – მას მერე, ჰარიეტი უკვალოდ გაუჩინარდა.

– გაუჩინარდა? – გაიმეორა ბლუმკვისტმა.

– მთელი ამ წლების განმავლობაში მისი ნიშანწყალიც კი არსად გვინახავს.

– მაგრამ თუ ჰარიეტი გაუჩინარდა, რატომ ხართ დარწმუნებული, რომ მოკლეს?

– გასაგებია თქვენი მოსაზრება. მეც მიფიქრია ამაზე. ოთხი რამ შეიძლება ადამიანის დაკარგვის მიზეზი იყოს. შესაძლოა, ადამიანი საკუთარი ნებით გაიქცეს და სადმე სხვაგან დაიმალოს; ან რაიმე უბედურება შეემთხვეს და დაიღუპოს; ან თავი მოიკლას; ან დანაშაულის მსხვერპლი გახდეს. ყველა ეს შესაძლებლობა განვიხილე.

– და გჯერათ, რომ ჰარიეტი ვიღაცამ მოკლა. რატომ?

– იმიტომ, რომ ყველაზე გონივრული დასკვნა ესაა, – მოხუცმა ერთი თითი გაშალა, – თავიდან მეგონა, რომ ჰარიეტი გაიქცა. თუმცა, რაც უფრო გადიოდა დრო, ყველანი

ვხვდებოდით, რომ ასე არ იყო. აბა, დაფიქრდით, როგორ შეძლებდა შეძლებული ფენიდან გამოსული თექვსმეტი წლის გოგონა, თუნდაც საკმაოდ ჭკვიანი და მოხერხებული, დამოუკიდებლად თავის გატანას? ამას უჩინრად როგორ მოახერხებდა? საარსებო ფულს სად იშოვიდა? სადმე მუშაობაც რომ დაეწყო, სოცდაზღვევის ბარათი ან მისამართი ხომ დასჭირდებოდა?

ჰენრიკ ვანგერმა ორი თითი გაშალა.

– მერე ვიფიქრე, ალბათ რამე უბედურება შეემთხვა-მეთქი. შეიძლება, რაღაც გთხოვოთ? მაგიდის ზედა უჯრა გამოაღეთ და იქ რომ რუკა დევს, აქ მოიტანეთ.

ბლუმკვისტი ასეც მოიქცა და რუკა ყავის მაგიდაზე გაშალა. ჰედების კუნძული უსწორმასწორო ფორმის ხმელეთის მასას წარმოადგენდა, სიგრძეში დაახლოებით ორი მილი იყო, ხოლო სიგანეში ყველაზე ფართო მონაკვეთი ერთი მილი თუ იქნებოდა. კუნძულის უდიდესი ნაწილი ტყეს დაეფარა. ხოლო ხიდის სიახლოვეს და სანაპირო ზოლის გასწვრივ სახლები და საზაფხულო აგარაკები იდგა. ხიდის მეორე ბოლოში მცირე ფერმა მდებარეობდა, ოსტერგორდენი. სწორედ იქიდან მოდიოდა უბედური გუსტავ არონსონი.

– გახსოვდეთ, რომ ჰარიეტი კუნძულს ვერ დატოვებდა, – თქვა ვანგერმა, – რასაკვირველია, როგორც ყველგან, ჰედების კუნძულზეც შეიძლება უბედურება შეგემთხვეს, მაგალითად, მეხი დაგეცეს – მაგრამ იმ დღეს კარგი ამინდი იყო. შეიძლება, ცხენმა გაგთელოს, ან ჭაში ჩავარდე ან კლდის შვერილიდან გადავარდე. ამ კუნძულზე ათასგვარი რამ შეიძლება დაგემართოს. თითქმის ყველა ვარიანტი განვიხილე.

ჰენრიკ ვანგერმა სამი თითი გაშალა.

– როგორც მეორე, ისე მესამე შესაძლებლობის შემთხვევაშიც, რაც თვითმკვლელობას გულისხმობს, გოგონას გვამი ამ მიდამოებში უნდა გვეპოვა.

ვანგერმა მუშტი რუკას დასცხო.

– მისი გაუჩინარების შემდეგ კუნძული მთელ სიგრძე-სიგანეზე გავჩხრიკეთ, ყოველ ორმოსა თუ ნაპრალში ჩავძვერით, გამოვიკვლიეთ კლდეები და ტყეები. შევამოწმეთ ყოველი შენობა, ბეღელი, ჩაკეტილი სხვენი, ჭა თუ საკვამური.

მოხუცმა მზერა ბლუმკვისტიდან გარეთ ჩამოწოლილ სიბნელეზე გადაიტანა და ხმადაბლა განაგრძო:

– მთელი შემოდგომა ვეძებდი, მას მერეც კი, რაც მაშველებმა ძებნა შეწყვიტეს და ჰარიეტის პოვნის იმედი ყველას გადაეწურა. თუ თავისუფალი დრო გამომიჩნდებოდა, კუნძულს ფეხით დავივლიდი ხოლმე. ზამთარი მოვიდა, მაგრამ გოგონას არანაირი კვალი არ გვიპოვია. გაზაფხული დადგა, მაგრამ მე მაინც

ვაგრძელებდი ძებნას, სანამ არ მივხვდი, რომ დროს ტყუილად ვკარგავდი. ზაფხულში სამი გამოცდილი მეტყევე დავიქირავე და ძაღლებთან ერთად კუნძულის თითოეული სანტიმეტრი ხელახლა გამოვიკვლიეთ. იმ დროისთვის უკვე ვეჭვობდი, რომ ჰარიეტი ვიღაცამ მოკლა. ამიტომ ყოველი შემთხვევისთვის, საფლავებსაც ვეძებდით. თუმცა, საერთოდ ვერაფერს მივაგენით, თითქოს მიწამ ჩაყლაპაო.

– მე სხვა ვარიანტებსაც შემოგთავაზებდით, – უთხრა მას ბლუმკვისტმა.

– გისმენთ.

– შეიძლება წყალში გადახტა ან ჩავარდა და დაიხრჩო. ჰედები კუნძულია, წყალში ბევრი რამ შეიძლება იმალებოდეს.

– შეიძლება, მაგრამ ნაკლებად სავარაუდოა. საქმე ისაა, რომ თუკი ჰარიეტი მართლაც ჩავარდა წყალში, ეს სადმე სოფლის ახლოს უნდა მომხდარიყო. გახსოვდეთ, რომ ავარია ხიდზე ერთ-ერთი ყველაზე სენსაციური შემთხვევა იყო, რაც კი ჰედების კუნძულზე მომხდარა. არა მგონია, თექვსმეტი წლის ცნობისმოყვარე გოგონა ამ დროს კუნძულის მეორე მხარეს წასულიყო სასეირნოდ. რაც მთავარია, დინება აქ არც ისე სწრაფია, თანაც წელიწადის იმ დროს ჩრდილოეთის და ჩრდილო-აღმოსავლეთის ქარი ქროდა. ამ პერიოდში თუ წყალში რამე ჩავარდა, თითქმის ყოველთვის მატერიკის მხარეს გაირიყება ხოლმე. იქითა სანაპირო კი დასახლებულია. ნუ გგონიათ, რომ ეს ვარიანტი ჩვენ არ განგვიხილავს. ყველა მონაკვეთი შევამოწმეთ, სადაც გვამი შეიძლებოდა გამორიყულიყო. ჰედესტადელი მყვინთავებიც დავიქირავე. მთელი ზაფხული სანაპიროს გასწვრივ და სრუტეში ყვინთავდნენ, მაგრამ ვერც ფსკერზე იპოვეს ვერაფერი. დარწმუნებული ვარ, ჰარიეტი წყალში არ ჩავარდნილა, თორემ მის გვამს აუცილებლად ვიპოვიდით.

– არ შეიძლება, სადმე სხვაგან დამართნოდა რამე? გასაგებია, რომ ხიდი გადაკეტილი იყო, მაგრამ მატერიკამდე შორი არაა. იქნებ გაცურა ან ნავით გადავიდა იქამდე?

– სექტემბრის ბოლო იყო და ჰარიეტი ისეთ ცივ წყალში ჩასვლას ვერ გაბედავდა. თუნდაც გადაცურვა მოენდომებინა, ყურადღებას აუცილებლად მიიპყრობდა და ვინმე დაინახავდა. ხიდზე ათობით მაშველი იდგა, სანაპიროზე კი ორასი-სამასი ადამიანი იყო შეკრებილი.

– ნავი რომ გამოეყენებინა?

– ვერ გამოიყენებდა. იმ დღეს ჰედების კუნძულზე სულ ცამეტი ნავი იყო. სასეირნო ნავების უმეტესობა უკვე დოკში იდგა. „პეტერსონის“ ორი ნავი საზაფხულო კოტეჯებთან, მცირე ნავსადგურში იყო მიბმული. შვიდი ნიჩბიანი ნავიდან ხუთი ხმელეთზე იყო ამოთრეული. დანარჩენი ორი – პასტორის სახლთან: ერთი წყალში ტივტივებდა, მეორე ხმელეთზე იყო ამოთრეული. ოსტერგორდენთან ერთი ნიჩბიანი ნავი და ერთი კატერი იდგა. ეს ნავები შევამოწმეთ და ყველა თავის ადგილას

დაგვხვდა. ჰარიეტს რომ ნავით გადაეცურა მეორე ნაპირამდე და გაქცეულიყო, ნავის იქვე დატოვება მოუწევდა.

ვანგერმა ოთხი თითი გაშალა.

– ასე რომ, ერთადერთი ვარიანტი რჩება: ჰარიეტი გაიტაცეს, მოკლეს და მისი გვამი თავიდან მოიცილეს.

ლიზბეთ სალანდერმა შობის დილა მიქაელ ბლუმკვისტის სკანდალური წიგნის – „ტამპლიერები: ჭკუის სასწავლებელი ამბავი ეკონომიკის მიმომხილველი ჟურნალისტებისთვის“ – კითხვაში გაატარა. წიგნის ყდის დიზაინი კრისტერ მალმს ეკუთვნოდა. ყდაზე სტოკჰოლმის საფონდო ბირჟა იყო გამოსახული. მალმს ფოტო „ფოტოშოპში“ დაემუშავებინა; ადვილად ვერ შეამჩნევდით, რომ შენობა ჰაერში ფარფატებდა. მრავლისმეტყველი ფოტო იყო, თითქოს მომავალს წინასწარმეტყველებდა.

სალანდერს ბლუმკვისტის წიგნი მოეწონა. მარტივი ენით იყო დაწერილი და ისე ადვილად იკითხებოდა, ეკონომიკური საკითხების მიმომხილველი ჟურნალისტების რთულ საქმიანობაში ჩაუხედავი მკითხველიც კი ბევრ რამეს შეიტყობდა და ისწავლიდა. ავტორის ტონი ოდნავ გესლიანი და სარკასტული, მაგრამ მაინც დამაჯერებელი იყო.

პირველ თავში ბლუმკვისტი ზედმეტი მიკიბ-მოკიბვის გარეშე უცხადებდა ომს ბოლო ოცი წლის განმავლობაში არაკომპეტენტურ ლაქიებად ქცეულ, საკუთარ თავზე გადაჭარბებული წარმოდგენის მქონე და ეკონომიკური საკითხების მიმომხილველ, კრიტიკული აზროვნების უნარს მოკლებულ შვედ ჟურნალისტებს. ბლუმკვისტი აღნიშნავდა, ბოლო დროს ჩემი კოლეგა ჟურნალისტები საწარმოების დირექტორების და საბაზრო სპეკულანტების განცხადებების ციტირებითა და სიტყვასიტყვით გადაბეჭვით უფრო არიან დაკავებულნი, ვიდრე ამ განცხადებების და ანგარიშების განხილვითა თუ გაანალიზებითო. „მაშ, რითაა გამოწვეული ის ფაქტი, რომ ზოგჯერ ოფიციალური პირების მიერ გავრცელებულ აშკარად მცდარ ინფორმაციაზე ჟურნალისტები არაფერს ამბობენ?“ – კითხვას სვამდა ბლუმკვისტი და თვითონვე პასუხობდა, რომ ასეთი ჟურნალისტები ან ძალიან გულუბრყვილოები და არაპროფესიონალები არიან და აჯობებს, თუ სხვა სფეროში მოსინჯავენ თავიანთ ძალებს, ან არადა, სპეციალურად ხუჭავენ თვალს და ჟურნალისტის პრინციპებს ღალატობენო. ბლუმკვისტი აღნიშნავდა, მრცხვენია, როცა ეკონომიკის მიმომხილველ ჟურნალისტად მიხსენიებენ, რადგან ამ დროს იმ ადამიანების გვერდით მაყენებენ, ვისაც მე თვითონ ჟურნალისტებად საერთოდ არ მივიჩნევო.

ბლუმკვისტი ეკონომიკური საკითხების მიმომხილველის შრომას კრიმინალური ქრონიკების და საერთაშორისო ამბების მიმომხილველებისას ადარებდა. „წარმოგიდგენიათ, რა მოხდება, თუ ჟურნალისტი სასამართლო პროცესის

მიმოხილვისას პროკურორის მოყვანილ ფაქტებს სახარებად მიიღებს და ისე, რომ მკვლელობაში ეჭვმიტანილის დაცვის მხარის არგუმენტებს არ მოისმენს და არც დაზარალებულის ოჯახის წევრებს გაესაუბრება, თავის სავარაუდო დასკვნას ჩამოაყალიბებს?“ ბლუმკვისტის თქმით, ზუსტად იგივე წესები მოქმედებდა ეკონომიკის მიმომხილველ ჟურნალისტებზე.

მთელი დარჩენილი წიგნი ავტორის მოსაზრებების ლოგიკურ დასაბუთებას ეთმობოდა. ერთ-ერთ გრძელ თავში გაანალიზებული იყო, როგორ მიმოიხილა ექვსმა მედიასაშუალებამ, მათ შორის Finanstidningen-მა, Dagens Industri-მ, A-ekonomi-მ და შვედეთის ტელევიზიამ ცნობილი Dot-com კომპანიის საქმიანობა. ბლუმკვისტს სატელევიზიო სიუჟეტებიდან და სტატიებდან მოჰყავდა ციტატები და მათ კომპანიის რეალურ მდგომარეობას ადარებდა. კომპანიის საქმიანობის გაანალიზებისას, ბლუმკვისტი იმ შეკითხვებს სვამდა, რაც, წესით, ნებისმიერ რეპორტიორს უნდა დაესვა თავის სიუჟეტსა და სტატიაში, მაგრამ რატომღაც ყველას თავი აერიდებინა.

კიდევ ერთი თავი კომპანია „თელიას“ აქციების პირველ საჯარო გაყიდვას მიმოიხილავდა – ეს წიგნის ყველაზე სასაცილო და ირონიული მონაკვეთი იყო. ბლუმკვისტი რამდენიმე ჟურნალისტს განსაკუთრებით აქილიკებდა, მათ შორის, უილიამ ბორგს, რომელსაც, როგორც ჩანდა, განსაკუთრებით მტრობდა. ერთ-ერთ ბოლო თავში შვედი და უცხოელი ეკონომიკური ჟურნალისტების კომპეტენტურობის დონე იყო შედარებული. ბლუმკვისტი აღნიშნავდა, რამდენად სერიოზულად მიმოიხილავდნენ მსგავს საკითხებს ლონდონური Finantial Times და The Economist, აგრეთვე ზოგიერთი გერმანული გაზეთის ჟურნალისტებიც. შედარება შვედ ჟურნალისტებს აშკარად არასახარბიელო მდგომარეობაში აყენებდა. ბოლო თავში ბლუმკვისტი სავალალო ვითარებიდან თავდასაღწევ რჩევებს იძლეოდა, ხოლო წიგნის ეპილოგი პროლოგს ეხმიანებოდა:

„საპარლამენტო ჟურნალისტი რომ ყოველ მიღებულ კანონსა თუ გადაწყვეტილებას, თუნდაც სრულიად უაზროს, თავგამოდებით იცავდეს, ან პოლიტიკური მიმომხილველი რომ კრიტიკულ აზროვნებას მოკლებული იყოს, მას აუცილებლად დაითხოვდნენ სამსახურიდან ან ნაკლებად მნიშვნელოვან განყოფილებაში გადაიყვანდნენ. რატომღაც ეკონომიკურ ჟურნალისტიკაში მკითხველისთვის კრიტიკული ანალიზისა და ობიექტური ინფორმაციის მიწოდება სავალდებულოდ არავის მიაჩნია. აქ თაღლითებსა და გაიძვერებს ტაშით ეგებებიან. თუ ასე გაგრძელდა, შვედური საზოგადოება იმ მინიმალურ ნდობასაც დაკარგავს, რაც ჟურნალისტის, როგორც პროფესიონალის, მიმართ გააჩნია.

სალანდერს არ გაჰკვირვებია, რატომ მოჰყვა ამ წიგნის გამოსვლას დიდი დებატები Journalisten-ში, სხვა ეკონომიკურ გამოცემებსა და ყოველდღიური გაზეთების წინა გვერდებსა და ბიზნეს-განყოფილებებში. მართალია, ბლუმკვისტის წიგნში

კონკრეტულად მხოლოდ რამდენიმე ჟურნალისტი იყო მოხსენიებული, მაგრამ მოყვანილი ციტატების ავტორები უთუოდ ამოიცნობდნენ თავიანთ თავს. ბლუმკვისტმა მრავალი მტერი შეიძინა, რაც „ვენერსტრომის საქმეზე“ სასამართლოს განაჩენთან დაკავშირებით ბევრ საგაზეთო სტატიაში გაკეთებული გესლიანი კომენტარებითაც გამოჩნდა.

გოგონამ წიგნი დაკეცა და უკანა ყდაზე ბლუმკვისტის ფოტოს დახედა. კაცს მუქი ქერა თმა უწესრიგოდ ჩამოჰყროდა შუბლზე, თითქოს ქარმა აუწეწაო. ან თითქოს (ეს უფრო სავარაუდო იყო) კრისტერ მალმმა ასეთი სტილი სპეციალურად შეურჩიაო. ბლუმკვისტი ფოტოკამერას ირონიული ღიმილითა და ახალგაზრდული მომხიბვლელობით უყურებდა.

„რა ლამაზი კაცია და სამი თვით ციხეში უნდა გამოკეტონ“, – სინანულით გაიფიქრა ლიზბეთ სალანდერმა.

– გამარჯობა, კალე ბლუმკვისტ, – წარმოთქვა ხმამაღლა, – რაღაც ძალიან თვითკმაყოფილი ჩანხარ, ხო იცი!

ნასადილევს სალანდერმა „აიბუქი“ ჩართო და „ეუდორაში“ შევიდა იმეილის გასაგზავნად.

„დრო გაქვს?“ – აკრიფა ტექსტი, ქვეშ მეტსახელი Wasp მიაწერა და გაგზავნა მისამართზე: <Plague–xyz–666@hotmail.com> მეტი უსაფრთხოებისთვის, თავისი წერილი PGP დაშიფრული პროგრამით გაუშვა.

შემდეგ შავი ჯინსის შარვალი, მძიმე ზამთრის ჩექმები, თბილი, საყელოიანი სვიტერი და შავი ქურთუკი ჩაიცვა. ქუდი დაიხურა, შავი ხელთათმანები გაიკეთა და ყელზე შარფი შემოიხვია. მერე წარბებიდან და ნესტოდან რგოლები მოიხსნა, ღია ვარდისფერი პომადა წაისვა და საკუთარი თავი სარკეში შეათვალიერა. სასეირნოდ მიმავალ ჩვეულებრივ ქალს ჰგავდა. სწორედ ასე შენიღბული აპირებდა მტრის ზურგში უჩუმრად შეპარვას. ცინკენსდამიდან ესტერმალმის მოედნამდე მეტროთი მივიდა, იქიდან სტრანდვეგენამდე კი – ფეხით. ქუჩას მიუყვებოდა და შენობების ნომრებს აკვირდებოდა. დიურგარდის ხიდთან ის სახლი იპოვა, რომელსაც ეძებდა. ქუჩა გადაჭრა და სადარბაზო კარის წინ შედგა.

შობის მომდევნო დღე იყო. გოგონამ შეამჩნია, რომ ცივ ამინდში ქუჩაში გამოსული ხალხის უმეტესობა ტროტუარზე მიმოდიოდა, მხოლოდ რამდენიმე მიუყვებოდა გზისპირს.

თითქმის ნახევარ საათს იცდიდა, სანამ დიურგორდენის მხრიდან ხელჯოხიანი მოხუცი ქალი გამოჩნდებოდა. ქალი შეჩერდა და სალანდერი დაეჭვებულმა შეათვალიერა. სალანდერმა მეგობრულად გაუღიმა. მოხუცი ქალიც ღიმილით მიესალმა და ისე მიაშტერდა, თითქოს გოგონა ეცნოო. სალანდერმა ზურგი აქცია და

კარის წინ ბოლთის ცემას მოჰყვა, თითქოს ვიღაცას მოუთმენლად ელოდა. როცა შეტრიალდა, მოხუცი ქალი უკვე ელექტროსაკეტს აღებდა. სალანდერმა გარკვევით დაინახა კოდი: 1260.

კიდევ ხუთ წუთს შეიცადა და კართან მივიდა. კოდი აკრიფა და კარს მიაწვა. შიგნით შეიჭვრიტა. კიბის თავზე სათვალთვალო კამერა ეკიდა, მაგრამ ლიზბეთი შეხედვისთანავე მიხვდა, რომ საშიში არაფერი იყო. ასეთ კამერებს Milton Security აყენებდა ხოლმე და მხოლოდ მაშინ აქტიურდებოდა, თუ კარს ძალით შეამტვრევდნენ და სიგნალიზაცია ჩაირთვებოდა. მოშორებით, ძველებური, გისოსებიანი ლიფტისგან მარცხნივ, კიდევ ერთი ელექტროსაკეტიანი კარი იყო. აქაც ციფრების იგივე კომბინაცია გამოიყენა და გაიღო. კარი სარდაფში გადიოდა.

„რა დაუდევრობაა!“ – თავი გააქნია სალანდერმა.

სამ წუთს ათვალიერებდა სარდაფს, სადაც სამრეცხაო და სანაგვე ოთახები აღმოაჩინა. შემდეგ Milton Security-ს ზეინკლისთვის აწაპნილი უნივერსალური გასაღებით ერთი ჩაკეტილი კარი გააღო და მეზობელთა საერთო ოთახში შევიდა. სარდაფის ბოლოს მდებარე ოთახს ათასგვარი ჰობისთვის იყენებდნენ. სალანდერმა როგორც იქნა მიაგნო, რასაც ეძებდა: ოთახს, საიდანაც შენობა ელექტოენერგიით მარაგდებოდა. მრიცხველები, გამომრთველები და სადენების კვანძი შეამოწმა. შემდეგ სიგარეტის კოლოფისხელა Canon-ის მარკის ციფრული ფოტოკამერით სამი სურათი გადაიღო.

გარეთ გასვლისას შენობაში მცხოვრებთა სიას შეავლო თვალი და ბოლო სართულზე მცხოვრების გვარი ამოიკითხა: „ვენერსტრომი“.

მერე შენობიდან გავიდა და სწრაფად გასწია ნაციონალური მუზეუმისკენ. იქ კაფეში ყავა დალია და გათბა. ნახევარ საათის შემდეგ სოდერის უბანში მდებარე თავის ბინაში დაბრუნდა.

<Plague–xyz–666@hotmail.com>-ისგან დაშიფრული პასუხი მოსვლოდა. PGP-ში დეკოდირების შემდეგ პასუხმა ასეთი სახე მიიღო: 20.

თავი VI

ხუთშაბათი, 26/XII

ბლუმკვისტის დათქმულ ნახევარ საათს ბევრი გადასცდა. უკვე ხუთის ნახევარი იყო და შუადღის მატარებელს ვერაფრით მიასწრებდა, მაგრამ რვის ნახევრიანი საღამოს მატარებლისთვის მისწრება კიდევ შეეძლო. ბლუმკვისტი ფანჯარასთან იდგა, კეფას იქექავდა და გადაღმა ნაპირზე მდგარი ეკლესიის განათებულ ფასადს უყურებდა. ვანგერმა ადგილობრივ და ნაციონალურ გაზეთებში გამოქვეყნებული სტატიების ალბომი აჩვენა. იმდროინდელი მედია დიდ ინტერესს იჩენდა ცნობილი მეწარმის ოჯახიდან დაკარგული გოგონას მიმართ. თუმცა, გამოძიების ჩიხში შესვლისა და ცხედრის გაქრობის გამო, ინტერესი თანდათან იკლებდა. მიუხედავად იმისა, რომ მდიდარ ოჯახს ეხებოდა, ოცდათექვსმეტი წლის შემდეგ ჰარიეტ ვანგერის ამბავი აღარავის ახსოვდა. სამოციანი წლების პრესაში ყველაზე პოპულარული თეორია ის იყო, რომ გოგონა წყალში დაიხრჩო. ტრაგიკული შემთხვევაა, მაგრამ ასეთი რამ ნებისმიერ ოჯახს შეიძლება შეემთხვეს.

ბლუმკვისტი ჰენრიკ ვანგერის მონაყოლმა დააინტერესა, მაგრამ როცა მოხუცი საპირფარეშოში გავიდა, ისევ სკეპტიციზმმა შეიპყრო. ჰენრიკ ვანგერს ჯერ არ დაემთავრებინა თავისი ამბის მოყოლა, ხოლო ბლუმკვისტვი დაჰპირდა, ბოლომდე მოგისმენთო.

– როგორ ფიქრობთ, რა მოუვიდა ჰარიეტს? – ჰკითხა ბლუმკვისტმა მოხუცს, როცა ის კაბინეტში დაბრუნდა.

– ამ მამულში მუდმივად ოცდახუთი კაცი მაინც ცხოვრობდა. თუმცა, იმ დღეს ოჯახური შეკრება იყო და ჰედების კუნძულზე სამოცზე მეტი ნათესავი იყო შეკრებილი. ამ სამოციდან ოცი-ოცდახუთი ადამიანის გამორიცხვა შეიძლება. ჩემი აზრით, სწორედ იმ სხვებიდან – ალბათ, უფრო ოჯახის წევრებიდან – რომელიმემ მოკლა ჰარიეტი და მისი გვამი დამალა.

– მე მაინც შეგეკამათებოდით.

– მიდით, გისმენთ.

– თუნდაც მისი გვამი ვინმეს დაემალა, თქვენი ძიებისას, თუ ის მართლა ისეთი საფუძვლიანი იყო, როგორც მომიყევით, სადმე აუცილებლად გადააწყდებოდით.

– სიმართლე გითხრათ, ძიება უფრო მასშტაბური იყო, ვიდრე მე მოგიყევით. ჰარიეტის მკვლელობაზე მაშინ დავფიქრდი, როცა გავიაზრე, როგორ შეიძლებოდა მისი გვამის დამალვა. დამტკიცება არ შემიძლია, მაგრამ ამ თეორიასაც აქვს არსებობის უფლება.

– მეც გამაცანით თქვენი თეორია.

– ჰარიეტი შუადღისას, დაახლოებით სამი საათისთვის გაუჩინარდა. 14:55-ზე ის ხიდისკენ მიმავალმა პასტორმა ფალკმა ნახა. თითქმის იმავდროულად, უბედური შემთხვევის ადგილას ჰედესტადის გაზეთის ფოტოგრაფი მივიდა და ავარიის ამსახველი ბევრი ფოტო გადაიღო.

ვანგერმა თაროდან კიდევ ერთი ალბომი გამოიღო და მაგიდაზე გაშალა.

– ეს იმ დღეს გადაღებული ფოტოებია. პირველი ჰედესტადში ბავშვთა დღის აღსანიშნავად გამართულ აღლუმზეა გადაღებული. იმავე ფოტოგრაფმა ეს სურათი 13:15-ზე გადაიღო და მასზე ჰარიეტი ჩანს.

ფოტოზე, რომელიც შენობის მეორე სართულიდან იყო გადაღებული, მოჩანდა ქუჩა, რომელსაც აღლუმის მონაწილენი – მანქანაზე შემომჯდარი კლოუნები და საცურაო კოსტიუმიანი გოგონები – მიუყვებოდნენ. მაყურებლები ტროტუარებზე შეკრებილიყვნენ. ვანგერმა ბრბოს შუაგულში მდგარ ფიგურაზე მიუთითა.

– ეს ჰარიეტია, გაუჩინარებამდე ორი საათით ადრე. აქ თანაკლასელებთან ერთადაა. ეს მისი ბოლო სურათია. თუმცა, არის კიდევ ერთი საინტერესო ფოტო.

ვანგერმა ალბომის ფურცვლა დაიწყო. ალბომში ავტოავარიის ამსახველი 180 ფოტო – ექვსი ფოტოფირი – იდო. მოხუცის მონაყოლი ამბავი თითქოს ბლუმკვისტის თვალწინ გაცოცხლდა შავ-თეთრი სურათებით. პროფესიონალ ფოტოგრაფს ავარიის თანმხლები ორომტრიალის სრულად დაფიქსირება მოეხერხებინა. ფოტოების უმრავლესობაზე ამოყირავებული სატვირთოს გარშემო მიმდინარე სამაშველო საქმიანობა იყო აღბეჭდილი. ბლუმკვისტმა ფოტოზე ადვილად იცნო მაზუთით მოთხვრილი ბევრად ახალგაზრდა ჰენრიკ ვანგერი, რომელიც სადღაც მიუთითებდა.

– ეს ჩემი ძმა ჰარალდია, – მოხუცმა არონსონის დალეწილი მანქანისკენ დახრილ, მკლავებდაკაპიწებულ მამაკაცს დაადო თითი, – ცოტა უხიაგი კაცია, მაგრამ, ჩემი აზრით, მისი ეჭვმიტანილთა სიიდან მისი ამოშლა თავისუფლად შეიძლება. გარდა იმ რამდენიმე წუთისა, როცა ფერმაში ფეხსაცმლების გამოსაცვლელად გამოიქცა, მთელი შუადღე ხიდზე იმყოფებოდა.

ვანგერმა კიდევ რამდენიმე გვერდი გადაშალა. მაზუთის ტანკერის, სანაპიროზე შეკრებილი ხალხის, არონსონის დალეწილი მანქანის ახლო კადრები და ფართო ხედები ერთმანეთს ცვლიდა.

– აი, ეს საინტერესო სურათია, – თქვა ვანგერმა, – როგორც დავადგინეთ, 15:40-იდან და 15:45-ის შუალედში უნდა იყოს გადაღებული, ანუ ორმოცდახუთის წუთის შემდეგ, რაც ჰარიეტი ფალკს შეეჩეხა. შეხედეთ სახლის მეორე სართულის შუა ფანჯარას. ეს ჰარიეტის ოთახია. წინა სურათზე ფანჯარა დახურულია. ახლა ღიაა.

– მაშ, ჰარიეტის ოთახში ვიღაც იყო.

– გამოვიკითხე და ყველამ ასე მითხრა, ფანჯარა არ გაგვიღიაო.

– ეს ნიშნავს, რომ ფანჯარა თავად ჰარიეტმა გააღო და იმ დროს ჯერ კიდევ ცოცხალი იყო, ან ვიღაცამ მოგატყუათ. მაგრამ მკვლელი მის ოთახში რატომ შევიდოდა ან ფანჯარას რატომ გააღებდა?

ვანგერმა თავი გააქნია. ამაზე პასუხი არ ჰქონდა.

– ჰარიეტი დაახლოებით სამ საათზე გაუჩინარდა. ამ სურათების მიხედვით ვადგენთ, სად იმყოფებოდა ესა თუ ის პიროვნება იმ მომენტში. ამიტომაც რამდენიმე პიროვნების ეჭვმიტანილთა სიიდან ამოშლა თამამად შეგვიძლია; ხოლო ისინი, ვინც სურათებზე არაა აღბეჭდილი, სავარაუდო ეჭვმიტანილები არიან.

– თქვენ არ გიპასუხიათ, როგორ შეიძლებოდა გვამის დამალვა. ჩემი აზრით, რაღაც ახსნა აუცილებლად უნდა არსებობდეს. ალბათ ილუზიონისტის რომელიმე ეშმაკური ხრიკი გამოიყენეს.

– არსებობს რამდენიმე გზა, თუ როგორ შეიძლებოდა გვამის თავიდან მოშორება. დაახლოებით სამ საათზე ჰარიეტი მოკლეს. სავარაუდოდ, მკვლელს არანაირი იარაღი არ გამოუყენებია, თორემ სისხლის კვალს ვიპოვიდით. ვფიქრობ, ჰარიეტი დაახრჩეს და თანაც აქ, სადმე ეზოში ან სახლის უკან, ისეთ ადგილას, ფოტოგრაფის ობიექტივი რომ ვერ მისწვდებოდა. პასტორის სახლამდე მისასვლელი მოკლე გზაც არსებობს, ბილიკი, რომელიც უკანა ეზოში იწყება. ჰარიეტი ბოლოს ზუსტად იქ ნახეს. დღეს იმ ადგილას მდელო და ყვავილების ბაღია, მაგრამ სამოციან წლებში ხრეში იყო მოყრილი და ავტოსადგომად ვიყენებდით. მკვლელი ადვილად ჩააგდებდა ჰარიეტის გვამს მანქანის საბარგულში. როცა ჰარიეტის ძებნა დავიწყეთ, მკვლელობაზე არც გვიფიქრია. სანაპირო ზოლს, შენობებს და ტყეს ვიკვლევდით.

– ხოლო მანქანების საბარგულებს არავინ ამოწმებდა.

– და მომდევნო საღამოდან, მას მერე, რაც ხიდი გახსნეს, მკვლელს თავისუფლად შეეძლო მანქანით მატერიკზე გადასულიყო და გვამი ნებისმიერ ადგილას მოეშორებინა.

– პირდაპირ ყველას ცხვირწინ, სანამ ისინი კუნძულს გოგონას ძიებაში მთელ სიგრძე-სიგანეზე ჩხრეკდნენ. თუ მართლა ასე მოხდა, საქმე ცივსისხლიან ავაზაკთან გვქონია.

ვანგერს სევდიანად ჩაეცინა.

– თქვენ ზუსტად დაახასიათეთ ვანგერების ოჯახის რამდენიმე წევრი, ჰერ ბლუმკვისტ.

საუბარი სასადილო ოთახში განაგრძეს. ანამ ექვს საათზე მაგიდა გაშალა. სადილად შემწვარი კურდღელი, მოცხარის ჟელე და კარტოფილი ჰქონდათ. ვანგერმა ბლუმკვისტს მძიმე წითელი ღვინო დაუსხა. საღამოს მატარებელს თავისუფლად მიუსწრებდა, ამიტომ ბლუმკვისტმა გადაწყვიტა შეხვედრა შეეჯამებინა.

– გამოგიტყდებით, სულის შემძვრელი ამბავი მიამბეთ. თუმცა, მაინც ვერ ვხვდები, მაინცდამაინც მე რატომ მომიყევით.

– უკვე აგიხსენით. მინდა, ის ღორი გამოვიჭირო, ვინც ჰარიეტი მოკლა. თქვენ კი მის მოძებნაში უნდა დამეხმაროთ.

– რატომ?

ვანგერმა დანა-ჩანგალი დადო.

– მიქაელ, ოცდათექვსმეტი წელია, რაც ჰარიეტის ბედის გარკვევას ვცდილობ. რაც დრო გადიოდა, უფრო და უფრო მეტ დროს ვუთმობდი ამ საქმეს.

მოხუცი გაჩუმდა. სათვალე მოიხსნა და მინები შეათვალიერა, მერე თავი ასწია და ბლუმკვისტს შეხედა.

– ბოლომდე გულწრფელი ვიქნები თქვენთან და გეტყვით, რომ სწორედ ჰარიეტის გაუჩინარებამ ამიცრუა გული ოჯახურ ბიზნესზე და თანდათან ჩამოვცილდი ფირმის მმართველობას. მოტივაცია დავკარგე. ვიცოდი, რომ მკვლელი სადღაც ახლოს იყო, ხოლო სიმართლის ძიებაზე გადართული, სამუშაოს სათანადო ყურადღებას ვეღარ ვაქცევდი. უარესი ის იყო, რომ დროთა განმავლობაში ეს ტვირთი უფრო და უფრო მძიმდებოდა. 1970 წელს იმ დონემდე მივედი, რომ აღარავის დანახვა აღარ მსურდა. შემდეგ მარტინი შეუერთდა დირექტორთა საბჭოს და ჩემი საქმეც მან გადაიბარა. 1976 წელს გადავდექი და მარტინი აღმასრულებელი დირექტორი გახდა. დღემდე საბჭოს წევრად ვითვლები, მაგრამ მას მერე, რაც ორმოცდაათი წლისა შევსრულდი, კომპანიის მართვაში მონაწილეობა თითქმის აღარ მიმიღია. ბოლო ოცდათექვსმეტი წელია, დღე ისე არ გავა, რომ ჰარიეტის გაუჩინარებაზე არ ვიფიქრო. შეიძლება, მოგეჩვენოთ, რომ გიჟი ვარ. ბევრი ნათესავი უკვე შეშლილადაც მიმიჩნევს.

– ასეთი საშინელების დავიწყება ალბათ ძნელია.

– დიახ. ამ შემთხვევამ ცხოვრება დამინგრია. რაც დრო გადის, ამას მით უკეთ ვხვდები. საკუთარ თავს რამდენად კარგად იცნობთ?

– მგონია, რომ საკმაოდ კარგად.

– მეც მგონია, რომ თავს კარგად ვიცნობ. ვერ ვივიწყებ იმას, რაც მოხდა. თუმცა, დროთა განმავლობაში ჩემი მიზნები შეიცვალა. თავიდან ვდარდობდი და მხოლოდ ის მინდოდა, რომ როგორმე ცხედარი მაინც მეპოვა და დამემარხა. ჰარიეტისთვის პატივის მიგება მინდოდა.

– მერე რა შეიცვალა?

– ახლა იმ ნაბიჭვრის პოვნა უფრო მინდა, ვინც ჰარიეტი მოკლა. უცნაური ისაა, რომ რაც უფრო ვბერდები, მით უფრო ემსგავსება ეს ყველაფერი ჰობის.

– ჰობის?

– დიახ, ასე ვუწოდებ. პოლიციამ საქმის ძიება შეწყვიტა, მაგრამ მე არ გავჩერებულვარ. სისტემურად და მეცნიერულად მივუდექი ძიებას. ყველანაირი ინფორმაცია შევაგროვე, რის მოპოვებაც შეიძლებოდა: ფოტოსურათები, პოლიციის მოხსენებები; კუნძულზე მყოფი ყოველი პიროვნება გამოვკითხე და დავადგინე, რას აკეთებდნენ იმ დღეს. შეიძლება ითქვას, რომ ნახევარი ცხოვრება იმ ერთ დღეზე ცნობების შეგროვებას შევალიე.

– იმაზე არ გიფიქრიათ, რომ ოცდათექვსმეტი წლის შემდეგ მკვლელი, შესაძლოა, უკვე მკვდარი იყოს.

– არა მგონია, ასე იყოს.

ბლუმკვისტმა მოხუცის თავდაჯერებული პასუხის გაგონებაზე წარბები აზიდა.

– მოდი, ვისადილოთ და ისევ ზემოთ ავიდეთ. სანამ თხრობას დავასრულებდეთ, ყველაზე გასაკვირი რამ უნდა გაიგოთ.

სალანდერმა „ტოიოტა კოროლა“ სუნდბიბერგის რკინიგზის სადგურის ავტოსადგომზე გააჩერა. „ტოიოტა“ Milton Security-ის გარაჟიდან წამოიყვანა. ნებართვა არ უთხოვია, მაგრამ არმანსკის არასდროს აუკრძალავს მისთვის კომპანიის მანქანით სარგებლობა.

„ადრე თუ გვიან, მანქანას ვიყიდი“, – გაიფიქრა გოგონამ.

ნახმარი „კავასაკი 125“ კი ჰყავდა, მაგრამ მოტოციკლეტით მხოლოდ ზაფხულში დადიოდა, ზამთარში კი სარდაფში ეყენა.

ჰოგკლინტავაგენის ქუჩამდე მივიდა და ზუსტად ექვს საათზე დარეკა ზარი. რამდენიმე წამში კლიტემ გაიტკაცუნა და სადარბაზო კარი გაიღო. სალანდერი

შიგნით შევიდა, მეორე სართულზე ავიდა და იმ ბინის კარზე დარეკა ზარი, რომელზეც „სვენსონი“ ეწერა. წარმოდგენა არ ჰქონდა, ვინ იყო სვენსონი ან მართლა ცხოვრობდა თუ არა ამ ბინაში.

– გამარჯობა, Plague, – მიესალმა მასპინძელს.

– Wasp, შენ მხოლოდ მაშინ მოდიხარ, როცა რამე გჭირდება.

როგორც ყოველთვის, ბინაში ბნელოდა; საძინებლიდან, რომელსაც კაბინეტად იყენებდნენ, მცირე სინათლე იფრქვეოდა. სალანდერზე სამი წლით უფროსი მამაკაცი 1,89 მეტრი სიმაღლის იყო და 152 კილოს იწონიდა. თავად სალანდერის სიმაღლე 1,55 მეტრი, ხოლო წონა 42 კილო იყო და Plague-ის გვერდით თავს ცეროდენად გრძნობდა. ოთახში დახუთული ჰაერი იდგა.

– იმიტომ, რომ თვეში ერთხელ ბანაობ, Plague. ყარს აქაურობა. გარეთ რომ გახვიდოდე, საპნის ფულს მე მოგცემდი და მაღაზიასაც მიგასწავლიდი.

კაცმა უხალისოდ გაუღიმა და არაფერი უპასუხა. უხმოდ ანიშნა, გამომყევიო და სამზარეულოში შევიდნენ. Plague შუქის აუნთებლად ჩამოჯდა მაგიდის გვერდით მდგარ სკამზე. ოთახს მხოლოდ ქუჩიდან შემოსული ლამპიონების შუქი ანათებდა.

– არც მე ვარ სახლის დალაგებას გადამკვდარი, მაგრამ ამჟავებული რძის აყროლებულ კოლოფებს სანაგვეში მაინც ვყრი.

– მე ინვალიდის პენსიაზე ვარ, – უპასუხა კაცმა, – სოციალურად ქმედუუნარო.

– და ამიტომაც მოგცა მთავრობამ ეს ბინა და დაგივიწყა. არ გეშინია, მეზობლებმა სიბინძურისთვის რომ გიჩივლონ და სოცინსპექცია დაგაყენონ თავს? საგიჟეთში გამოგკეტავენ.

– რამე მომიტანე?

სალანდერმა ჯიბიდან ხუთი ათასი კრონა ამოიღო და გაუწოდა.

– მეტს ვერ მოგცემ. ჩემი ფულია. მარტო ჩემს კმაყოფაზე ხომ არ იცხოვრებ?

– რა გინდა?

– ორი თვის წინ რომ ამბობდი, „ელექტრონულ მანჟეტს“ ვაკეთებო, რა ქენი?

კაცმა გაუღიმა და ყუთი მაგიდაზე დაუდო.

– მაჩვენე, როგორ მუშაობს.

სალანდერი რამდენიმე წუთით გულდასმით უსმენდა. შემდეგ თვითონაც შეამოწმა, მუშაობდა თუ არა „მანჟეტი“. Plague შეიძლება სოციალურად ქმედუუნარო, მაგრამ უთუოდ გენიოსი იყო.

ვანგერი იცდიდა, სანამ ბლუმკვისტი ისევ მიაქცევდა ყურადღებას. ბლუმკვისტმა მაჯის საათზე დაიხედა.

– მოდი, ყველაზე გასაკვირ რამეზეც მიამბეთ.

– მე პირველ ნოემბერს დავიბადე. ჰარიეტი ექვსი წლის იყო, როცა დაბადების დღეზე ჩარჩოში ჩასმული გაბრტყელებული ყვავილი მაჩუქა.

ვანგერმა მაგიდას შემოუარა და პირველ ყვავილზე, ხელნაკეთ ჩარჩოში ჩასმულ მაჩიტაზე მიუთითა.

– ეს პირველია, 1958 წელს მივიღე, – შემდეგ გვერდითა ჩარჩოზე ანიშნა, – ეს – 1959 წელს, ბაია; 1960 წლისა – ზიზილო. ჩარჩოს ზაფხულში აკეთებდა და ჩემს დაბადების დღემდე ინახავდა. ყვავილებს ყოველთვის ამ კაბინეტის კედელზე ვკიდებდი. 1966 წელს ჰარიეტი გაუჩინარდა და ტრადიციაც დაირღვა.

ვანგერმა ჩარჩოებს შორის დატოვებულ ცარიელ სივრცეზე მიუთითა. ბლუმკვისტს კეფაზე თმა ყალყზე დაუდგა. მთელი კედელი ჩარჩოიანი ყვავილებით იყო დაფარული.

– 1967 წელს, მისი გაუჩინარებიდან ერთი წლის შემდეგ, ჩემს დაბადების დღეზე ყვავილი ისევ მივიღე – ია.

– ყვავილი ვისგან მიიღეთ?

– ჩვეულებრივ ბრჭყვიალა ქაღალდში იყო გახვეული და ამანათს სტოკჰოლმური ბეჭედი ერტყა. გამომგზავნის მისამართი არ ეწერა. არც წერილი მომსვლია.

– თქვენ ამბობთ, რომ ამ ყვავილებს... – ბლუმკვისტმა ხელი აიქნია.

– დიახ. ყოველ დაბადების დღეზე მიგზავნიან. იცით, რა საშინელი გრძნობაა? თითქოს მკვლელს სურს, რომ ტანჯვაში ამომხდეს სული. იმაზე ფიქრიც კი ცუდად მხდის, რომ ჰარიეტი ჩემს გასანადგურებლად მოიტაცეს. საიდუმლო არავისთვის იყო, რომ მე და ჰარიეტს განსაკუთრებული ურთიერთობა გვქონდა; ის ჩემს ქალიშვილად მიმაჩნდა.

– მითხარით, მე რის გაკეთებას მთხოვთ, – თქვა ბლუმკვისტმა.

სალანდერმა „ტოიოტა კოროლა“ Milton Security-ის გარაჟში დააყენა და ტუალეტში შესასვლელად ოფისში შეირბინა. კარი ელექტრობარათით გააღო და ლიფტით პირდაპირ მესამე სართულზე ავიდა, რათა მეორე სართულზე მომუშავე დარაჯისთვის თავი აერიდებინა. ტუალეტიდან გამოსვლის შემდეგ ყავა დალია. ესპრესოს ავტომატი არმანსკიმ მას შემდეგ შეიძინა, როცა დარწმუნდა, რომ სალანდერი არანაირად არ თვლიდა თავს ვალდებულად, მისთვის ყავა მოედუღებინა.

ყავის დალევის შემდეგ სალანდერი თავის კაბინეტში შევიდა და ტყავის ქურთუკი სკამის საზურგეზე გადაკიდა.

კაბინეტი სინამდვილეში 2X3 მეტრზე შუშის ტიხრიანი ვიწრო კაბინა უფრო იყო. ოთახში პატარა მაგიდა იდგა, ზედ ძველი მოდელის პერსონალური კომპიუტერითა და ტელეფონით, ხოლო მაგიდის გვერდით სანაგვე ყუთი და კარადა იდგა. კარადაში სატელეფონო ნომრების ცნობარი და სამი ცარიელი ბლოკნოტი იდო. მაგიდის ორ უჯრაში ბურთულიანი კალმები, ქაღალდის ფურცლები და ბლოკნოტი ეწყო. ფანჯრის რაფაზე ქოთნით გამხმარი მცენარე იდგა. სალანდერმა ფიქრიანად შეხედა მცენარეს, თითქოს პირველად ხედავსო და... ცარიელ სანაგვე ყუთში ჩააგდო.

თავის კაბინეტს სალანდერი იშვიათად, წელიწადში ათჯერ თუ ესტუმრებოდა, ისიც იმისთვის, რომ განმარტოებულიყო და არმანსკისთვის გადასაცემი მოხსენებისთვის საბოლოო სახე მიეცა. კაბინეტი პირადად არმანსკის დაჟინებული თხოვნით გამოუყვეს. არმანსკიმ აუხსნა, მიუხედავად იმისა, რომ თავისუფალი კონტრაქტორი ხარ, ასე კომპანიის ნაწილად იგრძნობ თავსო. თავად სალანდერი კი ეჭვობდა, ჩემთვის თვალყურის სადევნებლად და ჩემს საქმეებში ჩასარევად უნდა ჩემი აქ ჯდომაო. თავიდან დერეფნის შუაში უფროს თანამშრომელთან იყოფდა უფრო მოზრდილ ოთახს. მაგრამ, რადგან სალანდერი იქ არასდროს შედიოდა, არმანსკიმ დერეფნის ბოლოს ეს მყუდრო კაბინა გამოუყო.

სალანდერმა „მანჟეტი“ ამოიღო და ქვედა ტუჩის კვნეტით, ჩაფიქრებული დააშტერდა. შუაღამე ახლოვდებოდა, ის კი სართულზე მარტო იყო. უეცრად ძალიან მოიწყინა.

რამდენიმე წუთის შემდეგ წამოდგა და არმანსკის კაბინეტთან მივიდა. სახელურს დააწვა. ჩაკეტილი დახვდა. მიმოიხედა. იმის ალბათობა, რომ 26 დეკემბრის ღამეს ვინმე მესამე სართულის დერეფანში გამოივლიდა, ნულის ტოლი იყო. კარი კომპანიის ელექტრობარათის ასლით გააღო, რომლის უნებართვო მოპოვებაც ორიოდე წლის წინ დიდი წვალების შედეგად მოეხერხებინა.

არმანსკის დიდი კაბინეტი ჰქონდა. სამუშაო მაგიდასთან სტუმრისთვის კომფორტული სავარძელი იდგა, ოთახის კუთხეში კი – რვაკაციანი საკონფერენციო მაგიდა. კაბინეტში სრული წესრიგი სუფევდა. საკმაო ხანი გასულიყო მას მერე, რაც არმანსკის კაბინეტი ბოლოს გაჩხრიკა და რახან უკვე შევიდა... მაგიდასთან დიდი დრო დაჰყო და ახალ ცნობებს გაეცნო კაცზე, რომელიც კომპანიის შიდა ინფორმაციის გაყიდვაში იყო ეჭვმიტანილი; აგრეთვე დაადგინა Milton Security-ის რომელი თანამშრომელი ჩანერგეს ჯაშუშად კომპანიაში, რომელშიც ქურდების ორგანიზებული ბანდა მოქმედებდა; გაარკვია ისიც, როგორ იცავდნენ ერთ მნიშვნელოვან კლიენტს, რომელსაც ეშინოდა, ქმარი შვილს მომტაცებსო.

ბოლოს დოკუმენტები ისე დაალაგა, თითქოს ხელი არავის უხლიაო, არმანსკის კაბინეტი ჩაკეტა და კმაყოფილი, სახლში დაბრუნდა.

– არ ვიცი, შევძლებთ თუ არა სიმართლის დადგენას, მაგრამ არ შემიძლია, სიკვდილის წინ უკანასკნელად არ ვცადო, – თქვა ჰენრიკ ვანგერმა, – უბრალოდ, მინდა, რომ ბოლოჯერ გადაავლოთ თვალი ჩემს მიერ მოძიებულ მასალებს.

– ეს სიგიჟეა, – თქვა ბლუმკვისტმა.

– რატომ?

– მე ბევრი რამ მოვისმინე, ჰენრიკ. ვიზიარებ თქვენს მწუხარებას, მაგრამ ვერ მოგატყუებთ. რასაც თქვენ მთხოვთ, დროისა და ფულის უაზრო ხარჯვაა. მთხოვთ, გამოვიძიო იდუმალი საქმე, რომელსაც ჩემზე ბევრად მეტი რესურსის და შესაძლებლობის მქონე პოლიციამ და გამოცდილმა დეტექტივებმა ვერაფერი გაუგეს. მთხოვთ, ორმოცი წლის წინ ჩადენილი მკვლელობა გამოვიძიო. ეს როგორ უნდა გავაკეთო?

– ჯერ თქვენს ანაზღაურებაზე არაფერი გვითქვამს, – ჩაერთო ვანგერი.

– არცაა საჭირო.

– ვერაფერს დაგაძალებთ, მაგრამ იქნებ მაინც მოგესმინათ, რას გთავაზობთ? ფროდემ უკვე შეადგინა კონტრაქტი. შეგვიძლია დეტალებზე მოვილაპარაკოთ, მაგრამ კონტრაქტი მარტივია და მას მხოლოდ თქვენი ხელმოწერა აკლია.

– ჰენრიკ, ეს აბსურდია. მეეჭვება, ჰარიეტის გაუჩინარების საიდუმლო ამოვხსნა.

– კონტრაქტის მიხედვით, ეს არც გევალებათ. თქვენ მხოლოდ უნდა სცადოთ. თუ ვერას გახდებით, ასეთი ყოფილა ღვთის ნება... ან, თუ ღმერთი არ გწამთ... ასეთი ყოფილა ჩემი ბედისწერა.

ბლუმკვისტმა ამოიოხრა. თავს უფრო და უფრო უხერხულად გრძნობდა და სურდა მალევე წასულიყო ჰედებიდან, მაგრამ მოხუცს მაინც დაუთმო.

– კარგი. გისმენთ.

– მინდა, რომ ერთი წლით ჰედებიზე დარჩეთ; მინდა, სათითაოდ გადახედოთ ყოველ საგამოძიებო ანგარიშს და მოხსენებას, რაც კი ჰარიეტის გაუჩინარებას ეხება; მინდა, უცხო თვალით გამოიკვლიოთ ყველაფერი; მინდა, ეჭქვეშ დააყენოთ ყველა ძველი დასკვნა, როგორც ამას საგამოძიებო ჟურნალისტი იზამდა; მინდა, ისეთ რამეს მიაკვლიოთ, რაც მე და სხვა გამომძიებლებს შეიძლებოდა გამოგვრჩენოდა.

– თქვენ მთხოვთ, რომ ჩემი ცხოვრების და კარიერის ერთი წელი იმ საქმეს მივუძღვნა, რომლის გახსნის შანსი თითქმის არ არსებობს?

ვანგერს გაეღიმა.

– რაც შეეხება თქვენს კარიერას, მგონი მეთანხებით, რომ ამ მხრივ არცთუ სახარბიელო მდგომარეობა გაქვთ.

ბლუმკვისტმა ვერაფერი უპასუხა.

– თქვენი ცხოვრების ერთ წელს ვიყიდი. სამსახურს გთავაზობთ. ამხელა ჰონორარს სიცოცხლეში ვერავისგან მიიღებთ. თვეში 200 ათას კრონას გადაგიხდით – ეს წელიწადში 2 400 ათასი კრონაა, თუ დამთანხმდებით და აქ დარჩებით.

ბლუმკვისტს გაკვირვებისგან ენა ჩაუვარდა.

– სიტუაციას რეალურად ვაფასებ. ვიცი, რომ თქვენი წარმატების შანსი მინიმალურია. თუმცა, თუ ბედი გაგიღიმებთ და ამ საიდუმლოს ამოხსნით, პრემიის სახით, ორმაგად გადაგიხდით – 4 800 000 კრონას. ან ნუღარ დავწვრილმანდებით და, ჰონორარი ხუთ მილიონამდე დავამრგვალოთ.

ვანგერი სკამის საზურგეზე გადაწვა და ალმაცერად გახედა ბლუმკვისტს.

– ეს... ეს სრული სიგიჟეა, – ძლივს ამოღერღა ბლუმკვისტმა.

– ვითომ რატომ? – მშვიდად შეეპასუხა ვანგერი, – მე ოთხმოცდაორი წლის ვარ და ჯერაც საღ გონებაზე. დიდძალ პირად ქონებას ვფლობ. როგორც მინდა, ისე დავხარჯავ. შვილები არ მყავს და არც არანაირი სურვილი მაქვს, ქონება ჩემთვის საძულველ ნათესავებს ვუანდერძო. ანდერძი უკვე შევადგინე. ჩემი ქონების უდიდეს ნაწილს ველური ბუნების დაცვის მსოფლიო ფონდს გადავცემ. რამდენიმე უახლოესი პიროვნება, მათ შორის, ანაც, მნიშვნელოვან თანხას მიიღებს.

ბლუმკვისტმა თავი გააქნია.

– ეცადეთ, გამიგოთ, – სთხოვა ვანგერმა, – მე მალე მოვკვდები. სიკვდილამდე ერთადერთი რამ მინდა – პასუხი კითხვაზე, რომელიც ნახევარი ცხოვრება მაწუხებდა. ამ პასუხის გაგების დიდი იმედი – არა, მაგრამ მცდელობისთვის საკმარისი ფული კი ნამდვილად მაქვს. თქვენ მიგაჩნიათ, რომ ეს სიგიჟეა? მე კი ჰარიეტის და საკუთარი თავის წინაშე ვალდებული ვარ, ეს გავაკეთო.

– თქვენ მე მილიონობით კრონას არაფრისთვის გადამიხდით. შემიძლია, კონტრაქტს ხელი მოვაწერო და მთელი წელი ფეხი ფეხზე გადადებულმა უქმად გავატარო.

– თქვენ ამას არ იზამთ. პირიქით, ისე თავგამოდებით იმუშავებთ, ცხოვრებაში რომ არ გიმუშავიათ.

– რატომ ხართ ასე დარწმუნებული?

– იმიტომ, რომ მე ისეთ რამეს შემოგთავაზებთ, რასაც ვერანაირ ფასად ვერ იყიდით, თუმც კი, ამქვეყნად ყველაზე მეტად გინდათ.

– ხომ ვერ მეტყვით, ასეთს კიდევ რას მთავაზობთ?

ვანგერმა ცბიერად მოჭუტა თვალები.

– მე თქვენ ჰანს-ერიკ ვენერსტრომს გამოგაჭერინებთ. შემიძლია დავამტკიცო, რომ ის თაღლითია. ოცდათხუთმეტი წლის წინ კარიერა ჩემთან მუშაობით დაიწყო. მის თავს ლანგრით მოგართმევთ. ამოხსენით ეს თავსატეხი და სასამართლოში თქვენს დამარცხებას წლის მთავარ მოვლენად აქცევთ.

თავი VII

პარასკევი, 3/I

ერიკამ ყავის ფინჯანი მაგიდაზე დადგა და ფანჯრიდან გამლასტანს გახედა. დილის ცხრა საათი იყო. ახალ წელს მოსულ წვიმას თოვლი სულ გაელღო.

– ყოველთვის მომწონდა ეს ხედი, – თქვა მან, – ასეთი ბინა რომ მქონდეს, სალტსშენბადენიდან მეც აქ გადმოვიდოდი საცხოვრებლად.

– ამ ბინის გასაღები გაქვს. შეგიძლია, ნებისმიერ დროს გადმოხვიდე შენი პრესტიჟული უბნიდან, – უთხრა ბლუმკვისტმა და ჩემოდანი კართან დადო.

ბერგერი მისკენ შეტრიალდა და გაკვირვებული მზერა მიაპყრო.

– მეხუმრები, მიქაელ? – თქვა მან, – ასეთ კრიზისულ სიტუაციაში არასდროს ვყოფილვართ, შენ კი სადღაც გადაკარგულში გადადიხარ საცხოვრებლად.

– ჰედესტადში. იქამდე მატარებლით სამი საათის გზაა, სულაც არაა გადაკარგულში.

– თუ გინდა ულან ბატორი იყოს. ყველა იფიქრებს, რომ კუდამოძუებული გარბიხარ. ეს არ გაწუხებს?

– არა, რადგან ზუსტად კუდამოძუებული გავრბივარ. მით უმეტეს, რომ წინ სამთვიანი პატიმრობაც მელის.

კრისტერ მალმი დივანზე იჯდა. თავს უხერხულად გრძნობდა. პირველად ხედავდა ასე მოპაექრე ბერგერსა და ბლუმკვისტს. არადა, „მილენიუმის“ დაარსების დღიდან ეს ორნი განუყრელი თანამოაზრენი იყვნენ. რასაკვირველია, ხანდახან კამათობდნენ, მაგრამ მხოლოდ საქმეზე; სადაო საკითხებს გადაწყვეტდნენ თუ არა, ერთმანეთს გადაეხვეოდნენ და თავ-თავიანთ საქმეს უბრუნდებოდნენ, ანდა სულაც სექსით აღნიშნავდნენ შერიგებას. გასული შემოდგომა ისედაც ყველასთვის დაძაბული გამოდგა, ახლა კი ამ ორს შორის თითქოს უფსკრული გაჩენილიყო.

„მგონი, „მილენიუმი“ ბოლო დღეებს ითვლის“, – გაიფიქრა მალმმა.

– არჩევანი არ მაქვს, – თქვა ბლუმკვისტმა, – არ გვაქვს.

ყავა დაისხა და მაგიდას მიუჯდა. ბერგერი ბლუმკვისტის პირდაპირ ჩამოჯდა.

– შენ რას ფიქრობ, კრისტერ? – ჰკითხა მას ქალმა

კრისტერი შიშით ელოდა ამ კითხვას და მომენტს, როცა რომელიმესთვის მხარი უნდა დაეჭირა. ისიც ჟურნალის თანამფლობელი იყო, მაგრამ სამივემ იცოდა, რომ „მილენიუმს“ სინამდვილეში ბერგერი და ბლუმკვისტი მართავდნენ. მალმს რჩევას მხოლოდ მაშინ ეკითხებოდნენ, როცა რამეზე ვერ თანხმდებოდნენ.

– ორივემ კარგად იცით, რომ ჩემი აზრი თქვენთვის არაფერს წყვეტს, – უპასუხა მალმმა.

და მოკეტა. მას ფოტოების გადაღება და გრაფიკულ დიზაინზე მუშაობა მოსწონდა. თავს მხატვრად არ მიიჩნევდა, მაგრამ ის კი ნაღდად იცოდა, რომ უმაღლესი დონის დიზაინერი იყო. მეორე მხრივ, ინტრიგები და საკამათო საკითხების განხილვა – მისი საქმე არ იყო.

ბერგერმა და ბლუმკვისტმა თვალი თვალში გაუყარეს ერთმანეთს. ქალი აშკარად ბრაზობდა, მაგრამ მშვიდ გამომეტყველებას ინარჩუნებდა. კაცი ჩაფიქრებულიყო.

„ეს კამათი კი არა, გაყრაა“, – გაიფიქრა მალმმა.

– კარგი, კიდევ ერთხელ გავიმეორებ ჩემს არგუმენტებს, – თქვა ბლუმკვისტმა, – ეს არ ნიშნავს, რომ „მილენიუმიდან“ სამუდამოდ მივდივარ. ამ საქმეში იმდენი შრომა გვაქვს ჩადებული, რომ ამას ვერ შეველევი.

– მაგრამ რედაქციაში აღარ იქნები და მთელი ტვირთი მე და კრისტერს დაგვაწვება მხრებზე. ამაზე არ გიფიქრია? საკუთარი ნებით გადასახლებაში მიდიხარ.

– ეს მეორე არგუმენტია. მე დასვენება მჭირდება, ერიკა. წესიერად ვეღარ ვმუშაობ. გადავიწვი. ჩემი აზრით, ხელფასიანი შვებულება ჰედესტადში ძალიან წამადგება.

– ეს ყველაფერი დიდი სისულელეა, მიქაელ. ამას სჯობდა, ცირკში დაგეწყო მუშაობა.

– ვიცი. თუმცა, მე მთელი წლით ლოგინში კოტრიალს და 2,4 მილიონი კრონის ჩაჯიბვას ვაპირებ. ესეც მესამე არგუმენტი. ვენერსტრომთან ბრძოლის პირველი რაუნდი დამთავრდა და მან ნოკ-აუტში ჩამაგდო. მეორე რაუნდი უკვე დაიწყო. ვენერსტრომი „მილენიუმის“ ჩაძირვას ეცდება, რადგან იცის, რომ მისი თაღლითური საქმიანობის გამოაშკარავების საფრთხე მუდმივად იარსებებს.

– ეს მეც ვიცი. ბოლო ექვსი თვის განმავლობაში სარეკლამო შემოსავლების კლება ამაზე მეტყველებს.

– სწორედ ამიტომ უნდა წავიდე რედაქციიდან. მე მის თვალწინ აფრიალებული წითელი ნაჭერი ვარ. ვენერსტრომი ძალიან მიფრთხის, პანიკაშია. სანამ აქ ვიქნები, ჟურნალს არ გაახარებს. ჩვენ მესამე რაუნდისთვის უნდა მოვემზადოთ. დროებით უკან უნდა დავიხიოთ და სრულიად განსხვავებული სტრატეგია შევიმუშავოთ. სხვანაირად ვენერსტრომის დამარცხების არანაირი შანსი არ გვაქვს. ახალი იარაღით უნდა დავუპირისპირდეთ. ამ იარაღის მოძიებას მე ვეცდები.

– გასაგებია, – თქვა ბერგერმა, – მაშ, ერთთვიანი შვებულება აიღე. სადმე საზაფხულო კურორტზე გაემგზავრე, ცხელ ქვიშაზე წამოწექი. კოსტა ბრავაზე ინებივრე, დაისვენე. სანდჰამნში წადი და ტალღების ცქერით დატკბი.

– და რომ დავბრუნდები, ყველაფერი უცვლელად დამხვდება. თუ არ დარწმუნდა, რომ მე დავშოშმინდი, ვენერსტრომი „მილენიუმს“ გაანადგურებს. ეს შენც კარგად იცი. მას ვერ შევაჩერებთ, თუ რამეს არ გამოვუქექავთ.

– და გგონია, რომ ჰედესტადში რამეს გამოქექავ?

– ძველ სტატიებს გადავავლე თვალი. 1969 წლიდან 1972 წლამდე ვენერსტრომი ვანგერების კორპორაციაში მუშაობდა. სტრატეგიული კაპიტალდაბანდებების განყოფილებას ხელმძღვანელობდა. იქიდან მოულოდნელად წამოვიდა. ხომ შეიძლება ჰენრიკ ვანგერი მის წინააღმდეგ მართლა ფლობდეს კომპრომატებს?

– მაგრამ ოცდაათი წლის წინანდელი თაღლითობის დამტკიცება დღეს ძალიან ძნელი იქნება.

– ვანგერი დამპირდა, რაც ვიცი, ყველაფერს დეტალურად მოგიყვებიო. მოხუცს დაკარგული გოგონას მოძებნა ისე ძალიან უნდა, რომ არც ვენერსტრომის მხილებაზე დაიხევს უკან. ჩვენ ეს შანსი აუცილებლად უნდა გამოვიყენოთ. ჰენრიკ ვანგერი პირველი მოწმეა, ვინც ღიად აპირებს ვენერსტრომის დადანაშაულებას.

– თუნდაც ის გოგო ვენერსტრომს მოეკლა, ჰენრიკ ვანგერის ცნობებს ამდენი წლის შემდეგ სამხილად ვერ გამოვიყენებთ. ვენერსტრომი ისევ გვიჩივლებს და ამჯერად საბოლოოდ გაგვსრესს.

– სხვათა შორის, მეც გავიფიქრე, გოგონას გაუჩინარებაში ვენერსტრომის ხელი ხომ არ ურევია-მეთქი. თუმცა, იმ პერიოდში ვენერსტრომი სტოკჰოლმის ეკონომიკურ სასწავლებელში სწავლობდა და „ვანგერების კორპორაციასთან“ არანაირი შეხება არ ჰქონდა, – ბლუმკვისტი შეყოვნდა, – ერიკა, „მილენიუმიდან“ არ მივდივარ, მაგრამ ყველას უნდა ეგონოს, რომ წავედი. შენ და კრისტერმა უნდა გააგრძელოთ ჟურნალის გამოცემა. თუ შეძლებთ... თუ ამის შანსი გამოგიჩნდებათ... ვენერსტრომს დაუზავდით. მაგრამ, თუ მე ჟურნალის რედაქტორად დავრჩები, ამას ვერასდროს მოახერხებთ.

– კარგი, მაგრამ ეს ვითარება ნამდვილად არ მომწონს. მე მაინც მგონია, რომ ჰედესტადში სულ ტყუილად მიდიხარ.

– უკეთესი იდეა გაქვს?

ბერგერმა მხრები აიჩეჩა.

– ჩვენი ინფორმატორები უნდა ვიპოვოთ და მამხილებელი სტატია თავიდან დავწეროთ. ოღონდ ამჯერად ნუღარ შევცდებით.

– რიკი, დაივიწყე ეგ სტატია. მაგისგან არაფერი გამოვა.

დაღონებულმა ბერგერმა სახე ხელებში ჩარგო. ბლუმკვისტს თვალი აარიდა, ისე შეეპასუხა:

– ძალიან გაბრაზებული ვარ შენზე. არა იმიტომ, რომ მცდარი ინფორმაცია გამოაქვეყნე – ამაში მეც მიმიძღვის ბრალი. არც იმიტომ, რომ რედაქტორის თანამდებობას ტოვებ – ასეთ ვითარებაში ეს საუკეთესო გამოსავალია. მზად ვარ თავი მოვაჩვენო, თითქოს ერთმანეთს დავუპირისპირდით ან ძალაუფლება ვერ გავიყავით. ეს ლოგიკურია. ვენერსტრომი იფიქრებს, რომ საფრთხე შენგან მოდიოდა, ხოლო მე უჭკუო ქარაფშუტა ვარ, – ბერგერი შეყოვნდა და ბლუმკვისტს თვალი გაუსწორა, – მაგრამ, მგონია, რომ შეცდომას უშვებ. ვენერსტრომი არ დაიჯერებს. „მილენიუმის“ განადგურებას მაინც ეცდება. ერთადერთი განსხვავება ისაა, რომ დღეიდან მარტო მომიწევს მასთან ბრძოლა. შენ ახლა ყველაზე მეტად სჭირდები ჟურნალს. კარგი, მე მზად ვარ ვენერსტრომთან საომრად, მაგრამ ყველაზე მეტად ის მაცოფებს, რომ ასე უეცრად მიდიხარ. მაინცდამაინც ამ არეულობის დროს მარტო მტოვებ.

ბლუმკვისტი წინ გადაიხარა და ბერგერს ლოყაზე ხელი ჩამოუსვა.

– შენ მარტო არ ხარ. კრისტერი და სხვები შენთან რჩებიან.

– იანე დალმანი აღარ. სხვათა შორის, შეცდი, როცა ის სამსახურში მიიღე. გამოცდილი კია, მაგრამ მისგან პრობლემები უფრო მეტია, ვიდრე სარგებელი. მისი არ მჯერა. მთელი შემოდგომა კმაყოფილი სახით დადიოდა, შენი წარუმატებლობა რომ ესმოდა. არ ვიცი, შენს თანამდებობაზე დანიშვნის იმედი აქვს თუ ჟურნალის სხვა თანამშრომლებს ვერ ეწყობა.

– ვშიშობ, რომ მართალი ხარ, – თქვა ბლუმკვისტმა.

– მაშ, როგორ მოვიქცე? დავითხოვო?

– ერიკა, შენ მთავარი რედაქტორი და „მილენიუმის“ თანამფლობელი ხარ. თუ ასე მიგაჩნია სწორად, დაითხოვე.

– ჩვენ არასდროს არავინ დაგვითხოვია, მიქაელ. ახლა ამის გაკეთებასაც მე მაიძულებ. უკვე ჭირივით მეზიზღება დილით რედაქციაში მოსვლა.

უცებ, მათდა გასაკვირად, მალმი ფეხზე წამოხტა.

– თუ არ ვიჩქარებთ, მატარებელზე დაგაგვიანდება, – ბერგერმა გაპროტესტება დააპირა, მაგრამ მალმმა ხელის აწევით შეაჩერა, – მოიცა, ერიკა, ხომ გინდოდა ჩემი აზრის მოსმენა. მე ვფიქრობ, რომ სიტუაცია მართლაც მძიმეა. მაგრამ თუ მიქაელს მართლა სჭირდება დასვენება და გონს მოსვლა, უნდა გავუშვათ. ის ამას იმსახურებს.

ბერგერი და ბლუმკვისტი გაკვირვებულები მიაშტერდნენ მალმს. მალმმა დარცხვენილმა შეხედა ბლუმკვისტს.

– ორივემ იცით, რომ „მილენიუმი“ თქვენია. მე მხოლოდ პარტნიორი ვარ. ყოველთვის სამართლიანად მეპყრობოდით, მაგრამ კარგად ვიცი, რომ შეუცვლელი არ ვარ. სხვა სამხატვრო დირექტორს ადვილად იპოვიდით. მაგრამ რახან ჩემი აზრი გაინტერესებდათ, მეც მოგახსენეთ. რაც შეეხება დალმანს, მეც გეთანხმებით. თუ მისი დათხოვნა გინდა, ერიკა, ამას მე მოვაგვარებ. მთავარია, დამაჯერებელი მიზეზი გვქონდეს. ძალიან სამწუხაროა, რომ მიქაელი გვტოვებს, მაგრამ, ჩემი აზრით, სხვა გამოსავალი არ გვაქვს. მიქაელ, სადგურში მე მიგიყვან. შენს დაბრუნებამდე, ციხეს მე და ერიკა დავიცავთ.

– მე იმის მეშინია, რომ მიქაელი არასდროს დაბრუნდება, – ჩაილაპარაკა ბერგერმა.

სალანდერი 12:30-ზე არმანსკის სატელეფონო ზარმა გამოაღვიძა.

– რა მოხდა? – ჰკითხა ნახევრად მძინარე, ხახაგამომშრალმა სალანდერმა.

– მიქაელ ბლუმკვისტზე გაწუხებ. ახლახან ჩვენს კლიენტს, ადვოკატ ფროდეს ვესაუბრე.

– მერე?

– სურს, რომ ვენერსტრომზე ცნობების მოძიება შევწყვიტოთ.

– შევწყვიტოთ? წესიერად არც დამიწყია.

– ფროდემ გადაიფიქრა.

– ასე უბრალოდ?

– გადაწყვეტილებას ის იღებს.

– ჩვენ ხომ ჰონორარზე შევთანხმდით?

– რამდენი დღეა, რაც მუშაობ?

– ზუსტად სამი დღე.

– ორმოცი ათას კრონაზე შევთანხმდით, მაგრამ ახლა ათი ათასს მოვთხოვ. შენ ნახევარს მიიღებ, სამი დღისთვის საკმარისია. გადახდა მას მოუწევს, რადგან ეს მისი წამოწყება იყო.

– მოძიებულ მასალას რა ვუყო?

– რამე მნიშვნელოვანია?

– არა.

– ფროდეს ანგარიშის წარდგენა არ მოუთხოვია. ყოველი შემთხვევისთვის, შეინახე, იქნებ გადაიფიქროს. თუ არადა, გადაყარე. მომდევნო კვირაში დაგიკავშირდები, ახალი სამუშაო მაქვს შენთვის.

არმანსკიმ ტელეფონი გათიშა, მაგრამ სალანდერს კიდევ რამდენიმე წუთს ყურმილი არ გაუშვია ხელიდან. მისაღებ ოთახში გავიდა. სამუშაო კუთხის კედელზე გაკრული შენიშნვების ფურცელი და ფოტოები ჩამოხსნა და საქაღალდეებთან ერთად მაგიდის უჯრაში ჩააწყო. ჯერჯერობით მხოლოდ საგაზეთო სტატიების და მიმოხილვების ინტერნეტიდან გადმოწერა მოესწრო.

მოიღუშა. ბლუმკვისტის უცნაურმა ქცევამ სასამართლო პროცესზე ცნობისმოყვარეობა აღუძრა, თანაც სალანდერს დაწყებული სამუშაოს შეწყვეტა არ უყვარდა.

„საიდუმლო ყველას აქვს. მთავარია, მათი დადგენა მოახერხო“.

მეორე ნაწილი. მოსალოდნელი შედეგების ანალიზი

3 იანვარი-17 მარტი

შვედეთში ქალების 48% არაერთხელ გამხდარა მამაკაცის ძალადობის მსხვერპლი.

თავი VIII

პარასკევი, 3/I – კვირა, 5/I

როცა ბლუმკვისტი მეორედ ჩავიდა მატარებლით ჰედესტადში, ქალაქში ცა ლურჯად ლივლივებდა, ჰაერი კი ყინულივით სუსხიანი იყო. სადგურის კედელზე მიმაგრებული თერმომეტრი -18°C-ს უჩვენებდა. ბლუმკვისტს იქაური ამინდისთვის შეუფერებელი სპორტული ფეხსაცმლები ეცვა. სამწუხაროდ, წინა ვიზიტისგან განსხვავებით, ჰერ ფროდე თავისი თბილსალონიანი მანქანით აღარ ელოდებოდა. ბლუმკვისტმა ჰენრიკ ვანგერი და მისი ადვოკატი კი გააფრთხილა, რომ ჩადიოდა, მაგრამ არ უთქვამს, რომელი მატარებლით. სადგურიდან ჰედებიმდე ალბათ ავტობუსიც გადიოდა, მაგრამ ორი მძიმე ჩემოდნის და ჩანთის თრევა დაეზარა და გაჩერებაზე ტაქსიში ჩაჯდა.

ნორლანდის სანაპიროზე შობიდან ახალ წლამდე შეუწყვეტლივ ეთოვა და თუ გზის პირას დახვავებული თოვლის ბორდიურის სიმაღლით იმსჯელებდით, ჰედესტადელ გზის გამწმენდ ჯგუფებს მუხლჩაუხრელად ემუშავათ. ტაქსის მძღოლმა, რომელიც, საქარე მინაზე მიმაგრებული პირადობის მოწმობის მიხედვით, გვარად ჰუსეინი იყო, ბლუმკვისტის შეკითხვაზე, ცუდი ამინდები ხომ არ გქონიათო, თანხმობის ნიშნად თავი დაუქნია და მკვეთრი ნორლანდური აქცენტით უპასუხა, ასეთი საშინელი ქარბუქი, ათი წელია, არ ყოფილა; ნეტავ საშობაო შვებულება საბერძნეთის თბილ პლაჟებზე გამეტარებინაო.

ბლუმკვისტი ჰენრიკ ვანგერის ახლად გაწმენდილ ეზოში გადმოვიდა ტაქსიდან და სინანულით გააყოლა თვალი ისევ ქალაქის მიმართულებით დაძრულ მანქანას. თავი მარტოსულად იგრძნო.

ზურგს უკან სახლის კარის გაღების ხმა მოესმა. ვანგერი სქელ ქურქში, მძიმე ჩექმებსა და თბილ ქუდში ჩაფუთნილიყო. ბლუმკვისტს ჯინსის შარვალი და თხელი ტყავის ქურთუკი ეცვა.

– თუ აქ ცხოვრებას აპირებთ, წელიწადის ამ დროს უფრო თბილად უნდა ჩაიცვათ, – ვანგერმა ბლუმკვისტს ხელი ჩამოართვა, – დარწმუნებული ხართ, რომ ამ სახლში დარჩენა არ გინდათ? თუ არა, მაშინ თქვენი დაბინავება უნდა ვიჩქაროთ.

პირველი ვიზიტისას ბლუმკვისტმა ვანგერს და ფროდეს პირობა წაუყენა, რომ მისთვის საკუთარი საცხოვრებელი გამოეყოთ, სადაც მარტო, თავის ნებაზე იცხოვრებდა და იმუშავებდა.

ვანგერმა ხიდის მიმართულებით წაიყვანა ბლუმკვისტი, ხიდთან შეუხვია და ჭიშკარი შეაღო. თოვლისგან ახლად გაწმენდილ პატარა ეზოში მდგარი ხის სახლის კარი ღია იყო. შიგნით შევიდნენ. ბლუმკვისტმა შვებით ამოისუნთქა და ჩემოდნები დერეფანში დააწყო.

– ეს სტუმრებისთვის განკუთვნილი სახლია. აქ იმათ ვაბინავებთ, ვინც კუნძულზე დიდი ხნით გვსტუმრობს ხოლმე. 1963 წელს შენი ოჯახიც აქ ცხოვრობდა. ერთ-ერთი უძველესი სახლია კუნძულზე, მაგრამ გავარემონტეთ. ამ დილით ჩემი ადგილ-მამულის მცველ ნილსონს სახლში ცეცხლი დავანთებინე.

სახლი დიდი სამზარეულოსა და ორი მომცრო ოთახისგან შედგებოდა. მისი საერთო ფართი სულ 50 კვადრატული მეტრი იქნებოდა. თანამედროვედ მოწყობილ სამზარეულოში ელექტროღუმელი და პატარა მაცივარი იდგა. კედელთან, პირით კარისკენ მდგარ რკინის ღუმელში ცეცხლი გიზგიზებდა.

– ღუმელში ცეცხლის დანთება მხოლოდ ყინვებისას დაგჭირდებათ. შეშა სახლის უკან, ფარდულშია. შემოიტანეთ და დერეფანში დააწყვეთ. ამ შემოდგომაზე აქ არავის უცხოვრია. როგორც წესი, სახლის გასათბობად ელექტროგამათბობლებიც საკმარისია ხოლმე. ოღონდ ზედ ტანსაცმელს ნუ გადაფენთ, თორემ შეიძლება ცეცხლი წაეკიდოს.

ბლუმკვისტმა მიმოიხედა. ფანჯრები სამ მხარეს გადიოდა. ერთ-ერთი ფანჯრიდან ოცდაათი მეტრის მოშორებით მდებარე ხიდი მოჩანდა. სამზარეულოს ავეჯი შედგებოდა სამი განჯინისგან, რამდენიმე სკამისგან, ძველი დივნისა და გაზეთების დასადები თაროსგან. გაზეთების გროვას ზემოდან ჟურნალ See-ს 1967 წლის გამოცემა ედო. კუთხეში მომცრო ზომის მაგიდა იდგა, რომელიც სამუშაოდ გამოდგებოდა.

ორი ვიწრო კარი ორ პატარა ოთახში გადიოდა. პირველი, გარეთა კედელთან უახლოესი მარჯვენა ოთახი, ვიწრო კაბინას უფრო ჰგავდა. შიგ მხოლოდ საწერი

მაგიდა და სკამი იდგა, კედელზე კი ორი თარო მიეჭედებინათ. დერეფანსა და ამ პატარა კაბინეტს შორის ასევე პატარა საძინებელი იყო ორკაციანი საწოლით, ტუმბოთი და გარდერობით. კედლებზე პეიზაჟების ამსახველი ნახატები ეკიდა. ავეჯი და შპალერი ყველა ოთახში ძველი და გახუნებული იყო, მაგრამ სახლი მაინც ლამაზი და სუფთა ჩანდა. იატაკიც სპეციალური სარეცხი საშუალებებით მოეწმინდათ. საძინებელს მეორე კარიც ჰქონდა, რომელიც საშხაპიან სააბაზანოს მიერთებულ მცირე საწყობში გადიოდა.

– წყალთან დაკავშირებით შეიძლება პრობლემა შეგექმნათ, – გააფრთხილა ვანგერმა ბლუმკვისტი, – ამ დილით შევამოწმეთ, მილები არცთუ ღრმადაა ჩაწყობილი მიწაში. თუ ასეთი ყინვა გაგრძელდა, მილები შეიძლება გაიყინოს. დერეფანში ვედრო დგას, თუ დაგჭირდებათ, ჩვენგან წამოიღებთ წყალს.

– ტელეფონი მჭირდება, – თქვა ბლუმკვისტმა.

– უკვე შევუკვეთე. ზეგ მოვლენ და დაგიყენებენ. აბა, რას ფიქრობთ? თუ აზრს შეიცვლით, შეგიძლიათ, ნებისმიერ დროს გადმოხვიდეთ ჩემთან.

– არა, აქაურობა მომწონს, – უპასუხა ბლუმკვისტმა.

– დიდებულია. კიდევ ერთ საათს არ დაბნელდება. თუ არ დაღლილხართ, გავისეირნოთ და სოფლის მიდამოებსაც გაეცნობით. გირჩევთ, სქელი წინდები და ჩექმები ჩაიცვათ! შემოსასვლელში აწყვია, – ბლუმკვისტმა მოხუცის რჩევა ყურად იღო; გაიფიქრა, თბილ საცვლებს და ზამთრის ფეხსაცმლებს ხვალვე ვიყიდიო.

მოხუცმა ექსკურსია მეზობლის სახლის ჩვენებით დაიწყო. გზის გადაღმა ცხოვრობდა გუნარ ნილსონი, ვანგერის თანაშემწე, რომელსაც მოხუცი თავისი „ადგილ-მამულის მცველს“ უწოდებდა. ბლუმკვისტმა მალე გაარკვია, რომ ნილსონი ჰედების კუნძულის ერთგვარი გამგებელი იყო და ჰედესტადშიც რამდენიმე შენობის დაცვა და ზედამხედველობა ევალებოდა.

– გუნარამდე ამ მოვალეობას მამამისი მაგნუს ნილსონი ასრულებდა – ერთ-ერთი იმათგან, ვინც მაშინ ხიდზე მეხმარებოდა. მაგნუსი ახლა პენსიაზეა და ჰედესტადში ცხოვრობს. გუნარია ცოლთან, ჰელენასთან ერთად ცხოვრობს. მათი შვილები ცალკე გადავიდნენ, – ვანგერი რამდენიმე წამით ჩაფიქრდა, მერე კი განაგრძო: – მიქაელ, სხვებისთვის თქვენ აქ იმიტომ ხართ, რომ ავტობიოგრაფიის წერაში მეხმარებით. შეკითხვების დასმისას და წარსულის ქექვისას ამას მოიმიზეზებთ. თქვენს ნამდვილ დავალებაზე მხოლოდ მე, თქვენ და დირკ ფროდემ ვიცით. სხვებმა ეს არ უნდა გაიგონ.

– გასაგებია. მე კი უკვე ნათქვამს გავიმეორებ: არა მგონია, ამ თავსატეხის ამოხსნა შევძლო.

– მე მხოლოდ თავდაუზოგავ შრომას გთხოვთ. მთავარია, სხვებთან ზედმეტი არ წამოგცდეთ. გუნარი ორმოცდათექვსმეტი წლისაა, რაც იმას ნიშნავს, რომ ჰარიეტის გაუჩინარებისას ცხრამეტისა იყო. ერთი რამ დღემდე ვერ გამირკვევია – ჰარიეტი და გუნარი მეგობრობდნენ და, ჩემი აზრით, მათ ფლირტიც ჰქონდათ. ყოველ შემთხვევაში, გუნარი ჰარიეტის მიმართ ინტერესს იჩენდა. როცა გოგონა გაუჩინარდა, გუნარი ჰედესტადში იყო და იმ დღეს ხიდის მეორე მხარეს დარჩა. მათი ახლო ურთიერთობის გამო, მასზე ეჭვი მიიტანეს და დაკითხეს, რაც გუნარს ძალიან არ ესიამოვნა. მან მთელი დღე მეგობრებთან გაატარა, სოფელში საღამომდე არ დაბრუნებულა. პოლიციამ ალიბი გადაამოწმა და მისი ჩვენება ზუსტი გამოდგა.

– ალბათ სრული სია გაქვთ, იმ დღეს კუნძულზე ვინ იმყოფებოდა და რას საქმიანობდა.

– დიახ, მაქვს. გზა გავაგრძელოთ? – ბორცვის ფერდობზე, გზაჯვარედინზე იდგნენ და ჰენრიკ ვანგერი ქვემოთ, მეთევზეთა ნავსადურისკენ ანიშნებდა.

– ჰედების კუნძულს თითქმის მთლიანად ვანგერების ოჯახი ფლობს – უფრო ზუსტად, მე. გამონაკლისია ოსტერგორდენის ფერმა და სოფლის რამდენიმე სახლი. მეთევზეთა ნავსადგურთან რომ ქოხები მოჩანს, კერძო საზაფხულო აგარაკებია და ზამთარში თითქმის სულ ცარიელია, გარდა, აი, იმ ყველაზე შორს მდგარი სახლისა, რომლის საკვამურიდანაც კვამლი ამოდის.

ბლუმკვისტმა კვამლის ზოლის დანახვაზე გააცნობიერა, რომ ძვალ-რბილი ერთიანად გაჰყინვოდა.

– ეგ უბადრუკი ქოხმახი პირდაპირ ორპირში დგას, მაგრამ ეუგენ ნორმანი მთელ წელიწადს მაინც იქ ატარებს. ოთხმოცს მიტანებული მხატვარია. ჩემი აზრით, მისი ტილოები კიჩის სამაგალითო ნიმუშებია, თუმცა, რატომღაც ნიჭიერ პეიზაჟისტად მიიჩნევენ. ხომ იცით, ყოველ სოფელს ჰყავს თითო ახირებული მცხოვრები.

ვანგერი ბლუმკვისტს კონცხისკენ გაუძღვა. გზადაგზა სახლებს უჩვენებდა. სოფელში სულ ათი სახლი იდგა – ექვსი გზის დასავლეთ მხარეს, ოთხიც აღმოსავლეთ მხარეს. ბლუმკვისტის და ვანგერის სახლებთან ყველაზე ახლოს მდგარი, ჰენრიკის ძმას, ჰარალდს ეკუთვნოდა. ქვის ორსართულიანი შენობა, ერთი შეხედვით, მიტოვებული გეგონებოდათ. ფანჯრებზე ფარდები ჩამოეფარებინათ, ხოლო სადარბაზო კარამდე მიმავალი ბილიკი ნახევარი მეტრის სიმაღლის თოვლს დაეფარა. თუმცა, თუ კარგად დააკვირდებოდით, დათოვლილ ბილიკზე სახლისკენ მიმავალ ნაფეხურებს შეამჩნევდით.

– ჰარალდი განდეგილია. ერთმანეთს ვერასდროს ვუგებდით. გარდა სადაო საკითხებისა, რომელიც ჩვენს ფირმას ეხება – ჰარალდი თანამესაკუთრეა – სამოცი წლის განმავლობაში თითქმის არაფერზე გვისაუბრია. ახლა ოთხმოცდათორმეტი წლისაა, ჩემი ოთხი ძმიდან მხოლოდ ისღაა ცოცხალი. დეტალურად მოგვიანებით

მოგიყვებით, ამჯერად მხოლოდ იმას გეტყვით, რომ პროფესიით ექიმია და დიდხანს უფსალაში მუშაობდა. ჰედებიზე სამოცდაათი წლის ასაკში დაბრუნდა.

– ერთმანეთი გულზე დიდად არ გეხატებათ, მაგრამ მეზობლად ცხოვრობთ.

– საძაგელი ბერიკაცია და მერჩივნა, უფსალაში დარჩენილიყო, მაგრამ ეს სახლი მას ეკუთვნის. ალბათ ჩემი სიტყვები ნაძირალას შეეფერება?

– თქვენი სიტყვები შეეფერება კაცს, ვისაც საკუთარი ძმა დიდად არ მოსწონს.

– ჩემი ცხოვრების პირველი ოცდახუთი წლის განმავლობაში ჰარალდისნაირ პიროვნებებს ბოდიშს ვუხდიდი, რადგან ოჯახს პატივს ვცემდი. შემდეგ მივხვდი, რომ ნათესაობა სულაც არაა სიყვარულისა და პატივისცემის საწინდარი და ჰარალდი ჩემს კეთილგანწყობას არანაირად არ იმსახურებს.

შემდეგ სახლში იზაბელა, ჰარიეტ ვანგერის დედა ცხოვრობდა.

– წელს სამოცდათხუთმეტი წელი უსრულდება, იზაბელა კი ძველებურად ელეგანტურად გამოიყურება და ძველებურადვე ფუქსავატია. სოფელში მის გარდა ჰარალდს არავინ ელაპარაკება; ხანდახან სტუმრობს კიდეც. თუმცა, ბევრი საერთო არც მათ აქვთ რამე.

– ჰარიეტის მიმართ როგორი დამოკიდებულება ჰქონდა?

– კარგი შეკითხვაა. ეს ქალი ეჭვმიტანილთა შორისაა. უკვე გითხარით, რომ შვილებს ყურადღებას საერთოდ არ აქცევდა. არ ვიცი, შეიძლება მათთვის მხოლოდ კარგი უნდოდა, მაგრამ მშობლობისთვის ზედმეტად ქარაფშუტა იყო. მას და ჰარიეტს დედაშვილური ურთიერთობა არასდროს ჰქონიათ, მაგრამ არც მტრობდნენ. იზაბელა ძლიერი ქალია, მაგრამ ხანდახან მთლად დაწყობილიც ვერაა. როცა გაიცნობთ, თავად მიხვდებით, რასაც ვგულისხმობ.

იზაბელას მეზობლად სესილია ვანგერი, ჰარალდის ქალიშვილი ცხოვრობდა.

– სესილია განათხოვარია, ადრე ჰედესტადში ცხოვრობდა, ქმართან. ოცი წლის წინ დაშორდნენ და ამ სახლში გადმოსვლა შევთავაზე. ეს სახლი მე მეკუთვნის. სესილია სკოლაში მუშაობს მასწავლებლად და ბევრი რამით სრულიად განსხვავდება მამამისისგან. დავამატებ, რომ მამამისს ძალიან იშვიათად, მხოლოდ საჭიროების შემთხვევაში, ელაპარაკება.

– რამდენი წლისაა?

– 1946 წელს დაიბადა. ამგვარად, ოცი წლისა იყო, როცა ჰარიეტი გაუჩინარდა და, დიახ, იმ დღეს ისიც სტუმრებს შორის იყო. შეიძლება, სესილია ცოტა თავქარიანად მოგეჩვენოთ, მაგრამ სინამდვილეში ბევრზე გონიერია. აუცილებლად სათანადოდ შეაფასეთ მისი შესაძლებლობები. თუ ვინმე რამეს იეჭვებს თქვენს ნამდვილ მიზანზე,

პირველი ის იქნება. ჩემი მხრიდან დავამატებ, რომ ნათესავებიდან ყველაზე კარგი შეხედულებისა მასზე ვარ.

– რაც ნიშნავს, რომ მას ეჭვმიტანილად არ თვლით?

– მთლად ასეც არაა. მიქაელ, მე მინდა, რომ დამოუკიდებლად იმოქმედოთ და ჩემი ეჭვებისა თუ აზრების გავლენის ქვეშ არ მოექცეთ.

სესილიას მეზობლად მდგარი სახლიც ჰენრიკ ვანგერს ეკუთვნოდა, თუმცა ადრე „ვანგერების კორპორაციის“ მმართველობაში მომუშავე ხანშიშესული წყვილისთვის მიექირავებინა. წყვილი ჰედებიზე ოთხმოციანი წლების მიწურულს დასახლებულიყო, ამიტომ ჰარიეტის გაუჩინარებასთან არანაირი კავშირი არ ჰქონდათ. ამ სახლის გვერდით სესილიას ძმის, ბირგერ ვანგერის კუთვნილი სახლი იდგა. სახლი ამჟამად ცარიელი იყო, რადგან ბირგერი ჰედესტადში თანამედროვე ბინაში გადასულიყო საცხოვრებლად.

გზის გასწვრივ ჩამწკრივებული სახლების უმეტესობა მეოცე საუკუნის დასაწყისში აგებული ქვის შენობები იყო. მხოლოდ განაპირას მდგარი სახლი იყო განსხვავებული – თანამედროვე დიზაინის თეთრი აგურით ნაშენი სახლი შავჩარჩოიანი ფანჯრებით. სახლი გამორჩეულ ადგილას იდგა და ზედა სართულის ფანჯრებიდან ალბათ გამორჩეული ხედი იშლებოდა: აღმოსავლეთით – ზღვის, ხოლო ჩრდილოეთით – ჰედესტადის.

– აქ მარტინი ცხოვრობს, ჰარიეტის ძმა და „ვანგერების კორპორაციის“ გენერალური დირექტორი. ადრე ამ ადგილას პასტორის სახლი იდგა, ის სამოცდაათიან წლებში ხანძარმა გაანადგურა. მარტინმა სახლი 1978 წელს აიშენა, როცა კომპანიის გენერალურ დირექტორად დაინიშნა.

გზის აღმოსავლეთით, ბოლო სახლში ჰენრიკის ძმის, გრეგერის ქვრივი და ალექსანდერ ვანგერის დედა, გერდა ვანგერი ცხოვრობდა.

– გერდა ავადმყოფობს. რევმატიზმი აწუხებს. ალექსანდერი „ვანგერების კორპორაციის“ მცირე წილს ფლობს. მას საკუთარი სარესტორნო ბიზნესი აქვს. წელიწადში რამდენიმე თვეს ბარბადოსზე ატარებს, სადაც ტურისტულ ბიზნესში საკმაოდ დიდი ინვესტიცია აქვს ჩადებული.

გერდასა და ჰენრიკის სახლებს შორის ორი პატარა, ცარიელი შენობა იდგა. ამ შენობებში სტუმრად ჩამოსულ ნათესავებს აბინავებდნენ. ჰენრიკის სახლის პირდაპირ კიდევ ერთი, პენსიაზე გასული თანამშრომლების წყვილი ცხოვრობდა. ამჟამად სახლი ცარიელი იყო, რადგან წყვილი ზამთარს ესპანეთში ატარებდა.

კვლავ გზაჯვარედინთან დაბრუნდნენ და ექსკურსიაც დამთავრდა. ბინდდებოდა. სიჩუმე ბლუმკვისტმა დაარღვია.

– ჰენრიკ, იმას გავაკეთებ, რისთვისაც დამიქირავეთ. თქვენს ავტობიოგრაფიას დავწერ და გულდასმით და კრიტიკული თვალით წავიკითხავ თქვენ მიერ ჰარიეტზე შეგროვილ მასალებს. ოღონდ, გთხოვთ, გაითვალისწინეთ, რომ კერძო დეტექტივი არ ვარ.

– მე ბევრი არაფრის იმედი მაქვს.

– ძალიან კარგი.

– გვიანობამდე არ ვიძინებ, – უთხრა ვანგერმა, – ასე რომ, ნავახშმევს შეგიძლიათ შემომიაროთ ხოლმე. თქვენთვის კაბინეტს გავამზადებინებ და ნებისმიერ დროს შეძლებთ იქ მუშაობას.

– არა, გმადლობთ, კაბინეტი უკვე მაქვს ჩემთან, სახლში. იქ ვიმუშავებ.

– როგორც გნებავთ.

– თუ თქვენთან საუბარი დამჭირდება, თქვენს კაბინეტში გესტუმრებით, მაგრამ ღამღამობით თქვენს დაკითხვას არ ვაპირებ.

– გასაგებია, – მოხუცი საეჭვოდ თვინიერი ჩანდა.

– მასალების გადაკითხვას რამდენიმე კვირა დასჭირდება. ორ ფრონტზე ერთდროულად ვიმუშავებთ. ყოველდღე რამდენიმე საათით შევხვდებით და ავტობიოგრაფიისთვის ინტერვიუს ჩამოგართმევთ ხოლმე. როცა ჰარიეტის შესახებ უფრო მეტის გაგება დამჭირდება, შეგატყობინებთ.

– გონივრულია.

– არანაირ დღიურ გრაფიკს არ დავადგენ, ვიმუშავებ, როგორც მინდა და რამდენსაც მინდა.

– მთავარია, საქმე გააკეთოთ, რანაირად და როგორ, ეს თავად გადაწყვიტეთ.

– ისიც გასათვალისწინებელია, რომ სამი თვით ციხეში უნდა ჩავჯდე. ზუსტად არ ვიცი, როდის მომიწევს, მაგრამ სავარაუდოდ წელსვე, მე კი გასაჩივრებას არ ვაპირებ.

– სამწუხაროა, – მოიღუშა ვანგერი, – ეს პრობლემა მოსაგვარებელია. ისე, გადავადებაც შესაძლებელია.

– თუკი ნებას დამრთავენ და საკმარისი მასალაც მექნება, თქვენს წიგნზე მუშაობას ციხეშიც გავაგრძელებ. და კიდევ ერთი: მე კვლავაც „მილენიუმის“ თანამფლობელად ვრჩები. ჟურნალი ამჟამად მძიმე კრიზისშია. თუ რამე მოხდება და ჩემი სტოკჰოლმში დაბრუნება აუცილებელი იქნება, საქმეს შევწყვეტ და დაუყოვნებლივ წავალ.

– მე თქვენ მოჯამაგირედ არ ამიყვანიხართ. დიახ, მინდა, დავალება შემისრულოთ, მაგრამ, რასაკვირველია, შეგიძლიათ, გრაფიკი თავად შეადგინოთ და როგორც უფრო მოხერხებული იქნება თქვენთვის, ისე იმუშაოთ. თუ ხანმოკლე დასვენება დაგჭირდებათ, დაისვენეთ. მაგრამ, თუ შევამჩნევ, რომ დავალებულ საქმეს არ ასრულებთ, კონტრაქტი გაუქმდება.

ვანგერი ხიდისკენ შეტრიალდა. ბლუმკვისტს მოეჩვენა, რომ იმ წუთას ტანხმელი მოხუცი მელანქოლიურ საფრთხობელას ჰგავდა.

– რაც შეეხება„მილენიუმს“, აუცილებლად უნდა განვიხილოთ, რა სახის კრიზისშია ჟურნალი და მე რით შევძლებ დახმარებას.

– იმით, თუ ახლავე ლანგრით მომართმევთ ვენერსტრომის თავს.

– ო, არა, მაგას არ ვაპირებ, – მკაცრად გახედა ბლუმკვისტს მოხუცმა, – თქვენ მხოლოდ იმიტომ დამთანხმდით ამ საქმეზე, რომ მე ვენერსტრომის მხილებას დაგპირდით. ახლავე რომ მოგაწოდოთ ინფორმაცია, ჩემთვის მუშაობას ნებისმიერ დროს შეწყვეტთ. ინფორმაციას ზუსტად ერთი წლის შემდეგ მიიღებთ.

– ჰენრიკ, მაპატიეთ ამ თავხედური შენიშვნისთვის, მაგრამ ერთი წლის შემდეგ შეიძლება ცოცხალი აღარც იყოთ.

ვანგერმა ამოიხვნეშა და ჩაფიქრებულმა გახედა მეთევზეთა ნავსადგურს.

– სამართლიანი შენიშვნაა. ფროდეს დაველაპარაკები და რამეს მოვიფიქრებთ. თუმცა, შემიძლია „მილენიუმს“ სხვანაირად დავეხმარო. როგორც გავიგე, სარეკლამო შემოსავლებმა იკლო.

– ესეც პრობლემაა, მაგრამ კრიზისის მიზეზები უფრო ღრმაა. ჟურნალი მკითხველის ნდობას კარგავს. რა მნიშვნელობა აქვს, რეკლამის შემკვეთები გვეყოლება თუ არა, თუ ჟურნალს არავინ იყიდის?

– გასაგებია. მართალია, მართვაში აქტიურ მონაწილეობას აღარ ვიღებ, მაგრამ მე ჯერაც ერთ-ერთი უდიდესი კორპორაციის დირექტორთა საბჭოს წევრი ვარ. რეკლამა სადღაც ხომ უნდა განვათავსოთ, არა? როგორმე ამ საკითხზეც უნდა დავილაპარაკოთ. სადილობას ვაპირებ, თქვენც ხომ არ...

– არა, გმადლობთ. ბარგი უნდა ამოვალაგო, საკვები ვიყიდო, აქაურობას გავუშინაურდე. ხვალ ჰედესტადში წავალ თბილი ტანსაცმლის საყიდლად.

– კარგი აზრია.

– მინდა, რომ ჰარიეტის საქმესთან დაკავშირებული ყველანაირი მასალა ჩემს სახლში გადმოიტანოთ.

– იცოდეთ, მათ...

– უდიდესი სიფრთხილით უნდა მოვეპყრა. ვიცი.

ბლუმკვისტი სტუმრების სახლში კბილებაკაწკაწებული დაბრუნდა. ფანჯარაზე გარედან მიმაგრებული თერმომეტრი -15°C-ს უჩვენებდა. ასე ძლიერ გზაში არ შესციებია. შინ შესული მთელი ოცი წუთი კანკალებდა.

ერთი საათი მოანდომა ბარგის ამოლაგებას და იმ სახლის მილაგებას, სადაც მომდევნო ერთი წელი უნდა გაეტარებინა. ტანსაცმელი საძინებლის გარდერობში შეაწყო. პირადი ჰიგიენის ნივთებს საწყობ-სააბაზანოში მიუჩინა ადგილი. ბორბლებიანი ჩემოდნიდან წიგნები, კომპაქტ-დისკები, CD ფლეიერი, ბლოკნოტები, დიქტოფონი Sanyo, სკანერი Microtek, პორტატული პრინტერი, ციფრული ფოტოკამერა Minolta და ერთწლიან გადასახლებაში საჭირო სხვა ნივთები ამოალაგა.

წიგნები და კომპაქტ-დისკები კაბინეტის თაროზე შეაწყო ჰანს-ერიკ ვენერსტრომის საქმესთან დაკავშირებული ორი საქაღალდის გვერდით. ჯერჯერობით მასალები უსარგებლო იყო, მაგრამ მაინც წამოიღო. ამ ორი საქაღალდის დახმარებით როგორმე თავისი რეპუტაცია და კარიერა უნდა აღედგინა.

ბოლოს მხარზე გადასაკიდი ჩანთიდან თავისი „აიბუქი“ ამოიღო და კაბინეტის მაგიდაზე დადო. შემდეგ წელში გაიმართა და სულელივით მიმოიხედა ირგვლივ. ესეც შენი სოფლის ცხოვრება: არც საკაბელო ინტერნეტი ჰქონდა და არც სატელეფონო ხაზი, რომ ძველი სატელეფონო ინტერნეტით მაინც ესარგებლა.

ბლუმკვისტმა მობილურით სატელეფონო კომპანია „თელიაში“ დარეკა და ოპერატორს ვანგერის შეკვეთის ცნობები მოაძებნინა. აინტერესებდა, ADSL-ით სარგებლობასაც თუ შეძლებდა. ოპერატორმა უპასუხა, რომ ამისთვის ჰედების სარელეო ხაზი დაგვჭირდება და ეს დამატებით რამდენიმე დღეს წაიღებსო.

ხუთი საათი იყო დაწყებული, ბლუმკვისტი მილაგებას რომ მორჩა. სქელი წინდები, ნათხოვარი ჩექმები, კიდევ ერთი სვიტერი ჩაიცვა და გარეთ გასასვლელად მოემზადა. კართან შედგა. ვანგერს მისთვის სახლის გასაღები არ დაუტოვებია, ხოლო დიდი ქალაქის მაცხოვრებლის ინსტინქტები სახლის ღიად დატოვებას ეწინააღმდეგებოდა. სამზარეულოში შებრუნდა და უჯრები გადაქექა. გასაღებს საკუჭნაოს კედელზე მიჭედებულ ლურსმანზე ჩამოკიდებულს მიაგნო.

ტემპერატურა -18°ჩ-მდე დაეცა. ფეხით სწრაფად გადავიდა ხიდზე, ეკლესიას გვერდი აუარა და აღმართს შეუყვა. სურსათის მაღაზია მისთვის მოსახერხებელ ადგილას, სულ სამას მეტრში მდებარეობდა. ორი ქაღალდის პაკეტი გაავსო საკვები პროდუქტებით და სახლში წაიღო. მერე ისევ გადავიდა ხიდზე და „სუზანის კაფეში“ შევიდა. დახლთან ორმოცდაათ წელს გადაცილებული ქალი იდგა. ბლუმკვისტმა ჰკითხა, სუზანი თქვენ ბრძანდებითო. მერე თვითონაც გაეცნო, ამიერიდან თქვენი მუდმივი კლიენტი ვიქნებიო. კაფეში მის გარდა არავინ იყო და როცა ბლუმკვისტმა სენდვიჩი და ერთი პური იყიდა, სუზანი ყავით გაუმასპინძლდა. ბლუმკვისტმა

გაზეთების ყუთიდან Hedestads-Kuriren-ის ახალი ნომერი გამოიღო და მიუჯდა მაგიდას, რომლიდანაც ხიდი და ფასადგანათებული ეკლესია მოჩანდა. ეკლესია საშობაო ბარათს ჰგავდა. გაზეთი ოთხ წუთში წაიკითხა. ერთადერთი საინტერესო ინფორმაცია ის იყო, რომ ადგილობრივი პოლიტიკოსი, სახელად ბირგერ ვანგერი (ლიბერალი), ჰედესტადის ტექნოლოგიური განვითარების ცენტრში IT TechCent, ინვესტირებას აპირებდა. მიქაელი მაგიდასთან ექვს საათამდე იჯდა, მანამ, სანამ კაფე არ დაიხურა.

საღამოს რვის ნახევარზე ბერგერს დაურეკა, მაგრამ ავტომოპასუხემ უპასუხა, რომ აბონენტი მიუწვდომელი იყო. სამზარეულოში ხის სკამზე ჩამოჯდა და რომანის კითხვა დაიწყო. როგორც უკანა ყდაზე წარწერილი ანოტაცია იუწყებოდა, რომანი თინეიჯერი ფემინისტის სენსაციურ დებიუტს წარმოადგენდა. რომანში ავტორი პარიზში მოგზაურობისას თავისი სექსუალური ცხოვრების დეტალებს ჰყვებოდა. ბლუმკვისტმა გაიფიქრა, მეც რომ დამეწერა სტუდენტობისას საკუთარ სექსუალურ ცხოვრებაზე წიგნი, ნეტავ ფემინისტად თუ ჩამთვლიდნენო. ალბათ არა. ეს წიგნი იმიტომ იყიდა, რომ რედაქტორი ახალბედა ავტორს „ახალ კარინა რიდბერგს“ უწოდებდა. ბლუმკვისტი რამდენიმე გვერდის წაკითხვისთანავე დარწმუნდა, რომ არც შინაარსით და არც წერის მანერით თინეიჯერ ფემინისტს რიდბერგთან საერთო არაფერი ჰქონდა. წიგნი გვერდზე გადადო და მის ნაცვლად ცოტა ხანს Rekordmagasinet-ის ორმოცდაათიანი წლების ნომერში დაბეჭდილი ჰოპალონგ კესიდის თავგადასავალს კითხულობდა.

ყოველ ნახევარ საათში ერთხელ ეკლესიის ზარი ყრუდ გუგუნებდა. გზის გადაღმა მდგარი ადგილ-მამულის მცველის სახლის ფანჯრებიდან შუქი გამოდიოდა, მაგრამ ბლუმკვისტი შიგნით ვერავის ხედავდა. ჰარალდ ვანგერის სახლი ჩაბნელებული იყო. დაახლოებით ცხრა საათზე ხიდზე მანქანა გადმოვიდა და კონცხის მიმართულებით გაუჩინარდა. შუაღამისას ეკლესიის განათებაც ჩააქრეს და ფასადიც სიბნელეში ჩაიძირა. იანვრის პირველი პარასკევი ჰედებიზე ყოველგვარი ხმაურიანი გართობის გარეშე დასრულდა. შემზარავმა სიჩუმემ დაისადგურა.

კიდევ ერთხელ სცადა ბერგერთან დაკავშირება. ქალის ავტომოპასუხემ სახელის და შეტყობინების დატოვება ურჩია. ბლუმკვისტი ასეც მოიქცა. მერე შუქი გამორთო და დაწვა. ჩაძინებამდე გაიფიქრა, ჰედებიზე მოწყენილობისგან შეიძლება ჭკუაზე შევიშალოო.

სრულ სიჩუმეში გამოღვიძება უჩვეულო შეგრძნება იყო. ბლუმკვისტი ღრმა ძილიდან თვალის გახელისთანავე გამოფხიზლდა და სმენად იქცა. ოთახში ციოდა. თავი მიატრიალა და საწოლის გვერდით სკამზე დადებულ მაჯის საათს შეხედა. საათი 7 : 08-ს უჩვენებდა. დილის ძილის მოყვარული ბლუმკვისტი მაღვიძარას „დახმარების“ გარეშე იშვიათად იღვიძებდა, ამჯერად კი თავისით გაიღვიძა; სხვათა შორის – კარგად გამოძინებულმა.

ჯერ ყავა დაადგა მოსადუღებლად, მერე სააბაზანოში შხაპის მისაღებად შევიდა და უნებურად გაიფიქრა: „კალე ბლუმკვისტი სადღაც გადაკარგულში გამოძიებას აწარმოებს“.

ონკანს ოდნავ ხელს შეახებდა თუ არა, ცხელ წყალს უმალ ყინულივით ცივი ცვლიდა. სამზარეულოს მაგიდაზე დილის გაზეთი არ იდო. კარაქი გაყინულიყო. დანა-ჩანგლების უჯრაში ყველის საჭრელი ვერ იპოვა. გარეთ კვლავაც ბნელოდა. თერმომეტრი -21°C-ს უჩვენებდა. შაბათი დილა თენდებოდა.

ჰედესტადისკენ მიმავალი ავტობუსი მაღაზიის პირდაპირ ჩერდებოდა. ბლუმკვისტმა გადასახლების პირველ დღეს ქალაქში საყიდლებზე წასვლა გადაწყვიტა. ავტობუსიდან რკინიგზის სადგურთან ჩამოვიდა და ჰედესტადის ცენტრისკენ გაემართა. გზად მძიმე ზამთრის ჩექმები, ორი გრძელი კალსონი, რამდენიმე ფლანელის პერანგი, სქელი, გრძელკალთებიანი ქურთუკი, თბილი ქუდი და ხელთათმანები იყიდა. ელექტრომოწყობილობათა მაღაზიაში გასაშლელანტენიანი პატარა ტელევიზორი მოეწონა. გამყიდველმა დაარწმუნა ამ ანტენით SVT-ის, შვედეთის სახელმწიფო არხის დაჭერას შეძლებთო. ბლუმკვისტმა დაიბარა, თუ ვერ დაიჭერს, ტელევიზორს უკან დავაბრუნებო.

ბიბლიოთეკაში მკითხველის ბარათი აიღო და ელიზაბეთ ჯორჯის ორი დეტექტივი გამოიტანა. ავტოკალმები და ბლოკნოტებიც იყიდა და მთელი ნავაჭრი ახალ ზურგჩანთაში ჩააწყო.

ერთი კოლოფი სიგარეტიც იყიდა. რეგულარულ მოწევას თავი ათი წლის წინ დაანება, მაგრამ დროდადრო მოწევის სურვილი ისევ უჩნდებოდა. კოლოფი გაუხსნელად ჩაიდო ქურთუკის ჯიბეში. ბოლოს ოპტიკურ მაღაზიაში შეიარა, სადაც ახალი კონტაქტური ლინზები შეუკვეთა და ლინზების ჩასაწყობი ხსნარიც შეიძინა.

დღის ორ საათზე უკვე ჰედებიზე იყო და ტანისამოსს იარლიყებს ხსნიდა, როცა კარის გაღების ხმა გაიგონა. ორმოცდაათ წელს გადაცილებულმა ქერა ქალმა სამზარეულოს კარზე მოუკაკუნა და ზღურბლზე გადმოაბიჯა. ლანგრით ნამცხვარი მოჰქონდა.

– გამარჯობა. თქვენს გასაცნობად მოვედი. მე ჰელენ ნილსონი ვარ, გზის გადაღმა ვცხოვრობ. როგორც გავიგე, მეზობლები ვიქნებით.

ბლუმკვისტმა ხელი ჩამოართვა და გაეცნო.

– დიახ, ტელევიზორში მინახავხართ. კარგია, რომ საღამოობით ჩვენს მეზობლადაც აინთება ხოლმე შუქი.

ბლუმკვისტმა ყავა დაადგა მოსადუღებლად. ქალმა თავიდან იუარა, მაგრამ მერე სკამზე ჩამოჯდა და ფანჯარაში გაიხედა.

– აგერ ჰენრიკიც მოდის ჩემს ქმართან ერთად. მგონი, თქვენთან რაღაც ყუთები მოაქვთ.

ვანგერი და გუნარ ნილსონი ურიკას მოაგორებდნენ. ბლუმკვისტი მაშინვე მიეგება მათ და ოთხი მძიმე ყუთის შინ შეტანაში დაეხმარა. ყუთები რკინის ღუმლის გვერდით იატაკზე დააწყვეს. ბლუმკვისტმა განჯინიდან ყავის ფინჯანები გამოიღო და ფრუ ნილსონის მოტანილი ბისკვიტი დაჭრა.

ნილსონები სასიამოვნო პიროვნებები გამოდგნენ. ბლუმკვისტს ჰედესტადში გადმოსახლების მიზეზებზე არ ჩასძიებიან – როგორც ჩანდა, მათთვის იმის ცოდნაც საკმარისი იყო, რომ ის ჰენრიკ ვანგერისთვის მუშაობდა. ბლუმკვისტმა ნილსონების და ჰენრიკ ვანგერის ლაღი და თავისუფალი საუბრის მიხედვით დაასკვნა, რომ მის წინ მემამულე და მისი მსახურები კი არა, მეგობრები ისხდნენ. ჯერ სოფლის ამბებზე ისაუბრეს. მერე ის კაცი გაიხსენეს, ვინც ბლუმკვისტის ამჟამინდელი საცხოვრებელი ააშენა. თუკი ვანგერს მახსოვრობა უმტყუნებდა, ნილსონები ეხმარებოდნენ. ვანგერი, თავის მხრივ, სასაცილო ამბავს მოჰყვა იმაზე, თუ როგორ გადააწყდა ერთ საღამოს გუნარ ნილსონი ხიდს გადაღმა მცხოვრებ იდიოტს, რომელიც ვანგერების სტუმრების სახლში ფანჯრიდან შეძრომას ცდილობდა. გუნარი გონებაჩლუნგ ქურდთან მისულა და უთქვამს, იქნებ ღია წინკარით შეხვიდეო. წასვლამდე ნილსონმა ბლუმკვისტის პატარა ტელევიზორი უნდობლად შეათვალიერა და შესთავაზა, თუ რომელიმე გადაცემის ყურება მოგინდებათ, სახლში მეწვიეთო.

ვანგერი ნილსონების წასვლის შემდეგ კიდევ ცოტა ხანს დარჩა. ბლუმკვისტს უთხრა, აჯობებს, მასალები თავად გადაახარისხოთ და, თუ პრობლემა შეგექმნებათ, ჩემთან სახლში მოხვიდეთო.

მარტო დარჩენილმა ბლუმკვისტმა ყუთები კაბინეტში შეიტანა და მასალების გადახედვას შეუდგა.

ვანგერი თავისი ძმის შვილიშვილის გაუჩინარების საქმეს ოცდათექვსმეტი წლის განმავლობაში განუწყვეტლივ იძიებდა. ბლუმკვისტი ვერ ხვდებოდა ეს ძიება მოხუცის არაჯანსაღი გატაცებით იყო გამოწვეული თუ ამ ხნის განმავლობაში ინტელექტუალურ თამაშად იქცა. ერთი რამ ცხადი იყო, ვანგერების ოჯახის მოხუცი პატრიარქი საქმეს მოყვარული არქეოლოგის სიზუსტით მისდევდა – მის მიერ შეგროვებული მასალები შვიდმეტრიან თაროს გაავსებდა.

მასალების უდიდეს ნაწილს – ოცდაექვს საქაღალდეს – პოლიციის საგამოძიებო დოკუმენტების ასლები შეადგენდა. ძნელი დასაჯერებელი იყო, რომ დაკარგული პიროვნების ჩვეულებრივ საქმეზე ამ მოცულობის მასალების შეგროვება შეიძლებოდა. ვანგერი ალბათ თავის გავლენას იყენებდა, რათა პოლიციას ნებისმიერი სავარაუდო თუ ნაკლებად სავარაუდო ვერსია განეხილა.

ყუთებში ეწყო აგრეთვე საპოლიციო მოხსენებები, ფოტოალბომები, რუკები, ტექსტები ჰედესტადსა და „ვანგერების კორპორაციაზე“, ჰარიეტის დღიური, გოგონას სასწავლო წიგნები და სამედიცინო ცნობები. თითქმის ასგვერდიანი A4 ფორმატის თექვსმეტი ტომი გამოძიების მიმდინარეობაზე პირადად ჰენრიკ ვანგერის ჩანაწერებს შეიცავდა. ჰენრიკ ვანგერს საკუთარი ვერსიები, თეორიები და განსხვავებული მოსაზრებები კოხტად და გასაგებად ჩამოეწერა. ბლუმკვისტმა ზერელედ გადაავლო თვალი ამ დღიურებს; აშკარად ეტყობოდა, ტექსტი სხვა უამრავი ჩანაწერების გათეთრებულ ვარიანტს წარმოადგენდა და ერთგვარი ლიტერატურული ღირებულებაც გააჩნდა. ათი საქაღალდე ვანგერების ოჯახის წევრებზე ცნობებით იყო სავსე. ეს ტექსტი დაბეჭდილი იყო. როგორც ჩანდა, ვანგერი საკუთარ ნათესავებზეც აქტიურად აწარმოებდა დაკვირვებას.

შვიდ საათზე ბლუმკვისტს კართან კნავილი მოესმა. კარი გააღო თუ არა, სახლში მოწითალო-მოყავისფრო კატა შევარდა.

– ჭკვიანი კატა, – ჩაილაპარაკა ბლუმკვისტმა.

კატა კარგა ხანს დაცუნცულებდა ოთახში. მიქაელმა ლამბაქზე რძე დაუსხა და დაუპატიჟებელმა სტუმარმაც სიამოვნებით ახვრიპა. მერე კატა სკამზე ახტა და მყუდროდ მოკალათებულმა დაიძინა.

უკვე თერთმეტი საათი იყო დაწყებული, როცა ბლუმკვისტი მასალების გადახარისხებას და თაროებზე შელაგებას მორჩა. ყავა მოიდუღა და ორი სენდვიჩი მოიმზადა. მთელი დღე არაფერი ეჭამა, მაგრამ მაინც არ შიოდა. კატას ძეხვის ნაჭერი დაუგდო. ყავის დალევის შემდეგ ქურთუკის ჯიბიდან სიგარეტის კოლოფი ამოიღო და გახსნა.

მობილური შეამოწმა. ბერგერს არ დაურეკავს. კიდევ ერთხელ სცადა მასთან დაკავშირება. ისევ ავტომოპასუხე ჩაირთო.

ბლუმკვისტმა ვანგერისგან ნათხოვარი ჰედების კუნძულის რუკის შესწავლა დაიწყო. სანამ სახელები ჯერ კიდევ ახსოვდა, სათითაოდ ჩამოწერა, რომელ სახლში ვინ ცხოვრობდა. ვანგერების კლანი ისეთი მრავალფეროვანი აღმოჩნდა, რომ იმის დამახსოვრებას, ვინ ვინ იყო, კარგა ხანი დასჭირდებოდა.

მოგვიანებით თბილი ტანსაცმელი და ახალი ფეხსაცმელი ჩაიცვა და შუაღამემდე კიდევ ერთხელ გაისეირნა. ხიდზე გადავიდა. გზიდან გადაუხვია და ეკლესიის ქვემოთ, ყურისკენ დაეშვა. ნაპირთან ახლოს წყალი გაყინულიყო, მაგრამ შორს წყლის მოლივლივე ზედაპირი მოჩანდა. სანამ ბლუმკვისტი ერთ ადგილას იდგა, ეკლესიის ფასადის განათება გამოირთო და მის გარშემო წყვდიადი ჩამოწვა. ციოდა. ცაზე ვარსკვლავები კიაფობდა.

უეცრად ბლუმკვისტმა ძლიერ მოიწყინა და გაბრაზდა, რომ ვანგერს ამ დავალების შესრულებაზე დასთანხმდა. ბერგერისთვის რომ დაეჯერებინა ახლა აქ კი არა, სტოკჰოლმში იქნებოდა – მაგალითად, ერიკასთან საწოლში – და ვენერსტრომის წინააღმდეგ გეგმებს დააწყობდა. თუმცა, ვენერსტრომის გახსენებამაც არანაკლებ დააღონა. მის წინააღმდეგ არანაირი სტრატეგია არ ჰქონდა შემუშავებული და არც იცოდა, რით დაეწყო.

დღე რომ ყოფილიყო, პირდაპირ ვანგერს ესტუმრებოდა, კონტრაქტს გაწყვეტდა და შინ დაბრუნდებოდა. თუმცა, ეკლესის გვერდით ბორცვის წვერიდან სოფლის ყველა სახლს ხედავდა. ჰენრიკ ვანგერის სახლი ჩაბნელებული იყო. მხოლოდ კონცხზე მდგარ მარტინის ვილაში, ასევე სესილიას და ყოფილ თანამშრომელზე გაქირავებულ სახლებში ენთო შუქი. შუქი მოხუცი მხატვრის უბადრუკი ქოხიდანაც გამოდიოდა და საკვამურიდან ნაპერწკლები იფრქვეოდა. „სუზანის კაფეს“ ზედა სართულზეც ენთო სინათლე. ბლუმკვისტმა გაიფიქრა, ნეტა იქ სუზანი ხომ არ ცხოვრობს და თუ ცხოვრობს, მარტოა თუ არაო.

კვირა დილით გამაყრუებელმა ხმაურმა გააღვიძა. შეშინებულს რამდენიმე წუთი დასჭირდა სრულად გამოსაფხიზელბლად და იმის დასადგენად, რომ საკვირაო წირვის დაწყების მაუწყებელი ეკლესიის ზარი რეკდა. თერთმეტი ხდებოდა. საწოლიდან არ წამომდგარა, სანამ დერეფანში კატამ კნავილი არ დაიწყო.

თორმეტ საათამდე შხაპის მიღებაც მოასწრო და საუზმობაც. მერე კაბინეტში შევიდა და თაროდან საპოლიციო გამოძიების მასალების პირველი საქაღალდე გამოიღო. უცებ ფანჯრიდან „სუზანის კაფეს“ მოჰკრა თვალი და შეყოყმანდა. საქაღალდე ჩანთაში ჩაიდო და საგარეო ტანსაცმელი ჩაიცვა. კაფეში მისულმა, კითხვაზე, ვის რად სჭირდებოდა კაფე ჰედებიზე, პასუხი მიიღო – იქაურობა გადატენილი დახვდა. აღმოჩნდა, რომ სუზანი კვირაობით მრევლს ემსახურებოდა და ალბათ ქელეხებისა და სხვა ღონისძიებებისთვის ყავასა და ნამცხვრებს ამზადებდა.

კაფეში შესვლის ნაცვლად ფეხით გასეირნება გადაწყვიტა. მაღაზია კვირას დაკეტილი იყო, ამიტომ ჰედესტადის მიმართულებით კიდევ რამდენიმე მეტრი გაიარა და ბენზინგასამართ სადგურში გაზეთები იყიდა. ჰედების რამდენიმე წრე დაარტყა, რათა ხიდს გადაღმაც გასცნობოდა დასახლებას. ეკლესიის და მაღაზიის ახლომდებარე უბანი ჰედების ცენტრად ითვლებოდა. აქ ორსართულიანი, ძველი, სავარაუდოდ, მეოცე საუკუნის ათ-ოციან წლებში აგებული ქვის შენობების რიგი სოფლის მთავარ ქუჩას ქმნიდა. გზისგან ჩრდილოეთით კარგად მოვლილი რამდენიმესართულიანი კორპუსები იდგა. სანაპიროზე, ეკლესიისგან სამხრეთით, უმეტესად ვილები მოჩანდა. ეტყობა, ჰედები ჰედესტადელი სამთავრობო და სამოქალაქო სამსახურში მყოფი მაღალჩინოსნებისთვის პრესტიჟულ დასახლებად ითვლებოდა.

ხიდთან რომ დაბრუნდა, კაფეში „შემოსევა“ დასრულებულიყო, მაგრამ სუზანს მაგიდების ალაგება ჯერ კიდევ არ დაემთავრებინა.

– საკვირაო ხალხმრავლობა იყო? – გამოელაპარაკა ბლუმკვისტი ქალს.

ქალმა თავი დაუქნია და ჩამოვარდნილი კულული ყურს უკან გადაიწია.

– გამარჯობა, მიქაელ.

– ჩემი სახელი დაგიმახსოვრებია.

– დიდად არ გამჭირვებია, – უპასუხა ქალმა, – შენს სასამართლო პროცესს ტელევიზორში ვადევნებდი თვალს.

– ჰო, საინფორმაციო გამოშვებები რამით ხომ უნდა შეავსონ, – ჩაიბუტბუტა ბლუმკვისტმა და კუთხეში მდგარ მაგიდას მიუჯდა, საიდანაც ხედი ხიდზე გადიოდა. სუზანს რომ შეხედა, ქალმა გაუღიმა.

სამ საათზე სუზანმა უთხრა, კაფე იკეტებაო. წირვის დასრულების შემდეგ, მხოლოდ რამდენიმე კლიენტი შევიდა კაფეში. ბლუმკვისტს პირველი საქაღალდის მეხუთედის წაკითხვა მოესწრო. თავისი ბლოკნოტიც ჩანთაში ჩაიდო და კუნძულზე დაბრუნდა.

კატა სახლის კართან ელოდა. ბლუმკვისტმა ირგვლივ მიმოიხედა, იქნებ მეზობლის კატააო. თუმცა, შიგნით მაინც შეუშვა. ბოლოს და ბოლოს, ის მაინც გაუწევდა კომპანიას.

კიდევ ერთხელ ამაოდ სცადა ბერგერთან დაკავშირება. ალბათ ქალი ჯერ ისევ ბრაზობდა მასზე. ბლუმკვისტს შეეძლო პირდაპირ რედაქციაში ან სახლში დაერეკა მისთვის, მაგრამ უკვე ისედაც საკმარისი ხმოვანი შეტყობინება ჰქონდა დატოვებული. ამის ნაცვლად, ყავა მოიდუღა, კატა სხვა სკამზე გადასვა და საქაღალდე მაგიდაზე გაშალა.

ნელა და გულდასმით კითხულობდა, რომ მცირე წვრილმანიც კი არ გამორჩენოდა. გვიან საღამოს, როცა საქაღალდის კითხვა დაამთავრა, თავისი ბლოკნოტი უამრავი შენიშვნითა და კითხვით ჰქონდა სავსე. ამ კითხვებზე პასუხის პოვნას სხვა საქაღალდეებში იმედოვნებდა. მასალები ქრონოლოგიური თანმიმდევრობით იყო დაწყობილი – ან ვანგერის მიერ, ან შეიძლება, პოლიციური სისტემა ასე მოითხოვდა იმ დროს.

პირველი გვერდი ჰედესტადის პოლიციის გამოძახების ცენტრში შესული ზარის და შემდგარი საუბრის ხელნაწერი ვერსიის ფოტოასლს წარმოადგენდა. ოფიცერს, რომელმაც სატელეფონო ზარს უპასუხა, ხელი ასე მოეწერა: მ. ო. რიტინგერი. ბლუმკვისტმა დაასკვნა „მ. ო“. ალბათ „მორიგე ოფიცერს“ ნიშნავსო. განმცხადებელი ჰენრიკ ვანგერი იყო. ოფიცერს მისი მისამართი და ტელეფონის ნომერი ჩაეწერა.

მოხსენება 1966 წლის 25 სექტემბრით, კვირა დღის 11:14-ით იყო დათარიღებული. ტექსტი ლაკონური იყო:

„დაგვიკავშირდა ჰენრიკ ვანგერი, რომელმაც განაცხადა, რომ მისი ძმის შვილიშვილი, ჰარიეტ ულრიკა ვანგერი, დაბადებული 1950 წ-ის 15 იანვარს (16 წლის) შაბათ საღამოს ჰედების კუნძულზე მდებარე სახლიდან გავიდა და უკან აღარ დაბრუნებულა. ჰენრიკ ვანგერი ძალიან შეწუხებული იყო“.

11:20-ზე გაგზავნილ შეტყობინებაში აღნიშნული იყო, რომ P-014 (პოლიციის მანქანა? პატრული? ნავის პილოტი?) გაიგზავნა შემთხვევის ადგილას.

11:35-ზე რიტინგერზე გაკრული ხელით ვიღაცას ჩაემატებინა: „ოფიცერი მაგნუსონი გადმოგვცემს, რომ ჰედების კუნძულზე გადასასვლელი ხიდი კვლავაც ჩაკეტილია. საჭიროა საპატრულო კატერი“. ქვეშ ასევე გაურკვეველი ხელმოწერა.

12:14-ზე ისევ რიტინგერის ხელწერა გრძელდებოდა: „ოფიც. მაგნუსონი ტელეფონით დაგვიკავშირდა. ის ადასტურებს, რომ 16 წლის ჰარიეტ ვანგერი შაბათს შუადღისას დაიკარგა. ოჯახი შეშფოთებულია. გოგონა კუნძულს ვერ დატოვებდა, რადგან ხიდი ჩაკეტილი იყო. ოჯახის არც ერთ წევრს არ გააჩნია ცნობები ჰ. ვ-ს ადგილმდებარეობის შესახებ“.

12:19: „გ. მ.-მ სატელეფონო კავშირის მეშვეობით გვაცნობა ვითარების შესახებ“.

უკანასკნელი ჩანაწერი 13:42-ით იყო დათარიღებული: „გ. მ. კუნ. ჰედებიზე გამოძახების ადგილზეა. საქმეს ის ჩაიბარებს“.

მომდევნო გვერდებზე ირკვეოდა, ვის ეკუთვნოდა ინიციალები „გ. მ“. – ინსპექტორ გუსტავ მორელს, რომელიც კუნძულ ჰედებიზე ნავით გადავიდა და საქმის ხელმძღვანელობა ჩაიბარა. მანვე შეადგინა ჰარიეტ ვანგერის გაუჩინარებაზე ოფიციალური მოხსენება. მრავალ ინიციალებსა და შემოკლებას თუ არ ჩავთვლით, მორელის მოხსენება საბეჭდი მანქანით იყო დაბეჭდილი და ადვილად იკითხებოდა. გატარებული ღონისძიებები იმდენად დეტალურად იყო აღწერილი, რომ კითხვისას ბლუმკვისტი გაკვირვებას ვერ მალავდა.

მორელმა ჯერ ჰენრიკ ვანგერი დაკითხა იზაბელა ვანგერთან, ჰარიეტის დედასთან ერთად. შემდეგ რიგრიგობით დაკითხა ულრიკა ვანგერი, ჰარალდ ვანგერი, გრეგერ ვანგერი, ჰარიეტის ძმა მარტინ ვანგერი და ანიტა ვანგერი. ბლუმკვისტმა დაასკვნა, რომ დაკითხვა დაკითხულთა „თანრიგის“ მიხედვით ეწარმოებინათ: ოჯახის ყველაზე მნიშვნელოვანი წევრიდან ნაკლებად მნიშვნელოვნამდე.

ულრიკა ვანგერი ჰენრიკ ვანგერის დედა იყო და, როგორც ჩანს, ქვრივი დედოფლის სტატუსით სარგებლობდა. ულრიკამ, რომელიც ჰენრიკ ვანგერის სახლში ცხოვრობდა, პოლიციას ვერანაირი ინფორმაცია ვერ მიაწოდა. ქალი წინა ღამით ადრე დაწოლილიყო, ხოლო ჰარიეტი რამდენიმე დღის განმავლობაში საერთოდ არც ენახა.

ეტყობა ქალმა მხოლოდ იმიტომ მოინდომა ინსპექტორ მორელთან შეხვედრა, რომ მისთვის დაჟინებით მოეთხოვა გოგონას მოსაძებნად დაუყოვნებლივ მიეღოთ ზომები.

დედის შემდეგ რანგით მეორე ჰარალდ ვანგერი იყო. მას ჰედესტადიდან დაბრუნებული ჰარიეტისთვის თვალი მოუკრავს, მაგრამ განაცხადა, „ხიდზე მომხდარი ავარიის შემდეგ არ მინახავს და არც ის ვიცი, სად შეიძლება იყოს მოცემულ მომენტშიო“ .

გრეგერ ვანგერი, ჰენრიკის და ჰარალდის ძმა, აცხადებდა, რომ თექვსმეტი წლის დაკარგული გოგონა ჰედესტადიდან დაბრუნების შემდეგ ჰენრიკ ვანგერის კაბინეტში შევიდა და ჰენრიკთან საუბარი ითხოვა. გრეგერ ვანგერი მას არ დალაპარაკებია, მხოლოდ მიესალმა. მან არ იცოდა, სად შეიძლებოდა ყოფილიყო გოგონა, მაგრამ მიაჩნდა, რომ ის დაუკითხავდად წავიდა რომელიმე თავის მეგობართან და მალე თავისით გამოჩნდებოდა. კითხვაზე, როგორ უნდა დაეტოვებინა კუნძული, თუ ხიდი ჩაკეტილი იყო, გრეგერ ვანგერმა ვერაფერი უპასუხა.

მარტინ ვანგერი ზერელედ დაკითხეს. ბიჭი უფსალას მოსამზადებელი სკოლის ბოლო კლასში სწავლობდა და ჰარალდ ვანგერის სახლში ცხოვრობდა. ჰარალდ ვანგერის მანქანაში ადგილი არ იყო და ბიჭი მატარებლით წამოსულა ჰედესტადში. ცოტა დაჰგვიანებია და როცა ჰედების მოახლოებია, ხიდი უკვე ჩაკეტილი ყოფილა; ამიტომ მატერიკის მხარეს დარჩენილა. შინ მხოლოდ გვიან ღამით, ხიდის გახსნის შემდეგ მისულა. მარტინი იმ იმედით დაკითხეს, რომ ჰარიეტი ძმას რამეს გაუმხელდა და რაღაცნაირად მაინც მიანიშნებდა, სახლიდან გაქცევას თუ აპირებდა. ეს შეკითხვა ჰარიეტ ვანგერის დედამ, იზაბელამ გააპროტესტა, მაგრამ იმ მომენტში ინსპექტორ მორელს ალბათ ყველაზე სავარაუდო ვერსიად სახლიდან გაქცევა ეჩვენებოდა. გაირკვა, რომ მარტინ ვანგერს და ზაფხულის არდადეგების შემდეგ არ ენახა და პოლიციას ღირებული ინფორმაცია ვერ მიაწოდა.

ანიტა, ჰარალდ ვანგერის ქალიშვილი, მოხსენებაში შეცდომით ჰარიეტის „ბიძაშვილად“ მიეჩნიათ, რადგან თითქმის თანატოლები იყვნენ. სინამდვილეში ანიტა ჰარიეტის მამის, გოტფრიდის ბიძაშვილი იყო და ჰარიეტს მამიდად უფრო ერგებოდა.

ანიტა სტოკჰოლმის უნივერსიტეტში პირველ კურსზე სწავლობდა და ზაფხული ჰედებიზე გაეტარებინა. ის და ჰარიეტი დამეგობრებულიყვნენ. დაკითხვისას მან განაცხადა, რომ კუნძულზე მამასთან ერთად ჩავიდა და მაშინვე ჰარიეტის მონახულება მოუნდომებია, მაგრამ ვერსად უპოვია. ანიტა ძალიან წუხდა და ამტკიცებდა, რომ ჰარიეტი ოჯახის დაუკითხავად არსად წავიდოდა. ჰენრიკ და იზაბელა ვანგერებმა გოგონას განცხადების მართებულობა დაადასტურეს.

სანამ ინსპექტორი მორელი ოჯახის წევრების დაკითხვას აწარმოებდა, მაგნუსონს და ბერგმანს – საპატრულო P014 ჯგუფის შეკრება და მიდამოების გამოკვლევა დაევალათ. ხიდი კვლავაც ჩაკეტილი იყო, ამიტომ დამხმარეების გამოძახება გაჭირდა. ჯგუფი ოცდაათი ადამიანისგან – სხვადასხვა ასაკის მამაკაცებისა და ქალებისგან – შედგებოდა. იმ შუადღით მეთევზეთა ნავსადგურზე, კონცხსა თუ ყურეში, სანაპირო ზოლის გასწვრივ ცარიელი სახლები და აგარაკები შეამოწმეს. გაჩხრიკეს ტყე სოფლის ახლოს და სედერის მთაზე. ვიღაცამ ივარაუდა, შეიძლება ჰარიეტი მთაზე ავიდა, რომ ხიდზე მომხდარი ავარიისთვის თვალი იქიდან უკეთ ედევნებინაო. პატრული გაიგზავნა კუნძულის მეორე მხარეს ოსტერგორდენის ფერმასა და გოტფრიდის ქოხშიც, სადაც ჰარიეტი ხანდახან დადიოდა ხოლმე.

ძებნა უშედეგოდ დასრულდა. ჯგუფი დაბნელების შემდეგ, ღამის ათ საათზე დაიშალა, რადგან ტემპერატურა მკვეთრად დაეცა და ყინვა დაიწყო.

ამასობაში ინსპექტორმა მორელმა სამძებრო შტაბი ჰენრიკ ვანგერის სახლის პირველ სართულზე მისთვის სპეციალურად მომზადებულ კაბინეტში მოაწყო.

იზაბელა ვანგერის თანხლებით ინსპექტორმა მორელმა ჰარიეტის ოთახი გაჩხრიკა, რათა შეემოწმებინა, რამე ნივთი ხომ არ იყო გამქრალი: ტანსაცმელი, ჩემოდანი ან რამე ისეთი, რაც მიანიშნებდა, რომ ჰარიეტი სახლიდან გაიქცა. მოხსენებას თან ერთვოდა შენიშვნა, რომელშიც აღნიშნული იყო, რომ ოთახის ჩხრეკისას იზაბელა ვანგერი პოლიციას არაფრით დახმარებია. აღმოჩნდა, რომ ის ცუდად იცნობდა თავისი ქალიშვილის გარდერობს. „ხშირად ჯინსის შარვალი ეცვა ხოლმე, მაგრამ ჯინსი ხომ ყველა ერთნაირია?“ – იმეორებდა ქალი. ჰარიეტის ხელჩანთა მის საწერ მაგიდაზე იპოვეს. შიგ აღმოაჩინეს: პირადობის მოწმობა, საფულე, რომელშიც ცხრა კრონა და ორმოცდაათი ერე იდო, სავარცხელი, სარკე და ცხვირსახოცი. ჩხრეკის შემდეგ ჰარიეტის ოთახი დაილუქა.

მორელმა ოჯახის კიდევ რამდენიმე წევრი და მოსამსახურე დაკითხა. ყველა ოქმი ზედმიწევნით ზუსტად იყო შედგენილი.

როცა მეძებართა ჯგუფის წევრები არცთუ დამაიმედებელი ცნობებით უკან გაბრუნდნენ, ინსპექტორმა გადაწყვიტა უფრო ორგანიზებული ძიება ჩაეტარებინა. იმ ღამით დამხმარე რაზმები გამოიძახეს. სხვებთან ერთად მორელი „ჰედესტადის მოლაშქრეთა კლუბსაც“ დაუკავშირდა და მოხალისეებს გოგონას მოძებნაში დახმარება სთხოვა. მორელს კლუბიდან შუაღამისას აცნობეს, რომ კლუბის ახალგაზრდული რაზმის ორმოცდაცამეტი წევრი დილის შვიდ საათზე ვანგერების სახლთან შეიკრიბებოდა. ჰენრიკ ვანგერმა თავისი ქაღალდის ქარხნის დილის ცვლის ორმოცდაათი მუშაც გამოიძახა და ყველასთვის საგზალიც გაამზადებინა.

ბლუმკვისტის თვალწინ მორელის მოხსენებაში აღწერილი სცენები ცოცხლდებოდა. ხიდზე მომხდარმა ავარიამ, რასაკვირველია, სამძებრო საქმიანობას ძალიან შეუშალა

ხელი. ჯერ ერთი, მაშველი ჯგუფის გამოძახება გაჭირდა, მეორეც: ერთსა და იმავე დროს ერთსა და იმავე ადგილას მომხდარი ორი ტრაგიკული შემთხვევა უნებურად აეჭვებდა ყველას, რომ ისინი ერთმანეთთან დაკავშირებული იყო. როცა სატვირთო მანქანა ხიდიდან გადაათრიეს, ინსპექტორმა მორელმა პირადად შეამოწმა ნამსხვრევები, ვაითუ უბედური შემთხვევის წყალობით, ჰარიეტ ვანგერი როგორღაც მანქანის ქვეშ მოჰყვაო. ეს ერთადერთი ირაციონალური ნაბიჯი იყო, რომელიც ბლუმკვისტმა ინსპექტორის ქმედებებში შეამჩნია – გოგონა ხომ ბოლოს ავარიის შემდეგ ნახეს კუნძულზე.

პირველი ოცდაოთხი საათის შემდეგ იმედი იმისა, რომ ეს გაურკვევლობა ბედნიერად და სწრაფად დასრულდებოდა, ყველას გაუქრა. ამის ნაცვლად პოლიციამ ორ ვერსიაზე დაიწყო მუშაობა. მიუხედავად კუნძულის შეუმჩნევლად დატოვების სიძნელისა, მორელი მაინც უშვებდა იმ აზრს, რომ ჰარიეტ ვანგერი გაიქცა. გოგონა ოფიციალურად დაკარგულად გამოცხადდა. ჰედესტადის პოლიციის ოფიცრებს განსაკუთრებული ყურადღების გამოჩენა დაევალათ. კრიმინალისტთა ჯგუფმა დაკითხა ავტობუსის მძღოლები და რკინიგზის სადგურის მომსახურე პერსონალი, იქნებ ვინმემ გოგონას შემთხვევით თვალი მოჰკრაო.

ყველა მხრიდან უარყოფითი ინფორმაცია მოდიოდა და ინსპექტორი უფრო და უფრო ეჭვობდა, რომ ჰარიეტ ვანგერი უბედური შემთხვევის მსხვერპლი გახდა. გამოძიების მომდევნო ეტაპზე ყველაზე სარწმუნოდ სწორედ ეს ვერსია განიხილებოდა.

მასალებიდან ბლუმკვისტისთვის ცხადად ჩანდა, რომ გოგონას გაუჩინარებიდან ორი დღის შემდეგ სამძებრო ოპერაცია ორგანიზებულად ჩატარდა. ოპერაციას მსგავს მისიებში გამოცდილი პოლიციელები და მეხანძრეები ხელმძღვანელობდნენ. ჰედების კუნძულზე რამდენიმე ძნელად მისადგომი ადგილი იყო, მაგრამ ასეთი ადგილებიც კი პირველსავე დღეს საფუძვლიანად გამოიკვლიეს. საპატრულო ნავმა და ორმა მოხალისემ თავიანთი ნავებით კუნძულის გარშემო მთელი აკვატორია დაიარეს.

მომდევნო დღეს მოხალისეების რიცხვმა მკვეთრად იკლო. პატრული მეორედ გაგზავნეს კლდოვანი რეგიონის გამოსაკვლევად. განსაკუთრებით ერთი ადგილი აეჭვებდათ – მეორე მსოფლიო ომის დროს აშენებული და უკვე გაუქმებული ბუნკერი, რომელსაც ადგილობრივები „ციხესიმაგრეს“ უწოდებდნენ. იმავე დღეს შეამოწმეს სოფლის ყველა ჭა, ბოსტნეულის საწყობი, ფარდული და ყველა სახლის სხვენი.

გოგონას გაუჩინარებიდან მესამე დღეს, მას მერე, რაც ძებნა შეწყვიტეს, ოფიციალურ მოხსენებებში აშკარა გაღიზიანება იკითხებოდა. მორელმა მაშინ ჯერ კიდევ არ იცოდა, რომ გამოძიება ამის მეტს ვეღარაფერს დაადგენდა. ინსპექტორი დაბნეული იყო, ვერ გადაეწყვიტა სად და როგორ გაეგრძელებინა ძიება. ჰარიეტ ვანგერი თითქოს მიწამ ჩაყლაპა და ჰენრიკ ვანგერის მრავალწლიანი ტანჯვაც დაიწყო.

თავი IX

ორშაბათი, 6/I – ოთხშაბათი, 8/I

ბლუმკვისტს შუაღამემდე არ შეუწყვიტია კითხვა, ნათლისღებას კი გვიანობამდე არ ამდგარა.

ვანგერის სახლთან უახლესი მოდელის ლურჯი „ვოლვო“ იდგა. ბლუმკვისტმა სახელურისკენ წაიღო ხელი, მაგრამ უცებ კარი გაიღო და გარეთ სწრაფად გამოაბიჯა უცნობმა მამაკაცმა. კინაღამ ერთმანეთს დაეჯახნენ.

– დიახ, რით დაგეხმაროთ?

– ჰენრიკ ვანგერის სანახვად მოვედი, – უთხრა ბლუმკვისტმა.

კაცს თვალები გაუბრწყინდა და ღიმილით გამოუწოდა ხელი.

– თქვენ ალბათ მიქაელ ბლუმკვისტი ხართ, ჟურნალისტი, ვინც ჰენრიკს ოჯახური ქრონიკების აღწერაში უნდა დაეხმაროს.

ბლუმკვისტმა ხელი ჩამოართვა. ვანგერს უკვე დაეწყო მიქაელის ჰედებიზე ჩამოსვლის ყალბი მიზეზის გავრცელება. მამაკაცი ზედმეტად მოსუქებული ჩანდა – უეჭველად, კაბინეტებსა და საკონფერენციო დარბაზებში მრავალწლიანი ჯდომის შედეგად – მაგრამ ბლუმკვისტმა მაინც შეამჩნია მისი და ჰენრიკ ვანგერის სახის მსგავსება.

– მე მარტინ ვანგერი ვარ, – გაეცნო კაცი, – კეთილი იყოს თქვენი ფეხი ჰედესტადში.

– გმადლობთ.

– ცოტა ხნის წინ ტელევიზორში გნახეთ.

– როგორც ჩანს, ბევრმა მნახა ტელევიზორში.

– ვენერსტრომი... ამ სახლში არც ისე პოპულარულია.

– ჰო, ჰენრიკმა მითხრა. ახლა იმას ველოდები, მიზეზს როდის გამიმხელს.

– რამდენიმე დღის წინ მითხრა, რომ თქვენ დაგიქირავათ, – გაეცინა მარტინს, – ასე თქვა, ამ სამუშაოს ვენერსტრომის გამო დათანხმდაო.

ბლუმკვისტი რამდენიმე წამს ორჭოფობდა, ეთქვა თუ არა სიმართლე.

– ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიზეზი ეგ იყო, მაგრამ, სიმართლე გითხრათ, უფრო სტოკჰოლმიდან წამოსვლა მინდოდა და პირველსავე შემოთავაზებას დავთანხმდი. ასე მოვხვდი ჰედესტადში. თუმცა, თავს ვერ მოვიტყუებ, რომ სასამართლო პროცესი არ შემდგარა და ციხეში ჩაჯდომა აღარ მომიწევს.

მარტინ ვანგერი უცბად დასერიოზულდა და თავი დაუქნია.

– გასაჩივრება არ შეგიძლიათ?

– მაინც არაფერს მომიტანს.

მარტინ ვანგერმა მაჯის საათს დახედა.

– სტოკჰოლმში მივემგზავრები, უნდა ვიჩქარო. რამდენიმე დღეში დავბრუნდები. შემომიარეთ და ერთად ვისადილოთ. ძალიან მაინტერესებს, სინამდვილეში რა მოხდა თქვენს პროცესზე. ჰენრიკი მეორე სართულზეა, თავის კაბინეტში.

ჰენრიკ ვანგერი დივანზე იჯდა. ყავის მაგიდაზე Hedestads-Kuriren, Dagens Industri, Svenska Dagbladet და ორივე ნაციონალური საღამოს გაზეთი ედო.

– გარეთ მარტინს შევხვდი.

– იმპერიის გადასარჩენად მიიჩქარის, – თქვა მოხუცმა, – ყავას ინებებთ?

– დიახ, თუ შეიძლება, – სკამზე ჩამოჯდა ჰენრიკ ვანგერის მოღიმარი სახით გაკვირვებული ბლუმკვისტი.

– გაზეთში თქვენზე სტატიაა დაბეჭდილი.

ვანგერმა ერთ-ერთი საღამოს გაზეთი მიაწოდა, რომელიც შუა გვერდზე იყო გადაშლილი და დიდი შრიფტით მოჩანდა სათაური: „მედიის მოკლე ჩართვა“. სტატიის ავტორი იყო Finansmagasinet Monopol-ის ყოფილი მესვეტე. მას სახელი გაეთქვა, როგორც ენამახვილ ჟურნალისტს, რომელიც თავგამოდებულ აქტივისტებსა თუ თავის პოზიციების ჯიუტად დამცველებს დაუნდობლად აქილიკებდა. ფემინისტებს, ანტირასისტებს და გარემოს დამცველებს – მესვეტისგან ირონიის მცირე დოზა ყველას ერგებოდა ხოლმე. თავად ავტორი არასდროს გამოთქვამდა მოსაზრებებს ამა თუ იმ საკითხთან დაკავშირებით. ახლა, ვენერსტრომის საქმის დასრულებიდან რამდენიმე კვირის შემდეგ, იერიში მიჰქონდა მიქაელ ბლუმკვისტზე

და მას სრულ იდიოტს უწოდებდა. ხოლო ერიკა ბერგერი დახასიათებული იყო, როგორც არაკომპეტენტური და უტვინო კოხტაპრუწა ჟურნალისტი ქალი.

„ხმა დადის, „მილენიუმი“ კოლაფსის ზღვარზეაო, მიუხედავად იმისა, რომ ჟურნალის მთავარი რედაქტორი ფემინისტია, რომელსაც ტელეკამერების წინ მინიკაბითა და დაბერილი ტუჩებით პოზიორობა უყვარს. მთელი ეს დრო ჟურნალი წარმატებული მარკეტინგის წყალობით არსებობდა. თუმცა, „მილენიუმის“ იმიჯი – სამჭედლო ახალგაზრდა რეპორტიორებისა, რომლებიც ჟურნალისტურ გამოძიებას აწარმოებენ და ბიზნეს-სამყაროს არამზადების დანაშაულებრივ საქმიანობას ნათელს ჰფენენ – ამიერიდან ალბათ მხოლოდ ახალგაზრდა ანარქისტებზე თუ მოახდენს შთაბეჭდილებას, რადგან მათ სწორედ ასეთი ინფორმაციის მიღება უნდათ. სასამართლოს კი ასე უბრალოდ თვალს ვერ აუხვევ – ამაში კალე ბლუმკვისტი პირადად დარწმუნდა.

ბლუმკვისტმა მობილური ტელეფონი ჩართო იმის შესამოწმებლად, ბერგერისგან ზარი ხომ არ შემომსვლიაო. არანაირი შეტყობინება არ ჰქონდა მიღებული. ვანგერი ჩუმად იჯდა და იცდიდა, როდის დაარღვევდა ბლუმკვისტი სიჩუმეს.

– ეს ტიპი ნაღდი იდიოტია.

ვანგერს გაეცინა.

– შეიძლება. თუმცა, სასამართლოს ის არ დაუდანაშაულებია.

– მართალია. არც არასდროს დაადანაშაულებს. ის ხომ ორიგინალურს არასდროს არაფერს ამბობს. სამაგიეროდ, სიამოვნებით ურტყამს წიხლს წაქცეულს და არც მის გამასხარავებას ერიდება.

– წლების განმავლობაში უამრავი მტერი მყოლია და ერთი რამ ვისწავლე: არასდროს უნდა ჩაება ომში, რომელშიც მარცხისთვის განწირული ხარ. მეორე მხრივ, არასდროს უნდა აპატიო მას, ვინც შეურაცხყოფას მოგაყენებს. შესაფერის დროს დაელოდე და მხოლოდ მაშინ მიაყენე საპასუხო დარტყმა – თუნდაც ეს აღარ გჭირდებოდეს.

– გმადლობთ ბრძნული რჩევებისთვის, ჰენრიკ. ახლა კი, თქვენს ოჯახზე მიამბეთ, თუ შეიძლება, – ბლუმკვისტმა მაგიდაზე დიქტოფონი დადო და ჩამრთველ ღილაკს დააწვა.

– კერძოდ რა გაინტერესებთ?

– პირველი საქაღალდე წავიკითხე, რომელშიც გოგონას გაუჩინარების და მისი ძებნის დეტალებია აღწერილი. მაგრამ იმ მასალებში იმდენი ვანგერია ნახსენები, რომ წესიერად უნდა გავერკვე, ვინ ვინ არის.

სალანდერი თითქმის ათ წუთს იდგა დერეფანში და მისჩერებოდა თითბრის დაფას, რომელზეც „ადვოკატი ნ. ე. ბიურმანი“ ეწერა. ბოლოს ზარი დარეკა. კარის საკეტმა გაიჩხაკუნა.

სამშაბათი იყო. ერთმანეთს მეორედ ხვდებოდნენ და რატომღაც ცუდი წინათგრძნობა ჰქონდა.

ბიურმანის არ ეშინოდა – სალანდერს იშვიათად ეშინოდა ვინმესი ან რამის. უბრალოდ, თავის ახალ მეურვესთან უხერხულობას გრძნობდა. ბიურმანის წინამორბედი, ადვოკატი ჰოლგერ პალმგრენი, სულ სხვანაირი პიროვნება იყო: თავაზიანი და კეთილი. მაგრამ პალმგრენს სამი თვის წინ დამბლა დაეცა და, რომელიღაც ბიუროკრატიული წესის თანახმად, მეურვის მოვალეობა მისგან ბიურმანს გადაეცა.

იმ თორმეტი წლის განმავლობაში, რომელიც სალანდერს სოციალური და ფსიქიატრიული მეურვეობის ქვეშ გაეტარებინა (მათ შორის, ორი წელი ბავშვთა კლინიკაში), არასდროს უპასუხია ერთ მარტივ კითხვაზე: „აბა, დღეს როგორ ხარ?“

სალანდერი ცამეტი წლისა იყო, როცა სასამართლომ, მცირეწლოვანთა დაცვისა და მეურვეობის კანონის თანახმად, წმ. სტეფანის სახელობის უფსალას ბავშვთა ფსიქიატრიულ კლინიკაში გაამწესა. გადაწყვეტილება მას მერე მიიღეს, რაც დაასკვნეს, გოგონა ემოციურად გაუწონასწორებელი და თავისი თანაკლასელებისა და, სავარაუდოდ, თავისი თავისთვისაც, ძალიან საშიშიაო.

მასწავლებლის, ექიმებისა თუ სხვა სპეციალისტების ნებისმიერი მცდელობა სალანდერი თავის გრძნობებზე, ემოციებსა თუ ჯანმრთელობის მდგომარეობაზე აელაპარაკებინათ, უშედეგო გამოდგა. პასუხის გაცემის ნაცვლად გოგონა ყოველთვის ჯიუტად დუმდა და მოღუშული მისჩერებოდა იატაკს, ჭერს ან კედლებს. გულხელდაკრეფილი იჯდა და ფსიქოლოგიურ ტესტებში მონაწილეობის მიღებას უარობდა. ნებას არავის აძლევდა, მისი სიმაღლე და წონა გაეზომა ან სამედიცინო გამოკვლევა ჩაეტარებინა. ასეთსავე სიჯიუტეს იჩენდა სწავლა-განათლების მიმართაც. მასწავლებლები ალბათ ძალით შეიყვანდნენ და დააბამდნენ მერხზე, მაგრამ გოგონა ყურებს დაიცობდა და ავტოკალამს ხელს მაინც არ მოჰკიდებდა. ასე იძულებით დაამთავრა ცხრა კლასი. ატესტატი არ აუღია.

ამგვარად, რაკი მისი გონებრივი თუ სულიერი მდგომარეობის ზუსტად განსაზღვრა შეუძლებელი იყო, მოკლედ, დაასკვნეს, ლიზბეთ სალანდერთან ურთიერთობა რთული საქმეაო.

ცამეტი წლის ასაკშივე გადაწყდა, მისთვის მეურვე მიეჩინათ, ვინც მის ინტერესებსა და ქონებას დაიცავდა. მზრუნველად ადვოკატი პალმგრენი დაუნიშნეს, რომელმაც მიუხედავად მძიმე სტარტისა, ექიმებსა და ფსიქიატრებზე უკეთეს შედეგს მიაღწია.

თანდათან მან გოგონასგან არა მხოლოდ მცირედი ნდობის, არამედ კეთილგანწყობის მოპოვებაც შეძლო.

თხუთმეტი წლისა რომ შესრულდა, ექიმები მეტ-ნაკლებად შეთანხმდნენ, რომ სალანდერი ძალიან საშიში არც საკუთარი თავისთვის იყო და არც სხვებისთვის. ვინაიდან სალანდერის ოჯახი ქმედუუნაროდ ითვლებოდა და არც ნათესავი ჰყავდა, ვინც მასზე იზრუნებდა, გადაწყდა, რეაბილიტაციისათვის უფსალას ბავშვთა ფსიქიატრიული კლინიკიდან გამოეშვათ და გაეშვილებინათ.

პრობლემები ამით სულაც არ გამოლეულა: სულ რაღაც ორ კვირაში სალანდერი პირველი ოჯახიდან გაიქცა. მეორე და მესამე ოჯახიც მალევე მიატოვა. მაშინ პალმგრენი სერიოზულად დაელაპარაკა გოგონას და პირდაპირ უთხრა, რომ თუ ასე გააგრძელებდა, ისევ კლინიკაში გამოკეტავდნენ. მუქარამ იმოქმედა და გოგონა მეოთხე ჯერზე ასაკოვან წყვილთან ერთად მიდსომერკრასენში დასახლდა.

თუმცა, ეს სულაც არ ნიშნავს, რომ კარგად იქცეოდა. ჩვიდმეტი წლის ასაკში სალანდერი პოლიციამ უკვე ოთხჯერ დააკავა. ორჯერ ისე ძლიერ მოიწამლა, რომ სასწრაფოც კი გამოიძახეს. პირველი შემთხვევისას აშკარად ნარკოტიკების ზემოქმედების ქვეშ იმყოფებოდა. მესამედ უგონოდ მთვრალს გადააწყდნენ; სოდერ მალარსტრანდზე გაჩერებული მანქანის უკანა სავარძელზე მასზე ბევრად უფროს, ასევე მთვრალ მამაკაცთან ერთად ნახევრად შიშველი იწვა.

ბოლოს მეთვრამეტე დაბადების დღემდე სამი კვირით ადრე დააპატიმრეს, როცა გამლასტანის მეტროში სრულიად ფხიზელმა უცნობ მამაკაცს სახეში მუშტები ურტყა. მგზავრზე თავდასხმისთვის და მისი ფიზიკური შეურაცხყოფისთვის დაიჭირეს. სალანდერმა განაცხადა, რომ მამაკაცი ხელს უფათურებდა. გოგონას სიტყვები თვითმხილველმაც დაამოწმა. პროკურორმა საქმე დახურა. თუმცა, გოგონას წარსულის გათვალისწინებით, საოლქო სასამართლომ მისი ფსიქიატრიული შემოწმების ბრძანება გასცა. როგორც ყოველთვის, სალანდერმა შეკითხვებზე პასუხის გაცემა და სამედიცინო გამოკვლევებში მონაწილეობა იუარა, ამიტომ ჯანმრთელობისა და სოცმომსახურების ეროვნული სამმართველოს რჩევით, ექიმებმა დასკვნა „პაციენტზე დაკვირვების“ შედეგად გამოიტანეს. ძნელი სათქმელია, რა დასკვნა უნდა გამოეტანათ მდუმარე, გულხელდაკრეფილ და ტუჩებაბზუებულ ახალგაზრდა ქალზე დაკვირვებით. დარწმუნებით მხოლოდ იმის თქმა შეიძლებოდა, რომ გოგონას ფსიქიკური და ემოციური დარღვევები ჰქონდა და გადაუდებელ მკურნალობას საჭიროებდა. სამედიცინო დასკვნა გოგონას ფსიქიატრიულ კლინიკაში მოთავსების რეკომენდაციას იძლეოდა. სოცმომსახურების სამმართველოს ხელმძღვანელმაც გამოაქვეყნა თავისი მოსაზრება, რომელშიც ფსიქიატრული ექსპერტების დასკვნას სრულიად ეთანხმებოდა.

სალანდერის პირად საქმეზე დაყრდნობით სოცმომსახურების სამმართველოს წარმომადგენელი ასკვნიდა, რომ გოგონას „ნარკოტიკების და ალკოჰოლის მიმართ

საშიში მიდრეკილება აქვს“ და „თვითშეგნება აკლია“. იმ დროისთვის სალანდერის პირადი საქმე უკვე სავსე იყო ტერმინებით: „გულჩათხრობილი“, „სოციალურად კარჩაკეტილი“, „თანაგრძნობის უნარს მოკლებული“, „ეგოცენტრული“, „ფსიქოპათიური და ასოციალური საქციელით გამორჩეული“, „არაკომუნიკაბელური“, „სასწავლო მასალის ათვისების უნარშეზღუდული“. ვინც მის პირად საქმეს წაიკითხავდა, რასაკვირველია, ყველას ცდუნება სძლევდა, სალანდერი ჭკუასუსტად გამოეცხადებინა. გარდა ამისა, სოცინსპექციის ქუჩის პატრულს ბევრჯერ შეემჩნია სალანდერი „სხვადასხვა მამაკაცთან“ ერთად მოსეირნე, მარიას მოედნის მიმდებარე ტერიტორიაზე. ერთხელ ტანტოლუდენის პარკში თავისზე ბევრად უფროს მამაკაცთან ერთად სეირნობისასაც გააჩერეს. გაჩნდა ეჭვი, რომ სალანდერი ქუჩის მეძავობის გზას ადგა.

როცა საოლქო სასამართლოს – რომელსაც სალანდერის ბედი უნდა გადაეწყვიტა – მოსმენა დაინიშნა, ყველას ეგონა, რომ სასამართლო აუცილებლად გაითვალისწინებდა ფსიქიატრებისა და სოცუზრუნველყოფის სამმართველოს ექსპერტების რეკომენდაციებს.

იმ დილით სასამართლო დარბაზში სალანდერი ბავშვთა ფსიქიატრიული კლინიკიდან მიიყვანეს, სადაც გამლასტანის ინციდენტის შემდეგ მოეთავსებინათ. გოგონას თავი საკონცენტრაციო ბანაკის პატიმარი ეგონა; გადარჩენის იმედი არ ჰქონდა.

პირველი, ვინც დარბაზში დაინახა, პალმგრენი იყო და კარგა ხანი დასჭირდა იმაში დასარწმუნებლად, რომ მოხუცი ადვოკატი სასამართლოს ესწრებოდა, როგორც ოფიციალური დამცველი და არა როგორც უბრალო მზრუნველი.

სალანდერისდა გასაკვირად, პალმგრენმა სასტიკად გააკრიტიკა ფსიქიატრიული კლინიკები. გოგონამ გაკვირვება მხოლოდ ცალი წარბის აზიდვით გამოხატა, მაგრამ ადვოკატის თითოეულ სიტყვას გულდასმით უსმენდა. პალმგრენი შეუდარებელი იყო ექიმ იესპერ ჰ. ლოდერმანის ჯვარედინი დაკითხვისას. სწორედ ექიმ ლოდერმანმს მოეწერა ხელი ლიზბეთ სალანდერის ფსიქიატრიულ კლინიკაში გამოკეტვის რეკომენდაციისთვის. ამ რეკომენდაციის თითოეული მუხლი დეტალურად განიხილეს და ექიმს მათი მეცნიერულად დასაბუთება მოსთხოვეს. დაკითხვისას გაირკვა, რომ პაციენტს კვლევებში მონაწილეობაზე უარი ეთქვა და ექიმის დასკვნა მხოლოდ ვარაუდებს ეყრდნობოდა.

მოსმენის ბოლოს პალმგრენმა განაცხადა, რომ სალანდერის ძალადობრივი ინსტიტუციონალიზაცია არათუ მსგავსი სიტუაციების გადაწყვეტის პარლამენტის მიერ მიღებულ დადგენილებას ეწინააღმდეგება, არამედ ამ კონკრეტულ შემთხვევაში პოლიტიკური სანქციების და მედიის კრიტიკის საბაბიც კი შეიძლება გახდეს; ამიტომ ყველას ინტერესში შედის, ვიპოვოთ ალტერნატიული გამოსავალიო.

ეს განცხადება ყველასთვის მოულოდნელი იყო და მსაჯულები ნერვიულად შეიშმუშნნენ.

ბოლოს კომპრომისულ გამოსავალს მიაგნეს. სასამართლომ დაასკვნა, ლიზბეთ სალანდერი ფსიქიკურად გაუწონასწორებელია, მაგრამ მისი მდგომარეობა აუცილებლად არ ითხოვს გოგონას ინსტიტუციონალიზაციასო. მეორე მხრივ, მსაჯულებმა სოცუზრუნველყოფის სამმართველოს ხელმძღვანელის რეკომენდაცია გაითვალისწინეს სალანდერისთვის მეურვის დანიშვნის თაობაზე. სასამართლოს თავმჯდომარე ცბიერი ღიმილით მიუბრუნდა ჰოლგერ პალმგრენს და ჰკითხა, რაკი ამდენი წელია გოგონას მზრუნველი ხართ, ხომ არ ისურვებდით მეურვედაც თქვენ დაგნიშნოთო. თავმჯდომარეს ალბათ ეგონა, პალმგრენი უკან დაიხევდა და ამ პასუხისმგებლობას თავს აარიდებდა, მაგრამ პირიქით მოხდა. პალმგრენმა განაცხადა, მოხარული ვიქნები ფრეკენ სალანდერის მეურვე ვიყო, ოღონდ ერთი პირობით: ფრეკენ სალანდერმა თავად უნდა გამომიცხადოს ნდობა და თავის მეურვედ მიმიღოსო.

და გოგონასკენ მიტრიალდა. ლიზბეთ სალანდერი ცოტათი დაებნია მთელი დღის განმავლობაში მასზე გამართულ ბჭობასა და კამათს. მისთვის აზრი ერთხელაც არავის ეკითხა. ის რამდენიმე წუთს მისჩერებოდა ჰოლგერ პალმგრენს და ბოლოს თავი დაუქნია.

პალმგრენი იურისტის და სოციალური მუშაკის უცნაური ნაზავი იყო, ძველი სკოლის თვალსაჩინო წარმომადგენელი. წლების წინ სოციალური მომსახურების სამმართველოს საბჭოს წევრად წარადგინა მისმა პარტიამ და პალმგრენმა კარიერის უდიდესი ნაწილი ახალგაზრდების პრობლემების მოგვარებას მიუძღვნა. მეურვესა და მის ზედამხედველობის ქვეშ მყოფ გოგონას (ასეთ რთულ ახალგაზრდას პალმგრენი ადრე არასდროს შეხვედრია) შორის თითქმის მეგობრული ურთიერთობა დამყარდა.

მათი ურთიერთობა თერთმეტ წელიწადს გრძელდებოდა, სანამ სალანდერს ოცდაოთხი წელი შეუსრულდებოდა. შობამდე რამდენიმე კვირით ადრე სალანდერი პალმგრენს შინ ესტუმრა, რადგან მოხუცი ადვოკატი წინასწარ დათქმულ რამდენიმე შეხვედრაზე არ გამოცხადდა.

როცა პალმგრენმა კარი არ გაუღო, მაგრამ ბინაში ნაბიჯის ხმა გაიგონა, სალანდერი წყალსადინრის მილით აძვრა მეოთხე სართულის აივანზე. პალმგრენი იატაკზე ეგდო. ჯერ კიდევ გონზე იყო, მაგრამ ვერ ლაპარაკობდა და ვერც ინძრეოდა. სალანდერმა სასწრაფო დახმარებას გამოუძახა და სოდერის საავადმყოფოშიც თავად მიაცილა დამბლადაცემული პალმგრენი. გზაში შიში უფრო და უფრო უძლიერდებოდა. სამი დღის განმავლობაში სულ რამდენიმე წუთით დატოვა ინტენსიური მკურნალობის განყოფილების დერეფანი. ერთგული ძაღლივით თვალს არ აცილებდა ექიმებსა და ექთანებს, რომლებიც პალატაში შედიოდნენ. ეულად

სცემდა ბოლთას დერეფანში და იმედით შეხედავდა ხოლმე თითოეულ ექიმს, ვინც გვერდით ჩაუვლიდა. ბოლოს ერთმა უცნობმა ექიმმა კაბინეტში შეიყვანა და ვითარების სიმძიმე აუხსნა. ჰერ პალმგრენი კრიტიკულ მდგომარეობაში იმყოფებოდა ტვინში ძლიერი სისხლჩაქცევის გამო და გამოჯანმრთელების შანსი თითქმის არ არსებობდა. პალმგრენი მხოლოდ სამოცდაოთხი წლის იყო. სალანდერი არ ატირებულა. წარბიც არ შეუხრია. უბრალოდ, საავადმყოფოდან წავიდა და იქ აღარ დაბრუნებულა.

ხუთი კვირის შემდეგ სამეურვეო სააგენტომ სალანდერი ახალ მეურვესთან შესახვედრად დაიბარა. გოგონამ ინსტინქტურად გაიფიქრა, არსადაც არ წავალო, მაგრამ პალმგრენს ღრმად ჩაებეჭდა მის გონებაში, რომ ყოველ ქმედებას შედეგი მოჰყვება. მოსალოდნელი შედეგები გააანალიზა და გადაწყვიტა, ამ დილემიდან გამოსავალი მხოლოდ ის იქნება, შეხვედრაზე გამოვცხადდე და სამეურვეო სააგენტოს დავანახვო, რომ მის მოთხოვნებს ვემორჩილებიო.

ამგვარად, დეკემბერში მიქაელ ბლუმკვისტზე ცნობების მოკვლევას ერთი დღით შეეშვა და სანკტ-ერიკსპლანის მოედანზე მდებარე ოფისში მივიდა, სადაც სააგენტოს წარმომადგენელმა ასაკოვანმა ქალმა სალანდერის სქელტანიანი საქმე ადვოკატ ბიურმანს გადასცა. ქალმა სალანდერს ჰკითხა, როგორ ხარო და ძალიანაც ესიამოვნა, რომ პასუხად მხოლოდ დუმილი მიიღო. ნახევარი საათის შემდეგ სალანდერი ბიურმანთან მარტო დარჩა.

სალანდერს ბიურმანი თავიდანვე არ მოეწონა. სანამ ადვოკატი მის საქმეს სწავლობდა, გოგონა ყურადღებით ათვალიერებდა მას. ასაკით ორმოცდაათს გადაცილებული. ათლეტური სხეული. სამშაბათობით და ხუთშაბათობით ჩოგბურთი. ქერა. თმაშეთხელებული. ოდნავ გაყოფილი ნიკაპი. „ჰუგო ბოსის“ ოდეკოლონი. ლურჯი პერანგი. წითელი ჰალსტუხი ოქროსფერი სამაგრით და სამაგრზე ამოტვიფრული ინიციალებით „ნ. ე. ბ“. რკინისჩარჩოიანი სათვალე. ნაცრისფერი თვალები. როგორც მაგიდაზე გადაშლილი ჟურნალებიდან ჩანდა, ნადირობა და თევზაობა აინტერესებდა.

პალმგრენი შეხვედრებისას ყოველთვის სთავაზობდა ყავას და თავაზიანად მოიკითხავდა სალანდერს. არც მისი სახლიდან გაქცევის და არც სკოლაში ცუდი მოსწრების გამო აუწევია ოდესმე ხმისთვის. პალმგრენი ერთადერთხელ გაუწყრა, როცა გამლასტანის მეტროში იმ ნაბიჭვარს მაგრად მოსდო და დააპატიმრეს.

– თუ ხვდები რა ჩაიდინე? შენ უცნობი ადამიანი გალახე, ლიზბეთ! – მოხუცი მასწავლებელივით საყვედურობდა პალმგრენი მაშინ და სალანდერს მისთვის ყური არ დაუგდია.

ბიურმანს კი გოგონასთან არაფორმალური გამოლაპარაკებით თავი არ შეუწუხებია და პირდაპირ საქმეზე გადავიდა. მან განაცხადა, პალმგრენი მეურვისთვის

შეუფერებლად მოიქცა, რომ საოჯახო საქმეებისა და ფინანსების თავად მართვის უფლება მოგცაო. ბიურმანმა სალანდერს დაკითხვა მოუწყო: „რამდენს გამოიმუშავებ? შენი შემოსავლების დეკლარაციის ასლი მინდა. დროს ვისთან ატარებ ხოლმე? ბინის ქირას დროულად იხდი? ალკოჰოლს სვამ? პალმგრენი მაგ პირსინგებზე არაფერს გეუბნებოდა? პირად ჰიგიენას იცავ?“

„Fuck You!“ – გულში შეაგინა სალანდერმა.

პალმგრენი სალანდერის მეურვედ „მთელი იმ საშინელების“ შემდეგ დანიშნეს. ის გოგონას თვეში ერთხელ ან უფრო ხშირადაც ხვდებოდა. როცა სალანდერი ისევ ლუნდაგატანზე გადასახლდა, პრაქტიკულად მეზობლები გახდნენ. პალმგრენი რამდენიმე კვარტლის იქით, ჰორნსგატანზე ცხოვრობდა. ზოგჯერ ერთმანეთს ქუჩაში ხვდებოდნენ და იქვე ახლოს, კაფეში ერთად სხდებოდნენ ხოლმე. პალმგრენი არასდროს აბეზრებდა თავს, თუმცა, ერთი-ორჯერ შინაც ესტუმრა და დაბადების დღეზე მცირე საჩუქარიც მიუტანა. თავად სალანდერს ნებისმიერ დროს შეეძლო მასთან სტუმრობა, მაგრამ ამ უპირატესობით იშვიათად სარგებლობდა. თუმცა, როცა სოდერის უბანში დასახლდა, შობის წინა ღამეს, დედის მონახულების შემდეგ ყოველთვის პალმგრენს სტუმრობდა ხოლმე. ნასადილევს ჭადრაკს თამაშობდნენ. სალანდერს ჭადრაკი დიდად არ აინტერესებდა, მაგრამ წესების შესწავლის შემდეგ ერთი ხელიც არ წაუგია. პალმგრენი ქვრივი იყო და სალანდერს თავის მოვალეობად მიაჩნდა დღესასწაულების მასთან ერთად აღნიშნვა.

სალანდერი მოხუცი ადვოკატის წინაშე თავს დავალებულად გრძნობდა და ვალს ყოველთვის იხდიდა.

სწორედ პალმგრენი აქირავებდა დედამისის კუთვნილ ბინას და ფულს სალანდერს აძლევდა, სანამ გოგონას საკუთარი ბინა არ დასჭირდა. ბინა პატარა და გაურემონტებელი იყო, დაახლოებით ორმოცდაათი კვადრატული მეტრი იქნებოდა, მაგრამ სულ უბინაობას ეს მაინც სჯობდა.

მაგრამ სალანდერი პალმგრენის გარეშე დარჩა და საზოგადოებასთან ურთიერთობის კიდევ ერთი ძაფი გაწყდა. ნილს ბიურმანი სრულიად განსხვავებული პიროვნება იყო. სალანდერი შობის წინაღამეს მასთან არასდროს გაატარებდა. ბიურმანმა საბანკო ანგარიშის განკარგვის უფლება ჩამოართვა. პალმგრენი კი უფლებას აძლევდა სალანდერს, გადასახადები თვითონ გადაეხადა და დანაზოგიც სურვილისამებრ გამოეყენებინა.

შობამდე ერთი კვირით ადრე, სანამ ბიურმანს შეხვდებოდა, სალანდერმა წინასწარ მოამზადა სათქმელი. შეხვედრისას სცადა ბიურმანისთვის აეხსნა, რომ მისი წინამორბედი ენდობოდა და თვითონაც ამ ნდობას ყოველთვის უმართლებდა; რომ პალმგრენი დამოუკიდებლად ცხოვრების საშუალებას აძლევდა და მის საქმეებში არასდროს ერეოდა.

– ერთ-ერთი პრობლემაც ეგაა, – გოგონას საქაღალდეზე დააკაკუნა თითები ბიურმანმა და გრძელი სიტყვა მოაყოლა მეურვეობის წესებსა და სამთავრობო რეგულაციაზე.

– ფულის განკარგვის უფლებას გაძლევდა? საინტერესოა, ამდენს როგორ ბედავდა.

„როგორ და, შეშლილი სოციალ-დემოკრატი იყო და მთელი ცხოვრება ძნელად აღსაზრდელ ბავშვებთან მუშაობდა“.

– მე ბავშვი აღარ ვარ, – მოკლედ უპასუხა სალანდერმა, თითქოს მეტი აღარაფრის დამატება ყოფილიყო საჭირო.

– არა, ბავშვი აღარ ხარ. მაგრამ მე შენს მეურვედ დამნიშნეს და იურიდიულად და ფინანსურად შენზე პასუხისმგებელი ვარ.

ბიურმანმა სალანდერის სახელზე ახალი ანგარიში გახსნა. გოგონას ამის შესახებ Milton’s Security-ის საშტატო განყოფილებისთვის უნდა ეცნობებინა და ამიერიდან ამ ანგარიშით ესარგებლა. უზრუნველი დღეები წარსულს ჩაბარდა. ასევე გადაწყდა, რომ მომავალში ბიურმანი გადაიხდიდა მის გადასახადებს და ყოველთვიურად სახარჯო თანხას გამოუყოფდა. სალანდერს ხარჯების მკაცრად აღრიცხვა დაევალა. კვირაში ერთხელ 1400 კრონას მიიღებდა „საჭმლისთვის, ტანსაცმლისთვის, კინოს ბილეთების და სხვა მსგავსი რამეებისთვის“.

სალანდერი წელიწადში 160 000 კრონაზე მეტს გამოიმუშავებდა. შეეძლო შემოსავალი გაეორმაგებინა კიდეც, თუ არმანსკის ყოველ შემოთავაზებულ საქმეზე დასთანხმდებოდა. თუმცა, ვინაიდან ფულს ბევრს არ ხარჯავდა, თავს არ იწუხებდა. ბინის ქირა თვეში მხოლოდ 2000 კრონას შეადგენდა და მიუხედავად მოკრძალებული შემოსავლისა, შემნახველ ანაბარზე უკვე 90 000 კრონა დაეგროვებინა. ბიურმანის მის მეურვედ დანიშვნის შემდეგ კი, ამ ანგარიშამდე ხელი აღარ მიუწვდებოდა.

– ამას იმიტომ ვაკეთებ, რომ შენს ფულზე მე ვაგებ პასუხს, – აუხსნა ბიურმანმა, – მომავლისთვის ფული უნდა გადადო. ნუ ღელავ, ამიერიდან ამ საქმეს მე მივხედავ.

„ათი წლიდან ჩემს საქმეებს თვითონ ვაგვარებდი, შე ნაბიჭვარო!“

– სოციალური აქტიურობის მხრივ ყველაფერი რიგზე გაქვს და ფსიქიატრიულ კლინიკაში შენი მოთავსება საჭირო არაა, მაგრამ საზოგადობამ შენზე მაინც უნდა იზრუნოს.

ბიურმანმა წვრილად გამოჰკითხა, რას საქმიანობდა Milton’s Security-ში. სალანდერმა ინსტინქტურად მოატყუა: მხოლოდ ის გაუმხილა, რასაც კომპანიაში პირველი რამდენიმე კვირის განმავლობაში საქმიანობდა. ბიურმანმა იფიქრა, რომ სალანდერი მართლაც მხოლოდ ყავის მოდუღებითა და წერილების გაგზავნით იყო დაკავებული, და ეს ჭკუასუსტისთვის სრულიად შესაფერისად მიიჩნია.

ზუსტად თვითონაც ვერ ახსნიდა რატომ მოიტყუა, მაგრამ სალანდერი საკუთარი ხრიკით კმაყოფილი დარჩა.

ბლუმკვისტმა ხუთი საათი დაჰყო ვანგერთან და იმდენი რამ მოისმინა მისგან, რომ ყოველი შენიშვნის და დეტალის ერთმანეთთან დაკავშირებას და დაბეჭდვას მთელი ის ღამე და მომდევნო დღე, სამშაბათი მოანდომა. ჰენრიკის ნაამბობმა საგვარეულო ამბებმა საზოგადოებისთვის ცნობილი ვანგერების ოჯახის იმიჯი ბლუმკვისტის თვალში სრულიად შეცვალა. ყოველი ოჯახი მალავს თავის ბინძურ თეთრეულს, მაგრამ ვანგერების ოჯახის სიბინძურის გარეცხვას ალბათ მთელი სამრეცხაო დასჭირდებოდა.

ამ საუბრამდე ბლუმკვისტს მაინც სჯეროდა, რომ იოლ საქმეს მოჰკიდა ხელი. მისი დავალება ჰარიეტ ვანგერის იდუმალი გაუჩინარების საიდუმლოს ამოხსნა იყო და არა ჰენრიკ ვანგერის ბიოგრაფიის დაწერა – ეს მხოლოდ საზოგადოებისთვის თვალის ასახვევად მოიფიქრეს. თუნდაც ვერაფერი დაედგინა, ერთი წლის შემდეგ სრულიად არაფრისთვის სოლიდურ თანხას მიიღებდა – ადვოკატ ფროდეს შედგენილ კოტრაქტზე ჰერ ვანგერს ხელი უკვე მოწერილი ჰქონდა. ბლუმკვისტისთვის ნამდვილი ჯილდო ის სამხილები იყო, რომლითაც, როგორც ჰენრიკ ვანგერი არწმუნებდა, ვენერსტრომის თაღლითური საქმიანობის დამტკიცებას შეძლებდა.

თუმცა, ვანგერთან საუბრის შემდეგ მიხვდა, რომ ერთი წლით უქმად ჯდომა სულაც არ იყო სავალდებულო და წიგნი ვანგერების ოჯახზე ნამდვილად საინტერესო და დამაინტრიგებელი გამოვიდოდა.

ამასთან, პირველად გააცნობიერა ცხადად, რომ ჰარიეტ ვანგერი მართლა მოკლეს და არავითარი უბედური შემთხვევის მსხვერპლი არ გამხდარა. ბლუმკვისტი ერთი მხრივ დაეთანხმა ჰენრიკ ვანგერს, რომ თექვსმეტი წლის გოგონა სახლიდან გაქცევას და სახელმწიფო ბიუროკრატიული სტრუქტურებისგან ოცდათექვსმეტი წლის განმავლობაში დამალვას ვერ მოახერხებდა. თუმცა, მეორე მხრივ, მაინც არ გამორიცხავდა იმის ალბათობას, რომ ჰარიეტ ვანგერი სტოკჰოლმში გაიქცა და იქ ნარკოტიკების, პროსტიტუციის, ძალადობის ან სხვა უბედური შემთხვევის მსხვერპლი გახდა.

თავის მხრივ, ჰენრიკ ვანგერი დარწმუნებული იყო, რომ ჰარიეტი ოჯახის წევრმა მოკლა მარტო ან სხვისი ხელშეწყობით. მის რწმენას ის ფაქტი ამყარებდა, რომ გოგონას გაუჩინარების დროს კუნძული გარესამყაროსგან მოწყვეტილი იყო და ყველას ხიდზე მომხდარ ავარიაზე ჰქონდა გადატანილი ყურადღება.

ბერგერმა სწორად უთხრა, მკვლელობის გახსნაზე ჟურნალისტი მუშაობდეს, სრული სიგიჟეაო. თუმცა, ბლუმკვისტი თანდათან ამჩნევდა, რომ ჰარიეტის გაუჩინარებამ ოჯახის და, განსაკუთრებით, ჰენრიკის ცხოვრებაში მთავარი როლი ითამაშა. მიუხედავად იმისა, ცდებოდა თუ არა, ვანგერის მიერ ნათესავების დადანაშაულებამ

სერიოზულად იმოქმედა ოჯახის ისტორიაზე. ოცდაათწლიანმა დაუფარავმა ბრალდებებმა ოჯახის წევრებს შორის მტრობა ჩამოაგდო და კორპორაციის დასუსტებას შეუწყო ხელი. ჰარიეტის გაუჩინარება ცალკე, მოზრდილი თავი იყო და წითელ ხაზად გასდევდა ოჯახის მთელ ისტორიას. ასე თუ ისე, ჰარიეტ ვანგერის გაუჩინარების საიდუმლოს ამოხსნას დაიწყებდა თუ ოჯახური ქრონიკების წერას, მიქაელ ბლუმკვისტს მრავალი პერსონაჟის გაცნობა მოუწევდა. სწორედ ამას ემსახურებოდა ჰენრიკ ვანგერთან მისი პირველი ხანგრძლივი საუბარი.

ბიძაშვილების, გარე ბიძაშვილების, დეიდაშვილების თუ მამიდაშვილების ჩათვლით, ოჯახი ასობით წევრისგან შედგებოდა. ამდენი სახელის დასამახსოვრებლად ბლუმკვისტმა „აიბუქში“ მონაცემთა ბაზა შექმნა. ამისთვის გამოიყენა პროგრამა „NotePad“, სამეფო ტექნიკური ინსტიტუტის ორი სტუდენტის მიერ შექმნილი პროდუქტი, რომელიც ინტერნეტში უფასოდ გავრცელდა. საგამოძიებო საქმით დაინტერესებული ჟურნალისტისთვის ზედგამოჭრილი პროგრამა იყო. მონაცემთა ბაზაში ოჯახის თითოეულ წევრს თითო დოკუმენტი ეთმობოდა.

საგვარეულო ხის ძირი მეთექვსმეტე საუკუნის დასაწყისით თარიღდებოდა. პირველი წინაპრის გვარი ვანგეერსადი იყო. ჰენრიკ ვანგერის თქმით, გვარი ჰოლანდიური ვან გეერსტადიდან წარმოდგებოდა; თუ ეს მართლაც ასე იყო, მაშინ ხის ძირი ადრეულ მეთორმეტე საუკუნემდე გადაიწევდა.

თანამედროვე ვანგერების გვარს სათავეს უდებდა ჯარისკაცი, რომელიც წარმოშობით ჩრდილოეთ საფრანგეთიდან იყო. ალექსანდერ ვანგეერსადი შვედეთში მეფე ჟან ბატისტ ბერნადოტთან ერთად ჩამოვიდა. მართალია, პირადად მეფეს არ იცნობდა, მაგრამ როგორც გარნიზონის მეთაურმა, სახელი გაითქვა და ერთგული სამსახურისთვის 1818 წელს ჯილდოდ ჰედების მამული უბოძეს. ალექსანდერ ვანგეერსადს საკუთარი ქონებაც ჰქონდა და ამ ფულით ნორლანდის ტყიანი რეგიონის მოზრდილი ნაკვეთი შეიძინა. ალექსანდერს ვაჟი ჰყავდა, საფრანგეთში დაბადებული ადრიანი, რომელმაც მამის მოთხოვნით, პარიზის სალონური ცხოვრება მიატოვა და შორეულ ნორლანდში გადასახლდა ჰედების მამულის მისახედად. მან ახალი, ევროპული მეთოდებით მიწისა და სატყეო მასალის დამუშავება დაიწყო და მალე ქაღალდის გადამამუშავებელი ქარხანა გახსნა.

ალექსანდერის შვილიშვილს ჰენრიკი ერქვა. სწორედ მან შეამოკლა გვარი და ვანგეერსადის ნაცვლად ვანგერი დაირქვა. ჰენრიკმა რუსეთთან სავაჭრო კავშირი დაამყარა და სავაჭრო ნავების მცირე ფლოტიც შექმნა, რომელიც ბალტიისპირეთსა და გერმანიას ემსახურებოდა, აგრეთვე მეცხრამეტე საუკუნის შუაწლების მსოფლიოს ინდუსტრიულ ცენტრს – ინგლისს. უფროსმა ჰენრიკ ვანგერმა ოჯახური ბიზნესი კიდევ უფრო გაამრავალფეროვნა: მადნეულის მოპოვება დაიწყო და ნორლანდში

პირველი მეტალურგიული ქარხანა გახსნა. მას ორი ვაჟი ჰყავდა, ბირგერი და გოტფრიდი. ფინანსისტი ვანგერების კლანს სათავე მათ დაუდეს.

– მემკვიდრეობის შესახებ ძველ კანონებზე თუ იცით რამე? – ჰკითხა ვანგერმა ბლუმკვისტს.

– არა.

– ვერც მე ვერკვევი წესიერად. ოჯახური „ტრადიციის“ მიხედვით, ბირგერი და გოტფრიდი ერთმანეთს გადაეკიდნენ – ისინი ოჯახური ბიზნესის ხელში ჩაგდებისა და ძალაუფლებისთვის ბრძოლის ლეგენდარული მონაწილეები არიან. მათ შორის ომმა კომპანიის არსებობას საფრთხე შეუქმნა. ამიტომ სიკვდილამდე რამდენიმე ხნით ადრე მათმა მამამ, ჰენრიკმა, ისეთი სისტემა შექმნა, რომ ოჯახის თითოეულ წევრს ოჯახური ბიზნესის მცირე წილი მიეღო. განზრახვა, რასაკვირველია, კარგი ჰქონდა, მაგრამ ნაცვლად იმისა, რომ საქმე წინ წასულიყო და ბიზნესის სამართავად მთელი მსოფლიოდან პროფესიონალები და სანდო პარტნიორები შეგვეკრიბა, ჩვენი დირექტორთა საბჭო მხოლოდ ვანგერების ოჯახის წევრებისგან დაკომპლექტდა.

– დღესაც ასეა?

– დიახ. ოჯახის წევრი თავის წილს მხოლოდ ისევ ოჯახის წევრს თუ მიჰყიდის. კომპანიის აქციონერთა ყოველწლიურ კრებაზე ორმოცდაათამდე ვანგერი იკრიბება ხოლმე. მარტინი აქციათა 10 %-ზე მეტის მფლობელია. მე – 5 %-ის, რადგან დანარჩენი სხვებს მივყიდე, მათ შორის, მარტინსაც. ჩემი ძმა ჰარალდი 7%-ს ფლობს. თუმცა, ოჯახის დანარჩენი წევრების უმეტესობა მხოლოდ აქციათა ერთი ან ნახევარი პროცენტის მფლობელია.

– შუასაუკუნეობრივად ჟღერს.

– უფრო, სულელურად. ეს ნიშნავს, რომ მარტინი აქციონერთა 20-25%-ის მხარდაჭერის გარეშე დამოუკიდებლად ვერანაირ სერიოზულ ცვლილებას ვერ განახორციელებს კომპანიაში. ამიტომაც უამრავი ალიანსი იკვრება და ათასგვარი ინტრიგები იხლართება ხოლმე.

ჰენრიკ ვანგერმა ოჯახის ისტორიის მოყოლა გააგრძელა:

– გოტფრიდ ვანგერი 1901 წელს უშვილოდ გარდაიცვალა. უფრო სწორად, ოთხი ქალიშვილი ჰყავდა, მაგრამ იმ დროს ქალებს სათვალავში არ აგდებდნენ. ქალიშვილები წილს კი ფლობდნენ, მაგრამ კომპანიის მმართველობაზე პრეტენზიას მხოლოდ მამაკაცები აცხადებდნენ. ქალებმა მეოცე საუკუნეში მოიპოვეს ხმის უფლება, თორემ მანამდე აქციონერთა კრებაზეც არ უშვებდნენ.

– რა ლიბერალურია.

– ირონიული კომენტარი საჭირო არაა. მაშინ სხვა დრო იყო. მოკლედ, გოტფრიდს არა, მაგრამ მის ძმას, ბირგერ ვანგერს, სამი ვაჟი ჰყავდა: იოჰანი, ფრედრიკი და გიდეონი. სამივე მეცხრამეტე საუკუნის მიწურულს დაიბადა. გიდეონი შეგვიძლია დავივიწყოთ. მან თავისი წილი გაყიდა და ამერიკაში გადასახლდა. აშშ-ში ჯერაც შენარჩუნებულია ჩვენი საგვარეულო შტო. ხოლო იოჰანმა და ფრედრიკმა კომპანია თანამედროვე „ვანგერების კორპორაციად“ აქციეს.

ჰენრიკ ვანგერმა ფოტოალბომიდან ძველისძველი ფოტო ამოიღო და ბლუმკვისტს ის პერსონაჟები გააცნო, ვისზეც საუბრობდნენ. მეოცე საუკუნის დასაწყისში გადაღებულ ფოტოზე გამოსახული იყო სქელნიკაპიანი და დატკეპნილთმიანი, მკაცრად მომზირალი ორი მამაკაცი.

– იოჰან ვანგერი ოჯახში გენიოსად ითვლებოდა. პროფესიით ინჟინერმა რამდენიმე გამოგონება დააპატენტა და სამრეწველო ბიზნესში დანერგა. ფოლადის და რკინის დამუშავება ჩვენი ფირმის უმთავრეს საქმიანობად იქცა; თუმცა, სხვა სფეროებსაც მოვიცავდით, მაგალითად, ტექსტილის წარმოებას. იოჰან ვანგერი 1956 წელს გარდაიცვალა და სამი ქალიშვილი დარჩა: სოფია, მარიტი და ინგრიდი – ისინი პირველი ქალები იყვნენ, რომლებიც აქციონერთა კრებაზე დაუშვეს.

მეორე ძმა ფრედრიკ ვანგერი მამაჩემი იყო, ბიზნესმენი და სამრეწველო ხელმძღვანელი, რომელმაც იოჰანის გამოგონებები შემოსავლიანად აქცია. მამაჩემი 1964 წელს გარდაიცვალა. კომპანიას სიკვდილამდე ხელმძღვანელობდა, თუმცა, უკვე ორმოცდაათიანებშივე, ყოველდღიური საქმიანობა მე გადმომაბარა.

ისე მოხდა, რომ იოჰანს მხოლოდ ქალიშვილები ჰყავდა – ჰენრიკ ვანგერმა ბლუმკვისტს აჩვენა ფოტო, რომელზეც გამოსახული იყო დიდმკერდიანი ქალები ფართოფარფლიანი ქუდებით და მზისგან დამცავი ქოლგებით ხელში, – მამაჩემ ფრედრიკს კი – ვაჟები: რიკარდი, ჰარალდი, გრეგერი, გუსტავი და მე.

ბლუმკვისტმა A4 ფორმატის რამდენიმე ფურცელზე საგვარეულო ხე დახაზა და ერთიმეორეს მიაწება. იმათ სახელებს, ვინც 1966 წელს ოჯახურ სადილზე იმყოფებოდა და, თეორიულად, ეჭვმიტანილად ითვლებოდა, ქვეშ ხაზი გაუსვა.

თორმეტ წელს ქვემოთ ასაკის ბავშვები გამოტოვა – ეჭვმიტანილთა სიის ნაკლებად სავარაუდო ეჭვიტანილებით უფრო მეტად დაგრძელება არ ღირდა. მცირე ფიქრის შემდეგ ჰენრიკ ვანგერიც ამოიღო სიიდან. თუ ვანგერების ოჯახის პატრიარქს თავისი ძმის შვილიშვილის გაუჩინარებაში ბრალი მიუძღოდა, უკანასკნელი ოცდათექვსმეტი წლის განმავლობაში მისი აქტიურობა, აშკარად სიგიჟის გამოვლინება იქნებოდა. ჰენრიკ ვანგერის დედაც, რომელიც 1966 წელს უკვე ოთხმოცდაერთი წლის იყო, ალბათ მალევე ამოიშლებოდა. ოჯახის დარჩენილი ოცდასამი წევრი კი, ჰენრიკის თქმით, უთუოდ „ეჭვმიტანილთა“ სიაში იყო შესაყვანი. ამათგან რამდენიმე უკვე გარდაცვლილი იყო, რამდენიმე კი – ხანში შესული.

ბლუმკვისტი მაინცდამაინც არ იზიარებდა ჰენრიკ ვანგერის მოსაზრებას, რომ ჰარიეტის გაუჩინარებაში აუცილებლად ოჯახის რომელიმე წევრი იყო დამნაშავე. ამიტომ კიდევ რამდენიმე „არანათესავი“ ეჭვმიტანილის დამატებაც გადაწყვიტა.

დირკ ფროდემ ჰენრიკ ვანგერის ადვოკატად 1962 წელს დაიწყო მუშაობა. ჰარიეტის გაუჩინარების დღეს მის გარდა კიდევ ვინ იმყოფებოდა ჰედების კუნძულზე? გუნარ ნილსონი – ალიბით თუ ალიბის გარეშე – მაშინ ცხრამეტი წლისა; მამამისი მაგნუსი, მხატვარი ნორმანი და პასტორი ფალკი. ნეტა ფალკს ცოლი თუ ჰყავდა? ოსტერგორდენის ფერმაც მეზობლად მდებარეობდა და ფერმერი არონსონიც კუნძულზე ცხოვრობდა. მისი ვაჟი, იერკერი, ალბათ ახალგაზრდა ჰარიეტ ვანგერს იცნობდა – ნეტა მათ როგორი ურთიერთობა ჰქონდათ? არონსონს თუ ჰყავდა ცოლი? ან ვინმე სხვაც ხომ არ ცხოვრობდა იმ დროს ფერმაში?

სია ორმოც ადამიანამდე გაიზარდა. დილის ოთხის ნახევარი იყო და თერმომეტრი -21°C უჩვენებდა. გადაქანცულმა ბლუმკვისტმა ბელმანსგატანზე თავის საწოლში ძილი ინატრა.

დილით ტელეფონის დასაყენებლად მოსულმა მუშებმა გააღვიძეს. თერთმეტი საათისთვის ბლუმკვისტს უკვე ინტერნეტი ჰქონდა და თავს პროფესიონალურად აღჭურვილად გრძნობდა. მეორე მხრივ, მისი მობილური ტელეფონი ჯიუტად დუმდა. არც თვითონ თმობდა და რედაქციაში არაფრის დიდებით არ დარეკავდა.

ელფოსტა შეამოწმა. ბოლო კვირის განმავლობაში 350 წერილი მიეღო. მხოლოდ თხუთმეტიოდე შეინახა, დანარჩენი წაშალა: უმეტესობა სპამი იყო ან შეტყობინებები, რომლებიც ელექტრონულად ჰქონდა გამოწერილი. პირველი წერილი <demokrat88@yahoo.com>-ისგან იყო:

„იმედია, ციხეში ყლეს გაწოვებენ, შე დამპალო კომუნისტო“.

ბლუმკვისტმა ეს წერილი „ინტელექტუალური კრიტიკის“ საქაღალდეში შეინახა და <erika.berger@millennium.se>-ს წერილი მისწერა:

„გამარჯობა რიკი. უბრალოდ, მინდა იცოდე, რომ ინტერნეტი ჩამირთეს და, როცა შემირიგდები, შეგიძლია წერილი გამომიგზავნო. ჰედები მიყრუებული სოფელია, მაგრამ მონახულება მაინც ღირს.

მიქაელი“.

სადილობის დრო რომ დადგა, ბლუმკვისტმა თავისი „აიბუქი“ ჩანთაში ჩაიდო და „სუზანის კაფეში“ წავიდა. ჩვეულებისამებრ, კუთხეში მდგარ მაგიდას მიუჯდა. სუზანმა ყავა და სენდვიჩები მიუტანა და ცნობისმოყვარედ შეათვალიერა მისი კომპიუტერი. ჰკითხა, რას საქმიანობო. ბლუმკვისტმა პირველად გამოიყენა ნამდვილი მიზნების დასაფარად მოგონილი ყალბი ისტორია. ერთმანეთს თავაზიანი

კომპლიმენტები გაუცვალეს. სუზანმა ურჩია, როცა ნამდვილი საიდუმლოებების გაგება დაინტერესებდა, მისთვის მიემართა.

– ოცდათხუთმეტი წელია, ვანგერებს ვემსახურები და მაგ ოჯახზე უამრავი ჭორი მომისმენია, – უთხრა სუზანმა და სამზარეულოში თეძოების რხევით შევიდა.

შვილების, შვილიშვილების და შვილთაშვილების ჩათვლით – რომლებიც ბლუმკვისტს სიაში არ შეუყვანია – ძმებს, ფრედრიკსა და იოჰანს დაახლოებით ორმოცდაათი შთამომავალი ჰყავდათ. ოჯახის წევრები სიცოცხლის ხანგრძლივობით გამოირჩეოდნენ. ფრედრიკ ვანგერმა სამოცდათვრამეტი წელი იცოცხლა, მისმა ძმა იოჰანმა კი – სამოცდათორმეტი. ფრედრიკის ცოცხალი ვაჟებიდან ჰარალდი ოთხმოცდათორმეტი წლისა იყო, ხოლო ჰენრიკი – ოთხმოცდაორისა.

ერთადერთ გამონაკლისს წარმოადგენდა გუსტავი, რომელიც ოცდაჩვიდმეტი წლისა, ფილტვის კიბოთი გარდაიცვალა. ჰენრიკ ვანგერის თქმით, გუსტავი მუდმივად ავადმყოფობდა და ოჯახს ვერაფრით ეწყობოდა. ის არასდროს დაქორწინებულა და არც შვილები ჰყოლია.

ოჯახის რამდენიმე წევრი უბედურმა შემთხვევამაც შეიწირა. ოცდაცამეტი წლის რიკარდ ვანგერი ფინეთის ომში მოკლეს; ჰარიეტის მამა გოტფრიდ ვანგერი გოგონას გაუჩინარებამდე ერთი წლით ადრე წყალში დაიხრჩო. თავად ჰარიეტიც სულ თექვსმეტი წლის იყო. ბლუმკვისტმა შენიშნა, რომ ვანგერების გვარის ეს შტო – ბაბუა, მამა და ქალიშვილი – უბედურმა შემთხვევამ იმსხვერპლა. რიკარდის ერთადერთი ცოცხალი შთამომავალი, ორმოცდათოთხმეტი წლის მარტინ ვანგერი ჯერაც უცოლშვილო იყო. თუმცა, როგორც ჰენრიკ ვანგერმა ბლუმკვისტს აუხსნა, მისი ძმის შვილიშვილს ჰედესტადში მცხოვრები მუდმივი პარტნიორი ჰყავდა.

ბლუმკვისტმა კიდევ ორი ფაქტორი გამოარჩია. პირველი, არც ერთი ვანგერი არ დაშორებია მეუღლეს და არც ხელმეორედ დაქორწინებულა, თუნდაც ახალგაზრდა ასაკში დაქვრივების შემთხვევაში. საინტერესოა, სტატისტიკურად მეორედ ქორწინება რამდენად ხშირად ხდებაო, გაიფიქრა ბლუმკვისტმა. მართალია, სესილია ვანგერი ცალკე ცხოვრობდა, მაგრამ ქმარს ოფიციალურად გაცილებული მაინც არ იყო.

მეორე უცნაურობა ის იყო, რომ ფრედრიკ ვანგერის შთამომავლები, მათ შორის ჰენრიკიც, ბიზნესის მართვაში წამყვან როლს თამაშობდნენ და, ძირითადად, ჰედესტადში ან მის სიახლოვეს ცხოვრობდნენ. იოჰან ვანგერის შტოს წარმომადგენლები – მხოლოდ გოგონები – გათხოვების შემდეგ სტოკჰოლმში, მალმეში, გეტებორგში ან უცხოეთში გადადიოდნენ საცხოვრებლად, ჰედესტადში კი მხოლოდ ზაფხულობით ან მნიშვნელოვან ოჯახურ შეხვედრებზე იკრიბებოდნენ. მხოლოდ ინგრიდ ვანგერის ვაჟი გუნარ კარლმანი ცხოვრობდა ჰედესტადში და ადგილობრივი გაზეთის, Hedestads-Kuriren-ის მთავარი რედაქტორი იყო.

ჰენრიკ ვანგერის აზრით, ჰარიეტ ვანგერის მკვლელობა კომპანიის მართვის უჩვეულო სტრუქტურით იყო გამოწვეული. ჰარიეტთან ჩემი ახლო დამოკიდებულების შესახებ ოჯახის ყველა წევრმა იცოდა და ადვილად შეიძლება გოგონას მოშორებით პირადად ჩემთვის სურდათ ზიანის მოყენება. ან შეიძლება ჰარიეტმა კომპანიასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი ინფორმაცია შეიტყო და ვიღაცისთვის საშიში გახდაო, – განაცხადა მოხუცმა. ეს უკანასკნელი ვერსია მეტად საეჭვო იყო, მაგრამ ჰენრიკ ვანგერს მაინც გამოეყო ის ცამეტი პიროვნება, ვისაც, სავარაუდოდ, ასეთი ინტერესი უნდა გასჩენოდა.

ბლუმკვისტის ვანგერთან საუბარმა ერთ საკითხს მაინც მოჰფინა ნათელი. დასაწყისადანვე მოხუცი ზიზღით იხსენიებდა თავის ნათესავებს. ბლუმკვისტს ეს უცნაურად მოეჩვენა. იფიქრა, ასეთი სიძულვილი ალბათ იმან გამოიწვია, რომ ჰარიეტის გაუჩინარებაში მათ ადანაშაულებსო. თუმცა, თანდათან მიხვდა, რომ ჰენრიკ ვანგერს ზუსტად დაეხასიათებინა თავისი ოჯახის წევრები.

ბლუმკვისტის წინაშე ნელ-ნელა იკვეთებოდა ფინანსურად და სოციალურად წარმატებული, მაგრამ სხვამხრივ ქმედუუნარო ოჯახი.

ჰენრიკ ვანგერის მამა მკაცრი და გულქვა კაცი იყო, რომელმაც შვილების აღზრდის და მათზე ზრუნვის მოვალეობა მთლიანად ცოლს გადააბარა. თექვსმეტ წლამდე შვილები მამას იშვიათად, მხოლოდ განსაკუთრებულ საოჯახო შეხვედრებზე ხედავდნენ. თუმცა, ბავშვები ამ შეხვედრებზეც ჩუმად უნდა მსხდარიყვნენ და არავინ შეეწუხებინათ. ჰენრიკს არ ახსოვდა, ოდესმე მამისგან ტკბილი სიტყვა მოესმინოს. პირიქით, მამა ხშირად აკრიტიკებდა მას და უნიჭოს უწოდებდა. ფიზიკურად არასდროს სჯიდა. ეს საჭირო არ იყო. მამის პატივისცემა ჰენრიკ ვანგერმა მოგვიანებით, „ვანგერების კორპორაციაში“ წარმატებული საქმიანობის შემდეგ მოიპოვა.

უფროსი ძმა რიკარდი მამას აუჯანყდა. კამათის შემდეგ – რომლის მიზეზიც ოჯახში არასდროს განუხილავთ – ბიჭი უფსალაში წავიდა სასწავლებლად. სწორედ იქ მოექცა რიკარდი ნაცისტების გავლენის ქვეშ და საბოლოოდ ფინეთის ფრონტზე აღმოჩნდა.

თუმცა, ჰენრიკს პირველი შეხვედრისას ბლუმკვისტისთვის არ გაუმხელია, რომ მის კიდევ ორ ძმასაც მსგავსი წარსული ჰქონდა.

1930 წელს რიკარდის მსგავსად ჰარალდი და გრეგერიც, რომლებიც განსაკუთრებით ახლოს იყვნენ ერთმანეთთან, უფსალაში გადავიდნენ. ჰენრიკ ვანგერმა ზუსტად არ იცოდა, რამდენად დიდ დროს ატარებდნენ ძმები რიკარდთან, თუმცა, ის კი ცხადი იყო, რომ პერ ენგდალის ფაშისტურ მოძრაობაში „ახალი შვედეთი“ ისინიც ჩაერთნენ. ჰარალდი მომდევნო წლებშიც პერ ენგდალის ერთგული მიმდევარი იყო: ჯერ „შვედეთის ნაციონალურ კავშირში“, მერე „შვედეთის ოპოზიციურ ჯგუფში“ და ბოლოს, მეორე მსოფლიო ომის შემდეგ წამოწყებულ „ახალ შვედურ მოძრაობაში“.

ჰარალდი ამ მოძრაობის აქტიური წევრი იყო ოთხმოცდაათიან წლებამდე, ანუ ენგდალის გარდაცვალებამდე და შვედეთის ფაშისტური ორგანიზაციების ერთ-ერთ მთავარ დამფინანსებლადაც ითვლებოდა.

ჰარალდ ვანგერი უფსალაში სამედიცინო განათლებას დაეუფლა და თავიდანვე რასისტული ჰიგიენის და ბიოლოგიის შესწავლით გატაცებულ მეცნიერთა წრეში აღმოჩნდა. მცირე ხნით „შვედეთის რასისტული ბიოლოგიის შემსწავლელ ინსტიტუტშიც“ იმუშავა ექიმად და მოსახლეობაში არასასურველი ელემენტების სტერილიზაციის კამპანიის აქტივისტიც იყო.

ციტატა, ჰენრიკ ვანგერი, კასეტა 2, 02950:

„ჰარალდი უფრო შორს წავიდა. 1937 წელს გახდა თანაავტორი წიგნისა „ხალხთა ახალი ევროპა“ – მადლობა ღმერთს, ფსევდონიმით. ეს მხოლოდ სამოცდაათიანებში გავიგე. ერთი ასლი მაქვს და შემიძლია, წასაკითხად გათხოვოთ. ეს ერთ-ერთი უსაძაგლესი წიგნია, რაც შვედურ ენაზე გამოუციათ. ჰარალდი არა მხოლოდ სტერილიზაციის მომხრე იყო, არამედ დაჟინებით ითხოვდა ისეთი ადამიანების ევთანაზიას, რომლებიც მის ესთეტიკურ გემოვნებას არ აკმაყოფილებდნენ და სრულყოფილი შვედი ერის სურათის მისეულ ხედვას არ შეესაბამებოდნენ. გასაგებად რომ ვთქვა, უზადო აკადემიური ტექსტითა და სამედიცინო არგუმენტების მოშველიებით ნამდვილი ხოცვა-ჟლეტის გამართვას ითხოვდა. „მოვიშოროთ ინვალიდები“, „ხელი შევუშალოთ საამელებს გამრავლებაში, მათ მონღოლური სისხლი ურევიათ“, „სულით ავადმყოფებს სიკვდილით მოვგვაროთ შვება“, „მეძავები, მათხოვრები, ბოშები და ებრაელები კი...“ თავადაც მიხვდებით, მათ რას უპირებდა. ჩემი ძმის ფანტაზიებში აუშვიცის[v] საკონცენტრაციო ბანაკი დალარნაშიც შეიძლებოდა გახსნილიყო“.

ომის დასრულების შემდეგ გრეგერ ვანგერი საშუალო სკოლის მასწავლებელი გახდა, რამდენიმე წელიწადში კი – ჰედესტადის მოსამზადებელი სკოლის დირექტორი. ჰენრიკ ვანგერმა მხოლოდ 1974 წელს, გრეგერის გარდაცვალების შემდეგ, მისი მიმოწერის თვალიერებისას დაადგინა, რომ გრეგერი პოლიტიკურად არაეფექტიან, იდიოტურ სექტა Nordiska rikspartiet-ს, „ჩრდილოეთის ნაციონალურ პარტიას“ შეერთებოდა და სიკვდილამდე მის წევრად ითვლებოდა.

ციტატა, ჰენრიკ ვანგერი, კასეტა 2, 04167:

„ერთი სიტყვით, ჩემი სამი ძმა პოლიტიკურად შეშლილი იყო. გაინტერესებთ სხვა მხრივ რამდენად ავადმყოფები იყვნენ?“

ერთადერთი ძმა, რომელსაც ჰენრიკ ვანგერი მეტ-ნაკლები პატივისცემის ღირსად თვლიდა, 1955 წელს ფილტვის კიბოთი გარდაცვლილი გუსტავი იყო. ის არასდროს ყოფილა პოლიტიკით დაინტერესებული; გარკვეულწილად მიზანთროპს, სულით

ხელოვანს არც „ვანგერების კორპორაციაში“ დასაქმების და არც ოჯახური ბიზნესის მართვაში მონაწილეობის სურვილი გამოუთქვამს ოდესმე.

– დღეს მხოლოდ თქვენ და ჰარალდი ხართ ცოცხლები. თქვენი ძმა ჰედებიზე რატომ დაბრუნდა? – ჰკითხა ბლუმკვისტმა ჰენრიკ ვანგერს.

– ეს სახლი მას ეკუთვნის. 1979 წელს დაბრუნდა.

– ალბათ უცნაური შეგრძნებაა, როცა მეზობლად საძულველი ძმა ცხოვრობს.

– მე ჩემი ძმა არ მძულს. უფრო მეცოდება. ის ნამდვილი იდიოტია. აი, მას კი ვძულვარ.

– მას სძულხართ?

– დიახ. მგონი, იმიტომ დაბრუნდა კუნძულზე, რომ სიცოცხლის უკანასკნელი წლები ჩემს მეზობლად გაატაროს და თავისი ბოღმა ასე ახლოდან გადმომანთხიოს.

– ასე რატომ სძულხართ?

– იმიტომ რომ დავქორწინდი.

– ოჰო, აჯობებს დეტალურად მომიყვეთ.

ჰენრიკ ვანგერს უფროს ძმებთან ახალგაზრდობაშივე გაეწყვიტა ურთიერთობა. ძმებს შორის მხოლოდ მან გამოიჩინა ოჯახური ბიზნესის მიმართ ინტერესი – ის მამის ბოლო იმედი იყო. სამაგიეროდ, ჰენრიკი არასდროს ჩართულა პოლიტიკურ საქმიანობაში და არც უფსალასკენ გაუხედავს. მან სტოკჰოლმში ეკონომიკური სასწავლებელი დაამთავრა. თვრამეტი წლის ასაკიდან ყოველ არდადეგებზე „ვანგერების კორპორაციის“ რომელიმე ფილიალში ან განყოფილებაში მუშაობდა პრაქტიკანტად.

1941 წლის 10 ივნისს, როცა მსოფლიო ომი გადამწყვეტ ფაზაში შედიოდა, ჰენრიკ ვანგერი ექვსი კვირით გერმანიაში, „ვანგერების კორპორაციის“ ჰამბურგის განყოფილებაში გაგზავნეს და თანმხლებად და მასწავლებლად კორპორაციის გერმანელი წარმომადგენელი, ვეტერანი ჰერმან ლობახი მიუჩინეს. მაშინ ჰენრიკი მხოლოდ 21 წლის იყო.

– დეტალებით არ დაგღლით. როცა მე გერმანიაში ჩავედი, ჰიტლერი და სტალინი ჯერაც კარგი მეგობრები იყვნენ და არც აღმოსავლეთის ფრონტი გაეხსნათ. ჰიტლერი ყველას უძლეველი ეგონა. ეს ერთდროულად ოპტიმიზმის საფუძველსაც იძლეოდა და... უიმედობისაც. მგონი, სწორად გამოვხატავ იმდროინდელ განწყობას. ნახევარი საუკუნის შემდეგაც ძნელია იმ ეპოქის სათანადოდ აღწერა. ცუდად ნუ გამიგებთ – მე ნაცისტი არ ვყოფილვარ და ჰიტლერი ოპერეტის სულელ პერსონაჟს მაგონებდა. თუმცა, რთული იყო, მაშინ ჰამბურგში მომავლისთვის ოპტიმისტურად არ შეგეხედა.

მართალია, საზარელი ომი უახლოვდებოდათ და ქალაქიც რამდენჯერმე დაიბომბა, მაგრამ ადგილობრივებს მაინც მიაჩნდათ, რომ ეს დროებითი უსიამოვნება იყო და მალე სიმშვიდე დაისადგურებდა – ჰიტლერი „ახალ ევროპას“ მართლაც შექმნიდა. გერმანელ ხალხს უნდოდა იმის დაჯერება, რომ ჰიტლერი ღმერთი იყო. ყოველ შემთხვევაში, პროპაგანდა ამას ქადაგებდა.

ვანგერმა თავისი უამრავი ფოტოალბომიდან ერთი გადაშალა.

– ეს ლობახია. 1944 წელს დაიკარგა, ალბათ, მორიგი დაბომბვისას დაიღუპა. რა მოუვიდა, ვერ დავადგინეთ. ჰამბურგში ყოფნისას დავუმეგობრდი. მის შეძლებულ ოჯახთან ერთად ვცხოვრობდი ქალაქის პრესტიჟულ უბანში. თითქმის სულ ერთად ვატარებდით დროს. ისიც ისეთივე ნაცისტი იყო, როგორც მე, მაგრამ მეტი უსაფრთხოებისთვის პარტიაში მაინც ირიცხებოდა. მისი პარტიული ბარათი „ვანგერების კორპორაციას“ ბევრ დახურულ კარს უღებდა, ჩვენს ბიზნესს კი ეს ძალიან აწყობდა. გერმანული მატარებლებისთვის ვაგონებს ვაშენებდით – ალბათ ბევრი მათგანი პოლონეთში იგზავნებოდა. ნაცისტებს უნიფორმებისთვის ქსოვილს და რადიოგადამცემებისთვის ელექტროლამპებს ვაწვდიდით – ოღონდ არ ვიცოდით, ამ ყველაფერს რისთვის იყენებდნენ. ლობახმა იცოდა, ვისთან და როგორ დაედო ხელშეკრულება – მხიარული და კეთილი ადამიანი იყო, ერთი შეხედვით იდეალური ნაცისტი. თუმცა, თანდათან შევატყვე, რომ რაღაც საიდუმლოს მალავდა.

1941 წლის 22 ივნისს, გამთენიისას, ლობახმა საძინებლის კარზე მომიკაკუნა (ჩემი ოთახი მისი და მისი მეუღლის საძინებლის გვერდით იყო) და ფრთხილად მანიშნა, ჩაიცვი და გამომყევიო. პირველ სართულზე, მოსაწევ ოთახში დავსხედით. ლობახი მთელი ღამე ფეხზე ყოფილიყო. რადიოს უსმენდა. ოპერაცია „ბარბაროსა“ დაწყებულიყო. ივანობის ღამეს გერმანია საბჭოთა კავშირს დაესხა თავს.

ჰენრიკ ვანგერმა სევდიანად ამოიხვნეშა.

– ლობახმა კარადიდან ორი ჭიქა გამოიღო და ჩემთვისაც და თავისთვისაც აკვავიტე ჩამოასხა. აღელვებული მომეჩვენა. როცა ვკითხე, ეს რას ნიშნავს-მეთქი, მიპასუხა გერმანიისა და ნაციზმის აღსასრულსო. მე არ დავუჯერე. ჰიტლერი დაუმარცხებელი მეგონა. თუმცა, მე და ლობახმა გერმანიის დამარცხების სადღეგრძელო მაინც დავლიეთ. შემდეგ ლობახი საქმეზე გადავიდა.

ბლუმკვისტმა თავის ქნევით ანიშნა, გააგრძელეო.

– პირველი, მამაჩემთან დაკავშირება შეუძლებელი იყო, ამიტომ ლობახმა თავად გადაწყვიტა, რომ ვიზიტი შემეწყვიტა და შვედეთში დავბრუნებულიყავი. მეორე, მთხოვა რაღაცაში დავხმარებოდი.

ვანგერმა პროფილში მდგარი შავთმიანი ქალის ნახევრად გაყვითლებულ პორტრეტზე ანიშნა.

– ლობახი ორმოცი წლის დაქორწინებული იყო, მაგრამ 1919 წელს თავისზე ორჯერ უმცროსი ლამაზი ქალი გაუცნია და თავდავიწყებით შეჰყვარებია. ის ქალი ერთი უბრალო, ღარიბი მკერავი ყოფილა. ლობახმა, როგორც ეს მდიდარ მამაკაცებს სჩვევიათ, მისთვის თავისი ოფისის სიახლოვეს შეიძინა ბინა. ქალი მისი საყვარელი გახდა და 1921 წელს ლობახისგან გოგო გააჩინა, რომელსაც ედიტი დაარქვეს.

– მდიდარი ასაკოვანი მამაკაცი, ღარიბი ახალგაზრდა ქალი და უკანონო შვილი – ორმოციან წლებში ეს სერიოზული სკანდალის მიზეზი ნაკლებად შეიძლებოდა გამხდარიყო, – შენიშნა ბლუმკვისტმა.

– მართალია. მაგრამ არსებობდა ერთი პრობლემა: ის მკერავი ებრაელი იყო, ლობახი კი – ნაცისტურ გერმანიაში ებრაელი გოგონას მამა. მაშინ მისნაირებს რასის შემარცხვენელს და ერის მოღალატეს უწოდებდნენ.

– აა... ეს უკვე სხვა საქმეა. მერე რა მოხდა?

– ედიტის დედა ჯერ კიდევ 1939 წელს დაეჭირათ და ალბათ ადვილი წარმოსადგენია, რაც მოუვიდოდა. მისი ქალიშვილის სახელი ჯერ საკონცენტრაციო ბანაკში გადასაყვანთა სიაში არ ეწერა, მაგრამ გესტაპო მალვაში მყოფ სხვა ებრაელებთან ერთად, მასაც ეძებდა. 1941 წლის ზაფხულში, გერმანიაში ჩემს ჩასვლამდე მცირე ხნით ადრე, ედიტის დედა როგორღაც ლობახთან დაუკავშირებიათ და ეს უკანასკნელი დაუკითხავთ. ლობახს ქალთან კავშირი და ედიტის მამობა უღიარებია, მაგრამ უთქვამს, ჩემი უკანონო ქალიშვილის ამჟამინდელ ადგილსამყოფელზე არაფერი ვიცი, რადგან, ათი წელია, არ მინახავსო.

– სად იმალებოდა მისი ქალიშვილი?

– მას ყოველდღე ვხედავდი ლობახის სახლში. ლამაზი და წყნარი ოცი წლის გოგონა იყო. ჩემს საძინებელს ალაგებდა და სადილობისას გვემსახურებოდა. ებრაელების დევნა ჯერ კიდევ 1937 წელს დაიწყეს და ედიტის დედას ლობახისთვის დახმარება უთხოვია. ლობახიც დაეხმარა. თავისი უკანონო ქალიშვილი დანარჩენი კანონიერი შვილებივით უყვარდა. პირდაპირ ყველას ცხვირწინ, ნაკლებად მოსალოდნელ ადგილას – საკუთარ სახლში დამალა, ყალბი საბუთები გაუკეთა და მოახლედ გააფორმა.

– ლობახის ცოლმა თუ იცოდა, ვინ იყო ედიტი?

– ჩემი აზრით, არ იცოდა. გოგონას მათ სახლში ოთხი წლის წინ დაეწყო მუშაობა, მაგრამ ლობახი უკვე ხვდებოდა, რომ მალე გესტაპო მის კარზეც მოაკაკუნებდა. იმ ღამით თავისი ქალიშვილი პირადად გამაცნო. ძალიან მორცხვი გოგონა იყო, ჩემთვის თვალის გასწორებისაც კი რცხვენოდა. როგორც მომეჩვენა, მთელი ღამე მასაც ჩემთან შეხვედრის მოლოდინში გაეტარებინა. ლობახმა მთხოვა, მისი გოგონა გადამერჩინა.

– როგორ?

– ლობახს უკვე ჰქონდა გეგმა. წესით, მე კიდევ სამი კვირით გერმანიაში უნდა დავრჩენილიყავი, მერე მატარებლით კოპენჰაგენში გავემგზავრებოდი და იქიდან ბორნით გადავცურავდი სრუტეს. მაგრამ ორ დღეში ჰამბურგიდან „ვანგერების კორპორაციის“ კუთვნილი გემი გადიოდა. ლობახმა მთხოვა ამ გემს გავყოლოდი და გერმანია დაუყოვნებლივ დამეტოვებინა. რასაკვირველია, ჩემი სამგზავრო გეგმების შესაცვლელად უსაფრთხოების სამსახურის თანხმობა მჭირდებოდა, მაგრამ ეს უბრალო ფორმალობა იყო და არანაირ პრობლემას არ წარმოადგენდა. ლობახს უნდოდა, რომ აუცილებლად იმ გემს გავყოლოდი.

– და ედიტიც წაგეყვანათ, არა?

– ედიტი მანქანა-მოწყობილობებით დატვირთულ სამას ყუთს შორის დავმალეთ ბორტზე. მე მევალებოდა დავხმარებოდი მას, თუ შემთხვევით გერმანიის ტერიტორიულ წყლებში აღმოაჩენდნენ, და თვალყური მედევნებინა, კაპიტანს რამე სისულელე არ ჩაედინა. სხვა შემთხვევაში კი უნდა დამეცადა, სანამ გერმანიას არ გავცილდებოდით და მხოლოდ ამის შემდეგ გამომეშვა.

– კარგად მოგიფიქრებიათ.

– მოსასმენად ადვილი ჩანდა, მაგრამ მოგზაურობა ნამდვილ კოშმარად იქცა. კაპიტანს, ოსკარ გრანატს, სულაც არ ესიამოვნა, მისი დამსაქმებლის ცინგლიანი ვაჟის სამშობლოში უსაფრთხოდ დაბრუნება მას რომ დაავალეს. ჰამბურგი ივნისის ბოლოს, დილის ცხრა საათზე დავტოვეთ. ნავსადგურიდან გავდიოდით, როცა საჰაერო განგაშის სირენები ჩაირთო. ბრიტანელი ბომბდამშენები ახორციელებდნენ რეიდს და ნავსადგური, რასაკვირველია, მთავარი სამიზნე იყო. როგორღაც გადავრჩით, შტორმსაც გავუძელით და დაზიანებული ძრავით კარლსკრონამდე მივაღწიეთ. ალბათ გაინტერესებს, რა მოუვიდა გოგონას.

– მგონი, ისედაც ვხვდები.

– ბუნებრივია, მამაჩემი განრისხდა. ჩემი სულელური მოგზაურობით სიცოცხლე საფრთხეში ჩავიგდე, თანაც ნებისმიერ დროს შეეძლოთ გოგონა შვედეთიდან გაეძევებინათ. მაგრამ მეც თავდავიწყებით შემიყვარდა ედიტი, როგორც ლობახს – დედამისი. მას ცოლობა ვთხოვე, ხოლო მამაჩემს ულტიმატუმი წავუყენე, ან ჩვენს ქორწინებას დათანხმებოდა, ანდა ოჯახური ბიზნესის მისახედად სხვა ვინმეს მოძებნიდა. ისიც დამნებდა.

– მაგრამ ედიტი გარდაიცვალა?

– დიახ, ძალიან ახალგაზრდა, 1958 წელს. თანდაყოლილი გულის მანკით. ისიც გაირკვა, რომ მე უნაყოფო ვარ. შვილი არ გაგვიჩნდა. ამიტომ ვძულვარ ჰარალდს.

– იმიტომ, რომ ედიტი შეირთეთ ცოლად.

– მისი სიტყვებს გავიმეორებ: „იმიტომ, რომ ბინძური ებრაელი კახპა შევირთე ცოლად“.

– ჰარალდი ნამდვილი შერეკილია.

– უკეთესად მეც კი ვერ დავახასიათებდი მას.

თავი X

ხუთშაბათი, 9/I – პარასკევი, 31/I

Hedestads-Kuriren-ის მიხედვით, ბლუმკვისტის პირველი თვე მიყრუებულ სოფელში, ჰედესტადის ისტორიაში – ან ჰენრიკ ვანგერის თქმით, სულ ცოტა 1942 წლის ომიანი ზამთრის შემდეგ – ყველაზე ცივი იყო. ბლუმკვისტი ერთ კვირაში დაუმეგობრდა კალსონებს, მატყლის წინდებს და სქელ, ყელიან სვიტერებს.

შუა თვეში ტემპერატურა -37°C გრადუსამდე დაეცა. ბლუმკვისტს თვით ლაპლანდიაში სამხედრო სამსახურის გავლისასაც არ შესცივნია ასე.

ერთ დილას წყლის მილები გაიყინა. საჭმლის მოსამზადებლად და ჭურჭლის გასარეცხად წყალი ნილსონებისგან ორი პლასტმასის ბიდონით წამოიღო. ოთახებში ფანჯრის მინები სულ იორთქლებოდა და რამდენი შეშაც უნდა შეეკეთებინა ღუმელში, მაინც სციოდა. ფარდულში საათობით აპობდა შეშას.

დროდადრო ისე შეწუხდებოდა, რომ პირველივე მატარებლით სტოკჰოლმში გამგზავრებასაც ფიქრობდა, მაგრამ ამისგან როგორღაც თავს იკავებდა. კიდევ ერთ სვიტერს გადაიცვამდა, საბანს შემოიხვევდა და ყავის ფინჯნით ხელში მაგიდას მიუჯდებოდა საგამოძიებო მასალების წასაკითხად.

ამასობაში ამინდიც გამოკეთდა და ტემპერატურამ -10°C გრადუსამდე აიწია.

მიქაელი ნელ-ნელა ეცნობოდა ჰედების მკვიდრთ. მარტინ ვანგერმა პირობა შეასრულა და ერთ დღეს ცხენირმის მწვადზე დაპატიჟა სადილად. მათ მარტინის ნაცნობი ქალიც შეუერთდა. ევა თბილი, კომუნიკაბელური და მხიარული ქალი აღმოჩნდა. ბლუმკვისტს ის ძალიან მიმზიდველი მოეჩვენა. ევა დანტისტი იყო და ჰედესტადში ცხოვრობდა, მაგრამ შაბათ-კვირას მარტინის სახლში ატარებდა.

გაირკვა, რომ ისინი უკვე წლები იყო ერთმანეთს იცნობდნენ, მაგრამ შეხვედრები მხოლოდ საშუალო ასაკში შესვლის შემდეგ დაეწყოთ. ოღონდ, დაქორწინებას მაინც არ აპირებდნენ.

– ევა ჩემი პირადი დანტისტია, – სიცილით აღნიშნა მარტინმა.

– და ამ გიჟების ოჯახთან დანათესავება სულაც არ შედის ჩემს გეგმებში, – დაამატა ევამ მარტინის მუხლზე ხელის ტყაპუნით.

მარტინ ვანგერს ვილა თეთრი, შავი და მოქრომული ავეჯით მოერთო. მოხდენილი დიზაინის რამდენიმე ძვირფასი ნივთი დახვეწილი გემოვნების მქონე კრისტერ მალმსაც კი მოხიბლავდა. სამზარეულო ნებისმიერი შეფ-მზარეულის სტანდარტებს დააკმაყოფილებდა. სასტუმრო ოთახში ხმის გამაძლიერებლიანი სტერეომოწყობილობა იდგა, ხოლო მის გვერდით ტომი დორსის და ჯონ კოლტრეინის კომპაქტ-დისკების შთამბეჭდავი კოლექცია ელაგა. მარტინ ვანგერს ფული არ აკლდა და სახლი მდიდრულად და კომფორტულად მოეწყო. თუმცა, საკმაოდ უსახურადაც. კედლებზე ცნობილი ტილოების რეპროდუქციები და პოსტერები ეკიდა – ასეთებს IKEA-ს მაღაზიებშიც ადვილად იშოვით. „კიდევ კარგი, „შვედური ენციკლოპედია“ მაინც უდევს თაროზე (ყოველ შემთხვევაში, იმ ოთახებში, სადაც იმყოფებოდა, წიგნების სხვა კარადა არსად უნახავს)“, – გაიფიქრა ბლუმკვისტმა. დანარჩენი კი ფოტოალბომები იყო, საშობაოდ ან სხვა რომელიმე დღესასწაულზე რომ ჩუქნიან, როცა ორიგინალური იდეები გამოელევათ. ერთი სიტყვით, როგორც ბლუმკვისტმა დაასკვნა, მარტინ ვანგერს ორი გატაცება ჰქონდა ცხოვრებაში: მუსიკა და საჭმელი. ამაზე მისი სამი ათასზე მეტი ფირფიტისგან შემდგარი კოლექცია და სქელი ღიპი მიანიშნებდა.

მარტინი უბრალო, თავაზიანი და გონიერი კაცი იყო. დიდი ანალიტიკური აზროვნება არ სჭირდებოდა იმის დადგენას, რომ „ვანგერების კორპორაციის“ გენერალურ დირექტორს ბევრი პრობლემა აწუხებდა. „ტუნისის ღამეს“ უსმენდნენ, როცა მარტინმა დაუფარავად განუცხადა ბლუმკვისტს, ჩვენი კომპანია გადარჩენისთვის იბრძვისო. მართალია, იცოდა, რომ მისი სტუმარი ეკონომიკური მიმომხილველი იყო, მაგრამ მაინც დაუდევრად გაუმხილა კომპანიის შიდა პრობლემები. შეიძლება, იფიქრა, რომ ბლუმკვისტი უკვე ოჯახის ახლობელი იყო, რაკი მის დიდ ბიძასთან მუშაობდა. წინა გენერალური დირექტორის მსგავსად, მარტინსაც მიაჩნდა, რომ კომპანიის მძიმე მდგომარეობაზე პასუხისმგებლები მხოლოდ ოჯახის წევრები იყვნენ. მეორე მხრივ, ჰენრიკისგან განსხვავებით, ვანგერების სრულ იდიოტიზმს ძალიან ლაღად უყურებდა. ევა მარტინს თავს უქნევდა, მაგრამ საკუთარი მოსაზრება არ გამოუთქვამს. როგორც ჩანდა, ეს საკითხი ადრეც განეხილათ და ერთმანეთს ეთანხმებოდნენ.

მარტინმა დაიჯერა, რომ ბლუმკვისტი საოჯახო ქრონიკების აღსაწერად დაიქირავეს და იკითხა, საქმე როგორ მიდისო. ბლუმკვისტმა ღიმილით უპასუხა, ამდენი

სახელის დამახსოვრება ძალიან მიჭირსო. მერე ითხოვა, კიდევ გინახულებთ და ოჯახზე თქვენც გაგესაუბრებითო. ორჯერ სცადა ჰარიეტის გაუჩინარებაზე ჩამოეგდო სიტყვა. ჰენრიკ ვანგერი უთუოდ გააცნობდა თავის თეორიებს დაკარგული გოგონას ძმას და ურიგო არ იქნებოდა, თუ მარტინს თავიდანვე ეცოდინებოდა, რომ ბლუმკვისტი ოჯახის ისტორიის აღწერისას აუცილებლად შეეხებოდა ოჯახის ერთ-ერთი წევრის უჩვეულო ვითარებაში გაუჩინარებას. თუმცა, მარტინს ამ თემის განხილვის არანაირი სურვილი არ გამოუმჟღავნებია.

სადილობა ნაშუაღამევს რამდენიმე სირჩა არყის გადაკვრით დასრულდა. შეზარხოშებულმა ბლუმკვისტმა სახლამდე სამასიოდე მეტრი მოყინულ გზაზე ბარბაც-ბარბაცით იარა. საღამომ მშვენივრად ჩაიარა.

ჰედებიზე ჩასვლიდან მეორე კვირის მიწურულს ბლუმკვისტის სახლის კარზე კაკუნი გაისმა. ბლუმკვისტმა წუთით ადრე გადაშლილი რიგით მეექვსე საქაღალდე განზე გადადო და კაბინეტიდან გამოსულმა კარიც გამოიხურა. შემოსასვლელ კართან თბილად ჩაფუთნილი ქერა ქალი იდგა.

– გამარჯობა. ვიფიქრე, მივალ და გავეცნობი-მეთქი. მე სესილია ვანგერი ვარ.

ბლუმკვისტმა ხელი ჩამოართვა და სტუმარი ფინჯან ყავაზე შეიპატიჟა. სესილია, ჰარალდ ვანგერის ქალიშვილი, გულღია და საინტერესო ადამიანი აღმოჩნდა. ბლუმკვისტს გაახსენდა, რომ ჰენრიკ ვანგერმა ის დადებითად შეაფასა და აგრეთვე აღნიშნა, სესილია მეზობლად მცხოვრებ მამას არ ელაპარაკებაო. მიქაელმა და სესილიამ კარგა ხანს ისაუბრეს, სანამ ქალი სტუმრობის ნამდვილ მიზეზს გაუმხელდა.

– გასაგებია, რომ ჩვენს ოჯახზე წიგნს წერთ, – თქვა მან, – ეს ფაქტი დიდად არ მაღელვებს. უბრალოდ, დავინტერესდი, როგორი პიროვნება ხართ.

– როგორ გითხრათ, მე ჰენრიკ ვანგერმა დამიქირავა და მხოლოდ და მხოლოდ მის ისტორიას აღვწერ.

– ჩვენი კეთილი ჰენრიკი კი ოჯახის მიმართ არცთუ კეთილადაა განწყობილი.

ბლუმკვისტმა ყურადღებით შეათვალიერია სესილია, ვერ მიუხვდა, საით მიჰყავდა საუბარი.

– წინააღმდეგი ხართ, რომ ვანგერების ოჯახზე წიგნი დაიწეროს?

– მე ეს არ მითქვამს. თანაც ჩემს აზრს დიდი მნიშვნელობა არ აქვს. თუმცა, ალბათ უკვე უნდა იცოდეთ, რომ ამ ოჯახის წევრობა არც ისე იოლი საქმეა.

ბლუმკვისტმა არ იცოდა, ჰენრიკ ვანგერმა რა გაუმხილა და სესილიამ რა შეიტყო მის დავალებაზე, ამიტომ მხრები აიჩეჩა:

– მე ბიძათქვენმა დამიქირავა, რომ ოჯახის ისტორია აღვწერო. მას ოჯახის ამა თუ იმ წევრზე განსხვავებული შეხედულება გააჩნია, მაგრამ მე დოკუმენტური პროზის საზღვრებს არ გავცდები.

სესილია ვანგერმა ცივად გაუღიმა.

– მხოლოდ ეს მაინტერესებს: წიგნის გამოსვლის შემდეგ ჰედებიდან გადასახლება ან ემიგრაციაში წასვლა ხომ არ მომიწევს?

– არა მგონია, – უპასუხა ბლუმკვისტმა, – მკითხველი ადვილად გაარჩევს ვინაა კარგი და ვინ – ცუდი.

– მაგალითად, მამაჩემი?

– მამათქვენი – ცნობილი ნაცისტი? – კითხვითვე უპასუხა ბლუმკვისტმა.

სესილია ვანგერმა თვალები აატრიალა.

– მამაჩემი შერეკილია. წელიწადში ერთი-ორჯერ თუ ვხვდები ხოლმე.

– მისი ნახვა რატომ არ გინდათ?

– ერთი წუთით, სანამ შეკითხვებს მომაყრიდეთ... ჩემს სიტყვებს წიგნში შეიტანთ? თუ შემიძლია ჩვეულებრივად გესაუბროთ?

– ჩემი დავალებაა აღვწერო თქვენი ისტორია ალექსანდერ ვანგეერსადის მეფე ბერნადოტთან ერთად შვედეთში ჩამოსვლიდან ოჯახის ახლანდელ მდგომარეობამდე. აუცილებლად შევეხები, როგორ იქმნებოდა ვანგერების ბიზნეს-იმპერია, მაგრამ ვერც ამ იმპერიის დღევანდელ სირთულეებსა და ოჯახის წევრებს შორის დაძაბულ ურთიერთობებზე დავხუჭავ თვალს. ამგვარი წიგნის წერისას შეუძლებელია, ბინძური თეთრეული გარეთ არ გამოიფინოს. თუმცა, ეს არ ნიშნავს, რომ ოჯახის რომელიმე წევრის ავაზაკად გამოყვანას ვაპირებ. მაგალითად, მარტინ ვანგერს უკვე შევხვდი და ძალიან კარგ პიროვნებად მომეჩვენა. ასეც დავახასიათებ.

სესილია ვანგერმა არაფერი უპასუხა.

– თქვენზე ის ვიცი, რომ მასწავლებელი ხართ...

– უფრო უარესი – ჰედესტადის მოსამზადებელი სკოლის დირექტორი.

– მაპატიეთ. ისიც ვიცი, რომ ბიძათქვენს ძალიან უყვარხართ; გათხოვილი ხართ, მაგრამ ქმართან აღარ ცხოვრობთ... ჯერჯერობით სულ ესაა. გთხოვთ, თამამად მესაუბროთ თქვენზე და ნუ შეგეშინდებათ იმისა, რომ თქვენს სიტყვებს წიგნში შევიტან. როცა თქვენგან ოფიციალური პასუხი დამჭირდება, მე თვითონ მოგადგებით და თავად გადაწყვეტთ, რაზე მიპასუხოთ და რაზე – არა.

– რასაც ახლა ვილაპარაკებ, არ დაბეჭდავთ?

– არა.

– ანუ, როგორც ჟურნალისტები იტყვიან, ეს საუბარი არ იწერება?

– არა. ეს მეზობლური სტუმრობაა.

– კარგი, მაშინ, შეიძლება რაღაც გკითხოთ?

– დიახ.

– ეს წიგნი ჰარიეტსაც შეეხება?

ბლუმკვისტმა ტუჩზე იკბინა, მაგრამ ხმამაღლა, რაც შეიძლებოდა, აუღელვებლად წარმოთქვა:

– სიმართლე გითხრათ, წარმოდგენა არ მაქვს. შეიძლება, ერთი თავი დაეთმოს. ბოლოს და ბოლოს, ამ უბედურმა შემთხვევამ მთელ ოჯახზე თუ არა, ბიძათქვენის ცხოვრებაზე მაინც ცუდად იმოქმედა.

– მისი გაუჩინარების მიზეზების დადგენასაც ეცდებით?

– ეს რამ გაფიქრებინათ?

– იმან, რომ ნილსონმა ოთხი მძიმე ყუთი შემოათრია თქვენს სახლში. ჩემი აზრით, წლების განმავლობაში ჰენრიკის მიერ მოძიებული მასალები იყო. ჰარიეტის ძველ ოთახში შევიხედე, სადაც ჰენრიკი ინახავდა ხოლმე და ყუთები იქ აღარ დამხვდა.

სესილია ვანგერი აშკარად გონიერი ქალი იყო.

– ამ საკითხზე ჰენრიკს უნდა დაელაპარაკოთ და არა – მე, – უთხრა ბლუმკვისტმა, – თუმცა, რასაკვირველია, ჰენრიკმა გოგონას გაუჩინარებაზე ბევრი რამ მიამბო. ვიფიქრე, საინტერესო იქნებოდა, შეგროვებული მასალებისთვის თვალი გადამევლო.

სესილიამ ისევ უხალისოდ გაიღიმა.

– ხანდახან მეეჭვება, ვინ უფრო გიჟია, მამაჩემი თუ ბიძაჩემი. ალბათ ათასჯერ მომისმენია ჰენრიკისგან ჰარიეტის გაუჩინარების ამბავი.

– თქვენ რას ფიქრობთ, რა დაემართა გოგონას?

– ეს შეკითხვა ოფიციალურია?

– არა, – გაეცინა ბლუმკვისტს, – უბრალოდ, მაინტერესებს.

– მე კიდევ ის მაინტერესებს, თქვენც შერეკილი ხომ არ ხართ – ჰენრიკის მტკიცებულებებმა დაგაჯერათ თუ თვითონ შეუჩიჩხინეთ ჰენრიკს.

– ფიქრობთ, რომ ჰენრიკი შერეკილია?

– ცუდად ნუ გამიგებთ. ის ჩემს ნაცნობებს შორის ყველაზე კეთილი და გულისხმიერი ადამიანია და ძალიან მიყვარს. მაგრამ ამ კონკრეტულ შემთხვევაში, გიჟური იდეები აწუხებს.

– მაგრამ ჰარიეტი მართლა გაუჩინარდა.

– მეზიზღება ამ ამბის გახსენება. ათეულობით წელია, სიცოცხლეს გვიშხამავს ყველას, – უცებ სესილია წამოხტა და ქურქი შემოიცვა, – უნდა წავიდე. სასიამოვნო ადამიანი ჩანხართ. მარტინმაც ასე მითხრა, მაგრამ მის მოსაზრებებს ყოველთვის არ ვენდობი. შეგიძლიათ ნებისმიერ დროს მესტუმროთ ყავაზე. საღამოობით უმეტესად შინ ვარ ხოლმე.

– გმადლობთ, – უთხრა ბლუმკვისტმა, – მაგრამ თქვენ არაოფიციალურ შეკითხვაზე მაინც არ მიპასუხეთ.

სესილია კართან შეყოვნდა.

– წარმოდგენა არ მაქვს. ჩემი აზრით, უბედურება შეემთხვა. ალბათ ისე უბრალოდ მოხდა ყველაფერი, რომ თუ ოდესმე დავადგენთ მიზეზს, შეიძლება, არც დავიჯეროთ.

სესილია მხოლოდ პასუხის გაცემის შემდეგ მოტრიალდა, ამჯერად თბილად გაუღიმა ბლუმკვისტს და წავიდა.

თუ სესილია ვანგერთან პირველმა შეხვედრამ მეტ-ნაკლებად სასიამოვნო გარემოში ჩაიარა, იზაბელასთან ბლუმკვისტის შეხვედრაზე იმავეს ვერ იტყოდით. ჰარიეტის დედა ზუსტად ისეთი აღმოჩნდა, როგორც ჰენრიკმა დაახასიათა. გარეგნულად ელეგანტური და ლამაზი იყო, რაღაცით ლორენ ბეკოლსაც კი წააგავდა. „სუზანის კაფეში“ მიმავალი ბლუმკვისტი ერთ დილას შემთხვევით შეხვდა მას. ქალს კარაკულის ქურქი ეცვა, ქურქის შესაფერისი ქუდი ეხურა და შავ ხელჯოხს ეყრდნობოდა. ბებერ ვამპირს ჰგავდა – ჯერ კიდევ მომხიბლავს, მაგრამ გველივით შხამიანს. იზაბელა ვანგერი დილის სეირნობიდან შინ ბრუნდებოდა. მან შორიდან დაუძახა ბლუმკვისტს:

– ეი, მანდ, ახალგაზრდავ, თუ შეიძლება, მომიახლოვდით!

მისი მბრძანებლური კილო ადვილი შესამჩნევი იყო. ბლუმკვისტმა მიმოიხედა, მაგრამ მის გარდა ახლომახლო არავინ იდგა. ამიტომ ბრძანებას დაემორჩილა.

– მე იზაბელა ვანგერი ვარ, – გაეცნო მოხუცი ქალი.

– გამარჯობა. მე მიქაელ ბლუმკვისტი ვარ, – ხელი გაუწოდა კაცმა, მაგრამ ქალმა არ ჩამოართვა.

– ეს თქვენ იქექებით ჩვენი ოჯახის საქმეებში?

– თუ თქვენ გულისხმობთ ადამიანს, ვინც ჰენრიკ ვანგერმა თავის ოჯახზე წიგნის დასაწერად დაიქირავა, მაშინ, დიახ, ეს მე ვარ.

– ეს თქვენი საქმე არაა.

– რა არაა ჩემი საქმე? რაშიც ჰენრიკ ვანგერი ფულს მიხდის?

– მშვენივრად მიხვდით, რასაც ვგულისხმობ. არ მომწონს, რომ ვიღაც ჩემს ცხოვრებაში იქექება.

– მე თქვენს ცხოვრებაში არ ვიქექები. დანარჩენი ჰენრიკ ვანგერთან გაარკვიეთ.

იზაბელამ ხელჯოხი ასწია და მისი თავი მიქაელს მკერდზე მიაბჯინა. ქალს ძალა არ დაუტანებია, მაგრამ გაოცებული ბლუმკვისტი მაინც უკან გახტა.

– იცოდეთ, ახლოს არ გამეკაროთ, – მკაცრად უთხრა ქალმა, დემონსტრაციულად ზურგი აქცია და სახლის მიმართულებით დინჯად გააბიჯა. ბლუმკვისტი, სადაც იდგა, იქვე დარჩა კაცივით, რომელიც წამის წინ კომიქსის ბოროტ გმირს შეხვდა. როცა გამოერკვა და თავი ასწია, თავისი კაბინეტის სარკმელთან მდგარი ჰენრიკ ვანგერი დაინახა. მან ყავის ფინჯანი ასწია და ირონიულად ადღეგრძელა.

იმ ერთი თვის განმავლობაში ბლუმკვისტი სოფლიდან არსად გასულა, მხოლოდ სილიაენის ტბას ესტუმრა მანქანით. ფროდესგან „მერსედესი“ ითხოვა და შუადღით ინსპექტორ მორელთან შესახვედრად წავიდა. გზად, წაკითხულ საპოლიციო მოხსენებებზე დაყრდნობით, ინსპექტორი მორელის პორტრეტის წარმოსახვას ცდილობდა. ცხადში კი გამხდარი მოხუცი შეეგება, რომელიც ნელა დადიოდა და კიდევ უფრო ნელა ლაპარაკობდა.

ბლუმკვისტს ბლოკნოტში პოლიციის ანგარიშების გაცნობისას გაჩენილი ათი შეკითხვა ჰქონდა ჩამოწერილი. მორელმა თითოეულს ზუსტად უპასუხა. ბოლოს ბლუმკვისტმა ბლოკნოტი გვერდზე გადადო და მორელს გაუმხილა, რომ ეს შეკითხვები მხოლოდ მასთან შეხვედრის საბაბად გამოიყენა და სინამდვილეში ერთ მთავარ კითხვაზე აინტერესებდა მისი პასუხი: წერილობით მოხსენებებში გამოძიების მიმდინარეობა დეტალურად იყო აღწერილი თუ არა? იქნებ ინსპექტორს ისეთი მოსაზრებებიც გააჩნდა, რომელიც აქამდე არავისთვის გაემხილა?

ვინაიდან მორელიც, ვანგერის მსგავსად, ამ საქმეს ოცდათექვსმეტი წლის განმავლობაში იძიებდა, ბლუმკვისტს ეგონა, მოხუცი ინსპექტორისგან წინააღმდეგობას გადააწყდებოდა – ვიღაც ჟურნალისტი იმ საქმეში იქექება, რომელსაც მე თავი-ბოლო ვერ გავუგეო. თუმცა, ინსპექტორის პატივმოყვარეობაზე ამას საერთოდ არ უმოქმედია. მორელმა დინჯად დატენა ჩიბუხი და გააბოლა. მერე კი მეგობრულად უპასუხა:

– დიახ, რამდენიმე თეორია მქონდა, მაგრამ იმდენად ბუნდოვანი და ნაკლებად სავარაუდო, რომ მათი სიტყვებით გადმოცემა მიჭირს.

– როგორ გგონიათ, გოგონას რა დაემართა?

– ჩემი აზრით, ჰარიეტი მოკლეს. მე და ჰენრიკი ამაზე ვთანხმდებით. ერთადერთი გონივრული ახსნა ესაა. თუმცა, მკვლელობის მოტივი ვერაფრით დავადგინეთ. ვფიქრობ, სპეციფიკური მიზეზით მოკლეს და სადისტი ან სექსუალური მანიაკი არაფერ შუაშია. მოტივი რომ ვიცოდეთ, მკვლელის ვინაობასაც დავადგენდით, – მორელი წუთით ჩაფიქრდა, – შეიძლება მკვლელობა სპონტანურად მოხდა. მკვლელმა დრო იხელთა, სანამ ყველა ხიდზე მომხდარ ავარიაზე იყო გადართული, გვამი გადამალა და მოგვიანებით, სანამ ჩვენ გოგონას ვეძებდით, თავიდან მოიშორა.

– მაშ, საქმე ცივსისხლიან ბოროტმოქმედთან გვქონია.

– ერთი დეტალია აღსანიშნავი... იმ დღეს ჰარიეტს ჰენრიკთან საუბარი სურდა, თუმცა იცოდა, რომ სახლში დიდი სტუმრიანობა იყო და ჰენრიკს არ ეცალა. ჩემი აზრით, ცოცხალი ჰარიეტი ოჯახის რომელიღაც წევრისთვის საფრთხეს წარმოადგენდა და მიაჩნდა, რომ გოგონა ჰენრიკთან... ასე ვთქვათ, ზედმეტს წამოაყრანტალებდა.

– ჰენრიკი ვისთან ერთად იმყოფებოდა იმ მომენტში?

– ჰენრიკის გარდა ოთახში ოთხი პიროვნება იჯდა. ჰენრიკის ძმა გრეგერი, ბიძაშვილი მაგნუს სიორგენი და ჰარალდის შვილები, ბირგერი და სესილია. თუმცა, ეს არაფერს გვაძლევს. მოდი, ვივარაუდოთ, რომ ჰარიეტმა შეიტყო, როგორ მოიპარა ოჯახის რომელიღაც წევრმა კომპანიის ფული. შეიძლება, ეს ამბავი თვეებით ადრე მოხდა და გოგონა ამის თაობაზე ეჭვიმიტანილს ესაუბრა კიდეც. შეიძლება, მის დაშანტაჟებას ცდილობდა; ანდა ეცოდებოდა და მისი „ჩაშვება“ არ უნდოდა. მაგრამ უცებ გადაწყვიტა, რომ ყველაფერი ჰენრიკისთვის გაემხილა, და სასოწარკვეთილებაში ჩავარდნილ ეჭვმიტანილს მისი მოკვლის გარდა სხვა გზა აღარ რჩებოდა.

– როგორ ფიქრობთ, მკვლელი კაცია თუ ქალი?

– ზოგადად მკველობების უმეტესობას მამაკაცები სჩადიან. თუმცა, ვანგერების ოჯახში რამდენიმე ქალია, რომლებიც არაფერზე დაიხევდნენ უკან.

– იზაბელა ვანგერი უკვე გავიცანი.

– ჰო, ის ერთ-ერთი ასეთთაგანია. სხვებიც არიან. სესილია ვანგერი ძალიან ფიცხია. სარა სიორგენი თუ გაიცანით?

ბლუმკვისტმა თავი უარის ნიშნად გააქნია.

– ის ჰენრიკ ვანგერის ბიძაშვილის, სოფია ვანგერის ქალიშვილია. ძალიან არასასიამოვნო და უსინდისო ქალია. თუმცა, სარა იმ პერიოდში მალმეში ცხოვრობდა და ჰარიეტის მოკვლის არანაირი მიზეზი არ ჰქონდა.

– მაშ, ეჭვმიტანილთა სიიდან ამოსაღებია?

– პრობლემა ისაა, რომ ამდენწლიანი ფიქრისა და ტვინის ჭყლეტის შემდეგაც ვერ დავადგინეთ მკვლელობის მოტივი. ამის გარეშე საქმის გამოძიება შეუძლებელია.

– ნახევარი ცხოვრება ამ საქმეს შეალიეთ. ხომ არ დარჩა ისეთი ვერსია, რომელიც არ განგიხილავთ?

მორელმა ჩაიცინა.

– არა. ამ საქმის გამოძიებას დიდი დრო დავახარჯე და უამრავი ვერსიაც განვიხილე, მაგრამ – სულ უშედეგოდ. ამ საქმის ძიება დაწინაურებისა და ჰედესტადიდან სხვა განყოფილებაში გადასვლის შემდეგაც არ შემიწყვეტია.

– სხვაგან გადახვედით?

– დიახ. მე წარმოშობით ჰედესტადელი არ ვარ. იქ 1963 წლიდან 1968-მდე ვმუშაობდი. მერე დამაწინაურეს და კარიერის დარჩენილი ნაწილი ქალაქ იევლეს განყოფილებაში ვიმუშავე ინსპექტორად. თუმცა, ჰარიეტ ვანგერის გაუჩინარების საიდუმლოს ამოხსნას იქაც ვცდილობდი.

– ალბათ ჰენრიკ ვანგერი არ გეშვებოდათ.

– დიახ. თუმცა, ეს გამოცანა დღემდე არ მასვენებს. ალბათ ხვდებით... ყველა პოლიციელს აქვს თავისი გაუხსნელი საქმე. მახსოვს, ჰედესტადში მუშაობისას უფროსი კოლეგები სასადილოში საუბრობდნენ „რებეკას საქმეზე“. განსაკუთრებით ოფიცერი ტორსტენსონი – სამწუხაროდ, უკვე გარდაიცვალა – ჰყავდა ჩათრეული ამ საქმეს და წლების განმავლობაში უბრუნდებოდა და უბრუნდებოდა მის გამოძიებას. თავისუფალ დროს და შვებულებას სულ ამაში ხარჯავდა. სამსახურშიც, თუ ადგილობრივი ხულიგნები მცირე ხნით დაშოშმინდებოდნენ, ყოველთვის იმ საქაღალდეს გადაშლიდა ხოლმე.

– ის გოგოც დაიკარგა?

მორელი ამ შეკითხვამ გააოცა. მერე მიხვდა, რომ ბლუმკვისტი ორი საქმის დაკავშირებას ცდილობდა და გაეცინა.

– არა, ეს მაგალითი სულ სხვა რამის გამო მოვიყვანე. უბრალოდ, პოლიციელის სულის ჩვენება მინდოდა თქვენთვის. რებეკას საქმე ჰარიეტ ვანგერის დაბადებამდე მოხდა და, დიდი ხანია, დაიხურა. ორმოციან წლებში ჰედესტადში ქალის ცემა, გაუპატიურება და მკვლელობა მაინცდამაინც უცხო არ იყო. ყოველ ოფიცერს თავისი

კარიერის განმავლობაში, თითო ასეთი საქმის გამოძიება მაინც უწევდა. მე ისეთ საქმეებს ვგულისხმობ, რომელთა გამოძიებაშიც მთელი არსებით ხარ ჩართული და თუ ვერ გახსნი, მთელი ცხოვრება ვერ მოისვენებ. რებეკა მხეცურად მოკლეს. მკვლელმა გაკოჭა და თავი ნაკვერჩხლებზე დაადებინა. ძნელი წარმოსადგენია, რამდენ ხანს და რა ძლიერ იტანჯებოდა გოგონა, სანამ მოკვდებოდა.

– ღმერთო დიდებულო.

– დიახ, სადისტურად აწამეს. დანაშაულის ადგილზე პირველად საბრალო ტორსტენსონი მივიდა. ეს მკვლელობა გაუხსნელი დარჩა, მიუხედავად იმისა, რომ სტოკჰოლმიდანაც გამოიძახეს ექსპერტები. ტორსტენსონი კი სიცოცხლის ბოლომდე ცდილობდა ამ საქმის გახსნას.

– მესმის მისი.

– ჩემი „რებეკას საქმე“ კი ჰარიეტის გაუჩინარებაა. ჩემს შემთხვევაში ისიც კი არ ვიცით, გოგონა როგორ მოკვდა; იმასაც კი ვერ ვამტკიცებთ, რომ ნამდვილად მოკლეს. მაგრამ ამ საქმეს ვერასდროს შევეშვები, – მორელი წუთით შეყოვნდა სათანადო სიტყვების შესარჩევად, – მკვლელობის გამოძიება ძალიან მოსაწყენი საქმეა. სულ მარტო რჩები. მოკლულის მეგობრები დამწუხრებულები და სასოწარკვეთილები არიან, მაგრამ ადრე თუ გვიან – რამდენიმე კვირისა თუ თვის შემდეგ – ყოველდღიურ ცხოვრებას უბრუნდებიან. ოჯახს უფრო დიდი დრო სჭირდება მომხდარის დასავიწყებლად, მაგრამ ისინიც კი წყვეტენ წუხილსა და დარდს. ცხოვრება უნდა გაგრძელდეს, ცხოვრება გრძელდება. ბოლოს და ბოლოს მხოლოდ ერთი პიროვნება რჩება, ვისაც გაუხსნელი მკვლელობა გულს უღრღნის და დღედაღამ არ ასვენებს: ეს პოლიციელია, ვინც ამ დანაშაულს იძიებს.

ჰედების კუნძულზე ვანგერების ოჯახის კიდევ სამი წევრი ცხოვრობდა. ხის გარემონტებული სახლი ეკუთვნოდა ალექსანდერ ვანგერს, გრეგერის ძეს, დაბადებულს 1946 წელს. ჰენრიკმა მიქაელს აცნობა, ალექსანდერი ამჟამად ანტილიის კუნძულებს შორის იახტით დაცურავს და, როგორც ყოველთვის, უსაქმურობსო. ჰარიეტის გაუჩინარების დღეს ალექსანდერი ოცი წლისა იყო და ჰენრიკ ვანგერის სახლში იმყოფებოდა.

ალექსანდერი დედასთან, გრეგერ ვანგერის ქვრივ, ოთხმოცი წლის გერდასთან ერთად ცხოვრობდა. ბლუმკვისტს გერდა არ უნახავს, რადგან ქალი ავადმყოფობდა და ლოგინად იყო ჩავარდნილი.

მესამე ჰარალდ ვანგერი იყო. პირველ თვეს ბლუმკვისტს მისთვის თვალი არ მოუკრავს. ბლუმკვისტის ქოხის გვერდით მდგარი ჰარალდის სახლი, თავისი ფანჯრებზე ჩამოშვებული შავი ფარდებით, უჟმური და საშიში ჩანდა. ერთი-ორჯერ, გზად ჩავლისას, ბლუმკვისტმა დაინახა, როგორ შეირხა ფარდა; ერთხელ, გვიან ღამით კი, როცა წვებოდა, ზედა სართულის ფანჯრიდან გამომავალი შუქიც შეამჩნია.

ფარდა სულ ოდნავ გადაეწიათ. მთელი ოცი წუთით ბლუმკვისტი ბნელში იდგა და სამზარეულოს ფანჯრიდან უთვალთვალებდა ჰარალდის სახლს, სანამ სულ მთლად არ გაითოშა და, აკანკალებული, ლოგინში არ ჩაწვა გასათბობად. დილით ჰარალდის სახლის ფანჯრებზე ფარდები ისევ ჩამოფარებული დახვდა.

ჰარალდი თითქოს ავსული იყო, რომელსაც ვერავინ ხედავდა, მაგრამ მის სიახლოვეს ყველა მუდმივად გრძნობდა. ბლუმკვისტი მას ბოროტ გოლლუმს ადარებდა – კაცმა არ იცის, რატომ იმალება თავის გამოქვაბულში და ფარდის უკნიდან უთვალთვალებს მეზობლებსო.

ჰარალდს ყოველდღე აკითხავდნენ სოციალური მომსახურების სააგენტოდან (უმეტესად ასაკოვანი ქალბატონი), მოჰქონდათ საკვები პროდუქტები და სახლის კარამდე მისასვლელ ბილიკს თოვლისგან უწმენდდნენ. როცა ბლუმკვისტმა ჰარალდზე ჩამოუგდო სიტყვა, ნილსონმა თავი გააქნია. უპასუხა, ერთხელ შევთავაზე, გზას მე გაგიწმენდ-მეთქი, მაგრამ ჰარალდმა თავის ეზოში ფეხის შედგმა ამიკრძალაო. მას მერე, რაც ჰარალდი ჰედებიზე დაბრუნდა საცხოვრებლად, ნილსონს მხოლოდ ერთხელ გაეწმინდა მისი სახლისკენ მიმავალი გზა თავისი ტრაქტორით. მაშინაც ჰარალდი გამოვარდნოდა სახლიდან ყვირილით და ხელით ენიშნებინა, ჩემი ეზოდან გაეთრიეო.

სამწუხაროდ, ნილსონი ვერც ბლუმკვისტს უწმენდდა გზას, რადგან მის ეზოში ტრაქტორი ვერ ეტეოდა. ამიტომ თოვლის ახვეტა ნიჩბით უწევდათ.

შუა იანვარში ბლუმკვისტმა თავის ადვოკატს დაავალა გაერკვია, როდის მოუწევდა სამთვიანი სასჯელის მოხდა ციხეში. ეჩქარებოდა. საოცარია, მაგრამ ციხეში ჩაჯდომას სულაც არ უფრთხოდა. რამდენიმეკვირიანი განხილვის შემდეგ სასამართლომ გადაწყვიტა, რომ ბლუმკვისტი ოსტერსუნთან მდებარე რულოკერის მსუბუქი რეჟიმის ციხეში სასჯელის მოხდას 17 მარტს დაიწყებდა. ადვოკატმა ასევე აცნობა, თითქმის გადაწყვეტილია, რომ სასჯელის ვადა შეგიმცირდებაო.

– მშვენიერია, – ყოველგვარი ხალისის გარეშე მიიღო ეს ცნობა ბლუმკვისტმა.

სამზარეულოში მაგიდასთან იჯდა და კატას ეფერებოდა. კატა თითქმის ყოველღამე მოდიოდა ბლუმკვისტთან. ნილსონებმა უთხრეს, ტიორვენი ჰქვია და სამეზობლოში დახეტიალობს, არავის ეკუთვნისო.

ბლუმკვისტი თავის დამსაქმებელს ყოველ ნაშუადღევს ხვდებოდა. ზოგჯერ სულ რამდენიმე წუთით დაილაპარაკებდნენ, ზოგჯერ საუბარს საათობით შეჰყვებოდნენ ხოლმე.

ხშირად ასეთი საუბრებისას ბლუმკვისტი საქმესთან დაკავშირებით საკუთარ თეორიას წამოაყენებდა, მაგრამ ვანგერი უარყოფდა ხოლმე. ამ საქმეში სერიოზულად

ჩართვა არ უნდოდა, მაგრამ გოგონას იდუმალი გაუჩინარების თავსატეხის ამოხსნის ცდუნებას ვერც ბლუმკვისტი უძლებდა.

ბლუმკვისტმა ერიკა ბერგერი დაარწმუნა, ვენერსტრომის წინააღმდეგ სტრატეგიის შემუშავება უკვე დავიწყეო, მაგრამ ჰედესტადში გატარებული პირველი თვის განმავლობაში საქაღალდეები, რომელთა წყალობითაც საოლქო სასამართლოს დარბაზში აღმოჩნდა, ერთხელაც არ გადაუშლია. პირიქით, სპეციალურად მომდევნო დღისთვის გადადებდა ხოლმე ამ საქმეს, რადგან ყოველთვის, როცა ვენერსტრომსა და საკუთარ მდგომარეობაზე დაფიქრდებოდა, დეპრესიაში ვარდებოდა. ისიც კი იფიქრა, მოხუცი ვანგერივით მეც ხომ არ ვგიჟდებიო. პროფესიული რეპუტაცია შეულახეს, თვითონ კი მიყრუებულ სოფელში იმალებოდა და აჩრდილებს დასდევდა.

რა თქმა უნდა, ჰენრიკ ვანგერი ამჩნევდა, რომ ზოგჯერ ბლუმკვისტი წონასწორობიდან გამოდიოდა. იანვრის ბოლოს მოულოდნელი გადაწყვეტილება მიიღო. ყურმილი აიღო და სტოკჰოლმში დარეკა. საუბარი ოც წუთს გაგრძელდა და ძირითადად მიქაელ ბლუმკვისტს შეეხებოდა.

ბერგერს ბრაზის დასაცხრობად თითქმის ერთი თვე დასჭირდა. იანვრის ბოლოს, დილის ათის ნახევარზე დაურეკა ბლუმკვისტს.

– კიდევ დიდხანს უნდა დარჩე მანდ?

ბლუმკვისტი მის ზარს არ ელოდა და ისე დაიბნა, რომ პასუხს თავი ვერ მოაბა. მერე გაიღიმა და საბანი მჭიდროდ შემოიხვია.

– გამარჯობა, რიკი. ერთხელ შენც უნდა მესტუმრო.

– რატომ? რა დამკარგვია მაგ გადაკარგულში?

– ახლახან ყინულივით ცივი წყლით გავიხეხე კბილები. პლომბი ამტკივდა.

– საკუთარ თავს დააბრალე. ისე, სტოკჰოლმშიც ძალიან ცივა.

– მიდი, ყველაფერი მომიყევი.

– სარეკლამო შემოსავლებმა ორმოცდაათ პროცენტზე მეტით იკლო. ვერც ერთი რეკლამის დამკვეთი ვერ გვეუბნება პირდაპირ მიზეზს, მაგრამ...

– ვიცი. სია შეადგინე, ვინ ტოვებს ჩასაძირად განწირულ გემს. ერთხელაც მათზე კარგ სტატიას გამოვაცხობთ.

– მიკე... გამოვთვალე და, თუ ასე გაგრძელდება, შემოდგომაზე გავკოტრდებით.

– ყველაფერი გამოსწორდება.

ყურმილში უხალისო სიცილი გაისმა.

– ჰო, შენ მაგ ჯოჯოხეთურ ყინვაში იჯექი და ელოდე.

– ერიკა, მე...

– ვიცი. კაცმა თავისი საქმისა თვითონ იცის და მსგავსი აბდაუბდა... არაფრის დამატება აღარაა საჭირო. მაპატიე, რომ ძუკნასავით ვიქცეოდი და შენს სატელეფონო ზარებს და შეტყობინებებს არ ვპასუხობდი. შეიძლება ყველაფერი თავიდან დავიწყოთ? ნებას მომცემ, რომ მანდ გინახულო?

– რასაკვირველია.

– მგლებზე სანადირო თოფი ხომ არ წამოვიღო?

– არაა საჭირო. აქ ლაპლანდიელი მარეკებიც გვყავს, მარხილში შესაბმელი ძაღლებიც და არც აღჭურვილობა გვაკლია. როდის ჩამოხვალ?

– პარასკევს საღამოს. გაწყობს?

კარამდე გაკვალული ბილიკის გარდა, მთელ ეზოში ერთი მეტრი თოვლი იდო. ბლუმკვისტმა ნიჩაბს სკეპტიკურად გახედა, მერე ნილსონებთან მივიდა და სთხოვა, თუ შეიძლება ერიკამ თავისი BMW თქვენთან დააყენოსო. ნილსონებს დიდი გარაჟი ჰქონდათ, ამიტომ უპრობლემოდ დართეს ნება. ის კი არა, დაჰპირდნენ გამათბობლებსაც ჩავრთავთ, რომ მანქანის ძრავა არ გაიყინოსო.

ბერგერი შუადღით გავიდა სტოკჰოლმიდან და ჰედების კუნძულზე საღამოს ექვს საათზე ჩავიდა. ის და ბლუმკვისტი რამდენიმე წამს უხმოდ შეჰყურებდნენ ერთმანეთს, მერე გადაეხვივნენ.

ღამით სოფლის განათებული ეკლესიის გარდა სანახავი მაინც არაფერი იყო, ხოლო „სუზანის კაფე“ და „კონსუმის“ მაღაზია უკვე იკეტებოდა, ამიტომ პირდაპირ სახლში შევიდნენ. სანამ ბლუმკვისტი სადილს ამზადებდა, ბერგერი მის სახლს ათვალიერებდა, Rekordmagasinet-ის ორმოცდაათიანი წლების ნომერზე შენიშვნებს აკეთებდა და მაგიდაზე დახვავებულ საქაღალდეებში იქექებოდა.

ცხვრის კატლეტები არაჟანში ჩაწყობილ მოხარშულ კარტოფილთან ერთად მიირთვეს და ზედ წითელი ღვინო დააყოლეს. ბლუმკვისტმა ტელეფონით დაწყებული საუბრის გაგრძელება სცადა, მაგრამ ბერგერი „მილენიუმზე“ საუბრის განწყობაზე არ იყო. ამიტომ მთელი ორი საათი ბლუმკვისტსა და მის აქაურ სამუშაოზე ილაპარაკეს; ბერგერს აინტერესებდა, როგორ შეეწყვნენ ის და ჰენრიკ ვანგერი ერთმანეთს. მოგვიანებით კი საწოლის გამოცდის დროც დადგა.

ნილს ბიურმანთან მესამე შეხვედრის თარიღმა იმავე პარასკევს ხუთ საათამდე გადაიწია. წინა შეხვედრებისას სალანდერს მუშკის სურნელიანი შუახნის მდივანი

ეგებებოდა, მაგრამ ის უკვე წასულიყო. ბიურმანს ალკოჰოლის სუნი ასდიოდა. მან ხელით ანიშნა სალანდერს, სავარძელზე დამჯდარიყო, თვითონ კი მაგიდაზე მიმოფანტულ ქაღალდებში ქექვა განაგრძო. რამდენიმე წუთის შემდეგ თავი ასწია, თითქოს გაახსენდა, რომ სტუმარი ჰყავდა.

ისევ დაკითხვა დაიწყო. ამჯერად სალანდერის სექსუალური ცხოვრების დეტალები აინტერესებდა, თავად გოგონას კი ამ საკითხის არავისთან და, მით უმეტეს, ბიურმანთან განხილვის სურვილი არ ჰქონდა.

შეხვედრიდან გამოსული სალანდერი ხვდებოდა, რომ რთულ საქმეს თავი ვერ გაართვა. თავიდან შეკითხვებზე პასუხს არ სცემდა. ეს ბიურმანმა სალანდერის სიმორცხვის, ჭკუასუსტობის და გულჩათხრობილობის გამოვლინებად მიიჩნია და უფრო ჩაეძია. სალანდერი მიხვდა, რომ ბიურმანი არ მოეშვებოდა და გადაწყვიტა მოკლე, უფერული პასუხები გაეცა, როგორიც მის ფსიქოლოგიურ პორტრეტს შეესაბამებოდა. ვიღაც გენიოსი პროგრამისტი „მაგნუსი“ ახსენა, რომელიც ვითომ მისი ასაკისა იყო, წესიერად ექცეოდა, კინოში პატიჟებდა და ხანდახან მასთან სექსიც ჰქონდა. სინამდვილეში არანაირი „მაგნუსი“ არ არსებობდა და იქვე, საუბრისას გამოიგონა. ბიურმანმა კი „მაგნუსი“ სალანდერის სექსუალური ცხოვრების დეტალების გამოსაკითხად გამოიყენა.

– რამდენად ხშირად გაქვთ სექსი?

– ხანდახან.

– ინიციატივას ვინ იჩენს?

– მე.

– პრეზერვატივს თუ იყენებთ?

– რასაკვირველია. შიდსზე მეც მსმენია.

– შენი საყვარელი პოზა რომელია?

– ჰმმ, ჩვეულებრივ, ზურგზე ვწევარ.

– ორალური სექსი მოგწონს?

– ეე... ერთი წამით...

– ანალური სექსი თუ გქონია ოდესმე?

– არა. დიდად სასიამოვნო არაა, ტრაკში რომ გტყნავენ. მაგრამ, რა თქვენი საქმეა, რომ მეძიებით?

მხოლოდ ამ შეკითხვამ გამოიყვანა წყობილებიდან. დანარჩენ დროს თავდახრილი პასუხობდა, რომ თვალებს მისი გაღიზიანება არ გაეცა. როცა თავი ასწია, ბიურმანი მაგიდის მეორე მხრიდან უღიმოდა. გულისრევის შეგრძნებით გამოვიდა კაბინეტიდან. პალმგრენს ასეთი შეკითხვების დასმა აზრადაც არ მოუვიდოდა, თუმცა, მასთან ნებისმიერ თემაზე შეეძლო საუბარი. ოღონდ, სალანდერს, რასაკვირველია, არასდროს გასჩენია ამის სურვილი.

ბიურმანი მალე დიდ პრობლემად მექცევაო, გაიფიქრა სალანდერმა.

თავი XI

შაბათი, 9/II – სამშაბათი, 18/II

შაბათს, ზამთრის ხანმოკლე დღის მიწურულს, ბლუმკვისტმა და ბერგერმა ოსტერგორდენის ფერმისკენ მიმავალი გზის გასწვრივ ნავსადგურში გაისეირნეს. უკვე ერთი თვე იწურებოდა, რაც ბლუმკვისტი ჰედებიზე დასახლდა, მაგრამ კუნძული ჯერაც არ დაეთვალიერებინა, რადგან ხშირი ყინვა და ქარბუქი უშლიდა ხელს. შაბათი მზიანი და შედარებით თბილი იყო, თითქოს ბერგერმა თან გაზაფხული მოიყოლაო. ორივე მხრიდან ერთმეტრიანი თოვლის ნამქერით შემოსაზღვრულ გზას მიუყვებოდნენ. საზაფხულო აგარაკებს გასცდნენ თუ არა, ხშირ ნაძვნარში აღმოჩნდნენ. ხის კოტეჯებს მიღმა აღმართული სედერის მთა იმაზე მაღალი და მიუდგომელი აღმოჩნდა, ვიდრე ეს ბლუმკვისტის სახლიდან ჩანდა. ალბათ ჰარიეტს ბავშვობაში ამ მთის ფერდობებზე ბევრჯერ უთამაშიაო, გაიფიქრა ბლუმკვისტმა, მაგრამ მსგავსი ფიქრები სწრაფადვე ამოიგდო თავიდან. კილომეტრ-ნახევრის გავლის შემდეგ ღობეს მიადგნენ და ტყეც დამთავრდა. ღობის მიღმა ოსტერგორდენის ფერმა მდებარეობდა, მოჩანდა თეთრი ხის კოტეჯი და მის გარშემო აგებული წითელი ბეღლები და ფარდულები. მოსიერნეები უკან იმავე გზით დაბრუნდნენ.

როცა ჰენრიკ ვანგერის სახლს ჩაუარეს, ზედა სართულის ფანჯარაზე კაკუნი გაისმა. ფანჯარასთან მოხუცი იდგა და ორივეს ზემოთ ეპატიჟებოდა. ბლუმკვისტმა და ბერგერმა ერთმანეთს გადახედეს.

– გინდა ლეგენდარულ მეწარმეს შეხვდე? – ჰკითხა ქალს მიქაელმა.

– არ იკბინება?

– შაბათობით არა.

ჰენრიკ ვანგერი მათ კაბინეტის კართან დახვდა.

– თუ არ მეშლება, თქვენ ფრეკენ ბერგერი ხართ, – მიმართა ერიკას, – მიქაელს არ უთქვამს, რომ ჰედებიზე აპირებდით ჩამოსვლას.

ბერგერს უცნობებთან საერთო ენის გამონახვის განსაკუთრებული ნიჭი ჰქონდა. ბლუმკვისტი ბევრჯერ შესწრებია, ერიკა ათ წუთში როგორ ახვევდა თავბრუს ხუთი წლის ბიჭუნებს, რომლებიც მზად იყვნენ მშობელი დედებიც მიეტოვებინათ. როგორც ჩანდა, გამონაკლისს არც ოთხმოცს გადაცილებული მამაკაცები წარმოადგენდნენ. ზუსტად ორ წუთში ვანგერმა და ბერგერმა ისეთი საუბარი გააბეს, რომ ბლუმკვისტი სულ მიავიწყდათ. ისე მეგობრულად ლაყბობდნენ, თითქოს ბავშვობიდან – ყოველ შემთხვევაში, ერიკას ბავშვობიდან მაინც – იცნობდნენ ერთმანეთს.

ბერგერმა უშიშრად უსაყვედურა ვანგერს, თანამშრომელი რატომ წამართვითო. მოხუცმა უპასუხა (ეს ალბათ, საგაზეთო სტატიების მიხედვით დაასკვანაო, გაიფიქრა ბლუმკვისტმა), რომ ბერგერმა თავად დაითხოვა ბლუმკვისტი; და თუ არ დაგითხოვიათ, მაშინ ახლა საუკეთესო დროა, რედაქცია ბალასტისგან გაათავისუფლოთო. ვანგერის თქმით, მცირეხნიანი შვებულება სოფელში ბლუმკვისტს სწორედ რომ წაადგებოდა და გონს მოიყვანდა.

მთელი ხუთი წუთი ბლუმკვისტის ნაკლოვანებების ჩამოთვლას დაუთმეს. ბლუმკვისტი განაწყენებული სახით გადაწვა სკამის საზურგეზე. თუმცა, როცა ბერგერმა გადაკვრით მიანიშნა მის ჟურნალისტურ სისუსტეზე, მაგრამ იმავდროულად სექსუალურ სიძლიერეს ხაზი გაუსვა, ბლუმკვისტი მართლა მოიღუშა. ჰენრიკ ვანგერი ხმამაღლა ახარხარდა.

ბლუმკვისტი გაოცდა. ასეთ ლაღ და ბუნებრივ ჰენრიკ ვანგერს პირველად ხედავდა. ორმოცდაათი ან თუნდაც ოცდაათი წლის წინ გაცილებით ახალგაზრდა ჰენრიკი ქალების გულთამპყრობელი მამაკაცი იქნებოდაო, გაიფიქრა გულში. თუმცა, ვანგერი ხელმეორედ აღარ დაქორწინებულა. რასაკვირველია, ცხოვრების გზაზე ბევრ ქალს გადაეყრებოდა, მაგრამ ცოლის გარდაცვალებიდან თითქმის ნახევარი საუკუნის შემდეგაც მარტოხელად რჩებოდა.

ბლუმკვისტმა ყავა მოსვა და უცებ ყურები ცქვიტა, რადგან საუბრის თემა შეიცვალა და სიტყვა „მილენიუმზე“ ჩამოვარდა.

– მიქაელმა მითხრა, რომ ჟურნალს პრობლემები აქვს, – ბერგერმა ბლუმკვისტს გახედა, – არა, მას რედაქციის შიდა სამზარეულო არ გაუმხელია, მაგრამ ყრუ და ბრმა უნდა იყო, რომ თქვენი ჟურნალის გაჭირვებას ვერ ხედავდე; ისევე როგორც – „ვანგერების კორპორაციისას“.

– დარწმუნებული ვარ, ვითარებას გამოვასწორებთ, – მტკიცედ უპასუხა ბერგერმა.

– მეეჭვება, – თქვა ვანგერმა.

– რატომ?

– მოდი, ვნახოთ... სულ რამდენი თანამშრომელი გყავთ? ექვსი? ყოველთვიური ჟურნალი 21 000-იანი ტირაჟით. ბეჭდვის ხარჯი, ხელფასები, დისტრიბუცია, ოფისი... სულ ცოტა, წლიურად 10 მილიონიანი შემოსავალი მაინც უნდა გქონდეთ. თქვენც კარგად იცით, რომ აქედან ნახევარი სარეკლამო შემოსავლებზე უნდა მოდიოდეს.

– მერე?

– მერე ის, რომ ჩვენი მეგობარი ვენერსტრომი ავგული და მეწვრილმანე გარეწარია, რომელიც პიროვნულ წყენას იოლად არ ივიწყებს. ბოლო ექვს თვეში სულ რამდენი რეკლამის დამკვეთი დაკარგეთ?

ბერგერმა ფრთხილი მზერა მიაპყრო ვანგერს. ბლუმკვისტს სუნთქვა შეეკრა. როცა ის და ვანგერი საუბრობდნენ „მილენიუმზე“, ვანგერი ყოველთვის მოსაბეზრებელ შენიშვნებს აკეთებდა და მხოლოდ იმით ინტერესდებოდა, ჟურნალისადმი ბლუმკვისტის დამოკიდებულება ჰედესტადში მის მუშაობაზე როგორ აისახებოდა. ახლა კი ჰენრიკ ვანგერი პირადად ერიკა ბერგერს მიმართავდა, როგორც ერთი დაწესებულების შეფი მეორეს. მათ შორის აზრთა უხმო გაცვლა-გამოცვლა მიმდინარეობდა, მაგრამ ბლუმკვისტი ამ ჩუმ სიგნალებს ვერ ამჩნევდა; ის ხომ ნორლანდელ მშრომელთა კლასის ერთი უბრალო წარმომადგენელი იყო, ბერგერი კი – მდიდართა კლასის, ცნობილი და გავლენიანი ოჯახისა.

– შეიძლება კიდევ დამისხათ ყავა? – ითხოვა ბერგერმა. ვანგერმა მაშინვე შეუვსო ფინჯანი, – ვხედავ, კარგად მომზადებულხართ. სულს ვღაფავთ.

– რამდენი ხანი დაგრჩათ?

– ექვსი თვე გვაქვს ვითარების გამოსასწორებლად. მაქსიმუმ რვა. ჩვენი ფინანსური რესურსებით მეტს ვეღარ გავძლებთ.

მოხუცმა არაფრის მთქმელი გამომეტყველებით გაიხედა ფანჯარაში. ეკლესია თავის ადგილზე იდგა.

– იცით, რომ მე ერთ დროს საგამომცემლო ბიზნესიც მქონდა? – ამჯერად ორივეს მიმართა ჰენრიკ ვანგერმა.

ბლუმკვისტმა და ბერგერმა ერთდროულად გააქნიეს თავი. ვანგერმა უხალისოდ ჩაიცინა.

– 50-60-იან წლებში ნორლანდში ექვს გაზეთს ვფლობდით. მამაჩემის იდეა იყო – მიაჩნდა, რომ გაზეთები პოლიტიკურად ზურგს გაგვიმაგრებდა. სხვათა შორის,

დღემდე Hedestads-Kuriren-ის თანამეპატრონეები ვართ. ჰარალდის ვაჟი, ბირგერი, – დააზუსტა ბლუმკვისტის გასაგონად, – აქციონერთა საბჭოს თავმჯომარეა.

– ის ადგილობრივი საკრებულოს წევრიცაა, – თქვა ბლუმკვისტმა.

– საბჭოში მარტინიც შედის. ბირგერს თვალს ადევნებს.

– კუთვნილი გაზეთები რატომ დათმეთ? – ჰკითხა ვანგერს ბლუმკვისტმა.

– სამოციანებში კორპორაციის რესტრუქტურიზაცია მოხდა. საგამომცემლო ბიზნესი ჩვენთვის უფრო ჰობი იყო და სინამდვილეში არ გვაინტერესებდა. ბიუჯეტის შეკვეცის მიზნით, პირველად სწორედ გაზეთები გავყიდეთ. თუმცა, კარგად ვიცი, რამდენ რამეს მოითხოვს გაზეთის გამოცემა... შეიძლება, პირადული შეკითხვა დაგისვათ?

ვანგერი ბერგერს მიმართავდა.

– მიქაელისთვის არ მიკითხავს და, თუ არ გინდათ, ნურც თქვენ მიპასუხებთ. ამ ხათაბალაში როგორ გაეხვიეთ? მართლა გქონდათ მასალები თუ არა?

ამჯერად ბლუმკვისტმა მიიღო არაფრის მთქმელი გამომეტყველება. ბერგერი მხოლოდ წამით შეყოყმანდა და უპასუხა:

– მასალები გვქონდა. თუმცა, ისეთი არა, ჩვენ რომ გვეგონა.

ვანგერმა თავი დაუქნია, თითქოს ზუსტად მიხვდა, ბერგერმა რაც თქვა. ბლუმკვისტი კი ვერ მიხვდა.

– არ მინდა ამ თემაზე საუბარი, – მოკლედ მოჭრა ბლუმკვისტმა, – გამოკვლევა ჩავატარე და სტატია დავწერე. ინფორმატორებიც მყავდა. მაგრამ ბოლოს ყველაფერი აირია.

– სტატიაში მოყვანილი ყველა ბრალდების დასაბუთება შეგეძლოთ?

– დიახ.

მოულოდნელად ვანგერს ხმა გაუმკაცრდა.

– არ დაგიმალავთ და ვერ დამიჯერებია, ამ დანაღმულ ველზე როგორ შეაბიჯეთ. ასეთ რამეს მხოლოდ სამოციან წლებში მოვსწრებივარ. არ ვიცი, ახალგაზრდებს გახსოვთ თუ არა „ლუნდალის საქმე“ Expressen-ში? თქვენი ინფორმატორიც მითების მოყვარული ხომ არ იყო? – თავი გამკიცხავად გააქნია მოხუცმა და ბერგერს მიუბრუნდა, – ადრეც ვყოფილვარ ჟურნალის გამომცემელი და ახლაც შემიძლია ვიყო. რას იტყვით, თქვენი პარტნიორი რომ გავხდე?

ეს შეკითხვა მოწმენდილ ცაზე მეხის გავარდნას ჰგავდა, მაგრამ ბერგერს წარბიც არ შეუხრია.

– დააზუსტეთ, თუ შეიძლება, – მშვიდად სთხოვა მოხუცს.

– ჰედესტადში რამდენი ხნით რჩებით? – ჰკითხა ვანგერმა.

– ხვალ დილით შინ ვბრუნდები.

– დიდად მასიამონებდით, თუ თქვენ და მიქაელიც, რა თქმა უნდა, ამაღამ ჩემთან ივახშმებდით. შვიდ საათზე გაწყობთ?

– დიახ. სიამოვნებით დაგეწვევით. თუმცა, შეკითხვაზე არ მიპასუხეთ. „მილენიუმის“ პარტნიორობა რაში გჭირდებათ?

– კითხვას თავს არ ვარიდებ. უბრალოდ, ვიფიქრე, ამ საკითხს ვახშმობისას განვიხილავდით. კონკრეტულ შეთავაზებაზე ჯერ ჩემს ადვოკატს უნდა მოვეთათბირო, მაგრამ თუ მარტივად გინდათ, ფული მაქვს და ვცდილობ საქმეში დავაბანდო. თუ ჟურნალი გადარჩება და ისევ მომგებიანი გახდება, მეც ვიხეირებ, თუ არადა, არა უშავს, ცხოვრებაში უფრო დიდი დანაკარგებიც მქონია.

ბლუმკვისტი რაღაცის თქმას აპირებდა, მაგრამ ბერგერმა მუხლზე ხელის დადებით შეაჩერა.

– მე და მიქაელმა ბევრი ვიბრძოლეთ, რომ პროფესიული დამოუკიდებლობა შეგვენარჩუნებინა.

– სისულელეა. მთლიანად დამოუკიდებელი არავინაა. თუმცა, მე არც ჟურნალის დაპატრონებას ვაპირებ და არც ის მაინტერესებს, შიგ რა ეწერება. იმ ნაბიჭვარმა სტენბეკმა თუ დაიწერა ქულები Moderna Tider-ის გამოცემით, ჩემთვის რატომ არ შეიძლება მხარში ამოვუდგე „მილენიუმს“, რომელიც, სხვათა შორის, ძალიან კარგი ჟურნალია?

– ამასაც ვენერსტრომთან ხომ არ აქვს რამე კავშირი? – დაინტერესდა ბლუმკვისტი.

ვანგერს გაეცინა.

– მიქაელ, მე უკვე ოთხმოცდაორი წლის ვარ. ვნანობ, რომ ბევრი რამ უკეთ არ გავაკეთე და ბევრ ვინმეს მეტად არ შევებრძოლე. თუმცა, მოდი, მთავარს დავუბრუნდეთ, – ისევ ბერგერს მიუბრუნდა, – მსგავსი კაპიტალის ჩადებისას ერთი პირობა უნდა შესრულდეს.

– გისმენთ, – თქვა ბერგერმა.

– მიქაელ ბლუმკვისტი რედაქტორის თანამდებობაზე უნდა დაბრუნდეს.

– გამორიცხულია, – წამოიძახა ბლუმკვისტმა.

– აუცილებელია, – მაშინვე შეეპასუხა ვანგერი, – ვენერსტრომს გულის შეტევა დაემართება, როცა შეიტყობს, რომ „ვანგერების კორპორაცია“ „მილენიუმის“ მხარდამჭერი გახდა, ხოლო ბლუმკვისტი ჟურნალში დაბრუნდა. ეს მკაფიო სიგნალი იქნება ყველასთვის, რომ ჟურნალის ხელმძღვანელობა არ შეცვლილა და მისი სარედაქციო პოლიტიკა იგივე რჩება. ამ ნაბიჯით, სულ ცოტა, იმ სარეკლამო შემოსავალს მაინც შეინარჩუნებთ, რაც დღეს გაქვთ. ვენერსტრომი ყოვლისშემძლე არაა. მასაც ჰყავს მტრები. თანაც თქვენთვის ჯერჯერობით უცნობი კომპანიები მის ადგილს სიამოვნებით დაიკავებენ.

– ეს რა ჯანდაბა იყო? – მიახალა ბლუმკვისტმა ბერგერს, როგორც კი ჰენრიკ ვანგერის სახლის კარი გამოიხურეს.

– მგონი, ამას კომერციული შეთანხმების დასადებად ნიადაგის მოსინჯვა ჰქვია, – უთხრა ბერგერმა, – ჩემთვის არ გითქვამს, რომ ჰენრიკ ვანგერი ასეთი კეთილი მოხუცია.

ბლუმკვისტი წინ აესვეტა.

– რიკი, თავიდანვე ზუსტად იცოდი, რომ ეს საუბარი შედგებოდა.

– ჩემო პატარავ, ჯერ სამი საათიც არაა, ვახშამამდე კარგად უნდა გამართო.

ბლუმკვისტმა მრისხანება ძლივს მოთოკა. თუმცა, ერიკა ბერგერზე დიდი ხნით გაბრაზება არასდროს გამოსდიოდა.

ბერგერმა შავი საღამოს კაბა, მოკლე ჟაკეტი და მაღალქუსლიანი ფეხსაცმელი ჩაიცვა, ეს ყველაფერი „შემთხვევით“ წამოეღო პატარა ჩემოდნით. ბლუმკვისტიც შავ კოსტიუმში გამოაწყო და ჰალსტუხიც გააკეთებინა. კაცმა პიჯაკზე რუხი სპორტული ქურთუკი შემოიცვა. ვანგერის სახლის კარზე ზუსტად შვიდზე მიაკაკუნეს. გაირკვა, რომ ვახშამს დირკ ფროდე და მარტინ ვანგერიც ესწრებოდნენ. ყველა ოფიციალურად გამოწყობილიყო, გარდა ჰენრიკ ვანგერისა.

– მოხუცებულობას ის უპირატესობა აქვს, რომ შენს ჩაცმულობას ვერავინ გააკრიტიკებს, – მას პეპელა-ჰალსტუხი ეკეთა და ყავისფერი შალის ჯემპერი ეცვა.

სადილობისას ბერგერი ამაღლებულ განწყობაზე იყო.

ნასადილევს ჰენრიკის კაბინეტში ბუხრის წინ ჭიქა კონიაკით ხელში ჩამოსხდნენ და საუბარმაც სერიოზული სახე მიიღო. ორ საათს თათბირობდნენ, სანამ ხელშეკრულების პირობებზე შეთანხმდებოდნენ.

ფროდეს დაევალა მთლიანად ჰენრიკ ვანგერის მფლობელობაში მყოფი კომპანიის შექმნა; კომპანიის მმართველთა საბჭოს შემადგენლობაში მხოლოდ ჰენრიკ და

მარტინ ვანგერები და დირკ ფროდე შევიდოდა. ოთხი წლის განმავლობაში ეს კომპანია „მილენიუმის“ გასავლებსა და შემოსავლებს შორის დანაკლისს დაფარავდა. ამისთვის ფულს პირადად ჰენრიკ ვანგერი გამოყოფდა. სანაცვლოდ, ვანგერი ჟურნალის თანამეპატრონე ხდებოდა. ხელშეკრულება ძალაში ოთხი წლის განმავლობაში იქნებოდა, თუმცა, კონტრაქტის ძალაში შესვლიდან ორი წლის შემდეგ, სურვილის შემთხვევაში, „მილენიუმს“ ურთიერთობის ცალმხრივად გაწყვეტის უფლება ეძლეოდა. ასეთ შემთხვევაში ჰენრიკ ვანგერისთვის კომპენსაცია უნდა გადაეხადათ. კომპენსაციის ოდენობა განისაზღვრებოდა ჰენრიკ ვანგერის მიერ ჟურნალში ჩადებული ინვესტიციის ოდენობით.

ჰენრიკ ვანგერის სიკვდილის შემთხვევაში, მის ადგილს „მილენიუმის“ დირექტორთა საბჭოში მარტინ ვანგერი დაიკავებდა, რომელსაც აგრეთვე ეძლეოდა ნება, ორმხრივი სურვილის შემთხვევაში, ჟურნალთან ოთხწლიანი ხელშეკრულება გაეხანგრძლივებინა. მარტინს ძალიან ესიამოვნა, ვენერსტრომისთვის ანგარიშის გასწორების შესაძლებლობა რომ მიეცა. ნეტა ასე როდის გადაეკიდნენ ერთმანეთსო, გაიფიქრა ბლუმკვისტმა.

მარტინმა ჭიქები შეავსო. ჰენრიკი ბლუმკვისტისკენ გადაიხარა და გადაუჩურჩულა, ეს ხელშეკრულება ჩვენს პირად შეთანხმებაზე არანაირ გავლენას არ მოახდენსო. ბლუმკვისტი ჟურნალში თავის თანამდებობას მხოლოდ წლის ბოლოს დაუბრუნდებოდა.

ასევე გადაწყდა, რომ მედიის ყურადღების მისაქცევად, შუა მარტში, ზუსტად იმ დღეს, როცა ბლუმკვისტი ციხეში სასჯელის მოხდას დაიწყებდა, ჟურნალის რეორგანიზაციის თაობაზე გამოეცხადებინათ. „პიარის“ მხრივ, ბლუმკვისტის დაპატიმრების და რეორგანიზაციის ერთმანეთთან დაკავშირება იმდენად უხეში შეცდომა იყო, რომ თვით ბლუმკვისტის მოძულეებს და მოწინააღმდეგეებსაც გააკვირვებდა, ხოლო ჰენრიკ ვანგერის ახალი როლი ზედმეტ ყურადღებას მიიქცევდა. თუმცა, მეორე მხრივ, ამ ქმედებაში თავისი ლოგიკაც იყო და მოთათბირეები ამას ხვდებოდნენ – ამით ყველას ცხადად მიანიშნებდნენ, რომ „მილენიუმის“ რედაქციის თავზე გაშლილი კარანტინის ყვითელი დროშა დაბლა ეშვებოდა; ჟურნალს გავლენიანი მფარველები გამოუჩნდნენ. შესაძლოა, „ვანგერების კორპორაცია“ კრიზისულ მდგომარეობაში იყო, მაგრამ ის მაინც მნიშვნელოვან საწარმოდ ითვლებოდა და თუ საჭიროება მოითხოვდა, არც ნებისმიერი საშუალებით საკუთარი ინტერესების დაცვაზე იტყოდა უარს.

ჟურნალის წარმომადგენლებიდან თათბირში მხოლოდ ბერგერი მონაწილეობდა, ხოლო მეორე მხრიდან – ჰენრიკ და მარტინ ვანგერები. ბლუმკვისტვისთვის ერთხელაც არ უკითხავთ აზრი.

მოგვიანებით, იმავე ღამეს, ბლუმკვისტს ერიკას მკერდზე ედო თავი და ქალს თვალებში შესცქეროდა.

– რამდენი ხნის განმავლობაში ემზადებოდით შენ და ჰენრიკ ვანგერი ამ შეთანხმების დასადებად?

– თითქმის ერთი კვირა, – სიცილით უპასუხა ბერგერმა.

– კრისტერი თანახმაა?

– რა თქმა უნდა.

– მე რატომ არაფერი მითხარი?

– ვითომ რატომ უნდა მეთქვა? თანამდებობიდან გადადექი, რედაქცია და საბჭო დატოვე და სადღაც უღრან ტყეში წახვედი საცხოვრებლად.

– და ამიტომ სულელივით უნდა მომექცე?

– დიახ, – უპასუხა ქალმა, – ამას იმსახურებ.

– ეტყობა, მართლა ძალიან ბრაზობდი ჩემზე.

– მიქაელ, ასეთი განრისხებული არასდროს ვყოფილვარ. შენ მიღალატე, თავს მიტოვებულად ვგრძნობდი. არასდროს გავბრაზებულვარ შენზე ასე ძლიერ.

ბერგერმა ბლუმკვისტს თმაში ძლიერად ჩაავლო ხელი და თავისკენ მიიზიდა.

კვირას ბერგერმა ჰედები დატოვა, ხოლო ბლუმკვისტი ჯერ კიდევ განაწყენებული იყო ჰენრიკ ვანგერზე და მასთან ან მის რომელიმე სხვა ნათესავთან შემთხვევითი შეხვედრისგან თავის ასარიდებლად ავტობუსით ჰედესტადში წავიდა. შუადღემდე სეირნობდა, მერე ბიბლიოთეკაშიც შეიარა და საკონდიტროში ყავა დალია. საღამოს კინოთეატრში „ბეჭდების მბრძანებელს“ უყურა, რომლის სანახავად ადრე ვერც ერთხელ ვერ მოიცალა. მოეჩვენა, რომ ორკები ადამიანებზე უბრალო და მარტივი არსებები იყვნენ.

გასეირნება „მაკდონალდსში“ წახემსებით დაასრულა და ჰედებიზე ბოლო ავტობუსით დაბრუნდა. შინ ყავა მოიდუღა, საქაღალდე გადაშალა და მაგიდას მიუჯდა. დილის ოთხ საათამდე კითხულობდა.

რაც უფრო ღრმად ეცნობოდა საგამოძიებო მასალებს, ბლუმკვისტს მით უფრო უცნაურად ეჩვენებოდა რამდენიმე ფაქტი. თუმცა, მას რევოლუციური აღმოჩენა არ მოუხდენია. როგორც გაირკვა, თითქმის იმავე საკითხებზე ფიქრით იმტვრევდა თავს ინსპექტორი მორელიც, განსაკუთრებით, თავისუფალ დროს.

სიცოცხლის ბოლო წლებში ჰარიეტი შეცვლილიყო. ერთი მხრივ, ეს ცვლილება მოზარდობის წლებისთვისაც შეიძლებოდა მიგვეწერა. ჰარიეტი იზრდებოდა. თანაკლასელები, მასწავლებელი, რამდენიმე ნათესავი – ყველა აცხადებდა, რომ ასაკის მატებასთან ერთად, ჰარიეტი უფრო და უფრო გულჩათხრობილი ხდებოდა.

გოგონა, რომელიც გაუჩინარებამდე ორი წლით ადრე მხიარული თინეიჯერი იყო, უეცრად ყველასგან დისტანციას ცდილობდა. სკოლაში ძველებურად მეგობრებთან ატარებდა დროს, მაგრამ როგორც ერთ-ერთი თანაკლასელი აღნიშნავდა, სულ „უხალისოდ“ გამოიყურებოდა. ამ ეპითეტს მორელი დაეინტერესებინა და უფრო დეტალურად გამოეკითხა ჰარიეტის თანაკლასელი. მისგან ასეთი პასუხი მიეღო: ჰარიეტმა საკუთარ თავზე საუბარი შეწყვიტა და აღარც გოგონების ჭორაობაში ერთვებოდაო.

ჰარიეტ ვანგერი ქრისტიანი ყოფილა, ამ სიტყვის ბავშვური გაგებით – საკვირაო ქადაგებებს ესწრებოდა, საღამოს ლოცვებს კითხულობდა და ეზიარებოდა. სიცოცხლის უკანასკნელ წელს კი უფრო რელიგიური გამხდარიყო. ბიბლიას კითხულობდა და მუდმივად დადიოდა ეკლესიაში. თუმცა, ჰედების კუნძულის პასტორისთვის, ოტო ფალკისთვის, რომელიც ვანგერების ოჯახის მეგობარი იყო, ერთხელაც არ მიუმართავს. გაზაფხულზე ჰედესტადში „ორმოცდაათიანელების“ შეკრებებს ესწრებოდა. თუმცა, მათთან მისი ურთიერთობა დიდხანს არ გაგრძელებულა. ორი თვის შემდეგ ეს კონგრეგაცია მიეტოვებინა და კათოლიკურ რწმენაზე დაეწყო წიგნების კითხვა.

იყო თუ არა ეს მოზარდის რელიგიური გატაცება? შესაძლო იყო, მაგრამ ვინაიდან ვანგერების ოჯახის არც ერთი წევრი დიდად რელიგიური არასდროს ყოფილა, ვერავის შეემჩნია, რამ უბიძგა გოგონას ამისკენ. ერთ-ერთი მიზეზი შეიძლება ის იყო, რომ ერთი წლით ადრე მამამისი წყალში დაიხრჩო და გოგონა ამას განიცდიდა. მორელი ფიქრობდა, რომ რელიგიისადმი გოგონას ასეთი ინტერესი მის ცხოვრებაში მომხდარმა რომელიღაც მნიშვნელოვანმა ფაქტმა გამოიწვია. მორელსაც, ჰენრიკ ვანგერის მსგავსად, ჰარიეტის ბევრი მეგობარი გამოეკითხა, იმ იმედით, რომ გოგონა რომელიმეს მაინც გაუმხელდა თავის ფარულ განზრახვებს.

მორელს ყველაზე მეტად ანიტა ვანგერის, ჰარალდის ჰარიეტზე ორი წლით უფროსი ქალიშვილის იმედი ჰქონია. მან 1966 წლის ზაფხული ჰედებიზე გაატარა და ჰარიეტს დაუმეგობრდა. თუმცა, ანიტასგან მნიშვნელოვანი ინფორმაცია ინსპექტორმა სამწუხაროდ, ვერ მიიღო. ერთად ვსეირნობდით, ვცურავდით, კინოზე, მუსიკალურ ჯგუფებსა და წიგნებზე ვსაუბრობდითო, უთქვამს ანიტას, ხანდახან მანქანის მართვის კურსებზეც დამყვებოდაო. ერთხელ მარნიდან მოპარული ღვინითაც დამთვრალან; რამდენიმე კვირის განმავლობაში კონცხზე მდგარ გოტფრიდის ქოხშიც უცხოვრიათ.

შეკითხვები, რომლებიც ჰარიეტის პირად გრძნოებებსა და აზრებს ეხებოდა, უპასუხოდ რჩებოდა. თუმცა, ბლუმკვისტმა ერთი რამ მაინც შენიშნა: გულჩათხრობილად ჰარიეტს უმეტესად თანაკლასელები და ოჯახის წევრები მიიჩნევდნენ, ანიტა ვანგერი კი – პირიქით. ბლუმკვისტმა ბლოკნოტში ჩაინიშნა, ამის თაობაზე ჰენრიკს უნდა დაველაპარაკოო.

კიდევ უფრო მეტი დრო დაეთმო მორელს ჰარიეტის პირადი წიგნაკის – გაუჩინარებამდე ერთი წლით ადრე საშობაოდ მიღებული სქელყდიანი ლამაზი რვეულის – ერთ-ერთ გვერდზე აღმოჩენილი წარწერისთვის.

წიგნაკის პირველი ნახევარი მთლიანად ჰარიეტის ყოველდღიურ საქმეებს ეთმობოდა: შეხვედრებისა და სასკოლო გამოცდების თარიღებს, საშინაო დავალებების ნომრებს და ასე შემდეგ. წიგნაკს ერთვოდა პირადი დღიურის განყოფილება, მაგრამ ჰარიეტი მას იშვიათად იყენებდა. თავიდან მონდომებით მოჰკიდებოდა საქმეს და თითქმის დეტალურად აღეწერა ვის შეხვდა საშობაო არდადეგებზე ან რა ფილმები ნახა იანვარში, მაგრამ მომდევნო ჩანაწერი დღიურში სასკოლო წლის ბოლოთი თარიღდებოდა. ამ ჩანაწერიდან ჩანდა, რომ ჰარიეტს ვიღაც ბიჭი მოსწონდა, რომელსაც ალბათ შორიდან ეტრფოდა, რადგან მისი სახელი დღიურში არ იყო ნახსენები.

ყველაზე იდუმალი კი სატელეფონო ნომრების განყოფილება იყო. ამ გვერდებზე ანბანის მიხედვით ჩამოეწერა ნათესავების, თანაკლასელების, რამდენიმე მასწავლებლის თუ „ორმოცდაათიანელის“ და სხვა მისი ახლობელ-ნაცნობების სახელები და ტელეფონის ნომრები. სულ ბოლო გვერდზე ყველასგან განცალკევებით, არათანმიმდევრულად ეწერა ხუთი სახელი – სამი ქალის სახელი და ორი ინიციალი – და ტელეფონის ნომრები:

მაგდა – 32016

სარა – 32109

რ. ი. – 30112

რ. ლ. – 32027

მარი – 32018

სამოციან წლებში 32 ჰედესტადის სატელეფონო ინდექსი იყო, ხოლო 30 – რომლითაც ერთადერთი ნომერი იწყებოდა – ჰედესტადის სიახლოვეს მდებარე ნორბინის. თუმცა, როცა მორელს ჰარიეტის მეგობრებისა და ნაცნობებისთვის მიუმართავს, ვერავის უპასუხია, ვის ეკუთვნოდა ეს ნომრები.

პირველმა ნომერმა, რომელიც „მაგდას“ გასწვრივ ეწერა, თავიდან თითქოს კვალზე გაიყვანა მორელი. ეს ნომერი პარკგატანის 12-ში მდებარე გალანტერეაში, ვინმე მარგოტ ლუნდმარკზე იყო დარეგისტრირებული. მარგოტის დედას მაგდა ერქვა. ის ქალიშვილს ხანდახან მაღაზიაში ეხმარებოდა. თუმცა, ინსპექტორ მორელს მალევე გაერკვია, რომ მაგდა 69 წლისა იყო და საერთოდ არ იცნობდა ჰარიეტ ვანგერს. პოლიციელს ვერც ვერანაირი სამხილი აღმოეჩინა იმისა, რომ გოგონა ოდესმე სტუმრობდა მაღაზიას. ჰარიეტს კერვა არ აინტერესებდა.

მეორე ნომერი, რომელიც „სარას“ გასწვრივ ეწერა, ვასტსტანში, რკინიგზასთან ახლოს მცხოვრები ტორენსონების ოჯახზე იყო დარეგისტრირებული. ოჯახში ცოლ-ქმარი ანდერსი და მონიკა და მათი ორი სასკოლო ასაკის შვილი – იონასი და პეტერი ცხოვრობდნენ. მათ ოჯახში არანაირი სარა არ ცხოვრობდა და ჰარიეტ ვანგერის გაუჩინარებაზეც მხოლოდ გაზეთებში წაეკითხათ. ტორენსონების ოჯახს და ჰარიეტს მხოლოდ ის აკავშირებდათ, რომ ანდერსს, რომელიც პროფესიით მშენებელი იყო, ჰარიეტის სკოლის შენობა გადაუხურავს. იმის თეორიული შანსი, რომ ანდერსი და ჰარიეტი ერთმანეთს შეხვედრიან, არსებობდა, მაგრამ მაინც ნაკლებად სავარაუდო იყო.

დანარჩენმა სამმა ნომერმაც ძიება ჩიხში შეიყვანა. „რ. ლ. – 32027“ როზმარი ლარსონს კი ეკუთვნოდა, მაგრამ სამწუხაროდ, ქალი იმ პერიოდში უკვე რამდენიმე წლის გარდაცვლილი იყო.

ინსპექტორ მორელს 1966-67 წლების ზამთარში გულდასმით გამოეკვლია, რა მიზნით შეიძლებოდა ჰარიეტს ეს სახელები და ნომრები თავის დღიურში ჩაეწერა, მაგრამ უშედეგოდ.

არსებობდა იმის ალბათობაც, რომ რიცხვები დაშიფრული იყო. მორელს გოგონას ბავშვური ლოგიკის ამოხსნაც ეცადა. ვინაიდან 32 ჰედესტადის სატელეფონო ინდექსი იყო, დანარჩენი ციფრები გადაენაცვლებინა. თუმცა, არც 32601-ს და არც 32160-ს ინსპექტორი მორელი არანაირ მაგდასთან არ მიუყვანია. მორელი იდუმალი ნომრების გაშიფრვას მაინც აგრძელებდა იმ იმედით, რომ ადრე თუ გვიან, ჰარიეტთან მათ როგორმე დააკავშირებდა. გასაშიფრად ლოგიკას იშველიებდა. მაგალითად, 32016-ში თუ ბოლო სამ ციფრს 111 მიუმატებდა, 32127-ს ღებულობდა, რაც ჰედესტადში დირკ ფროდეს ოფისის სატელეფონო ნომერი იყო. თუმცა, დანარჩენი ოთხი ნომრის შემთხვევაში, მორელს ასეთი კოდისთვის ვერ მიეგნო და ხელი ჩაექნია.

შემდეგ ახალი ვერსიის დამუშავებაც ეცადა: ხომ არ შეიძლება ეს ციფრები მანქანის ნომრები იყოსო? მაგრამ სამოციან წლებში მანქანის ნომრები ორციფრიანი საოლქო ინდექსის და ხუთი ციფრისგან შედგებოდა. კვლავ ჩიხში შევიდა.

ნომრებს რომ ვერაფერი გაუგო, ინსპექტორი სახელებსა და ინიციალებზე გადაერთო. ჰედესტადში მცხოვრები ყველა მარის, მაგდას, სარას და რ.ლ. თუ რ.ი. ინიციალების მქონე პიროვნების სია მოიძია, რომელიც სულ 307 პიროვნებას მოიცავდა. ამათგან 29-ს მართლაც ჰქონია ჰარიეტთან მეტ-ნაკლები კავშირი. მაგალითად, გოგონას თანაკლასელს როლანდ იაკობსონი ერქვა – რ. ი. თუმცა, ბიჭს გოგონასთან თითქმის არანაირი ურთიერთობა არ ჰქონდა და წესიერად არც იცნობდა. ინიციალების გასწვრივ მიწერილი ტელეფონის ნომერი კი ბიჭის სახლის ნომერს არ ემთხვეოდა.

დღიურში ჩაწერილი ნომრების საიდუმლო ამოუხსნელი რჩებოდა.

ადვოკატ ბიურმანთან მეოთხე შეხვედრა დაგეგმილი არ ყოფილა. სალანდერს იძულებით მოუხდა მასთან დაკავშირება.

თებერვლის მეორე კვირაში სალანდერის ლეპტოპი უბედურ შემთხვევას ემსხვერპლა ისე მოულოდნელად, რომ გოგონა ალბათ დაუფიქრებლად მოკლავდა დამნაშავეს. Milton Security-ში შეხვედრაზე მისულმა სალანდერმა მოტოციკლეტი მიწისქვეშა ავტოსადგომზე, სვეტთან მიაყენა. სანამ მოტოციკლეტს ბოქლომს ადებდა, ზურგჩანთა მოიხსნა და ძირს დადო. ამ დროს გარაჟში უკუსვლით მუქი წითელი „სააბი“ დაიძრა. სალანდერს უკნიდან მტვრევის ხმა მოესმა. მძღოლს საერთოდ არაფერი შეუმჩნევია, ისე გავიდა გარაჟიდან.

სალანდერს ზურჩანთაში ედო 2002 წლის იანვარში გამოშვებული Apple-ის „აიბუქ 600“ 25 გიგაბაიტიანი მყარი დისკით, 420 მეგაბაიტიანი RAM-ითა და 14 დუიმიანი ეკრანით. ეს ლეპტოპი თავის დროზე Apple-ის საუკეთესო ნიმუში იყო. სალანდერის კომპიუტერი უახლესი და ძვირი პროგრამებით და დეტალებით იყო აღჭურვილი – ფულის უდიდეს ნაწილს სწორედ ამას ახარჯავდა ხოლმე.

ლეპტოპის საფარი დაბზარულიყო. მერე კვების წყაროსთან შეართა და მისი ჩართვა სცადა, მაგრამ კომპიუტერი არ ჩართულა. ბრანჩირკაგატანზე Timmy’s MacJesus Shop-ში წაიღო, იქნებ მყარი დისკი მაინც გადავარჩინოო, მაგრამ კარგა ხნის კირკიტის შემდეგ ტიმმა თავი გააქნია.

– ვწუხვარ, აღარაფერი ეშველება, – თქვა მან, – შეგიძლია დაკრძალვისთვის მოამზადო.

ლეპტოპის დაკარგვამ სალანდერი კი დაამწუხრა – უკანასკნელი ერთი წლის განმავლობაში ძალზე შეჩვეოდა მას – მაგრამ მთლად კატასტროფაც არ მომხდარა. საჭირო ინფორმაცია სხვაგანაც ჰქონდა შენახული, თანაც სახლში ძველი Mac G3 პერსონალური კომპიუტერი და ხუთი წლის წინანდელი Toshiba PC ლეპტოპიც ჰქონდა და შეეძლო ისინი გამოეყენებინა. მაგრამ სალანდერს ახალი, მძლავრი კოპიუტერი სჭირდებოდა.

რასაკვირველია, თვალი არსებულთაგან საუკეთესო ლეპტოპს დაადგა: ახალ Apple PowerBook G4/1.0 GHz-ს ალუმინიანი კორპუსით, AltiVec Velocity Engine-იანი PowerPC 7451 პროცესორით, 960 მეგაბაიტიანი RAM-ითა და 60 გიგაბაიტიანი მყარი დისკით. ლეპტოპი აღჭურვილი იყო „ბლუთუსითა“ და ჩამონტაჟებული CD და DVD ჩამწერებით.

რაც მთავარია, პირველად მსოფლიოში ამ ლეპტოპს 17 დუიმიანი ეკრანი ჰქონდა NVIDIA გრაფიკითა და 1440X900 პიქსელის რეზოლუციით, რითაც პერსონალური კომპიუტერების ნებისმიერ დამცველს ხმას აკმენდინებდა და ბაზარზე არსებულ სხვა ყველა პროდუქტს ათი თავით აღემატებოდა.

ტექნიკური აღჭურვილობის მხრივ, ეს კომპიუტერი პორტატულ კომპიუტერებს შორის ნამდვილი „როლს-როისი“ იყო. სალანდერს ყველაზე მეტად ის მოეწონა, რომ კლავიატურაზე ღილაკები ციმციმებდა და სიბნელეშიც კი შეძლებდა ბეჭდვას.

„რა მარტივია. ნეტა სხვამ რატომ ვერ მოიფიქრა აქამდე?“

პირველი დანახვისთანავე მოეწონა.

38 000 კრონა ღირდა, პლუს დღგ.

ეს კი პრობლემას წარმოადგენდა.

მოხდეს რაც მოსახდენიაო, გაიფიქრა სალანდერმა და, ლეპტოპი მაინც შეუკვეთა MacJesus-ში, სადაც ხშირად ყიდულობდა კომპიუტერის ნაწილებს, ამიტომ ფასდაკლებითაც სარგებლობდა. მერე გამოთვლას შეუდგა. დამტვრეული ლეპტოპის დაზღვევა ახლის საფასურის დიდ ნაწილს დაფარავდა, მაგრამ ახალი ლეპტოპის მაღალი საგარანტიო ფასის გათვალისწინებით, 18 000 კრონა აკლდებოდა. არადა, სახლში ყავის ქილის ქვეშ მხოლოდ 10 000 კრონა ჰქონდა გადანახული. გულში კარგად გამოლანძღა ბიურმანი, მაგრამ მერე თავი ხელში აიყვანა და მეურვესთან დარეკა, რომ მისთვის გაუთვალისწინებელი ხარჯებისთვის ფული ეთხოვა. ბიურმანის მდივანმა უპასუხა, ადვოკატს დღეს არ სცალიაო. სალანდერი არ მოეშვა, ჩეკის გამოწერას სულ ოცი წამი დასჭირდებაო და საღამოს რვის ნახევრისთვის შეხვედრა დაათქმევინა.

მართალია, ბლუმკვისტს კრიმინალური გამოძიებისა ბევრი არაფერი გაეგებოდა, მაგრამ მაინც დაასკვნა, რომ ინსპექტორ მორელს კეთილსინდისიერად ემუშავა. თვით გამოძიების დასრულების შემდეგაც, მორელი ხშირად იყო ნახსენები ჰენრიკ ვანგერის ჩანაწერებში. ინსპექტორი მორელი და ჰენრიკ ვანგერი ისე დამეგობრებულან, ბლუმკვისტი დაეჭვდა კიდეც, მორელიც მოხუცი ინდუსტრიალისტივით ხომ არაა გატაცებული ამ საქმითო.

როგორც საპოლიციო ანგარიშებიდან ჩანდა, მორელს არაფერი გამოეტოვებინა. ყველა საჭირო კითხვა დაესვა და ყველა საეჭვო, მათ შორის, ნაკლებად სავარაუდო კვალს მიჰყოლოდა. ბლუმკვისტს საპოლიციო ანგარიშები ბოლომდე არ წაუკითხავს, რადგან გამოძიება თანდათან უფრო ბუნდოვანი და გაურკვეველი ხდებოდა. მიხვდა, რომ ისეთს ვერაფერს დაადგენდა ან მიაგნებდა, რაც მისმა პროფესიონალმა წინამორბედებმა ვერ დაადგინეს, და ორჭოფობდა, პრობლემას რომელი კუთხიდან მივუდგეო. კარგა ხნის ფიქრის შემდეგ გადაწყვიტა, ჰარიეტის გაუჩინარებაში ეჭვმიტანილთა სავარაუდო ფსიქოლოგიური მოტივები დაედგინა.

პირველი კითხვა თავად ჰარიეტს ეხებოდა: ვინ იყო ის?

ხუთი საათი იყო, როცა ბლუმკვისტმა სამზარეულოს ფანჯრიდან დაინახა, როგორ აინთო შუქი სესილია ვანგერის სახლის მეორე სართულზე. რვის ნახევარზე მის

კარზე ზუსტად იმ დროს მიაკაკუნა, როცა ტელევიზორში საინფორმაციო გამოშვება დაიწყო. კარი სააბაზანოდან ახალგამოსულმა სესილიამ გაუღო. ტანზე ხალათი შემოეცვა და თავზე ყვითელი პირსახოცი შემოეხვია. ბლუმკვისტმა შეწუხებისთვის მაშინვე მოუბოდიშა და წასვლა დააპირა, მაგრამ ქალმა ხელის ქნევით შეიპატიჟა შიგნით. სესილიამ სამზარეულოში ყავა დაადგა მოსადუღებლად, თვითონ კი რამდენიმე წუთით მეორე სართულზე გაუჩინარდა. უკან ჯინსის შარვლითა და კუბოკრული ფლანელის პერანგით დაბრუნდა.

– მეგონა, აღარ დამირეკავდით.

– ჰო, ალბათ წინასწარ უნდა დამერეკა და გამეფრთხილებინეთ, მაგრამ თქვენი ფანჯრიდან შუქი გამოდიოდა და ინსტინქტურად წამოვედი.

– მეც ვხედავდი, რომ წუხელ გვიანობამდე გენთოთ შუქი. შუაღამითაც დასეირნობთ. ღამის ცხოვრების მოყვარული ხართ?

– ჩემდა უნებურად გავხდი, – მხრები აიჩეჩა ბლუმკვისტმა და სამზარეულის მაგიდაზე დახვავებულ სასკოლო წიგნებს გახედა, – სკოლაში გაკვეთილებსაც ატარებთ?

– არა, დირექტორობას დიდი დრო მიაქვს. წინათ ისტორიას, რელიგიას და სოციოლოგიას ვასწავლიდი. კიდევ რამდენიმე წელი დამრჩა.

– დაგრჩათ?

– მე ორმოცდათექვსმეტი წლის ვარ, – გაეღიმა ქალს, – მალე პენსიაზე გავალ.

– სულ არ გეტყობათ, რომ ორმოცდაათს გადაცილებული ხართ. მე 40-45 წლის მეგონეთ.

– ნუ გამაწითლეთ. თქვენ რამდენი წლის ხართ?

– ორმოცს გადაცილებული ვარ, – გაეღიმა ბლუმკვისტს.

– სულ ცოტა ხნის წინ კი ოცისა იყავით. რა სწრაფად გადის დრო. ასეთია ცხოვრება.

სესილია ვანგერმა ბლუმკვისტს ყავა დაუსხა და ჰკითხა, ხომ არ გშიათო. კაცმა უპასუხა, რომ უკვე ისადილა, რაც ნაწილობრივ სიმართლე იყო – სადილის მომზადებით თავი არ შეუწუხებია და სენდვიჩით დანაყრდა.

– მაშ, რისთვის მესტუმრეთ? ოფიციალური შეკითხვების დასასმელად?

– სიმართლე გითხრათ... შეკითხვების დასასმელად არ მოვსულვარ. უბრალოდ გინახულეთ.

სესილიას გაეღიმა.

– თქვენ სამთვიანი პატიმრობა მოგისაჯეს, ჰედებიზე გადმოსახლდით, ჰენრიკის საყვარელი ჰობით დაინტერესდით და მის შეგროვებულ საგამოძიებო მასალებში იქექებით, ღამღამობით არ გძინავთ და ყინვაში გარე-გარე დაეხეტებით... რამე ხომ არ გამომრჩა?

– ცხოვრება თავზე მენგრევა.

– ამ შაბათ-კვირას რომ ქალი გსტუმრობდათ, ვინ იყო?

– ერიკა... „მილენიუმის“ მთავარი რედაქტორი.

– თქვენი მეგობარი გოგონაა?

– როგორ გითხრათ... ის გათხოვილია. მე მისი მეგობარი ვარ და ხანდახან საყვარელიც.

სესილია ვანგერმა გადაიხარხარა.

– რა გაცინებთ?

– ისეთი სახით წარმოთქვით „ხანდახან საყვარელი“, რომ თავი ვერ შევიკავე. მომეწონა.

უცებ ბლუმკვისტსაც მოეწონა სესილია ვანგერი.

– ისე, ასეთი საყვარელი არც მე მაწყენდა, – თქვა სესილიამ, ფლოსტი გაიძრო და ცალი ფეხი ბლუმკვისტის მუხლზე შემოდო. ბლუმკვისტმა ავტომატურად გადაუსვა ხელი წვივზე. წამით შეყოყმანდა, ღრმად ხომ არ შევტოპეო. მაგრამ ცერა თითით ქალის ტერფის ზელა მაინც გააგრძელა.

– მეც გათხოვილი ვარ, – უთხრა სესილიამ.

– ვიცი. ვანგერების გვარში არავინ ეყრება მეუღლეს.

– ოცი წელია, ქმარი არ მინახავს.

– რა მოხდა?

– ეს თქვენი საქმე არაა. სექსი კი... ჰმმ, უკვე სამი წელია, არ მქონია.

– დაუჯერებლია.

– რატომ? მოთხოვნა-მიწოდების საკითხია. მეგობრის ან ცოლიანი საყვარლის გაჩენა არ მინდა, მარტო ცხოვრება მირჩევნია. სექსი ვისთან უნდა მქონდეს? სკოლის რომელიმე მასწავლებელთან? ცუდი აზრია. რომელიმე მოსწავლესთან? ჭორიკანა ქალები დიდად გაიხარებდნენ. თანაც, ვანგერების ოჯახს საზოგადოება ლუპით

აკვირდება. ჰედების კუნძულზე კი მხოლოდ ჩემი ნათესავები და დაოჯახებული მამაკაცები ცხოვრობენ.

ქალი წინ გადმოიხარა და ბლუმკვისტს ყელზე აკოცა.

– ალბათ გაოგნებული ხართ ჩემი საქციელით?

– არა. უბრალოდ, არ ვიცი, ეს კარგი აზრია თუ არა. მე ბიძათქვენზე ვმუშაობ.

– მას არაფერს გავუმხელ. თუმცა, სიმართლე გითხრათ, ჰენრიკს საწინააღმდეგო მაინც არაფერი ექნებოდა.

სესილია ვანგერი ბლუმკვისტს კალთაში ჩაუჯდა. მას თმა ჯერაც სველი ჰქონდა და შამპუნის სუნი ასდიოდა. ბლუმკვისტმა პერანგის ღილები ჩაუხსნა და პერანგი მხრებს ქვემოთ ჩაუცურა. ქალს ბიუსტჰალტერი არ ეკეთა, ბლუმკვისტს ძლიერად ჩაეხუტა, მან კი მკერდი დაუკოცნა.

ბიურმანმა მაგიდას შემოუარა და საბანკო ანგარიშზე არსებული ზუსტი თანხა ახლოდან აჩვენა. სალანდერმა უკანასკნელ ერემდე იცოდა, რა თანხას ფლობდა, მაგრამ მისი განკარგვის უფლება არ ჰქონდა.

ბიურმანი მის ზურგს უკან დადგა და უცებ კისერის ზელა დაუწყო... ცალი ხელი მარცხენა მხარს ქვემოთ, მკერდზე ჩაუცურა და მარჯვენა ძუძუზე დაადო. მცირე ხანს დაელოდა და სალანდერმა რომ არ გააპროტესტა, დაუსრისა. სალანდერი არ განძრეულა. ბიურმანის ცხელი სუნთქვა კეფაზე ელამუნებოდა. გოგონა საწერ მაგიდაზე დადებულ საკანცელარიო დანას მიაშტერდა; მეორე ხელით იქამდე თავისუფლად მიწვდებოდა.

მაგრამ დანა არ აუღია. სხვა თუ არაფერი, ჰოლგერ პალმგრენისგან ის მაინც ისწავლა, რომ იმპულსურ მოქმედებას პრობლემები მოჰყვება, პრობლემები კი ცუდ შედეგებს იწვევს.

სექსუალური ძალადობა – რასაც იურიდიული ტერმინებით „სამეურვეო პირის სექსუალური ექსპლუტაცია და მასთან ძალით სქესობრივი კავშირის დამყარება“ ეწოდება და, თეორიულად, ბიურმანს ორწლიან პატიმრობად დაუჯდებოდა – სულ რამდენიმე წამს გაგრძელდა. თუმცა, ეს წამები ზღვარს გადასვლისთვის საკმარისი აღმოჩნდა. სალანდერმა ცხადად დაინახა მტრის ძალა – გარდა იმისა, რომ იურიდიულად ბიურმანის მზრუნველობის ქვეშ იმყოფებოდა, სრულიად დაუცველი და უმწეო, მისი მოწყალების იმედადაც იყო დარჩენილი. როცა მათი მზერა ერთმანეთს შეხვდა, ბიურმანმა ოდნავ გააღო პირი. სალანდერმა მის სახეზე დაუოკებელი ჟინი ამოიკითხა. თავად გოგონამ უემოციო გამომეტყველება შეინარჩუნა.

ბიურმანმა ისევ შემოუარა მაგიდას და თავის რბილ სავარძელში ჩაჯდა.

– ფულს, როცა შენ მოგესურვება, მაშინ ვერ მოგცემ, – თქვა მან, – ასეთი ძვირი კომპიუტერი რაში გჭირდება? კომპიუტერული თამაშებისთვის იაფფასიანი მოდელებიც გამოგადგება.

– მინდა ჩემს ფულს თვითონ განვაგებდე, როგორც ადრე.

ბიურმანმა სიბრალულით შეხედა.

– ჯერ სიტუაციას გადავხედოთ. უფრო კომუნიკაბელური და გახსნილი უნდა გახდე.

ბიურმანი სიცილისგან თავს შეიკავებდა, სალანდერის არაფრის მთქმელ თვალებში მისი ნამდვილი ფიქრები რომ ამოეკითხა.

– მგონი, მე და შენ დავმეგობრდებით, – თქვა მან, – ერთმანეთს უნდა ვენდობოდეთ.

როცა გოგონასგან პასუხი ვერ მიიღო, თვითონვე გააგრძელა:

– შენ უკვე ქალი ხარ, ლიზბეთ.

სალანდერმა თავი დაუქნია.

– მოდი აქ, – ხელი გამოუწოდა ბიურმანმა.

სანამ წამოდგებოდა, სალანდერმა კიდევ ერთხელ გახედა საკანცელარიო დანას.

„შედეგზე იფიქრე!“ – შეახსენა საკუთარ თავს.

ბიურმანმა ხელი თავისი შარვლის უბეზე მიადებინა. სალანდერმა შავი ქსოვილის ქვეშაც იგრძნო მისი გენიტიალები.

– თუ მასიამოვნებ, მეც გასიამოვნებ.

ბიურმანმა მეორე ხელი კისერზე წაავლო და მუხლებზე დააყენა სახით თავისკენ.

– ეს ხომ ადრეც გაგიკეთებია, არა? – ბიურმანმა შარვლის უბე ჩაიხსნა. საპნის სუნი ასდიოდა.

სალანდერმა განზე გაიხედა და წამოდგომა დააპირა, მაგრამ ბიურმანმა შეაკავა. ის ფიზიკურად მასზე ძლიერი იყო, 95 კილოს იწონიდა, სალანდერი – მხოლოდ 42-ს. ბიურმანმა ორივე ხელი თავზე წაავლო და ისევ თავისკენ მიატრიალა.

– თუ მასიამოვნებ, მეც გასიამოვნებ, – გაიმეორა მან, – ხოლო თუ გაჭირვეულდები, შენს თავს საგიჟეთში გამოვაკეტვინებ. გინდა ეს?

სალანდერმა არაფერი უპასუხა.

– გინდა ეს? – კითხვა გაუმეორა ბლუმკვისტმა.

სალანდერმა თავი გააქნია.

ბიურმანმა დაიცადა, სანამ გოგონა თვალებს დახუჭავდა. ეს დანებების ნიშნად მიიღო. მისი სახე თავის შარვლის უბესთან უფრო ახლოს მიიზიდა. სალანდერმა ბიურმანის ასო პირში ჩაიდო.

ბიურმანი კისერზე მტკივნეულად უჭერდა და თავისკენ ექაჩებოდა. მთელი ათი წუთი, სანამ ის ბიძგების შემდეგ ხვნეშით გაათავებდა, ლამის იყო გული არეოდა. გათავებისას ბიურმანმა ისე ძლიერად წაუჭირა ყელში ხელები, რომ გოგონა კინაღამ გაიგუდა.

აცახცახებული სალანდერი ტუალეტში პირს იბანდა და სვიტერიდან სპერმის წვეთებს იფერთხავდა. კბილებიც გამოიხეხა გემოს მოსაშორებლად. კაბინეტში რომ დაბრუნდა, ბიურმანი მაგიდასთან მშვიდად იჯდა და საბუთებში იქექებოდა.

– დაჯექი, ლიზბეთ, – თავის აუწევლად უთხრა გოგონას. სალანდერი დაჯდა. ბიურმანმა ღიმილით გახედა.

– შენ უკვე დიდი ხარ, არა, ლიზბეთ?

სალანდერმა თავი დაუქნია.

– მაშინ დიდების თამაშებიც უნდა ისწავლო, – ისეთი ტონით უთხრა ბიურმანმა, თითქოს ბავშვს ესაუბრებოდა. სალანდერმა არაფერი უპასუხა. შუბლი ოდნავ შეეჭმუხნა.

– ჩვენს თამაშებზე სხვებს არაფერი გაუმხილო. აბა, დაფიქრდი – ვინმე დაგიჯერებს? ამ საბუთებში წერია, რომ ჭკუასუსტი ხარ. ვის უფრო დაუჯერებენ – შენ თუ მე? ვის სიტყვას უფრო მეტი წონა აქვს – შენსას თუ ჩემსას?

ბიურმანმა ამოიოხრა. სალანდერის მდუმარებამ და მისმა არაემოციურობამ გააღიზიანა. თუმცა, უკმაყოფილების გამოთქმისგან თავი შეიკავა.

– მე და შენ კარგი მეგობრები ვიქნებით, – თქვა ბიურმანმა, – ჭკვიანურად მოიქეცი, დღეს რომ მომაკითხე. ყოველთვის შეგიძლია ჩემთან მოსვლა.

– კომპიუტერისთვის 10 000 კრონა მჭირდება, – გულგრილად უთხრა სალანდერმა, თითქოს შეწყვეტილ საუბარს აგრძელებსო.

ბიურმანმა წარბები აპრიხა.

„ჯიუტი კახპა. მგონი, მართლა დებილია“, – გაიფიქრა მან და გაუწოდა ჩეკი, რომელსაც ხელი მაშინ მოაწერა, როცა სალანდერი ტუალეტში იყო, – „ეს გოგო ბოზზე უკეთესია. თავისსავე ფულს ვუხდი“.

ბიურმანმა ცივად გაუღიმა. სალანდერმა ჩეკი გამოართვა და წავიდა.

თავი XII

ოთხშაბათი, 19/II

სალანდერი რომ ჩვეულებრივი მოქალაქე ყოფილიყო, ადვოკატ ბიურმანის კაბინეტიდან გასვლისთანავე პოლიციას გაუპატიურების შესახებ აცნობებდა. დალილავებული კისერი და მოძალადის „დნმ“-ავტოგრაფით, სამოსზე შემხმარი სპერმის ლაქებით, დანაშაულს ადვილად დაუმტკიცებდა. თუნდაც ბიურმანს მოძალადისთვის დამახასიათებლად თავის მართლება დაეწყო, „გოგონამ თავად შემომთავაზა“ ან „მაცდუნაო“, მეურვეობის კანონის მრავალი მუხლის დარღვევისათვის, სალანდერის მეურვეობის უფლებას აუცილებლად ჩამოართმევდნენ. გაუპატიურების ფაქტის გახმაურების შემთხვევაში სალანდერს ალბათ ქალზე ძალადობის საკითხებში კარგად გარკვეულ ადვოკატს მიუჩენდნენ და საქმის განხილვა უთუოდ მთავარ პრობლემამდე მივიდოდა – რომ სალანდერი ქმედუუნარო იყო.

1989 წლის შემდეგ, ტერმინი „ქმედუუნარო“ სრულწლოვანების მიმართ აღარ გამოიყენება.

პირადი და ქონებრივი უფლებების და ინტერესების დაცვის ორი გზა არსებობს – მზრუნველობა და მეურვეობა.

მზრუნველი ხშირად საკუთარი სურვილით ეხმარება მას, ვისაც სხვადასხვა მიზეზის გამო ყოველდღიურ ცხოვრებისეულ პრობლემებთან გამკლავების, გადასახადების გადახდის თუ პირადი ჰიგიენის მოვლის საშუალება ან უნარი არ აქვს. მზრუნველად მეტწილად ნათესავს ან ახლო მეგობარს ნიშნავენ, ხოლო თუ მას ასეთი ახლობელი არ ჰყავს, მზრუნველს სოციალური მომსახურების სააგენტო ურჩევს.

მზრუნველობა მეურვეობის შერბილებული ფორმაა, რომლის დროსაც, ქმედუუნაროდ გამოცხადებულ პირს უფლება აქვს საკუთარი ქონება თავად

განკარგოს და მზრუნველთან კონსულტაციის შემდეგ დამოუკიდებელი გადაწყვეტილებებიც მიიღოს.

მეურვეობა მზრუნველობის გამკაცრებული ფორმაა, რომლის დროსაც სამეურვეო პირის პირად ქონებას და ინტერესებს მეურვე იცავს. შვედეთში დაახლოებით 4000 პირი იმყოფება მეურვეობის ქვეშ: უმეტესად სულით ავადმყოფები ან ალკოჰოლსა და ნარკოტიკულ საშუალებებზე დამოკიდებულები. შედარებით მცირე ჯგუფი ჭკუასუსტობისგან იტანჯება. მეურვეობის ქვეშ მყოფი პირების უმეტესობა შედარებით ახალგაზრდაა – ოცდათხუთმეტ წლამდე. ლიზბეთ სალანდერიც ერთ-ერთი ასეთთაგანი იყო.

პირადი ცხოვრების, ანუ საბანკო ანგარიშის, განკარგვის უფლების წართმევა ყველაზე დამამცირებელი სასჯელია, რაც დემოკრატიას შეუძლია გამოიყენოს, განსაკუთრებით – ახალგაზრდების მიმართ. რაც უნდა კეთილი განზრახვით იყოს მიღებული ასეთი ზომები, დამამცირებელია. შესაბამისად, მეურვეობა პოლიტიკურად საკამათო საკითხად ითვლება და მკაცრად რეგულირდება და კონტროლდება სამეურვეო სააგენტოს მიერ. თავის მხრივ, სააგენტო ოლქის ადმინისტრაციული საბჭოს დაქვემდებარებაშია, ხოლო საბჭო – საპარლამენტო ომბუდსმენის.

სამეურვეო სააგენტოს ძირითადად რთულ პირობებში უწევს საქმიანობა. აღსანიშნავია, რომ პრესაში იშვიათად ხმაურდება ესა თუ ის სკანდალური ფაქტი და საჩივარი, რომლის განხილვაც სააგენტოს უწევს.

ხანდახან პრესაში მაინც ჩნდება ინფორმაცია, რომ რომელიღაც მეურვემ თუ მზრუნველმა სამეურვეო პირის ქონება უკანონოდ მიითვისა ან მისი კუთვნილი ბინა გაყიდა და ფული თვითონ ჩაიჯიბა.

ის, რომ პრესაში იშვიათად ჩნდება ასეთი ცნობები, ძირითადად გამოწვეულია იმით, რომ ან სააგენტო თავის საქმეს ძალიან კარგად ასრულებს, ან თავად სამეურვეო პირები ვერ აწვდენენ ხმას მედიას თუ ოფიციალურ პირებს.

სამეურვეო სააგენტო ვალდებულია ყოველწლიურად ჩაატაროს კვლევა, რათა დადგინდეს, საჭიროა თუ არა ამ თუ იმ პირისთვის მეურვეობის გაუქმება. ვინაიდან სალანდერი ფსიქიატრიულ გამოკვლევაზე უარს ამბობდა – „გამარჯობასაც“ კი არ ეუბნებოდა ფსიქიატრებს – მისი ქმედუნარიანად შერაცხვის მიზეზი არც არასდროს გაჩენილა. შედეგად, სიტუაცია უცვლელი რჩებოდა და სალანდერის მეურვეობის ქვეშ ყოფნა წლიდან წლამდე გრძელდებოდა.

თუმცა, კანონით ისიცაა გათვალისწინებული, რომ მეურვეობის პირობები „თითოეული პირის შემთხვევაში ინდივიდუალურად უნდა იქნას განხილული“. პალმგრენმა ამ მუხლზე დაყრდნობით ჩათვალა, რომ სალანდერს საკუთარი ქონების და ცხოვრების თავად განკარგვის უფლება ჰქონდა. პალმგრენი ზუსტად იცავდა

მისთვის დაკისრებულ მოვალეობებს და სააგენტოს ყოველთვიურთან ერთად წლიურ ანგარიშსაც აბარებდა. სხვა მხრივ კი, სალანდერს ნორმალურ პიროვნებასავით ექცეოდა და მის პირად ცხოვრებასა თუ ურთიერთობებში არ ერეოდა. მას არც თავის და არც საზოგადოების საქმედ არ მიაჩნდა, ახალგაზრდა გოგონა ცხვირში რგოლს გაირჭობდა ან კისერზე ტატუს გაიკეთებდა თუ არა. ალბათ ამ ერთნაირი შეხედულებების გამო უპირისპირდებოდნენ ის და სალანდერი სასამართლოს და, იმავდროულად, კარგად უგებდნენ ერთმანეთს.

სანამ პალმგრენი მისი მეურვე იყო, სალანდერს დიდად არ ანაღვლებდა თავისი სოციალური სტატუსი.

სალანდერი ჩვეულებრივ პიროვნებას არ ჰგავდა. კანონის შესწავლით თავი არასდროს შეუწუხებია და მხოლოდ ზედაპირულად იცნობდა. პოლიციას ეჭვის თვალით უყურებდა. მისთვის პოლიცია მტრული ძალა იყო, რომელიც გამუდმებით აპატიმრებდა და ამცირებდა. პოლიციასთან დაპირისპირებამ უკანასკნელად გასულ მაისს მოუწია, როცა Milton Security-ში მიდიოდა და იეტგატანზე პოლიციის ჩაფხუტიანმა და ფარიანმა ოფიცერმა უმიზეზოდ მხარზე ხელკეტი დაარტყა. სალანდერმა მექანიკურად „კოკა-კოლას“ ქილა ესროლა და შეუტია. ოფიცერმა გაქცევით უშველა თავს. სალანდერმა მხოლოდ მოგვიანებით შეიტყო, რომ შორიახლო Reclaim the Streets-ის საპროტესტო დემონსტრაცია მიმდინარეობდა.

იმ ჩაფხუტიან მხეცებთან განყოფილებაში მისვლა და ბიურმანის წინააღმდეგ საჩივრის შეტანა არც უფიქრია. თანაც, რა უნდა განეცხადებინა, ბიურმანი მკერდზე ხელს მიფათურებდაო? მისი მინიატურული ზომის ძუძუების შემხედვარე, ამას არც ერთი ოფიცერი არ დაიჯერებდა; ან თუ დაიჯერებდა, ეტყოდნენ, მადლობა თქვი, ეს თუ ვინმეს მოუნდაო. რაც შეეხება მინეტს, ვის უფრო დაუჯერებდნენ, მას თუ ბიურმანს? პირადი გამოცდილებიდან იცოდა, რომ სხვის სიტყვას ყოველთვის უფრო მეტი წონა ჰქონდა, ვიდრე მისას. არა, პოლიცია მას ვერ დაეხმარებოდა.

ბიურმანის კაბინეტიდან გამოვიდა, შინ დაბრუნდა, შხაპი მიიღო, ყველიან სენდვიჩებს კიტრის მწნილი მიაყოლა და მისაღებ ოთახში, გაცვეთილ დივანზე ჩამოჯდა. ჩაფიქრდა.

ჩვეულებრივ ადამიანს მისი გულგრილობა ალბათ გააკვირვებდა და იტყოდა, რომ გოგონა მეტწილად თვითონ იყო დამნაშავე მომხდარის გამო; ხოლო იმ ფაქტს, რომ თვით გაუპატიურებამ ვერ აღუძრა შესაბამისი ემოციები, მისი არანორმალურობის კიდევ ერთ საბუთად ჩათვლიდა.

სალანდერის საახლობლო წრე ძალიან მცირერიცხოვანი იყო. მის ნაცნობთაგან არც ერთი არ იყო მყუდრო გარეუბანში მცხოვრები საშუალო კლასის წარმომადგენელი. თვრამეტი წლის სალანდერი არ იცნობდა ისეთ გოგონას, რომელიც ერთხელ მაინც არ გამხდარა მძიმე ან მსუბუქი სექსუალური ძალადობის მსხვერპლი. უმეტესად ბიჭები

იყენებდნენ ძალას თავის მეგობარ გოგონებთან სქესობრივი კავშირის დასამყარებლად. რამდენადაც სალანდერმა იცოდა, არც ერთ გოგონას არ განუცხადებია ამის შესახებ პოლიციაში; მხოლოდ ტირილითა და წუწუნით შემოიფარგლებოდნენ.

მისი სამყარო ასე იყო მოწყობილი. ტყავის ქურთუკიანი, პირსინგიანი და ტატუიანი გოგონა არანაირი სოციალური სტატუსით, ყველასთვის იოლ ნადავლად ითვლებოდა.

ამიტომ მოთქმა-გოდება არაფერს უშველიდა.

მეორე მხრივ, ადვოკატი ბიურმანის დაუსჯელად დატოვებაც გამორიცხული იყო. სალანდერი უსამართლობას არასდროს ივიწყებდა და არც პატიება შეეძლო.

საქმეს იურიდიული სტატუსი ურთულებდა. რაც თავი ახსოვდა, ყოველთვის ცბიერად და ზედმეტად აგრესიულად თვლიდნენ. მის პირად საქმეში შეტანილი პირველი საყვედური საშუალო სკოლის მედდას ეკუთვნოდა. სალანდერი სახლში გაგზავნეს თანაკლასელის ტანსაცმლის საკიდზე შეჯახების და მისთვის ცხვირის გატეხის გამო. დღესაც კი ზიზღით იხსენებდა თავის პირველ მსხვერპლს – ძოძროხა ბიჭს, დავიდ გუსტავსონს, რომელიც გამუდმებით აჯავრებდა და ათასგვარ ნივთს ესროდა ხოლმე; ის ნამდვილი ხულიგანი იყო. მაშინ სალანდერმა კარგად არ იცოდა, რას ნიშნავს „ჩაგვრა“, მაგრამ როცა მეორე დღეს სკოლაში დავიდი შურისძიებით დაემუქრა, გოგონამ გოლფისბურთიანი მუშტი ძლიერად მოსდო მარჯვენა ყბაში და ძირს დააგდო. სალანდერის პირად საქმეში ახალი საყვედური გაჩნდა.

სკოლაში ურთიერთობის წესები ყოველთვის აბნევდა. სალანდერი სხვის საქმეში არასდროს ერეოდა, აი, სხვები კი რატომღაც არასდროს ეშვებოდნენ.

მაღალ კლასებში კიდევ რამდენჯერმე გაგზავნეს სახლში თანაკლასელებთან ჩხუბის გამო. ღონიერმა თანაკლასელმა ბიჭებმა ჭკუა ისწავლეს და გაჩხიკინებულ ლიზბეთთან ბრძოლას თავს არიდებდნენ, რადგან სხვა გოგოებისგან განსხვავებით, ის უკან არასდროს იხევდა და თავის დასაცავად, რაც ხელში მოხვდებოდა, ყველაფერს იყენებდა. ჩაგვრას და დამცირებას ერჩია, მოძალადისთვის თავი შეეკლა.

არავისთვის არასდროს არაფერი შეურჩენია.

ერთხელ სალანდერი თავისზე ბევრად ღონიერ და უფროს ბიჭს ეჩხუბებოდა. ბიჭმა რამდენჯერმე დააგდო ძირს, მაგრამ გოგონა ყოველ ჯერზე ფეხზე დგებოდა და მუშტებს უქნევდა. მაშინ ბიჭმა სილა გააწნა. ვერც ამან უშველა. სულელი გოგო მაინც აგრძელებდა ბრძოლას. თანაკლასელებიც კი მიხვდნენ, რომ სალანდერი არ გაჩერდებოდა, მაგრამ ბიჭთან შედარებით იმდენად უძლური იყო, რომ შეეცოდათ კიდეც. ბოლოს ბიჭმა სახეში მუშტი ისეთი ძალით სთხლიშა, რომ ტუჩი გაუხეთქა და თვალებიდან სულ ნაპერწკლები აყრევინა. ფიზკულტურის დარბაზის უკან მიწაზე

უგონოდ დაგდებული დატოვეს. სალანდერი სკოლაში ორი დღის განმავლობაში არ მისულა. მესამე დილას კი იმ ბიჭს ჩაუსაფრდა და ბეისბოლის ბიტა ყურის ძირში უთავაზა. ამ თავხედობისთვის სალანდერი დირექტორთან დაიბარეს. დირექტორმა პოლიციას აცნობა და გოგონას ფსიქიკური მდგომარეობის შემოწმებაც პირველად მაშინ გადაწყვიტეს.

თანაკლასელები მას გიჟად მიიჩნევდნენ და ასევე ექცეოდნენ. არც მასწავლებლებში სარგებლობდა დიდი სიმპათიით. კომუნიკაბელური არასდროს ყოფილა, მაგრამ თანდათან აღარც ხელს სწევდა და აღარც მასწავლებელს პასუხობდა. ზუსტად არავინ იცოდა, ასე პასუხის არცოდნის გამო იქცეოდა თუ სხვა რამე მიზეზით. ეს მის მოსწრებაზეც აისახებოდა. ეჭვი არავის ეპარებოდა, რომ გოგონას პრობლემები ჰქონდა, პედსაბჭოზეც არაერთხელ განიხილეს მისი საკითხი, მაგრამ ძნელად აღსაზრდელ გოგონაზე პასუხისმგებლობის აღება არავის სურდა. ბოლოს და ბოლოს, მასწავლებლებმაც შეწყვიტეს მისთვის ყურადღების მიქცევა და გოგონაც თავისთვის ჩუმად იჯდა ხოლმე უკანა რიგში.

სხვა სკოლაში ისე გადავიდა, რომ არავის დამშვიდობებია, რადგან ერთი მეგობარიც არ ჰყავდა. არავის უყვარდა ეს ჭირვეული გოგონა. მერე ბავშვობიდან მოზარდობის ასაკში გადააბიჯა და „მთელი ის საშინელება“ მოხდა, რის გახსენებაც არ უყვარდა. უკანასკნელი გამოხდომით ბოლო შტრიხები შეიტანა თავის ფსიქოლოგიურ პორტრეტში და სკოლის საყვედურებიც გამოუქექეს. მას შემდეგ, ოფიციალურად... გიჟად თვლიდნენ, შეშლილად. სალანდერმა ყველანაირი დოკუმენტის გარეშეც იცოდა, რომ სხვებისგან განსხვავებული იყო. თუმცა, სანამ მისი მეურვე ჰოლგერ პალმგრენი იყო, ეს არ ანაღვლებდა. რამე თუ მოუნდებოდა, მას თავის ჭკუაზე ატრიალებდა.

აი, ნილს ბიურმანის გამოჩენამ კი სოციალური სტატუსი მძიმე ტვირთად უქცია. ვისთვისაც უნდა მიემართა, ყველა მხრიდან საფრთხე შეიძლებოდა დამუქრებოდა.

„ბრძოლაში რომ დავმარცხდე, მაშინ საერთოდ საგიჟეთში გამომკეტავენ“.

იმავე ღამეს სესილია ვანგერი და მიქაელ ბლუმკვისტი ჩუმად იწვნენ და ფეხები ერთმანეთში გადაეხლართათ. სესილიას მკერდი ბლუმკვისტს გვერდზე ეხებოდა.

– გმადლობ. ამდენი ხნის შემდეგ პირველად ვიწექი კაცთან. თანაც საწოლში კარგი ყოფილხარ, – უთხრა სესილიამ.

ბლუმკვისტს გაეღიმა. მსგავსი შექება ყოველთვის სიამოვნებდა.

– მოულოდნელი, მაგრამ სასიამოვნო სიურპრიზი იყო.

– თუ მოგინდება, მე გამეორების წინააღმდეგი არ ვიქნები, – თქვა სესილიამ.

– შენს საყვარლობას მთავაზობ? – თვალებში ჩახედა ბლუმკვისტმა.

– ხანდახან საყვარლობას, – დაუზუსტა სესილიამ, – ოღონდ ღამით ჩემთან არ დაიძინებ. არ მინდა დილით ადგე და უვარჯიშებელი და მოუწისრიგებელი მნახო. და კიდევ, კარგი იქნება, მთელ სოფელს თუ არ მოსდებ ჩვენს ამბავს.

– როგორ გეკადრება, – თქვა ბლუმკვისტმა.

– განსაკუთრებით, იზაბელამ არ უნდა გაიგოს. ის ნამდვილი ძუკნაა.

– და შენი მეზობელი... უკვე გავიცანი.

– დიახ, მაგრამ, საბედნიეროდ, ჩემი სახლის კარი მისი ფანჯრიდან არ ჩანს. მიქაელ, გთხოვ, სიფრთხილე გამოიჩინე.

– ნუ ღელავ. ფრთხილად ვიქნები.

– გმადლობ. სვამ ხოლმე?

– ზოგჯერ.

– წვენს მოვიტან ჯინთან ერთად. შენც ხომ არ გინდა?

– დიახ.

სესილიამ ზეწარი შემოიხვია და ქვემოთ ჩავიდა. ბლუმკვისტი შიშველი იდგა და წიგნების კარადას ათვალიერებდა, როცა ქალი გრაფინითა და ორი ჭიქით ხელში დაბრუნა. სადღეგრძელო შესვეს.

– ჩემთან რატომ მოხვედი? – ჰკითხა სესილიამ ბლუმკვისტს.

– რა ვიცი, უბრალოდ...

– სახლში იჯექი და ჰენრიკის საგამოძიებო მასალებს კითხულობდი. მერე ჩემთან მოხვედი. დიდი მიხვედრილობა არ სჭირდება იმის გარკვევას, რის გამოკვლევასაც ცდილობ.

– შენც წაგიკითხავს ის მასალები?

– ბოლომდე არა. ორმოც წელზე მეტია ეს ჩემი ცხოვრების ნაწილად იქცა. ძნელია, ჰენრიკთან ახლოს ცხოვრობდე და ჰარიეტის იდუმალი გაუჩინარების ამბავი არ გაწუხებდეს.

– ჩახლართული და დამაინტრიგებელი საქმეა. ჩაკეტილი ოთახის საიდუმლოს ჰგავს, ოღონდ კუნძულის ფორმატში. მომხდარი ლოგიკას არ ექვემდებარება. არც ერთ შეკითხვაზე პასუხი არ არსებობს, ყველა კვალს ჩიხში შევყავართ.

– ასეთი საქმეები ადამიანებს მოსვენებას უკარგავს.

– შენ იმ დღეს კუნძულზე იყავი.

– დიახ. აქ ვიყავი და მთელი იმ არეულობის მოწმე გავხდი. მაშინ სტოკჰოლმში ვსწავლობდი და იქვე ვცხოვრობდი. ნეტა იმ შაბათ-კვირასაც ჩემს ბინაში დავრჩენილიყავი.

– ჰარიეტი სინამდვილეში როგორი იყო? ყველა სხვადასხვანაირად ახასიათებს.

– ეს შეკითხვა წიგნისთვისაა თუ..?

– არა.

– წარმოდგენა არ მაქვს, რა ხდებოდა ჰარიეტის თავში. რასაკვირველია, შენ ალბათ მისი სიცოცხლის ბოლო წელი გაინტერესებს. ერთ დღეს ღვთისმოსავი გოგონა იყო, მეორე დღეს ქუჩის მეძავივით დაიდღაბნიდა სახეს და შემოტკეცილი მაისურით წავიდოდა სკოლაში. აშკარად უბედურად გრძნობდა თავს. თუმცა, როგორც აღვნიშნე, მე სტოკჰოლმში ვიყავი და ამას გადმოცემით გიყვები.

– მისი უბედურების მიზეზი რა იყო?

– უთუოდ გოტფრიდი და იზაბელა. ცოლ-ქმარი მუდმივად ეყრებოდა და ეჩხუბებოდა ერთმანეთს. ფიზიკურ შეურაცხყოფამდე საქმე არ მიდიოდა – გოტფრიდი ქალზე ხელის აღმმართავი კაცი არ იყო, თან იზაბელასი რაღაცნაირად ეშინოდა კიდეც. იზაბელას საშინელი ხასიათი ჰქონდა. სამოციანების დასაწყისში გოტფრიდი ქოხში დასახლდა, სადაც იზაბელას ფეხი არასდროს შეუდგამს. ნამდვილ მაწანწალას დამსგავსებული გოტფრიდი დროდადრო ბრუნდებოდა სოფელში, დროებით სმას შეწყვეტდა, თავს მოიწესრიგებდა და ისევ მუშაობის დაწყებას ცდილობდა.

– ნუთუ ჰარიეტს არავინ ეხმარებოდა?

– რასაკვირველია, ჰენრიკი ეხმარებოდა. ბოლოს თავის სახლშიც კი გადაიყვანა საცხოვრებლად. მაგრამ არ დაგავიწყდეს, რომ ჰენრიკი მაშინ კორპორაციის მმართველი იყო. ხშირად მოგზაურობდა და მარტინის და ჰარიეტის მისახედად არ ეცალა. მე თვითონ ამ პერიოდში ჯერ უფსალაში და მერე სტოკჰოლმში ვსწავლობდი და ბევრი რამ გამოვტოვე – თუმცა, პირდაპირ გეტყვი, არც მე მქონია ბედნიერი ბავშვობა ჰარალდის ხელში. წარსულს რომ ვიხსენებ, მგონია, რომ მთავარი პრობლემა ჰარიეტის გულჩათხრობილობა იყო. ყოველთვის იმას ცდილობდა, თავი ბედნიერად მოეჩვენებინა.

– თავს იტყუებდა?

– დიახ. თუმცა, მამის დახრჩობის შემდეგ შეიცვალა. უკვე ვეღარ მოიტყუებდა, რომ ბედნიერი ოჯახის წევრია. მანამდე... როგორ გითხრა, ნიჭიერი და ნაადრევად დაბრძენებული იყო, მაგრამ მეორე მხრივ, ჩვეულებრივ მოზარდს ჰგავდა. ბოლო

წელს სწავლასაც უმატა, სკოლაში საუკეთესო ნიშნებს იღებდა, თუმცა, მაინც უხალისო ჩანდა.

– მამამისი როგორ დაიხრჩო?

– ძალიან მოულოდნელად და უბრალოდ. ქოხთან ახლოს ნავით დაცურავდა და წყალში ჩავარდა. შარვალჩახსნილი და სისხლში ალკოჰოლის გადაჭარბებული დოზით იპოვეს, ალბათ ხვდები, ეს როგორ მოხდა. მარტინმა იპოვა.

– არ ვიცოდი.

– უცნაურია. მარტინისგან კარგი ადამიანი დადგა. არადა, ოცდათხუთმეტი წლის წინ რომ გეკითხა, გიპასუხებდი, რომ მას ფსიქიატრის დახმარება ესაჭიროება.

– რატომ?

– ოჯახური კონფლიქტები მხოლოდ ჰარიეტზე არ აისახებოდა ცუდად. წლების განმავლობაში მარტინიც ჩაკეტილი და ასოციალური ბიჭი იყო. და-ძმამ, ორივემ იზარალა მშობლების გულცივობით. უფრო ზუსტად, არც ჩვენ ვყოფილვართ უკეთეს დღეში. მამაჩემთან პრობლემები მეც მქონდა. დარწმუნებული ვარ, იცი, რომ ჰარალდი ნამდვილი შეშლილია. ჩემს დას, ანიტასაც იგივე პრობლემები ჰქონდა. ალექსანდერსაც, ჩემს ბიძაშვილს.

– შენი დის საქმეები როგორ მიდის?

– ლონდონში ცხოვრობს. იქ სამოცდაათიან წლებში გადავიდა შვედურ ტურისტულ სააგენტოში სამუშაოდ და დარჩა. ისე გათხოვდა, საქმრო ოჯახისთვის არც გაუცნია. დღეს ქმართან გაყრილია. British Airways-ის უფროსი მენეჯერია. მე და ანიტა ვმეგობრობთ, მაგრამ ერთმანეთს იშვიათად, წელიწადში ერთი-ორჯერ თუ ვხვდებით. ჰედესტადში არასდროს ჩამოდის.

– რატომ?

– რა კითხვა უნდა? შეშლილი მამის გამო.

– მაგრამ შენ ხომ აქ დარჩი საცხოვრებლად?

– დიახ. ჩემი ძმა ბირგერიც დარჩა.

– რომელიც პოლიტიკოსია.

– მეხუმრები? ბირგერი ჩემსა და ანიტაზე უფროსია. ერთმანეთს ვერასდროს ვუგებდით. ბირგერს თავი მომავალ მინისტრად თუ არა, სულ ცოტა პარლამენტარად მაინც წარმოუდგენია, მთავარია, კონსერვატორებმა არჩევნებში გაიმარჯვონ. სინამდვილეში კი შვედეთის მიყურებული რეგიონის საკრებულოს უბრალო დეპუტატია და, ჩემი აზრით, ამაზე წინ ვეღარასდროს წავა.

– ვანგერების ოჯახის წევრები რატომღაც არც ისე მაღალი შეხედულებისანი არიან ერთმანეთზე. უცნაურია.

– ასე არაა. მარტინის და ჰენრიკის მიმართ კეთილად ვარ განწყობილი. ჩემი დაც მიყვარს, მიუხედავად იმისა, რომ იშვიათად ვხედავთ ერთმანეთს. იზაბელა მეზიზღება და ალექსანდერს ვერ ვიტან. მამაჩემზე აღარაფერს ვამბობ. ასე რომ, ორმოცდაათი ორმოცდაათზეა. ბირგერი... უფრო თავმომწონე ბრიყვია, ვიდრე ბოროტი. თუმცა, ვხვდები, შენ რასაც გულისხმობ. ამას სხვა მხრიდან შეხედე: ვანგერები პირდაპირები არიან და სათქმელს არასდროს მალავენ.

– ო, დიახ, ზედმეტი მიკიბ-მოკიბვა არ გიყვართ, – ბლუმკვისტი ქალს მკერდზე შეეხო, – თხუთმეტი წუთის მოსული არ ვიქნებოდი, თავს რომ დამესხი.

– პირდაპირ გეტყვი, გაცნობისთანავე მინდოდა საწოლში შენი გამოცდა. მოლოდინი არ გაგიცრუებია.

სალანდერს ცხოვრებაში პირველად მოუნდა, ვინმესთვის რჩევა ეკითხა. პრობლემა ის იყო, რომ თუ ვინმეს რჩევას ჰკითხავდა, მაშინ თავისი საიდუმლოებების გამხელაც მოუწევდა. ვისთვის ეკითხა? უცხო ადამიანებთან ურთიერთობა მაინცდამაინც არ ეხერხებოდა.

გონებაში გადათვალა და გაირკვა, რომ მისი საახლობლო სულ ათი ნაცნობისგან შედგებოდა.

შეეძლო Plague-ს დალაპარაკებოდა, ვისთანაც მეტ-ნაკლებად ახლოს იყო, მაგრამ ის მეგობრად ძნელად თუ ჩაითვლებოდა. თანაც საეჭვოა, Plague-ს მისი დახმარება მოეხერხებინა. სხვა დამხმარე უნდა მოეძებნა.

სალანდერის სექსუალური ცხოვრება მთლად ისეთი მოკრძალებულიც არ იყო, როგორც ბიურმანს აღუწერა. მეორე მხრივ, სექსი მხოლოდ მასთან ჰქონდა, ვისთანაც თვითონ უნდოდა და როცა უნდოდა. მას მერე, რაც თხუთმეტი წელი შეუსრულდა, ორმოცდაათი პარტნიორი მაინც ჰყოლია. ეს წელიწადში საშუალოდ ხუთ პარტნიორს ნიშნავდა, რაც მშვენიერი შედეგი იყო მარტოხელა გოგონასთვის, ვინც სექსს დროის გასაყვან საშუალებად მიიჩნევს. თუმცა, პარტიორთა უმეტესობა იმ მღელვარე ორი წლის განმავლობაში გამოიცვალა, სანამ სრულწლოვანი გახდებოდა.

სალანდერის ცხოვრებაში იყო პერიოდი, როცა გზაგასაყარზე იდგა და ერთი მცდარი ნაბიჯით მისი პირადი საქმე ნარკომანობის, ლოთობის, პატიმრობის მრავალი ფაქტით შეივსებოდა. თუმცა, ოცი წლის შესრულებისა და Milton Security-ში მუშაობის დაწყების შემდეგ შესამჩნევად დაღვინდა და, როგორც თვითონ ამბობდა, საკუთარ ცხოვრებაზე კონტროლი დააწესა.

პაბში ნაყიდი სამი კათხა ლუდის გამო ვიღაც-ვიღაცეებისთვის სიამოვნების მინიჭებას აღარ თანხმდებოდა. არც ახლად გაცნობილი ლოთები დაჰყავდა სახლში.

ბოლო წლის განმავლობაში მხოლოდ ერთი მუდმივი სექსუალური პარტნიორი ჰყავდა. რაც სულ არ შეეფერებოდა მის პირად საქმეში აღწერილ პიროვნებას, რომელიც მოზარდობის უკანასკნელ წლებში აღვირახსნილ ცხოვრებას ეწეოდა.

სექსი უმეტესად თავის ნაცნობებთან ჰქონდა. ერთი ჯგუფი იყო, რომელიც სილა ნორენმა გააცნო. ცხრამეტი წლისა იყო, სილას რომ შეხვდა. მაშინ პალმგრენის დაჟინებული მოთხოვნით, სკოლის დამთავრებას და ატესტატის აღებას ცდილობდა. სილას იასამნისფერ-წითლად ჰქონდა თმა შეღებილი, ტყავის მოტკეცილი შარვალი ეცვა და ცხვირზე რგოლი ეკიდა. პირველ გაკვეთილზე დაეჭვებით შეათვალიერეს ერთმანეთი.

თავისდა უნებურად, სალანდერი სილას დაუახლოვდა. სიმართლე ითქვას, სალანდერი მეგობრად არ ვარგოდა, მაგრამ სილას მისი სიტყვაძუნწობა უცნაურად არ მოსჩვენებია და ბარში დაპატიჟა. სილას დახმარებით, სალანდერი Evil Fingers-ის წევრი გახდა. ათი წლის წინ ოთხი გოგონასგან შემდგარი ენსკედური ბენდი მძიმე როკს უკრავდა. დღესდღეობით კი მრავალრიცხოვან ჯგუფად ქცეულიყო, რომელიც სამშაბათობით იკრიბებოდა ბარ Kvarnen-ში, სვამდა ლიტრობით ლუდს და საუბრობდა ბიჭებზე, ფემინიზმზე, პენტაგრამაზე, მუსიკასა და პოლიტიკაზე.

სალანდერი ჯგუფის ძირითად წევრად არ ითვლებოდა და არც საუბრებში ერთვებოდა ხოლმე, მაგრამ როგორც პიროვნება, მოსწონდათ და კეთილგანწყობით ეკიდებოდნენ. სალანდერს უფლება ჰქონდა ნებისმიერ დროს მისულიყო ბარში, მთელი საღამო ლუდის კათხასთან ერთად ჩუმად მჯდარიყო და როცა მოუნდებოდა, მაშინ წასულიყო. საშობაო წვეულებებზეც პატიჟებდნენ, მაგრამ არც ერთხელ არ მისულა.

Evil Fingers-თან ხუთწლიანი ნაცნობობის შემდეგ გოგონები შეიცვალნენ. თმასაც ნაკლებად თვალშისაცემ ფერად იღებავდნენ და სამოსსაც ფანკური მეორადების მაღაზიის ნაცვლად მოდურ ბუტიკებში ყიდულობდნენ. სწავლობდნენ და მუშაობდნენ. ერთ-ერთი გოგონა დედაც გახდა. სალანდერს ეჩვენებოდა, რომ თვითონ ოდნავადაც არ შეცვლილა, რაც ალბათ იმას ნიშნავდა, რომ ერთ ადგილს ტკეპნიდა და დრო გაჰყავდა.

თუმცა, ერთად მაინც კარგად ერთობოდნენ. სალანდერი Evil Fingers-ის და მათი ნაცნობი ბიჭების კომპანიაში თავს ყველაზე უკეთ გრძნობდა.

Evil Fingers მის გასაჭირს ნამდვილად მოისმენდნენ და ალბათ დახმარებასაც ეცდებოდნენ, თუმცა, მათ წარმოდგენა არ ჰქონდათ, რომ საოლქო სასამართლოს სალანდერი ჭკუასუსტად ჰყავდა აღიარებული. არ უნდოდა, რომ გოგონებს მისთვის ცუდი თვალით შეეხედათ. ვერა, ვერც ისინი დაეხმარებოდნენ.

მათ გარდა კი სხვა არავინ ჰყავდა, არც ინტერნეტ-ნაცნობები და არც პოლიტიკურ საქმეებში ჩართული ახლობლები. მაშ, ვისთვის მიემართა თავისი პრობლემებით?

ერთადერთი პიროვნება რჩებოდა. დიდხანს ფიქრობდა, ეთხოვა თუ არა დახმარება დრაგან არმანსკისთვის. მან ხომ უთხრა, თუ დახმარება დაგჭირდეს, არ მოგერიდოს, მაშინვე მომმართეო? სალანდერს ეჭვიც არ ეპარებოდა, რომ არმანსკიმ ეს გულწრფელად უთხრა.

არმანსკიმაც კი შეახო ერთხელ ხელი, მაგრამ ის მეგობრული ჩახუტება იყო და ავი განზრახვა არ ჰქონია. თუმცა, სალანდერს მისთვის დახმარების თხოვნა ეუხერხულებოდა. არმანსკი მისი უფროსი იყო და ამ თხოვნის შემდეგ მის წინაშე მუდამ დავალებული იქნებოდა. სალანდერმა გაიფიქრა, რა იქნებოდა, არმანსკი ყოფილიყო ჩემი მეურვე ბიურმანის ნაცვლადო. გაეღიმა. არმანსკი ალბათ ძალიან სერიოზულად მიუდგებოდა თავის მოვალეობებს და თავს მოაბეზრებდა. და მაინც, სხვებთან შედარებით, არმანსკი... უკეთესი ვარიანტი იყო.

ქალთა კრიზისული ცენტრის არსებობაზეც იცოდა, მაგრამ წამითაც არ უფიქრია, მისთვის მიემართა. კრიზისული ცენტრი, მისი აზრით, ძალადობის მსხვერპლთათვის იყო განკუთვნილი, სალანდერი კი თავს მსხვერპლად სულაც არ მიიჩნევდა.

საბოლოოდ, იმ დასკვნამდე მივიდა, რომ საკუთარი პრობლემები თავად უნდა გადაეწყვიტა. ეს ერთადერთი გამოსავალი იყო და ადვოკატ ნილს ბიურმანს კარგს არაფერს უქადდა.

თავი XIII

ხუთშაბათი, 20/II-პარასკევი, 7/III

თებერვლის ბოლო კვირაში სალანდერმა საკუთარი თავი „დაიქირავა“ და 1950 წელს დაბადებულ ადვოკატ ნ. ბიურმანზე ინფორმაციის მოძიება დაიწყო. დღეში თითქმის თექვსმეტ საათს მუშაობდა, ასეთი დეტალური კვლევა ადრე არასდროს ჩაუტარებია. ყველა არქივი და საჯარო დოკუმენტი გადაქექა, რაზეც ხელი მიუწვდებოდა; ადვოკატის ნათესავებისა და მეგობრების წრეც გადაამოწმა. მის ფინანსურ მდგომარეობასაც გაეცნო და კარიერული აღმასვლის ყოველ წვრილმანსაც.

შედეგები არცთუ სახარბიელო იყო.

ბიურმანს სამართლის თემაზე ვრცელი, მაგრამ ძალიან მოსაბეზრებელი დისერტაცია ჰქონდა დაცული. უზადო რეპუტაციით სარგებლობდა. ერთხელაც არ ყოფილა შემჩნეული საეჭვო საქმიანობაში. მისთვის ერთადერთხელ, ათი წლის წინ ეჩივლათ ადვოკატთა ასოციაცაში და ბინის უკანონოდ გაყიდვის შუამავლობაში დაედანაშაულებინათ, მაგრამ ბიურმანს უდანაშაულობის დამტკიცება მოეხერხებინა. ფინანსურად შეძლებული იყო და 10 მილიონი კრონის ქონებას ფლობდა. საჭიროზე მეტ გადასახადს იხდიდა, Greenpeace-ის და Amnesty International-ის წევრი იყო და „გულსისლძარღვთა და ფილტვების დაავადებათა ასოციაციას“ ხშირად ურიცხავდა თანხას. პრესაში მისი სახელი იშვიათად ჩნდებოდა, მაგრამ რამდენჯერმე მესამე სამყაროს პოლიტპატიმართა გათავისუფლების მოწოდებისთვის მასაც მოეწერა ხელი. უდენპლანთან ახლოს უპლანდსგატანზე ხუთოთახიან ბინაში ცხოვრობდა და საბინაო თვითმმართველობას თავმჯდომარეობდა. ცოლთან გაყრილი იყო, შვილები არ ჰყავდა.

სალანდერმა მის ყოფილ ცოლ ელენაზეც მოიძია ცნობები. ის წარმოშობით პოლონელი იყო, მაგრამ მთელი ცხოვრება შვედეთში გაეტარებინა. რეაბილიტაციის ცენტრში მუშაობდა და ბიურმანის ძველ კოლეგაზე ხელახლა გათხოვილიყო. სალანდერმა საინტერესოს ვერაფერს მიაგნო. ბიურმანის ქორწინება თოთხმეტ წელიწადს გრძელდებოდა და გაყრის პროცესს ზედმეტი ხმაურის გარეშე ჩაევლო.

ადვოკატი ბიურმანი ხშირად მუშაობდა კანონდამრღვევი ახალგაზრდების საქმეებზე. სალანდერის მეურვედ დანიშვნამდე, ოთხი ახალგაზრდის მზრუნველი ყოფილა. თუმცა, ოთხივე შემთხვევაში საქმე არასრულწლოვანებთან ჰქონდა და მათგან სრულწლოვანად გახდომის შემდეგ ჩამოეცილებინათ. ერთ-ერთი სამზრუნველო პირი კვლავაც მიმართავდა ბიურმანს იურიდიული კონსულტაციებისთვის, მაგრამ მტრობის კვალს სალანდერმა ვერსად მიაგნო. თუ ბიურმანი ყველა თავის დაქვემდებარებულზე ძალადობდა სექსუალურად, ამას აშკარად ჭკვიანურად მალავდა და სალანდერს რამდენიც უნდა ექექა, მის ბილწ საქმიანობაზე მაინც ვერაფერს დაადგენდა. ოთხივე სამზრუნველო პირი დღესდღეობით მეგობარ ბიჭებთან ან გოგონებთან ცხოვრობდა; სამსახური, საკუთარი ბინები და საბანკო ანგარიშები ჰქონდათ.

სალანდერმა ოთხივეს დაურეკა და სოციალური სამსახურის წარმომადგენლად გაეცნო: გამოკითხვას ვაწარმოებთ, მეურვეობის ქვეშ ნამყოფი ბავშვები როგორ იწყობენ ცხოვრებას სხვა ბავშვებთან შედარებითო.

„დიახ, რასაკვირველია, ანონიმურობა დაცული იქნება“, – დაამშვიდა ოთხივე და წინასწარ შედგენილი ათი შეკითხვა დაუსვა ტელეფონზე. რამდენიმე შეკითხვა პირადად მეურვეს ეხებოდა – როგორი პიროვნება იყო მათი მეურვე ადვოკატი ბიურმანი და კმაყოფილები იყვნენ თუ არა მისით? გამოკითხულთაგან არც ერთს ცუდი არაფერი დასცდენია ბიურმანზე.

როცა მასალების შეგროვებას მორჩა, სალანდერმა დოკუმენტაცია ქაღალდის პაკეტში ჩადო და ჰოლში ძველი გაზეთებით სავსე სხვა ოცამდე პაკეტის გვერდით დადო. ბიურმანის გამოჭერა შეუძლებელი იყო. ოფიციალურად უმწიკვლო წარსული ჰქონდა. რასაკვირველია, სალანდერმა იცოდა, რომ ის გარეწარი იყო, მაგრამ ამას ვერაფრით დაამტკიცებდა.

სხვა ვარიანტების განხილვაზე გადავიდა. ხანგრძლივი გაანალიზების შემდეგ ერთადერთ მიმზიდველ გამოსავალზე დაიწყო ფიქრი – ყოველ შემთხვევაში, ყველაზე რეალურად ჯერჯერობით მხოლოდ ეს მოეჩვენა. კარგი იქნებოდა, ბიურმანი მისი ცხოვრებიდან უბრალოდ გამქრალიყო. უეცარი ინფარქტი ყოველგვარ პრობლემას მოხსნიდა. თუმცა, ორმოცდაათი წლის კაცს, რაც უნდა არამზადა იყოს, ინფარქტი ვიღაცის ნებაზე სულაც არ არტყამს.

თუმცა, ინფარქტისთვის ხელის შეწყობა ბევრნაირად შეიძლება.

ბლუმკვისტი სკოლის დირექტორ სესილია ვანგერთან თავის ურთიერთობას საგულდაგულოდ მალავდა. სესილიამ სულ სამი მოთხოვნა წაუყენა: არავის გაეგო, რომ ერთმანეთს ხვდებოდნენ, მასთან მხოლოდ მაშინ მისულიყო, როცა ქალი დაურეკავდა, და ბოლოს, ღამით მასთან არ უნდა დარჩენილიყო.

სესილიას ტემპერამენტი ბლუმკვისტს აკვირვებდა. როცა შემთხვევით „სუზანის კაფეში“ ხვდებოდნენ, სესილიას თავი მეგობრულად, მაგრამ ცივად ეჭირა. აი, საძინებელში კი ვნებიანი და მხურვალე ხდებოდა.

ბლუმკვისტს ქალის პირად ცხოვრებაში ცხვირის ჩაყოფა არ უნდოდა, მაგრამ ის ხომ ვანგერების პირად ცხოვრებაში ცხვირის ჩასაყოფად დაიქირავეს. ცნობისმოყვარეობა არ ასვენებდა. ერთხელ ჰენრიკ ვანგერს ჰკითხა სესილიას ქმარი ვინაა ან ერთად რატომ აღარ არიანო. ეს შეკითხვა მაშინ დაუსვა, როცა ის და ჰენრიკი ალექსანდერის და ბირგერის წარსულს განიხილავდნენ.

– სესილია? არა მგონია, მას ჰარიეტის გაუჩინარებასთან რამე კავშირი ჰქონდეს.

– მის წარსულზე მაინც მიამბეთ.

– ჰედესტადში სწავლის დამთავრების შემდეგ დაბრუნდა და სკოლაში მასწავლებლად დაიწყო მუშაობა. შემდეგ ჯერი კარლსონი გაიცნო, რომელიც, სამწუხაროდ „ვანგერების კორპორაციაში“ მუშაობდა. დაქორწინდნენ. მეგონა, რომ ბედნიერები იყვნენ – ყოველ შემთხვევაში, თავიდან ასე მეჩვენებოდა. მაგრამ რამდენიმე წელიწადში შევამჩნიე, რომ მათ ცხოვრებაში ყველაფერი რიგზე არ იყო. ქმარი ცუდად ეპყრობოდა. როგორც ხდება ხოლმე – გამუდმებით სცემდა, მაგრამ სესილია ყოველთვის იცავდა მას. ერთხელაც ჯერის ზედმეტი მოუვიდა. სესილია სერიოზულად დაშავდა და საავადმყოფოში დააწვინეს. მე დახმარება შევთავაზე. სესილია ჰედების კუნძულზე დასახლდა და მას მერე ქმართან ურთიერთობა აღარ ჰქონია. ის ვაჟბატონი სამსახურიდან გავაგდე.

– მაგრამ ჯერაც ცოლ-ქმრად ითვლებიან?

– გააჩნია, როგორ შეხედავ. არ ვიცი, სესილია ოფიციალურად რატომ არ ეყრება. თუმცა, ხელმეორედ გათხოვება არასდროს მოუნდომებია, ასე რომ, მნიშვნელობა მაინც არ აქვს, ოფიციალურად გაშორდება თუ არა.

– მაგ კარლსონს თუ აქვს რამე კავშირი...

– ...ჰარიეტთან? არა, 1966 წელს არც ჰედესტადში ცხოვრობდა და არც „ვანგერების კორპორაციაში“ მუშაობდა.

– გასაგებია.

– მიქაელ, სესილია ძალიან მიყვარს. ხანდახან მასთან ურთიერთობა ძნელია, მაგრამ ჩემი ოჯახის ერთ-ერთი საუკეთესო წევრია.

სალანდერმა ნილს ბიურმანის წინააღმდეგ გეგმის დაწყობას მთელი კვირა მოანდომა. უამრავი მეთოდი მოიფიქრა და უარყო, სანამ ყველაზე რეალური სცენარი არ შეიმუშავა. „მხოლოდ ცივი გონებით უნდა ვიმოქმედო!“ – ახსენებდა საკუთარ თავს.

მხოლოდ ერთი მიზნისთვის უნდა მიეღწია – ბიურმანი ისე უნდა მომკვდარიყო, რომ სალანდერი ვერავის დაედანაშაულებინა. გამოძიებისას, როცა ბიურმანის საქმეებს და მოვალეობებს გაეცნობოდნენ, ალბათ მისი სახელიც ამოტივტივდებოდა. მაგრამ ბიურმანს ხომ სხვა დროსაც ჰყავდა სამზრუნველო პირები თუ კლიენტები, სალანდერს კი ჯერ მხოლოდ ოთხჯერ შეხვედროდა, ასე რომ მასზე ნაკლებად მიიტანდნენ ეჭვს. ბიურმანს ბევრი საყვარელი, ნათესავი, ნაცნობი თუ კოლეგა ჰყავდა. თანაც ხშირია „შემთხვევითი მკვლელობა“, როცა დამნაშავე და მსხვერპლი ერთმანეთს არ იცნობენ.

თუკი მასზე მიიტანდნენ ეჭვს, სალანდერი უმწეო, სულით ავადმყოფი გოგონას როლს ითამაშებდა და ამის დამამტკიცებელ საბუთებსაც წარადგენდა. ამიტომ ბიურმანი ისეთ ვითარებაში უნდა მომკვდარიყო, რომ ჭკუასუსტ გოგონაზე ვერანაირად ვერ მიეტანათ ეჭვი.

პისტოლეტის გამოყენება თავიდანვე გადაიფიქრა. პისტოლეტს კი ადვილად იშოვიდა, მაგრამ ცეცხლსასროლი იარაღი ცხად კვალს ტოვებს ხოლმე და პოლიციას გამოძიება არ გაუჭირდებოდა.

მერე დანის გამოყენებაზე იფიქრა, მაგრამ არც ეს აზრი მოეწონა. თუნდაც უჩუმრად მიჰპარვოდა ბიურმანს და დანა ჩაერტყა, რა გარანტია ექნებოდა, რომ ბიურმანი მაშინვე მოკვდებოდა ან სიკვდილამდე წამოყვირებას მაინც ვერ მოასწრებდა. უფრო უარესი, შეიძლებოდა, მასთან ჯაჯგურში სისხლით მოთხვრილიყო და ეს მის წინააღმდეგ სამხილად გამოეყენებინათ.

თვითნაკეთ ბომბზეც კი იფიქრა, მაგრამ ეს უკვე მეტისმეტი იქნებოდა. ბომბის დამზადება დიდ სირთულეს არ წარმოადგენდა – ინტერნეტი სავსეა სტატიებით, სადაც მომაკვდინებელი მოწყობილობების დამზადების ხერხებია აღწერილი. უბრალოდ, არ იცოდა, ბომბი სად დაემონტაჟებინა, და შიშობდა, ვაითუ უდანაშაულო გამვლელიც დაშავდესო. თანაც, არც ამ შემთხვევაში ჰქონდა იმის გარანტია, რომ ბიურმანი ნამდვილად მოკვდებოდა.

უცებ ტელეფონმა დარეკა.

– გამარჯობა, ლიზბეთ. დრაგანი ვარ. შენთვის საქმე მაქვს.

– დრო არ მაქვს.

– მნიშვნელოვანია.

– არ მცალია.

და ყურმილი დაუკიდა.

ბოლოს, არჩევანი საწამლავზე შეაჩერა. ამ იდეამ თავიდან კი გააკვირვა, მაგრამ დაფიქრების შემდეგ საუკეთესო ვარიანტად მოეჩვენა.

სალანდერი რამდენიმე დღე იქექებოდა ინტერნეტში. სადაც საწამლავების დიდი არჩევანი იყო. ყველაზე მომაკვდინებლად კი წყალბადის ციანიდი ითვლებოდა, რასაც მეცნიერები წყალბადციანმჟავას უწოდებენ.

წყალბადციანმჟავას ქიმიურ მრეწველობაში, კერძოდ, საღებავების საწარმოებლად იყენებენ. ადამიანის მოსაკლავად რამდენიმე მილიგრამიც საკმარისია. წყლის რეზერვუარში გარეული ერთი ლიტრი წყალბადციანმჟავა კი რამდენიმეათასიან ქალაქს ამოწყვეტს.

რასაკვირველია, ასეთი საშიში ნივთიერების გამოყენება მკაცრად შეზღუდულია. თუმცა, მისი წარმოება ჩვეულებრივი სამზარეულოს პირობებშიც შეიძლება. სალანდერს მხოლოდ ლაბორატორიული ხელსაწყოები დასჭირდებოდა, რომელსაც საბავშვო მაღაზიაში სულ რამდენიმე ასეულ კრონად იშოვიდა, და ინგრედიენტები, რომლებიც საკვები პროდუქტებიდანაც შეიძლება მოიპოვო. საწამლავის დამზადების რეცეპტი კი ინტერნეტში წაიკითხა.

შეეძლო ნიკოტინიც გამოეყენებინა. ერთი ბლოკი სიგარეტი საკმარისი რაოდენობის საჭირო ნივთიერებას გამოყოფს, რომლითაც მომწამვლელი სიროპის მოხარშვა შეიძლება. უფრო მომაკვდინებელი, მაგრამ შედარებით ძნელად მოსაპოვებელი, ნიკოტინის სულფატია, რომელსაც კანში შეწოვის თვისება გააჩნია. სალანდერს მხოლოდ რეზინის ხელთათმანების გაკეთება, წყლის პისტოლეტი და სითხის ბიურმანისთვის სახეში შესხმა დასჭირდებოდა. ოც წუთში ბიურმანი გაითიშებოდა და კიდევ რამდენიმე წუთში მოკვდებოდა.

სალანდერს მანამდე წარმოდგენაც არ ჰქონდა, რომ ასეთი პროდუქტებისგან მომაკვდინებელი იარაღის წარმოება შეიძლება. რამდენიმედღიანი კვლევის შემდეგ საბოლოოდ დარწმუნდა, რომ მეურვის თავიდან მოსაცილებლად არანაირი ტექნიკური დაბრკოლება არ არსებობდა.

რჩებოდა მხოლოდ ორი პრობლემა: ბიურმანის სიკვდილი საკუთარ ცხოვრებაზე კონტროლის აღდგენის საშუალებას არ მისცემდა და არც იმის გარანტია ჰქონდა, რომ ბიურმანის შემცვლელი უფრო საძაგელი პიროვნება არ აღმოჩნდებოდა.

მოსალოდნელ შედეგებს ყოველთვის წინასწარი ანალიზი სჭირდება.

სალანდერს საკუთარ მეურვეზე კონტროლის დამყარება ესაჭიროებოდა, რომ ამით საკუთარი ცხოვრების მართვის საშუალება ჰქონოდა. ერთი საღამო მთლიანად ვითარების განხილვას დაუთმო და გვიან ღამით ბიურმანის მოწამლვა გადაიფიქრა.

ახალი და სრულიად განსხვავებული გეგმა დააწყო. მის განსახორციელებად ბიურმანისთვის ხელახლა უნდა მიეცა თავდასხმის ნება. თუ გაუძლებდა, გაიმარჯვებდა.

ყოველ შემთხვევაში, მას ასე ეგონა.

თებერვლის მიწურულს ბლუმკვისტი ჰედების ყოველდღიურობაში საბოლოოდ ჩაება. ყოველ დილით ცხრა საათზე დგებოდა, საუზმობდა და შუადღემდე მუშაობდა – საგამოძიებო მასალებს ეცნობოდა და სწავლობდა; მერე, თუნდაც ავდარი ყოფილიყო, ერთი საათით გაისეირნებდა. ნაშუადღევს ისევ მუშაობდა ხან სახლში, ხანაც – „სუზანის კაფეში“ და დილით წაკითხულს იმეორებდა ან ვანგერის ბიოგრაფიის გარკვეულ მონაკვეთებს წერდა. სამიდან ექვს საათამდე სულ თავისუფალი იყო. ამ დროს მაღაზიაში ან ჰედესტადში მიდიოდა; სარეცხს რეცხავდა; საღამოს შვიდი საათისთვის ჰენრიკ ვანგერთან შეივლიდა დღის განმავლობაში დაგროვილი შეკითხვების დასასმელად. ღამის ათ საათზე კი შინ ბრუნდებოდა და შუაღამის პირველ-ორ საათამდე ისევ კითხულობდა – ჰენრიკ ვანგერის მასალებს დეტალურად სწავლობდა.

ჰენრიკ ვანგერის ბიოგრაფიის წერა რატომღაც არ უჭირდა. ოჯახური ქრონიკების 120 გვერდიანი შავი ვარიანტი მზად ჰქონდა, უკვე 1920-იან წლებამდე მიეღწია. თუმცა, სწორედ ამ ადგილიდან ყოველი სიტყვის აწონ-დაწონვა მოუწევდა და ალბათ ტემპიც შენელდებოდა.

ჰედესტადის ბიბლიოთეკაში შვედურ ნაციზმზე წიგნები გამოიწერა, მათ შორის, ჰელენ ლოოვის სადოქტორო დისერტაცია გერმანელი და შვედი ნაცისტების იმდროინდელ სიმბოლოებზე – „სვასტიკა და ვასას კონა“. მათი დახმარებით კიდევ ორმოცი გვერდი დაწერა ჰენრიკ ვანგერსა და მის ძმებზე. ძირითადად, ჰენრიკზე იყო კონცენტრირებული, როგორც წიგნის მთავარ გმირზე. წინ გრძელი სია ედო, რა საკითხებზე უნდა ეწარმოებინა კვლევა, კომპანიის მაშინდელი მდგომარეობის და სტრუქტურის აღსაწერად. გაირკვა, რომ ვანგერების ოჯახი ივარ კროიგერის იმპერიასთან ახლო კავშირში იყო, და ამ ფაქტის უფრო ყურადღებით გამოკვლევასაც შეუდგა. დაახლოებით 300 გვერდი კიდევ რჩებოდა დასაწერი. თავისი გრაფიკის მიხედვით, ტექსტი გადასაკითხად ჰენრიკისთვის პირველ სექტემბერს უნდა გადაეცა, რომ შემოდგომაზე რედაქტირებაც მოესწრო.

მიუხედავად ამდენი ამბის მოსმენისა და წაკითხვისა, ჰარიეტის გაუჩინარების საქმე ოდნავად არ წაწეულა წინ. საგამოძიებო მასალები თავიდან ბოლომდე გადაქექა, მაგრამ ხელჩასაჭიდს ვერაფერს მიაგნო.

თებერვლის მიწურულს, შაბათ საღამოს, ჰენრიკ ვანგერს აუწყა, ჰარიეტის საქმეზე ჩიხში შევედიო. მოხუცმა ყურადღებით მოუსმინა და თქვა:

– არც ერთი დანაშაული არაა სრულყოფილი. დარწმუნებული ვარ, რაღაც გამოგვრჩა.

– იმის თქმაც კი არ შეგვიძლია, რომ დანაშაული ჩაიდინეს.

– არ შეწყვიტო, ბოლომდე მიჰყევი.

– დროის ფუჭი ხარჯვაა.

– შეიძლება, მაგრამ მაინც არ დანებდე.

ბლუმკვისტმა ამოიოხრა.

– ტელეფონის ნომრები... – თქვა მცირე პაუზის შემდეგ.

– დიახ.

– რაღაცას უნდა ნიშნავდეს.

– გეთანხმები.

– უთუოდ რაღაც მიზნითაა ჩამოწერილი.

– დიახ.

– მაგრამ ვერ ვხვდებით, რა მიზნით.

– დიახ.

– ან არასწორად ვხვდებით.

– ზუსტად.

– ეს ტელეფონის ნომრები არაა. სხვა რაღაცას ნიშნავს.

– შესაძლოა.

მიქაელმა ისევ ამოიოხრა და შინ დაბრუნდა კითხვის გასაგრძელებლად.

ადვოკატმა ნილს ბიურმანმა შვებით ამოისუნთქა, როცა სალანდერმა დაურეკა და აუხსნა, ფული კიდევ მჭირდებაო. გოგონას ბოლო შეხვედრა გადაედო, მოემიზეზებინა ბევრი სამუშაო მაქვსო, და ადვოკატს ეჭვები გულს უღრღნიდა, ვაითუ მომხდარზე ვინმეს უამბოს და ეს ბავშვი პრობლემად მექცესო. და, აი, როგორც იქნა, ალბათ ჯიბის ფული შემოაკლდა და ისევ დაურეკა. ბიურმანმა გადაწყვიტა, ყველაფერი საბოლოოდ გაერკვია მასთან.

გოგონას ერთხელ და სამუდამოდ უნდა შეეგნო, ვინ იყო უფროსი, ამიტომ შეხვედრა ოფისში კი არა, უდენპლანზე, თავის ბინაში დაუნიშნა. სალანდერი კარგა ხანს დუმდა, სანამ თანხმობას განაცხადებდა.

გოგონას მეურვესთან შეხვედრა ისევ კაბინეტში ჰქონდა დაგეგმილი. ახლა კი უცხო ტერიტორიაზე უწევდა შესვლა. შეხვედრა პარასკევისთვის დათქვეს. ბიურმანმა მას სადარბაზო კარის კოდი მისცა. სალანდერმა დათქმულზე ნახევარი საათით გვიან, ცხრის ნახევარზე დარეკა ბინის კარზე. ზუსტად ნახევარი საათი დასჭირდა კიბეზე ასასვლელად, გონებაში გეგმის უკანასკნელად გასამეორებლად, ალტერნატიულ ვარიანტებთან მის შესადარებლად და მხნეობის მოსაკრებად.

ზუსტად რვა საათზე ბლუმკვისტმა კომპიუტერი გამორთო და გამოსასვლელი ტანსაცმელი ჩაიცვა. კაბინეტში შუქი ჩართული დატოვა და სახლიდან გავიდა. ცა ვარსკვლავებით მოჭედილიყო. ყინავდა. ბლუმკვისტი ოსტერგორდენის მიმართულებით აღმართს შეუყვა და ჰენრიკ ვანგერის სახლს გასცდა თუ არა, მარცხნივ, სანაპიროსკენ გადაუხვია. წყალში ტივტივები მოჩანდა, ბნელში ჰედესტადის ლამპიონები ციმციმებდა. ბლუმკვისტი სუფთა ჰაერის ჩასაყლაპად გამოვიდა, მაგრამ უფრო მეტად იზაბელა ვანგერის ფხიზელი მზერისგან მორიდება სურდა. მარტინ ვანგერის სახლთან გაუკვალავი ბილიკიდან ისევ მთავარ გზაზე გადავიდა და ზუსტად ცხრის ნახევარზე მიადგა სესილია ვანგერის სახლის კარს. მაშინვე საძინებელში ავიდნენ.

კვირაში ერთხელ ან ორჯერ ხვდებოდნენ. სესილია არა მხოლოდ მის საყვარლად იქცა, არამედ სანდო მეგობრადაც. ჰარიეტ ვანგერზე საუბარი სესილიასთან უფრო ნაყოფიერი იყო, ვიდრე ბიძამისთან.

სალანდერს გეგმა ლამის ბინაში შესვლისთანავე ჩაეშალა.

კარი სააბაზანოს ხალათშემოსხმულმა ბიურმანმა გაუღო. გაბრაზებული იყო, რომ გოგონამ დააგვიანა, და ხელის უხეში ქნევით ანიშნა, შემოდიო. სალანდერს შავი ჯინსის შარვალი, მაისური, ტყავის ქურთუკი და ჩექმები ეცვა. ზურგზე ზურგჩანთა ეკიდა.

– შენ რა, საათის ცნობა არ იცი? – შეუღრინა ბიურმანმა.

სალანდერმა უხმოდ მიმოიხედა. ბინა ზუსტად ისეთი გამოდგა, როგორიც ქალაქის დაგეგმარების სამმართველოს არქივების შემოწმების შემდეგ წარმოედგინა. ოთახში არყისა და წიფლის ხის ღია ფერის ავეჯი იდგა.

– შემოდი, – ხმის ტონი შეარბილა ბიურმანმა, მხრებზე ხელი მოჰხვია და ზედმეტი მიკიბვ-მოკიბვის გარეშე პირდაპირ საძინებლის კარი შეაღო. ცხადი გახდა, ფულის სანაცვლოდ რა უნდა გაეკეთებინა სალანდერს.

გოგონამ საძინებელშიც მიმოიხედა. იქაურობა მარტოხელა მამაკაცის შესაფერისად იყო მოწყობილი. შუაგულში ფოლადისთავიანი დიდი საწოლი იდგა, დაბალი, უჯრებიანი კარადა ტუმბოს მოვალეობას ასრულებდა. ზედ შემოდებული ლამპები სუსტად ბჟუტავდა. ერთ კუთხეში სარკიანი გარდერობი იდგა, კართან ახლოს – ლერწმის სავარძელი, მის პირდაპირ კი – პატარა მაგიდა.

– მითხარი, ამჯერად რისთვის გჭირდება ფული? კომპიუტერის ნაწილებისთვის? – ჰკითხა ბიურმანმა.

– საჭმლისთვის.

– აჰ, რა სულელი ვარ, შენ ხომ ბოლო შეხვედრაზე არ მოხვედი, – კაცმა ნიკაპქვეშ ამოსდო ხელი და თავი ააწევინა, რომ მისთვის თვალი გაესწორებინა, – როგორ ხარ?

სალანდერმა მხრები აიჩეჩა.

– კარგად იფიქრე იმაზე, რაც წინა შეხვედრისას გითხარი?

– რა მითხარით?

– ლიზბეთ, თავს უფრო მეტად ნუ ისულელებ. მე მინდა, რომ ვიმეგობროთ და ერთმანეთს დავეხმაროთ.

სალანდერს ხმა არ ამოუღია. ბიურმანმა ლამის სილა გააწნა გამოსაცოცხლებლად.

– მოგეწონა „უფროსების“ თამაში?

– არა.

ბიურმანმა წარბები აზიდა.

– ლიზბეთ, ჭკუას მოუხმე.

– საჭმლის საყიდლად ფული მჭირდება.

– მაგრამ ჩვენ ხომ ზუსტად ამაზე ვილაპარაკეთ წინა შეხვედრისას. თუ მასიამოვნებ, მეც გასიამოვნებ. ხოლო თუ პრობლემებს შემიქმნი... – ბიურმანმა ნიკაპზე ხელი ისე ძლიერად წაუჭირა, რომ სალანდერმა თავი განზე გასწია.

– ჩემი ფული მომეცით. რა გინდათ ჩემგან?

– იცი, რაც მინდა, – ბიურმანმა მხარში ხელი ჩაავლო და საწოლისკენ გაათრია.

– ერთი წუთით, – გოგონამ მორჩილად შეხედა და ბიურმანმაც თავი თავაზიანად დაუქნია.

სალანდერმა ზურგჩანთა მოიხსნა, ტყავის ქურთუკი გაიხადა და მიმოიხედა. ქურთუკი სავარძელზე გადაკიდა, ზურგჩანთა მრგვალ მაგიდაზე დადო და გაუბედავად გააბიჯა საწოლისკენ. უცებ ერთ ადგილას გაშეშდა. ბიურმანი მიუახლოვდა.

– ერთი წუთით, – ისეთ ხმაზე წარმოთქვა სალანდერმა, თითქოს იმედი ჰქონდა, ბიურმანი აზრს შეიცვლისო, – არ ვაპირებ, ფულის სანაცვლოდ ყოველ ჯერზე მინეტი გიკეთოთ.

უეცრად ბიურმანს გამომეტყველება შეეცვალა და გოგონას სილა გააწნა. სალანდერს თვალები გაუფართოვდა, მაგრამ სანამ რეაგირებას მოასწრებდა, ბიურმანმა ხელი

ჰკრა და საწოლზე დააგდო. სალანდერი ასეთმა უხეშობამ დააბნია. კაცმა პირაღმა გადმოტრიალება არ აცალა, ზემოდან დაახტა და ფეხები გააშლევინა.

როგორც წინა შემთხვევაში, ბიურმანმა ფიზიკურად ადვილად სძლია. ერთადერთი შანსი ჰქონდა, თვალები ამოეჩიჩქნა ან სხვა რამე საგანი გამოეყენებინა თავდასაცავად. თავის გეგმაში ეს არ გაუთვალისწინებია.

„ჯანდაბა“, – გაიფიქრა სალანდერმა, როცა ბიურმანმა მაისური შემოახია. ცხადად გაიაზრა, რომ საკუთარი შესაძლებლობების ზედმეტად დაიჯერა.

უჯრის გამოღების ხმა მოესმა და რაღაცამ გაიჟღარუნა. თავიდან ვერ მიხვდა, რა ხდებოდა; მერე ბიურმანმა ხელები გააშლევინა, მაჯებზე ბორკილები დაადო და საწოლის თავზე მიაბა. ჯინსის შარვალი და ჩექმები სწრაფად გააძრო, მერე ტრუსიც გახადა და მისი ფრიალით წამოიმართა.

– ჩემი ნდობა უნდა ისწავლო, ლიზბეთ. გასწავლი, როგორ უნდა ითამაშო „უფროსების თამაში“. თუ კარგად არ მომეპყრობი, ყოველთვის დაისჯები. თუ მასიამოვნებ, დავმეგობრდებით.

მერე ისევ ზემოდან შეაჯდა.

– მაშ, ანალური სექსი არ მოგწონს?

სალანდერმა პირი გააღო, რომ ეკივლა, მაგრამ ბიურმანმა თმაში ხელი წაავლო და პირში ტრუსი ჩასჩარა. გოგონამ იგრძნო, როგორ შემოახვია ბიურმანმა კოჭებზე ბაწარი, ფეხები გააშლევინა და საწოლის ბოძებს მიაბა. სრულიად უმწეო იწვა საწოლზე. ესმოდა, როგორ დადიოდა ბიურმანი ოთახში, მაგრამ თავზე წაფარებული მაისური მის დანახვაში ხელს უშლიდა. ძლივს სუნთქავდა. ბიურმანი რამდენიმე წუთში დაბრუნდა და უცებ ძლიერი ტკივილი იგრძნო, რადგან ანუსში რაღაც შეერჭო.

სესილია ვანგერმა ბლუმკვისტს შეახსენა, ღამით ჩემთან ვერ დარჩებიო. უკვე ორი საათი იყო, როცა ბლუმკვისტმა ჩაცმა დაიწყო. სესილია ისევ შიშველი იწვა საწოლში და უღიმოდა.

– მომწონხარ, მიქაელ. მომწონს შენ გვერდით ყოფნა.

– მეც მომწონხარ.

ქალმა ისევ თავისკენ მიიზიდა და წუთის წინ ჩაცმული მაისური ისევ გახადა. ბლუმკვისტი კიდევ ერთი საათით დარჩა მასთან.

როცა შინისაკენ მიმავალმა ჰარალდ ვანგერის სახლს ჩაუარა, შეამჩნია, როგორ ჩამოაფარეს ზედა სართულის ფანჯარას ფარდა.

სალანდერს ნება მისცეს, ტანსაცმელი ჩაეცვა. დილის ოთხი საათი იყო. შაბათი თენდებოდა.

სალანდერმა ტყავის ქურთუკი და ზურგჩანთა აიღო და გასასვლელისკენ გაბარბაცდა, სადაც დაბანილი და თმადავარცხნილი ბიურმანი 2500 კრონის ჩეკით ხელში ელოდა.

– სახლში წაგიყვან, – უთხრა კაცმა და კარი გაუღო.

სალანდერმა ზღურბლს გადააბიჯა და მისკენ შეტრიალდა. მთელი სხეული სტკიოდა და ნამტირალევი სახე დასივებოდა. როცა ბიურმანი მის მზერას შეეჩეხა, შიშით კინაღამ უკან დაიხია – ცხოვრებაში არ ენახა ასეთი დაუფარავი ზიზღი და სიძულვილი. სალანდერი ზუსტად მის პირად საქმეში აღწერილ შეშლილს ჰგავდა.

– არა, – ძლივს გასაგონად თქვა გოგონამ, – მარტო წავალ.

ბიურმანმა მხარზე დაადო ხელი.

– დარწმუნებული ხარ?

გოგონამ თავი დაუქნია. ბიურმანმა ძლიერად მოუჭირა მხარზე ხელი.

– გახსოვდეს, რაზე შევთანხმდით. მომავალ შაბათს ისევ აქ შევხვდებით.

ტკივილისგან მობუზულმა სალანდერმა თავი მორჩილად დაუქნია. ბიურმანმა ხელი გაუშვა და წასვლის ნება მისცა.

თავი XIV

შაბათი, 8/III-ორშაბათი, 17/III

სალანდერმა მთელი კვირა საწოლში გაატარა – მუცლის ღრუში მწვავე ტკვილი, სწორი ნაწლავიდან სისხლდენა და სხვა ნაკლებად შესამჩნევი, მაგრამ რთულად შესახორცებელი ჭრილობები აწუხებდა. ბიურმანის კაბინეტში გაუპატიურებასთან შედარებით ეს სულ სხვა იყო: ამას სექსუალური ძალადობა კი არა, სიმხეცე ერქვა.

გვიან მიხვდა, რომ ბიურმანი სათანადოდ ვერ შეაფასა.

ძალაუფლების მოყვარული ეგონა, ის კი ნამდვილი სადისტი ყოფილა. თითქმის გათენებამდე საწოლზე ჰყავდა მიბმული. რამდენჯერმე ისიც კი გაიფიქრა, უეჭველად მოკვლას მიპირებსო. ბიურმანმა ერთხელ სახეზე ბალიში ააფარა და კინაღამ გაგუდა.

არ უტირია.

ძლიერი ფიზიკური ტკივილისგან გამოწვეული ცრემლების გარდა, ერთი წვეთიც არ წამოსვლია. ბინიდან გამოსული, ძლივს მიბანცალდა უდენპლანზე ტაქსის გაჩერებასთან. კორპუსის კიბეზე გაჭირვებით ავიდა. შხაპი მიიღო და სასქესო ორგანოდან სისხლი მოიბანა. მერე ორი აბი როჰიპნოლი დალია, საწოლში ჩაწვა და თავზე საბანი წაიფარა.

კვირა შუადღეს გამოაღვიძა თავის, სახსრების და მუცლის ტკივილმა. ადგა, ორი ჭიქა კეფირი დალია და ვაშლი შეჭამა. მერე ისევ ორი აბი დამამშვიდებელი მიიღო და დაწვა.

სამშაბათამდე ცუდად იყო. სამშაბათს პიცა იყიდა, ორი ნაჭერი მიკროტალღოვან ღუმელში შედო და თერმოსი ყავით აავსო. იმ ღამით ინტერნეტში სადიზმის ფსიქოპათოლოგიაზე სტატიებს და კვლევებს გაეცნო.

ამერიკული ქალთა ცენტრის ვებგვერდზე გამოქვეყნებულ ერთ-ერთ სტატიაში აღნიშნული იყო, რომ სადისტი ინტუიციით ირჩევს „პარტნიორს“. მსხვერპლი, ძირითადად, თვითონ მიდის სადისტთან, რადგან სხვა გამოსავალი არ აქვს. ანუ, მსხვერპლი ყველაზე ხშირად სადისტზე დამოკიდებული ადამიანია.

ადვოკატმა ბიურმანმა სალანდერი აირჩია.

გოგონამ ცხადად გააცნობიერა, მას რად მიიჩნევდა საზოგადოება.

პარასკევს, მეორედ გაუპატიურებიდან ერთი კვირის შემდეგ, სალანდერი ჰორნსტულში მდებარე ტატუ-სალონში წავიდა. წინასწარ იყო ჩაწერილი. სალონში მის გარდა კლიენტი არავინ იყო. სალონის მფლობელმა იცნო და თავი დაუქნია.

სანალნდერმა კოჭზე, უბრალო, ვიწრო ჯაჭვის დახატვა სთხოვა. ადგილი ზუსტად მიუთითა.

– მანდ კანი ძალიან სათუთი და თხელია, ძალიან გეტკინება, – გააფრთხილა ტატუს მხატვარმა.

– არა უშავს, – უპასუხა სალანდერმა, ჯინსის შარვალი გაიხადა და ფეხი სკამზე შემოდო.

– გასაგებია, ჯაჭვი. ისედაც ბევრი ტატუ გაქვს, დარწმუნებული ხარ, რომ კიდევ გინდა?

– ეს სახსოვრად მჭირდება.

სუზანმა შაბათს, ნაადრევად, ორ საათზე დაკეტა კაფე. ბლუმკვისტმაც შენიშვნების „აიბუქში“ შეტანა შეწყვიტა და მაღაზიაში შეიარა საჭმლის და სიგარეტის საყიდლად. შემწვარი სოსისი იყიდა კარტოფილთან და ჭარხალთან ერთად. სოფლის ქოხში დასახლების შემდეგ რატომღაც ძალიან მოსწონდა ეს კერძი.

საღამოს შვიდ საათზე სამზარეულოს ფანჯარასთან ჩაფიქრებული იდგა. სესილია ვანგერს არ დაურეკავს. შუადღით კაფეში შეხვდა, მაგრამ ფიქრებში გართულს ბლუმკვისტი არც შეუმჩნევია.

„როგორც ჩანს, ამ საღამოს არც დამირეკავს“, – ბლუმკვისტმა ერთი გახედა პატარა ტელევიზორს, რომელსაც თითქმის არ რთავდა. მერე სამზარეულოში სკამზე ჩამოჯდა და სიუ გრაფტონის დეტექტივის კითხვა დაიწყო.

სალანდერი დათქმულ დროს ესტუმრა ბიურმანს ბინაში. კაცმა თავაზიანი ღიმილით შეიპატიჟა შინ.

– როგორ ხარ, ძვირფასო ლიზბეთ?

გოგონამ არაფერი უპასუხა. ბიურმანმა მხრებზე ხელი მოჰხვია.

– მგონი, წინა პარასკევს ცოტა ზედმეტი მოგვივიდა, – თქვა მან, – გადაღლილი მომეჩვენე.

სალანდერმა ალმაცერად გაუღიმა, რამაც ბიურმანი ცოტათი დააფრთხო.

„ეს გოგო სრულ ჭკუაზე ვერაა. ყურადღებით უნდა ვიყო. ისე, მგონი, მოსწონს კიდეც“, – გაიფიქრა გულში.

– საძინებელში ხომ არ შევიდეთ? – შესთავაზა სალანდერმა.

„არა, აშკარად მოსწონს... დღეს უფრო ნაზად მოვეპყრობი, რომ ჩემს მიმართ ნდობა გაუჩნდეს“, – ბორკილები უჯრიდან უკვე ამოღებული ჰქონდა.

ბიურმანი მხოლოდ საწოლთან მიახლოებისას მიხვდა, რომ რაღაც ხდებოდა – საწოლისკენ სალანდერს მიჰყავდა. კაცი შეჩერდა და გაკვირვებული მიაშტერდა გოგონას, რომელმაც ქურთუკის ჯიბიდან მობილური ტელეფონის მსგავსი რაღაც ამოიღო. მერე მისი თვალები დაინახა.

– ღამე მშვიდობისა, – თქვა გოგონამ და „ტასერი“[vi] მარცხენა იღლიაზე მიადო. 75 000 ვოლტი დაარტყა. ბიურმანს მუხლი მოეკვეთა, მაგრამ სალანდერი მხრით მიაწვა და მთელი თავისი ღონის გამოყენებით საწოლზე დააგდო.

შეზარხოშებულმა სესილია ვანგერმა ბლუმკვისტს აღარ დაურეკა. მათი ურთიერთობა სასაცილო ფარსს დაემსგავსა. ბლუმკვისტი თითის წვერებზე დაიპარებოდა მის საძინებელში და შინ უჩუმრად დაბრუნებას ცდილობდა, თვითონ კი თინეიჯერი გოგოსავით შიშობდა, ვინმეს რამე არ გაეგო. ეს ბოლო დღეები სულელივით იქცეოდა.

„პრობლემა ისაა, რომ ძალიან მომწონს და მასთან დაშორება გულს დამწყვეტს“, – ფიქრობდა ქალი. კარგა ხანს გაუნძრევლად იჯდა და ნატრობდა, ნეტა მიქაელ ბლუმკვისტი საერთოდ არ ჩამოსულიყო ჰედებიზეო.

ღვინის ბოთლი გახსნა და ორი ჭიქა მარტომ დალია. ტელევიზორი ჩართო და ცოტა ხანს Rapport-ის ყოველკვირეულ გამოშვებას უყურა, მაგრამ მალევე მობეზრდა დასაბუთებული თავის მართლების მოსმენა, თუ რისთვის დასჭირდა პრეზიდენტ ბუშს ერაყის მიწასთან გასწორება. სასტუმრო ოთახში დივანზე ჩამოჯდა და გელერტ ტამასის „ადამიანი-ლაზერის“ კითხვა დაიწყო. მაგრამ რამდენიმე გვერდი წაიკითხა და წიგნი გვერდზე გადადო, რადგან მამამისი გაახსენდა.

„ნეტა ის რაზე ფიქრობს ამწუთას?“

უკანასკნელად მამასთან ნორმალური ურთიერთობა 1984 წელს ჰქონდა, როცა მასთან და ბირგერთან ერთად ჰედესტადისგან ჩრდილოეთით ცხენირმებზე სანადიროდ წავიდა. ბირგერს ახალი მწევრის – რამდენიმე დღით ადრე ნაყიდი მელიაზე მონადირე ძაღლის – გამოცდა სურდა. ჰარალდ ვანგერი მაშინ სამოცდაცამეტი წლის

იყო და სესილია ყველანაირად ცდილობდა შეჰგუებოდა მის ახირებულობას, რომელმაც ბავშვობა კოშმარად უქცია და უკვე ზრდასრული ქალის ცხოვრებაზეც უარყოფით ზეგავლენას ახდენდა.

სესილია არასდროს ყოფილა ისეთი უმწეო, როგორც მაშინ. სამი თვით ადრე ქმარს გაეყარა ბანალური მიზეზით... ძალადობის გამო. მისი ქმარი უცებ გაბრაზდებოდა და სილას გააწნავდა, შეაგინებდა, ხელს ჰკრავდა და ძირს დააგდებდა. თუმცა, მძიმე ფიზიკურ შეურაცხყოფამდე და ტრავმამდე საქმე იშვიათად მიდიოდა. სესილიაც ითმენდა.

მაგრამ ერთხელაც ქმარს ხელი შეუბრუნა და საბოლოოდ დააკარგვინა ჭკუა. ჩხუბი იმით დასრულდა, რომ ქმრის ნასროლი მაკრატელი ბეჭში მოხვდა.

ქმარი მაშინვე სინანულმა და პანიკამ შეიპყრო. სესილია სასწრაფოდ საავადმყოფოში წაიყვანა და სახელდახელო ისტორია შეთხზა უბედურ შემთხვევაზე, რაც, რასაკვირველია, არავინ დაიჯერა. სესილიას შერცხვა. ჭრილობაზე თორმეტი ნაკერი დაადეს და საავადმყოფოდან ორი დღის მერე გაწერეს. ბიძამისმა პირდაპირ თავის სახლში წაიყვანა. მას შემდეგ ქმართან აღარ ულაპარაკია.

შემოდგომის იმ მზიან დღეს ჰარალდ ვანგერი შესანიშნავ, თითქმის მეგობრულ განწყობაზე იყო. თუმცა, შუაგულ ტყეში უეცრად ქალიშვილის გაქილიკება და ლანძღვა დაიწყო, ამორალური და გარყვნილი უძახა. პირდაპირ მიახალა, შენნაირ კახპას რომელი კაცი გაუჩერდებოდაო.

სესილიას ძმას საერთოდ არ შეუმჩნევია, როგორ ხანჯალივით ესობოდა მამის თითოეული სიტყვა ქალს. პირიქით, ბირგერმა უეცრად გაიცინა, მამას მხარზე ხელი გადაჰხვია და უაზრო კომენტარით სცადა დაძაბული ვითარების განმუხტვა, ხომ იცი ქალები როგორები არიანო; თან სესილიას თვალი ჩაუკრა, მერე კი ჰარალდს უთხრა, მცირე გორაკზე დაიკავე პოზიციაო.

წამით სესილია ვანგერს ორივეს მოკვლა მოუნდა. თვალები დახუჭა. ხელში დატენილი ორლულიანი თოფი ეკავა. მამა და ძმა წინ ედგნენ, მაგრამ თოფი ძირს დადო და ტყის პირას გაჩერებულ მანქანასთან დაბრუნდა. სახლში მარტო წამოვიდა, ჰარალდი და ბირგერი კი ტყეში დატოვა. მას შემდეგ მამამისს სახლში აღარ უშვებდა და არც თვითონ მიდიოდა მასთან.

„შენ მე ცხოვრება დამინგრიე, – გაიფიქრა სესილია ვანგერმა, – ბავშვობიდანვე სიცოცხლეს მიმწარებდი“.

ცხრის ნახევარზე მიქაელ ბლუმკვისტს დაურეკა.

ბიურმანს სხეული პარალიზებული ჰქონდა, ხელ-ფეხს ვერ ამოძრავებდა, მწვავე ტკივილს განიცდიდა. არ ახსოვდა გონება დაკარგა თუ არა, მაგრამ ორიენტაცია უჭირდა. როცა კუნთებში ძალა დაუბრუნდა, აღმოაჩინა, რომ ხელებზე ბორკილები

ედო და საწოლის თავზე იყო მიბმული, ხოლო ფეხები გაფარჩხული ჰქონდა. იღლიაში, სადაც დენმა დაარტყა, კანი ეწვოდა.

სალანდერი სავარძელში იჯდა, ფეხები საწოლზე ედო, სიგარეტს ეწეოდა და იცდიდა. ბიურმანმა მასთან გამოლაპარაკება სცადა, მაგრამ პირი აკრული ჰქონდა. გოგონას მისი უჯრები გაეჩხრიკა და ყველაფერი იატაკზე ეყარა.

– შენი სათამაშოები ვიპოვე, – სალანდერმა იატაკიდან მათრახი აიღო და დილდოების, აღვირების და რეზინის ნიღბების გროვა გადაქექა, – ეს რისთვისაა? – დიდ ანალურ სარჭობზე მიუთითა, – არა, ნუ მეტყვი – მოსმენა არ მინდა. წინა პარასკევს ეს იხმარე ჩემზე? მხოლოდ თავი დამიქნიე, – და პასუხის მოლოდინში ბიურმანისკენ გადაიხარა.

ბიურმანს ცივმა ჟრუანტელმა დაუარა და გაიბრძოლა, მაგრამ ამაოდ.

ვერანაირი წინააღმდეგობა ვერ გაუწია, როცა სალანდერმა ანალური სარჭობი დუნდულებს შორის შეუდო.

– მაშ, სადისტი ბრძანდები, – საქმიანად აღნიშნა გოგონამ, – მოგწონს, როცა სხვებს რაღაცეებს ურჭობ? – და ბიურმანს არაფრის მთქმელი გამომეტყველებით თვალებში ჩახედა, – ურჭობ, თან ყოველგვარი გაპოხვის გარეშე?

პირაკრულმა ბიურმანმა საწყალობლად იყმუვლა, როცა სალანდერმა დუნდულები გადაუწია და სარჭობი საჭირო ადგილას შეტენა.

– ნუ წკმუტუნებ, – გამოაჯავრა სალანდერმა, – თუ იწუწუნებ, იცოდე, დაგსჯი.

მერე წამოდგა და საწოლს შემოუარა, ბიურმანმა უმწეოდ გააყოლა თვალი და გაიფიქრა:

„ეს რა ჯანდაბაა?“

სალანდერს ოცდათორმეტდუიმიანი ტელევიზორი მაგიდიანად საძინებელში შემოეთრია. DVD ფლეიერი იატაკზე დაედგა. ხელიდან მათრახს არ უშვებდა.

– ყურადღებით მისმენ? – მიმართა ბიურმანს, – ხმა არ ამოიღო, თავი დამიქნიე! გაიგე, რაც გითხარი?

ბიურმანმა თავი დაუქნია.

– კარგია, – ძირს დაიხარა და ზურგჩანთა აიღო, – ეს გეცნობა?

ბიურმანმა თავი დაუქნია.

– წინა სტუმრობისასაც თან მქონდა. პრაქტიკული ნივთია. Milton Security-დან წამოვიღე, – ქვედა ჯიბის ელვაშესაკრავი გახსნა, – ეს ციფრული ვიდეოკამერაა. TV3-

ზე Insider-ს თუ უყურებ ხოლმე? ის საძაგელი რეპორტიორები სწორედ ამ მოწყობილობას იყენებენ ფარული გადაღებისთვის, – და ჯიბე ისევ შეკრა.

– ალბათ გაინტერესებს, ობიექტივი სადაა? საქმეც სწორედ ეგაა. ფართოკუთხოვანი ობიექტივი ბოჭკოვანი ოპტიკით. ობიექტივი ღილს ჰგავს და ჩანთის ღვედზე შეუმჩნევლადაა მიმაგრებული. ალბათ გახსოვს, რომ სანამ ფათურს დამიწყებდი, ჩანთა მაგიდაზე დავდე. ობიექტივი ზუსტად საწოლისკენ იყო მიმართული.

სალანდერმა დისკი DVD ფლეიერში შედო, სავარძელი ტელევიზორის წინ მიაჩოჩა და ჩამოჯდა. სიგარეტს მოუკიდა და დისტანციური მართვის პულტის ღილაკს დააწვა. ადვოკატმა ბიურმანმა ეკრანზე საკუთარი თავი დაინახა, სალანდერს კარი გაუღო.

„შენ რა, საათის ცნობა არ იცი?“

გოგონამ ვიდეო ბოლომდე უჩვენა. ვიდეო ზუსტად ოთხმოცდაათი წუთის შემდეგ ამ სცენით სრულდებოდა: საწოლის ზურგს მიყრდნობილი ბიურმანი შიშველი იჯდა, ღვინოს წრუპავდა და ზურგს უკან ხელებშეკრულ, მობუზულ სალანდერს მშვიდად უყურებდა.

გოგონამ ტელევიზორი გამორთო და სრული ათი წუთის განმავლობაში ჩუმად იჯდა, ბიურმანისკენ არც გაუხედავს. ადვოკატი განძრევას ვერ ბედავდა. მერე სალანდერი წამოდგა და სააბაზანოში გავიდა. როცა დაბრუნდა, ისევ სავარძელში ჩაჯდა და ზუმფარას ქაღალდივით ხრიწინა ხმაზე დაილაპარაკა:

– წინა კვირას შეცდომა დავუშვი. მეგონა, შენთვის ისევ მინეტის გაკეთება მომიწევდა, რაც შენს შემთხვევაში დიდი სისაძაგლეა, მაგრამ არა იმდენად, რომ არ გამეკეთებინა. ვიფიქრე, ადვილად მოვიპოვებ სამხილებს იმის დასამტკიცებლად, რომ საძაგელი ბებერი ნაბიჭვარი ხარ, მაგრამ სათანადოდ ვერ შეგაფასე. თურმე გარყვნილი ავადმყოფი ყოფილხარ.

გასაგებად აგიხსნი. ამ ვიდეოზე ნაჩვენებია, როგორ აუპატიურებ ოცდაოთხი წლის სულით ავადმყოფ გოგონას, რომელზე ზრუნვაც გევალება. შენ წარმოდგენა არ გაქვს, რა კარგად ვასრულებ ჭკუასუსტის როლს, როცა ამას საჭიროება მოითხოვს. ყველა, ვინც ამ ვიდეოს ნახავს, არა მხოლოდ გარყვნილად, გადარეულ სადისტადაც ჩაგთვლის. ამ ვიდეოს მეორედ ვუყურე და იმედია, მეტჯერ აღარ მომიწევს. ჭკუის სასწავლებლად გამოდგება... რას ფიქრობ? ჩემი აზრით, საგიჟეთში შენ უნდა გამოგკეტონ, მე კი არა. ხომ ყველაფერში მეთანხმები?

ბიურმანს არ უპასუხია, მაგრამ სალანდერმა დაინახა, როგორც გააცახცახა კაცს. გოგონამ მათრახი ზედ მისი გენიტალიების თავზე გაუტყლაშუნა და კითხვა უფრო ხმამაღლა გაიმეორა:

– მეთანხმები თუ არა?

ბიურმანმა თავი დაუქნია.

– კარგია, ესე იგი, ერთმანეთის კარგად გვესმის.

სალანდერმა სავარძელი საწოლთან მიაჩოჩა, რათა ბიურმანისთვის თვალებში ჩაეხედა.

– რას ფიქრობ, ჩვენი პრობლემა როგორ მოვაგვაროთ?

ბიურმანმა ვერაფერი უპასუხა.

– რამე იდეა გაქვს?

ისევ რომ არ უპასუხა, სალანდერმა ყვერებზე წაავლო ხელი და ძლიერად მოუჭირა, სანამ კაცს სახე ტკივილისგან არ მოეღრიცა.

– რამე იდეა გაქვს? – გაიმეორა კითხვა გოგონამ.

ბიურმანმა თავი გააქნია.

– კარგია. ძალიან გავბრაზდები, თუ მომავალში რამე იდეა მოგივა თავში.

სალანდერი ისევ სავარძელში გადაწვა და სიგარეტის ნამწვი პირდაპირ ხალიჩაზე მიასრისა.

– მოკლედ, ასე მოვიქცეთ. მომდევნო კვირაში, როცა მაგ მსხვილი სარჭობის ტრაკიდან გამოძრობას მოახერხებ, ბანკს შეატყობინებ, რომ მხოლოდ და მხოლოდ მე მაქვს ჩემი საბანკო ანგარიშის განკარგვის უფლება. გასაგებია?

ბიურმანმა თავი დაუქნია.

– ყოჩაღ. ამიერიდან აღარასდროს დამიკავშირდები. მომავალში მხოლოდ მაშინ შევხვდებით, როცა მე ჩავთვლი საჭიროდ. ახლოსაც არ უნდა გამეკარო.

„მგონი, ჩემს მოკვლას არ აპირებს“, – თავს უქნევდა ბიურმანი.

– თუ ჩემთან დაკავშირებას ეცები, ამ დისკის ასლებს სტოკჰოლმის ყველა საინფორმაციო სააგენტოს დავუგზავნი. გასაგებია?

„ეს დისკი ხელში უნდა ჩავიგდო“, – ბიურმანმა თავი დააქნია.

– წელიწადში ერთხელ სამეურვეო სააგენტოს ჩემზე ანგარიშს წარუდგენ. დაწერ, რომ ნორმალურად ვცხოვრობ, სტაბილური სამუშაო მაქვს, საკუთარ თავს მშვენივრად ვუვლი და წესიერად ვიქცევი. გასაგებია?

ბიურმანმა თავი დაუქნია.

– ყოველთვე ანგარიშებს დაწერ ჩვენს არარსებულ შეხვედრებზე. დეტალურად აღწერ, რა კარგი პიროვნება ვარ და რა დიდებულად მიდის ჩემი საქმეები. ანგარიშის ასლს მეც გამომიგზავნი. გასაგებია?

ბიურმანმა თავი დაუქნია. სალანდერმა შეამჩნია, რომ ადვოკატს შუბლი ოფლით დასცვარვოდა.

– ერთ წელიწადში, ან ორში, ასე უკეთესია, სასამართლოს თხოვნით მიმართავ, რომ ქმედუუნაროს სტატუსი მომიხსნას. თხოვნის საფუძვლად შენს გაყალბებულ ანგარიშებს გამოიყენებ. იპოვი ფსიქოთერაპევტს, რომელიც დაადასტურებს, რომ სრულ ჭკუაზე ვარ. ამ საქმეს მთელს შენს ძალისხმევას მოახმარ, ყველაფერს იზამ, რაც შეგიძლია, რომ მე ქმედუნარიანად გამომაცხადონ.

ბიურმანმა თავი დაუქნია.

– იცი, რატომ არ დაზოგავ შენს შესაძლებლობებს? იმიტომ, რომ ამისთვის კარგი მიზეზი გაქვს. თუ ამ საქმეს ვერ მომიხერხებ, ეს ვიდეო საჯაროდ გავრცელდება.

ბიურმანს სალანდერის არც ერთი სიტყვა არ გამორჩენია. თვალები მძულვარედ უელავდა. მისი აზრით, სალანდერი დიდ შეცდომას უშვებდა.

„განანებ, შე ბინძურო კახპავ. ადრე თუ გვიან გაგანადგურებ“.

თუმცა, ყველაფერზე თავის ქნევას აგრძელებდა, ვითომ ეთანხმებოდა.

– იგივე მოხდება, თუ ჩემთან დაკავშირებას ეცდები, – ყელზე ხელი გამოისვა სალანდერმა, – მოგიწევს მშვენიერ ცხოვრებასთან, წოდებასთან და მილიონიან ოფშორულ ანგარიშთან დამშვიდობება.

ბიურმანმა ფულის ხსენებაზე უნებურად დაჭყიტა თვალები.

„იმ ანგარიშზე საიდან გაიგო ამ კახპამ..?“

სალანდერმა ჩაიცინა და სიგარეტის ახალი ღერი ამოიღო.

– შენი ბინის და ოფისის გასაღები მჭირდება.

ბიურმანი მოიღუშა. სალანდერი მისკენ გადაიხარა და თავაზიანად გაუღიმა.

– ამიერიდან მე გავაკონტროლებ შენს ცხოვრებას. როცა არ ელი, როცა საწოლში წევხარ და გძინავს, მაშინ გესტუმრები ამით ხელში, – „ტასერი“ დაანახვა, – და შეგამოწმებ ხოლმე. თუ აღმოვაჩენ, რომ საწოლში გოგო გიწევს – არა აქვს მნიშვნელობა, თავად ჩაგიწვა თუ არა – თუ ოდესმე ქალთან ერთად გამოგიჭერ... – სალანდერმა კიდევ ერთხელ გამოისვა ხელი ყელში.

თუ მე მოვკვდები... თუნდაც უბედურება შემემთხვას, ან ავტოავარიაში მოვყვე... ამ ვიდეოს ასლები ავტომატურად გაზეთებს დაეგზავნება, აგრეთვე ჩემი წერილობითი მოხსენებაც, სადაც აღწერილი იქნება, როგორი „კარგი“ მეურვე იყავი.

და ბოლოს, – სალანდერი საწოლისკენ გადაიხარა. მისი სახე ბიურმანისგან სულ რამდენიმე სანტიმეტრში აღმოჩნდა, – თუ კიდევ შემეხები, მოგკლავ. გპირდები.

ბიურმანმა დაუჯერა. გოგონას თვალებში სიცრუის ნატამალი არ ჩანდა.

– გახსოვდეს, რომ გიჟი ვარ!

ბიურმანმა თავი დაუქნია.

სალანდერმა ჩაფიქრებით შეხედა.

– არა მგონია, მე და შენ დავმეგობრდეთ. ახლა ალბათ გულში ზეიმობ, რომ ცოცხალს გტოვებ და გგონია, რომ სიტუაციას ისევ შენ აკონტროლებ, რაკი არ მოგკალი და გიშვებ. იმედოვნებ, რომ ჩემს დამორჩილებას ისევ შეძლებ. ხომ ასეა?

ბიურმანმა თავი გააქნია. ცუდმა წინათგრძნობამ შეიპყრო.

– სახსოვრად საჩუქარს დაგიტოვებ, რომ ჩვენი შეთანხმება არ დაგავიწყდეს.

გოგონამ ალმაცერად გაუღიმა, საწოლზე ახტა და მის გაფარჩხულ ფეხებს შორის ჩაიმუხლა. ბიურმანმა არ იცოდა, სალანდერი რას აპირებდა, მაგრამ უეცრად შიშმა შეიპყრო.

მერე მის ხელში ნემსი დაინახა.

გაიფართხალა, დასხლტომა სცადა, მაგრამ სალანდერმა მუხლისთავი ყვერებზე მიაჭირა გამაფრთხილებლად.

– მშვიდად იწექი, ამას ისედაც პირველად ვაკეთებ.

სალანდერი თითქმის ორი საათის განმავლობაში შეუსვენებლად მუშაობდა. როცა დაასრულა, ბიურმანი უკვე აღარ წკმუტუნებდა.

სალანდერი საწოლიდან ჩამოძვრა და თავისი ნამუშევარი კრიტიკული თვალით შეაფასა. წითელი და ლურჯი მთავრული ასოები შთამბეჭდავად გამოიყურებოდა და მთელ მუცელს ფარავდა – ძუძუსთავებიდან ბოქვენამდე: მე სადისტი ღორი, გარყვნილი და მოძალადე ვარ.

სალანდერმა ნემსები და მელნის კოლოფები ზურგჩანთაში ჩააწყო, სააბაზანოში გავიდა და ხელები დაიბანა. საძინებელში დაბრუნებისას თავს ბევრად უკეთ გრძნობდა.

– ღამე მშვიდობისა, – უთხრა ბიურმანს.

ცალ ხელზე ბორკილი მოხსნა და წასვლამდე გასაღები მუცელზე დაუდო. DVD, ბინის და ოფისის გასაღებების ასხმულა კი თან წაიღო.

შუაღამე გადასული იყო და სიგარეტს ეწეოდნენ, როცა ბლუმკვისტმა სესილიას უთხრა, კარგა ხანს ერთმანეთს ვერ შევხვდებითო.

– რატომ? – სესიალია გაკვირვებული შებრუნდა მისკენ.

– ორშაბათს სამი თვით ციხეში უნდა ჩავჯდე, – უხალისოდ უპასუხა ბლუმკვისტმა.

რამის დამატება საჭირო აღარ იყო. სესილიას დიდხანს არ ამოუღია ხმა. ცრემლები წასკდა.

დრაგან არმანსკი ძალიან გააკვირვა ორშაბათს შუადღისას ლიზბეთ სალანდერის მოულოდნელმა ვიზიტმა. გოგონა იანვარში ვენერსტრომის საქმეზე შეხვედრის შემდეგ არ ენახა და როცა ტელეფონით მასთან დაკავშირებას ცდილობდა, ან საერთოდ არ პასუხობდა, ან ყურმილს უკიდებდა, არ მცალიაო.

– ჩემთვის გაქვს რამე? – მისალმების გარეშე ჰკითხა სალანდერმა.

– გამარჯობა. ხომ კარგად ხარ? ცოცხალი თუ იყავი, აღარ მეგონა.

– საქმეები მქონდა მოსაგვარებელი.

– რაღაც ხშირად გიწევს საქმეების მოგვარება.

– ამჯერად გადაუდებელი საქმე მქონდა. უკვე დავბრუნდი. ჩემთვის გაქვს რამე?

არმანსკიმ თავი გააქნია.

– არა, სამწუხაროდ, ამწუთას შენთვის არაფერი მაქვს.

სალანდერმა მშვიდად შეხედა. მცირე ხნის შემდეგ ისევ არმანსკი გამოელაპარაკა:

– ლიზბეთ, ხომ იცი, რომ მომწონხარ და სიამოვნებით გაძლევ ხოლმე სამუშაოს. მაგრამ შენ ორი თვე არსად ჩანდი, მე კი საქმე თავზე საყრელად მქონდა. ძალიან არასტაბილური ხარ. შენი საქმის გასაკეთებლად სხვისთვის მიწევს ფულის გადახდა.

– ხმას ვერ აუწევ?

– რა?

– რადიოს ხმა აუწიე.

„...ჟურნალი „მილენიუმი“. ცნობა იმაზე, რომ ვეტერანი ინდუსტრიალისტი ჰენრიკ ვანგერი „მილენიუმის“ თანამფლობელი და დირექტორთა საბჭოს წევრი გახდება, ყოფილი რედაქტორის მიქაელ ბლუმკვისტის დაპატიმრების პარალელურად გავრცელდა. შეგახსენებთ, რომ მიქაელ ბლუმკვისტი ციხეში სამთვიან სასჯელს

მოიხდის ბიზნესმენ ჰანს-ერიკ ვენერსტრომის ცილისწამებისთვის. როგორც „მილენიუმის“ მთავარმა რედაქტორმა ერიკა ბერგერმა განაცხადა, სასჯელის მოხდის შემდეგ ბლუმკვისტი ჟურნალის რედაქტორის მოვალეობის შესრულებას გააგრძელებს“.

– ეს უკვე საინტერესოა, – სალანდერმა ისე ჩუმად ჩაილაპარაკა, რომ არმანსკიმ მხოლოდ მისი ტუჩების მოძრაობა შეამჩნია. გოგონა უცებ წამოდგა და კარისკენ წავიდა.

– მოიცა. სად მიდიხარ?

– სახლში. რაღაც უნდა გადავამოწმო. დამირეკე, როცა ჩემთვის საქმე გამოგიჩნდება.

ცნობამ, რომ „მილენიუმმა“ ჰენრიკ ვანგერის სახით ძლიერი მხარდამჭერი იპოვა, ბევრად სკანდალური აღმოჩნდა, ვიდრე ლიზბეთ სალანდერი ელოდა. Aftonbladet-ის საღამოს ნომერში „TT სააგენტოს“ მიერ გავრცელებული ჰენრიკ ვანგერის კარიერის მოკლე მიმოხილვა დაბეჭდეს. სტატიაში აღნიშნული იყო, რომ ბოლო ოცი წლის განმავლობაში მოხუცი მაგნატი პირველად გამოჩნდა საჯაროდ. მისი „მილენიუმის“ თანამფლობელად გამოცხადება ისევე მოულოდნელი იყო, როგორც ის, რომ პეტერ ვალენბერგი ან ერიკ პენსერი ETC-ის თანამფლობელები ან ჟურნალ Ordfront-ის სპონსორები გამხდარიყვნენ.

ამ ცნობამ მთელი ქვეყანა შეძრა. Rapport-ის რვის ნახევრიანმა გამოშვებამ სკანდალურ ინფორმაციას სამწუთიანი რეპორტაჟი დაუთმო და მესამე სიახლედ გაუშვა ეთერში. ერიკა ბერგერს „მილენიუმის“ ოფისში ინტერვიუ ჩამოართვეს. „ვენერსტრომის საქმე“ ისევ დღის მთავარ მოვლენად იქცა.

– შარშან სერიოზული შეცდომა დავუშვით, რისთვისაც ჟურნალი ცილისწამებაში დაადანაშაულეს. ამას ნამდვილად ვნანობთ... საჭირო დროს ამ ამბავს აუცილებლად დავუბრუნდებით.

– რას ნიშავს „დაუბრუნდებით“? – ჰკითხა ჟურნალისტმა.

– იმას, რომ ამ ამბის ჩვენეულ ვერსიას შემოგთავაზებთ.

– თქვენეული ვერსია შეგეძლოთ სასამართლოსთვის შეგეთავაზებინათ.

– სხვანაირად გადავწყვიტეთ. ჩვენი ჟურნალისტური გამოძიებები გაგრძელდება.

– მაშ, მაინც ფიქრობთ, რომ სასამართლომ არასამართლიანი განაჩენი გამოიტანა?

– ამ თემაზე არაფრის დამატებას აღარ ვაპირებ.

– საქმის წაგების შემდეგ მიქაელ ბლუმკვისტი თანამდებობიდან გაათავისუფლეთ.

– არასწორი ცნობა გაქვთ. გადახედეთ ჩვენს პრეს-რელიზს. მას დროებითი შვებულება სჭირდებოდა. ბლუმკვისტი წლის ბოლოს თავის თანამდებობას დაუბრუნდება.

სიუჟეტში რედაქციის კადრები ერთმანეთს ენაცვლებოდა, პარალელურად ჟურნალისტი მოკლედ ჰყვებოდა „მილენიუმის“ ბობოქარ ისტორიას და მას სკანდალურ და ორიგინალურ ჟურნალად ახასიათებდა. ბლუმკვისტის კომენტარის ჩაწერა ვერ მოეხერხებინათ. ის უკვე ოსტერსუნდიდან ერთი საათის სავალზე, იამტლანდში რულაკერის ციხეში იყო გამოკეტილი.

ეკრანის კუთხეში რედაქციის კართან მდგარმა დირკ ფროდემ გაიელვა. სალანდერი მოიღუშა და ჩაფიქრებულმა ქვედა ტუჩზე იკბინა.

იმ ორშაბათს სხვა განსაკუთრებული არაფერი მომხდარა, ამიტომ ჰენრიკ ვანგერს ცხრასაათიან საინფორმაციო გამოშვებაში ოთხი წუთი დაუთმეს – ჰედესტადის ტელესტუდიაში ინტერვიუ ჩამოართვეს. ჟურნალისტმა აღნიშნა, რომ თითქმის ოცწლიანი ჩრდილში დგომის შემდეგ მრეწველი და ფინანსისტი ჰენრიკ ვანგერი დაბრუნდა. სიუჟეტი ჰენრიკ ვანგერის მოკლე ბიოგრაფიითა და შავ-თეთრი ფოტოების კოლაჟის წარდგენით დაიწყო. ფოტოებზე გამოსახული იყო ვანგერი პრემიერ-მინისტრ ერლანდერთან ერთად, ან როგორ ხსნიდა ის ქარხნებს სამოციან წლებში. შემდეგ კამერის ობიექტივში სტუდიაში მდგარ დივანზე მშვიდად მჯდარი ჰენრიკ ვანგერი მოექცა. ყვითელი პერანგი ეცვა, წვრილი, მწვანე ჰალსტუხი ეკეთა და ზემოდან მოხდენილი მუქი წაბლისფერი პიჯაკი შემოეცვა. ზედმეტად გამხდარი ჩანდა, მაგრამ მკაფიოდ და მტკიცედ საუბრობდა.

– მრავალი წელია, ამ შესანიშნავ ჟურნალს დიდი ინტერესით ვკითხულობ. დღეს ამ გამოცემას საფრთხე შეექმნა. მტრები გაუჩნდა, რომლებიც ორგანიზებულად უცხადებენ სარეკლამო ბოიკოტს და მის გაკოტრებას ცდილობენ.

ჟურნალისტი ასეთ პასუხს აშკარად არ ელოდა, მაგრამ მაშინვე მიხვდა, რომ ისედაც უჩვეულო ისტორია უფრო მეტად სკანდალური იყო, ვიდრე ერთი შეხედვით ჩანდა.

– ვინ აწყობს ბოიკოტს?

– „მილენიუმი“ ამას აუცილებლად დაადგენს. პირადად მე კი ვიზრუნებ იმაზე, რომ ჟურნალი პირველივე შეტევისას არ ჩაიძიროს.

– ამიტომ იყიდეთ ჟურნალი?

– სამწუხარო იქნებოდა, რომ თავისუფალი მედიის ხმა ვიღაცეებს მხოლოდ საკუთარ ინტერესებთან შეუსაბამობის გამო ჩაეხშოთ.

ვანგერი ისე საუბრობდა, თითქოს მთელი სიცოცხლე კულტურული რადიკალი და თავისუფალი სიტყვის დამცველი ყოფილიყოს. რულაკერის ციხის საერთო ოთახში

ტელევიზორის წინ მჯდარ ბლუმვკისტს ისეთი სიცილი აუტყდა, რომ სხვა პატიმრებმა გაკვირვებით გახედეს.

მოგვიანებით, იმავე საღამოს, საკანში, რომელიც თავისი პატარა მაგიდით, სკამით, კედელზე მიჭედებული თაროთი და საწოლით, იაფფასიანი სასტუმროს ნომერს აგონებდა, ბლუმკვისტი თავს გამოუტყდა, რომ ბერგერმა და ვანგერმა ყველაფერი სწორად გათვალეს. გრძნობდა, რომ მკითხველის დამოკიდებულება „მილენიუმის“ მიმართ უკეთესობისკენ შეიცვალა.

ვანგერის მხარდაჭერა, არც მეტი, არც ნაკლები, ვენერსტრომისთვის ომის გამოცხადებას ნიშნავდა. შეტყობინება ცხადი იყო: „მომავალში შენ აღარ შეებრძოლები ჟურნალს, რომელიც სულ ექვსი თანამშრომლისგან შედგება და რომლის ბიუჯეტიც „ვენერსტრომ-გრუპის“ დირექტორების ერთ სადილს უდრის. ამიერიდან დაპირისპირება მოგიწევს „ვანგერების კორპორაციასთან“, რომელიც, შესაძლოა, ძველი დიდების აჩრდილს წარმოადგენდეს, მაგრამ შენთვის მაინც ძლიერი მეტოქეა“.

ვანგერის მიერ ტელევიზორში გაკეთებული განცხადებიდან ცხადად ჩანდა, რომ ის ომისთვის მზად იყო და ვენერსტრომს ეს ომი ძვირად დაუჯდებოდა.

ბერგერმა გულდასმით შეარჩია სიტყვები. მას ბევრი არაფერი უთქვამს, მაგრამ განცხადება, ამ ისტორიის ჩვენეული ვერსია ჯერ არ გამოგვიქვეყნებიაო, აშკარად იმას ნიშნავდა, რომ სათქმელი ბევრი ჰქონდა. მიუხედავად იმისა, რომ ბლუმკვისტი დაადანაშაულეს, დასაჯეს და დააპატიმრეს, ბერგერი საჯაროდ გამოვიდა და, მართალია, პირდაპირ არ უთქვამს, მაგრამ მაინც ყველას მიანიშნა, ის უდანაშაულოა და სხვა სიმართლეც არსებობსო. ბერგერს სიტყვა „უდანაშაულო“ არ გამოუყენებია, მაგრამ ბლუმკვისტის უდანაშაულობა ყველასთვის აშკარა გახდა. ის, რომ „მილენიუმის“ რედაქტორის თანამდებობაზე მისი აღდგენა საბოლოოდ გადაწყდა, ხაზს უსვამდა, რომ სადარდებელი ბევრი არაფერი ჰქონდა. მკითხველის გულის მოგება არ გაუჭირდებოდა – ყველას უყვარს შეთქმულების თეორია და ყოველთვის ადვილი გამოსაცნობია, ვის მიმართ განეწყობა თანაგრძნობით მკითხველი: საძაგელი მდიდარი ბიზნესმენისა თუ სკანდალური რედაქტორის მიმართ. აი, პრესის წარმომადგენლებს ასე იოლად ვერ აუხვევ თვალს. საბედნიეროდ, ბერგერმა რამდენიმე კრიტიკოსის გაუვნებელყოფა შეძლო.

ვითარება დიდად არ შეცვლილა, მაგრამ დრო მოიგეს და ძალთა ბალანსიც ოდნავ გაწონასწორდა. ვენერსტრომი ამ საღამოს თავს ალბათ ცუდად გრძნობსო, გულში იცინოდა ბლუმკვისტი. ვენერსტრომმა არ იცოდა, რა ინფორმაციას ფლობდა მეტოქე, ამიტომ საპასუხო ნაბიჯის გადადგმამდე კარგად დაფიქრება მოუწევდა.

ერიკა ბერგერმა ჯერ თავის, მერე ჰენრიკ ვანგერის ინტერვიუს უყურა და ტელევიზორი და ვიდეომაგნიტოფონი გამორთო. სამს თხუთმეტი წუთი აკლდა.

ბლუმკვისტთან დარეკვა მოუნდა, მაგრამ ძნელად სავარაუდო იყო, რომ მისთვის ციხეში ტელეფონის გამოყენების უფლება მიეცათ. ქმარს უკვე ეძინა. ბართან მივიდა, ჭიქა აბერლორის ვისკით აივსო – ალკოჰოლს წელიწადში ერთხელ სვამდა – და ფანჯარასთან დაჯდა, საიდანაც სალტშენის გადაღმა, სკურუს ყურეში მოციმციმე შუქურა ჩანდა.

იმ დღეს, ჰენრიკ ვანგერთან შეთანხმების შემდეგ, მან და ბლუმკვისტმა ცხარედ იკამათეს. მათ ადრეც არაერთხელ უკამათიათ სტატიების შინაარსზე, ჟურნალის ყდაზე, ინფორმატორების და წყაროების სანდოობაზე და სხვა ათას საგამომცემლო საკითხზე. მაგრამ ჰედების კუნძულზე გამართულმა კამათმა ერიკა ბერგერს უჩვენა, რომ მთლად მყარი პოზიცია არ ეკავა.

– აღარ ვიცი, როგორ მოვიქცე, – უთხრა მაშინ ბლუმკვისტმა, – ამ კაცმა თავისი ბიოგრაფიის დასაწერად დამიქირავა. აქამდე საშუალება მქონდა, ნებისმიერ დროს მიმეტოვებინა სამუშაო, თუკი იმის დაწერას ან გაკეთებას დამაძალებდა, რაც არ მინდა ან არასწორად მიმაჩნია. ახლა ის ჩვენი ჟურნალის თანამფლობელი და მთავარი დამფინანსებელია. მე თვითონ აღმოვჩნდი ისეთ მდგომარეობაში, რაზეც სხვებს ვკიცხავდი. პროფესიული ეთიკის საბჭო ძნელად თუ მოიწონებს ჩვენს საქციელს.

– უკეთესი იდეა გაქვს? – ჰკითხა ბერგერმა, – თუ გაქვს, დროზე ამოღერღე, სანამ კონტრაქტისთვის ხელი მოგვიწერია.

– რიკი, ვანგერი ვენერსტრომთან პირად ანგარიშსწორებას ცდილობს და ჩვენც გვითრევს თავის ომში.

– მერე რა? ვენერსტრომთან ჩვენც გვაქვს ანგარიში გასასწორებელი.

ბლუმკვისტმა ზურგი აქცია და სიგარეტს მოუკიდა.

კამათი კიდევ დიდხანს გაგრძელდა, სანამ ბერგერმა ტანსაცმელი არ გაიხადა და საძინებელში არ გავიდა დასაწოლად. თავი მძინარედ მოაჩვენა, როცა ორი საათის მოგვიანებით ბლუმკვისტი გვერდით მიუწვა.

ამ საღამოს Dagens Nyheter-ის ჟურნალისტმაც იგივე შეკითხვა დაუსვა:

– შეძლებს „მილენიუმი“ სარედაქციო დამოუკიდებლობის შენარჩუნებას?

– რას გულისხმობთ?

ჟურნალისტის აზრით, შეკითხვა ისედაც ცხადი იყო, მაგრამ უფრო გასაგებად მაინც გაუმეორა:

– „მილენიუმი“ ძირითადად ეკონომიკურ საკითხებს მიმოიხილავს. შეძლებს ჟურნალი მკითხველის დაარწმუნებს, რომ „ვანგერების კორპორაციას“ ობიექტურად აფასებს?

ბერგერმა ისეთი გაოცებით შეხედა ჟურნალისტს, თითქოს კითხვა სრულ სისულელედ მოეჩვენაო.

– თქვენ გგონიათ, „მილენიუმის“ მიმართ ნდობა შემცირდება იმის გამო, რომ მის დაფინანსებას ცნობილი ფინანსისტი და მრეწველი იწყებს?

– ამიერიდან „ვანგერების კორპორაციის“ შესახებ უარყოფითი სტატიების დაწერას ვერ შეძლებთ.

– „მილენიუმის“ შემთხვევაში სხვა წესები მოქმედებს?

– ვერ მიგიხვდით.

– აი, თქვენი გაზეთი გავლენიან, ეკონომიკური ინტერესების მქონე პირებს ეკუთვნის და ეს იმას ნიშნავს, რომ „ბონიერების ჯგუფის“ გამოცემული გაზეთები არაობიექტურია? Aftonbladet მსხვილი ნორვეგიული კორპორაციის კუთვნილებაა, ხოლო ეს კორპორაცია, თავის მხრივ, ინფორმაციული ტექნოლოგიების და კომუნიკაციების სფეროში მთავარი მოთამაშეა. რა, ამის გამო Aftonbladet-ში ტექნოლოგიურ საკითხებზე დაბეჭდილი ყველა სტატია არაობიექტურად უნდა შევრაცხოთ? „მეტრო“ „სტენბეკის ჯგუფის“ კუთვნილებაა. ესე იგი, თქვენ ამბობთ, რომ ნებისმიერი შვედური გაზეთი თუ ჟურნალი არაობიექტურია, თუკი მას ძლიერი ფინანსური მხარდაჭერა აქვს?

– არა, რასაკვირველია.

– მაშ, რატომ გგონიათ, რომ გავლენიანი მხარდამჭერის გამოჩენით „მილენიუმის“ მიმართ ნდობა შემცირდება?

ჟურნალისტმა ხელი ასწია.

– კარგი, შეკითხვას სხვანაირად ჩამოვაყალიბებ.

– არაა საჭირო. მინდა, რომ ზუსტად ის დაბეჭდოთ, რაც გითხარით. შეგიძლიათ ისიც დაამატოთ, რომ, თუ Dagens Nyheter „ვანგერების კორპორაციას“ უფრო მეტ ყურადღებას მიაქცევს, ჩვენ „ბონიერების ჯგუფზე“ გავამახვილებთ ყურადღებას.

თუმცა, ბერგერი თვითონაც კარგად ხვდებოდა, რომ ეთიკური დილემა არსებობდა.

ბლუმკვისტი ჰენრიკ ვანგერზე მუშაობდა, ვანგერს კი ერთი ხელმოწერით შეეძლო „მილენიუმის“ განადგურება. ვანგერი და ბლუმკვისტი რომ უცებ ერთმანეთს გადამტერებოდნენ?

და, რაც მთავარია, რამდენად ობიექტური იყო თავად ან როდის გადაიქცა დამოუკიდებელი რედაქტორიდან კორუმპირებულად?

სალანდერი ინტერნეტიდან გამოვიდა და „პაუერბუქი“ გამორთო. საქმე არაფერი ჰქონდა. შიოდა. უსაქმურობა დიდად არ ანაღვლებდა, რადგან საბანკო ანგარიშზე უკვე ხელი მიუწვდებოდა და ბიურმანზეც კონტროლი დაამყარა. შიმშილი ყველიანი, ხიზილალიანი და მოხარშულკვერცხიანი სამი დიდი სენდვიჩით დაიცხრო. ვახშამი მისაღებ ოთახში მიირთვა, თან მოსმენილ ინფორმაციას აანალიზებდა.

ჰედესტადელმა ადვოკატმა ფროდემ ის მიქაელ ბლუმკვისტის, ბიზნესმენ ჰანს-ერიკ ვენერსტრომის ცილისწამებისთვის სამთვიანი პატიმრობით დასჯილ ჟურნალისტზე ცნობების მოსაპოვებლად დაიქირავა. რამდენიმე თვის შემდეგ ასევე ჰედესტადელი ჰენრიკ ვანგერი ბლუმკვისტის ჟურნალის თანამფლობელი ხდება და აცხადებს, რომ გარკვეული ძალები ჟურნალის ჩაძირვას ცდილობენ. ეს ყველაფერი იმ დროს ხდება, როცა ბლუმკვისტი ციხეში სასჯელის მოხდას იწყებს. და ყველაზე მნიშვნელოვანი: Finansmagasinet Monopols-ის ჰანს-ერიკ ვენერსტრომისადმი მიძღვნილ ორი წლის წინანდელ სტატიაში „ცარიელი ხელებით“, ეწერა, რომ ვენერსტრომმა კარიერა სამოციანების მიწურულს „ვანგერების კორპორაციაში“ დაიწყო.

გენიოსობა არ სჭირდებოდა იმის მიხვედრას, რომ ეს ამბები ერთმანეთთან იყო დაკავშირებული. ორივე მხარე საიდუმლოს მალავდა, სალანდერს კი სხვის საიდუმლოებებში ქექვა ძალიან უყვარდა. თანაც, იმ მომენტში, სხვა საქმე მაინც არაფერი ჰქონდა.

მესამე ნაწილი. კოალიცია

16 მაისი – 11 ივნისი

შვედეთში ქალების 13% არაპარტნიორი მამაკაცის მხრიდან გადაჭარბებული სექსუალური ძალადობის მსხვერპლია.

თავი XV

პარასკევი, 16/V – შაბათი, 31/3

მიქაელ ბლუმკვისტი რულაკერის ციხიდან პარასკევს, 16 მაისს, დაპატიმრებიდან ორი თვის თავზე გაათავისუფლეს. ციხეში ჩაჯდომის დღეს სასჯელის ვადის შესამცირებლად განცხადება შეიტანა, თუმცა, დიდი იმედი არ ჰქონია, რომ შეუმცირებდნენ. ზუსტად ისიც ვერ შეიტყო, რატომ გაათავისუფლეს. მისი აზრით, მიზეზი ის იყო, რომ სადღესასწაულო შვებულება არ აუღია ან, უბრალოდ, ციხეში საკმარისი ადგილი არ იყო: იქ სულ ოცდათერთმეტი საწოლი იდგა, პატიმარი კი ორმოცდაორი ჰყავდათ. ასე იყო თუ ისე, ციხის უფროსმა ზედამხედველმა, ორმოცდაორი წლის პოლონელმა ემიგრანტმა პეტერ საროვსკიმ, ვისთანაც ბლუმკვისტმა საერთო ენა ადვილად გამონახა, სასამართლოს რეკომენდაციით მიმართა, ბლუმკვისტისთვის სასჯელის ვადა შეემცირებინათ.

რულაკერის ციხეში დრომ მშვიდად და ზედმეტი დაძაბულობის გარეშე ჩაიარა. საროვსკის თქმით, ეს ციხე ხულიგნებისთვის და მთვრალი მძღოლებისთვის იყო აგებული და არა ნამდვილი ბოროტმოქმედებისთვის. იქაურობა საერთო საცხოვრებელს ჰგავდა. სხვა პატიმრები – უმეტესად მეორე თაობის ემიგრანტები – ბლუმკვისტს „დიდ კაცად“ მიიჩნევდნენ, რადგან მხოლოდ მას აჩვენებდნენ ტელევიზორში.

პატიმრობის პირველ დღეს ფსიქოთერაპევტის დახმარება, სხვა სრულწლოვანებისთვის განკუთვნილი საგანმანათლებლო პროგრამის გავლა და პროფესიული არჩევანის გასაკეთებლად დამატებითი ვარიანტები შესთავაზეს. ბლუმკვისტმა ციხის უფროსს აუხსნა, სოციალური რეაბილიტაცია არ მჭირდება, სწავლა დავამთავრე (გუნებაში დააყოლა, მგონი, საკმარისად განათლებულიც ვარო) და სამსახურიც მაქვსო. თავის მხრივ, საკანში „აიბუქის“ გამოყენების უფლება ითხოვა, რომ წიგნზე მუშაობის გაგრძელების საშუალება ჰქონოდა. თხოვნა უპრობლემოდ დაუკმაყოფილეს; ის კი არა, საროვსკიმ უჯრიანი მაგიდაც შეატანინა მის საკანში, რომ კომპიუტერი უჯრაში ჩაეკეტა ხოლმე. ყოველი შემთხვევისთვის, თორემ ნაკლებად სავარაუდო იყო, რომ რომელიმე პატიმარს მისი „აიბუქი“ მოეპარა ან გაეფუჭებინა. პირიქით, ბლუმკვისტს ყველა პატივს სცემდა და იცავდა.

ორი თვის განმავლობაში ბლუმკვისტი დღეში ექვს საათს მუშაობდა ჰენრიკ ვანგერის ბიოგრაფიულ წიგნზე. საქმეს მხოლოდ საკნების მილაგების და სეირნობის საათებში წყვეტდა. ბლუმკვისტს და კიდევ ორ პატიმარს, რომელთაგან ერთი შევდელი, მაგრამ წარმოშობით ჩილელი იყო, ციხის სპორტდარბაზის დალაგება ევალებოდათ. სეირნობის საათებში ხან ტელევიზორს უყურებდნენ, ხან ბანქოს თამაშობდნენ, ხანაც სპორტდარბაზში ვარჯიშობდნენ. აღმოჩნდა, რომ ბლუმკვისტმა პოკერის თამაში კარგად იცოდა, მაგრამ ყოველდღე რამდენიმე ორმოცდაათერეიან მონეტას მაინც აგებდა. ციხის წესების თანახმად, ბანქოს ფულზე თამაში დაშვებული იყო, თუ ფსონების რაოდენობა ხუთ კრონას არ აღემატებოდა.

დროზე ადრე გათავისუფლების შესახებ მხოლოდ ერთი დღით ადრე შეატყობინეს. საროვსკიმ კაბინეტში გამოიძახა და სასიხარულო ცნობა სირჩა აკვავიტეთი აღნიშნეს.

ბლუმკვისტი პირდაპირ ჰედებიზე დაბრუნდა. ქოხს რომ მიუახლოვდა, ნაცნობი „მიაუ“ გაიგონა და ფეხებთან კუდაპრეხილი წითური კატა დაინახა.

– კარგი, შემობრძანდი, მაგრამ ჯერ რძე არ მაქვს, – უთხრა კატას და ჩანთები ამოალაგა. ისეთი გრძნობა დაეუფლა, თითქოს შვებულებიდან სახლში დაბრუნებულიყოს. საროვსკი და სხვა პატიმრები მოენატრა. რაც უნდა სულელურად ჟღერდეს, რულაკერის ციხეში ყოფნა მოეწონა, მაგრამ ისე სწრაფად გაათავისუფლეს, რომ ვერავისთვის შეტყობინება ვერ მოასწრო.

საღამოს ექვსს გადაცდენილი იყო. სასწრაფოდ „კონსუმში“ წავიდა პროდუქტების საყიდლად, სანამ დახურავდნენ. შინ დაბრუნებულმა ბერგერს დაურეკა. ავტომოპასუხემ უპასუხა და ბლუმკვისტმა ხმოვანი შეტყობინება დაუტოვა, ხვალ დამირეკეო.

შემდეგ თავის დამსაქმებელთან წავიდა. ჰენრიკ ვანგერი პირველ სართულზე დახვდა. მოხუცი მიქაელის დანახვამ გააკვირვა.

– გამოიქეცი?

– ვადაზე ადრე გამათავისუფლეს.

– ნამდვილად არ ველოდი.

– არც მე. მხოლოდ წუხელ შემატყობინეს.

რამდენიმე წამს ერთმანეთს შეჰყურებდნენ. შემდეგ ბლუმკვისტის გასაკვირად, მოხუცმა ძლიერად ჩაიკრა გულში.

– ვახშმობას ვაპირებდი. დამეწვიე.

ანამ ხორციანი და მოცვიანი ღვეზელები მოამზადა მათთვის. სასადილო ოთახში მაგიდასთან ორ საათს საუბრობდნენ. ბლუმკვისტმა უამბო, რამდენი რამ დაწერა

ოჯახის ისტორიაზე და რა საკითხთან დაკავშირებით შეექმნა პრობლემები. ჰარიეტი ერთხელაც არ უხსენებიათ.

ჰენრიკ ვანგერმა თავის მხრივ „მილენიუმზე“ უამბო:

– საბჭო სამჯერ შეიკრიბა. ფრეკენ ბერგერმა და ჰერ მალმმა პატივი დამდეს და, ჩემი თხოვნით, ორი შეხვედრა აქ ჩატარდა. ერთხელ სტოკჰოლმში ჩემ მაგივრად ფროდე გაემგზავრა. ძალიან მინდა რამდენიმე წლით ახალგაზრდა ვიყო, შორს მგზავრობა ძალიან მიჭირს. იმედია, ზაფხულში როგორმე ჩავალ დედაქალაქში.

– შეხვედრების ჩატარება აქაც შეიძლება, – თქვა ბლუმკვისტმა, – აბა, ჟურნალის თანამფლობელად თავს როგორ გრძნობთ?

ვანგერმა ცბიერად გაუღიმა.

– რამდენი წელია ასე კარგად თავი არ მიგრძნია. ჟურნალის ფინანსური მდგომარეობა შევამოწმე და საკმაოდ მყარია. რამდენსაც ველოდი, იმდენი ფულის დახარჯვა აღარ მომიწევს – შემოსავლებს და გასავლებს შორის სხვაობა თანდათან მცირდება.

– რამდენიმე დღის წინ ერიკას ველაპარაკე და მითხრა, სარეკლამო შემოსავლებმა იმატაო.

– დიახ, მაგრამ სიტუაციის დალაგებას კიდევ ცოტა დრო დასჭირდება. თავიდან „ვანგერების კორპორაციის“ რამდენიმე კომპანიამ სარეკლამო გვერდები მთლიანად იყიდა. მერე ორი ძველი სარეკლამო დამკვეთი – მობილური ტელეფონების მწარმოებელი და ტურისტული სააგენტო – დაგვიბრუნდა, – ლაღად გაეღიმა მოხუცს, – გარდა ამისა, ვენერსტრომის მტრებთან სათითაოდ ვაწარმოებთ მოლაპარაკებებს. დამიჯერე, ასეთთა სია ძალიან გრძელია.

– პირადად ვენერსტრომისგან ხომ არ გსმენიათ რამე?

– არა. ჟურნალით ინფორმაცია გავავრცელეთ, რომ ვენერსტრომი „მილენიუმს“ ბოიკოტს უცხადებს. წარმომიდგენია, როგორ გაბრაზდებოდა. Dagens Nyheter-ის ჟურნალისტმა განაცხადა, რომ მასთან დაკავშირება სცადა, მაგრამ მკვახე უარი მიიღო.

– როგორც ჩანს, ძალიან ერთობით.

– სიტყვა „ვერთობი“ ბოლომდე არ ასახავს ჩემს მდგომარეობას. რამდენიმე წლის წინ უნდა მეყიდა ჟურნალი.

– თქვენსა და ვენერსტრომს შორის მაინც რა მოხდა?

– ტყუილად ცდილობთ. ამას წლის ბოლომდე ვერ შეიტყობთ.

ბლუმკვისტი ვანგერის სახლიდან ცხრა საათზე წამოვიდა. ჰაერში გაზაფხულის სუსტი სურნელი იგრძნობოდა. გარეთ ბნელოდა. მცირე ხნით შეყოვნდა. შემდეგ შემოვლითი გზით სესილია ვანგერის სახლის კარს მიადგა და დააკაკუნა.

თვითონაც არ იცოდა, რას ელოდა. სესილიას მის დანახვაზე გაკვირვებისგან თვალები გაუფართოვდა და უხალისოდ შეიპატიჟა შიგნით. უხერხულად მიაჩერდნენ ერთმანეთს. ქალმაც ჰკითხა, ხომ არ გამოქცეულხარო და ბლუმკვისტმაც აუხსნა, რაც მოხდა.

– მოსაკითხად შემოგიარე. ხელს ხომ არ გიშლი?

ქალმა მზერა მოარიდა. მიქაელი მაშინვე მიხვდა, რომ მისი დანახვა არ ესიამოვნათ.

– არა... არა, შემოდი. ყავას ხომ არ დალევ?

– სიამოვნებით.

სამზარეულოში შევიდნენ. სესილია მისგან ზურგშექცევით იდგა და ყავადანს წყლით ავსებდა. ბლუმკვისტმა მხარზე ხელი დაადო და იგრძნო, ქალი როგორ დაიძაბა.

– სესილია, ვატყობ, ჩემი სტუმრობა არ გესიამოვნა.

– კიდევ ერთ თვეს არ გელოდი, – უპასუხა სესილიამ, – მოულოდნელად გამოჩნდი.

ბლუმკვისტმა შემოაბრუნა, რომ მისი სახე დაენახა. წუთით ჩუმად იდგნენ. სესილია თვალს არ უსწორებდა.

– სესილია, მოეშვი მაგ ყავას. რა ხდება?

ქალმა თავი გააქნია და ამოიოხრა.

– მიქაელ, ნურაფერს მკითხავ. გთხოვ, წადი.

მიქაელი თავისი ეზოს ჭიშკართან შეჩერდა. შებრუნდა, ხიდთან სანაპიროზე ჩავიდა და ლოდზე ჩამოჯდა. სიგარეტს აბოლებდა, თავში აზრებს ალაგებდა და ფიქრობდა, სესილია ვანგერს ჩემს მიმართ დამოკიდებულება ასე მკვეთრად რამ შეაცვლევინაო.

უცებ ძრავის ხმა მოესმა და ხიდქვეშ ყურის მიმართულებით თეთრმა იახტამ გაცურა. საჭესთან მარტინ ვანგერი იდგა და წყალქვეშა რიფებისთვის თავის არიდებას ცდილობდა. თორმეტმეტრიანი სამგზავრო იახტა იყო. ბლუმკვისტი წამოდგა და ნაპირს გაუყვა. ნავსადგომში სხვა ნავებიც იდგა – ძრავიანიც და აფრიანიც. „პეტერსონის“ რამდენიმე ნავიც შეამჩნია, ერთ-ერთ მისადგომთან კი პირველი კლასის იახტა ტივტივებდა. სხვა ნავები უფრო დიდი და ძვირადღირებული იყო: მაგალითად, Hallberg-Rassy. ნავებზე დაკვირვებით ჰედებიელ ნაოსანთან კლასობრივ განსხვავებასაც ადვილად შეამჩნევდით – მარტინ ვანგერს სამეზობლოში უეჭველად ყველაზე დიდი იახტა ჰყავდა.

ბლუმკვისტი სესილია ვანგერის სახლს ქვემოთ გაჩერდა და მეორე სართულზე განათებული ფანჯრისკენ გააპარა თვალი. შინ დაბრუნებულმა ყავა დაადგა მოსადუღებლად, თვითონ კი კაბინეტში შევიდა.

სანამ სასჯელის მოხდას შეუდგებოდა, ჰარიეტთან დაკავშირებული ყველა მასალა ჰენრიკ ვანგერს დაუბრუნა. ცარიელ სახლში ვერ დატოვებდა. ახლა თაროები ცარიელი ჩანდა. მხოლოდ ხუთი საქაღალდე დაიტოვა, პირადად ჰენრიკ ვანგერის ჩანაწერები. ესენი ციხეში თან წაიღო და უკვე ლამის ზეპირად იცოდა. უცებ წიგნების კარადის ზედა თაროზე ალბომი შეამჩნია, რომლის წაღებაც დაჰვიწყებოდა.

ალბომი სამზარეულოში გაიტანა, ყავა დაისხა და მაგიდას მიუჯდა.

ალბომში ჰარიეტის გაუჩინარებისას გადაღებული ფოტოები იდო. პირველი ჰედესტადის ბავშვთა დღისადმი მიძღვნილ აღლუმზე გადაღებული ჰარიეტის უკანასკნელი ფოტო იყო. მას ხიდზე მომხდარი ავტოავარიის ამსახველი 180 კრისტალურად სუფთა და მკაფიო ფოტოები მოჰყვებოდა. ეს სურათები ადრე ლუპით ჰქონდა დათვალიერებული და ამჯერად ზერელედ გადახედა, არ სჯეროდა, რომ რამე ახალს იპოვიდა. პირიქით, უცებ ჰარიეტ ვანგერის იდუმალ გაუჩინარებაზე თავის მტვრევა საშინლად მობეზრდა და ალბომი ხმაურით დაკეცა.

სამზარეულოს ფანჯარასთან მივიდა და ბნელში მოუსვენრად გაიხედა.

შემდეგ ისევ ალბომისკენ შეტრიალდა. უცებ თავში ერთმა აზრმა გაუელვა, თითქოს ახლახან ნანახმა რაღაცას მიახვედრაო; თითქოს ყურში ვიღაც უხილავმა სული შეუბერა – კეფაზე თმა ყალყზე დაუდგა.

ალბომი ისევ გაშალა. ყველა გვერდზე სათითაოდ გადაფურცლა. ავარიის ამსახველ ფოტოებს აკვირდებოდა. მაზუთით მოთხვრილ ახალგაზრდა ჰენრიკ ვანგერს და მის ძმა ჰარალდს დააცქერდა. სურათზე დამტვრეული მოაჯირი, შენობები, ფანჯრები და ავტომანქანები ჩანდა. ბლუმკვისტმა სეირის მაყურებელთა შორის ოცი წლის სესილია ვანგერი შეამჩნია. ღია ფერის კაბა და მუქი ჟაკეტი ეცვა. გოგონა, სულ ცოტა, ოც ფოტოზე მაინც დაეფიქსირებინათ.

ბლუმკვისტმა უეცარი აღტაცება იგრძნო, წლების განმავლობაში მისთვის წინათგრძნობას არასდროს უმტყუნია. ალბომში ნანახი ფოტოები აშკარად რაღაცაზე მიანიშნებდნენ, მაგრამ ჯერ ზუსტად ვერ ხვდებოდა, რაზე.

თერთმეტ საათზე ჯერ ისევ მაგიდასთან იჯდა და ფოტოებს სათითაოდ ათვალიერებდა, როცა კარის გაღების ხმა მოესმა.

– შეიძლება შემოვიდე? – სესილია ვანგერი იყო, რომელიც პასუხის დაუცდელად მაგიდას მეორე მხრიდან მიუჯდა. ბლუმკვისტს დეჟა ვუს უცნაური გრძნობა დაეუფლა. ქალს თხელი, სიფრიფანა, ღია ფერის კაბა და მუქი ლურჯი ჟაკეტი ეცვა, თითქმის ისეთივე, როგორც 1966 წლის ფოტოებზე.

– პრობლემა შენ ხარ, – თქვა სესილიამ.

ბლუმკვისტმა წარბები აზიდა.

– მაპატიე, მაგრამ დღეს ღამით კარზე რომ მომიკაკუნე, ძალიან დამაბნიე. თავს ისე ცუდად ვგრძნობ, ვეღარ ვიძინებ.

– რატომ გრძნობ თავს ცუდად?

– ვერ ხვდები?

ბლუმკვისტმა თავი გააქნია.

– გეტყვი, მაგრამ დამპირდი, რომ არ გაიცინებ.

– გპირდები.

– როცა ზამთარში გაცდუნე, ეს ჩემი მხრიდან იდიოტური და გაუაზრებელი საქციელი იყო. მხოლოდ ვერთობოდი. პირველ ღამეს ცოტა მთვრალი ვიყავი და სულაც არ მიფიქრია შენთან ხანგრძლივი ურთიერთობის გაბმა. მერე ეს ყველაფერი სხვა რამეში გადაიზარდა. მინდა იცოდე, რომ შენთან გატარებული დრო ჩემს ცხოვრებაში ერთ-ერთი უბედნიერესი იყო.

– ჩემთვისაც.

– მიქაელ, მთელი ეს დრო შენც გატყუებდი და თავსაც ვიტყუებდი. სექსუალურად თავაშვებული არასდროს ვყოფილვარ. ცხოვრებაში სულ ხუთი პარტნიორი მყოლია. პირველად ოცდაერთი წლისა ვიწექი კაცთან. მომდევნო ჩემი ქმარი იყო, რომელსაც ოცდახუთი წლისა გავყევი ცოლად, მაგრამ ნამდვილი ნაბიჭვარი აღმოჩნდა. მომდევნო სამ კაცს დროის სხვადასხვა შუალედში ვხვდებოდი. შენ კი განსხვავებული გრძნობა გამიჩინე. სულ შენთან ყოფნა მინდოდა ალბათ იმიტომ, რომ ნაკლებად მომთხოვნი ხარ.

– სესილია, არაა საჭირო...

– ჩშშ, ნუ მაწყვეტინებ, თორემ სათქმელს ვერასდროს დავასრულებ.

ბლუმკვისტი გაჩუმდა.

– იმ დღეს, ციხეში რომ ჩაგსვეს, თავი საცოდავად ვიგრძენი. წახვედი, თითქოს არც არასდროს ყოფილხარ. ამ სახლში ბნელოდა. ჩემი საწოლი ცივი და ცარიელი იყო. ორმოცდათექვსმეტი წლის დედაბერი სრულიად მარტო დავრჩი, – სესილია რამდენიმე წუთით გაჩუმდა და ბლუმკვისტს თვალებში შეხედა, მერე კი განაგრძო: – ზამთარში შემიყვარდი. ჩემდა უნებურად. მერე დავფიქრდი და მივხვდი, რომ შენ აქ მხოლოდ დროებით ხარ; ერთ დღესაც წახვალ, მე კი სიკვდილამდე მარტო დავრჩები. გადავწყვიტე, ციხიდან გამოსვლის შემდეგ სახლში აღარ შემომეშვი.

– მაპატიე.

– რა შენი ბრალია. დღეს შენი წასვლის შემდეგ დიდხანს ვტიროდი. ნეტა ცხოვრების თავიდან დაწყება შემეძლოს. მერე ერთი რამ გადავწყვიტე.

– რა?

ქალმა თავი დახარა.

– შენთან შეხვედრაზე უარის თქმა მხოლოდ იმიტომ, რომ ერთ დღეს ჩემი ცხოვრებიდან წახვალ, ნამდვილი სისულელეა. მიქაელ, შეიძლება ყველაფერი თავიდან დავიწყოთ? შეძლებ დაივიწყო, რაც დღეს საღამოს მოხდა?

– რასაკვირველია, – უპასუხა ბლუმკვისტმა, – გმადლობ, რომ შენი გრძნობები გამანდე.

ქალს თავი ჰქონდა დახრილი.

– თუ კვლავ გინდა ჩემთან, მაშინ წამოდი.

სესილიამ ბლუმკვისტს შეხედა. შემდეგ წამოდგა და საძინებლისკენ წავიდა. გზად ჟაკეტი და კაბა გაიხადა.

ბლუმკვისტი და სესილია ვანგერი კარის გაღების და სამზარეულოში ვიღაცის შემოსვლის ხმამ გააღვიძა. შეშის ღუმელთან მძიმე საგანი დადგეს. მერე საძინებელში ბერგერი შემოვიდა. მის სახეზე აღბეჭდილი ღიმილი გაკვირვებამ შეცვალა.

– ო, ღმერთო ჩემო, – წამოიძახა ბერგერმა და უკან დაიხია.

– გამარჯობა, ერიკა, – მიესალმა ბლუმკვისტი.

– გამარჯობა. მაპატიეთ, რომ შემოგივარდით. უნდა დამეკაკუნებინა.

– ეს ჩვენ უნდა ჩაგვეკეტა კარი. სესილია, ეს ერიკა ბერგერია, „მილენიუმის“ მთავარი რედაქტორი.

– გამარჯობა, – მიესალმა სესილია.

– გამარჯობა, – მიესალმა ბერგერიც. დაიბნა. არ იცოდა, შიგნით შესულიყო და ზრდილობიანად ხელი ჩამოერთვა მისთვის თუ წასულიყო, – აა... კარგი, წავალ, გავისეირნებ...

– იქნებ აჯობებს ყავა დაადგა? – ბლუმკვისტმა ტუმბოზე შემოდებულ მაღვიძარას შეხედა: პირველი საათი დაწყებულიყო.

ბერგერმა თავი დაუქნია და საძინებლის კარი გაიხურა. ბლუმკვისტმა და სესილიამ ერთმანეთს გადახედეს. სესილია დარცხვენილი ჩანდა. დილის ოთხ საათამდე არ

დაუძინიათ: ერთმანეთს ესიყვარულებოდნენ და საუბრობდნენ. სესილიამ ბლუმკვისტს უთხრა, ამაღამ შენთან ვრჩები და სულ ფეხებზე მკიდია, ვინმე გაიგებს შენთან რომ ვწევარ თუ არაო. გვერდზე გადაბრუნებულს ეძინა, ბლუმკვისტს კი მის მკერდზე ჰქონდა ხელი დადებული.

– ყველაფერი რიგზეა, – უთხრა ქალს ბლუმკვისტმა, – ერიკა გათხოვილია. ხანდახან ვხვდებით ხოლმე ერთმანეთს, მაგრამ მას საერთოდ არ ანაღვლებს, ჩვენ შორის რა ხდება... ალბათ თვითონაც რცხვენია, ასე მოულოდნელად რომ დაგვადგა თავზე.

როცა რამდენიმე წუთის შემდეგ სამზარეულოში შევიდნენ, ერიკას მაგიდაზე უკვე ყავა, წვენი, ფორთოხლის ჯემი, ყველი და გახუხული პური დაელაგებინა. სასიამოვნო სურნელი ტრიალებდა. სესილია პირდაპირ ერიკასთან მივიდა და ხელი გაუწოდა.

– საძინებელში ცოტა უხერხულად გამომივიდა. გამარჯობა.

– ძვირფასო სესილია, უკაცრავად, სპილოსავით შემოვალაჯე ოთახში, – მოუბოდიშა ერიკა ბერგერმა.

– თუ ღმერთი გწამთ, დაივიწყეთ. მოდი, ვისაუზმოთ.

ნასაუზმევს ბერგერმა მოიბოდიშა ჰენრიკ ვანგერი უნდა ვნახოო, და ბლუმკვისტი და სესილია მარტო დატოვა. სანამ სესილია მაგიდას ალაგებდა, მიქაელი უკნიდან მიუახლოვდა და მოეხვია.

– ახლა რა მოხდება? – ჰკითხა სესილიამ.

– არაფერი. ერიკა ჩემი საუკეთესო მეგობარია. ოცი წელია, ერთმანეთს ვშორდებით და ვურიგდებით და, ალბათ, კიდევ ოცი წელი ასე გავაგრძელებთ. იმედია. თუმცა, ჩვენ წყვილი არასდროს ვყოფილვართ და არც ერთმანეთის რომანებში ვერევით.

– მაშ, ჩვენც რომანი გვაქვს?

– არ ვიცი, მაგრამ ერთმანეთს კი კარგად ვეწყობით.

– ამაღამ სად დაიძინებს?

– ოთახს როგორმე გამოვუძებნით. ჰენრიკთან დავაბინავებთ. ყოველ შემთხვევაში, ჩემს საწოლში ნამდვილად არ დაწვება.

სესილია წუთით დაფიქრდა.

– მეეჭვება, ეს შევძლო. თქვენთვის ასეთი ურთიერთობა მისაღებია, მაგრამ... ჩემთვის... – თავი გააქნია, – სახლში დავბრუნდები. კარგად უნდა მოვიფიქრო.

– სესილია, ჩემი და ერიკას ურთიერთობაზე ადრეც მკითხე და უკვე აგიხსენი. მისი არსებობა ასე ძალიან არ უნდა გაწუხებდეს.

– არც მაწუხებს, სანამ ის სტოკჰოლმშია, ჩვენგან მოშორებით.

სესილიამ ჟაკეტი ჩაიცვა.

– უაზრო სიტუაციაა, – თქვა მან ღიმილით, – ამაღამ სადილად გეპატიჟები. ერიკაც წამოიყვანე. მგონი, დავმეგობრდებით.

ერიკას უკვე მოეძებნა ღამის გასათევი. ჰედებიზე წინა სტუმრობისას, როცა საბჭოს სხდომებზე დასასწრებად ჩამოვიდა, ღამე ჰენრიკ ვანგერის სახლში გაეთია და ახლაც პირდაპირ სთხოვა მოხუცს, ხომ შეიძლება ამაღამ თქვენს სახლში დავრჩეო. ჰენრიკ ვანგერმა დაუფარავი სიხარულით აუწყა, ჩემი სახლის კარი თქვენთვის ნებისმიერ დროს ღიააო.

ამ ფორმალობების მოგვარების შემდეგ ბერგერმა და ბლუმკვისტმა ხიდს გადაღმა გაისეირნეს და სანამ დაიკეტებოდა, „სუზანის კაფეს“ ტერასაზე დასხდნენ.

– გაცოფებული ვარ, – გამოუტყდა ბერგერი, – ამხელა გზა გამოვიარე შენთან შესახვედრად და მოსალოცად, შენ კი ადგილობრივ femme fatale[vii]-სთან ერთად მონებივრე მხვდები საწოლში.

– მაპატიე.

– დიდი ხანია, შენ და ეს დიდძუძუებიანი ქალბატონი... – ბერგერმა საჩვენებელი თითი აიქნია.

– მას მერე, რაც ჰენრიკ ვანგერი ჩვენი ჟურნალის თანამფლობელი გახდა.

– აა.

– რას ნიშნავს, „აა“?

– საინტერესოა.

– სესილია კარგი ქალია. ძალიან მომწონს.

– შენ არ გიწყრები. უბრალოდ, ვბრაზობ, რომ ტკბილი ნუგბარი ცხვირწინ დევს, მე კი დიეტაზე მიწევს ყოფნა. ციხეში როგორი იყო?

– როგორც სოფელში, შვებულებისას. ჟურნალში რა ხდება?

– საქმეები უკეთ მიდის. წელს პირველად სარეკლამო შემოსავლებმა იმატა. შარშან ამ დროს უარეს მდგომარეობაში ვიყავით, მაგრამ სირთულეები უკვე გადავლახეთ. ჰენრიკის წყალობით. უცნაურია, მაგრამ ჟურნალის ხელმომწერთა რიცხვიც გაიზარდა.

– ეს რიცხვი სულ მერყეობს.

– რამდენიმე ასეულის ფარგლებში. თუმცა, ბოლო კვარტალში სამი ათასით გაიზარდა. თავიდან მეგონა, რომ ბედი გვიღიმოდა, მაგრამ ხელმომწერთა რიცხვი სტაბილურად იზრდება. ასეთი ზრდა არასდროს გვქონია. ძველ შეთანხმებას ჩვენი ძველი ხელმომწერებიც აგრძელებენ. ვერ ვხვდებით, რამ გამოიწვია ასეთი ბუმი. სარეკლამო კამპანია არ გვიწარმოებია. კრისტერი ერთი კვირა იკვლევდა ხელმომწერთა სტატისტიკას. პირველი, ყველა ახალი ხელმომწერია. მეორე, ხელმომწერთა 70% ქალია. როგორც წესი, პირიქით ხდება ხოლმე. მესამე, ხელმომწერთა უმეტესობა გარეუბნელი საშუალო ფენის წარმომადგენელია: მასწავლებელი, სამოქალაქო სამსახურის მუშაკი და წვრილი საწარმოს მენეჯერი.

– მშრომელთა კლასი დიდ კაპიტალს უპირისპირდება?

– არ ვიცი, მაგრამ თუ ასე გაგრძელდა, ჩვენი ხელმომწერების რიცხვი სრულიად შეიცვლება. ორი კვირის წინ სარედაქციო თათბირი გვქონდა და გადავწყვიტეთ, ჟურნალში სხვაგვარი მასალის ბეჭდვაც დავიწყოთ. მინდა, უფრო მეტი სტატია მივუძღვნათ შვედეთის პროფკავშირებს ან, მაგალითად, ქალთა პრობლემებს.

– ძალიანაც ნუ შევიცვლებით, – ურჩია ბლუმკვისტმა, – თუ ხელმომწერების რიცხვი იმატებს, ეს ნიშნავს, რომ ისედაც მოსწონთ, რასაც ვბეჭდავთ.

სესილიას ჰენრიკ ვანგერიც დაეპატიჟებინა, ალბათ, იმის შიშით, ვაითუ სადილობა უსიამოვნო კამათში გადაიზარდოსო. ირმის ხორცი მოეშუშა. ბერგერი და ვანგერი კარგა ხანს საუბრობდნენ „მილენიუმის“ განვითარებასა და ხელმომწერთა რიცხვის ზრდაზე. თანდათან საუბრის თემა შეიცვალა, ბერგერი ბლუმკვისტს მიუბრუნდა და ჰკითხა, შენი საქმე როგორ მიდისო.

– ჩემი გათვლებით, ერთ თვეში მუშაობას დავასრულებ და სამუშაო ვარიანტს ჰენრიკს გადავცემ წასაკითხად.

– ადამსების ოჯახის სტილში დაწერილი ქრონიკები, – შენიშნა სესილიამ.

– რომელიც გარკვეულ ისტორიულ ასპექტებს მოიცავს, – დაასრულა ბლუმკვისტმა.

სესილიამ ჰენრიკ ვანგერს გახედა.

– მიქაელ, ჰენრიკი ოჯახური ქრონიკის აღწერით სულაც არაა დაინტერესებული. მას ჰარიეტის გაუჩინარების თავსატეხის ამოხსნა სურს.

ბლუმკვისტს არაფერი უთქვამს. მას მერე, რაც სესილიასთან ურთიერთობა გააბა, მასთან ჰარიეტზე დაუფარავად საუბრობდა. მართალია, არ უღიარებია, მაგრამ სესილია უკვე ხვდებოდა, რომ ბლუმკვისტის ნამდვილი დავალებაც ეს იყო. თავად ბლუმკვისტს, რასაკვირველია, ჰენრიკისთვის არ გაუმხელია, რომ ის და სესილია ამ თემაზე საუბრობდნენ. ვანგერმა დაბუჩქული წარბები შეიჭმუხნა. ერიკა გაჩუმდა.

– ძვირფასო ჰენრიკ, – გააგრძელა სესილიამ, – სულელი კი არ ვარ. არ ვიცი, შენ და მიქაელი ზუსტად რაზე შეთანხმდით, მაგრამ ვხვდები, რომ ის ჰედებიზე სწორედ ჰარიეტის საქმის გამოსაკვლევად ჩამოვიდა. ხომ ასეა?

ჰენრიკ ვანგერმა მას თავი დაუქნია და ბლუმკვისტს გახედა.

– ხომ გითხარი, ჭკვიანი ქალია-მეთქი. მერე ბერგერისკენ შებრუნდა:

– ალბათ მიქაელმა უკვე აგიხსნათ, ჰედებიზე რასაც საქმიანობს.

ბერგერმა თავი დაუქნია.

– და ალბათ გგონიათ, რომ ამაოდ ხარჯავს დროს. არა, ნუ მიპასუხებთ. ეს უაზრო და ფუჭი საქმეა, მაგრამ აუცილებლად უნდა დავრწმუნდე ამაში.

– მე ამ საქმის არაფერი ვიცი, – დიპლომატიურად განაცხადა ბერგერმა.

– რა თქმა უნდა, იცით, – ბლუმკვისტს გახედა ჰენრიკ ვანგერმა, – მითხარი, რამე ხელმოსაჭიდს ხომ არ მიაგენი?

ბლუმკვისტმა ვანგერს მზერა მოარიდა. მაშინვე ის ცივი, უცნაური გრძნობა გაახსენდა, წინა ღამით რომ დაეუფლა. ეს გრძნობა დღისითაც აწუხებდა, მაგრამ ფოტოების ხელახლა გადასათვალიერებლად ვერ მოიცალა. მცირე ხნის შემდეგ ვანგერს შეხედა და თავი გააქნია.

– ვერაფერს მივაგენი.

მოხუცმა გამჭოლი მზერა მიაპყრო. ყურადღებით შეათვალიერა, მაგრამ კომენტარისგან თავი შეიკავა.

– თქვენი არ ვიცი, ახალგაზრდებო, – თქვა მან, – მაგრამ ჩემი ძილის დროა. ვახშმისთვის გმადლობ, სესილია. ღამე მშვიდობისა, ერიკა. სანამ წახვალ, ხვალ აუცილებლად უნდა დაგელაპარაკო.

როცა ჰენრიკ ვანგერმა სახლის კარი გაიხურა, მაგიდასთან სიჩუმე ჩამოვარდა. პირველმა სესილიამ ამოიღო ხმა.

– მიქაელ, ეს რა იყო?

– ის, რომ ჰენრიკი ნამდვილი სეისმოგრაფია; ზუსტად გრძნობს, როდის ორჭოფობს ადამიანი. წუხელ ჩემთან რომ მოხვედი, ალბომს ვათვალიერებდი.

– მერე?

– რაღაც შევამჩნიე. არ ვიცი, ზუსტად რა იყო. გონება გამეფანტა და თავში უეცრად გაჩენილ აზრს ბოლომდე ვერ მივდიე.

– რაზე ფიქრობდი?

– აღარც მახსოვს. უცებ შენც შემოხვედი და...

სესილია წამოწითლდა. ბერგერს თვალი მოარიდა და ყავის მოსადუღებლად გავიდა.

ორშაბათის თბილი და მზიანი დღე იყო. მწვანე ყლორტებს თავი ამოეყო. ბლუმკვისტმა „ყვავილობის დრო დგება“ -ს ღიღინი დაიწყო. ბერგერი ადრიანად გამგზავრებულიყო.

როცა მარტში ციხეში სასჯელის მოსახდელად გაემგზავრა, მიწა თოვლით იყო დაფარული. ახლა არყის ხეები უკვე მწვანედ იფოთლებოდა და მისი კოტეჯის გარშემო მდელოც ახასხასებულიყო. პირველად მიეცა მთელი კუნძულის დათვალიერების საშუალება. დილის რვა საათზე ანასგან თერმოსი ითხოვა, სულ რამდენიმე წუთით ადრე ამდგარ ჰენრიკ ვანგერს გამოელაპარაკა და მისი კუნძულის რუკაც წამოიღო. გოტფრიდის ქოხის დათვალიერება სურდა. ვანგერმა უთხრა, დღეს ის ქოხი მარტინს ეკუთვნის, მაგრამ თითქმის ყოველთვის ცარიელია და მხოლოდ ხანდახან თუ ითხოვებს რომელიმე ნათესავიო.

ბლუმკვისტმა მარტინს სამსახურში წასვლამდე მიუსწრო და ქოხის გასაღები სთხოვა. მარტინმა მხიარულად გაუღიმა.

– როგორც ჩანს, ოჯახურ ქრონიკებში ჰარიეტის გაუჩინარებასაც აღწერთ.

– მხოლოდ ქოხის დათვალიერება მსურს...

მარტინმა წუთში მოუძებნა გასაღები.

– მაშ, შეიძლება ქოხის დათვალიერება, ხომ?

– თუ გინდა, საერთოდ მანდ იცხოვრე, არ დავეძებ. სხვათა შორის, შენს ახლანდელ საცხოვრებელზე უკეთესიც კია, ოღონდ კუნძულის მეორე ბოლოში დგას.

ბლუმკვისტმა ყავა და სენდვიჩები მოიმზადა, ბოთლი წყლით აივსო, საგზალი ზურგჩანთაში ჩაიწყო და ჩრდილო სანაპიროს გასწვრივ, ვიწრო, ნაწილობრივ ბალახით დაფარულ ბილიკს გაუყვა. გოტფრიდის ქოხი სოფლიდან ორი კილომეტრის მოშორებით, კონცხზე იდგა და იქამდე ნელი სვლით სულ ნახევარ საათში მივიდა.

მარტინ ვანგერი მართალი გამოდგა. როცა ბლუმკვისტმა მოსახვევში შეუხვია, წყლის პირას ჩრდილიანი არე გამოჩნდა. მდინარე ჰედეს შესართავთან ულამაზესი ხედი იშლებოდა: მარცხნივ ჰედესტადის სანაპირო მოჩანდა, მარჯვნივ – სამრეწველო პორტი.

გაუკვირდა, რომ გოტფრიდის ქოხში ცხოვრება არავის სურდა. სოფლური სახლი იყო, ხის მორებისგან აგებული, კრამიტით გადახურული, ფანჯრის მწვანე ჩარჩოებითა და

პატარა პარმაღით, ოღონდ – აშკარად მოუვლელი. კარსა და ფანჯრის რაფებზე საღებავი აქერცლილიყო, ეზოში კი იმხელა სარეველა ბალახი წამოზრდილიყო, ცელით მის გათიბვას მთელ დღეს მოუნდებოდა კაცი.

ბლუმკვისტი შიგნით შევიდა და ფანჯრები გააღო. დაახლოებით 120 კვადრატული მეტრი ფართობის ქოხი ოდესღაც ბეღელი უნდა ყოფილიყო. ერთადერთი ოთახი შეეფიცრათ, ხოლო კარის გარდიგარდმო ამოჭრილი ფანჯრებიდან მდინარის ხედი იშლებოდა. ოთახის სიღრმეში მიშენებული კიბე ანტრესოლამდე ადიოდა. კიბის ქვეშ, ვიწრო ნიშაში გაზის ღუმელი, პირსაბანი და საუთოო მაგიდა იდგა. ავეჯი უბრალო იყო: კარისგან მარცხნივ, კედელზე მიმაგრებული ხის მერხი, გადახუნებული საწერი მაგიდა, მის უკან ტექის ხის თაროებიანი წიგნის კარადა, ხოლო ოდნავ მოშორებით, იმავე კედლის გასწვრივ, დიდი გარდერობი. კარიდან მარჯვნივ იდგა მრგვალი მაგიდა ხუთ ხის სკამთან ერთად. გვერდითა კედელში ბუხარი იყო ამოჭრილი.

ქოხში ელექტროობა გაყვანილი არ იყო; იქაურობას ნავთის ლამფებით ანათებდნენ. ფანჯრის რაფაზე ძველი, ანტენამომტვრეული „გრუნდიგის“ რადიო იდო. ბლუმკვისტი ჩამრთველ ღილაკს დააწვა, მაგრამ აკუმულატორი დამჯდარი აღმოჩნდა.

კიბეზე ავიდა და საძინებელში მიმოიხედა. ორკაციან საწოლზე მხოლოდ ლეიბი ეგო, საწოლის გვერდით ტუმბო და უჯრებიანი კარადა იდგა.

ბლუმკვისტი კარგა ხანს ჩხრეკდა ქოხს. კარადა ცარიელი აღმოჩნდა, უჯრებში რამდენიმე ზეწარი და პირსახოცი ეწყო, იმათაც ობის სუნი ასდიოდა. გარდერობში რამდენიმე წყვილი სამუშაო უნიფორმა, ხალათი, რეზინის ჩექმები, გაცვეთილი სპორტული ფეხსაცმლები და ნავთის ქურა იპოვა; საწერი მაგიდის უჯრებში – სუფთა ქაღალდის ფურცლები, ფანქრები, სახატავი ფურცლების შეკვრა, ბანქოს დასტა და წიგნის სანიშნეები. განჯინაში თეფშები, ჭიქები, სანთლები, მარილის და ჩაის კოლოფები და მსგავსი რამეები ეწყო, მაგიდის უჯრაში – დანა-ჩანგლები და კოვზები.

ქოხში მცხოვრების ინტელექტუალური ინტერესის კვალს წიგნის კარადაში მიაგნო. მიქაელი სკამზე შედგა და თაროები გადაქექა. ქვედა თაროზე SE-ს, Rekordmagasinet-ის, Tidsfördriv-ის და Lektyr-ის ორმოცდაათიანების მიწურულის და სამოციანების დასაწყისის ნომრები ეწყო; იქვე, მათ გვერდით - Bildjournalen-ის 1965-66 წლების რამდენიმე ნომერი, Matt Livs Novell და რამდენიმე კომიქსი: The 91, Phantomen და Romans. ბლუმკვისტმა Lektyr-ის 1964 წლის ნომერი გადაშალა და გაეღიმა: დღევანდელებთან შედარებით იმდროინდელი ფოტომოდელი ისე მოკრძალებულად გამოიყურებოდა.

წიგნების ნახევარი თხელყდიანი და დეტექტიური ჟანრისა იყო. ვალსტრომის „მანჰეტენის სერიიდან“: მიკი სპილეინის „მაკოცე“ და „მომაკვდინებელი“, ბერტილ

ჰეგლანდის კლასიკური ილუსტრაციებით. აგრეთვე გადააწყდა წიგნებს „კიტის“ სერიიდან: ენიდ ბლაიტონის „ცნობილი ხუთეულის“ რომანებს და სივარ ალრუდის რომანს დეტექტივ ტყუპებზე – „მეტროს საიდუმლო“. ბლუმკვისტმა საბავშვო წიგნებს ღიმილით გადახედა. ასტრიდ ლინდგრენის სამი წიგნი: „ბულერბიელი ბავშვები“, „კალე ბლუმკვისტი და რასმუსი“ და „პეპი გრძელიწინდა“. სულ ზედა თაროზე რადიო, ორი წიგნი ასტრონომიაზე, მეფრინველეობის სახელმძღვანელო, „ბოროტების იმპერია“ - წიგნი საბჭოთა კავშირზე, წიგნი ფინეთის ზამთრის ომზე, ლუთერის კატეხიზმო, მეთოდისტთა „საგალობლების წიგნი“ და ბიბლია ეწყო.

ბლუმკვისტმა ბიბლია გადაშალა და ფორზაცზე წარწერა წაიკითხა: „ჰარიეტ ვანგერი, 12 მაისი, 1963 წელი“. ეს კონფირმაციისას მიღებული ბიბლია იყო. სევდამორეულმა ბლუმკვისტმა წიგნი თავის ადგილზე დააბრუნა.

ქოხის უკან შეშის და ხელსაწყოების ფარდული იდგა. ფარდულში ცელი, ფოცხი, ურო, ხელის ხერხი, შალაშინი და სხვა ხელსაწყოები ეწყო. ბლუმკვისტმა პარმაღზე სკამი გამოიტანა და თერმოსიდან ყავა დაისხა. სიგარეტს მოუკიდა და ხშირი მცენარეების ბუნებრივი „ფარდის“ უკნიდან ჰედესტადის ყურეს გახედა.

გოტფრიდის ქოხი იმაზე უბრალო გამოდგა, ვიდრე ელოდა. ორმოცდაათიანების მიწურულს ჰარიეტის და მარტინის მამა თავის ცოლ იზაბელასთან ჩხუბის შემდეგ საცხოვრებლად აქ გადმოდიოდა ხოლმე. აქვე თვრებოდა. ხოლო იქ, ქვემოთ, ნავმისადგომთან წყალში დაიხრჩო. ზაფხულობით ქოხში ცხოვრება, შესაძლოა, კარგი იყო, მაგრამ ზამთარში, როცა ტემპერატურა ნულს ქვემოთ ეცემა და ყინვებს იჭერს, ალბათ ნამდვილი საშინელება იქნებოდა. ჰენრიკ ვანგერის თქმით, გოტფრიდი კორპორაციაში 1964 წლამდე მუშაობდა, თუ არ ჩავთვლით პერიოდებს, როცა ისევ ლოთობას მიჰყოფდა ხელს. ის ფაქტი, რომ ქოხში მარტო ცხოვრების მიუხედავად, პირგაპარსული, დაბანილი, კოსტიუმსა და ჰალსტუხში გამოწკეპილი სამსახურში სიარულს ახერხებდა, მასში შემორჩენილ მოწესრიგებულობაზე მეტყველებდა.

ამ ქოხს ჰარიეტ ვანგერიც ხშირად სტუმრობდა და სწორედ აქ დაუწყეს თავიდან ძებნა. ჰენრიკ ვანგერის თქმით, სიცოცხლის ბოლო წელს ჰარიეტი შაბათ-კვირას ან არდადეგებზე ხშირად მოდიოდა ამ ქოხში განსამარტოებლად. გაუჩინარებამდე სამი თვით ადრე ამ ქოხში ცხოვრობდა, თუმცა, სოფელში ყოველდღე მიდიოდა. ანიტა ვანგერმა, სესილიას დამ, მასთან ერთად ექვსი კვირა გაატარა აქ.

ნეტა აქ მარტო რას აკეთებდა? ჟურნალები Romans და Matt Livs Novell, ასევე წიგნები „კიტის“ სერიიდან უთუოდ მას ეკუთვნოდა. შესაძლოა, სახატავი ფურცლებიც. მისი ბიბლიაც აქვე იდო.

ვითომ დაღუპულ მამასთან ახლოს უნდოდა ყოფნა – აქ გლოვობდა მას? თუ რელიგიური შეხედულებების გამო რჩებოდა მარტო? ქოხი უბრალო და ასკეტური ჩანდა, იქნებ განდეგილად ცხოვრობდა?

ბლუმკვისტი სამხრეთ-აღმოსავლეთით გაუყვა სანაპიროს, მაგრამ წინ ხან ორმოები, ხან კი ღვიის ბუჩქნარი ეღობებოდა. მალე ბილიკი სრულიად გაუვალი გახდა. ისევ ქოხთან დაბრუნდა და სოფლის გზაზე გადავიდა. რუკის მიხედვით, შუაგულ ტყეში ერთი ბილიკი იყო, რომელიც ე.წ. „ციხესიმაგრისკენ“ მიიწევდა. ხშირ ბუჩქნარში ამ ბილიკის პოვნას ნახევარ საათს მოუნდა. „ციხესიმაგრეს“ მეორე მსოფლიო ომის დროინდელი სანაპირო ზოლის თავდაცვითი ნაგებობის ნანგრევებს უწოდებდნენ – ბეტონის ბუნკერს, მთავარი შტაბის ირგლივ სანგრებით. დღეს ყველაფერი ბალახს და ბუჩქებს დაეფარა.

ბილიკს ნავების ფარდულამდე ჩაუყვა. ფარდულთან წყალში დამტვრეული ნავი ტივტივებდა. ისევ „ციხესიმაგრესთან“ დაბრუნდა და ბილიკს ღობემდე მიჰყვა – ოსტერგორდენს მეორე მხრიდან მიადგა.

ბილიკს ოსტერგორდენის ღობის გასწვრივ კარგა ხანს მიუყვებოდა. ხშირად ბილიკი ტლაპოებსა და ტალახში იკარგებოდა, თვითონ კი მათთვის გარს შემოვლა უწევდა. ბოლოს ჭაობამდე მივიდა, ჭაობს გადაღმა ბეღელი იდგა. ბილიკი აქ წყდებოდა – ოსტერგორდენისკენ მიმავალი გზიდან ასიოდე მეტრში.

გზის გადაღმა სედერის მთა აღმართულიყო. ბლუმკვისტი ციცაბო კლდოვან თხემზე აცოცდა და იქიდან სანაპიროს გადახედა. მერე ქედს ქვემოთ, სოფლის მიმართულებით დაუყვა. საზაფხულო კოტეჯებთან მცირე ხნით შეყოვნდა და მეთევზეთა ნავსადგურის, ეკლესიის და საკუთარი ქოხის ცქერით დატკბა. ქვის ლოდზე იჯდა და ნელთბილი ყავის ბოლო ყლუპებს სვამდა.

სესილია ვანგერი თავს არიდებდა და არც ბლუმკვისტს სურდა მისი შეწუხება, მაგრამ ერთკვირიანი ლოდინის შემდეგ, თვითონ ესტუმრა ქალს. სესილიამ შინ შეიპატიჟა.

– ალბათ გგონია, რომ ორმოცდათექვსმეტი წლის რესპექტაბელური სკოლის დირექტორი ცერცეტა თინეიჯერივით ვიქცევი.

– სესილია, შენ ზრდასრული ქალი ხარ. უფლება გაქვს, როგორც გინდა, ისე მოიქცე.

– ვიცი და, ამიტომ გადავწყვიტე, რომ აღარ შევხვდებით. არ შემიძლია...

– გთხოვ, ნურაფერს ამიხსნი. იმედია, მეგობრებად დავრჩებით.

– დიდი სიამოვნებით, მაგრამ შენთან მეგობრობა არ შემიძლია. ურთიერთობები არასდროს გამომდიოდა კარგად. კარგი იქნება, თუ ცოტა ხნით განმარტოების საშუალებას მომცემ.

თავი XVI

კვირა, 1/VI – სამშაბათი, 10/VI

ექვსთვიანი უშედეგო ძიების შემდეგ ჰარიეტ ვანგერის საქმეში ხელჩასაჭიდი გაჩნდა. ივნისის პირველ კვირაში ბლუმკვისტმა თავსატეხის ამოსახსნელად სამ სრულიად ახალ კვალს მიაგნო: ორს თავისით, ერთს სხვისი დახმარებით.

მაისის იმ დღეს, ბერგერის გამგზავრების შემდეგ, სამი საათის განმავლობაში ათვალიერებდა ალბომს, მაგრამ უშედეგოდ, ახალი ვერაფერი აღმოაჩინა. ამიტომ ალბომი გვერდზე გადადო და ოჯახის ისტორიის აღწერაზე გადაერთო.

ივნისის ერთ დღეს ჰედესტადში ავტობუსით მგზავრობდა და სულ სხვა რამეზე ფიქრობდა, როცა იერნვეგსგატანზე გადაუხვიეს და უეცრად მიხვდა, რა მწიფდებოდა ბოლო დღეების განმავლობაში მის თავში. აზრმა მოულოდნელად გაუელვა. ისე დაიბნა, რომ ჩასვლა დაავიწყდა და ავტობუსს რკინიგზის სადგურის ბოლო გაჩერებამდე გაჰყვა. იქიდან პირველივე ავტობუსით ჰედებიზე გაემგზავრა, რათა თავისი აღმოჩენის სისწორეში დარწმუნებულიყო.

ფოტოალბომში პირველივე სურათი უნდა ენახა – ჰარიეტ ვანგერის ბოლო, ჰედესტადში იერნვეგსგატანზე გამართულ საბავშვო დღისადმი მიძღვნილ აღლუმზე იმ საბედისწერო დღეს გადაღებული ფოტო.

ეს ფოტო ამ ალბომს სულ არ შეეფერებოდა. შიგ მხოლოდ იმიტომ იდო, რომ ჰარიეტის გაუჩინარების დღეს გადაიღეს. დანარჩენ ფოტოებზე კი ხიდზე მომხდარი ავტოავარიის სცენები იყო ასახული. ყოველთვის, როცა ბლუმკვისტი ამ ალბომს ათვალიერებდა, უპირველესად, სწორედ ხიდზე მომხდარი ავარიის სცენები და დასახმარებლად შეკრებილი ხალხი იპყრობდა მის (და ალბათ სხვებისაც) ყურადღებას. ხოლო რადენიმე საათით ადრე ჰედესტადის აღლუმზე გადაღებულ ფოტოზე განსაკუთრებულად დრამატული არაფერი იყო გამოსახული.

ჰენრიკ ვანგერს ათასჯერ დაეთვალიერებინა ეს სურათი და ყოველთვის იმას ფიქრობდა, რომ ჰარიეტი სამუდამოდ დაიკარგა.

მაგრამ ბლუმკვისტს მისი ხელახლა დათვალიერებისას სულ სხვა გრძნობა დაეუფლა.

სურათი ქუჩის მეორე მხრიდან გადაეღოთ, ალბათ, მეორე სართულის ფანჯრიდან. ფართოკუთხიან ობიექტივს პირველი ვაგონი-პლატფორმა ახლო ხედით დაეფიქსირებინა. სწორ ზედაპირზე ბზინვარე საცურაო კოსტიუმებიანი და ფაშფაშა

შარვლებიანი გოგონები იდგნენ და ბრბოში ტკბილეულს ისროდნენ. ზოგი ცეკვავდა. ვაგონის წინ სამი კლოუნი ხტოდა.

ჰარიეტი ტროტუარზე შეგროვილი ბრბოს წინა რიგში იდგა. სამ გოგონასთან, აშკარად თანაკლასელები იყვნენ; გარშემო კი უფრო მეტი მაყურებელი ირეოდა.

სწორედ ეს დაამახსოვრდა ბლუმკვისტს ქვეცნობიერად და ავტობუსით იმავე ადგილას გავლისას გონებაში უნებურად ამოუტივტივდა.

მაყურებლები ზუსტად ისე იქცეოდნენ, როგორც უნდა მოქცეულიყვნენ. მათი მზერა ყოველთვის ჩოგბურთის ბურთს ან ჰოკეის შაიბას დასდევს. ფოტოს შორეულ მარცხენა კუთხეში მდგარი მაყურებლებიც მათ წინ მოხტუნავე კლოუნებს უყურებდნენ, ვაგონთან შედარებით ახლოს მდგარნი – ნახევრად შიშველ გოგონებს. ხალისიანად გამოიყურებოდნენ, ბავშვები თითს იშვერდნენ, ზოგი იცინოდა – ყველა ბედნიერი ჩანდა.

გარდა ერთისა.

ჰარიეტ ვანგერი განზე იყურებოდა. მისი თანაკლასელები და ახლოს მდგარი სეირის მაყურებლები კლოუნებს უყურებდნენ. ჰარიეტს თავი თითქმის 30°-35°-ით მარჯვნივ მიებრუნებინა. ქუჩის გადაღმა რაღაცას მიშტერებოდა, რაც ფოტოს მარცხენა ქვედა კუთხის მიღმა დარჩა.

მიქაელმა გამადიდებელი შუშა მოიშველია. ფოტო საკმაოდ შორიდან გადაეღოთ იმისათვის, რომ სრულიად დარწმუნებული ყოფილიყო, მაგრამ ჰარიეტი ნამდვილად მოწყენილად გამოიყურებოდა. პირი მოეკუმა, თვალები გაფართოებოდა. მხრები უღონოდ ჩამოეყარა. შეშინებული ჩანდა – შეშინებული ან განრისხებული.

მიქაელმა ფოტო ალბომიდან ამოიღო, პლასტიკურ საქაღალდეში ჩადო და შემდეგი ავტობუსით ჰედესტადში დაბრუნდა. იერნვეგსგატანზე ჩამოვიდა და იმ ფანჯრის ქვეშ დადგა, საიდანაც ფოტო უნდა ყოფილიყო გადაღებული. ჰედესტადის ცენტრალური უბნის კიდეში იმყოფებოდა. ორსართულიან შენობაში ვიდეომაღაზია და, როგორც შესასვლელი კარის ზემოთ მიმაგრებული დაფიდან ჩანდა, 1932 წელს დაარსებული „სუნდსტრომის სამკერვალო“ მდებარეობდა. შიგნით შევიდა. მაღაზია ორსართულიანი იყო; მეორე სართულზე ხვეული კიბე ადიოდა.

ზედა ორი ფანჯრიდან მთელი ქუჩა ხელისგულზე ჩანდა.

– რით დაგეხმაროთ? – ჰკითხა ასაკოვანმა გამყიდველმა, როცა ბლუმკვისტმა ფოტოიანი საქაღალდე ამოიღო. მაღაზიაში მხოლოდ რამდენიმე კლიენტი იყო.

– მაინტერესებს, ეს ფოტო საიდანაა გადაღებული. წინააღმდეგი ხომ არ იქნებით, წუთით ეს ფანჯარა რომ გავაღო?

გამყიდველს უარი არ უთქვამს. ბლუმკვისტმა ზუსტად დაინახა ის ადგილი, სადაც ფოტოზე ჰარიეტი იდგა. ერთ-ერთი ხის სახლი უკვე აეღოთ და მის ადგილას ახლა ოთხკუთხა აგურის შენობა იდგა. საკანცელარიო მაღაზია ეკოლოგიურად სუფთა საკვები პროდუქტების მაღაზიას და სოლარიუმს შეეცვალა. ბლუმკვისტმა ფანჯარა დახურა, გამყიდველს მადლობა გადაუხადა და შეწუხებისთვის მოუბოდიშა.

ქუჩა გადაჭრა და იმ ადგილზე დადგა, სადაც ადრე ჰარიეტი იდგა. სამკერვალოს ზედა სართულის ფანჯარა და სოლარიუმის კარი ორიენტირებად გამოიყენა. მერე თავი ზუსტად ჰარიეტივით მიატრიალა. თუ ყველაფერი ზუსტად გააკეთა, წესით, ჰარიეტს „სუნდსტრომის სამკერვალოს“ შენობის კუთხე უნდა დაენახა. ჩვეულებრივზე ჩვეულებრივი კუთხე იყო, სადაც ერთი ქუჩა მეორეს კვეთდა.

„რა დაინახე იქ, ჰარიეტ?“ – გაიფიქრა ბლუმკვისტმა.

ბლუმკვისტმა ფოტო ჩანთაში ჩაიდო და რკინიგზის სადგურის გაჩერებამდე ფეხით წავიდა. იქ ღია კაფეში დაჯდა და ლატე შეუკვეთა. უცებ ემოციები მოაწვა.

ინგლისურად ამას new evidence-ს უწოდებენ, რაც უფრო განსხვავებულად ჟღერს, ვიდრე ტერმინი: „ახალი საგამოძიებო მტკიცებულება“. ბლუმკვისტმა რაღაც ახალი აღმოაჩინა, რაც ოცდაჩვიდმეტწლიანი გამოძიების მანძილზე ვერავის მოეხერხებინა.

პრობლემა ის იყო, რომ არ იცოდა, მის ინფორმაციას რაიმე ღირებულება თუ გააჩნდა. თუმცა, გულის სიღრმეში მაინც გრძნობდა, რომ მნიშვნელოვან რამეს მიაკვლია.

სექტემბრის ის დღე, როცა ჰარიეტი გაუჩინარდა, ბევრი რამით იყო დრამატული. იმ დღეს ჰედესტადი ზეიმობდა და დიდი თუ პატარა, ქუჩაში იყო გამოფენილი. იმავდროულად, ჰედებიზე ვანგერების ოჯახის ყოველწლიური შეხვედრა იმართებოდა. მხოლოდ ეს ორი შემთხვევაც კი ახლომახლო მიდამოებში ერთფეროვანი ყოველდღიურობისგან თავის დასაღწევად შესანიშნავი საშუალება იქნებოდა გოგონასთვის, მაგრამ ხიდზე მომხდარმა ავტოავარიამ სხვა ყველაფერი დაჩრდილა.

ინსპექტორი მორელი, ჰენრიკ ვანგერი და სხვები, რომლებიც ჰარიეტის გაუჩინარების საქმეს იძიებდნენ, ძირითადად ჰედების კუნძულზე მომხდარი შემთხვევების გარშემო ტრიალდებდნენ. მორელი თავის მოხსენებებში ჰარიეტის გაუჩინარებას და ავტოავარიას ერთმანეთთანაც კი აკავშირებდა, მაგრამ ბლუმკვისტს უკვე ეჭვიც არ ეპარებოდა, რომ მოხუცი ინსპექტორი ცდებოდა.

მოვლენებმა სათავე ჰედების კუნძულზე კი არა, რამდენიმე საათით ადრე, ჰედესტადში აიღო. ჰარიეტ ვანგერი ვიღაცის ან რაღაცის დანახვამ შეაშინა, ამიტომ სახლში წავიდა, პირდაპირ ბიძამისთან სცადა მისვლა, მაგრამ ამ უკანასკნელს, სამწუხაროდ, არ ეცალა. შემდეგ ხიდზე ავარია მოხდა და მკვლელმაც დრო იხელთა.

ბლუმკვისტი ფიქრებიდან გამოერკვა. სრულიად დარწმუნებით პირველად გაივლო გონებაში, რომ ჰარიეტი მოკლეს. ჰენრიკ ვანგერის ეჭვს დაეთანხმა. ჰარიეტი მოკლეს და ბლუმკვისტი ახლა გოგონას მკვდარს ეძებდა.

პოლიციის ანგარიშების გადაკითხვა დაიწყო. ათასობით გვერდზე მხოლოდ გაკვრით ეხსენებინათ ჰედესტადის აღლუმი. ჰარიეტი იქ სამ თანაკლასელთან ერთად იმყოფებოდა და სამივე დაეკითხათ. მათი ჩვენების მიხედვით ირკვეოდა შემდეგი: მეგობრები დილის ცხრა საათზე რკინიგზის სადგურთან შეიკრიბნენ. ერთ-ერთ გოგონას ჯინსის შარვლის ყიდვა უნდოდა და სხვებიც მას გაჰყვნენ. EPA-ს უნივერმაღის კაფეტერიაში ყავა დალიეს და მერე სპორტულ მოედანზე წავიდნენ. იქ საკარნავალო ჯიხურებსა და თევზსაშენებს შორის ხეტიალისას, სკოლის სხვა მეგობრებსაც გადააწყდნენ. შუადღისას ისევ ქალაქში დაბრუნდნენ აღლუმის საყურებლად. დაახლოებით ორი საათისთვის ჰარიეტმა გოგონებს უთხრა, შინ უნდა დავბრუნდეო. ერთმანეთს იარნვასგატანთან ახლოს, ავტობუსის გაჩერებაზე დაემშვიდობნენ.

არც ერთ მეგობარს უჩვეულო არაფერი შეემჩნია. ერთ-ერთი, ინგერ სტენბერგი, რომელიც თავის ჩვენებაში ჰარიეტზე ამბობდა, ბოლო თვეებში ძალიან გულჩათხრობილი გახდაო, იხსენებდა, რომ იმ დღეს ჰარიეტი, როგორც ყოველთვის, ჩუმად იყო და დანარჩენებს უსიტყვოდ დაჰყვებოდა უკან.

ინსპექტორს ყველა დაეკითხა, ვინც იმ დღეს ჰარიეტს შეხვდა ან ვინც თუნდაც თვალი მოჰკრა მას. სანამ ეძებდნენ, გოგონას ფოტო ადგილობრივ გაზეთში გამოექვეყნებინათ. ჰარიეტის ოფიციალურად დაკარგულად გამოცხადების შემდეგ რამდენიმე ჰედესტადელი დაკავშირებოდა პოლიციას და ეთქვა, რომ აღლუმზე ჰარიეტი ნახეს, მაგრამ მათი ჩვენება გამოძიებას ვერაფერში გამოადგა.

მომდევნო დილით ბლუმკვისტი ჰენრიკ ვანგერს ესტუმრა. მოხუცი საუზმობდა.

– თქვენ თქვით, რომ ვანგერების ოჯახი დღემდე ფლობს Hedestads-Kuriren-ს.

– ასეა.

– მათი ფოტოარქივის დათვალიერება მინდა. 1966 წლიდან მოყოლებული დღემდე.

ვანგერმა რძიანი ჭიქა მაგიდაზე დადგა და ზედა ტუჩი მოილოკა.

– მიქაელ, რამეს მიაგენი?

ბლუმკვისტმა მოხუცს თვალი გაუსწორა.

– დიდი არაფერია, მაგრამ, ჩემი აზრით, მოვლენების ჯაჭვის პირველი რგოლი – ჰედესტადია.

მან ვანგერს ფოტო აჩვენა და აუხსნა, რასაც ფიქრობდა. ვანგერი კარგა ხანს ჩუმად იჯდა.

– აუცილებელია, რომ არა მხოლოდ ჰედების კუნძულზე, არამედ ჰედესტადში მომხდარიც გამოვიკვლიოთ, – თქვა ბლუმკვისტმა, – იმ დღეს ბავშვთა დღისადმი მიძღვნილ აღლუმს ალბათ ბევრი ფოტოგრაფი იღებდა. მე იმ ფოტოების დათვალიერება მინდა, რომლებიც არასდროს გამოუქვეყნებიათ.

ჰენრიკ ვანგერმა სამზარეულოდან დაურეკა მარტინს, აუხსნა, რაც სჭირდებოდა და ჰკითხა, გაზეთის სამხატვრო რედაქტორი ვინ არისო. მარტინმა ათ წუთში გაურკვია ყველაფერი. ჰენრიკი საჭირო ხალხს დაუკავშირდა და ბლუმკვისტმა ფოტოარქივში შესვლის ნებართვა მიიღო.

Hedestads-Kuriren-ის სამხატვრო რედაქტორს მადელინ ბლუმბერგი ერქვა, შინაურულად მაია. ბლუმკვისტი ადრე არასდროს შეხვედროდა ქალ სამხატვრო რედაქტორს. ჟურნალისტიკაში ეს მაინც მამაკაცის საქმედ ითვლება.

ვინაიდან შაბათი იყო, რედაქცია ისვენებდა, მაგრამ მაია რედაქციიდან ხუთი წუთის სავალზე ცხოვრობდა და ბლუმკვისტს შენობის კართან დახვდა. ქალი თითქმის მთელი ცხოვრება Hedestads-Kuriren-ში მუშაობდა. 1964 წელს კორექტორობით დაიწყო, მერე ფოტომბეჭდავად გადაიყვანეს და რამდენიმე წელი ბნელ ოთახში გაატარა. ხანდახან, როცა სხვები დაკავებულები იყვნენ, ფოტოგრაფადაც გზავნიდნენ. ათი წლის წინ კი, როცა ძველი სამხატვრო რედაქტორი გადადგა, მის ადგილზე დანიშნეს, ცალკე კაბინეტი გამოუყვეს და სამხატვრო განყოფილება ჩააბარეს.ბლუმკვისტმა მაიას ჰკითხა, ფოტოარქივი როგორაა დაწყობილიო.

– სიმართლე გითხრათ, არქივი ცოტა ქაოტურადაა დალაგებული. ვინაიდან უკვე კომპიუტერებით და ციფრული ფოტოკამერებით ვსარგებლობთ. დღევანდელი არქივი კომპაქტ-დისკებზეა შენახული. ერთი სტაჟიორი გვყავდა, ვინც ძველი, მნიშვნელოვანი ფოტოები დაასკანერა, მაგრამ მთელი მასალის მხოლოდ რამდენიმე პროცენტია კატალოგში შეტანილი. ძველი ფოტოები თარიღების მიხედვითაა დალაგებული და ფირებთან ერთად საქაღალდეებში ინახება. არქივის ნაწილი აქვე, რედაქციის ოფისში ინახება, ნაწილი – სხვენზე, საწყობში.

– მე 1966 წელს ბავშთა დღისადმი მიძღვნილ აღლუმზე ან იმავე კვირაში გადაღებული ფოტოები მაინტერესებს.

ფრეკენ ბლუმბერგმა ცნობისმოყვარედ შეხედა ბლუმკვისტს.

– ანუ იმ კვირის, ჰარიეტ ვანგერი რომ გაუჩინარდა?

– თქვენც იცით ეს ისტორია?

– მთელი ცხოვრება Hedestads-Kuriren-ში მუშაობის შემდეგ ის უფრო გასაკვირი იქნებოდა, არაფერი რომ არ მცოდნოდა. ამ შაბათ დილით კი მარტინმა დამირეკა და სხვა რა უნდა მეფიქრა? რამე ახალი გაირკვა?

ბლუმბერგს აშკარად ახალი ამბების ყნოსვის ალღო ჰქონდა. ბლუმკვისტმა თავი გააქნია და უცნობებისთვის მოგონილი ყალბი საბაბი მოიშველია.

– არა და არ მგონია, იმ თავსატეხის ამოხსნა ვინმემ მოახერხოს. კონფიდენციალურ საქმეზე ვარ, თუმცა, იმას არ დაგიმალავთ, რომ ჰენრიკ ვანგერის ბიოგრაფიას ვწერ. დაკარგული გოგონას ამბავი ნამდვილად უცნაურია და წიგნში აუცილებლად უნდა იყოს ნახსენები, ვერ გამოვტოვებთ. ისეთ სურათს ვეძებ, ჯერ რომ არ გამოუყენებიათ – ფოტო, რომელზეც ჰარიეტი და მისი მეგობრები იქნებიან გამოსახულები.

ბლუმბერგმა დაეჭვებით შეხედა მიქაელს, მაგრამ ახსნა-განმარტება დამაკმაყოფილებელი იყო და ჩაძიება ვერ გაბედა.

გაზეთის ფოტოგრაფი დღეში საშუალოდ ორიდან ათ ფირამდე იღებს. თუ რამე გრანდიოზული ხდება, შეიძლება, ოციც გადაიღოს. ყოველი ფირი ოცდათექვსმეტი კადრისგან შედგება. ამგვარად, მცირე ქალაქის გაზეთისთვისაც კი არაა უჩვეულო დღეში სამასამდე ფოტოს შეგროვება, რომელთა უმეტესობა არასდროს იბეჭდება. მოწესრიგებულ განყოფილებებში ფირებს ექვს ნაწილად ჭრიან და სპეციალურ კონვერტებში ინახავენ. ერთი ფირი ნეგატივების საქაღალდის მთელ გვერდს იკავებს, მთლიან საქაღალდეში კი 110 ფირი ეტევა. წელიწადში საშუალოდ ოცდახუთი ასეთი საქაღალდე მაინც ივსება ხოლმე. წლების განმავლობაში ასობით ასეთი საქაღალდე გროვდება, თუმცა, როგორც წესი, დიდი ღირებულება არ გააჩნია და მხოლოდ ადგილს იკავებს თაროებზე. მეორე მხრივ, თავად ფოტოგრაფებს და ფოტორედაქტორებს მიაჩნიათ, რომ სურათები „შეუფასებელი ისტორიული დოკუმენტებია“, და არასდროს ყრიან.

Hedestads-Kuriren-ი 1922 წელს დაარსდა, ხოლო სამხატვრო განყოფილება 1937 წელს დაემატა. გაზეთის საწყობში თარიღების მიხედვით დალაგებული 1200 საქაღალდე ინახებოდა. 1966 წლის სექტემბრის ნეგატივები იაფფასიან, მუყაოსყდიან ოთხ საქაღალდეში ეწყო.

– შეიძლება მაგიდასთან დავჯდე და თუ რამე საინტერესოს ვიპოვი, ასლი გადავიღო? – ჰკითხა ბლუმკვისტმა ბლუმბერგს.

– ბნელი ოთახი აღარ გვაქვს. ყველაფერი დასკანერებულია. ნეგატივის სკანერის გამოყენება თუ იცით?

– დიახ, ფოტოებზე მე თვითონაც მიმუშავია და სკანერიც მაქვს. „ფოტოშოპშიც“ შემიძლია მუშაობა.

– ჩვენც იმავე ხელსაწყოებს ვიყენებთ.

ბლუმბერგმა სწრაფად დაათვალიერებინა თავიანთი რედაქცია, მერე მაგიდასთან დასვა, ლამპა აუნთო და კომპიუტერი და სკანერი ჩაურთო. ქალმა ისიც უჩვენა, ყავის ჩამოსასხმელი ავტომატი სად იდგა და ბლუმკვისტს უფლება მისცა, რამდენ ხანსაც სურდა, დარჩენილიყო, ოღონდ წასვლამდე მისთვის უნდა დაერეკა და გაეფრთხილებინა, რათა ბლუმბერგს სიგნალიზაცია ისევ ჩაერთო. მერე ბლუმკვისტს დაემშვიდობა, წარმატებები უსურვა და წავიდა.

გაზეთს იმ პერიოდში ორი ფოტოგრაფი ჰყოლოდა. სექტემბრის იმ დღეს მოვალეობას კურტ ნილუნდი ასრულებდა, რომელსაც, სხვათა შორის, ბლუმკვისტი პირადად იცნობდა. 1966 წელს ნილუნდი დაახლოებით ოცდახუთი წლისა იქნებოდა. მას მერე სტოკჰოლმში გადავიდა და ცნობილი ფოტოგრაფი გახდა – თავისუფალ კონტრაქტორადაც მუშაობდა და მარიბერგში Pressens Bild-ის თანამშრომელიც იყო. ბლუმკვისტისა და კურტ ნილუნდის გზები ოთხმოცდაათიანებში რამდენჯერმე გადაკვეთილიყო, როცა „მილენიუმმა“ Pressens Bild-ისგან რამდენიმე ფოტო იყიდა. ბლუმკვისტს ის გამხდარ, თმაშეთხელებულ მამაკაცად ახსოვდა. აღლუმის დღეს ნილუნდს დღის ფირი გამოეყენებინა, რომლისგანაც უფრო მკაფიო ფოტოები გამოდის და ფოტოგრაფებსაც მისი გამოყენება უყვართ.

ბლუმკვისტმა ახალგაზრდა ნილუნდის ნეგატივები მაგიდაზე დააწყო და ლუპით ყველა კადრის სათითაოდ შესწავლა დაიწყო. ნეგატივების თვალიერება ნამდვილი ხელოვნებაა, რის გამოცდილებაც ბლუმკვისტს აკლდა. იმის გასარკვევად, ხომ არ შეიცავდა რომელიმე ფოტო მისთვის მნიშვნელოვან ინფორმაციას, ყოველი სურათის დასკანერება და კომპიუტერში თვალიერება მოუწევდა. ეს მრავალ საათს წაიღებდა. ამიტომ ჯერ იმ ფოტოების გამოკვლევა გადაწყვიტა, რომლებიც, მისი აზრით, უფრო საინტერესო იყო.

ჯერ ავტოავარიის ამსახველ ფოტოებს გადახედა. თურმე ჰენრიკ ვანგერის კოლექცია არასრული იყო. პიროვნებას, ვინც მისთვის ფოტოების ასლი გადაიღო (ალბათ, თვითონ ნილუნდს) ოცდაათამდე ფოტო გამოეტოვებინა. ეს ფოტოები ბუნდოვანი ან იმდენად დაბალი ხარისხისა იყო, რომ გაზეთმა ალბათ დაბეჭდვის ღირსად არ ჩათვალა.

ბლუმკვისტმა რედაქციის კომპიუტერი გამორთო და სკანერი თავის „აიბუქთან“ შეაერთა. სურათებს თითქმის ორი საათის განმავლობაში ასკანერებდა.

ერთმა ფოტომ მაშინვე მიიპყრო მისი ყურადღება. სურათი 15:10-სა და15:15-ის შუალედში იყო გადაღებული, ზუსტად იმ დროს, როცა ჰარიეტი გაუჩინარდა და ვიღაცამ მისი საძინებლის ფანჯარა გააღო. ჰენრიკ ვანგერი დიდხანს ეძებდა იმ ვიღაცას, მაგრამ ამაოდ. ბლუმკვისტის „აიბუქის“ ეკრანზე სწორედ ის ფოტო გამოისახა, რომელიც, სავარაუდოდ, ფანჯრის გაღების მომენტში გადაეღოთ. ფანჯრის ჩარჩოში ვიღაცის ფიგურა და სახე ჩანდა, მაგრამ ფოკუსიდან

ამოვარდნილი. ბლუმკვისტმა გადაწყვიტა, ჯერ ყველა ფოტო დაესკანერებინა და მერე შესდგომოდა ამ სურათის ანალიზს.

ბავშვთა დღისადმი მიძღვნილი აღლუმის ფოტოების კვლევაზე გადაერთო. ნილუნდს ექვსი ფირი გამოეყენებინა და დაახლოებით ორასი ფოტო გადაეღო. ფერადბუშტებიანი ბავშვების, უფროსების, ჰოთ-დოგის გამყიდველების, აღლუმში მონაწილეების, სასცენო მხატვრის და რომელიღაც დაჯილდოვების სცენები ერთმანეთს გაუთავებლად ცვლიდა.

ბლუმკვისტმა მთელი კოლექცია დაასკანერა. ექვსი საათის შემდეგ უკვე ოთხმოცდაათსურათიანი პორტფოლიო ჰქონდა, მაგრამ საქმე ბოლომდე ჯერაც არ დაემთავრებინა.

ღამის ცხრა საათზე ბლუმბერგს დაურეკა, მადლობა გადაუხადა და ავტობუსით ჰედების კუნძულზე დაბრუნდა.

კვირა დილით ცხრა საათზე ისევ რედაქციაში იყო. იქაურობა ისევ ცარიელი დახვდა, როცა ბლუმბერგმა შიგნით შეუშვა. არც კი ახსოვდა, რომ სამების დღესასწაულის გამო გაზეთი სამშაბათამდე აღარ გამოვიდოდა. მთელი დღე ფოტოების დასკანერებას მოანდომა. საღამოს ექვს საათზე ჯერ კიდევ აღლუმის ორმოცი დაუსკანერებელი სურათი იყო დარჩენილი, მაგრამ ბლუმკვისტმა ნეგატივები გამოიკვლია და დაასკვნა, რომ ლამაზი ბავშვების და სცენაზე გამოსული არტისტების ახლო კადრები არაფერში სჭირდებოდა. მას მხოლოდ აღლუმი და ტროტუარებზე შეკრებილი მაყურებლები აინტერესებდა.

სამების დღესასწაულის ორშაბათი ბლუმკვისტმა ახალი მასალის კვლევაში გაატარა. ორი რამ აღმოაჩინა. პირველმა დააღონა, მეორემ პულსი აუჩქარა.

პირველი ჰარიეტ ვანგერის საძინებლის ფანჯარაში გამოჩენილი სახე იყო. ფოტო ოდნავ ბუნდოვანი იყო და პირველადი საგამოძიებო მასალებიდან ამიტომაც ამოეღოთ. ფოტოგრაფს ეკლესიის ბორცვიდან გადაუღია ხიდი. კუნძულზე მდგარი შენობები უკანა ფონზე ჩანდა. ბლუმკვისტმა სურათიდან ფანჯრის გამოსახულება ამოჭრა და მხოლოდ მისი კვლევა დაიწყო. ჯერ კონტრასტულობა შეუცვალა, მერე სიმკვეთრე გაუზარდა, სანამ მისი აზრით, საუკეთესო ხარისხს არ მიაღწია.

კონტრასტმომატებულ, გადიდებულ სურათზე გამოისახა ფარდა, მკლავი და ოთახის სიღრმეში მდგარი ფიგურის სახის ნახევარმთვარისებური მოზახულობა.

ეს ჰარიეტ ვანგერი არ იყო, რადგან მას ყორანივით შავი თმა ჰქონდა, ხოლო ამ პიროვნებას – შედარებით ღია ფერის.

სახის ნაკვთების ნათლად გარჩევა შეუძლებელი იყო, მაგრამ აშკარად ქალს ეკუთვნოდა. ღია ფერის ლაქა მხრებამდე გრძელდებოდა და აშკარად გრძელ თმაზე მიუთითებდა. ქალს სამოსიც ღია ფერის ეცვა.

ფანჯრის რაფასთან შედარებით, ქალის სავარაუდო სიმაღლე გამოთვალა: დაახლოებით 1,7 მეტრი.

სხვა სურათებზეც სცადა ვინმე მსგავსის პოვნა და ამ აღნაგობისა და გარეგნობისა მხოლოდ ერთი იპოვა – ოცი წლის სესილია ვანგერი.

ნილუნდს „სუნდსტრომის სამკერვალოს“ ფანჯრიდან თვრამეტი სურათი გადაეღო. ჰარიეტი ჩვიდმეტ მათგანზე იდგა.

ის და მისი თანაკლასელები იერნვეგსგატანზე ზუსტად იმ დროს მისულიყვნენ, როცა ნილუნდმა სურათების გადაღება დაიწყო. ბლუმკვისტის აზრით, თვრამეტივე ფოტო დაახლოებით ხუთ წუთში გადაიღეს. პირველ ფოტოზე ჰარიეტი და მისი კლასელები ქუჩის კუთხიდან უხვევდნენ, 2-7 ფოტოებზე ერთ ადგილას იდგნენ და აღლუმს უყურებდნენ. შემდეგ ექვსიოდე მეტრის მოშორებით გადაენაცვლათ. ბოლო ფოტოზე, რომელიც ალბათ რამდენიმე წუთის დაგვიანებით გადაიღეს, გოგონები აღარსად ჩანდნენ.

ბლუმკვისტმა ყველა ფოტოდან ამოჭრა ჰარიეტის გამოსახულება და საუკეთესო ხარისხის მისაღებად მათ კონტრასტი შეუცვალა. ეს სურათები ცალკე საქაღალდეში შეინახა და Graphic Converter-ის პროგრამით სლაიდ-შოუ ჩართო. შედეგად, ფრაგმენტებად დაყოფილი უხმო ფილმი მიიღო – სურათები ყოველ ორ წამში ენაცვლებოდა ერთმანეთს.

ჰარიეტი კადრში ჩნდება, პროფილით დგას. ჩერდება და ქუჩას გაჰყურებს. მსვლელობისკენ ტრიალდება. პირს აღებს და მეგობარს რაღაცას ეუბნება. იცინის. მარცხენა ხელით ყურს ეხება. იღიმება. უცებ გამომეტყველება ეცვლება. თავს 20°-ით მარცხნივ აბრუნებს. გაფართოებული თვალებით იყურება და აღარ იღიმება. პირს კუმავს. რაღაცას აშტერდება. მის სახეზე აღბეჭდილია... რა? მწუხარება, შოკი, მრისხანება? ჰარიეტი თავს ხრის. ქრება.

ბლუმკვისტმა ხელახლა ჩართო სლაიდ-შოუ.

მისი თეორია გამართლდა. იერნვეგსგატანზე რაღაც მოხდა.

„ის რაღაცას ან ვიღაცას ხედავს ქუჩის მეორე მხარეს. ამას არ ელოდა და შეძრწუნებულია. ჰენრიკ ვანგერთან პირისპირ გასაუბრებას ცდილობს, მაგრამ ვერ ახერხებს. უკვალოდ ქრება“.

იმ დღეს რაღაც მოხდა, მაგრამ ფოტოებმა ვერ ახსნეს, რა.

ღამის ორ საათზე სამზარეულოს ხის სკამზე ჩამომჯდარმა ბლუმკვისტმა ყავა და სენდვიჩები მიირთვა. ერთდროულად დაღონებული და გახარებული იყო. მოულოდნელად ახალ მტკიცებულებას მიაგნო. მაგრამ, მიუხედავად იმისა, რომ

დაადგინა ჰარიეტი ჰედესტადში ნანახმა შეაშინაო, თავსატეხის პასუხს სანტიმეტრითაც არ მიახლოებია.

დიდხანს ფიქრობდა, რა როლი შეიძლებოდა შეესრულებინა სესილია ვანგერს ამ დრამაში. ჰენრიკ ვანგერს იმ დღეს კუნძულზე მყოფი ყველა პიროვნების ალიბი გადაემოწმებინა და არც სესილია იყო გამონაკლისი. იმ დროს ის უფსალაში ცხოვრობდა, მაგრამ იმ საშინელ შაბათამდე ორი დღით ადრე ჩავიდა ჰედების კუნძულზე. იზაბელა ვანგერთან დაბინავდა. ჩვენებაში თქვა, მგონი, ჰარიეტს დილით თვალი მოვკარი, მაგრამ არ გამოვლაპარაკებივარ, დილით ჰედესტადში საქმეზე წავედი, მაგრამ იქ ჰარიეტი არ მინახავს და კუნძულზე დაახლოებით პირველი საათისთვის დავბრუნდიო – ზუსტად მაშინ, როცა ნილუნდი იერნვეგსგატანზე სურათებს იღებდა. მერე სესილიამ სამოსი გამოიცვალა და დაახლოებით ორ საათზე მაგიდის გაწყობაში მონაწილეობის მისაღებად ჰენრიკ ვანგერის სახლში მივიდა.

ეს ალიბი – თუ საერთოდ შეიძლებოდა ამად მიგვეჩნია – საკმაოდ სუსტი იყო. დრო ზუსტად ემთხვეოდა, განსაკუთრებით – მისი კუნძულზე დაბრუნებისა, მაგრამ ამ წლების განმავლობაში ჰენრიკ ვანგერს სესილიას ტყუილის დამადასტურებელი ვერაფერი აღმოეჩინა. სესილია ვანგერი ერთ-ერთი იმ იშვიათთაგანი იყო, ვინც ჰენრიკს ძალიან უყვარდა. თანაც ბლუმკვისტის საყვარელიც იყო. მასთან დაკავშირებით ობიექტურობა როგორ დაეცვა? მიქაელს სესილიას მკვლელად წარმოდგენა უჭირდა.

თუმცა, ფოტო „უმტკიცებდა“, რომ სესილიამ იცრუა, როცა თქვა, იმ დღეს ჰარიეტის ოთახში არ შევსულვარო. ნეტა რატომ უნდა იტყუებოდესო, თავს იმტვრევდა ბლუმკვისტი.

„ან თუ ეს იცრუა, იქნებ სხვა ბევრ რამეზეც ცრუობს?“

გაიხსენა, თუ რამე იცოდა სესილიაზე. მისი შეფასებით, სესილია წარსულით სულდამძიმებული გულჩათხრობილი ქალი იყო, მარტო ცხოვრობდა, არ ჰყავდა საყვარელი, უჭირდა ხალხთან ურთიერთობა. თავდაჭერილად იქცეოდა, მაგრამ თუ აიშვებდა, ზღვარს გადადიოდა. უცნობ კაცთან დაწვა და მის საყვარლად იქცა. მაგრამ ურთიერთობა სწრაფადვე გაწყვიტა იმ მიზეზით, ეს კაცი ისევე მალე გაქრება ჩემი ცხოვრებიდან, როგორც გამოჩნდაო. ბლუმკვისტს მიაჩნდა, რომ სესილიამ ზუსტად ამ მიზეზით გაბედა მასთან საქმის დაჭერა. მას არ შეშინებია, რომ ბლუმკვისტი მის ცხოვრებაზე დიდ ზეგავლენას მოახდენდა.

ბლუმკვისტმა ამოიოხრა და ფსიქოანალიზს თავი ანება.

მეორე აღმოჩენის დრო გამთენიისას დადგა. თავსატეხის გასაღები, ბლუმკვისტის ღრმა რწმენით, ის იყო, რაც ჰარიეტმა ჰედესტადში ნახა. თუმცა, იმის დადგენა, რა ნახა ჰარიეტმა, მხოლოდ მაშინ იქნებოდა შესაძლებელი, დროის მანქანას თუ

გამოიგონებდა და ზუსტად იმ მომენტში დაბრუნდებოდა, რათა გოგონას მხარს ზემოდან გაეხედა.

და უცებ თავში ერთმა აზრმა გაუელვა. შუბლზე ხელი იტკიცა და სასრაფოდ „აიბუქი“ გახსნა. იერნვეგსგატანის დაუმუშავებელ სურათებზე დააწკაპუნა და... აი!

ჰარიეტის ზურგს უკან და მისგან მარჯვნივ ახალგაზრდა წყვილი იდგა – კაცი ზოლებიან სვიტერსა და ქალი თეთრ ჟაკეტში. ქალს ფოტოკამერა ეჭირა. ბლუმკვისტმა ფოტო გაადიდა. „კოდაკის“ იაფფასიანი კამერა იყო – სადღესასწაულო საჩუქარი მისთვის, ვისაც ფოტოგრაფიისა არაფერი გაეგება.

ერთ ფოტოზე ქალს კამერა სახესთან მიჰქონდა, მომდევნოზე კლოუნებს ფოტოს უღებდა, ზუსტად იმ დროს, როცა ჰარიეტს გამომეტყველება შეეცვალა.

ბლუმკვისტმა ფოტოკამერის პოზიცია ჰარიეტის მზერის მიმართულებას შეადარა. ქალს სურათი სწორედ იმ რამისთვის თუ ვინმესთვის გადაეღო, ვისაც ჰარიეტი უყურებდა.

ბლუმკვისტს გული აუჩქარდა. სკამის საზურგეზე გადაწვა და გულის ჯიბიდან სიგარეტის კოლოფი ამოიღო.

ვიღაცას მისთვის საჭირო ფოტო ჰქონდა გადაღებული.

ქალის ვინაობა როგორ გაერკვია? ან მისთვის სად მიეგნო? ფირი საერთოდ თუ გაამჟღავნეს? და თუ გაამჟღავნეს, ფოტო კვლავაც არსებობდა?

ნილუნდის მიერ ბრბოსთვის გადაღებული ფოტოების საქაღალდე გახსნა. მომდევნო რამდენიმე საათის განმავლობაში სათითაოდ ადიდებდა სურათებს და დეტალურად აკვირდებოდა ყველას და ყველაფერს. იგივე წყვილი ბოლო ფოტომდე აღარსად შეხვედრია. ნილუნდს სხვა, მხიარულად მოცინარი, ხელში ბუშტებიანი კლოუნი გადაეღო. სურათი იმ სპორტული მოედნის შესასვლელთან, ავტოსადგომზე იყო გადაღებული, სადაც ზეიმი მიმდინარეობდა. შუადღის ორ საათს გადაცილებული იქნებოდა. ამის შემდეგ ნილუნდს ხიდზე მომხდარი ავტოავარიის შესახებ შეატყობინეს და ბავშვთა დღის ფოტოების გადაღება სასწრაფოდ შეეწყვიტა.

ქალს კლოუნი ეფარებოდა, მაგრამ კაცი ზოლებიანი სვიტერით ცხადად ჩანდა. ის პროფილში იდგა. ხელში გასაღები ეჭირა და მანქანის კარის გაღებას ცდილობდა. ობიექტივის ფოკუსი კლოუნზე იყო მიმართული, ამიტომ მანქანა წესიერად არ ჩანდა. ბლუმკვისტმა მანქანის ნომერის მხოლოდ დასაწყისი გაარჩია: AC3.

სამოციან წლებში მანქანის ნომრები ოლქის ინდექსით იწყებოდა. ბავშვობაში ბლუმკვისტს ამ ინდექსების დამახსოვრება უყვარდა და გაიხსენა, რომ AC ვასტერბოტენის ინდექსი იყო.

შემდეგ ბლუმკვისტმა სხვა რამეც შეამჩნია. მანქანის უკანა მინაზე სტიკერი იყო მიწებებული. გამოსახულება გაადიდა, მაგრამ წარწერა არ იკითხებოდა. სტიკერის გამოსახულება ამოჭრა და კონტრასტი და სიმკვეთრე გაუზარდა. წესიერად მაინც ვერ წაიკითხა, მაგრამ მოხაზულობის მიხედვით სცადა დაედგინა რა ასოები იყო. მისდა გასაკვირად, ასოები საოცრად ერთნაირი აღმოჩნდა. O ძალიან ჰგავდა D-ს, B – E-ს და ა. შ. ქაღალდის ფურცელზე რამდენიმე ასო ამოაგდო, რამდენიმე ვარიანტი შეადგინა და, ბოლოს, უშინაარსო წარწერა მიიღო: R JÖ NI K RIFA RIK წარწერას იმდენ ხანს დაშტერებოდა, რომ დაღლილობისგან თვალები აუცრემლიანდა. ბოლოს, ასოებმა მნიშვნელობა შეიძინა.

NORSJÖ SNICKERIFABRIK

ფოტოზე ამ წარწერას უფრო მცირე ზომის ნიშნები მოჰყვებოდა (ალბათ, ტელეფონის ნომერი), მაგრამ მათი გარჩევა შეუძლებელი იყო.

თავი XVII

ოთხშაბათი, 11/VI – შაბათი, 14/VI

ბლუმკვისტმა თავსატეხის მესამე მინიშნებას სრულიად შემთხვევით მიაგნო.

ფოტოების თვალიერებაში თითქმის მთელი ღამე გაათენა, ამიტომ ძილს შუადღემდე შეჰყვა. თავატკივებულს გაეღვიძა, შხაპი მიიღო და „სუზანის კაფეში“ წავიდა სასაუზმოდ. ჰენრიკ ვანგერთან მისვლა და თავის აღმოჩენების მისთვის გაზიარება გადაიფიქრა და სესილიას სახლს მიადგა. სურდა, მისთვის ეკითხა, რატომ იცრუე, იმ დღეს ჰარიეტის ოთახში არ ვყოფილვარო, მაგრამ კარი არავინ გაუღო.

ის იყო წასასვლელად შეტრიალდა, რომ ხმა მოესმა:

– შენი ბოზი სახლში არაა.

გოლლუმი გამომძვრალიყო თავის გამოქვაბულიდან. ერთ დროს მაღალი, თითქმის ორმეტრიანი ჰარალდ ვანგერი სიბერისგან წელში ისე მოხრილიყო, რომ ბლუმკვისტის სიმაღლისა ჩანდა. სახესა და კისერზე ბებრული მუქი წითელი ლაქები აჩნდა. პიჟამა და ყავისფერი ხალათი ეცვა, ხელჯოხს ეყრდნობოდა. ჰოლივუდის ფილმებში რომ საძაგელი ბერიკაცებია, ზუსტად იმათ ჰგავდა.

– რა თქვით?

– შენი ბოზი სახლში არ არის-მეთქი.

ბლუმკვისტი ისე ახლოს მივიდა მასთან, რომ ლამის ცხვირით ცხვირზე შეეხო.

– საკუთარ ქალიშვილზე ამას როგორ ამბობ, შე ბებერო ნაბიჭვარო!

– მე კი არ დავძვრები მასთან ღამღამობით, – ბოროტად მოღიმარმა ჰარალდ ვანგერმა უკბილო ღრძილები გამოაჩინა. პირიდან მყრალი სუნი ამოუვიდა. ბლუმკვისტმა გვერდი აუარა და უკანმოუხედავად გააგრძელა გზა.

ჰენრიკ ვანგერი კაბინეტში დახვდა.

– ახლახან თქვენ ძმასთან შეხვედრის პატივი მხვდა წილად, – უთხრა მიქაელმა.

– ჰარალდის? მაშ, გარეთ გამოსულა. წელიწადში რამდენჯერმე გამოდის ხოლმე.

– სესილიას კარზე ვაკაკუნებდი, როცა უკნიდან მომაძახა, შენი ბოზი სახლში არ არისო. სიტყვასიტყვით ვიმეორებ მის სიტყვებს.

– ეჭვიც არ მეპარება, რომ ასე იტყოდა.

– ღვთის გულისათვის, საკუთარ ქალიშვილს ბოზი უწოდა.

– მრავალი წელია, ასე იქცევა. ამიტომაც არ ელაპარაკებიან ერთმანეთს.

– ბოზს რატომ უწოდებს?

– სესიალიამ ქალწულობა ოცდაერთი წლის ასაკში დაკარგა. აქ, ჰედესტადში, საზაფხულო რომანი გააბა ერთ კაცთან. ეს ჰარიეტის გაუჩინარებიდან ზუსტად ერთი წლის შემდეგ მოხდა.

– მერე?

– იმ კაცს პეტერ სამუელსონი ერქვა. „ვანგერების კორპორაციაში“ ბუღალტრის თანაშემწედ მუშაობდა. ნიჭიერი ბიჭი იყო, დღეს ABB-ში მუშაობს. სესილია რომ ჩემი შვილი ყოფილიყო, მისნაირ სიძეს ნამდვილად ვინატრებდი. ჰარალდმა პეტერი შეათვალიერა, შეიძლება მისი წარმომავლობაც კი შეამოწმა და დაადგინა, რომ მასში ნაწილობრივ ებრაული სისხლიც ერია.

– ო, ღმერთო, ასეც ვიცოდი.

– მას მერე სესილიას ბოზს უწოდებს.

– გაუგია, რომ მე და სესილია...

– სოფელში ეს ყველამ იცის, იზაბელას გარდა, რადგან სრულ ჭკუაზე მყოფი კაცი მას ასეთ რამეს არ ეტყვის. მადლობა ღმერთს, რომ ეგ ქალი ღამის რვა საათზე იძინებს. ჰარალდი კი ალბათ შენს ყოველ ნაბიჯს უთვალთვალებდა.

ბლუმკვისტი დაღონებული ჩამოჯდა სკამზე.

– მაშ, ყველამ იცის, რომ...

– რა თქმა უნდა.

– თქვენ წინააღმდეგი არ ხართ?

– ძვირფასო მიქაელ, სხვის პირად ცხოვრებაში არ ვერევი.

– სესილია სადაა?

– სასწავლო წელი დამთავრდა. სესილია ლონდონში წავიდა დის მოსანახულებლად, მერე შვებულების გატარებას, მგონი... ფლორიდაში აპირებს. ერთ თვეში დაბრუნდება.

ბლუმკვისტმა უფრო მეტად მოიწყინა.

– ურთიერთობა დროებით გავწყვიტეთ.

– ჰო, მეც შევამჩნიე, მაგრამ ეს ჩემი საქმე არაა. ძიება როგორ მიდის?

ბლუმკვისტმა ჰენრიკ ვანგერის თერმოსიდან ყავა დაისხა.

– მგონი, რაღაცას მივაგენი.

ჩანთიდან „აიბუქი“ ამოიღო და ვანგერს იერნვეგსგატანზე გადაღებულ ფოტოებზე გამოსახული ჰარიეტის რეაქცია აჩვენა. ისიც აუხსნა, როგორ აღმოაჩინა სხვა ფოტოკამერიანი მოზეიმეები და მათი მანქანა წარწერით NORSJÖ SNICKERIFABRIK – „ნორშეს სადურგლო“. ჰენრიკ ვანგერმა ხელახლა დაათვალიერა სურათები. როცა კომპიუტერს მზერა მოსწყვიტა, სახეზე ფერი აღარ ედო. შეშინებულმა ბლუმკვისტმა მხარზე დაადო ხელი. ვანგერმა მისი ხელი მოიშორა და კარგა ხანს ჩუმად იჯდა.

– შენ ის გააკეთე, რაც მე შეუძლებელი მეგონა. ახალ სამხილს მიაგენი. ახლა რას აპირებ?

– მინდა იმ ქალის გადაღებული ფოტო ვიპოვო, თუ საერთოდ არსებობს.

ბლუმკვისტს ფანჯარაში დანახული სახე არ უხსენებია.

გოლლუმი უკვე გამოქვაბულში დაბრუნებულიყო, როცა ბლუმკვისტი ქუჩაში გავიდა. მოსახვევში რომ შეუხვია, თავისი სახლის წინ სრულიად სხვა ვინმე იჯდა და გაზეთს კითხულობდა. წამით იფიქრა, სესილია უნდა იყოსო, მაგრამ ახლოს რომ მივიდა, თავისი შავთმიანი ქალიშვილი გაარჩია.

– გამარჯობა, მამა, – მიესალმა პერნილა აბრაჰამსონი.

ბლუმკვისტმა შვილი გულში ჩაიკრა.

– აქ რა ქარმა გადმოგაგდო?

– შელეფტეოში მივდივარ და გზად შემოგიარე. შეიძლება ამაღამ შენთან დავრჩე?

– რა თქმა უნდა, მაგრამ აქ როგორ მომაგენი?

– დედამ შენი ადგილსამყოფელი იცოდა. მერე აქვე, კაფეში ვიკითხე, მიქაელ ბლუმკვისტი სად ცხოვრობს-მეთქი და მიმტანმა ქალმა გზა მომასწავლა. გაგიხარდა, რომ ჩამოვედი?

– რა თქმა უნდა. შემოდი. უნდა გაგეფრთხილებინე და რამე გემრიელს ვიყიდდი.

– უცებ გადავწყვიტე შემოვლა. მინდოდა შენთვის ციხიდან გამოსვლა მომელოცა, მაგრამ არ დაგირეკავს.

– მაპატიე.

– არა უშავს. დედამ მითხრა, სულ თავის საქმეებშია ჩაფლული და ყველაფერი ავიწყდებაო.

– ასე ამბობს ხოლმე?

– ჰო, რა, მაგრამ ჩემთვის სულერთია, მაინც მიყვარხარ.

– მეც მიყვარხარ, მაგრამ ხომ იცი...

– ვიცი. პატარა კი აღარ ვარ.

ბლუმკვისტმა ჩაი მოამზადა და ნამცხვარი გამოიტანა.

მისი ქალიშვილი სიმართლეს ამბობდა. ის თითქმის ჩვიდმეტი წლისა იყო და ბავშვივით აღარ უნდა მოპყრობოდა.

– აბა, როგორი იყო?

– რა?

– ციხე?

– დამიჯერებ, რომ გითხრა, ხელფასიან შვებულებას ჰგავდა და საფიქრალად და საწერად დრო თავზე საყრელად მქონდა-მეთქი?

– დაგიჯერებ. ჩემი აზრით, ციხესა და მონასტერს შორის დიდი განსხვავება არაა. მონასტერში ხალხი ყოველთვის საკუთარ თავში გასარკვევად და განსავითარებლად მიდის.

– შეიძლება ასეც იყოს. იმედია, პრობლემები არ შეგქმნია იმის გამო, რომ მამაშენი ციხეში იჯდა.

– სულაც არა. ძალიან ვამაყობ შენით და ყოველთვის ვტრაბახობ იმით, რომ ციხეში საკუთარი პრინციპების დასაცავად ჩაჯექი.

– პრინციპების დასაცავად?

– ტელევიზორში ერიკა ბერგერის ინტერვიუს ვუყურე.

– პერნილა, მე უდანაშაულო არ ვარ. მაპატიე, რომ შენთან დალაპარაკება ვერ შევძელი, მაგრამ მე სამართლიანად დავისაჯე. სასამართლომ საქმე მოისმინა და ამაზე დაყრდნობით შესაბამისი განაჩენი გამოიტანა.

– მაგრამ თქვენ თქვენეული ვერსია ჯერ არ გაგიხმაურებიათ.

– არა, იმიტომ, რომ გაირკვა, თურმე არანაირი მტკიცებულება არ მქონდა.

– კარგი. მაშ, ერთ კითხვაზე მიპასუხე: ვენერსტრომი არამზადაა თუ არა?

– ყველაზე დიდი არამზადაა, ვისთანაც კი ოდესმე საქმე მქონია.

– ჩემთვის ესეც საკმარისია. შენთვის საჩუქარი მაქვს.

პერნილამ ჩანთიდან კომპაქტ-დისკი ამოიღო. The Best of the Eurythmics ბლუმკვისტის უსაყვარლესი ჯგუფი იყო. ბლუმკვისტმა დისკი „აიბუქში“ შედო და „ტკბილ სიზმრებს“ ერთად უსმინეს.

– შელეფტეოში რატომ მიდიხარ?

– „სიცოცხლის ნათელი“, ჩვენი კონგრეგაცია, საზაფხულო ბანაკში ბიბლიის შემსწავლელ სკოლას ხსნის, – ისე მტკიცედ უპასუხა პერნილამ, თითქოს არდადეგების გასატარებლად ამაზე უკეთესი ადგილი მთელ მსოფლიოში არსად იყო.

ბლუმკვისტს ტანში ცივმა ჟრუანტელმა დაუარა, როცა გაიაზრა, რამდენად ჰგავდნენ პერნილა და ჰარიეტ ვანგერი ერთმანეთს. პერნილაც თექვსმეტი წლის იყო, როგორც ჰარიეტი გაუჩინარებისას. მამა არც ერთს არ ჰყავდა. ორივე ფანატიკოსი მორწმუნე და უცნაური რელიგიური სექტის წევრი იყო – ჰარიეტი „ორმოცდაათიანელების“, პერნილა კი – რომელიღაც ეკლესიის ისეთი სულელური განშტოების, როგორიც „სიცოცხლის სიტყვაა“.

ბლუმკვისტმა არ იცოდა, როგორ გაენელებინა ქალიშვილის ფანატიკური ინტერესი რელიგიის მიმართ. არ უნდოდა, მისთვის არჩევანის უფლება წაერთმია. იმავდროულად, „სიცოცხლის ნათელი“ ალბათ მორიგი უაზრო სექტა იყო, რომელსაც დიდი სიამოვნებით გამოაჭენებდა „მილენიუმში“. გადაწყვიტა, პირველი შესაძლებლობისთანავე ამ თემაზე ყოფილ ცოლს დალაპარაკებოდა.

პერნილამ მის საწოლში დაიძინა; თვითონ საბნები შემოიხვია და სამზარეულოში ხის მერხზე წამოწვა. დილით კისერგაშეშებულმა და წელატკივებულმა გაიღვიძა. პერნილას ეჩქარებოდა, ამიტომ სწრაფად ასაუზმა და სადგურში მიიყვანა. სანამ მატარებელი ჩამოდგებოდა, ყავა იყიდეს და ბაქანზე ხის სკამზე ჩამოსხდნენ. ათას რამეზე ისაუბრეს. ბოლოს გოგონამ ჰკითხა:

– არ მოგწონს შელეფტეოში რომ მივდივარ, არა? – ბლუმკვისტს ენა დაება, – სახიფათო არაა. მაგრამ შენ არ გწამს, ხომ ასეა?

– კარგი ქრისტიანი ნამდვილად არ ვარ, – აღიარა ბლუმკვისტმა.

– ღმერთის არ გწამს?

– არა, მაგრამ შენს რწმენას პატივს ვცემ. ყველას უნდა სწამდეს რამის.

სანამ პერნილა მატარებელში ავიდოდა, ერთმანეთს გადაეხვივნენ. გოგონას ცალი ფეხი ვაგონში ჰქონდა შედგმული, როცა მამამისისკენ შემობრუნდა.

– მამა, შენს რწმენაზე მოქცევას არ ვაპირებ. ჩემთვის მნიშვნელობა არ აქვს, შენ რის გწამს, მაინც ყოველთვის მეყვარები. მაგრამ მაინც გირჩევ, ბიბლიის შესწავლა გააგრძელო.

– რას გულისხმობ?

– კედელზე გაკრული შენი ციტატები ვნახე, მაგრამ ვერ მივხვდი, მაინცდამაინც იმ უჟმურ და მკაცრ მუხლებს რატომ მიადექი. გკოცნი, ნახვამდის.

გოგონამ ხელი დაუქნია და ვაგონში შევიდა. გაკვირვებული ბლუმკვისტი ბაქანზე დარჩა. მატარებელს თვალი გააყოლა. შვილის სიტყვების მნიშვნელობას მაშინღა ჩასწვდა, როცა მატარებელი მოსახვევში გაუჩინარდა.

მიქაელი მაშინვე ავტობუსის გაჩერებისკენ გაიქცა. ჰედების რეისი ნახევარი საათის შემდეგ გადიოდა. ამდენი ვეღარ მოითმინა. ტაქსი გააჩერა. მძღოლი ძველი ნაცნობი ჰუსეინი გამოდგა.

ათი წუთის შემდეგ თავის კაბინეტში იდგა და საწერი მაგიდის თავზე გაკრულ წარწერას აკვირდებოდა.

მაგდა – 32016

სარა – 32109

რ. ი. – 30112

რ. ლ. – 32027

მარი – 32018

მიმოიხედა. გაახსენდა, ბიბლიას სად იპოვიდა. წარწერა კედლიდან ჩამოხსნა, ფანჯრის რაფაზე შემოდებულ ჯამში ჩაგდებული გასაღები ამოიღო და გოტფრიდის ქოხისკენ გაიქცა. აკანკალებული ხელებით გადმოიღო თაროდან ჰარიეტის ბიბლია.

ჰარიეტს დღიურში ტელეფონის ნომრები არ ჰქონდა ჩაწერილი. რიცხვები ძველი აღთქმის მესამე წიგნის, ლევიანების, თავებსა და მუხლებზე მიუთითებდა.

(მაგდა) ლევიანები, 20:16

„თუ ქალი ცხოველთან მივა კავშირის დასამყარებლად, უნდა მოკლათ ქალიც და ცხოველიც. ორივე უნდა მოკვდეს; მათზეა მათი სისხლი“.

(სარა) ლევიანები, 21:9

„თუ მღვდლის ასული მეძავობით წაიბილწავს თავს, ის თავისი მამის წამბილწველია. ცეცხლში უნდა დაიწვას იგი“.

(რ. ი.) ლევიანები, 1:12

„დაიჭრას ის, მისი თავიცა და ქონიც და მღვდელმა ისინი სამსხვერპლოს ცეცხლზე დალაგებულ შეშაზე დააწყოს“.

(რ. ლ.) ლევიანები, 20:27

„ის კაცი ან ქალი, რომელშიც სულების გამომძახებლის ან მკითხავის სულია, უნდა მოკვდეს. ჩაქოლეთ და მოკალით. მათზეა მათი სისხლი“.

(მარი) ლევიანები, 20:18

„თუ კაცი დაწვება ქალთან, რომელსაც ყოველთვიური სისხლდენა აქვს, და სიშიშვლეს გამოუჩენს – მან სადინარი გამოუჩინა, და მანაც გამოაჩინა თავისი სისხლის სადინარი – ორივენი უნდა მოიკვეთონ თავიანთი ხალხიდან“.

ბლუმკვისტი პარმაღზე გავიდა და იქ ჩამოჯდა. ჰარიეტის ბიბლიაში ყველა მუხლისთვის ქვეშ ხაზი გაესვათ. სიგარეტს მოუკიდა და ჩიტების ჭიკჭიკს დაუგდო ყური.

რიცხვების მნიშნვნელობა უკვე დაადგინა, მაგრამ სახელების ჯერ ვერა. „მაგდა, სარა, მარი, რ. ი. და რ. ლ“....

უცებ მიქაელ ბლუმკვისტს გონება გაუნათდა. გაახსენდა, როგორ უამბო ინსპექტორმა მორელმა ორმოციან წლებში ცეცხლში დამწვარ, წამებით მოკლულ გოგონაზე. რებეკა ჯერ გააუპატიურეს, მერე კი თავი ნაკვერჩხლებზე დაადებინეს და მოკლეს.

„დაიჭრას ის, მისი თავიცა და ქონიც, და მღვდელმა ისინი სამსხვერპლოს ცეცხლზე დალაგებულ შეშაზე დააწყოს“.

რებეკა. რ. ი. რა გვარი იყო?

ღმერთო, ნეტა რაში ჩაითრიეს ჰარიეტი?

ჰენრიკ ვანგერს თავი ცუდად ეგრძნო და საწოლში იწვა, როცა ბლუმკვისტმა კარზე მიუკაკუნა. ანამ მხოლოდ რამდენიმე წუთით შესვლის ნება დართო.

– ზაფხულის გრიპია, – სრუტუნით აუხსნა ჰენრიკმა, – რა გინდა?

– ერთი კითხვა მაქვს.

– გისმენ.

– ჰედესტადში ორმოციან წლებში მომხდარ მკვლელობაზე თუ გსმენიათ? გოგონას სახელად რებეკა, თავზე ცეცხლი წაუკიდეს.

– რებეკა იაკობსონი, – დაუფიქრებლად უპასუხა ჰენრიკმა, – ეს სახელი არასდროს დამავიწყდება, თუმცა, დიდი ხანია, აღარავის უხსენებია.

– მაგრამ მის მკვლელობაზე გსმენიათ?

– დიახ. რებეკა ოცდასამი-ოცდაოთხი წლისა იყო, როცა მოკლეს. თუ სწორად მახსოვს... 1949 წელს. გახმაურებული საქმე იყო. გამოძიებაში მეც კი ვმონაწილეობდი.

– თქვენც?

– დიახ. რებეკა ჩვენს კომპანიაში მუშაობდა. ლამაზი და პოპულარული გოგო იყო. ამ მკვლელობამ რატომ დაგაინტერესა?

– ზუსტად არ ვიცი, ჰენრიკ, მაგრამ, მგონი, სწორ კვალს ვადგავარ. კარგად უნდა დავფიქრდე.

– გგონია, რომ რებეკას მკვლელობა და ჰარიეტის გაუჩინარება ერთმანეთთან კავშირშია? მათ შორის ხომ თითქმის ჩვიდმეტწლიანი შუალედია.

– მაცალეთ, ვიფიქრო. ხვალ შემოვივლი, თუ თავს უკეთ იგრძნობთ.

მომდევნო დღეს ბლუმკვისტს ჰენრიკ ვანგერი აღარ უნახავს. შუაღამით სამზარეულოში ჰარიეტის ბიბლიას კითხულობდა, როცა ხიდზე დიდი სიჩქარით მანქანამ გადმოიარა. ფანჯრიდან გაიხედა. ციმციმებიანი სასწრაფო მანქანა იყო.

გულმა ცუდი უგრძნო და მაშინვე გარეთ გავარდა. სასწრაფო დახმარების მანქანა ჰენრიკ ვანგერის სახლთან გაჩერდა. პირველ სართულზე ყველა ოთახში შუქი ენთო. ორ ნახტომში აირბინა პარმაღის კიბეზე და დერეფანში შეშინებულ ანას შეეფეთა.

– გულის შეტევა ჰქონდა, – აუხსნა ანამ, – ცოტა ხნის წინ გამაღვიძა, მკერდში ტკივილი მაწუხებსო. მერე უცებ ჩაიკეცა.

ბლუმკვისტი თანაგრძნობით გადაეხივია მნეს. ამასობაში ექიმებმა საკაცით უგონოდ მყოფი ჰენრიკ ვანგერი გამოიყვანეს. მათ უკან დამწუხრებული მარტინ ვანგერი მოჰყვებოდა. ის ანას გაეღვიძებინა. შიშველი ფეხები ფლოსტებში გაეყო და შარვლის უბის შეკვრაც დაჰვიწყებოდა. მარტინი მიქაელს მიესალმა და ანას მიუბრუნდა:

– საავადმყოფოში მე გავყვები. ბირგერს დაურეკე და სცადე, დილით როგორმე სესილიას შეატყობინო... დირკსაც უთხარი.

– ფროდესთან მე წავალ, – შესთავაზა ბლუმკვისტმა.

ანამ მადლიერების ნიშნად თავი დაუქნია.

ნამძინარევმა ფროდემ მხოლოდ რამდენიმე წუთის შემდეგ გაუღო კარი ბლუმკვისტს.

– ცუდი ამბავი მაქვს, დირკ. ჰენრიკი საავადმყოფოში გადაიყვანეს. როგორც ჩანს, გულის შეტევა ჰქონდა. მარტინმა გამომგზავნა თქვენთან.

– ღმერთო, – წამოიძახა ფროდემ და მაჯის საათზე დაიხედა, – პარასკევია, ცამეტი რიცხვი.

სანამ დილით დირკ ფროდეს მობილურზე არ ელაპარაკა და მან არ დაარწმუნა, ჰენრიკ ვანგერი ისევ ცოცხალიაო, ბლუმკვისტს ბერგერისთვის არ დაურეკავს. რასაკვირველია, ბერგერი ძალიან დააღონა „მილენიუმის“ ახალი თანამფლობელის ინფარქტის დიაგნოზით საავადმყოფოში მოთავსებამ.

საღამოს დირკ ფროდე ესტუმრა და ჰენრიკ ვანგერის მდგომარეობაზე უამბო.

– ცოცხალია, მაგრამ ცუდადაა. სერიოზული გულის შეტევა ჰქონდა, თანაც რაღაც ინფექცია აიკიდა.

– პალატაში იყავით მასთან?

– არა, ინტენსიურში წევს. მასთან მარტინი და ბირგერი არიან.

– გადარჩენის შანსები როგორია?

ფროდემ თავი გააქნია.

– ინფარქტს გადაურჩა, ეს კარგის ნიშანია. ჰენრიკი ჯანმრთელია, მაგრამ ბებერი. უნდა დავიცადოთ, სხვა გზა არ გვაქვს.

ორივე ჩაფიქრდა. ბლუმკვისტმა ყავა მოადუღა. ფროდე დაღონებული ჩანდა.

– მაინტერესებს, ახლა რა მოხდება, – ჰკითხა ბლუმკვისტმა.

– ჩვენი შეთანხმების პირობები არ იცვლება, – ამოხედა ფროდემ, – კონტრაქტი წლის ბოლომდე ძალაშია. არა აქვს მნიშვნელობა, ჰენრიკი იცოცხლებს თუ მოკვდება. ნურაფერზე იდარდებთ.

– არა, მე სხვა რამ მაინტერესებდა. ჰენრიკის არყოფნაში ანგარიში ვის ჩავაბარო?

ფროდემ ამოიხვნეშა.

– მიქაელ, თქვენ ჩემსავით კარგად იცით, რომ ჰარიეტის გაუჩინარების ამბავი ჰენრიკისთვის რაღაც ჰობის მსგავსია.

– ამას ნუ ამბობთ, დირკ.

– რატომ?

– ახალ სამხილს მივაგენი, – უპასუხა ბლუმკვისტმა, – გუშინ ჰენრიკს მოვუყევი. ვშიშობ, გულის შეტევა ამიტომ ხომ არ დაემართა-მეთქი.

ფროდემ გაკვირვებით შეხედა.

– ალბათ ხუმრობთ, მართლა...

ბლუმკვისტმა თავი გააქნია.

– ამ ბოლო დღეებში ჰარიეტის გაუჩინარებასთან დაკავშირებით მნიშვნელოვან მასალებს მივაკვლიე. ახლა ის მაწუხებს, რომ წინასწარ არ შევთანხმებულვართ, ჰენრიკის სიკვდილის შემთხვევაში ანგარიში ვის უნდა ჩავაბარო.

– ანგარიშს მე ჩამაბარებთ.

– კარგი. მუშაობა უნდა გავაგრძელო. დრო გაქვთ?

ბლუმკვისტმა რაც შეიძლებოდა დეტალურად უამბო თავის აღმოჩენებზე და ფროდეს იერნვეგსგატანის ფოტოებიც სერიაც უჩვენა. მერე ისიც აუხსნა, როგორ ამოხსნა მისმა ქალიშვილმა დღიურში ჩაწერილი სახელების და რიცხვების ამოცანა. ბოლოს, როგორც ჰენრიკ ვანგერს წინა ღამით, ადვოკატსაც გაანდო თავის ეჭვი, რომ 1949 წელს მომხდარი რებეკა იაკობსონის მკვლელობა ჰარიეტის გაუჩინარებასთან კავშირში იყო.

მხოლოდ ჰარიეტის საძინებლის ფანჯარაში შემჩნეული სესილია ვანგერის შესახებ არ უთქვამს არაფერი. სანამ ბრალს დასდებდა, ჯერ ქალს პირადად უნდა დალაპარაკებოდა.

შეწუხებულმა ფროდემ შუბლი შეიჭმუხნა.

– მართლა ფიქრობთ, რომ რებეკას მკვლელობა ჰარიეტის გაუჩინარებასთან კავშირშია?

– გეთანხმებით, ძნელად სავარაუდოა. მაგრამ ფაქტი ფაქტად რჩება, რომ ჰარიეტმა დღიურში ინიციალები რ. ი. ჩაწერა, გვერდით კი ძველი აღთქმის ის წიგნი, თავი და მუხლი მიუთითა, სადაც შემწვარი მსხვერპლის შეწირვაზეა საუბარი. რებეკა იაკობსონი ცეცხლში დაწვეს. ჰარიეტთან თუ არა, რებეკა ვანგერების ოჯახთან მაინც იყო დაკავშირებული – მათ კომპანიაში მუშაობდა.

– მაგრამ ჰარიეტი რა კავშირშია მასთან?

– ჯერ არ ვიცი, მაგრამ მინდა, გავიგო. ამიერიდან ყველაფერს თქვენ მოგიყვებით, რაც ჰენრიკისთვის უნდა მეთქვა ხოლმე. მის მაგივრად გადაწყვეტილებას თქვენ მიიღებთ.

– იქნებ პოლიციას შევატყობინოთ?

– არა. ჰენრიკ ვანგერის ნებართვის გარეშე არა. რებეკას საქმე დახურულია, არა მგონია, ორმოცდათოთხმეტი წლის შემდეგ გამოძიება განაახლონ.

– კარგი. მაშ, როგორ მოიქცევით?

ბლუმკვისტი სამზარეულოში ბოლთას სცემდა.

– ჯერ ფოტოს პოვნას ვეცდები. იმის გარკვევას რომ შევძლებდეთ, რაც ჰარიეტმა დაინახა... ჩემი აზრით, თავსატეხის გასაღებსაც მივაგნებთ. მანქანა დამჭირდება, რომ ნორშეში წავიდე და კვალს იქამდე მივდიო, სადამდეც მიმიყვანს. გარდა ამისა, ლევიანების მუხლები სათითაოდ უნდა შევისწავლო. ერთი მუხლი ერთ მკვლელობას უკვე დავუკავშირეთ. კიდევ ოთხი მუხლი გვაქვს, ოთხი სავარაუდო მინიშნება. ამის გასაკეთებლად... დახმარება დამჭირდება.

– რა სახის დახმარება?

– თანაშემწე, ვინც გულდასმით გამოიკვლევს ძველ საგაზეთო არქივებს „მაგდას“, „სარას“ და სხვების მოსაძებნად. ჩემი აზრით, რებეკა ერთადერთი მსხვერპლი არ ყოფილა.

– ანუ, გინდათ, რომ ამ საქმეში გარეშე პირიც ჩართოთ?

– გამოსაკვლევი ბევრია, დრო – ცოტა. მე რომ გამომძიებელი ვიყო, ადამიანურ რესურსს სწორად გავანაწილებდი და მრავალ საქმეს ერთდროულად შევასრულებინებდი. პროფესიონალი მჭირდება, ვისაც არქივებში ქექვის გამოცდილება აქვს და თან სანდოა.

– გასაგებია... სიმართლე გითხრათ, ერთ გამოცდილ მკვლევარს ვიცნობ, – თქვა ფროდემ და დაუფიქრებლად დაამატა, – სწორედ იმ გოგომ მოიძია თქვენზე ცნობები.

– რა ქნა? ვინ? – გაშრა ბლუმკვისტი.

– ხმამაღლა წამომცდა, –თქვა ფროდემ, – ყურადღებას ნუ მომაქცევთ, – და გულში გაიფიქრა: „ვბერდები“.

– ჩემზე ცნობებს იძიებდით?

– სიტუაციის გაბუქება საჭირო არაა, მიქაელ. თქვენი დაქირავება გვინდოდა და დავინტერესდით, როგორი პიროვნება იყავით.

– აი, თურმე საიდან იცის ჰენრიკმა ჩემი სისუსტეები. სრული გამოძიება ჩაატარეთ?

– დიახ. საკმაოდ.

– „მილენიუმის“ პრობლემების ჩათვლით?

– ეს მნიშვნელოვანი იყო, – მხრები აიჩეჩა ფროდემ.

ბლუმკვისტმა სიგარეტს მოუკიდა. უკვე მეხუთე ღერს ეწეოდა.

– წერილობითი მოხსენება იყო?

– მიქაელ, სადარდებელი არაფერი გაქვთ.

– იმ მოხსენების წაკითხვა მინდა.

– მიქაელ, უჩვეულო არაფერი მომხდარა. მხოლოდ თქვენი წარსული გადავამოწმეთ, სანამ სამუშაოს შემოგთავაზებდით.

– იმ მოხსენების წაკითხვა მინდა, – გაიმეორა ბლუმკვისტმა.

– ამის უფლება არ მაქვს.

– მართლა? ან ერთ საათში იმ მოხსენებას წამაკითხებთ, ან, სამუშაოს თავს ვანებებ და საღამოს ავტობუსით სტოკჰოლმში ვბრუნდები. სად არის მოხსენება?

ფროდე და ბლუმკვისტი რამდენიმე წამის განმავლობაში თვალს არ აცილებდნენ ერთმანეთს. მერე ფროდემ ამოიხვნეშა და განზე გაიხედა.

– ჩემს სახლში, კაბინეტში.

ფროდე დიდხანს იქექებოდა ქაღალდებში. ლიზბეთ სალანდერის მოხსენება ბლუმკვისტმა მხოლოდ საღამოს ექვს საათზე ჩაიგდო ხელში. თითქმის ოთხმოცგვერდიან მოხსენებას ემატებოდა სტატიების, მოწმობების, საბუთების და ბლუმკვისტის ცხოვრების და კარიერის ამსახველი ჩანაწერების ქსეროასლები.

საკუთარ თავზე მოხსენების (ნაწილობრივ ბიოგრაფიულის, ნაწილობრივ კი – საგამოძიებო ანგარიშის) წაკითხვამ ბლუმკვისტს უცნაური გრძნობა დაუტოვა. სალანდერს ისეთი დეტალები ამოექექა მასზე, ისტორიის სანაგვეში დამარხული რომ ეგონა. მაგალითად, ის, რომ ახალგაზრდობაში ერთ სინდიკალისტთან ჰქონდა რომანი; ის ქალი მერე პოლიტიკოსი გახდა.

„ნეტა ეს ვისგან გაიგო?“

სალანდერს გაეგო მის როკ-ჯგუფზეც, რომელიც უკვე აღარავის ახსოვდა. უკანასკნელ ერემდე გამოეკვლია მისი საბანკო ანგარიშიც.

„ან ეს როგორღა მოახერხა?“

საგამოძიებო ჟურნალისტიკაში მომუშავე ბლუმკვისტის გამოცდილ თვალს არ გამოჰპარვია, რამდენად პროფესიონალურად იყო სამუშაო შესრულებული. სალანდერი უეჭველად სუპერმკვლევარი იყო. სრულიად უცხო პიროვნების ასე სრულყოფილად შესწავლას თვითონ ბლუმკვისტიც კი ვერ შეძლებდა.

უცებ ისიც გაიაზრა, რომ ის და ბერგერი ჰენრიკ ვანგერთან ტყუილად მალავდნენ თავიანთ ურთიერთობას. მოხუცმა ისედაც ყველაფერი იცოდა. მან იცოდა „მილენიუმის“ ფინანსურ გაჭირვებაზეც, როცა ბერგერს პირველად დაუკავშირდა.

„ნეტა რა ჩაიფიქრა მოხუცმა?“

ვენერსტრომის საქმე გაკვრით ეხსენებინათ, მაგრამ ჩანდა, რომ მოხსენების ავტორი თავად ესწრებოდა სასამართლო პროცესს. ისიც აღენიშნათ, ბლუმკვისტი საეჭვოდ დუმდა პროცესზე და კომენტარისგან თავს იკავებდაო.

„ეს სალანდერი რა გონიერი ყოფილა“.

მომდევნო გვერდის კითხვისას ბლუმკვისტმა თვალებს არ დაუჯერა: სალანდერს მოკლედ დაეწერა თავისი მოსაზრება, თუ როგორ წარიმართებოდა მოვლენები პროცესის დასრულების შემდეგ. ტექსტი სიტყვასიტყვით ემთხვეოდა ბლუმკვისტისა და ბერგერის მიერ გავრცელებულ პრეს-რელიზს, რედაქტორის თანამდებობიდან ბლუმკვისტის გადადგომის შესახებ.

„სალანდერს ჩემი ტექსტი გამოუყენებია“.

საქაღალდის ყდას დახედა. მოხსენება ბლუმკვისტისთვის განაჩენის გამოტანამდე სამი დღით ადრე იყო დათარიღებული.

„შეუძლებელია“.

ეს პრეს-რელიზი მაშინ მხოლოდ ერთადერთ ადგილას არსებობდა – ბლუმკვისტის კომპიუტერში. მის პირად „აიბუქში“ და არა რედაქციის კომპიუტერში. ეს ტექსტი არც არასდროს ამოუბეჭდავს. ასლი არც ბერგერს ჰქონდა.

ბლუმკვისტმა სალანდერის მოხსენება გვერდზე გადადო. ქურთუკი შემოიცვა და გარეთ გავიდა. ივანობის დღესასწაულამდე ერთი კვირა რჩებოდა. ნათელი ღამე იყო. სანაპიროზე გაისეირნა. სესილიას სახლს და მარტინის მდიდრულ ვილასთან მის ძრავიან ნავს ჩაუარა. ნელა მიაბიჯებდა და ფიქრობდა. ბოლოს ლოდზე ჩამოჯდა და ლამპიონებით განათებულ ჰედესტადის უბეს გახედა.

– შენ ჩემს კომპიუტერში შეძვერი, ფრეკენ სალანდერ, – თქვა ხმამაღლა, – საზიზღარი ჰაკერი ყოფილხარ.

თავი XVIII

ოთხშაბათი, 18/VI

სალანდერს გულისრევის შეგრძნებით უეცრად გამოეღვიძა უსიზმრო ძილიდან. გვერდზე გადაუბრუნებლად მიხვდა, რომ მიმი ადრიანად წასულიყო სამსახურში, მაგრამ მისი სურნელი ჯერაც ტრიალებდა დახუთულ საძინებელში. წინა ღამით სალანდერს ბევრი ლუდი დაელია Evil Fingers-ის შეხვედრაზე. მიმი ბარის დაკეტვამდე მცირე ხნით ადრე მივიდა ბარში და იქიდან სალანდერს გამოჰყვა.

სალანდერი, მიმისგან განსხვავებით, თავს ლესბოსელად არ მიიჩნევდა. არასდროს უდარდია ჰეტეროსექსუალი იყო, ჰომოსექსუალი თუ ბისექსუალი. პარტნიორების არჩევისას თავს არ იზღუდავდა და სულ არ ანაღვლებდა, რას იფიქრებდა ხალხი. თუმცა, უპირატესობას მაინც ბიჭებს ანიჭებდა – მის პარტნიორთა შორის სტატისტიკურად ისინი ჭარბობდნენ. პრობლემად მხოლოდ ის მიაჩნდა, რომ ზოგადად ძნელია ისეთი ბიჭის პოვნა, საწოლშიც რომ ვარგოდეს და სრული იდიოტიც არ იყოს. მიმი რაღაც სასიამოვნო გამონაკლისს წარმოადგენდა, ის სალანდერს ძალიან აღაგზნებდა. ერთმანეთი გეების ფესტივალზე გაიცნეს. მიმი ერთადერთი მეგობარი იყო, ვინც სალანდერმა Evil Fingers-ს წარუდგინა. თუმცა, ეს ურთიერთობა ორივესთვის მხოლოდ უბრალო გატაცება იყო. სალანდერს მოსწონდა საწოლში მიმის თბილი, რბილი სხეული, მასთან ერთად დილით გაღვიძება და საუზმობა.

საათი ათის ნახევარს უჩვენებდა. სალანდერმა გაიკვირვა, ნეტა ასე ადრიანად რამ გამაღვიძაო, რომ კარზე ზარი ხელმეორედ აწკრიალდა. გაკვირვებული წამოჯდა. ასეთ დროს მასთან არავინ მოდიოდა ხოლმე. საერთოდაც, მასთან ძალიან ცოტა ვინმე თუ მოდიოდა. ტანზე ზეწარი შემოიხვია და ჰოლში გავიდა. კარი გამოაღო თუ არა, მზერით პირდაპირ მიქაელ ბლუმკვისტს შეეჩეხა და შეშინებულმა, ერთი ნაბიჯით უკან დაიხია.

– დილა მშვიდობისა, ფრეკენ სალანდერ, – მხიარულად მიესალმა კაცი, – ვხედავ, წუხელ გვიან დაწექი. შეიძლება, შემოვიდე?

ბლუმკვისტი პასუხს არ დალოდებია, ისე შევიდა შიგნით და ზურგს უკან კარი მიიხურა. ცნობისმოყვარედ შეათვალიერა ჰოლში იატაკზე დაყრილი ტანსაცმლის გროვა და ძველი გაზეთებით გატენილი ტომრები. მერე საძინებელშიც შეიჭყიტა, სანამ დაბნეული სალანდერი გონს მოვიდოდა.

„როგორ? რა? ვინ?“

ბლუმკვისტს მისი გაოგნებული სახის დანახვაზე ეშმაკურად ჩაეცინა.

– ვიფიქრე, რომ ჯერ ნასაუზმევი არ იქნებოდი, ამიტომ ბაგელები მოვიტანე. ერთი ხბოსხორციანი, მეორე ინდაურისხორციანია დიჟონური მდოგვით, მესამე – ვეგეტარიანული, ავოკადოთი. შენს გემოვნებაზე არაფერი ვიცოდი და... – მერე სამზარეულოში შევიდა და ყავადნის წყლით ავსება დაიყო, – ყავას სად ინახავ?

სალანდერი ჰოლში გაშეშებულიყო. წყლის ჩხრიალის ხმამ გამოაფხიზლა და სამი გრძელი ნაბიჯით შევიდა სამზარეულოში.

– შეწყვიტე! ახლავე შეწყვიტე! – გოგონამ უცებ გაიაზრა, რომ ყვიროდა და ხმას დაუწია, – ჯანდაბა, შენი სახლი კი არაა, რომ შემოვარდი და შენს ნებაზე დააბოტებ. ერთმანეთს არც კი ვიცნობთ.

ბლუმკვისტი გაჩერდა და ყავადნისთვის ხელის გაუშვებლად გოგონასკენ შემობრუნდა.

– იტყუები! შენ მე ბევრზე უკეთ მიცნობ. ხომ ასეა? – და ისევ ონკანისკენ შეტრიალდა. ყავადანი წყლით აავსო და განჯინის კარი გამოაღო ყავის მოსაძებნად.

– სხვათა შორის, ვიცი, როგორც მუშაობ. შენი საიდუმლო ვიცი.

სალანდერმა თვალები დახუჭა და ინატრა, ნეტა ფეხქვეშ იატაკი რყევას შეწყვეტდესო. თითქოს დამბლა დაეცა. ნაბახუსევს ტვინი არ უმუშავებდა. არარეალურ სიტუაციაში აღმოჩნდა – კვლევის ობიექტებს პირისპირ ადრე არასდროს შეხვედროდა.

„იცის, სადაც ვცხოვრობ!“

ბლუმკვისტი მის სამზარეულოში იდგა. ვერ იჯერებდა. ასეთი რამ ვერც კი წარმოედგინა.

„იცის, ვინც ვარ!“

ზეწარი ლამის ხელებიდან გაუცურდა, დროზე მოასწრო დაჭერა და უფრო მჭიდროდ შემოიხვია. კაცმა რაღაც უთხრა, მაგრამ ვერ გაიგო.

– უნდა ვილაპარაკოთ, – გაუმეორა ბლუმკვისტმა, – მაგრამ ჯერ შხაპი მიიღე.

სალანდერი როგორღაც გონს მოეგო.

– მისმინე, პრობლემები არ მჭირდება. მხოლოდ დავალებას ვასრულებდი. თუ რამის გარკვევა გინდა, ჩემს უფროსს დაელაპარაკე.

ბლუმკვისტმა ორივე ხელი ასწია. „უიარაღო ვარ“ – მშვიდობის უნივერსალური ნიშანი.

– არმანსკის უკვე ვესაუბრე. სხვათა შორის, მთხოვა შენთვის გადმომეცა, რომ დაურეკო. წუხელ მისი ზარისთვის არ გიპასუხია.

საშიში არ ჩანდა, მაგრამ სალანდერმა მაინც უკან დაიხია, როცა ბლუმკვისტი მიუახლოვდა. კაცმა ხელი მოჰკიდა და სააბაზანომდე მიაცილა. გოგონას არ ესიამოვნა, რომ უნებართვოდ შეეხნენ.

– შენთვის პრობლემების შექმნას არ ვაპირებ, – უთხრა ბლუმკვისტმა, – მაგრამ აუცილებლად უნდა დაგელაპარაკო. ოღონდ, ჯერ გამოფხიზლდი. სანამ მოწესრიგდები, ყავაც მომზადდება. ახლა კი სააბაზანოსკენ! სწრაფად!

გოგონა შეუპასუხებლად დაემორჩილა, თუმცა გულში გაიფიქრა:

„ლიზბეთ სალანდერი არავის ემორჩილება“.

სააბაზანოს კარს მიეყუდა და აზრების დალაგება სცადა. არ ეგონა, ასე თუ დაიბნეოდა. ბოლოს დაასკვნა, შხაპი გამოსაფხიზებლად კი არა, მღელვარე ღამის კვალის ჩამოსარეცხადაც საუკეთესო გზაა. ბანაობას რომ მორჩა, საძინებელში გასხლტა და ჩაიცვა ჯინსის შარვალი და მაისური წარწერით: ARMAGEDDON WAS YESTERDAY –TODAY WE HAVE A SERIOUS PROBLEM.[viii]

წამით შეყოვნდა. სკამზე გადაკიდებული ტყავის ქურთუკიდან „ტასერი“ ამოიღო, შეამოწმა დამუხტული თუაო, და ჯინსის შარვლის უკანა ჯიბეში ჩაიტენა. ბინაში ყავის სასიამოვნო სურნელი ტრიალებდა. სალანდერმა ღრმად ჩაისუნთქა და სამზარეულოში შევიდა.

– ბინას არ ალაგებ ხოლმე? – ჰკითხა ბლუმკვისტმა.

მას გასარეცხი ჭურჭერლი და საფერფლეები ნიჟარაში ჩაეწყო. ამჟავებული რძის კოლოფები სანაგვე პარკში ჩაეყარა, მაგიდიდან ხუთი კვირის წინანდელი გაზეთები აეღო და მაგიდა ტილოთი გადაეწმინდა; ახლა ზედ ჭიქები და ბაგელები ეწყო. საუზმე მოვიტანეო, ტყუილი არ უთქვამს.

„კარგი, ვნახოთ, რა მოხდება“, – გაიფიქრა გოგონამ და მაგიდას მის პირდაპირ მიუჯდა.

– შეკითხვაზე არ მიპასუხე. რომელი გინდა: ხბოსხორციანი, ინდაურისხორციანი თუ ვეგეტარიანული?

– ხბოსხორციანი.

– მაშინ მე ინდაურისხორციანს შევჭამ.

ჩუმად საუზმობდნენ და ერთმანეთს თვალს არ აცილებდნენ. სანამ სალანდერი თავის ბაგელს შეჭამდა, ბლუმკვისტი უკვე ვეგეტარიანულს მიადგა. სალანდერმა ფანჯრის რაფიდან სიგარეტის დაჭმუჭნილი კოლოფი აიღო და ერთი ღერი ამოიღო.

ბლუმკვისტმა სიჩუმე დაარღვია.

– შეიძლება შენსავით კარგი გამომძიებელი არ ვარ, მაგრამ ის მაინც დავადგინე, რომ ვეგეტარიანელი არ ხარ და როგორც ჰერ ფროდეს ეგონა, არც – ანორექსიკი. ამ ინფორმაციას ჩემს მონაცემთა ბაზაში შევიტან.

სალანდერმა ბლუმკვისტს შეხედა. კაცი ისე მხიარულად ესაუბრებოდა, თვითონაც ცალყბად გაუღიმა. გაურკვეველი სიტუაცია შეიქმნა. გოგონამ ყავა მოსვა. კაცს კეთილი მზერა ჰქონდა. ბოროტი აშკარად არ უნდა იყოსო, დაასკვნა გულში. არც მის მიერ მოძიებულ ინფორმაციაში იყო ნახსენები, რომ ბლუმკვისტი თავის მეგობარ გოგონებს და ქალებს უხეშად ეპყრობოდა. ყველაზე მეტი აქ მე ვიციო, დაიმშვიდა თავი. ცოდნა კი ძალაა.

– რას იცინი? – ჰკითხა სალანდერმა.

– მაპატიე. სიმართლე გითხრა, ასე შემოჭრას არ ვაპირებდი, შენი დაფრთხობა არ მინდოდა. შენი სახე უნდა გენახა, კარი რომ გააღე და მე დამინახე. ასეთი შანსის ხელიდან გაშვება არ შემეძლო.

სიჩუმე ჩამოვარდა. თავისდა გასაკვირად, სალანდერს ბლუმკვისტის სახლში დაუპატიჟებელი შემოჭრა არ აწუხებდა.

– შეგიძლია, ჩათვალო, რომ ჩემი პირადი ცხოვრების ქექვის გამო შენზე შური ვიძიე, – უთხრა ბლუმკვისტმა, – მართლა ხომ არ შეგეშინდა?

– სულაც არა, – უპასუხა სალანდერმა.

– კარგია. აქ შენთვის პრობლემების შესაქმნელად არ მოვსულვარ.

– ხელის დაკარებაც რომ დამიპირო, მოგამტვრევ. არ ვხუმრობ.

ბლუმკვისტმა ყურადღებით შეათვალიერა გოგონა. სიმაღლეში მეტრ-ნახევარი თუ იქნებოდა და ალბათ დიდ წინააღმდეგობას ვერ გაუწევდა.

– ნუ ღელავ, არ დაგჭირდება, – უთხრა ბლუმკვისტმა ბოლოს, – მხოლოდ შენთან საუბარი მინდა. თუ გინდა, რომ წავიდე, მითხარი და წავალ. სასაცილოა, მაგრამ... კარგი, არაფერი...

– რა?

– შეიძლება სულელურად ჟღერდეს, მაგრამ ოთხი დღის წინ არც ვიცოდი, რომ საერთოდ არსებობდი. მერე შენი მოხსენება წავიკითხე, – კაცმა ჩანთიდან საქაღალდე ამოიღო, – სასიამოვნო საკითხავი ნამდვილად არ იყო, – უცებ გაჩუმდა და რამდენიმე წუთს სამზარეულოს ფანაჯრაში იყურებოდა, – ერთი ღერი სიგარეტი შეიძლება?

სალანდერმა კოლოფი მისკენ გააცურა.

– წეღან თქვი, ერთმანეთს არ ვიცნობთო, მაგრამ მე არ დაგეთანხმე, – საქაღალდეზე ანიშნა ბლუმკვისტმა, – შენ ვერ შეგედრები. მხოლოდ შენი მისამართი, დაბადების თარიღი და მსგავსი რამეები დავადგინე. აი, შენ კი ჩემზე ბევრი რამ იცი. ჯანდაბა, მათ შორის, ისეთი პირადული რამეებიც დაგიდგენია, რაზეც მხოლოდ მეგობრებმა იციან. ახლა შენთან ვზივარ და ბაგელებს მივირთმევ. სულ ნახევარი საათია ერთმანეთს შევხვდით, მაგრამ ასე მგონია, უკვე წლებია ვმეგობრობთ. ხვდები რასაც ვგულისხმობ?

გოგონამ თავი დაუქნია.

– ლამაზი თვალები გაქვს, – შენიშნა ბლუმკვისტმა.

– შენც.

ისევ ხანგრძლივი სიჩუმე ჩამოვარდა.

– აქ რატომ მოხვედი? – დაინტერესდა სალანდერი და კინაღამ დაამატა: „კალე ბლუმკვისტ“.

ბლუმკვისტი დასერიოზულდა. იმავდროულად, გადაღლილს დაემსგავსა. თავდაჯერებულობა, რომელიც ბინაში შემოსვლისას მას სახეზე აღბეჭდვოდა, გაქრა. ხუმრობაც შეწყვიტა. სალანდერმა იგრძნო, რომ კაცი დაჟინებით აკვირდებოდა.

თვითონ სალანდერი მხოლოდ გარეგნულად ინარჩუნებდა სიმშვიდეს, შინაგანად კი მღელვარებას ძლივს იკავებდა. ამ უეცარმა სტუმრობამ შეაშფოთა, მსგავსი რამ მისი ხანმოკლე კარიერის განმავლობაში პირველად ხდებოდა. სალანდერი ფულს სხვა ადამიანებზე ჯაშუშობით შოულობდა. თუმცა, საქმეს, რომელსაც არმანსკისთვის ასრულებდა, ნამდვილ სამუშაოდ არ მიიჩნევდა; უფრო გასართობი იყო, რაღაც ჰობის მსგავსი.

სიმართლე კი ის იყო, რომ სხვა ადამიანების ცხოვრების ქექვა და მათი საიდუმლოებების გამომზეურება უყვარდა. რაც თავი ახსოვდა, სულ ამას აკეთებდა ამა თუ იმ საშუალებით. არა მხოლოდ იმიტომ, რომ არმანსკი ავალებდა, არამედ საკუთარი სიამოვნებისთვისაც. თითქოს კომპიუტერულ თამაშს თამაშობდა, ოღონდ ნამდვილი ადამიანების სიცოცხლეს ეთამაშებოდა. ახლა ერთ-ერთი ასეთი ადამიანი

მის სამზარეულოში იჯდა და ბაგელებით უმასპინძლდებოდა. სულელურ სიტუაციაში აღმოჩნდა.

– ერთი საინტერესო პრობლემა მაქვს, – უპასუხა ბლუმკვისტმა, – მითხარი, როცა ჰერ ფროდესთვის ჩემზე ინფორმაცია მოიძიე, იცოდი, რისთვის გამოიყენებდნენ?

– არა.

– ფროდეს, უფრო სწორედ მის კლიენტს, სურდა ჩემთვის სამუშაო შემოეთავაზებინა, ამიტომ ჯერ შემამოწმეს, საქმისთვის ვვარგოდი თუ არა.

– გასაგებია.

ბლუმკვისტმა სუსტად გაუღიმა.

– ოდესმე მე და შენ სერიოზული საუბარი მოგვიწევს სხვის ცხოვრებაში ქექვის არაეთიკურობაზე, მაგრამ ახლა სხვა პრობლემა მაქვს. საქმე, რომელიც შემომთავაზეს და, თვითონაც არ ვიცი, მის შესრულებაზე რატომ დავთანხმდი, უთუოდ ყველაზე უცნაურია ჩემს კარიერაში. სანამ უფრო მეტს გეტყოდე, მაინტერესებს, შეიძლება თუ არა შენი ნდობა, ლიზბეთ?

– რას გულისხმობ?

– არმანსკი მარწმუნებს, ლიზბეთი სრულიად სანდოაო, მაგრამ მე მაინც უნდა გკითხო. შემიძლია კონფიდენციალური ინფორმაცია გაგანდო და იმის შიში არ მქონდეს, რომ მას სხვას უამბობ?

– ერთი წუთით. დრაგანს ელაპარაკე? აქ მან გამოგგზავნა?

„მოგკლავ, შე სულელო, ნაბიჭვარო სომეხო“.

– სულაც არა. მისამართების დადგენა შენს გარდა სხვასაც შეუძლია. მე თვითონ მოგძებნე ეროვნულ რეესტრში. სულ სამი ლიზბეთ სალანდერი ვიპოვე, შენ ადვილად ამოგიცანი. გუშინ არმანსკისთან ხანგრძლივი საუბარი მქონდა. მასაც ეგონა, რომ ჩემს პირად ცხოვრებაში ქექვის გამო შენს დასჯას ვაპირებდი. როგორც იქნა, დავარწმუნე, რომ ლეგიტიმური მიზნები მამოძრავებდა.

– კერძოდ?

– როგორც გითხარი, ფროდეს კლიენტმა რაღაც დამავალა. მე კი საქმის გასაგრძელებლად ნიჭიერი მკვლევარი მჭირდება. ფროდემ შენზე მითხრა და თან შეგაქო, ყოჩაღიაო. შენი ვინაობის გამხელას სულაც არ აპირებდა, მაგრამ წამოსცდა. არმანსკის ავუხსენი, რა საქმეც მაქვს. ის დამთანხმდა და წუხელ შენთან დაკავშირება სცადა. თუ გინდა, დაურეკე და გადაამოწმე.

სალანდერი კარგა ხანს ეძებდა მობილურს ტანსაცმლის გროვაში, რომელიც მიმიმ გახადა. ბლუმკვისტი ბინაში დასეირნობდა და თან ინტერესით გამოხედავდა ხოლმე ძიებით გართულ დარცხვენილ სალანდერს. ბინაში მდგარი ავეჯი ნაგავსაყრელიდან მოტანილს ჰგავდა, სამაგიეროდ, მისაღებში საწერ მაგიდაზე ძვირფასი „პაუერბუქი“, თაროზე კი – CD ფლეიერი იდო, თუმცა კომპაქტ-დისკების მწირი კოლექცია სულ ათი დისკისგან შედგებოდა. ამ მუსიკალურ ჯგუფებზე ბლუმკვისტს არასდროს სმენოდა. გარეკანზე გამოსახული მუსიკოსები ვამპირებს ჰგავდნენ. როგორც ჩანდა, გოგონას მუსიკა დიდად არ აინტერესებდა.

სალანდერმა შემოსული ზარები გადაამოწმა. არმანსკის ღამით შვიდჯერ დაერეკა, დილით – ორჯერ. გოგონამ მის ნომერზე დარეკა. ბლუმკვისტი ზღურბლზე იდგა და მის საუბარს უსმენდა.

– მე ვარ... ბოდიში... ჰო... გამორთული იყო... ვიცი, სამუშაოს მთავაზობს... ჯანდაბა, არა, ჩემს მისაღებში დგას... – ხმას აუწია გოგონამ, – დრაგან, წუხელ დავლიე და თავი მისკდება, ასე რომ, პირდაპირ მითხარი, დავთანხმდე თუ არა?.. გმადლობ.

სალანდერმა ბლუმკვისტს გახედა, რომელსაც უიარლიყო ყავისფერი აბების კოლოფი ეპოვა და სინათლეზე ათვალიერებდა. ის იყო, კოლოფისთვის თავი უნდა მოეხსნა, რომ სალანდერმა ხელიდან გამოჰგლიჯა. მერე სამზარეულოში სკამზე ჩამოჯდა შუბლის სრესით. სამზარეულოში ბლუმკვისტიც შეჰყვა.

– წესები მარტივია, – თქვა სალანდერმა, – ჩემგან ან არმანსკისგან ვერავინ ვერაფერს გაიგებს. დაიდება კონტრაქტი, სადაც აღინიშნება, რომ Milton Security კონფიდენციალობას დაიცავს. სანამ დაგთანხმდები, უნდა გავიგო, რა სამუშაოს მთავაზობ. ეს ნიშნავს, რომ შემოთავაზებას დავთანხმდები თუ არა, შენს მონაყოლს მაინც საიდუმლოდ შევინახავ იმ შემთხვევაში, თუ სერიოზულ კრიმინალთან არ გვაქვს საქმე. ასეთ შემთხვევაში მე დრაგანს ვაცნობებ, დრაგანი კი – პოლიციას.

– კეთილი, – თქვა ბლუმკვისტმა, – შეიძლება არმანსკი მთლად კარგადაც ვერ ხვდებოდეს, მე რისთვის მჭირდები...

– რაღაც ისტორიული კვლევა უნდა ჩაატაროო, ასე მითხრა.

– დიახ, ასეა. მინდა, რომ მკვლელის ვინაობა დამადგენინო.

ბლუმკვისტი მთელ საათს უხსნიდა სალანდერს ჰარიეტ ვანგერის ჩახლართული საქმის დეტალებს. არაფერი გამოუტოვებია. ფროდესგან გოგონას სამსახურში აყვანის უფლება ჰქონდა მიღებული და ჯერ მისი ნდობის მოპოვება სჭირდებოდა.

ისიც უამბო, რომ ფანჯარაში სესილია ვანგერის სახე დაინახა. რაც შეიძლებოდა, გასაგებად აღუწერა ქალის პიროვნება. სესილია უკვე ეჭვმიტანილთა სიის სათავეში მოქცეულიყო. თუმცა, ბლუმკვისტს გულის სიღრმეში მაინც არ სჯეროდა, რომ ახალგაზრდა სესილიას ჰარიეტის მკვლელთან რაიმე კავშირი ჰქონდა.

ბლუმკვისტმა სალანდერს დღიურიდან ამოწერილი სახელების და რიცხვების ასლი გადასცა:

მაგდა – 32016

სარა – 32109

რ. ი. – 30112

რ. ლ. – 32027

მარი – 32018

მერე წააკითხა ლევიანების ის მუხლები, რომლებიც ამ რიცხვებს შეესამებოდა.

– ჩემგან რას ითხოვ?

– მე რ.ი.-ს, რებეკა იაკობსონის ვინაობა დავადგინე, – ბლუმკვისტმა აუხსნა ეს როგორ მოახერხა, – ჩემი აზრით, კიდევ ოთხი მსხვერპლი უნდა ვეძებოთ: მაგდა, მარი, სარა და რ. ლ.

– გგონია, რომ ისინიც დახოცეს?

– მგონია, რომ უნდა ვეძებოთ მანიაკი, ვინც ორმოცდაათიან და, შესაძლოა, სამოციან წლებშიც, ქალებს ხოცავდა. და ეს მკვლელი როგორღაც ჰარიეტ ვანგერთან უნდა იყოს დაკავშირებული. Hedestads-Kuriren-ის ძველი ნომრები გადავათვალიერე. ჰედესტადში რებეკას მკვლელობის გარდა სხვა გროტესკული დანაშაული, ამ პერიოდში, როგორც ჩანს, არ მომხდარა. მინდა, რომ კვლევა გააგრძელო, თუნდაც მთელი შვედეთი გადაქექო, სანამ სხვა სახელებსაც არ შევუსაბამებთ ძველი აღთქმის მუხლებს.

სალანდერმა არაფრის მთქმელი სახე მიიღო და იმდენ ხანს ფიქრობდა, რომ ბლუმკვისტი მოუთმენლობამ შეიპყრო. ისიც კი იფიქრა, იქნებ ამის იმედი სულ ტყუილად მქონდაო, მაგრამ უცებ გოგონამ თავი ასწია.

– თანახმა ვარ. როგორც კი არმანსკისთან ხელშეკრულებას გააფორმებ, საქმეს შევუდგები.

არმანსკიმ კონტრაქტი ამობეჭდა, რომელიც ბლუმკვისტს ჰედესტადში უნდა წაეღო, რათა ფროდესაც მოეწერა ხელი. როცა სალანდერის კაბინეტის კარი შეაღო, გოგონა და ბლუმკვისტი „პაუერბუქისკენ“ დახრილიყვნენ. ბლუმკვისტს ხელი სალანდერის მხარზე ედო – მას ეხებოდა! – და საჩვენებელი თითით რაღაცას უჩვენებდა. არმანსკი ზღურბლზე შედგა.

ბლუმკვისტმა რაღაც თქვა, რამაც სალანდერი გააოცა. გოგონამ ხმამაღლა გაიცინა.

არმანსკის მანამდე არასდროს მოესმინა სალანდერის სიცილი. თვითონ წლების განმავლობაში ცდილობდა მისი ნდობის მოპოვებას, ბლუმკვისტს კი ლამის გაცნობისთანავე დამეგობრებოდა და ახლა მასთან ერთად ხითხითებდა. თავისდა გასაკვირად, არმანსკიმ ბლუმკვისტის მიმართ ზიზღი იგრძნო. ჩაახველა, ოთახში შევიდა და საქაღალდე მაგიდაზე დადო.

შუადღისას ბლუმკვისტმა „მილენიუმის“ რედაქციაში შეირბინა. ამდენი თვის შემდეგ პირველად დაბრუნდა მშობლიურ გარემოში. კიბეზე ასვლისას უცნაური შეგრძნება დაეუფლა. კარზე ელექტროსაკეტის კოდი არ შეეცვალათ და შიგნით შეუმჩნევლად შესვლა მოახერხა. წუთით ერთ ადგილას უხმოდ იდგა და აქეთ-იქით იყურებოდა.

„მილენიუმის“ რედაქციას ასო L-ის ფორმა ჰქონდა. ჰოლი საკმაოდ ვრცელი იყო, მაგრამ დიდად ვერაფერში იყენებდნენ. მხოლოდ ორი დივანი იდგა სტუმრებისთვის. დივნების უკან მცირე სამზარეულო-სასადილო ოთახი იყო, მის გვერდით საპირფარეშო და ორი საწყობი, სადაც წიგნები და საქაღალდეები ინახებოდა. იქვე იდგა მაგიდა სტაჟიორისთვის. შესასვლელის მარჯვნივ მალმის მინისკედლიანი სტუდია მოეწყოთ. სტუდია 250 კვადრატულ მეტრს შეადგენდა და სადარბაზოდან ცალკე შესასვლელი ჰქონდა. მარცხნივ მდებარეობდა დაახლოებით 150 კვადრატული მეტრი ფართობის რედაქცია, რომლის ფანჯრებიც იეტგატანს გადაჰყურებდა.

იქაურობა ბერგერის დაგეგმარებული და მოწყობილი იყო. სამი თანამშრომელი შუშის კედლებით გატიხრულ კაბინეტში იჯდა, დანარჩენები კი ერთად ისხდნენ. ყველაზე დიდი კაბინეტი თვითონ ბერგერს ეკავა, ბლუმკვისტვისთვის კი საპირისპირო ბოლოში გამოეყო ოთახი. მხოლოდ ბლუმკვისტის კაბინეტი ჩანდა ჰოლიდან და იქაურობა ახლაც ცარიელი იყო. მასში არავინ გადასულიყო.

დანარჩენი ორისგან ოდნავ განცალკევებული, შუშით გატიხრული ოთახი სონი მაგნუსონს ეკავა, „მილენიუმის“ ბოლო წლების საუკეთესო სარეკლამო მენეჯერს. ის პირადად ბერგერმა აიყვანა სამსახურში და მოკრძალებულ ხელფასს, მაგრამ დამატებით საკომისიოსაც დაჰპირდა. თუმცა, ერთწლიანი კრიზისისგან ჟურნალი ვერც მაგნუსონის გამოცდილებამ იხსნა და სარეკლამო შემოსავლების კლებასთან ერთად მაგნუსონის ხელფასმაც დაიკლო. სხვა სამსახურის მოძებნის ნაცვლად, მაგნუსონმა ქამარი მაგრად შემოიჭირა და მაინც ჟურნალის ერთგული დარჩა.

„ჩემგან განსხვავებით, ვინც ეს კატასტროფული მდგომარეობა გამოიწვია“, – გაიფიქრა ბლუმკვისტმა.

მხნეობა მოიკრიბა და რედაქციის ოფისში შევიდა. იქაურობა თითქმის ცარიელი იყო. საწერ მაგიდასთან ბერგერი იჯდა და ყურთან ყურმილი მიედო. წინ ეჯდა მონიკა ნილსონი, პოლიტიკის გამოცდილი მიმომხილველი – ყველაზე დიდი ცინიკოსი, ვისაც ბლუმკვისტი ცხოვრებაში შეხვედროდა. მეცხრე წელი იყო, „მილენიუმში“ მუშაობდა და თავისი სამუშაო ძალიან მოსწონდა. ჟურნალის ყველაზე ახალგაზრდა

თანამშრომელს ჰენრი კორტესი ერქვა. ის პირდაპირ ჟურნალისტიკის სასწავლებლიდან მოვიდა მათთან პრაქტიკანტად და განაცხადა, რომ „მილენიუმის“ გარდა სხვაგან მუშაობა არ უნდოდა. ბერგერს მის სამსახურში ასაყვანად ფული არ ჰქონდა, მაგრამ კუთხეში ცალკე მაგიდა მაინც გამოუყო. ჰენრი უკვე შტატიან რეპორტიორად ქცეულიყო.

ბერგერმა და ნილსონმა ბლუმკვისტის დანახვაზე სიხარულით შეჰყვირეს, ლოყაზე აკოცეს, ბეჭზე ხელი დაუტყაპუნეს და მაშინვე ჰკითხეს, სამსახურში ხომ არ ბრუნდებიო, მაგრამ ბლუმკვისტმა ორივე გააწბილა, მხოლოდ მოგიკითხეთ, თან მთავარ რედაქტორთან დალაპარაკება მინდოდაო.

ბერგერს მისი ნახვა ძალიან გაუხარდა. ჰენრიკ ვანგერის ჯანმრთელობის მდგომარეობა გამოჰკითხა. ბლუმკვისტმა მხოლოდ ის იცოდა, რაც ფროდემ უამბო: მოხუცის მდგომარეობა მძიმე იყო.

– ქალაქში რამ ჩამოგიყვანა?

ბლუმკვისტი დაიბნა. რამდენიმე ქუჩის მოშორებით Milton Security-ში იყო და რედაქციაში შევლა დაუფიქრებლად გადაწყვიტა. ბერგერისთვის იმის ახსნა, მკვლევარ-თანაშემწედ ის გოგონა ავიყვანე, რომელმაც კომპიუტერი გამიტეხაო, რთული იქნებოდა. ამიტომ მხოლოდ მხრები აიჩეჩა და უპასუხა, სტოკჰოლმში ვანგერის საქმესთან დაკავშირებით ჩამოვედი და მალე ისევ ჩრდილოეთში ვბრუნდებიო. მერე თვითონ დაინტერესდა, ჟურნალის საქმეები როგორ მიდისო.

– ხელმომწერთა რიცხვისა და სარეკლამო შემოსავლების ზრდის მიუხედავად, ჰორიზონტზე ღრუბელი მაინც გამოჩნდა.

– ანუ?

– იანე დალმანი.

– ასეც ვიცოდი.

– აპრილში მასთან სერიოზული საუბარი მქონდა მას მერე, რაც ჰენრიკ ვანგერი ჟურნალის თანამფლობელი გახდა. არ ვიცი, იანე ბუნებითაა ასეთი უარყოფითი პიროვნება, თუ რამე სხვა აქვს ჩაფიქრებული.

– რა მოხდა?

– რატომღაც აღარ ვენდობი. ვანგერთან ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ მე და კრისტერმა ვითათბირეთ, მთელი რედაქციისთვის გვეთქვა, რომ ჟურნალს გაკოტრება აღარ ემუქრება თუ...

– მხოლოდ რამდენიმე რჩეულისთვის?

– დიახ. შეიძლება, პარანოიკი მოგეჩვენო, მაგრამ მეშინოდა, რომ დალმანი ინფორმაციას გაავრცელებდა. ამიტომ თანამშრომლებს ჩვენს ახალ თანამფლობელზე მხოლოდ იმ დღეს გავუმხილეთ, როცა პრესის წინაშე საჯარო განცხადება გაკეთდა. ეს ნიშნავს, რომ ერთი თვე ყველაფერს საიდუმლოდ ვინახავდით.

– მერე?

– თანამშრომლებმა ძალიან გაიხარეს, ყველამ – გარდა დალმანისა. ხომ იცი, მსოფლიოში უდიდესი ჟურნალი არ გვაქვს, სამი შტატიანი თანამშომელი და ერთი პრაქტიკანტი აღტაცებული ყიჟინებდა, ერთმა კი ცხვირი ჩამოუშვა, ეს ამბავი ადრე რატომ არ გაგვიმხილეთო.

– ვერ იტყვი, რომ მთლად უმიზეზოდ.

– გასაგებია, მაგრამ ყოველდღე ამის გამო წუწუნი რა საჭირო იყო? რედაქციაში სხვა თანამშრომლებსაც უფუჭებდა განწყობას. ორი კვირის შემდეგ კაბინეტში დავიბარე და პირდაპირ ვუთხარი, ეს სასიხარულო ამბავი იმიტომ არ გაგიმხილეთ, რომ მეშინოდა, სადმე წამოგცდებოდა-მეთქი.

– ეს როგორ მიიღო?

– რა თქმა უნდა, ძალიან ეწყინა. მე უკან არ დავიხიე და ულტიმატუმი წავუყენე – ან წუწუნს მოეშვი, ან არადა, სხვა სამსახური მოძებნე-მეთქი.

– და?

– აღარ წუწუნებს. მაგრამ ვიცი, რომ გულში მაინც ბრაზობს და სხვა თანამშრომლებთან ურთიერთობაც დაეძაბა. კრისტერი მას ვერ იტანს და ამას არც მალავს.

– როგორ გგონია, დალმანი ჩვენ ზურგს უკან მოქმედებს?

– არ ვიცი. სამსახურში ერთი წლის წინ ავიყვანეთ, როცა ვენერსტრომთან პრობლემები იწყებოდა. მის წინააღმდეგ არანაირი სამხილი არ მაქვს, მაგრამ რატომღაც ისეთი შეგრძნება მაქვს, რომ ჩვენთვის არ მუშაობს.

– შენს წინათგრძნობას მიენდე.

– აქლემი და გალიაო, ხომ გაგიგია. იქნებ აქაურობას ვერ ეგუება და თავის უგუნებობას სხვასაც გადასდებს?

– შეიძლება. თუმცა, იმაში გეთანხმები, რომ მისი სამსახურში აყვანისას შევცდით.

ნახევარი საათის შემდეგ ბლუმკვისტი ფროდეს ცოლის მანქანით ჩრდილოეთში ბრუნდებოდა. ეს ათი წლის „ვოლვო“ გარაჟში თითქმის ყოველთვის უქმად იდგა, ამიტომ ბლუმკვისტისთვის მისი ნებისმიერ დროს წაყვანის ნება მიეცათ.

ყურადღებიანი რომ არ ყოფილიყო, ამ ერთი შეხედვით უმნიშვნელო დეტალებს ბლუმკვისტი ალბათ ვერ შეამჩნევდა: ქაღალდები მაგიდაზე ზედმეტად მოწესრიგებულად ეწყო; თაროზე ერთი საქაღალდე ოდნავ გამოწეულიყო, ხოლო საწერი მაგიდის უჯრა, ზუსტად ახსოვდა, რომ ასე მჭიდროდ დახურული არ ყოფილა.

მის კოტეჯში ვიღაც უჩუმრად შეპარულიყო.

წასვლამდე კარი კი ჩაკეტა, მაგრამ ამ ჩვეულებრივ საკეტს ნებისმიერი სახრახნისით ადვილად გააღებდით; თანაც ამ კოტეჯის გასაღების თითო ასლი ალბათ ყველა ვანგერს ჰქონდა. გულდასმით დაათვალიერა თავისი კაბინეტი, რამე ხომ არ მოუპარავთო, მაგრამ მცირე ხანში დარწმუნდა, რომ ყველაფერი ადგილზე იდო.

თუმცა, ფაქტი ფაქტად რჩებოდა, კოტეჯში შეპარულ უცნობს საგამოძიებო მასალები და მისი ქაღალდები გადაექექა. საბედნიეროდ, კომპიუტერი თან ჰქონდა, ამიტომ მას ვერ შეამოწმებდნენ. ორი შეკითხვა გაუჩნდა: ვინ შეიპარა მის ქოხში? ან რამის გარკვევა თუ მოახერხა?

საქაღალდეებში ჰენრიკ ვანგერის საგამოძიებო მასალები ეწყო, რომელიც ციხიდან გამოსვლის შემდეგ ბლუმკვისტს ვანგერის სახლიდან ისევ თავისთან გადმოეტანა. იმ მასალებში ახალი არაფერი ეწერა. ბლუმკვისტის პირად ბლოკნოტებში გაკეთებული ჩანაწერებიდან საქმეში ჩაუხედავი პიროვნება ვერაფერს დაადგენდა, მაგრამ იქნებ ის პიროვნება საქმეში ჩახედული იყო?

მაგიდის შუაგულში საქაღალდეში ჰარიეტის დღიურიდან გადმოწერილი სახელების სია და მათი შესაბამისი ძველი აღთქმის მუხლები იდო. მისი ნახვისას უცნობი ადვილად შეიტყობდა, რომ დღიურის თავსატეხი ამოხსნეს.

„ნეტა ვინ იყო აქ?“

ჰენრიკ ვანგერი საავადმყოფოში იწვა. ანა ეჭვმიტანილად საერთოდ არ ითვლებოდა. ფროდე? მას ხომ ისედაც დეტალურად უამბო ყველაფერი. სესილია ვანგერს ფლორიდაში მოგზაურობა გადაეფიქრებინა და ლონდონიდანაც დაბრუნდა. დაც ჩამოჰყვა. ბლუმკვისტმა მას წინა დღეს მოჰკრა თვალი, როცა ხიდზე მანქანით გადადიოდა. მარტინ ვანგერი? ჰარალდ ვანგერი? ბირგერ ვანგერი? ეს უკანასკნელი ყოველწლიურ ოჯახურ შეკრებაზე დასასწრებად ჩამოვიდა. შეკრება ჰენრიკ ვანგერის საავადმყოფოში გადაყვანიდან მეორე დღეს გაიმართა და ბლუმკვისტი არ დაპატიჟეს. ალექსანდერ ვანგერი? იზაბელა ვანგერი?

ფროდეს ისევ ხომ არ წამოსცდა ვინმესთან რამე? იქნებ ნათესავებმა უკვე იცოდნენ, რომ მიქაელმა ახალ სამხილს მიაგნო?

უკვე ცხრა საათი დაწყებულიყო, როცა ჰედესტადში ზეინკალს დაურეკა და ახალი საკეტი შეუკვეთა. ზეინკალმა უთხრა, ხვალამდე ვერ მოვალო, მაგრამ ბლუმკვისტმა

შესთავაზა, ორმაგს გადაგიხდით, თუ ახლავე მოიცლითო. შეთანხმდნენ, რომ ზეინკალი თერთმეტის ნახევარზე მოვიდოდა და ახალ, ურდულიან საკეტს დაუყენებდა.

ზეინკლის მოსვლამდე ბლუმკვისტი ფროდეს ესტუმრა. მისი ცოლი სახლის უკან, ბაღში შეუძღვა და ცივი „პილსნერი“ შესთავაზა. ბლუმკვისტმა მას მადლობა გადაუხადა და ფროდეს ჰკითხა, ჰენრიკი როგორ არისო.

ფროდემ თავი გააქნია.

– ოპერაცია გაუკეთეს. კორონალური არტერიების თრომბოზი ჰქონდა. ექიმების თქმით, მომდევნო რამდენიმე დღე კრიტიკული იქნება.

რამდენიმე ხანს უხმოდ წრუპავდნენ „პილსნერს“.

– მასთან ხომ არ გილაპარაკიათ?

– არა. ჰენრიკისთვის გადაღლა არ შეიძლება. სტოკჰოლმში შეხვედრებმა როგორ ჩაიარა?

– სალანდერი თანახმაა. ეს Milton Security-ს კონტრაქტია, თქვენც უნდა მოაწეროთ ხელი.

ფროდემ დოკუმენტი ჩაიკითხა.

– ამ გოგოს მომსახურება ძვირი ჯდება, – შენიშნა მან.

– ჰენრიკი გასწვდება.

ფროდემ თავი დაუქნია, გულის ჯიბიდან ავტოკალამი ამოიღო და ხელი მოაწერა.

– კარგია, რომ ხელს ახლა ვაწერ, სანამ ჰენრიკი ცოცხალია. თუ შეიძლება, თან წაიღეთ და „კონსუმის“ მაღაზიასთან საფოსტო ყუთში ჩააგდეთ.

შუაღამისას ბლუმკვისტი საწოლში იწვა, მაგრამ ვერ იძინებდა. აქამდე მისი საქმიანობა კუნძულზე ისტორიულ კვლევას უფრო ჰგავდა, მაგრამ რაკი ვიღაცამ მის კაბინეტში შეპარვა გადაწყვიტა, ესე იგი, თავსატეხის პასუხთან უფრო ახლოს იყო, ვიდრე თვითონ ეგონა.

მერე იფიქრა, იქნებ სულ სხვა ვინმე დაინტერესდა ჩემი საქმიანობითო. ჰენრიკ ვანგერის „მილენიუმის“ თანამფლობელად გამოცხადება ვენერსტრომს უეჭველად შეაშფოთებდა. ან იქნებ ბლუმკვისტს დაეწყო პარანოია?

მიქაელი საწოლიდან წამოდგა და, შიშველი, სამზარეულოს ფანჯარასთან მივიდა. გაღმა ნაპირზე მდგარ ეკლესიას გახედა, თან სიგარეტს მოუკიდა.

ლიზბეთ სალანდერს ვერაფერი გაუგო. ასეთ უცნაურ გოგოს პირველად შეხვდა. გოგონა შუა საუბარში გაჩუმდა და რამდენიმე წუთს ხმა არ ამოუღია. ბინა დაულაგებელი და მოუწესრიგებელი ჰქონდა, სამზარეულო – წლების გამოუგველი, ტანსაცმელი იატაკზე – მიმოფანტული. ნახევარი ღამე ალბათ ბარში გაეტარებინა, დაჩქმეტილი კანი აშკარად ვნებიან ღამეზე მიუთითებდა, ღმერთმა უწყის, რამდენი ტატუ ჰქონდა, სახეზე – ორი პირსინგი (შეიძლება სხვაგანაც). მოკლედ, ნაღდად უჩვეულო ვინმე იყო.

არმანსკიმ ბლუმკვისტი დაარწმუნა, ჩვენი საუკეთესო მკვლევარიაო, თანაც, გოგონას მოხსენებიდანაც ჩანდა, რომ ის საქმეს სერიოზულად ეკიდებოდა.

სალანდერი „პაუერბუქთან“ იჯდა, მაგრამ მიქაელ ბლუმკვისტზე ფიქრობდა. მანამდე მისი კარის ზღრუბლზე დაუპატიჟებლად თითქმის არავის გადმოებიჯებინა, ხოლო ვინც გადმოაბიჯა, იმას ცალ ხელზე ჩამოთვლიდა. ბლუმკვისტი კი არხეინად შეიჭრა მის ცხოვრებაში და მან წინააღმდეგობა ვერ გაუწია.

ის კი არა, ბლუმკვისტი კარგა ხანს უდარდელად ეხუმრებოდა კიდეც.

სხვა დროს სალანდერი ჩახმახშეყენებულ თოფს დაემსგავსებოდა, მაგრამ ბლუმკვისტის მხრიდან იოტისოდენა საფრთხეც ვერ იგრძნო. ბლუმკვისტს თავისუფლად შეეძლო მისი პოლიციაში დაბეზღება, მაგრამ მან კომპიუტერის გატეხის ფაქტი ხუმრობაში გაატარა.

ეს მათი საუბრის ყველაზე საჩოთირო თემა იყო. ბლუმკვისტი სპეციალურად თავს არიდებდა ამ საკითხზე საუბარს, მაგრამ ბოლოს თავად სალანდერმა დაუსვა კითხვა:

– შენ მითხარი, ვიცი, რაც ჩაიდინეო.

– შენ ჩემი კომპიუტერი გატეხე. ჰაკერი ხარ.

– ეს როგორ გაიგე? – სალანდერი სრულიად დარწმუნებული იყო, რომ არანაირი კვალი არ დაუტოვებია; რომ სხვის კომპიუტერში მის არალეგალურ შეჭრას მხოლოდ უსაფრთხოების სპეციალისტი შეამჩნევდა, ისიც იმ შემთხვევაში, თუ მყარი დისკის სკანირებას ბლუმკვისტის კომპიუტერში სალანდერის ძრომიალისას დაიწყებდა.

– შეცდომა დაუშვი.

თურმე იმ ტექსტის ციტატა გაეკეთებინა, რომელიც მხოლოდ ბლუმკვისტის კომპიუტერში ინახებოდა.

სალანდერი ჩუმად იჯდა. ბოლოს თავი ასწია და უემოციო მზერა მიაპყრო კაცს.

– ეს როგორ მოახერხე? – დაინტერესდა ბლუმკვისტი.

– ჩემი საიდუმლოა. ახლა რას აპირებ?

მიქაელმა მხრები აიჩეჩა.

– მე რა შემიძლია?

– ჰო, ჟურნალისტებს ასე გჩვევიათ.

– დიახ, და ამიტომაც არსებობს ჟურნალისტური ეთიკის კომიტეტი, რომელიც ჟურნალისტების საქმიანობის მორალურ მხარეს აკონტროლებს. მაგალითად, როცა მე საბანკო სფეროში მომუშავე რომელიმე ნაბიჭვარზე სტატიას ვწერ, მის პირად ცხოვრებაზე არაფერს ვამბობ. არ ვწერ, რომ ის თაღლითი ლესბოსელია ან საკუთარი ძაღლის დანახვაზე აღეგზნება, თუნდაც ეს სიმართლე იყოს. ნაბიჭვრებსაც აქვთ პირადი ცხოვრება. ხვდები, რასაც ვგულისხმობ?

– დიახ.

– შენს ჩემს პირად ცხოვრებაში შეიჭერი. ჩემს დამსაქმებელს იმის ცოდნა არ სჭირდება, მე ვისთან მაქვს სექსი. ეს მხოლოდ ჩემი საქმეა.

სალანდერმა ალმაცერად გაიღიმა.

– ფიქრობ, რომ ეს არ უნდა მეხსენებინა?

– ჩემს შემთხვევაში ამას დიდი მნიშვნელობა არ ჰქონია. ნახევარმა ქალაქმა იცის ერიკასთან ჩემი ურთიერთობის შესახებ, მაგრამ მაინც პრინციპის საკითხია.

– მაშინ, გაგაკვირვებ და გეტყვი, რომ მეც მაქვს ჩემი პრინციპები. მათ „სალანდერის პრინციპებს“ ვუწოდებ. ერთ-ერთის მიხედვით, ნაბიჭვარი ყოველთვის ნაბიჭვრად რჩება და თუკი მისი ბინძური თეთრეულის ამოქექვა შემიძლია, ამას სიამოვნებით ვაკეთებ.

– კარგი, – თქვა ბლუმკვისტმა, – მგონი, ჩვენი პრინციპები დიდად არ განსხვავდება ერთმანეთისგან, მაგრამ...

– როცა ვინმეზე პირად ინფორმაციას ვაგროვებ, ამ პიროვნებაზე ჩემი შეხედულებაც მიყალიბდება. მე ნეიტრალური ვერ დავრჩები. თუ პიროვნება მესიმპათიურება, მაშინ ჩემი მოხსენების ტონიც შედარებით რბილდება.

– მართლა?

– შენს შემთხვევაშიც ასე მოხდა. შენს სექსუალურ ცხოვრებაზე მთელი წიგნის დაწერა შემეძლო. შემეძლო ფროდესთვის მეთქვა, რომ ერიკა ბერგერი Club Xtreme-ის წევრი იყო და ოთხმოციან წლებში BDSM-ით ერთობოდა – რაც თქვენი სექსუალური ურთიერთობიდან გამომდინარე, შენს მიმართაც გააჩენდა გარკვეულ ეჭვებს.

ბლუმკვისტმა სალანდერს შეხედა. წუთის შემდეგ გაეცინა.

– ძალიან დაკვირვებული ყოფილხარ. ამის შესახებ შენს მოხსენებაში რატომ არ დაწერე?

– თქვენ ზრდასრული ადამიანები ხართ და ერთმანეთი მოგწონთ. საწოლში რაც თქვენ ორს შორის ხდება, არავის საქმე არაა. ეს რომ მოხსენებაში ჩამეწერა, ორივეს მხოლოდ გულს დაგწყვეტდით ან ვინმეს თქვენი დაშანტაჟების საშუალებას მივცემდი. ფროდეს არ ვიცნობ – ხომ შეიძლებოდა, ეს ინფორმაცია ვენერსტრომისთვის გადაეცა.

– არ გინდოდა, რომ ასე მომხდარიყო?

– თქვენ შორის რომ მომიწიოს არჩევანის გაკეთება, უთუოდ შენ აგირჩევდი.

– მე და ერიკას... ჩვენი ურთიერთობა...

– სულ ფეხებზე მკიდია, თქვენ რა ურთიერთობა გაქვთ. კითხვაზე არ მიპასუხე: შენი კომპიუტერი გავტეხე. ახლა რას აპირებ?

– ლიზბეთ, მე შენს დასაშანტაჟებლად არ მოვსულვარ. მინდა, დამეხმარო. შეგიძლია სამუშაოს დათანხმდე, შეგიძლია – არა. თუ არ დათანხმდები, სხვა ვინმეს მოვძებნი და აღარასდროს შეგაწუხებ.

თავი XIX

ხუთშაბათი, 19/VI – კვირა, 29/VI

ჰენრიკ ვანგერის გადარჩენის მოლოდინში, ბლუმკვისტი დროს უქმად არ კარგავდა და მასალების დამუშავებას აგრძელებდა. ფროდესთან მუდმივ კონტაქტში იყო. ხუთშაბათს მოხუცმა ადვოკატმა ამბავი მოუტანა, კრიზისულმა მდგომარეობამ უკვე გადაიარაო.

– დღეს რამდენიმე წუთით ჰენრიკთან გამოლაპარაკება შევძელი. რაც შეიძლება მალე სურს შენი ნახვა.

ამგვარად ივანობის წინადღეს, ბლუმკვისტი ჰედესტადის საავადმყოფოში მივიდა და ჰენრიკ ვანგერის პალატა მოძებნა. დერეფანში ბირგერ ვანგერი გადაეღობა, ჰენრიკთან მნახველები არ დაიშვებიანო.

– მაგრამ, თვითონ ჰენრიკმა დამიბარა, დღესვე უნდა გელაპარაკოო, – აუხსნა ბლუმკვისტმა.

– თქვენ ოჯახის წევრი არ ხართ და აქ არაფერი გესაქმებათ.

– დიახ, მე ოჯახის წევრი არ ვარ, მაგრამ ჰენრიკ ვანგერთან ვმუშაობ და მხოლოდ მის ბრძანებას ვემორჩილები.

მათი საუბარი ალბათ ცხარე კამათში გადაიზრდებოდა, მაგრამ, საბედნიეროდ, პალატიდან ფროდე გამოვიდა.

– მიქაელ, კარგია, რომ მოხვედით. ზუსტად ახლახან ჰენრიკი გკითხულობდათ.

ფროდემ პალატის კარი შეაღო და ბლუმკვისტი ბირგერის გვერდის ავლით შიგნით შევიდა.

ვანგერი თითქოს ათი წლით დაბერებულიყო. თვალები ნახევრად მოეხუჭა, ცხვირში ჟანგბადის მილი ედო და თმა ადრინდელზე უფრო აწეწვოდა. ექთანმა ბლუმკვისტი გააფრთხილა:

– მხოლოდ ორი წუთი გაქვთ, მეტი – არა. ნუ ააღელვებთ.

ბლუმკვისტი საწოლთან სკამზე ჩამოჯდა. უჩვეულო სიბრალული იგრძნო მოხუცის მიმართ და ხელზე ხელი ნაზად მოუჭირა.

– სიახლეა რამე? – უღონოდ ჰკითხა მოხუცმა.

ბლუმკვისტმა თავი დაუქნია.

– როგორც კი გამოკეთდებით, მაშინვე მოგიყვებით. ჯერ საქმე არ გამიხსნია, მაგრამ რამდენიმე ახალ კვალს მივაგენი. ერთ-ორ კვირაში ალბათ შედეგების თქვენთვის გაცნობის საშუალებაც მექნება.

ჰენრიკ ვანგერმა მხოლოდ თვალების დახამხამება შეძლო იმის ნიშნად, ყველაფერი გასაგებიაო.

– რამდენიმე დღით ჰედებიდან გავდივარ.

ჰენრიკმა წარბები შეჭმუხნა.

– სამუშაოს თავს არ ვანებებ. რაღაცეები მაქვს გასარკვევი. მე და დირკი შევთანხმდით და გამოძიების შედეგებს მას მოვახსენებ ხოლმე. წინააღმდეგი ხომ არ ხართ?

– დირკი... ყველანაირად... ჩემი ერთგულია...

ბლუმკვისტმა ისევ მოუჭირა მოხუცს ხელზე ხელი.

– მიქაელ... მე რომც ვერ... მინდა... საქმე ბოლომდე მიიყვანო.

– აუცილებლად მივიყვან.

– დირკს ყველანარი უფლება აქვს...

– ჰენრიკ, მინდა, რომ გამოკეთდეთ. როგორც იქნა, საქმე დაიძრა და ახლა თქვენი სიკვდილის დრო არაა.

– ორი წუთი ამოიწურა, – შეახსენა ბლუმკვისტს ექთანმა.

– კიდევ გინახულებთ და მაშინ უფრო დიდხანს ვისაუბრებთ.

ბირგერ ვანგერმა, რომელიც დერეფანში ელოდა ბლუმკვისტს, მხარზე ხელის დადებით შეაჩერა.

– ჰენრიკის შესაწუხებლად აღარ მოხვიდეთ. ის ძალიან ცუდადაა და მისი აღელვება ან გადაღლა არ შეიძლება.

– მესმის, რომ მასზე დარდობთ, მაგრამ მე მის აღელვებას არ ვაპირებ.

– ვიცი, რომ ჰენრიკმა თავის პატარა ჰობიში... ჰარიეტის საქმის გამოძიებაში ჩაგითრიათ. დირკმა თქვა, რომ გულის შეტევის წინა დღეს რაღაც უამბეთ. სხვათა შორის, თქვენ დაგაბრალათ გულის შეტევა.

– მე ასე აღარ ვფიქრობ. ჰენრიკს კორონარული არტერიების თრომბოზი ჰქონდა. ნამცხვრის ნამცეცი რომ გადასცდენოდა, შეიძლება, მაშინაც დამართნოდა გულის შეტევა. დარწმუნებული ვარ, ეს თქვენც იცით.

– ყველაფერი უნდა გავიგო ამ სულელურ საქმეზე. თქვენ ჩემი ოჯახის ცხოვრებაში იქექებით.

– უკვე გითხარით, მე ჰენრიკ ვანგერთან ვმუშაობ და არა – ოჯახთან.

ბირგერ ვანგერი აშკარად მიუჩვეველი იყო ასეთ წინააღმდეგობას. წუთით ისე მიაშტერდა ბლუმკვისტს, გასივებულ ლოსს რომ არ ჰგვანებოდა, ჟურნალისტი მის მიმართ ალბათ კრძალვით განეწყობოდა. მერე ბირგერი დემონსტრაციულად შეტრიალდა და პალატაში შევიდა.

ბლუმკვისტმა გაცინებისგან თავი ძლივს შეიკავა. დერეფანში სიცილ-ხარხარის ადგილი არ იყო – იქვე, პალატაში, ჰენრიკ ვანგერი სიკვდილს ებრძოდა. ბლუმკვისტს ლენარდ ჰილანდის საბავშო ლექსი გაახსენდა ანბანის ასო „ლ“ -ზე:

„ხშირ ტყეში იდგა ლოსი ეული,

მოცინარი და გაღიმებული“.

საავადმყოფოს ვესტიბიულში სესილია ვანგერს შეეჩეხა. მას მერე, რაც მოგზაურობა შეწყვიტა და ჰედებიზე დაბრუნდა, ბლუმკვისტმა მობილურით სცადა მასთან დარეკვა, მაგრამ ქალი მის ზარებს არ პასუხობდა. რამდენჯერმე სახლშიც მივიდა მასთან, მაგრამ სესილია არც ერთხელ არ დახვდა შინ.

– გამარჯობა, სესილია, – მიესალმა ბლუმკვისტი, – ძალიან ვწუხვარ ჰენრიკის გამო.

– გმადლობ, – უთხრა სესილიამ.

– უნდა ვილაპარაკოთ.

– მაპატიე, რომ თავიდან ასე უხეშად მოგიშორე. ალბათ ძალიან ბრაზობ ჩემზე, მაგრამ არც მე ვარ უკეთეს დღეში.

– არასწორად გამიგე, სესილია. შენზე სულაც არ ვბრაზობ, – მიქაელი მკლავზე შეეხო და გაუღიმა, – ჯერაც იმედი მაქვს, რომ მეგობრებად დავრჩებით. ყავა ხომ არ დაგველია? – საავადმყოფოს ბუფეტისკენ ანიშნა.

– დღეს არა, – შეყოყმანდა სესილია, – ახლა ჰენრიკი უნდა ვინახულო.

– კარგი, მაგრამ შენთან მაინც სალაპარაკო მაქვს. მხოლოდ საქმეზე.

– საქმეზე? – მაშინვე დაიძაბა ქალი.

– გახსოვს იანვარში პირველად რომ მოხვედი ჩემს ქოხში და ერთმანეთი გავიცანით? მაშინ გითხარი, რომ ჩვენს საუბარს არ ჩავიწერდი და თუკი შენგან მართლა მომინდებოდა რამის გაგება, პირდაპირ მოგმართავდი. ჰარიეტის საქმეზე უნდა გკითხო რაღაც.

უეცრად სესილია ვანგერი სიბრაზისგან წამოწითლდა.

– ნამდვილი ნაგავი ყოფილხარ.

– სესილია, რაღაცეები დავადგინე, რაზეც შენი პასუხი მაინტერესებს.

სესილიამ ერთი ნაბიჯით უკან დაიხია.

– ვერ ხვდები, რომ ამ წყეული ჰარიეტის ძიება ჰენრიკისთვის მხოლოდ შრომითი თერაპიაა? ისედაც სულს ღაფავს და კიდევ აღელვება და ფუჭი იმედების მიცემა სჭირდება?

– შესაძლოა, ეს ჰენრიკის ჰობია, მაგრამ საქმემ მრავალი წლის განმავლობაში პირველად წაიწია წინ. აუცილებელია, რამდენიმე შეკითხვას პასუხი გაეცეს.

– თუ ჰენრიკი მოკვდება, ეს ძიება მაშინვე დასრულდება და სხვის ცხოვრებაში ქექვასაც მორჩები, – მიახალა სესილიამ და წავიდა.

ქალაქში ყველა დაწესებულება დაიკეტა. ჰედესტადი თითქმის დაცარიელდა. ადგილობრივი მცხოვრებლები თავ-თავიანთ აგარაკებზე გაიკრიფნენ ივანობის დღესასწაულის აღსანიშნავად. ბლუმკვისტი ჰედესტადის სასტუმროს რესტორანში შევიდა, ყავა და სენდვიჩები შეუკვეთა და გაზეთი გადაშალა, მაგრამ მსოფლიოში საინტერესო არაფერი ხდებოდა.

ბლუმკვისტმა გაზეთი განზე გადადო და სესილია ვანგერზე დაფიქრდა. მას ჯერ არავისთვის ეთქვა – გარდა სალანდერისა – რომ ჰარიეტის საძინებელში ფანჯარა სესილიამ გააღო. ბლუმკვისტს არ სურდა, სესილია მთავარი ეჭვმიტანილი გამხდარიყო, მაგრამ ადრე თუ გვიან სესილიასთვის ამის შესახებ აუცილებლად უნდა ეკითხა.

ტერასაზე თითქმის ერთ საათს იჯდა, სანამ არ გადაწყვიტა, ერთი დღით მაინც დაევიწყებინა ვანგერების ოჯახი და რამე გასართობი მოეძებნა. მობილური დუმდა. ბერგერი ალბათ თავის ქმართან ერთად ერთობოდა სადმე.

ბლუმკვისტი ჰედების კუნძულზე შუადღის ოთხ საათზე დაბრუნდა და კიდევ ერთი რამ გადაწყვიტა – აღარ მოეწია. ჯარის შემდეგ სპორტით აქტიურად იყო დაკავებული და დილაობით სოდერ მალარსტრანდზეც დარბოდა, მაგრამ ვენერსტრომთან ომის

შემდეგ ფორმიდან ამოვარდა. რულაკერის ციხეში ისევ მოინდომა ვარჯიში და სიმძიმეების აწევა დაიწყო. ციხიდან გამოსვლის შემდეგ კი კვლავ შეწყვიტა; ახლა ისევ ფორმის დაბრუნების დრო იყო. სპორტული სამოსი ჩაიცვა და გოტფრიდის ქოხისკენ ზანტად გაძუნძულდა, იქიდან „ციხესიმაგრისკენ“ მიმავალ ოღროჩოღრო ბილიკზე გადავიდა. ბლუმკვისტი ჯერ კიდევ ჯარის დროიდან ყოველთვის ტყის უსწორმასწორო ბილიკზე სირბილს არჩევდა. ოსტერგორდენის ღობის გასწვრივ სირბილით დაბრუნდა სოფელში. სახლის ზღურბლს რომ გადააბიჯა, სულს ძლივს ითქვამდა და კუნთები სტკიოდა.

ექვს საათზე შხაპი მიიღო. კარტოფილი მოხარშა და მდოგვიანი ქაშაყი ხახვითა და კვერცხით გარეთ გაიტანა. მაგიდას მიუჯდა, აკვავიტე ჩამოისხა და თავის თავი ადღეგრძელა. მერე ველ მაკდარმიდის დეტექტივი „მომღერალი ქალთევზები“ გადაშალა.

საღამოს შვიდ საათზე ფროდე ესტუმრა და მის წინ სავარძელში მძიმედ ჩაჯდა. ბლუმკვისტმა მასაც დაუსხა აკვავიტე.

– დღეს ბევრი ვინმე გაანაწყენეთ, – თქვა ფროდემ.

– ვიცი.

– ბირგერი თავმომწონე ყეყეჩია.

– მეც შევამჩნიე.

– აი, სესილია ყეყეჩი სულაც არაა და ძალიან განაწყენებულია.

მიქაელმა თავი დაუქნია.

– ასე მითხრა, ბლუმკვისტს გადაეცი, რომ ოჯახის საქმეებში ცხვირის ჩაყოფა შეწყვიტოსო.

– გასაგებია. თქვენ რა უპასუხეთ?

ფროდემ თავის სირჩა ერთ ყლუპად გამოცალა.

– მე ვუპასუხე, რომ ჰენრიკმა პირდაპირი ინსტრუქციები მომცა თქვენს თაობაზე. სანამ ჰენრიკი ამ ინსტრუქციებს არ შეცვლის, კონტრაქტის პირობების შესაბამისად გააგრძელებთ მუშაობას. იმედი მაქვს, თქვენს მოვალეობას პირნათლად შეასრულებთ.

ბლუმკვისტმა ცას ახედა. ღრუბლები გროვდებოდა.

– ქარიშხალი ახლოვდება, – თქვა ფროდემ, – თუ გაძლიერდება, ჩემი მხარდაჭერა დაგჭირდებათ.

– გმადლობთ.

კარგა ხანს ჩუმად ისხდნენ.

– შეიძლება კიდევ დამისხათ? – ითხოვა ბოლოს ფროდემ.

ფროდე ახალი წასული იყო, როცა ქოხის წინ მარტინ ვანგერის მანქანა გაჩერდა. მან მიქაელი მოიკითხა. ბლუმკვისტმაც დღესასწაულის ბედნიერად გატარება უსურვა და სასმელი შესთავაზა.

– არა, გმადლობ. ტანსაცმლის გამოსაცვლელად დავბრუნდი, საღამოს ევასთან მივდივარ.

ბლუმკვისტს არაფერი უთქვამს. იცდიდა, როდის ეტყოდა მარტინი იმას, რისთვისაც მოვიდა.

– სესილიას ველაპარაკე. ბოლო დროს ცოტათი ანერვიულებულია – ის და ჰენრიკი ერთმანეთთან ყოველთვის ახლოს იყვნენ. იმედია, აპატიებ, თუ რამე... უსიამოვნოს გეტყვის.

– სესილია ძალიან მომწონს.

– ვიცი, მაგრამ ცოტა ჭირვეულია. მინდა, იცოდე, რომ არ სიამოვნებს, ჩვენს წარსულში რომ იქექები.

ბლუმკვისტმა ამოიოხრა. ესე იგი, უკვე მთელმა ჰედესტადმა იცოდა, ჰენრიკმა რისთვისაც დაიქირავა.

– შენ რას ფიქრობ?

– წლებია, ჰენრიკი ჰარიეტის საქმითაა გატაცებული. არ ვიცი... ჰარიეტი ჩემი და იყო, მაგრამ ყველაფერი შორეულ წარსულში მოხდა. დირკი ამბობს, კონტრაქტია გაფორმებული, რომლის გაუქმებაც მხოლოდ ჰენრიკს შეუძლიაო. ამ მდგომარეობაში კი ამის დაძალება ალბათ უფრო ცუდ შედეგს მოიტანს, ვიდრე კარგს.

– მაშ, მუშაობა გავაგრძელო?

– რამე გაარკვიე?

– მაპატიე, მარტინ, მაგრამ, შეთანხმების თანახმად, ჰენრიკის ნებართვის გარეშე ვერაფერს გაგიმხელ.

– გასაგებია, – გაეღიმა მარტინს, – ჰენრიკი კონსპირაციების მოყვარულია. მხოლოდ ის არ მინდა, რომ ფუჭი იმედი შთაუნერგო.

– ამას არ ვიზამ.

– კარგი... ჰო, სხვათა შორის, სხვა საკითხზეც უნდა გელაპარაკო. ჰენრიკის ჯანმრთელობის გათვალისწინებით, მისი ადგილი „მილენიუმის“ დირექტორთა საბჭოში მე უნდა დავიკავო. ასე რომ, კონტრაქტს უნდა გადავხედოთ.

მიქაელს არც ამჯერად უთქვამს რამე.

– ალბათ საბჭოს შეკრება მოგვიწევს.

– კარგი იდეაა. მაგრამ, როგორც ვიცი, მორიგი შეხვედრა აგვისტოში უნდა გამართულიყო.

– ვიცი, მაგრამ აჯობებს, უფრო ადრე გადმოვიტანოთ.

ბლუმკვისტმა თავაზიანად გაუღიმა.

– ეს სხვასთან უნდა შეათანხმო. მე საბჭოს წევრი არ ვარ. დეკემბერში მოვალეობის შესრულებაზე უარი ვთქვი. ერიკა ბერგერს დაუკავშირდი, მან უკვე იცის, რომ ჰენრიკი ცუდად გახდა.

მარტინ ვანგერი ასეთ პასუხს არ ელოდა.

– მართალი ხარ. მას დაველაპარაკები, – მან ბლუმკვისტს მხარზე ხელი მოუთათუნა, გამოემშვიდობა და წავიდა.

კონკრეტული არაფერი თქმულა, მაგრამ შეფარულმა მუქარამ გაიჟღერა. მარტინ ვანგერმა „მილენიუმის“ ბედი სასწორზე დადო. წუთის შემდეგ ბლუმკვისტმა სირჩა ისევ შეივსო და ველ მაკდერმიდის დეტექტივს მიუბრუნდა.

ცოტა ხანში წითური კატა გამოჩნდა და მისალმების ნიშნად ფეხზე გაეხახუნა. ბლუმკვისტმა კატა ხელში აიყვანა და მოეფერა.

– მე და შენ ივანობის დღესასწაულზე მარტონი დავრჩით, – უთხრა კატას.

გაწვიმდა. ბლუმკვისტი შინ შევიდა და დაწვა. კატამ ეზოში დარჩენა ამჯობინა.

სალანდერმა სარდაფიდან თავის „კავასაკი“ გამოიყვანა და ივანობის წინადღე მთლიანად მის შეკეთებას დაუთმო. „კავასაკი“ 125 კუბური სანტიმეტრის მოცულობიანი ძრავით, შესაძლოა, მსოფლიოში უმაგრესი მოტოციკლეტი არ იყო, მაგრამ სალანდერს ეკუთვნოდა და მას თავისუფლად დაშლიდა და ააწყობდა. მან კარგა ხნის ჩხირკედელაობის შემდეგ მოტოციკლეტის შესაძლებლობები მაქსიმალურად გაზარდა.

ნაშუადღევს ჩაფხუტი დაიხურა, ტყავის ქურთუკი ჩაიცვა და „აპელვიკენის პანსიონატში“ წავიდა. მთელი საღამო დედასთან ერთად ბაღში სეირნობდა. თავი დამნაშავედ იგრძნო, რადგან დედამისი კიდევ უფრო გაუცხოებულიყო მის მიმართ.

სამი საათის განმავლობაში მხოლოდ რამდენიმე სიტყვა უთხრეს ერთმანეთს და მაშინაც დედამისს ისეთი სახე ჰქონდა, თითქოს არ იცოდა, ვის ელაპარაკებოდა.

ბლუმკვისტმა ფოტოზე ნანახი AC3 ნომრიანი მანქანის მარკის დადგენას რამდენიმე დღე შეალია. ბევრი ჯახირისა და ჰედესტადში პენსიონერ ავტომექანიკოსთან გასაუბრების შემდეგ დაასკვნა, რომ ეს „ფორდ ანგლია“ იყო – მოდელი, რომელიც ადრე არ ენახა. ავტომანქანათა რეგისტრაციის განყოფილებაში ოფიცერს 1966 წელს რეგისტრირებული ყველა „ფორდ ანგლიის“ სიის მოცემა სთხოვა, რომელთა ნომრებიც AC3-ით იწყებოდა. ოფიცერმა უპასუხა, რომ ძველი არქივების გადათვალიერება კი შეიძლება, მაგრამ დრო დასჭირდებაო; ისიც სთხოვა, ყოველი შემთხვევისთვის გაითვალისწინეთ, რომ ასეთი ინფორმაციის საჯაროდ გავრცელება მაინცდამაინც მიღებული არაა.

ივანობიდან რამდენიმე დღის შემდეგ ბლუმკვისტი ნათხოვარი „ვოლვოთი“ E4-ე გზატკეცილს ჩრდილოეთისკენ გაუყვა. ნელა მიდიოდა. ჰარნოსანდის ხიდთან შეისვენა და ვესტერლუნდის საკონდიტროში ყავა დალია.

შემდეგი გაჩერება უმეო იყო. მოტელში ისადილა. იქვე საგზაო რუკა იყიდა და შელეფტეოსთან ნორშესკენ გადაუხვია. ქალაქში საღამოს ექვს საათზე ჩავიდა და სასტუმრო „ნორშეში“ დაბინავდა.

ძიება მომდევნო დილით ადრიანად დაიწყო. „ნორშეს სადურგლო“ სატელეფონო ცნობარში აღნიშნული არ იყო. სასტუმროს მიმღებში ახალგაზრდა ადმინისტრატორმა გოგონამ უთხრა, მსგავს სადურგლოზე არაფერი მსმენიაო.

– ვის შეიძლება ვკითხო?

გოგონა კარგა ხანს ფიქრობდა. ბოლოს სახე გაუნათდა და წამოიძახა, მამაჩემს დავურეკავო. ორ წუთში ბლუმკვისტს პასუხი მოუტანა, „ნორშეს სადურგლო“ ოთხმოციანების მიწურულს დახურულა და თუ რამე გაინტერესებთ, სოლვანდანის ქუჩაზე მცხოვრებ ვინმე ბორმანს ჰკითხეთ, რომელიც სადურგლოს ხელმძღვანელი იყოო.

პატარა ქალაქ ნორშეს ერთადერთი მთავარი ქუჩა ჰქონდა – სტურგატანი, რომელიც დასახლებას შუაზე ჰყოფდა. ქუჩის ერთ მხარეს მაღაზიები და სავაჭრო დაწესებულებები მდებარეობდა, მეორე მხარეს – საცხოვრებელი ბინები. ქალაქის აღმოსავლეთ კიდეში სამრეწველო რაიონი და საჯინიბო იყო, დასავლეთით – უჩვეულოდ ლამაზი ხის ეკლესია. ბლუმკვისტმა ბლოკნოტში ჩაინიშნა, რომ ქალაქს მისიონერების და ორმოცდაათიანელების ეკლესიებიც ჰქონდა. ავტობუსის გაჩერებასთან დაფაზე ნადირობისა და სათხილამურო სპორტის სარეკლამო პოსტერი ეკიდა. მის გვერდით, ნახევრად გაცრეცილ აფიშაზე აღნიშნული იყო, რომ ზეიმზე ქალაქში ვერონიკა იმღერებდა. ქალაქის ერთი ბოლოდან მეორემდე მისვლას ოც წუთზე მეტი არ სჭირდებოდა.

სოლვადანის ქუჩაზე მხოლოდ კერძო სახლები იდგა და სასტუმროდან სულ ხუთი წუთის სავალზე იყო. ბლუმკვისტმა ბორმანის სახლის კარზე დარეკა, მაგრამ არავინ გაუღო. უკვე დილის ათის ნახევარი იყო და იფიქრა, ალბათ ბორმანი სამსახურშია ან თუ პენსიაზეა, საქმეზეა წასულიო.

სტორგატანზე კავეულის მაღაზიაში შეიარა იმ იმედით, ნორშეს მცხოვრები ადრე თუ გვიან აუცილებლად ამ მაღაზიაში შემოივლისო. მაღაზიაში ორი გამყიდველი იმყოფებოდა. ბლუმკვისტი უფროს, დაახლოებით ორმოცდაათი წლის კაცთან მივიდა.

– გამარჯობა. ვეძებ წყვილს, რომელიც, შესაძლოა, სამოციან წლებში ნორშეში ცხოვრობდა. კაცი, მგონი, „ნორშეს სადურგლოში“ მუშაობდა. მათი სახელები არ ვიცი, მაგრამ 1966 წელს გადაღებული მათი ორი ფოტო მაქვს.

გამყიდველი კარგა ხანს ათვალიერებდა ფოტოებს, მაგრამ ბოლოს თავი გააქნია, ვერც კაცს ვცნობ და ვერც – ქალსო.

ბლუმკვისტმა ავტობუსის გაჩერებასთან ჯიხურში ჰოთ-დოგი იყიდა. მაღაზიებს შეეშვა და მუნიციპალურ დაწესებულებაში, ბიბლიოთეკასა და აფთიაქში შეიარა. პოლიციის განყოფილება ცარიელი დახვდა, ამიტომ მოხუცების გამოკითხვა დაიწყო. ნაშუადღევს ქუჩაში ორ ქალს შეხვდა. ვერც მათ ამოიცნეს ფოტოებზე გამოსახული პიროვნებები, მაგრამ კარგი იდეა მიაწოდეს.

– თუ სურათები 1966 წელს გადაიღეს, დღეს ეს ხალხი სამოცს გადაცილებული იქნება. იქნებ სოლბაკაზე მოხუცთა პანსიონატში მიხვიდეთ და იქ იკითხოთ?

პანსიონატში ბლუმკვისტმა ადმინისტრატორ ქალს აუხსნა, რომ ორ პიროვნებას ეძებდა. ქალი თავიდან ეჭვით უყურებდა, მაგრამ შემდეგ საერთო ოთახში შეუძღვა და მოხუცების გამოკითხვის ნება მისცა. მოხუცებს ფოტოების დათვალიერებაზე უარი არ უთქვამთ, მაგრამ წყვილი ვერც ერთმა ვერ იცნო.

ხუთ საათზე სოლვადანზე დაბრუნდა და ბორმანის კარზე ისევ დააკაკუნა. ამჯერად ბედმა გაუღიმა – პენსიონერი ცოლ-ქმარი ბორმანები შინ დახვდნენ და ბლუმკვისტი შინ შეიპატიჟეს. სანამ ცოლი ყავას ამზადებდა, ბლუმკვისტი ბორმანს უხსნიდა, რაც სჭირდებოდა. სამწუხაროდ, ამჯერადაც ხელი მოეცარა. ბორმანმა კეფა მოიქექა, ჩიბუხი გააბოლა და თქვა, ფოტოზე აღბეჭდილი წყვილს ვერ ვცნობო. ბორმანები ნორშეულ დიალექტზე საუბრობდნენ და ბლუმკვისტს მათი წესიერად არ ესმოდა. ცოლმა სურათის თვალიერებისას რაღაც თქვა, მაგრამ ბლუმკვისტმა ვერ გაიგო. გაიფიქრა, ალბათ ქალის „ხუჭუჭა თმა“ იგულისხმაო.

– ეს სტიკერი აშკარად „ნორშეს სადურგლოსია“, – აღნიშნა ქმარმა, – ზუსტად ამოგიცნიათ. ოღონდ პრობლემა ისაა, რომ ამ სტიკერებს ყველას ვურიგებდით: თანამშრომლებს, მემანქანეებს, ხე-ტყის მომწოდებლებს და კლიენტებს.

– გამოდის, ამ წყვილის მოძებნა უფრო გაძნელდება, ვიდრე მეგონა.

– რატომ ეძებთ ამ ხალხს?

ბლუმკვისტს წინასწარ გადაეწყვიტა, რომ სიმართლე არავისთვის დაემალა. ყალბი ისტორია ყველას დააბნევდა და ალბათ არადამაჯერებლადაც გაიჟღერებდა.

– გრძელი ამბავია. 1966 წელს ჰედესტადში მომხდარ დანაშაულს ვიძიებ. არსებობს იმის მცირე შანსი, რომ ფოტოზე გამოსახულმა ამ წყვილმა დაინახა, რაც მოხდა. ეჭვმიტანილები არ არიან და სიმართლე გითხრათ, პირადად მე დიდად არც მჯერა, რომ მათი მეშვეობით რამეს დავადგენ.

– დანაშაული? რა დანაშაული?

– მაპატიეთ, მაგრამ დაკონკრეტება არ შემიძლია. ვიცი, დაუჯერებელი ჩანს, რომ თითქმის ორმოცი წლის შემდეგ ამ წყვილის მოსაძებნად ვიღაც გამოჩნდა, მაგრამ დანაშაული ჯერაც გაუხსნელია, ხოლო საქმეში ახალი ფაქტები გაჩნდა.

– გასაგებია. მართლაც რთული და უჩვეულო დავალება გქონიათ.

– სადურგლოში სულ რამდენი ადამიანი მუშაობდა?

– დაახლოებით ორმოცი მუშა. სადურგლოში ორმოცდაათიანების შუაში ჩვიდმეტი წლისა მივედი და დახურვამდე იქ ვმუშაობდი, ბოლოს, გადამზიდავი გავხდი, – ბორმანი წუთით დაფიქრდა, – იმის თქმა დანამდვილებით შემიძლია, რომ ამ კაცს ჩვენთან არასდროს უმუშავია. რომ ემუშავა, აუცილებლად ვიცნობდი. თუმცა, შეიძლება მამამისი ან რომელიმე ნათესავი მუშაობდა სადურგლოში და ეს მანქანაც მისი იყო.

– ყველაფერი შესაძლებელია, – თავი დაუქნია ბლუმკვისტმა, – ხომ ვერ მეტყვით, ვის შეიძლება დახმარებისთვის მივმართო?

– დიახ, – უთხრა ბორმანმა, – ხვალ დილით მოდით და ყოფილ თანამშრომლებთან მე გაგყვებით.

სალანდერი მნიშვნელოვანი მეთოდოლოგიური პრობლემის წინაშე აღმოჩნდა. შეეძლო ნებისმიერ ვინმეზე გამოექექა ინფორმაცია, მაგრამ ჯერ იმ პიროვნების სახელი ან პირადობის ნომერი სჭირდებოდა. თუ პიროვნება რომელიმე ელექტრონულ მონაცემთა ბაზაში იყო დარეგისტრირებული, ის უეჭველად სალანდერის ქსელში გაებმებოდა ხოლმე. თუკი პიროვნებას ინტერნეტი, ელფოსტა ან საკუთარი ვებგვერდი ჰქონდა (სალანდერს კი კვლევის ობიექტებად უმეტესად ასეთებს ურჩევდნენ), ადრე თუ გვიან, მის ყველაზე დიდ საიდუმლოსაც კი გაიგებდა.

ბლუმკვისტისთვის კი სრულიად განსახვავებული სამუშაო უნდა შეესრულებინა – ძალიან ბუნდოვან მონაცემებზე დაყრდნობით ოთხი პიროვნების ვინაობა უნდა

დაედგინა. თანაც, დიდი ალბათობით, ოთხივე ათწლეულებით ადრე უნდა დაღუპულიყო. ასე რომ, ელექტრონულ მონაცემთა ბაზაში მათი პოვნის შანსი ძალიან მცირე იყო.

რებეკა იაკობსონის საქმეზე დაყრდნობით ბლუმკვისტს მოსაზრება გაუჩნდა, რომ ოთხივე პიროვნება ერთი და იმავე მკვლელის მსხვერპლი გახდა. ამგვარად, ძიება გაუხსნელი საგამოძიებო საქმეებით უნდა დაეწყო. მაგრამ არ იცოდა, როდის ან სად მოხდა ეს მკვლელობები. ცნობილი მხოლოდ ის იყო, რომ 1966 წლამდე მომხდარი საქმეები უნდა გამოეკვლია. ერთი სიტყვით, სალანდერს კვლევის ახლებური მეთოდების შემუშავება უწევდა.

„რით დავიწყო?“

მცირე ფიქრის შემდეგ კომპიუტერი ჩართო და გოოგლე-ის საძიებო სისტემაში შევიდა. გრაფაში [მაგდა] + [მკვლელობა] ჩაწერა. მისდა გასაკვირად, ამ მარტივი გზით კვლევის წინ წაწევა მოახერხა. კარლსტადური ტელეარხის TV Värmland-ის პროგრამების ანონსს გადააწყდა, სადაც აღნიშნული იყო, რომ 1999 წელს „ვერმლანდური მკვლელობების“ მორიგი ეპიზოდი ეჩვენებინათ. შემდეგ Värmland Folkblad-ის ტელეანონსშიც ამოიკითხა მოკლე ანოტაცია:

„ვერმლანდური მკვლელობების“ ყურადღების ცენტრში ამჯერად რანმოტრასკელი მაგდა ლოვისა შებერგის იდუმალი საქმე მოექცევა – საზარელი მკვლელობა, რომლის გახსნასაც რამდენიმე ათწლეულის წინ კარლსტადის პოლიცია ცდილობდა. 1960 წლის აპრილში, ადგილობრივი ფერმერის 46 წლის ცოლი თავლაში მოკლული იპოვეს. ჟურნალისტი კლაეს გუნარსი აღგვიწერს მოკლულის უკანასკნელ წუთებს და მისი მკვლელის ამაო ძიების დეტალებს. მკვლელობამ თავის დროზე დიდი ხმაური გამოიწვია; მრავალი ვერსია გაჩნდა იმაზე, თუ ვინ იყო დამნაშავე. გადაცემაში იხილავთ ინტერვიუს მოკლულის ახლო ნათესავთან, რომელიც გვიამბობს, როგორ დაენგრა ცხოვრება მკვლელობაში დადანაშაულების გამო. უყურეთ 20:00 საათზე“.

უფრო სასარგებლო ინფორმაციას მიაგნო ჟურნალ Värmlandskultur-ში გამოქვეყნებულ სტატიაში „ლოვისას საქმემ მთელი რეგიონი შეძრა“. ჟურნალის ის ნომერი მთლიანად ვებგვერდზე აეტვირთათ. უდარდელი და აგდებული ტონით ნაწერ სტატიაში აღწერილი იყო, ხუთ საათზე სამუშაოდან შინ დაბრუნებულმა ტყისმჭრელმა ჰოლგერ შებერგმა როგორ იპოვა თავლაში მოკლული ცოლი. მაგდა ლოვისა შებერგზე სასტიკი ძალა ეხმარათ, დანით დაეჭრათ და ფიწლის მკერდში ჩაცემით მოეკლათ. მაგრამ ყველაზე დიდი ყურადღება იმან მიიპყრო, რომ მოკვლის შემდეგ მკვლელს მუხლებზე მდგარი მსხვერპლის გვამი ბაგაზე მიება.

მოგვიანებით გაირკვა, რომ შებერგების კუთვნილი ერთი ძროხისთვის კისერში ჭრილობა მიეყენებინათ.

თავიდან ეჭვი ქმარზე მიეტანათ, მაგრამ ის დილის ექვსი საათიდან სხვა მუშებთან ერთად სახლიდან ორმოცი კილომეტრის მოშორებით ტყეში განაკაფზე ყოფილიყო. ხოლო მაგდა ლოვისა შებერგი დილის ათ საათზე მის დაქალს ცოცხალი ენახა. მოწმეები არ არსებობდა. უახლოესი მეზობელი ფერმიდან ოთხასი მეტრის მოშორებით ცხოვრობდა და საეჭვო არავის არაფერი შეემჩნია.

ქმრის ალიბის გადამოწმების შემდეგ, პოლიციამ ეჭვი მსხვერპლის ოცდასამი წლის დისწულზე მიიტანა. ბიჭი კანონდარღვევებში მანამდეც ყოფილიყო შემჩნეული, მუდმივად ფულის ნაკლებობას განიცდიდა და დეიდამისისგან თურმე ხშირად სესხულობდა ცოტ-ცოტას. ვინაიდან დისწულის ალიბი ნაკლებად დამაჯერებელი იყო, რამდენიმე ხნით დაეპატიმრებინათ, მაგრამ სამხილების არქონის გამო ისიც გამოეშვათ. მიუხედავად ამისა, სოფელში ბევრს მაინც ის ბიჭი მიაჩნდა მკვლელად.

მერე პოლიცია ახალ კვალს დაადგა. ეჭვი კარდაკარ მავალ წვრილმანებით მოვაჭრეზე მიიტანეს; ასევე ხმები დადიოდა, რომ სოფელში „ქურდბაცაცა ბოშებმა“ ჩაიარეს. მაგრამ რატომ უნდა გაეუპატიურებინათ და მოეკლათ ბოშებს ქალი ისე, რომ სახლიდან არაფერი მოეპარათ, პასუხი არავის ჰქონდა.

ერთხანს ეჭვი ჰქონდათ სოფლელ ბერბიჭაზეც, რომელიც ახალგაზრდობაში ჰომოსექსუალურ ძალადობაში ყოფილიყო დადანაშაულებული – იმ დროს ჰომოსექსუალიზმი ჯერაც დასჯად დანაშაულად ითვლებოდა – და რამდენიმე მოწმის განცხადებით, „უცნაური“ ადამიანის რეპუტაცია ჰქონდა. თუმცა, რატომ უნდა გაეუპატიურებინა ჰომოსექსუალს ქალი, პასუხი არც ამაზე ჰქონდა ვინმეს. ამგვარად, პოლიციამ ვერცერთი ეჭვმიტანილის დასაპატიმრებლად საკმარისი სამხილი ვერ შეაგროვა.

სალანდერის აზრით, ჰარიეტ ვანგერის დღიურში ჩაწერილი ერთ-ერთი ბიბლიური მუხლი აშკარად შეესაბამებოდა ამ მკვლელობას. ლევიანების 20:16 ამბობდა: „თუ ქალი ცხოველთან მივა კავშირის დასამყარებლად, უნდა მოკლათ ქალიც და ცხოველიც. ორივე უნდა მოკვდეს; მათზეა მათი სისხლი“. უბრალო დამთხვევა ვერ იქნებოდა, რომ ფერმერის ცოლი, სახელად მაგდა, თავლაში მოკლეს და მისი გვამი ბაგაზე მიბმული იპოვეს.

საკითხავი მხოლოდ ის იყო, რატომ ჩაწერა ჰარიეტმა დღიურში სახელი მაგდა და არა – ლოვისა, რომლითაც როგორც ჩანდა, ქალს იცნობდნენ. „მაგდა“ ტელეანონსში რომ არ ყოფილიყო ნახსენები, სალანდერი ვერაფერს იპოვიდა.

მაგრამ უფრო მნიშნველოვანი საკითხი სხვა იყო: რით უკავშირდებოდა 1949 წელს მომხდარი რებეკასა და 1960 წელს მომხდარი მაგდას მკვლელობები 1966 წელს ჰარიეტის გაუჩინარებას?

შაბათ დილას ბორმანმა ბლუმკვისტი ნორშეს გარშემო ექსკურსიაზე წაიყვანა. დილით ახლომახლო მცხოვრებ ბორმანის ხუთ ყოფილ თანამშრომელს დაურეკეს და

გააფრთხილეს, თქვენთან საუბარი გვსურსო. ხუთივემ ყავაზე შეიპატიჟა სტუმრები და ფოტოების ნახვისას ხუთივემ უარის ნიშნად გააქნია თავი.

ბორმანის სახლში მსუბუქად წახემსების შემდეგ მანქანით შემოიარეს ოთხი სოფელი, სადაც სადურგლოს დანარჩენი მუშები ცხოვრობდნენ. ბორმანს ყველგან თბილად შეხვდნენ, მაგრამ დახმარება ვერავინ შეძლო. ბლუმკვისტს იმედი გადაეწურა.

ნაშუადღევს, ოთხ საათზე ბორმანმა მანქანა ნორშედან ჩრდილოეთით ნორშევალენის ახლოს მდებარე ტიპურ წითელ ვასტერბოტენულ ფერმასთან გააჩერა და ბლუმკვისტი ჰენინგ ფორსმანს – სადურგლოს ყოფილ უფროს ხელოსანს წარუდგინა.

– დიახ, ეს ასარ ბრანლუნდის ბიჭია, – წამოიძახა ფორსმანმა, როგორც კი ბლუმკვისტმა ფოტო აჩვენა.

„არის!“

– აა, ასარის ბიჭია? – აჰყვა ბორმანიც, – ასარი ჩვენი კლიენტი იყო.

– სად ვიპოვო, ხომ ვერ მეტყვით?

– ეს ბიჭი? საფლავის ამოთხრა მოგიწევთ. გუნარი ერქვა და ბოლიდენის მაღაროში მუშაობდა. სამოცდაათიანების მიწურულს იმ მაღაროში აფეთქება მოხდა და დაიღუპა.

„ჯანდაბა!“

– მაგრამ მისი ცოლი ცოცხალია. აი, ეს ქალი, ფოტოზე რომაა. მილდრედი ჰქვია და ბირსელეში ცხოვრობს.

– ბირსელეში?

– ბასტუტრასკის გზაზეა, აქედან ათიოდ კილომეტრში. სოფლის თავში, გზის მარცხენა მხარეს, გრძელ წითელ სახლში ცხოვრობს. რიგით მესამე სახლია. ოჯახს კარგად ვიცნობ.

„გამარჯობა, მე ლიზბეთ სალანდერი ვარ და XX საუკუნეში ქალზე ძალადობის საკითხზე დისერტაციას ვწერ. ლანდსკორნის პოლიციის განყოფილებაში მსურს სტუმრობა. მინდა, 1957 წლის საქმის მასალებს გავეცნო. საქმე რაკელ ლუნდეს მკვლელობას ეხება. ხომ ვერ მიმასწავლით სად შეიძლება ამ მასალების მოპოვება?“

ბირსელე სარეკლამო პოსტერზე გამოსახულ ვასტერბოტენურ სოფელს ჰგავდა. ოციოდე სახლი ტბის ერთ ნაპირს ნახევარწრედ ერტყმოდა. ცენტრში გზაჯვარედინი იყო და სანიშნე ბოძი იდგა. ისარი ერთი მიმართულებით 11 კმ-ში მდებარე ჰემინგენისკენ, მეორე მიმართულებით 17 კმ-ში მდებარე ბასტუტრასკისკენ მიუთითებდა. გზაჯვარედინთან, პატარა მდინარეზე ხიდი გაედოთ. შუა ზაფხულში იქაურობა ღია ბარათივით ლამაზი იყო. ბლუმკვისტმა მანქანა „კონსუმის“ მაღაზიის

წინ, სოფლის რიგით მესამე სახლის პირდაპირ გააჩერა. სახლის კარზე დააკაკუნა, მაგრამ არავინ გაუღო.

ერთი საათით ჰემინგენის მიმართულებით გაისეირნა. იმ ადგილს ჩაუარა, სადაც მდინარე სწრაფად მიედინებოდა. გზად ორი კატა შეხვდა და ერთ ირემს მოჰკრა თვალი, მაგრამ კაციშვილს არ შეხვედრია. უკან დაბრუნდა. მილდრედ ბრანდლუნდის სახლის კარი ისევ დაკეტილი დახვდა.

ხიდთან ახლოს ბოძზე ფლაერი გაეკრათ, რომელზეც „ბირსელეს მანქანების ლეწვის ჩემპიონატი“ ეწერა. „მანქანების ლეწვა“ ალბათ სპორტის ზამთრის სახეობა იყო და მოყინულ ტბაზე რბოლისას მანქანების ლეწვას გულისხმობდა.

ბლუმკვისტი ღამის ათ საათამდე იცდიდა და მერე ნორშეში დაბრუნდა. სასტუმროში ივახშმა და ველ მაკდერმიდის დეტექტივის ჩასამთავრებლად ლოგინში ჩაწვა.

წიგნი საზიზღრად დამთავრდა.

ღამის ათ საათზე სალანდერმა კარგა ხნის ფიქრის და ყოყმანის შემდეგ ჰარიეტ ვანგერის სიას კიდევ ერთი სახელი მიამატა.

გოგონამ მოკლე გზას მიაგნო. როგორც გაირკვა, ჟურნალებში რეგულარულად ქვეყნდებოდა სტატიები გაუხსნელ მკვლელობებზე. ერთ-ერთი საღამოს გაზეთის საკვირაო დამატებაში 1999 წლის სტატიას მიაგნო სათაურით – „ქალთა მკვლელების უმეტესობა თავისუფალია“. სტატიას თან ერთვოდა გახმაურებული მკვლელობების სია და მოკლულთა ფოტოები. სიაში შედიოდა ნორჩეპინგელი ანიტას, ჰელსინგბორგელი მარგარეტას და სხვათა საქმეები.

ყველაზე ძველი საქმე სამოციანი წლებით თარიღდებოდა. მაგრამ არც ერთი ეს მკვლელობა არ შეესაბამებოდა იმ სიას, რომელიც სალანდერს ბლუმკვისტმა მისცა. ერთმა საქმემ მაინც მიიპყრო გოგონას ყურადღება.

1962 წელს მეძავი სახელად ლეა პერსონი გეტებორგიდან უდევალაში წასულიყო დედისა და თავის ცხრა წლის ვაჟიშვილის სანახავად. კვირა საღამოს, რამდენიმედღიანი სტუმრობის შემდეგ, ლეა დედამისს და შვილს დაემშვიდობა და მატარებლით გეტებორგში დაბრუნდა. ორი დღის შემდეგ მისი გვამი მიტოვებული ქარხნის ეზოში, ცარიელი კონტეინერის უკან იპოვეს. ქალი გაეუპატიურებინათ, სხეულზე სასტიკი ძალადობის კვალი ეტყობოდა.

ლეას მკვლელობამ გაზეთების ყურადღება მიიპყრო და ზაფხულის მთავარი თემაც გახდა, მაგრამ მკვლელის ვინაობა ვერ დაედგინათ. ჰარიეტ ვანგერის სიაში ლეა საერთოდ არ იყო აღნიშნული. არც მისი სიკვდილი შეესაბამებოდა რომელიმე ბიბლიურ მუხლს.

მეორე მხრივ, ამ მკვლელობას ერთი ისეთი გარემოება სდევდა თან, რომ სალანდერს თმა ყალყზე დაუდგა. ლეას გვამისგან ათიოდ მეტრის მოშორებით ყვავილის ქოთანში ჩამწვარი მტრედი იპოვეს. ვიღაცას მტრედისთვის ყელზე ბაწარი გამოება და ბაწრის ბოლო ქოთნის ძირში პატარა ბზარიდან გამოეტარებინა. მერე ქოთანი ორ აგურზე დაედო და ქვეშ ცეცხლი შეენთო. შესაძლოა, ასე საშინლად მოკლულ ფრინველთან ლეას მკვლელი არაფერ შუაში იყო და ეს რომელიმე ცელქი ბავშვის ნახელავი იყო, მაგრამ მკვლელს მეტსახელად „მტრედების მკვლელი“ უწოდეს.

სალანდერი ბიბლიის მკითხველი არ იყო და არც წიგნი ჰქონდა სახლში. მაგრამ იმ საღამოს ჰოგალიდის ეკლესიაში მივიდა და ბევრი ხვეწნის შემდეგ ბიბლია დროებით ითხოვა. პირდაპირ ეკლესიის ეზოში ჩამოჯდა სკამზე და „ლევიანების“ კითხვა დაიწყო. როცა მეთორმეტე თავის მეორე მუხლამდე მივიდა, თვალები შუბლზე აუვიდა. მეთორმეტე თავი მშობიარე ქალის განწმენდას ეხებოდა.

„მაგრამ თუ ცხვარზე ხელი არ მიუწვდება, მიიყვანოს ორი გვრიტი ან მტრედის ორი ხუნდი, ერთი დასწვას შესაწირავად და მეორე – ცოდვის შესაწირავად, მღვდელი გამოსყიდვის წესს შეასრულებს მისთვის და ისიც განიწმინდება“.

ასე რომ, ჰარიეტის სიაში ლეას ჩამატებაც თავისუფლად შეიძლებოდა:

ლეა – 31208

სალანდერმა გულში გაივლო, არასდროს ასეთი რთული და საინტერესო დავალება არ მქონიაო.

მილდრედ ბრანლუნდი, ხელახლა გათხოვილი და უკვე მილდრედ ბერგრენი, ბლუმკვისტს სახლში დაუხვდა, როცა კვირა დილას, ათ საათზე ისევ მიაკაკუნა მის კარზე. ქალი უკვე ასაკში იყო და გასუქებულიყო, მაგრამ ბლუმკვისტმა მაინც ადვილად იცნო.

– გამარჯობა, მე მიქაელ ბლუმკვისტი ვარ. თქვენ მილდრედ ბერგრენი უნდა იყოთ.

– დიახ, მე ვარ.

– მაპატიეთ, რომ დაუპატიჟებლად მოვედი, მაგრამ, კარგა ხანია, დაგეძებთ, – გაუღიმა ბლუმკვისტმა. – თქვენთვის რამდენიმე შეკითხვის დასმა მსურდა. შეიძლება შემოვიდე და მცირე დრო დამითმოთ?

მილდრედის ქმარი და ოცდათხუთმეტი წლის ვაჟი სახლში იყვნენ, ამიტომ ქალმა უყოყმანოდ შეიპატიჟა საზარეულოში. ბლუმკვისტი ოჯახის უფროსს და მის ვაჟს მიესალმა. ამ დღეებში ყავა უკვე ყელში ამოსვლოდა, მაგრამ ნორლანდში მიპატიჟებაზე უარის თქმა მასპინძლების უპატივცემულობად ითვლებოდა. როცა ყავა და ფინჯნები მაგიდაზე დააწყო, მილდრედი ჩამოჯდა და ნორშეულ

დიალექტზე ჰკითხა, რით შემიძლია თქვენი დახმარებაო, მაგრამ რაკი შეატყო, ბლუმკვისტს მისი გაგება უჭირდა, სწრაფადვე ჩვეულებრივ შვედურზე გადავიდა.

ბლუმკვისტმა ღრმად ჩაისუნთქა და დაიწყო:

– გრძელი და უცნაური ამბავია. 1966 წელს თქვენ ჰედესტადში იყავით მაშინდელ ქმარ გუნარ ბრანლუნდთან ერთად.

ქალს სახეზე გაოცება აღებეჭდა. ბლუმკვისტმა შეიცადა, სანამ ის თანხმობის ნიშნად თავს დაუქნევდა და მერე წინ იერნვეგსგატანზე გადაღებული ფოტო დაუდო.

– ეს სურათი როდის გადაიღეთ? გახსოვთ ის დღე?

– ღმერთო, ეს ხომ იმდენი წლის წინ იყო, – წამოიძახა მილდრედ ბერგრენმა.

მილდრედის ამჟამინდელი ქმარი და შვილი ახლოს მივიდნენ სურათის დასათვალიერებლად.

– თაფლობის თვე გვქონდა. სტოკჰოლმსა და სიგტუნაში ვიყავით და იქიდან სახლში ვბრუნდებოდით. გზად სადღაც შევჩერდით. ჰედესტადიო თქვით, არა?

– დიახ, ჰედესტადი. ეს სურათი დღის პირველ საათზეა გადაღებული. კარგა ხანია, დაგეძებთ და თქვენი პოვნა საკმაოდ გამიჭირდა.

– ვერ დამიჯერებია, რომ ძველი ფოტოს მეშვეობით მომაგენით.

ბლუმკვისტმა მეორე ფოტოც დადო მაგიდაზე.

– ამ სურათის წყალობით გიპოვეთ. ესეც იმავე დღეს, ოდნავ მოგვიანებითაა გადაღებული, – მერე მასპინძლებს აუხსნა „ნორშეს სადურგლოს“ მეშვეობით როგორ იპოვა ბორმანი, რომელმაც თავის მხრივ ჰენინგ ფორსმანი აპოვნინა.

– ალბათ რაღაც მიზანი გქონდათ, ასე რომ დამეძებდით.

– დიახ. ამ გოგოს, რომელიც ფოტოზე თქვენს გვერდით დგას, ჰარიეტი ერქვა. ჰარიეტი იმ დღეს გაუჩინარდა და მას მერე აღარავის უნახავს ან სმენია მასზე. მიგვაჩნია, რომ გოგონა მოკლეს. შეიძლება სხვა ფოტოებიც გაჩვენოთ?

ბლუმკვისტმა „აიბუქი“ გახსნა მაგიდაზე და სანამ კომპიუტერი ჩაირთვებოდა, დეტალურად აუხსნა გარემოებები. შემდეგ ჰარიეტის ფოტოების სერია და მისი გამომეტყველების ცვლილება აჩვენა მილდრედს.

– ამ ძველი სურათების თვალიერებისას თქვენ შეგამჩნიეთ ფოტოკამერით ხელში. სწორედ იმ მხარეს იღებთ, საითაც ჰარიეტი იყურება. გოგონამ ისეთი რამ დაინახა, რომ შეეშინდა და წავიდა. შეიძლება, სულელურად ჟღერდეს, მაგრამ იმედი მქონდა, რომ რაღაც სასწაულით იმდღევანდელი სურათები შემოგენახებოდათ.

ბლუმკვისტი გულის სიღრმეში იმისთვის ემზადებოდა, მილდრედ ბერგრენი თავს გააქნევს და იტყვის, სადღაა ის ფოტოებიო, მაგრამ მილდრედმა ცისფერი თვალებით შემოხედა და ჩვეულებრივად უპასუხა, რასაკვირველია, პირველი თაფლობის თვის სურათები შენახული მაქვსო.

რამდენიმე წუთის შემდეგ მეორე ოთახიდან ყუთი გამოიტანა, რომელშიც ფოტოალბომები ეწყო. თაფლობის თვის ფოტოების მოძებნას საკმაო ხანს მოუნდნენ. მილდრედს ჰედესტადში სულ სამი სურათი გადაეღო. ერთზე ბუნდოვნად ჩანდა ქალაქის მთავარი ქუჩა, მეორეზე მისი პირველი ქმარი იყო გამოსახული, ხოლო მესამეზე – აღლუმში მონაწილე კლოუნები.

ბლუმკვისტმა ყურადღებით დახედა უკანასკნელ ფოტოს. ქუჩის მეორე მხარეს, კლოუნის უკან ვიღაც იდგა, მაგრამ, სამწუხაროდ, ვერ გაარჩია.

თავი XX

სამშაბათი, 1/VII-ოთხშაბათი, 2/VII

ჰედესტადში დაბრუნებისთანავე ბლუმკვისტი ფროდეს ესტუმრა და ვანგერის ჯანმრთელობის მდგომარეობა გამოკითხა. საბედნიეროდ, კვირის განმავლობაში მოხუცი გამოკეთებულიყო. თავს ისევ სუსტად გრძნობს, მაგრამ საწოლში წამოჯდომა უკვე შეუძლია და მისი მდგომარეობა კრიტიკული აღარაა, უთხრა ფროდემ.

– მადლობა ღმერთს. მოხუცი ძალიან შემიყვარდა, – თქვა ბლუმკვისტმა.

– ვიცი, – თქვა ფროდემ, – ჰენრიკსაც მოსწონხართ. ნორლანდში მოგზაურობამ როგორ ჩაიარა?

– წარმატებით, მაგრამ მაინც არადამაკმაყოფილებლად. მოგვიანებით აგიხსნით. ახლა ერთი რამ უნდა გკითხოთ.

– მიდით.

– თუ ჰენრიკი მოკვდება, „მილენიუმს“ რა ბედი ეწევა?

– დიდად არაფერი შეიცვლება. მის ადგილს მარტინი დაიკავებს.

– არსებობს თუნდაც მცირე ალბათობა იმისა, რომ, თუ ჰარიეტის გაუჩინარების საქმის გამოძიებას არ შევწყვეტ, მარტინი „მილენიუმს“ პრობლემას შეუქმნის?

ფროდემ გამჭოლი მზერა მიაპყრო ბლუმკვისტს.

– რა მოხდა?

– ისეთი არაფერი, – მიქაელმა ფროდეს მარტინ ვანგერთან საუბარზე უამბო და დაამატა: – როცა ნორშეში ვიყავი, ერიკამ შემატყობინა, მარტინმა დამირეკა და მითხრა, აჯობებს, მიქაელი ჟურნალში მალე დაბრუნდესო.

– გასაგებია. ჩემი აზრით, ამის უკან სესილია დგას, მაგრამ არა მგონია, მარტინმა თქვენზე ზეწოლა მოახდინოს. საამისოდ ძალიან კეთილია. თანაც არ დაგავიწყდეთ, რომ „მილენიუმის“ საყიდლად შექმნილი შვილობილი კომპანიის საბჭოში მეც შევდივარ.

– ჰო, მაგრამ თუ საჩოთირო სიტუაცია მაინც შეიქმნება, როგორ მოიქცევით?

– კონტრაქტის პირობებს პატივი უნდა ვცეთ. მე ჰენრიკისთვის ვმუშაობ, ორმოცდახუთი წელია ვმეგობრობთ და მსგავს საკითხებში ერთმანეთს სრულად ვეთანხმებით. სხვათა შორის, თუ ჰენრიკი მოკვდება, ჰენრიკის წილს მე მივიღებ კომპანიაში და არა – მარტინი. კონტრაქტის მიხედვით, „მილენიუმს“ სამი წლით უნდა გავუმართოთ ხელი. მარტინს რომ რამე ცუდი ჰქონდეს ჩაფიქრებული – რაშიც მე ეჭვი მეპარება – უპირველესად რეკლამის შემკვეთების რიცხვს შეამცირებდა.

– და „მილენიუმს“ მაცოცხლებელ წყაროს დაუშრობდა.

– დიახ, მაგრამ სხვა მხრიდან შეხედეთ – ასეთ წვრილმანებზე დროის ხარჯვა უაზრობაა. მარტინი ახლა „ვანგერების კორპორაციის“ გადასარჩენად იბრძვის და დღეში თოთხმეტ საათს მუშაობს. სხვა რამისთვის დრო აღარ რჩება.

– ვიცი, ჩემი საქმე არაა, მაგრამ შეიძლება ვიკითხო, კორპორაციის ამჟამინდელი მდგომარეობა როგორია?

ფროდე მოიღუშა.

– პრობლემები გვაქვს.

– დიახ, ჩემნაირი უბრალო ეკონომიკური მიმომხილველიც ამჩნევს ამას. მაინტერესებს, რამდენად სერიოზული პრობლემები გაქვთ?

– იმედია, ჩვენ შორის დარჩება.

– რასაკვირველია.

– ბოლო ორ კვირაში ელექტრონული მრეწველობის სფეროში ორი მსხვილი შეკვეთა დავკარგეთ და ცოტა ხანში ალბათ რუსეთის ბაზრიდანაც გამოგვაძევებენ. სექტემბერში ორებროსა და ტროლჰატენში 1600 თანამშრომლის გათავისუფლებას ვაპირებთ. სამსახურიდან დათხოვნა ძალიან ცუდი „საჩუქარია“ ადამიანებისთვის, რომლებიც, წლებია, კომპანიაში მუშაობენ. რაც უფრო მეტ ქარხანას ვხურავთ, მით უფრო იკლებს ნდობა ჩვენი კორპორაციის მიმართ.

– მარტინი მძიმე მდგომარეობაში ყოფილა.

– მძიმე ტვირთმოკიდებული დანის პირზე დადის.

ბლუმკვისტი თავის კოტეჯში დაბრუნდა და ბერგერს დაურეკა. ქალი რედაქციაში არ იყო, ამიტომ მალმს ელაპარაკა.

– ასეთი საქმეა: ნორშეში რომ ვიყავი, ერიკამ დამირეკა და მითხრა, მარტინ ვანგერი მეჩიჩინება... არც კი ვიცი, როგორ ვთქვა... მეჩიჩინება, ბლუმკვისტი ჟურნალში დააბრუნეო.

– უნდა დაბრუნდე კიდეც, – თქვა მალმმა.

– ეგ ვიცი. მაგრამ მე ჰენრიკ ვანგერთან კოტრაქტი მაქვს გაფორმებული, რომელსაც ვერ დავარღვევ. მარტინს ვიღაც აიძულებს, რომ ჰედებიზე ჩემი საქმე შევწყვიტო და აქედან წავიდე. მოკლედ, ჩემი თავიდან მოცილება უნდათ.

– გასაგებია.

– ერიკა მომიკითხე და გადაეცი, რომ როგორც კი აქაურ საქმეს მოვრჩები, მაშინვე სტოკჰოლმში დავბრუნდები. მანამდე არა.

– აჰა, ესე იგი, სულ დაკარგე ჭკუა. თუმცა, ერიკას შენს სიტყვებს მაინც გადავცემ.

– კრისტერ, აქ აშკარად რაღაც ხდება და მე უკან დახევას არ ვაპირებ.

ბლუმკვისტმა მარტინ ვანგერის კარზე დააკაკუნა. კარი ევა ჰასელმა გაუღო და თბილად მიესალმა.

– გამარჯობა, მარტინი სახლშია?

სწორედ ამ დროს ქეისით ხელში მარტინ ვანგერი გამოჩნდა, ევას ლოყაზე აკოცა და მიქაელს მიესალმა.

– სამსახურში მივდივარ. რამის თქმა გინდა?

– თუ გეჩქარება, სხვა დროს იყოს.

– არა, გისმენ.

– სანამ ჰენრიკის დავალებულ საქმეს ბოლომდე არ მივიყვან, „მილენიუმში“ არ დავბრუნდები. წინასწარ გეუბნები, რომ ახალ წლამდე აქ ვრჩები.

მარტინ ვანგერი ოდნავ უკან გადაიზნიქა.

– გასაგებია. გგონია, რომ შენს თავიდან მოცილებას ვცდილობ... მიქაელ, ამაზე საუბარი აუცილებლად მოგვიწევს. ახლა „მილენიუმისთვის“ ნამდვილად არ მცალია და ვნანობ, რომ ჰენრიკის შემოთავაზებას დავთანხმდი. მაგრამ დამიჯერე, ყველაფერს გავაკეთებ, რომ „მილენიუმი“ გადარჩეს.

– ამაში ეჭვიც არ მეპარება, – თქვა ბლუმკვისტმა.

– მოდი, შემდეგ კვირაში შევხვდეთ და ჟურნალის ფინანსურ მდგომარეობაზე ჩემს მოსაზრებას გაგაცნობ. თუმცა, ერთი რამ ცხადია, ჟურნალს იმის ფუფუნება არ აქვს, რომ მისი უმთავრესი ჟურნალისტი ჰედების კუნძულზე უსაქმურად ყურყუტებდეს. ჟურნალი მომწონს და ერთად მის გაძლიერებას შევძლებთ, მაგრამ ამისთვის შენი აქტიურობაც საჭიროა. დილემის წინაშე ვდგავარ – ან ჰენრიკის ახირებას უნდა დავემორჩილო, ან როგორც „მილენიუმის“ თანამფლობელმა, მის კეთილდღეობაზე ვიზრუნო.

ბლუმკვისტმა სპორტული სამოსი ჩაიცვა და „ციხესიმაგრემდე“ და გოტფრიდის ქოხამდე სულ სირბილით იარა. იქიდან სანაპიროს გასწვრივ ძუნძულით დაბრუნდა უკან. ფროდე ბაღში მაგიდასთან დახვდა. მოთმინებით უცდიდა, სანამ მიქაელი ბოთლიდან წყალს სვამდა და შუბლიდან ოფლს იწმენდდა.

– ამ სიცხეში სირბილი რა სასარგებლოა?

– ო, კარგი რა, – შეეპასუხა ბლუმკვისტი.

– შევცდი. მარტინს სესილია კი არა, იზაბელა აქეზებს. ის ვანგერების კლანის მობილიზებას ცდილობს, რომ ცხელ კუპრში მოგხარშონ. იზაბელას მხარს ბირგერი უჭერს.

– მაშ, იზაბელა, არა?

– იზაბელა ბოროტი, ეგოისტი ქალია, არავინ ეხატება გულზე. როგორც ჩანს, შენ განსაკუთრებით ეზიზღები. ხმას ავრცელებს, რომ თაღლითი ხარ, რომელმაც ჰენრიკს სამუშაო და ფული დასცინცლა და, იმდენი ქნა, რომ მოხუცს ინფარქტმა დაარტყა.

– იმედია, ამის არავის სჯერა.

– ყოველთვის გამოიძებნებიან ისეთები, ვისაც ავი ხმების დაჯერება უყვარს.

– მე მისი ქალიშვილის ბედის გარკვევას ვცდილობ, მას კი ვძულვარ. ჰარიეტი რომ ჩემი შვილი ყოფილიყო, მე სულ სხვანაირი რეაქცია მექნებოდა.

დღის ორ საათზე მობილური აწკრიალდა.

– გამარჯობა, მე კონი ტორსონი ვარ, Hedestads-Kuriren-ის ჟურნალისტი. მცირე დროს ხომ ვერ დამითმობთ? გავიგე, რომ ჰედებიზე დასახლებულხართ.

– ჰერ ტორნსონ, როგორც ჩანს, ცნობები თქვენამდე დაგვიანებით აღწევს. პირველი იანვრიდან აქ ვცხოვრობ.

– არ ვიცოდი. ჰედესტადში რას საქმიანობთ?

– ვწერ. თან ერთგვარ შვებულებაშიც ვარ.

– რაზე მუშაობთ?

– როცა გამოვაქვეყნებ, მაშინ გაიგებთ.

– ციხიდან ახლახან გამოხვედით...

– დიახ.

– რას გვეტყვით მასალების გამყალბებელ ჟურნალისტებზე?

– ასეთი ჟურნალისტები იდიოტები არიან.

– მაშ, თქვენც იდიოტი ხართ?

– მე რატომ უნდა ვიყო? არანაირი ყალბი სტატია არ დამიწერია.

– მაგრამ ცილისწამებაში დაგადანაშაულეს.

– მერე რა?

ტორსონი დაიბნა. გაჭიანურებული პაუზა თავად ბლუმკვისტმა დაარღვია:

– მე ცილისწამებაში დამადანაშაულეს და არა – მასალების გაყალბებაში.

– მაგრამ თქვენ სტატია გამოაქვეყნეთ.

– თუ ჩემთვის განაჩენის გამოტანას ცდილობთ, ვერაფერს გიპასუხებთ.

– პირადად მსურს თქვენთან შეხვედრა და ინტერვიუს ჩამორთმევა.

– ამ თემაზე სათქმელი არაფერი მაქვს.

– მაშ, სასამართლო პროცესის განხილვა არ გსურთ?

– სწორად მიხვდით, – უპასუხა ბლუმკვისტმა და ტელეფონი გათიშა. სანამ ისევ კომპიუტერს მიუბრუნდებოდა, კარგა ხანს იჯდა და ფიქრობდა.

მიღებული ინსტრუქციების თანახმად, სალანდერი თავის „კავასაკით“ ჰედების ხიდით კუნძულზე გადავიდა და გზის მარცხენა მხარეს პირველსავე კოტეჯთან გაჩერდა. მიყრუებულში კი იყო, მაგრამ თუ კარგ ფულს გადაუხდიდნენ, სალანდერი თუნდაც ჩრდილოეთ პოლუსზე ჩავიდოდა. სამაგიეროდ, გზატკეცილზე მოტოციკლეტით რბოლა იყო სასიამოვნო. მოტოციკლეტი ეზოს წინ დააყენა და სავარძლის ქვეშ მიმაგრებული ჩანთა მოხსნა.

ბლუმკვისტი გამოეგება და სალანდერს ხელი დაუქნია. მერე ახლოს მივიდა და მოტოციკლეტი გაკვირვებით შეათვალიერა.

– მოტოციკლეტს მართავ?! – დაუსტვინა მან.

სალანდერს არაფერი უთქვამს, მაგრამ ბლუმკვისტს ყურადღებით აკვირდებოდა, სანამ ის სახელურებს და აქსელერატორს ამოწმებდა. არ უყვარდა, მის საკუთრებას რომ ეხებოდნენ. მერე ბლუმკვისტმა პატარა ბიჭუნასავით გაიღიმა და გოგონამ გაიფიქრა, რომ მასზე გაბრაზება არ ღირსო. გამოცდილი ბაიკერები ყოველთვის დამცინავად ფხუკუნებდნენ მისი „კავასაკის“ დანახვაზე.

– ცხრამეტი წლისას მეც მყავდა მოტოციკლეტი, – გოგონასკენ შეტრიალდა ბლუმკვისტი, – გმადლობ, რომ მოხვედი. შიგნით შემოდი და მოეწყვე.

ბლუმკვისტს ნილსონებისგან სამგზავრო საწოლი ეთხოვა. სალანდერმა ქოხი ეჭვის თვალით დაათვალიერა, მაგრამ როგორც კი დარწმუნდა, რომ არსაიდან საფრთხე არ ელოდა, მაშინვე დამშვიდდა. ბლუმკვისტმა სააბაზანო უჩვენა.

– თუ გინდა, შხაპი მიიღე და გამოცოცხლდები.

– უნდა გამოვიცვალო. ტყავის ქურთუკით არ ვივლი.

– კარგი, მე მანამდე სადილს მოვამზადებ.

ბლუმკვისტმა ღვინომოსხმული ცხვრის კატლეტები მოამზადა და ეზოში მაგიდა გაშალა. თხელ მაისურსა და მოკლე, მუქ ჯინსის კაბაში გამოწყობილი გოგონა გარეთ ფეხშიშველა გამოვიდა. ჰაერში ისეთი გემრილი სურნელი ტრიალებდა, რომ სალანდერმა ორი მოზრდილი ულუფა მიირთვა. გაკვირვებულმა ბლუმკვისტმა მალვით შეათვალიერა მისი ტატუები.

– ხუთს პლუს სამი, – თქვა სალანდერმა, – ხუთი საქმე ჰარიეტის სიიდან და პლუს სამი, რომელიც ჩემი აზრით, ამ სიას უნდა დაემატოს.

– დეტალურად მომიყევი.

– მხოლოდ თერთმეტი დღეა, რაც ამ საქმეს ჩავუჯექი და ყველაფრის მოძიება ჯერ ვერ მოვასწარი. ზოგი საქმე უკვე ეროვნულ არქივშია გადატანილი, ზოგი ჯერაც პოლიციის ადგილობრივ განყოფილებებში ინახება. სამ დღეში რამდენიმე განყოფილება მოვიარე. ყველგან მისვლა ვერ მოვახერხე. თუმცა, ხუთივე პიროვნება იდენტიფიცირებულია.

სალანდერმა მაგიდაზე ხუთასგვერდიანი საქაღალდე დადო და დოკუმენტები სწრაფად გადაახარისხა.

– მოდი, ქრონოლოგიურად მივყვეთ, – სალანდერმა სია ბლუმკვისტს გადასცა.

1949 – რებეკა იაკობსონი, ჰედესტადი (30112)

1954 – მარი ჰოლმბერგი, კალმარი (32018)

1957 – რაკელ ლუნდე, ლანდსკრონა (32027)

1960 – (მაგდა) ლოვისა შებერგი, კარლსტადი (32016)

1960 – ლივ გუსტავსონი, სტოკჰოლმი (32016)

1962 – ლეა პერსონი, უდევალა (31208)

1964 – სარა ვიტი, რონები (32109)

1966 – ლენა ანდერსონი, უფსალა (30112)

– პირველი რებეკა იაკობსონის საქმეა, 1949 წელს მოკლეს, დეტალები შენც კარგად იცი. მომდევნო საქმეს მე მივაკვლიე: მარი ჰოლმბერგი, ოცდათორმეტი წლის კალმარელი მეძავი, 1954 წლის ოქტომბერში საკუთარ ბინაში მოკლეს. მკვლელობის ზუსტი თარიღი უცნობია, რადგან მისი გვამი მხოლოდ ცხრა-ათი დღის შემდეგ იპოვეს.

– და ჰარიეტის სიასთან რა კავშირი აქვს?

– მარი დაბმული და გაუპატიურებული იპოვეს, დამხრჩვალი. პირში ჰიგიენური საფენი ჰქონდა ჩაჩრილი.

ბლუმკვისტი წუთით ჩაფიქრდა, შემდეგ ბიბლია ლევიანების 20:18-ზე გადაშალა.

„თუ კაცი დაწვება ქალთან, რომელსაც ყოველთვიური სისხლდენა აქვს, და სიშიშვლეს გამოუჩენს, მან სადინარი გამოუჩინა, და მანაც გამოაჩინა თავისი სისხლის სადინარი, ორივენი უნდა მოიკვეთონ თავიანთი ხალხიდან“.

სალანდერმა თავი დაუქნია.

– ჰარიეტ ვანგერმაც ასე დააკავშირა. კარგი, შემდეგზე გადავიდეთ.

– 1957 წელი, რაკელ ლუნდე, ორმოცდახუთი წლის დამლაგებელი, სოფელში ექსცენტრიულობით ცნობილი ქალი. მკითხაობდა კარტზე, ხელზე და ა. შ. ლანდსკრონაში ყველასგან მოშორებით ცხოვრობდა და დილაუთენია მოკლეს სახლში. უკანა ეზოში გაშიშვლებული და სარეცხის საშრობზე მიბმული იპოვეს, პირაკრული. მოკლეს მძიმე ლოდის მრავალჯერ დარტყმით. აღენიშნებოდა უამრავი ჭრილობა და დაზიანება.

– ღმერთო ჩემო! ლიზბეთ, რა საზიზღრობაა!

– წინ უარესი გელის. ინიციალები რ. ლ. ემთხვევა. იპოვე შესაბამისი მუხლი?

– ზუსტად ემთხვევა: „ის კაცი ან ქალი, რომელშიც სულების გამომძახებლის ან მკითხავის სულია, უნდა მოკვდეს. ჩაქოლეთ და მოკალით. მათზეა მათი სისხლი“.

– შემდეგი შებერგია კარლსტადთან ახლოს მდებარე რანმოდან. ჰარიეტის სიაში ის მაგდას სახელითაა მოხსენიებული. მისი სრული სახელი მაგდა ლოვისაა, თუმცა, ხალხი ლოვისად იცნობდა.

ბლუმკვისტი ყურადღებით უსმენდა კარლსტადური მკვლელობის უცნაურ დეტალებს. სალანდერმა სიგარეტს მოუკიდა. ბლუმკვისტმაც ანიშნა, მეც მომეციო და გოგონამ კოლოფი გადაუგდო.

– მაშ, მკვლელი ძროხასაც დაესხა თავს?

– ლევიანების მუხლში ნათქვამია, რომ თუ ქალი ცხოველთან მივა კავშირის დასამყარებლად, ორივე უნდა მოიკლას.

– ძნელი წარმოსადგენია, იმ ქალს... ძროხასთან ჰქონდა სექსი.

– შეიძლება, მუხლი პირდაპირ არც უნდა გავიგოთ. ისიც საკმარისია, რომ ქალი „ცხოველთან მივიდა“. ფერმერის ცოლი ამას ალბათ ყოველდღე აკეთებდა.

– გასაგებია.

– შემდეგი ჰარიეტის სიაში შესული სარაა. ჩემი მონაცემებით, ეს რონებიელი სარა ვიტია, ოცდაჩვიდმეტი წლის. 1964 წლის იანვარში მოკლეს. საწოლზე მიბმულს, აღენიშნებოდა სასტიკი ძალადობის კვალი, სიკვდილის მიზეზი – კვამლით გაგუდვა. მკვლელმა სახლს ცეცხლი წაუკიდა, რათა მთელი სახლი დამწვარიყო, მაგრამ ცეცხლი ნაწილობრივ თავისით ჩაქრა, სრულად კი სწრაფად გამოჩენილმა მეხანძრეებმა ჩააქრეს.

– კავშირი ბიბლიურ მუხლთან?

– აი, ეს. სარა ვიტი პასტორის ქალიშვილი იყო და ცოლადაც პასტორს გაჰყვა. მისი ქმარი იმ დროს შინ არ იმყოფებოდა.

– „თუ მღვდლის ასული მეძავობით წაიბილწავს თავს, ის თავისი მამის წამბილწველია. ცეცხლში უნდა დაიწვას იგი“. კარგი. ესეც ემთხვევა. მითხარი, სხვა საქმეებსაც მივაკვლიეო.

– მსგავს ვითარებაში ჩადენილი მკვლელობის კიდევ სამ ფაქტს მივაკვლიე. ჩემი აზრით, ჰარიეტის სიას ეს სამი საქმეც უნდა დაემატოს. პირველი მოკლული ფარსტაში მცხოვრები ოცდაორი წლის ლივ გუსტავსონია. გოგონას ცხენზე ჯირითი უყვარდა და შეჯიბრებებში მონაწილეობდა – საკმაოდ ნიჭიერად თვლიდნენ. ის თავის დასთან ერთად ზოომაღაზიასაც ფლობდა. მისი გვამი მაღაზიაში იპოვეს. საბუღალტრო ანგარიშების შესამოწმებლად იქ გვიანობამდე მარტო დარჩენილა. ალბათ მკვლელი თვითონ შეუშვა შიგნით. გოგონა გააუპატიურეს და დაახრჩვეს.

– რაღაც ჰარიეტის სიაში შესატან შემთხვევას არ ჰგავს.

– არა, თუ ერთ გარემოებას არ გავითვალისწინებთ. მკვლელმა დასასრულს გოგონას საშოში თუთიყუში შესთხარა და ყველა ცხოველი გალიიდან გამოუშვა – კატები, კუები, თეთრი თაგვები, კურდღლები, ჩიტები. თევზებიც კი ამოყარა აკვარიუმიდან. წარმომიდგენია, დილით ლივის დას რა საშინელება დახვდა მაღაზიაში.

ბლუმკვისტმა თავი დაუქნია.

– ლივი 1960 წლის აგვისტოში მოკლეს, კარლსტადელი მაგდა ლოვისას მოკვლიდან ოთხ თვეში. ორივე შემთხვევაში მოკლულია ცხოველებთან ახლო კავშირის მქონე

ქალი და ორივე შემთხვევაში შეწირულია ცხოველი. კარლსტადში ძროხა კი გადარჩა, მაგრამ დანით ძროხის მოკვლა ალბათ ძნელი იქნებოდა. თუთიყუში კი უფრო იოლი მსხვერპლი იყო. გარდა ამისა, დამატებითი მსხვერპლშეწირვის ფაქტიცაა აღმოჩენილი.

– რომელი?

სალანდერმა ლეა პერსონის „მტრედის მკვლელის“ ისტორია უამბო ბლუმკვისტს. კაცი იმდენ ხანს იჯდა ჩუმად, რომ თვით სალანდერიც კი მოუთმენლობისგან აწრიალდა.

– კარგი, შენს თეორიას დავიჯერებ, – თქვა ბლუმკვისტმა ბოლოს, – კიდევ ერთი საქმე დარჩა.

– ამ საქმეს შემთხვევით გადავაწყდი. არ ვიცი, კიდევ რამდენი გამომრჩა.

– მომიყევი.

– 1966 წლის თებერვალში უფსალაში ჩვიდმეტი წლის ტანმოვარჯიშე ლენა ანდერსონი მოკლეს. გოგონა კლასელების წვეულებიდან გაუჩინარდა და მისი გვამი სამი დღის შემდეგ ქალაქგარეთ თხრილში იპოვეს. ის სხვა ადგილას იყო მოკლული და გვამი მოგვიანებით ჩაეგდოთ თხრილში. ამ მკვლელობამ მედიის ყურადღება მიიპყრო, მაგრამ მისი სიკვდილის ზუსტი გარემოებები არასდროს გახმაურებულა. გოგონა საშინლად ეწამებინათ. პათოლოგის დასკვნა წავიკითხე. ცეცხლით აწამეს. ხელები და მკერდი დამწვარი ჰქონდა, სხეულის სხვადასხვა ადგილებშიც აღენიშნებოდა სხვადასხვა ხარისხის დამწვრობები. კანზე პარაფინის კვალი აღმოაჩინეს, როგორც ჩანს, სანთლები გამოიყენეს. და ბოლოს, მკვლელმა გვამს თავი მოაჭრა და ტანის გვერდით დააგდო.

– ღმერთო დიდებულო, – ამოილუღლუღა ფერწასულმა ბლუმკვისტმა.

– ზუსტ ბიბლიურ მუხლებს ვერ მივაგენი, მაგრამ დასაწვავი და ცოდვის შესაწირი ბევრგანაა ნახსენები და იქვე აღნიშნულია, რომ შესაწირი ცხოველის – უმეტესად ხარის – „თავიცა და ქონიც უნდა დაიჭრას“, ცეცხლი აგრეთვე პირველ, ჰედესტადელი რებეკას, მკვლელობას მახსენებს.

საღამოს, კოღოებისგან შეწუხებულებმა, ეზოში მაგიდა აალაგეს და სამზარეულოში გადაინაცვლეს.

– ის რომ შესაბამის ბიბლიურ მუხლს ვერ მიაგენი, ბევრს არაფერს ნიშნავს. ზუსტი დამთხვევა სულაც არაა საჭირო. უფრო გროტესკული პაროდიაა ბიბლიური ტექსტისა – მუხლები ზედაპირულადაა გაგებული.

– გეთანხმები. სრულიად ალოგიკურია. მაგალითად, თუ იმ მუხლს პირდაპირ გავიგებთ, რომელშიც ნათქვამია, რომ კაცი, რომელიც ქალთან მენსტრუაციის

პერიოდში დაწვება, ხალხიდან ქალთან ერთად უნდა მოიკვეთოს, მკვლელს, წესით, თავიც უნდა მოეკლა.

– და ეს ყველაფერი რა დასკვნის საშუალებას გვაძლევს? – დაინტერესდა ბლუმკვისტი.

– იმის, რომ ჰარიეტს ან უცნაური ჰობი ჰქონდა, ან იცოდა, რომ ეს მკვლელობები ერთმანეთთან კავშირშია.

– მკვლელობები 1946-1966 წლების შუალედში მოხდა; შეიძლება, უფრო ადრეც ხდებოდა ან მოგვიანებითაც მოხდა. მაგრამ ის, რომ შეშლილი სადისტი სერიული მკვლელი ჩვიდმეტი წლის განმავლობაში ქალებს ხოცავდა და ამ მკვლელობებს შორის კავშირი ვერავინ დაადგინა, დაუჯერებელი მგონია.

სალანდერი წამოდგა, ქურიდან ყავადანი აიღო და ფინჯანი ისევ შეივსო. მერე სიგარეტს მოუკიდა. მიქაელმა გულში შეიკურთხა და კიდევ ერთი ღერი სიგარეტი ასწაპნა გოგონას.

– არა, დაუჯერებელი სულაც არაა, – სალანდერმა ცერი გაშალა, – მეოცე საუკუნეში შვედეთში ქალთა მკვლელობების ათეულობით საქმეა გაუხსნელი. კრიმინოლოგიის პროფესორმა პერსონმა ტელევიზიით განაცხადა, შვედეთში სერიული მკვლელები იშვიათიაო, მაგრამ ალბათ ისეთებიც გვყავს, ვინც არასდროს დაუჭერიათ.

სალანდერმა მეორე თითი გაშალა.

– ეს მკვლელობები დროის გრძელ პერიოდში და მთელი შვედეთის ტერიტორიაზე მოხდა. ორი მკვლელობა 1960 წელს ჩაიდინეს, მაგრამ მსხვერპლიც და გარემოებებიც განსხვავებულია – კარლსტადში ფერმერის ცოლი მოკლეს, სტოკჰოლმში – ოცდაორი წლის გოგო.

სალანდერმა მესამე თითიც გაშალა.

– ერთი შეხედვით, მკვლელობები ერთმანეთს არ ჰგავს. ყველა დანაშაული სხვადასხვა ადგილას მოხდა, მაგრამ არის რაღაცეები, რაც მეორდება: ცხოველები, ცეცხლი, სექსუალური ძალადობა და, როგორც შენ აღნიშნე, ბიბლიური ტექსტთან ზედაპირული შესაბამისობა. ოღონდ არც ერთ გამომძიებელს არ უცდია მკვლელობების ბიბლიურ მუხლებზე დაყრდნობით ახსნა.

ბლუმკვისტი სალანდერს მისჩერებოდა. ეს ტანწვრილი, შავმაისურიანი, ტატუებიანი და პირსინგიანი გოგონა, რბილად რომ ვთქვათ, სულ არ შეეფერებოდა ჰედების. როცა სადილობისას მასთან გაშინაურება და გამოლაპარაკება სცადა, სალანდერი თავხედურად დუმდა, მაგრამ როცა საქმე ნამდვილ საქმეზე მიდგა, პროფესიონალივით ალაპარაკდა. მართალია, სტოკჰოლმში მისი ბინა თავდაყირა იდგა, მაგრამ გონება სალანდერს აშკარად დალაგებული ჰქონდა.

– ძნელია, მიგდებული ქარხნის ეზოში ნაპოვნი უდევალელი მეძავი რონებიში გაგუდულ პასტორის ცოლს დაუკავშირო. რასაკვირველია, თუ ჰარიეტის დატოვებული გასაღები ხელთ არ გაქვს.

– რაც თავისთავად ბადებს კითხვას, – თქვა სალანდერმა.

– როგორ ჩაითრიეს ჰარიეტი ამ საშინელებაში? თექვსმეტი წლის გოგონა, რომელიც დაცულ და უსაფრთხო გარემოში ცხოვრობდა.

– პასუხი მხოლოდ ერთია, – თქვა სალანდერმა, – ამ ამბებთან ვანგერების ოჯახი როგორღაც არის დაკავშირებული.

ღამის თერთმეტ საათამდე მკვლელობათა სერიას დეტალურად განიხილავდნენ, მსგავსებებს და განსხვავებებს იხსენებდნენ, ყოველი წვრილმანის ერთმანეთთან დაკავშირებას ცდილობდნენ. ბოლოს ბლუმკვისტს თავი ასტკივდა. მან თვალები მოისრისა, გაიზმორა და სალანდერს ჰკითხა, ხომ არ გავისეირნოთო. გოგონას გამომეტყველებით ცხადად გამოჩნდა, რომ ასეთი რამეები დროის ფუჭ ხარჯვად მიაჩნდა, მაგრამ მაინც დასთანხმდა. ბლუმკვისტმა ურჩია გრძელი შარვალი ჩაიცვი, თორემ კოღოები დაგესევიანო.

პატარა ნავმისადგომს ჩაუარეს და კონცხზე მდგარი მარტინ ვანგერის სახლის მიმართულებით წავიდნენ. სესილია ვანგერის სახლთან გავლისას, ბლუმკვისტი უხერხულად შეიშმუშნა. სალანდერს ეს არ გამოჰპარვია.

კონცხამდე მივიდნენ. სანაპიროზე ქვის ლოდზე ჩამოსხდნენ და ბოლო ღერი სიგარეტი ერთად გააბოლეს.

– კიდევ ერთი კავშირი არსებობს, – წამოიძახა უეცრად ბლუმკვისტმა, – შეიძლება შენც გიფიქრია ამაზე.

– რომელი?

– სახელები.

სალანდერი წუთით ჩაფიქრდა და მერე თავი გააქნია.

– ყველა ქალს ბიბლიური სახელი ერქვა.

– რანაირად? ლივი ან ლენა რა ბიბლიური სახელებია? – დაეჭვდა სალანდერი.

– ცდები. ლივი „სიცოცხლეს“ ნიშნავს, რაც სხვანაირად იგივე „ევაა“. ხოლო ლენას ისედაც უნდა ხვდებოდე. კარგად დაფიქრდი. ლენა ხომ შემოკლებული ვარიანტია...

– მაგდალენასი, – უკმაყოფილოდ დაიმანჭა სალანდერი, რომელსაც არ მოეწონა, რომ ბლუმკვისტი მასზე ადრე მიხვდა.

– მეძავი, პირველი ქალი, ქალწული მარიამი... ყველა ბიბლიური პერსონაჟია. ასეთი თავსატეხი ფსიქოლოგსაც კი თავბრუს დაახვევდა. თუმცა, სახელებთან დაკავშირებით სხვა რამეც გამახსენდა.

სალანდერი მოთმინებით უცდიდა ბლუმკვისტის პასუხს.

– ყველა ამ ქალს ტრადიციული ებრაული სახელი ერქვა. ხოლო ვანგერების ოჯახში მრავლად მოიძებნებიან ანტისემიტები, ნაცისტები და შერეკილი კონსპირატორები. ჰარალდ ვანგერს ერთადერთხელ შევხვდი, ქუჩაში იდგა და საკუთარ ქალიშვილს ბოზს უწოდებდა. ქალებთან აშკარად პრობლემები უნდა ჰქონდეს.

ქოხში შუაღამისას დაბრუნდნენ. წაიხემსეს და ყავაც მოადუღეს. მიქაელმა დრაგან არმანსკის ფავორიტი მკვლევრის მოძიებულ ხუთასგვერდიან მასალებს თვალი გადაავლო.

– ასე მოკლე ხანში დიდი სამუშაო ჩაგიტარებია, – შეაქო სალანდერი, – გმადლობ. დიდი მადლობა იმისთვისაც, რომ აქ ჩამოხვედი და პირადად გამაცანი შენი მოსაზრებები.

– ახლა რა მოხდება? – დაინტერესდა სალანდერი.

– ხვალ დილით დირკ ფროდეს დაველაპარაკები და კუთვნილ ჯამაგირს მიიღებ.

– მე სხვა რამ ვიგულისხმე.

ბლუმკვისტი გოგონას მიაჩერდა.

– რა გითხრა... შენ შენი დავალება შეასრულე, – თქვა მან.

– ბოლომდე არა.

ბლუმკვისტი სამზარეულოს კედელს მიეყრდნო და გოგონას თვალი თვალში გაუყარა. მის მზერაში ვერაფერი ამოიკითხა. ჰარიეტის გაუჩინარების საქმეზე ნახევარი წელი მარტო მუშაობდა და... უცებ მოხალისე ასისტენტი გამოჩნდა. გადაწყვეტილება დაუფიქრებულად მიიღო:

– ვიცი. ამ საქმემ მეც მოსვენება დამიკარგა. ფროდეს დაველაპარაკები. შენთან ხელშეკრულებას ერთი-ორი კვირით კიდევ გავაგრძელებთ... ჩემი თანაშემწე იქნები. არა მგონია, იმდენი გადაგიხადოს, რამდენსაც არმანსკის უხდის, მაგრამ იმდენს მიიღებ, რომ შიმშილით არ მოკვდები.

უცებ სალანდერმა ბლუმკვისტს გაუღიმა. ისე ძალიან უნდოდა ამ საქმის გამოძიებაში მონაწილეობა, რომ უფასოდაც კი იმუშავებდა.

– მეძინება, – გოგონამ ზედმეტი კომენტარების გარეშე თავის ოთახში შევიდა და კარი გაიხურა.

ორი წუთის შემდეგ კარი ისევ გაიღო და სალანდერმა ოთახიდან თავი გამოყო.

– მგონი, ცდები. საქმე შეშლილ სერიულ მკვლელთან არ გვაქვს, ვინც ბიბლიას არასწორად იგებს. ეს ერთი ჩვეულებრივი ნაბიჭვარია, რომელსაც სძულს ქალები.

თავი XXI

ხუთშაბათი, 3/VII – ხუთშაბათი, 10/VII

სალანდერი ბლუმკვისტზე ადრე, დილის ექვს საათზე ადგა. ყავისთვის წყალი დაადგა და შხაპის მისაღებად სააბაზანოში შევიდა. რვის ნახევარზე, როცა ბლუმკვისტმა გაიღვიძა, გოგონა მის „აიბუქში“ ჰარიეტ ვანგერის საქმის მოკლე ანალიზს კითხულობდა. ბლუმკვისტი სამზარეულოში წელზე პირსახოცშემოხვეული შევიდა და ახალგაღვიძებულმა თვალები მოიფშვნიტა.

– ქურაზე ყავა დგას, – უთხრა სალანდერმა.

– ჯანდაბა, მაგ ფაილის კოდი როგორ გატეხე? – ჩაიბურტყუნა ბლუმკვისტმა.

სალანდერმა მშვიდად გახედა.

– ინტერნეტიდან „ვორდის“ ფაილის კოდის გასატეხი პროგრამის გადმოწერას სულ ოცდაათი წამი სჭირდება.

– პირადი ქონების ხელშეუხლებობაზე საუბარი მოგვიწევს, – უთხრა ბლუმკვისტმა და შხაპის მისაღებად წავიდა.

როცა სააბაზანოდან გამოვიდა, სალანდერს უკვე გამოერთო კომპიუტერი და თავის ადგილზე, ბლუმკვისტის კაბინეტში დაებრუნებინა. სამაგიეროდ, თავისი „პაუერბუქი“ ჩაერთო. ბლუმკვისტს ეჭვიც არ ეპარებოდა, რომ გოგონას მისი კომპიუტერიდან ყველა საჭირო ფაილი თავისაში ჰქონდა გადატვირთული.

სალანდერი ნამდვილი ინფო-ნარკომანი იყო, რომელიც თავის საქციელის მორალურ ან ეთიკურ მხარეს ცელქი ბავშვივით არად დაგიდევდათ.

ბლუმკვისტი, ის-ის იყო, სასაუზმოდ დაჯდა, რომ წინკარზე კაკუნი გაისმა. კართან მდგარ მარტინ ვანგერს ისეთი მოღუშული სახე ჰქონდა, რომ ბლუმკვისტმა წამით იფიქრა, უთუოდ ბიძამისი გარდაიცვალაო.

– არა, ჰენრიკის მდგომარეობა უცვლელია. მე სულ სხვა საქმეზე მოვედი. შეიძლება შემოვიდე?

ბლუმკვისტმა სტუმარი შიგნით შეიპატიჟა და ლიზბეთ სალანდერი წარუდგინა, ეს ჩემი თანაშემწეაო. გოგონამ ერთი შეხედა კორპორაციის ხელმძღვანელს, თავი ძლივს

შესამჩნევად დაუქნია და მერე ისევ კომპიუტერს მიუბრუნდა. მარტინ ვანგერი ავტომატურად მიესალმა მას, მაგრამ იმდენად შეწუხებული ჩანდა, რომ გოგონასთვის წესიერად არც შეუხედავს. ბლუმკვისტმა ყავა დაუსხა და სკამი შესთავაზა.

– რა ხდება?

– Hedestads-Kuriren გამოწერილი არ გაქვს?

– არა, მაგრამ ხანდახან „სუზანის კაფეში“ ვკითხულობ ხოლმე.

– ესე იგი, დილის ნომერი არ წაგიკითხავს?..

– ისე მეკითხები, თითქოს აუცილებლად უნდა წამეკითხა.

მარტინმა გაზეთის დილის ნომერი წინ დაუდო. ბლუმკვისტვისთვის წინა გვერდზე ორი სვეტი დაეთმოთ, ხოლო სტატია მეოთხე გვერდზეც გრძელდებოდა.

„ცილისწამებაში დადანაშაულებული ჟურნალისტი აქ იმალება“.

ეკლესიის ბორცვიდან ტელეობიექტივით გადაღებულ ფოტოზე თავისი კოტეჯიდან გამომავალი ბლუმკვისტი იყო დაფიქსირებული.

ჟურნალისტ ტორსონს დამცინავი სტატია გამოექვეყნებინა. სტატიაში მოკლედ აღეწერა ვენერსტრომის საქმე და ხაზი გაესვა იმისთვის, რომ ბლუმკვისტმა „მილენიუმი“ შერცხვენილმა დატოვა და ორი თვით ციხეშიც იხდიდა სასჯელს. სტატია ჩვეულებრივი სიტყვებით სრულდებოდა, რომ „ბლუმკვისტმა კომენტარის გაკეთებაზე უარი განაცხადა“. ყოველი თავმოყვარე ჰედესტადელისთვის ცხადად მიენიშნებინათ, რომ მათ მხარეში სტოკჰოლმელი ნაძირალა დაიარებოდა. სტატია ისე ნიჭიერად იყო დაწერილი, რომ ავტორს ცილისმწამებლობაში ვერ დაადანაშაულებდი, მაგრამ ბლუმკვისტი აშკარად საეჭვო პიროვნებად იყო გამოყვანილი; სტილითა და შინაარსით ძალიან ჰგავდა პოლიტიკურ ტერორისტებზე დაწერილ სტატიებს. ტორსონს „მილენიუმი“ არაობიექტურ, აგიტაციურ ჟურნალად წარმოედგინა, ხოლო ბლუმკვისტის წიგნი – არადამაჯერებელი მტკიცებულებების ნაკრებად, რომელშიც ავტორი სხვა უფრო პატივსაცემ ჟურნალისტებს ეწინააღმდეგებოდა.

– მიქაელ... სიტყვებით ვერც კი გადმოგცემ, რა ვიგრძენი, როცა ეს სტატია წავიკითხე. ნამდვილი საზიზღრობაა.

– ეს შეკვეთილი სტატიაა, – მშვიდად განაცხადა ბლუმკვისტმა.

– იმედია, ხვდები, რომ ამ საქმეში ჩემი ხელი არ ურევია. ამ სტატიის კითხვისას კინაღამ ყავა გადამცდა და დავიხრჩე.

– ვისი ნახელავია?

– რამდენიმეგან გადავრეკე. ეს ტორსონი ვიღაც პრაქტიკანტია. სტატია ბირგერის დავალებით დაუწერია.

– მეგონა, ბირგერი რედაქციის საქმეში ჩარევას ვერ ბედავდა. ბოლოს და ბოლოს, ადგილობრივი საკრებულოს წევრი და პოლიტიკური ფიგურაა.

– ტექნიკურად, გაზეთზე მას არანაირი გავლენა არ აქვს. მაგრამ Hedestads-Kuriren-ის მთავარი რედაქტორი გუნარ კარლმანია, ინგრიდის შვილი, რომელიც იოჰან ვანგერის მხრიდან ენათესავება ოჯახს. ბირგერი და გუნარი ძველი მეგობრები არიან.

– გასაგებია.

– ტორსონს სამსახურიდან აუცილებლად დაითხოვენ.

– რამდენი წლისაა?

– სიმართლე გითხრა, არ ვიცი. არც კი ვიცნობ.

– არ დაითხოვოთ. ტელეფონზე რომ ვესაუბრე, მომეჩვენა, რომ ახალგაზრდა და გამოუცდელი ჟურნალისტი იყო.

– მისთვის ამის შერჩენა არ შეიძლება.

– ჩემი აზრი თუ გაინტერესებს, ძალიან სულელური სიტუაციაა. ვანგერების ოჯახის კუთვნილი გაზეთის მთავარი რედაქტორი უტევს ჟურნალს, რომლის თანამფლობელიც ჰენრიკ ვანგერია, ხოლო შენ – დირექტორთა საბჭოს წევრი. გამოდის, რომ კარლმანმა შენ და ჰენრიკს შემოგიტიათ.

– მესმის შენი, მაგრამ პასუხისმგებელი პირი უნდა დაისაჯოს. კარლმანი კორპორაციის აქციონერია და ბევრჯერ გავუკრიტიკებივარ, მაგრამ ამ შემთხვევაში მგონი ბირგერმა საავადმყოფოში მომხდარი კამათის გამო შენზე შური იძია. თვალში ზედმეტად ეჩხირები.

– ვიცი. ამიტომაც მგონია, რომ ტორსონის დათხოვნა არ ღირს. როცა უფროსი რაღაცას ავალებს, პრაქტიკანტს ყოველთვის უჭირს მისთვის უარის თქმა.

– მოვითხოვ, რომ ხვალვე ოფიციალურად ბოდიში მოგიხადონ.

– არაა საჭირო. პირიქით, ურთიერთლანძღვა და გინება გაგრძელდება და სიტუაციაც გაუარესდება.

– მაშ, შენი აზრით არაფერი არ უნდა მოვიმოქმედო?

– აზრი მაინც არ ექნება. კარლმანმა შეიძლება ხმაური ატეხოს, რომ მეპატრონის უფლებას ბოროტად იყენებ და გაზეთს გამოხატვის თავისუფლებას უზღუდავ.

– ბოდიში, მიქაელ, მაგრამ არ გეთანხმები. სხვათა შორის, მეც მაქვს ჩემი აზრის დაფიქსირების უფლება. მიმაჩნია, რომ ეს სტატია სრული სისულელეა და ამის ხმამაღლა განცხადების არ მომერიდება. მინდა თუ არ მინდა, „მილენიუმში“ ჰენრიკის შემცვლელი ვარ და ასეთ შეურაცხმყოფელ სტატიას უპასუხოდ ვერ დავტოვებ.

– მართალია.

– ამიტომაც მოვითხოვ, რომ ჩემი პასუხი გამოაქვეყნონ. და თუ კარლმანი იდიოტად გამოჩნდება, საკუთარ თავს დააბრალოს.

– როგორც საჭიროდ ჩათვლი, ისე მოიქეცი.

– ჩემთვის მნიშვნელოვანია, იცოდე, რომ ამ თავხედურ სტატიასთან არანაირი კავშირი არ მაქვს.

– ამაში ისედაც დარწმუნებული ვარ.

– და კიდევ... არ მინდოდა ამის გახსენება, მაგრამ ეს ფაქტი ცხადად გვაჩვენებს, რომ მართალი ვიყავი, როცა გითხარი, შენი „მილენიუმში“ დაბრუნება აუცილებელია-მეთქი. სანამ აქ ხარ, ჭორაობა არ შეწყდება. მე მჯერა „მილენიუმის“ და დარწმუნებული ვარ, რომ ერთად ამ ომში გავიმარჯვებთ.

– მესმის შენი, მაგრამ ამჯერად მე ვერ დაგეთანხმები. ჰენრიკთან ხელშეკრულებას ვერ დავარღვევ და, სიმართლე გითხრა, ამის გაკეთება არც მინდა. მოხუცი ძალიან მომწონს. თანაც ეს საქმე ჰარიეტზე...

– რა?

– ვიცი, რომ შენთვის ეს მძიმეა, ჰენრიკი კი ამით, მრავალი წელია, გატაცებულია.

– მოდი, ერთს გეტყვი და ჩვენ შორის დარჩეს: ჰენრიკი ძალიან მიყვარს, ის ჩემი მასწავლებელია, მაგრამ როცა საქმე ჰარიეტს ეხება, ნამდვილი შერეკილი ხდება.

– როცა საქმეს ხელი მოვკიდე, მეგონა, რომ დროს ფუჭად ვხარჯავდი, მაგრამ ახლა პასუხთან ძალიან ახლოს ვართ და აუცილებლად უნდა გავიგოთ, სინამდვილეში რა მოხდა.

ბლუმკვისტმა მარტინ ვანგერის მზერაში ეჭვი შეამჩნია. ბოლოს მან გადაწყვეტილება მიიღო.

– კარგი, მაშინ ჰარიეტის საიდუმლო რაც შეიძლება სწრაფად უნდა ამოხსნა. ყველანაირად ხელს შეგიწყობ, რომ შენი და, რასაკვირველია, ჰენრიკის დასაშოშმინებლად, საქმე ბოლომდე მიიყვანო და „მილენიუმში“ დაბრუნდე.

– მშვენიერია, მაშინ შენთან კამათი აღარ მომიწევს.

– არა, აღარ მოგიწევს. თუ პრობლემა შეგექმნება, შეგიძლია, ნებისმიერ დროს მომმართო. გარწმუნებ, ბირგერი წინ ვეღარ გადაგეღობება. სესილიასაც დაველაპარაკები და ვეცდები, როგორმე დავამშვიდო.

– გმადლობ. მისთვის რაღაცის კითხვა მინდოდა, მაგრამ ერთი თვეა, თავს მარიდებს.

მარტინ ვანგერს გაეცინა.

– ეგ პრობლემა თვითონ მოაგვარე, მე ნუ გამრევ.

ერთმანეთს ხელის ჩამორთმევით დაემშვიდობნენ.

ლიზბეთ სალანდერი მათ საუბარს ყურადღებით უსმენდა. როგორც კი მარტინ ვანგერი წავიდა, Hedestads-Kuriren აიღო და სტატია დაასკანერა. მერე გაზეთი სიტყვის უთქმელად დადო მაგიდაზე.

ბლუმკვისტი ჩუმად იჯდა და ფიქრობდა: გუნარ კარლმანი 1948 წელს დაიბადა და 1966 წელს თვრამეტი წლისა იქნებოდა. ისიც კუნძულზე იმყოფებოდა, როცა ჰარიეტი გაუჩინარდა.

ნასაუზმევს თავისი ასისტენტის საგამოძიებო მასალების წაკითხვა სცადა. მას კი ხიდზე მომხდარი ავტოავარიის ამსახველი ფოტოები და ჰენრიკ ვანგერის მიერ წლების განმავლობაში მოგროვილი მასალები გადასცა.

მერე ფროდეს ესტუმრა სახლში და სთხოვა, სალანდერისთვის ერთი თვით ხელშეკრულება გაეგრძელებინა.

კოტეჯში რომ დაბრუნდა, სალანდერი ეზოში იჯდა და საგამოძიებო მასალებს ჩაჰკირკიტებდა. ბლუმკვისტი ყავის მოსადუღებლად შიგნით შევიდა. სამზარეულოს ფანჯრიდან უყურებდა სალანდერს. გოგონა ინტერნეტში დაძვრებოდა, ყოველ 10-15 წამში ახალ ვებ-გვერდზე გადადიოდა. ბლუმკვისტს გაუკვირდა. მკვლევარს, რომელმაც საფუძვლიანი გამოძიება ჩაატარა, ასეთი უყურადღებობა ნამდვილად არ შეეფერებოდა.

ბლუმკვისტმა ორი ფინჯანი ყავა დალია და მერე ბაღში გოგონას შეუერთდა.

– ეს შენიშვნები ჯერ კიდევ მაშინ გაგიკეთებია, სანამ სერიული მკვლელის ძებნას დავიწყებდით, – უთხრა სალანდერმა.

– დიახ. უბრალოდ, კითხვები ჩამოვწერე, რომ ჰენრიკისთვის დამესვა. ალბათ შეამჩნიე, რომ ეს შენიშვნები მოუწესრიგებელია. აქამდე ბნელში ვიყავი, მხოლოდ მოკლე ისტორიის – ჰენრიკ ვანგერის ბიოგრაფიის ერთი თავის – დაწერას ვცდილობდი.

– და ახლა?

– წინათ უფრო ჰედების კუნძულზე ვიყავი კონცენტრირებული. ახლა ზუსტად ვიცი, რომ ყველაფერი ჰედესტადში დაიწყო. ეს მთლიანად ცვლის სურათს.

– ფოტოებზე გონივრულად მიმხვდარხარ, – შეაქო სალანდერმა.

ბლუმკვისტმა დაიმორცხვა. სალანდერი იმ ადამიანს არ ჰგავდა, კომპლიმენტებს წინ და უკან რომ არიგებს. მეორე მხრივ, თუ ჟურნალისტის თვალით შეხედავდი, მან მართლაც ბევრს მიაღწია.

– დეტალურად მომიყევი. ნორშეში იმ სურათს მიაგენი?

– ახლა არ მითხრა, რომ ჩემს კომპიუტერში სურათები არ შეგიმოწმებია?

– დრო არ მქონდა. შენი შენიშვნების და დასკვნების წაკითხვა მეჩქარებოდა.

ბლუმკვისტმა „აიბუქი“ ჩართო და ფოტოების საქაღალდე გახსნა.

– ნორშეში მგზავრობამ წარმატებით ჩაიარა, ფოტოს მივაგენი, მაგრამ მაინც გაწბილებული დავრჩი. ფოტოს საშუალებით ვერაფერი გავარკვიე. იმ ქალს თაფლობის თვის სურათები ალბომში ჰქონდა შენახული. იაფფასიანი ფირით გადაეღო და ფოტოები სულ გაყვითლებული იყო. სამაგიეროდ, ვერ დაიჯერებ, მაგრამ ფირი შენახული ჰქონდა. ჰედესტადის ნეგატივი ვითხოვე და დავასკანერე. აი, რა დაინახა ჰარიეტმა.

ბლუმკვისტმა დააწკაპუნა ფოტოზე, რომელსაც HARRIET/bd-19.esp ერქვა.

სალანდერი მაშინვე მიხვდა, რატომ გაუცრუვდა იმედი ბლუმკვისტს. ფოტოს წინა ხედზე ბავშვთა დღისადმი მიძღვნილ აღლუმზე მოხტუნავე კლოუნები ჩანდა. უკანა პლანზე – „სუნდსტრომის სამკერვალოს“ კუთხე. სამკერვალოს წინ, ტროტუარზე ათიოდე ადამიანი იდგა.

– ეს გზაჯვარედინი ზუსტად ჩავიხაზე და, თუ იმით ვიმსჯელებთ, რამდენ გრადუსიანი კუთხით აქვს ჰარიეტს თავი მიტრიალებული და იმასაც, რომ ის პიროვნება პირდაპირ ფოტოკამერის ობიექტივს უყურებს, ჰარიეტს სწორედ ეს კაცი უნდა დაენახა. ჩემი აზრით, ეს კაციც ჰარიეტს უყურებდა.

ტროტუარზე სხვა მოზეიმეების უკან ბუნდოვანი ფიგურა ჩანდა. შავი დალიანდაგებული ქურთუკი წითელი სამხრეებით და მუქი ფერის, ალბათ ჯინსის, შარვალი ეცვა. ბლუმკვისტმა ფიგურა წელს ზევით იმდენად გაადიდა, რომ მთელი ეკრანი დაფარა. გამოსახულება უფრო მეტად ბუნდოვანი გახდა.

– ეს მამაკაცია. 1,8 მეტრი სიმაღლის, ჩვეულებრივი აგებულების, ღია ფერის საშუალო სიგრძის თმით, სუფთად გაპარსული. მისი სახის ნაკვთების გარჩევა ან ასაკის დადგენა შეუძლებელია. შეიძლება მოზარდი იყოს, ან – შუა ხნისა.

– შეგეძლო ფოტო დაგემუშავებინა...

– დავამუშავე კიდეც. „მილენიუმში“ ჩემს კოლეგასაც გავუგზავნე, ფოტოების რედაქტირების ნამდვილი ოსტატია.

ბლუმკვისტმა სხვა ფოტოზე დააწკაპუნა.

– უკეთესი ხარისხის მიღება შეუძლებელია. ფოტოკამერა იაფფასიანია და სურათიც ძალიან შორიდანაა გადაღებული.

– ფოტო ვინმეს აჩვენე? იქნებ ვინმემ იცოდეს მისი ვინაობა...

– ფროდეს ვაჩვენე. წარმოდგენა არ აქვს, ვინაა ეს კაცი.

– როგორც შევამჩნიე, ჰერ ფროდე ჰედესტადში ყველაზე დაკვირვებული კაცი არ უნდა იყოს.

– არა, მაგრამ მე მან და ჰენრიკ ვანგერმა დამიქირავეს. სანამ ბადეს უფრო შორს ვისროდე, ჯერ ჰენრიკს უნდა ვაჩვენო ფოტო.

– შეიძლება ეს კაციც უბრალო მოზეიმეა და მეტი არავინ.

– შეიძლება. მაგრამ მისმა დანახვამ ჰარიეტი რატომღაც ძალიან დააფრთხო.

მომდევნო რამდენიმე დღის განმავლობაში ბლუმკვისტი და სალანდერი, თუ არ ეძინათ, სულ ჰარიეტის საქმეზე მუშაობდნენ. სალანდერი საგამოძიებო მასალებს ეცნობოდა და ბლუმკვისტს კითხვას კითხვაზე აყრიდა. თუ პასუხები გაურკვეველი და ორაზროვანი იყო, უფრო ღრმად ეძიებოდნენ საკითხს. ერთი დღე მთლიანად ავტოვარიის ადგილას შეყრილი ამ იდუმალი საქმის ყველა პერსონაჟის გადაადგილების ქრონოლოგიური ცხრილის შედგენას დაუთმეს.

სალანდერი უფრო და უფრო მეტად აკვირვებდა ბლუმკვისტს. მიუხედავად იმისა, რომ მასალებს ზედაპირულად კითხულობდა, ყოველთვის ბუნდოვანი და ურთიერთსაწინააღმდეგო დეტალები მოხვდებოდა ხოლმე თვალში.

შუადღისას, როცა ეზოში აუტანლად ჩამოცხებოდა, ისვენებდნენ. ხან არხში ბანაობდნენ, ხან „სუზანის კაფეში“ ტერასაზე ისხდნენ. სუზანი ბლუმკვისტს უკვე ცივად ეპყრობოდა. „ეტყობა, სალანდერის გამო, რომელიც ჩემს კოტეჯში ცხოვრობს და სულაც არ ჰგავს სრულწლოვანს, სუზანს ბებერი გარყვნილი ვგონივარო“, – ფიქრობდა ბლუმკვისტი და ასეთი დამოკიდებულება, რა თქმა უნდა, არ სიამოვნებდა.

ბლუმკვისტი ყოველ საღამოს დარბოდა. სალანდერი არაფერს ეუბნებოდა, როცა ის გაოფლილი და სუნთქვაშეკრული ბრუნდებოდა სახლში, თუმცა ვარჯიში და სირბილი აშკარად არ მოსწონდა.

– ორმოცს უკვე გადავცდი, – აუხსნა ერთხელ ბლუმკვისტმა, – უნდა ვივარჯიშო, რომ სიბერეში ღიპი არ დამედოს.

– გასაგებია.

– არ გინდა შენც ივარჯიშო?

– ხანდახან კრივში ვვარჯიშობ.

– კრივში?

– ჰო, ხელთათმანებით.

– რომელ წონაში? – ჰკითხა აბაზანიდან გამოსულმა ბლუმკვისტმა.

– არც ერთში. სოდერზე ერთი კლუბია და იქ ბიჭებს ვეპაექრები ხოლმე.

„ნეტა, რატომ არ მიკვირს?“ – გაიფიქრა ბლუმკვისტმა.

თუმცა, სხვა თუ არაფერი, გოგონამ თავის თავზე რაღაც მაინც გაუმხილა. მასზე ბევრი არაფერი იცოდა: არმანსკისთან როგორ დაიწყო მუშაობა? განათლება მიღებული ჰქონდა თუ არა? რას საქმიანობდნენ მისი მშობლები? როგორც კი ბლუმკვისტი პირად ცხოვრებაზე რამეს ჰკითხავდა, გოგონა რაღაცას წაიბურტყუნებდა და პირში წყალს ჩაიგუბებდა ხოლმე.

ერთ შუადღეს მოღუშულმა სალანდერმა საქაღალდე მაგიდაზე დააგდო.

– პასტორ ოტო ფალკზე რა იცი?

– ბევრი არაფერი. ახლანდელი პასტორი ქალია და იმან მითხრა, ფალკი ჰედესტადის მოხუცთა სამკურნალო სახლში ცხოვრობსო. ალცჰეიმერითა დაავადებული.

– სადაურია?

– ჰედესტადელი. უფსალაში სწავლობდა.

– როგორც მასალებიდან ჩანს, უცოლო იყო და ჰარიეტი მას ხშირად ხვდებოდა.

– ჰო. რამემ დაგაეჭვა?

– იმან, რომ მორელს ძალიან ზედაპირულად დაუკითხავს.

– სამოციან წლებში პასტორები საზოგადოებაში განსაკუთრებული სტატუსით სარგებლობდნენ. ამ კუნძულზე, ასე ვთქვათ, ამ ძალაუფლებიანი ოჯახის გვერდით რომ ცხოვრობდა, პასტორისთვის სრულიად ჩვეულებრივი რამ იყო.

– საინტერესოა, პოლიციამ პასტორის სახლი წესიერად თუ გაჩხრიკა. ფოტოებზე ჩანს, რომ საკმაოდ დიდი სახლი იყო და იქ ალბათ ბევრი სამალავიც ჰქონდა.

– ასეა, მაგრამ საგამოძიებო მასალებში ისეთი არაფერია, რომ პასტორის სერიულ მკვლელთან ან ჰარიეტის გაუჩინარებასთან კავშირზე მიანიშნებდეს.

– სინამდვილეში, არის, – ეშმაკურად გაიღიმა სალანდერმა, – პირველი, ის პასტორია და პასტორებს ბიბლიასთან განსაკუთრებული ურთიერთობა აქვთ. მეორე, უკანასკნელად სწორედ ის შეხვდა და გამოელაპარაკა ჰარიეტს.

– მაგრამ მერე პასტორი ხიდზე წავიდა და როცა, სავარაუდოდ, ჰარიეტი გაუჩინარდა, ის ჯერ კიდევ იქ იყო.

– კარგი, ალიბი ნამდვილად აქვს. მაგრამ მე სულ სხვა რამეზე ვფიქრობდი. ეს ისტორია ქალების სადისტ მკვლელზეა.

– მერე?

– ამ გაზაფხულზე თავისუფალი დრო გამომიჩნდა და სადისტებზე რაღაც წიგნები წავიკითხე. FBI-ს სახელმძღვანელოს თანახმად, სერიული მკვლელების უმეტესობა წარმოშობით ქმედუუნარო ოჯახებიდანაა და ბავშვობაში ყველას უყვარდა ცხოველების წამება. რამდენიმე ამერიკელი სერიული მკვლელი ხანძრის გაჩენისთვისაც გაასამართლეს. ნაწამები ცხოველები და ხანძრები ჰარიეტის საქმეშიც ამოტივტივდა, მაგრამ მე იმან უფრო დამაინტერესა, რომ სამოცდაათიანების მიწურულს პასტორის სახლი დაიწვა.

– ნაკლებად დასაჯერებელია, – თქვა მცირე ხნის ფიქრის შემდეგ ბლუმკვისტმა.

– გეთანხმები, მაგრამ საგამოძიებო მასალებში არსადაა ნახსენები ხანძრის გამომწვევი მიზეზები. საინტერესოა, სამოციან წლებში ახლომახლო ხანძარი სხვაგანაც თუ ყოფილა. ასევე უნდა გადავამოწმოთ, ცხოველების წამებას ან დასახიჩრებას ხომ არ ჰქონია ადგილი.

ჰედებიზე ჩასვლიდან მეშვიდე ღამეს ლიზბეთ სალანდერი საწოლში ბლუმკვისტისგან ცოტათი გაბეზრებული ჩაწვა. თითქმის მთელი კვირა მასთან გაეტარებინა, მას კი უცნობ ადამიანთან გატარებული შვიდი წუთის შემდეგ უკვე თავი სტკივდებოდა ხოლმე. სალანდერს მარტოობაში ყოფნა მოსწონდა, აღიზიანებდა, როცა სხვები თავს აბეზრებდნენ. საუბედუროდ, საზოგადოებას მისი არ ესმოდა. მთელი ცხოვრება იმას ცდილობდა, თავი დაეცვა სოციალური თუ ბავშვთა დაცვის ინსპექციის, სამეურვეო სააგენტოს თუ საგადასახადო სტრუქტურების წარმომადგენლებისგან, პოლიციისგან, აღმზრდელებისგან, ფსიქოლოგებისგან, ფსიქიატრებისგან, მასწავლებლისა და ბარის მცველებისგან (გარდა იმ ბიჭებისა Kvarnen-ის კართან რომ იდგნენ და პირველივე დანახვისთანავე მიხვდნენ, სალანდერი რა ტიპიც იყო), რომლებიც ბარში არ უშვებდნენ, მიუხედავად იმისა, რომ ოცდახუთი წლისა იყო. მის გარშემო თითქოს მთელი არმია შეკრებილიყო ხალხისა, ვისაც მის ცხოვრებაში ცხვირის ჩაყოფის გარდა სხვა საქმე არ ჰქონდა და, სალანდერს რომ ნება მიეცა, უმალ ჭკუის სწავლებას დაუწყებდნენ.

ტირილით რომ ვერაფერს უშველიდა, ეს ადრეულ ასაკშივე შეეგნო. იმასაც ხვდებოდა, რომ სხვისთვის საკუთარი ცხოვრების დეტალების განდობა სიტუაციას უფრო აუარესებს. საბოლოოდ, იმ დასკვნამდე მივიდა, რომ საკუთარი პრობლემები თავისით, ნებისმიერი საშუალებით უნდა გადაეწყვიტა. და ასეც იქცეოდა. ადვოკატმა ბიურმანმა ეს თავის თავზე გამოსცადა.

ბლუმკვისტსაც ისეთივე საძაგელი თვისება გააჩნდა, როგორიც ყველას. სალანდერის პირადი ცხოვრებით ინტერესდებოდა და შეკითხვებით გულს უწყალებდა. თუმცა, მეორე მხრივ, იმ მამაკაცებივით არ რეაგირებდა, რომლებსაც ადრე შეხვედროდა.

თუ სალანდერი კითხვაზე არ უპასუხებდა, წარმოუდგენელია, მაგრამ ბლუმკვისტი მხრებს აიჩეჩავდა და შეეშვებოდა ხოლმე.

იმ პირველ დილას, რასაკვირველია, ბლუმკვისტის „აიბუქიდან“ ყველა საჭირო ინფორმაცია თავის „პაუერბუქში“ გადაქაჩა. თუნდაც საქმისთვის ჩამოეცილებინათ, ამიერიდან მაინც აღარ იდარდებდა – საგამოძიებო მასალებამდე უკვე ხელი მიუწვდებოდა.

როცა მისი კომპიუტერიდან ინფორმაციის გადმოქაჩვისას ბლუმკვისტი დაადგა თავზე, გოგონამ იფიქრა, ახლა ღრიალს ატეხავსო, მაგრამ კაცმა მხოლოდ სარკასტულად ჩაიბურტყუნა რაღაც და შხაპის მისაღებად წავიდა. სააბაზანოდან გამოსულმა კი გამოკითხვა დაუწყო, წაკითხულიდან რა დასკვნა გამოიტანეო. რა უცნაური ტიპიაო, ფიქრობდა სალანდერი და ლამის დაეჯერებინა, რომ ბლუმკვისტი მას ენდობოდა.

გარდა ამისა, ბლუმკვისტმა კარგად იცოდა, რომ სალანდერი ჰაკერობით სერიოზულად იყო გატაცებული, იმას კი, რასაც ის ფულისა და გართობისთვის აკეთებდა, კანონის ენაზე „ინფორმაციის არალეგალური მოპოვება“ ერქვა და, სულ მცირე, ორწლიანი პატიმრობით ისჯებოდა. სალანდერს ციხეში ჩაჯდომა სულაც არ სურდა. ციხეში კომპიუტერს წაართმევდნენ, ეს კი ერთადერთი საქმიანობა იყო, რაშიც საუკეთესო იყო. სალანდერი არმანსკის არ უმხელდა, როგორ მოიპოვებდა იმ ინფორმაციას, რისთვისაც ფულს უხდიდნენ.

გარდა Plague-ისა და სხვა რამდენიმე ჰაკერისა, რომლებიც ასევე პროფესიონალურ დონეზე საქმიანობდნენ – მათი უმეტესობაც სალანდერს მხოლოდ Wasp-ის მეტსახელით იცნობდა და ისიც კი არ იცოდნენ, სალანდერი სად ცხოვრობდა – მისი საიდუმლო მხოლოდ „კალე ბლუმკვისტმა“ გაიგო. ისიც იმიტომ, რომ გოგონამ ბავშვური შეცდომა დაუშვა და ამ დაუკვირვებლობისთვის კარგად გამათრახებასაც იმსახურებდა. თუმცა, განრისხების ნაცვლად, ბლუმკვისტმა სამუშაო შესთავაზა.

რა გასაკვირია, რომ სალანდერს ბლუმკვისტი ცოტათი აღიზიანებდა.

სანამ დაწვებოდნენ, წაიხემსეს და ბლუმკვისტმა უეცრად ჰკითხა, კარგი ჰაკერი თუ ხარო.

თავისდა გასაკვირად, გოგონამ უპასუხა:

– ალბათ შვედეთში საუკეთესო ვარ. ჩემი დონისა ორი-სამი ჰაკერი თუ იქნება.

პასუხის სისწორეში სალანდერს ეჭვი არ ეპარებოდა. ოდესღაც Plague იყო მასზე ძლიერი, მაგრამ მისთვის უკვე გადაესწრო.

მეორე მხრივ, თავისი პასუხი უჩვეულოდ მოეჩვენა. ადრე ასეთი რამ არასდროს ეთქვა. თუმცა, მას ხომ არც არასდროს ჰქონდა ვინმესთან საკუთარი ნიჭით თავის მოწონების საშუალება. თუმცა, ეს თვითკმაყოფილების შეგრძნება მაშინვე გაქრა, როცა ბლუმკვისტმა ჰკითხა, ჰაკერობა როგორ ისწავლეო.

რა ეპასუხა? ეს ყოველთვის ვიცოდიო? ამიტომაც ადგა და დასაძინებლად დაუმშვიდობებლად წავიდა.

სალანდერი უფრო მეტად იმან გააღიზიანა, რომ ბლუმკვისტი სულაც არ შეწუხებულა გოგონას ასეთი თავხედური გამოხდომით. საძინებლიდან ესმოდა, როგორ აალაგა ბლუმკვისტმა სამზარეულოში მაგიდა და ჭურჭელი დარეცხა. კაცი ყოველთვის მასზე გვიან წვებოდა, მაგრამ ახლა ისიც მალე აპირებდა დაწოლას. ჯერ სააბაზანოში შევიდა, მერე – თავის საძინებელში და კარი მიიხურა. სალანდერმა კედლის იქიდან, ალბათ სულ ერთი მეტრის მოშორებით, საწოლის ჭრიალი გაიგონა.

უკვე ერთი კვირა იყო, რაც მასთან ცხოვრობდა, მაგრამ ბლუმკვისტს ერთხელაც არ უცდია მასთან გაარშიყება. გოგონასთან მუშაობდა, აზრს ეკითხებოდა, როცა ის რამეს არასწორად გაიგებდა, შეუსწორებდა ან, როცა სალანდერი შეუსწორებდა, თავის შეცდომას აღიარებდა. მოკლედ, ადამიანურად ექცეოდა.

სალანდერი საწოლიდან წამოდგა და ფანჯრიდან მოუსვენრად გაიხედა. ყოველთვის უჭირდა უცნობის წინაშე პირველად გაშიშვლება. დარწმუნებული იყო, რომ მისი გაჩხინკული ტანი ყველას აფრთხობდა. საცოდავი ძუძუები ჰქონდა, თეძოები კი, შეიძლება ითქვას – საერთოდ არა. ერთი სიტყვით, შესათავაზებელი არაფერი ჰქონდა, გარდა იმისა, რომ ჩვეულებრივი ქალი იყო და, როგორც სხვა ნებისმიერ ქალს, მასაც უნდოდა კაცთან სექსი. ოც წუთს მაინც იდგა ფანჯარასთან, სანამ გადაწყვეტდა, როგორ მოქცეულიყო.

ბლუმკვისტი სარა პარეტსკის რომანს კითხულობდა, როცა კარის სახელური გადატრიალდა. თავი ასწია და ზღურბლზე სალანდერი დაინახა. გოგონას ტანზე ზეწარი შემოეხვია.

– კარგად ხარ? – ჰკითხა ბლუმკვისტმა.

სალანდერმა თავი გააქნია.

– რა გინდა?

სალანდერი საწოლთან მივიდა, ბლუმკვისტს წიგნი გამოართვა და ტუმბოზე გადადო. მერე დაიხარა და კაცს ტუჩებში აკოცა. ბლუმკვისტს საწოლში სწრაფად მიუწვა, წამოიმართა და ყურადღებით შეათვალიერა იგი. ხელი საბანს ზემოდან მუცელზე დაადო. ბლუმკვისტმა რომ არ გააპროტესტა, დაიხარა და ძუძუსთავზე უკბინა.

ბლუმკვისტი დაიბნა. გოგონას მხრებში ძლიერად ჩაავლო ხელი და ოდნავ უკან გასწია, რომ მისი სახე უკეთ დაენახა.

– ლიზბეთ... მგონი, ცუდი აზრია. ჩვენ ერთად უნდა ვიმუშაოთ.

– შენთან სექსი მინდა, რაც შენთან მუშაობაში ხელს არ შემიშლის; პრობლემა მაშინ შეგექმნება, ახლა თუ აქედან გამაგდებ.

– მაგრამ ჩვენ ერთმანეთს წესიერად არც კი ვიცნობთ.

გოგონამ უცნაურად გაიცინა, თითქოს დაახველაო.

– ადრე ამას შენთვის ხელი არასდროს შეუშლია. მართალია, ჩემს მოხსენებაში ეს არ ჩამიწერია, მაგრამ შენზე ინფორმაციის მოძიებისას დავრწმუნდი, რომ არც ერთ ქალს ხელიდან არ უშვებ. ჩემთან რატომ არ შეიძლება? შენთვის არასაკმარისად სექსუალური ვარ?

ბლუმკვისტმა თავი გააქნია და რამე გონივრულის მოფიქრება სცადა. მაგრამ ვერაფერი რომ ვერ მოიფიქრა, სალანდერმა საბანი გადახადა და ზემოდან დააჯდა.

– პრეზერვატივი არ მაქვს, – თქვა ბლუმკვისტმა.

– ფეხებზე მკიდია.

დილით რომ გაეღვიძა, სალანდერი სამზარეულოში დადიოდა. ჯერ შვიდი საათიც არ იყო. სულ ორ საათს ეძინა. გამოუძინებელს თავბრუ ეხვეოდა.

ამ ლიზბეთისა ვერაფერი გაიგო. ყოველგვარი მინიშნების ან არშიყობის გარეშე ჩაუხტა საწოლში.

– დილა მშვიდობისა, – გამოსძახა სამზარეულოდან გოგონამ. თითქოს გაუღიმა კიდეც.

– გამარჯობა.

– რძე გაგვითავდა. ბენზინგასამართ სადგურზე წავალ. შვიდზე იღება, – თქვა სალანდერმა და წავიდა.

ბლუმკვისტმა გაიგონა, როგორ გაიხურა კარი. თვალები დახუჭა. მერე წინკარი ისევ გაიღო და წამის შემდეგ სალანდერი საძინებელში გაჩნდა.

– აჯობებს, ადგე და ეს თვითონ ნახო, – უცნაურ ხმაზე ურჩია გოგონამ.

ბლუმკვისტი მაშინვე წამოხტა და ჯინსის შარვალი ამოიცვა.

ღამით კოტეჯს სტუმარი სწვეოდა და უსიამოვნო საჩუქარი დაეტოვებინა. კარის წინ ნახევრად დანახშირებული კატის გვამი ეგდო. კატისთვის ფეხები და თავი მოეჭრათ, მუცელი გამოეფატრათ და გადმოყრილი ნაწლავები და შიგნეულობა ცეცხლზე შეხრუკული გვამის გვერდით დაეყარათ. ხელშეუხებელი კატის თავი სალანდერის მოტოციკლეტის სავარძელზე იდო. ბლუმკვისტმა წითური ბეწვი იცნო.

თავი XXII

ხუთშაბათი, 10/VII

ეზოში ჩუმად ისაუზმეს და ურძეო ყავა დალიეს. სალანდერმა ცხოველის დასახიჩრებულ გვამს სურათი გადაუღო, სანამ ბლუმკვისტი ნაგვის პაკეტში ჩააგდებდა და „ვოლვოს“ საბარგულში ჩადებდა. ზუსტად არ იცოდა, ნარჩენებისთვის რა ექნა. ალბათ ურიგო არ იქნებოდა პოლიციისთვის ეცნობებინა ცხოველის მიმართ გამოჩენილი სისასტიკის შესახებ, მაგრამ ამ სისასტიკის სავარაუდო მიზნების მათთვის ახსნის თავი ნაღდად არ ჰქონდა.

დილის ცხრის ნახევარზე სახლის წინ იზაბელა ვანგერმა გაიარა და ხიდზე გადავიდა. ბლუმკვისტი და სალანდერი არ დაუნახავს ან შეგნებულად არ გამოიხედა მათკენ.

– როგორ ხარ? – ჰკითხა ბლუმკვისტმა სალანდერს.

– ო, მშვენივრად, – შეცბა სალანდერი. „აჰა, მაშ, მიაჩნია, რომ უნდა ვღელავდე“. – როცა იმ ნაბიჭვარს ვიპოვი, ვინც საბრალო კატა მხოლოდ იმიტომ აწამა, რომ ჩვენ გავეფრთხილებინეთ, ბეისბოლის ბიტით თავპირს გავუერთიანებ.

– გგონია, რომ გაგვაფრთხილეს?

– უკეთესი ახსნა გაქვს? ეს უეჭველად რაღაცას ნიშნავს.

– ჩანს, დამნაშავე ისე ავაღელვეთ, რომ იძულებული გახდა, ასეთი სისაძაგლე ჩაედინა. თუმცა, ჩვენ სხვა პრობლემაც გვაქვს.

– ჰო. ეს კატა 1954 და 1960 წლების სტილშია ნაწამები. წარმოუდგენელია, ის ვიღაც ორმოცდაათი წლის შემდეგაც წინ და უკან დარბოდეს და კართან მკვდარ ცხოველებს ყრიდეს.

ბლუმკვისტმა თავი დაუქნია.

– ასეთ შემთხვევაში მთავარი ეჭვმიტანილები ჰარალდ და იზაბელა ვანგერები ხდებიან. იოჰან ვანგერის მხრიდან ოჯახს სხვა ხნიერებიც ენათესავებიან, მაგრამ ისინი აქ არ ცხოვრობენ.

ბლუმკვისტმა ამოიხვნეშა.

– იზაბელა საზიზღარი ძუკნაა, რომელიც თავისუფლად მოკლავდა კატას, მაგრამ მეეჭვება, ორმოცდაათიანებში ქალებს ეგ დარეოდა დასახოცად. ჰარალდ ვანგერი... არ ვიცი, ისეთი დაჩაჩანაკებულია, ძლივს დადის. აქ ღამით უჩუმრად მოპარვას, კატის დაჭერას და მის ასე დასახიჩრებას როგორ შეძლებდა?!

– შეიძლება ორნი იყვნენ – ერთი ხნიერი და მეორე ახალგაზრდა.

ბლუმკვისტს ძრავის ხმა მოესმა. ხიდზე სესილია გადავიდა.

„ვითომ ჰარალდი და სესილია? – გაიფიქრა მან, – მაგრამ მამა-შვილი ერთმანეთს რომ არ ელაპარაკება?!“

მარტინ ვანგერის დაპირების მიუხედავად, სესილია ისევ არ პასუხობდა ბლუმკვისტის სატელეფონო შეტყობინებებს.

– ვიღაც ისეთია, ვინც იცის, რომ ამ საქმეს ვიძიებთ და უკვე წინაც წავიწიეთ, – შინ შესასვლელად წამოდგა სალანდერი. ცოტა ხანში ტყავის შარვალში ჩაცმული გამოვიდა გარეთ.

– სტოკჰოლმში მივდივარ. ამაღამ დავბრუნდები.

– იქ რა გინდა?

– რაღაც-რაღაცეები უნდა ჩამოვიტანო. ის, ვინც ასე უმოწყალოდ მოკლავს კატას, სხვა დროს არც ჩვენზე თავდასხმას მოერიდება. შეიძლება, სანამ ჩვენ გვძინავს, ღამით სახლს ცეცხლიც წაუკიდოს. ჰედესტადში წადი და ორი ცეცხლმაქრობი და სახანძრო სიგნალიზაცია იყიდე. ერთ-ერთი ჰალომეთანის ჩამაქრობელი უნდა იყოს.

ამ სიტყვებით მოტოციკლეტს შემოახტა, დაქოქა და ხიდზე გადაგრიხინდა.

ბლუმკვისტმა სანაგვე პაკეტში ჩაყრილი კატის ნარჩენები ბენზინგასამართი სადგურის უკან დააგდო და ჰედესტადში წავიდა.საავადმყოფოში მივიდა. ფროდესთვის წინასწარ დაეთქვა კაფეტერიაში შეხვედრა და მოხუც ადვოკატს დილის ინციდენტზე ყველაფერზე უამბო.

– მიქაელ, ვერც კი წარმოვიდგენდი, რომ საქმე აქამდე მივიდოდა, – გაფითრდა ფროდე.

– რატომ? ბოლოს და ბოლოს, ჩვენ მკვლელს ვეძებთ.

– მაგრამ ეს სისაძაგლე და არაადამიანურობაა. თუ თქვენი და ფრეკენ სალანდერის სიცოცხლეს საფრთხე ემუქრება, ძიება უნდა შეწყვიტოთ. ჰენრიკს დაველაპარაკები.

– არა. გამორიცხულია. არ მინდა, ისევ ინფარქტმა დაარტყას.

– სულ მეკითხება, თქვენი საქმეები როგორ მიდის.

– მომიკითხეთ და გადაეცით, რომ წინ მივიწევ.

– ახლა რას აპირებთ?

– რაღაც მაინტერესებს. პირველი ინციდენტი მაშინ მოხდა, როცა ჰენრიკს გულის შეტევა ჰქონდა, მე კი ერთი დღით სტოკჰოლმში წავედი. ვიღაც ჩემს კაბინეტში შეიპარა. ქაღალდის ფურცელზე ამობეჭდილი ბიბლიის მუხლები და იერნვეგსგატანზე გადაღებული ფოტოები ჩემს მაგიდაზე იდო. ამაზე თქვენ და ჰენრიკმა იცოდით. ნაწილობრივ მარტინმაც იცოდა, რადგან Hedestads-Kuriren-ის არქივებში შესასვლელად ნებართვა მან ამიღო. ნეტა კიდევ რამდენმა ადამიანმა იცოდა?

– არ ვიცი, მარტინი თუ ვინმეს ელაპარაკა, მაგრამ მის გარდა ბირგერმა და სესილიამაც იცოდნენ. ერთმანეთში განიხილავდნენ, როგორ დაეძებ ფოტოებს. ალექსანდერმაც იცოდა. სხვათა შორის – გუნარ და ჰელენა ნილსონებმაც. ჰენრიკის მოსანახულებლად მოვიდნენ და საუბარში ისინიც ჩაებნენ; და კიდევ, ანიტა ვანგერმაც.

– ანიტამ? ლონდონელმა?

– სესილიას დამ. სესილიას ჩამოჰყვა, როცა გაიგო, რომ ჰენრიკს ინფარქტმა დაარტყა, მაგრამ სასტუმროში გაჩერდა; როგორც ვიცი, კუნძულზე არ ყოფილა. სესილიას მსგავსად, არც მას უნდა მამის ნახვა. ჰენრიკის გამოკეთებისთანავე ინგლისში გაფრინდა.

– სესილია სად ცხოვრობს? დავინახე, ამ დილით მანქანით ხიდზე რომ გადავიდა, მაგრამ მისი სახლი სულ ჩაბნელებულია.

– მართლა გგონიათ, რომ სესილია ამის გამკეთებელია?

– არა, მხოლოდ ის მაინტერესებს, სად ცხოვრობს.

– თავის ძმასთან, ბირგერთან. იქიდან საავადმყოფომდე რამდენიმე წუთის სავალია.

– თუ იცით, ახლა სად არის?

– არ ვიცი. ყოველ შემთხვევაში, ჰენრიკთან არაა.

– გმადლობთ, – წამოდგა ბლუმკვისტი.

ჰედესტადის საავადმყოფოში ყველგან ვანგერები ტრიალებდნენ. მიმღებში ბირგერმა გაიარა. ბლუმკვისტი მის წასვლას დაელოდა და მხოლოდ ამის შემდეგ შევიდა მიმღებში. სამაგიეროდ, მარტინ ვანგერს შეეჩეხა შესასვლელში, იმ ადგილას, სადაც წინა ვიზიტისას სესილიას შეხვდა. ერთმანეთს ხელი ჩამოართვეს.

– ჰენრიკთან იყავი?

– არა, ახლახან დირკ ფროდეს შევხვდი.

მარტინი დაღლილი ჩანდა, თვალები ჩასცვენოდა. მიქაელს მოეჩვენა, რომ მისი ჩამოსვლის შემდეგ ამ ექვს თვეში კაცი შესამჩნევად დაბერებულიყო.

– შენი საქმეები როგორ მიდის, მიქაელ?

– დღითი დღე უფრო საინტერესოდ. როცა ჰენრიკი გამოკეთდება, იმედია, მის ცნობისმოყვარეობას სრულად დავაკმაყოფილებ.

ბირგერ ვანგერის თეთრი აგურებით ნაშენი ტერასიანი სახლი საავადმყოფოდან ხუთი წუთის სავალზე იდგა. ტერასიდან ზღვისა და ჰედესტადის ნავსადგომის ხედი იშლებოდა. ბლუმკვისტმა ზარი დარეკა, მაგრამ კარი არავინ გაუღო. სესილიასაც დაურეკა მობილურზე, მაგრამ არც იმან უპასუხა. მანქანაში კარგა ხანს იჯდა და საჭეზე თითებს აკაკუნებდა. ბირგერ ვანგერი ყველაზე ამოუცნობი ფიგურა იყო ეჭვმიტანილებს შორის. ის 1939 წელს დაიბადა და როცა რებეკა იაკობსონი მოკლეს, ათი წლის იყო; ხოლო როცა ჰარიეტი გაუჩინარდა – ოცდაშვიდის.

ჰენრიკის თქმით, ბირგერი და სესილია ერთმანეთს იშვიათად ნახულობდნენ. ბირგერს ბავშვობის და სწავლის პერიოდი უფსალაში გაეტარებინა და მხოლოდ კომპანიაში სამუშაოდ გადმოსულიყო ჰედესტადში, რამდენიმე წლის შემდეგ ბიზნესიდან პოლიტიკაში წასულიყო. მაგრამ, საგულისხმო ის იყო, რომ ლენა ანდერსონის მკვლელობის დროს ბირგერი უფსალაში ცხოვრობდა.

კატის ინციდენტმა მიქაელი ცოტა დააფრთხო, ისეთი შეგრძნება ჰქონდა, თითქოს დრო ცოტა რჩებოდა.

პასტორი ოტო ფალკი ოცდათექვსმეტი წლისა იყო, როცა ჰარიეტი გაუჩინარდა. ახლა უკვე სამოცდათორმეტი წელი შესრულებოდა, ჰენრიკზე უმცროსი იყო, მაგრამ გონებრივად მასზე უარეს მდგომარეობაში. ბლუმკვისტმა ის მოხუცთა პანსიონატში, ქალაქის ბოლოს, მდინარე ჰედეს სანაპიროსთან ახლოს მდგარ ყვითელ შენობაში იპოვა. ბლუმკვისტი ექთანს გაეცნო და პასტორ ფალკთან საუბრის ნება ითხოვა: ვიცი, ალცჰეიმერით რომაა დაავადებული, და მაინტერესებს, საუბარი თუ შეუძლიაო. ექთანმა უპასუხა, პასტორს დიაგნოზი სამი წლის წინ დაუსვეს და, სამწუხაროდ, მას მერე მისი მდგომარეობა უფრო გაუარესდაო. ფალკს საუბარი შეეძლო, მაგრამ მეხსიერება დაქვეითებოდა და ზოგჯერ საკუთარ ნათესავებსაც ვეღარ ცნობდა. მიქაელი ასევე გააფრთხილეს, რომ მოხუცს ნერვული აშლილობა ეწყებოდა, როცა ისეთ კითხვებს უსვამდნენ, რაზეც ვერ პასუხობდა.

ფალკი ბაღში ხის სკამზე სხვა სამ პაციენტთან და სანიტართან ერთად იჯდა. ბლუმკვისტი მთელი საათი ცდილობდა მასთან საუბრის გაბმას.

პასტორს ჰარიეტ ვანგერი კარგად ახსოვდა. მისი ხსენებისას სახე გაუნათდა. მომხიბლავ გოგოდ აღწერა. ბლუმკვისტი მალევე მიხვდა, რომ მოხუცს სრულიად

დაჰვიწყებოდა, გოგონა ოცდაჩვიდმეტი წლის წინ რომ გაუჩინარებულიყო. პასტორი მასზე ისე საუბრობდა, თითქოს წინა დღეს ენახოს; ბლუმკვისტს სთხოვა, ჩემგან მოკითხვა გადაეცი და უთხარი, მალე მინახულოსო. ბლუმკვისტი დაჰპირდა, აუცილებლად ასე ვიზამო.

პასტორს აღარც ხიდზე მომხდარი ავტოავარია ახსოვდა. მხოლოდ საუბრის მიწურულს თქვა რაღაც ისეთი, რაზეც ბლუმკვისტმა ყური დაცქვიტა.

ბლუმკვისტმა ჰარიეტის რელიგიურობაზე ჩამოუგდო სიტყვა და პასტორიც შეყოყმანდა. მოიქუფრა. კარგა ხანს ირწეოდა და ბოლოს ბლუმკვისტს ჰკითხა, ვინ ხარო. ბლუმკვისტი ხელახლა გაეცნო და მოხუცი ჩაფიქრდა. ბოლოს უპასუხა:

– ის ჯერ კიდევ კანდიდატია. უფრო ყურადღებით უნდა იყოს. გააფრთხილეთ.

– რაზე გავაფრთხილო?

უცებ ფალკი გაღიზიანდა. თავი გააქნია და მოიღუშა.

– Sola scriptura უნდა წაიკითხოს, რაც sufficientia scripturae-ს მისცემს. Sola fide-ს სხვანაირად ვერ შეინარჩუნებს. იოსეფი მათ გამორიცხავს. არაკანონიკურია.

ბლუმკვისტმა ვერაფერი გაიგო, მაგრამ ეს სიტყვები მაინც ჩაიწერა. პასტორი ფალკი მისკენ გადმოიხარა და ყურში ჩასჩურჩულა:

– მე მგონი, ეგ გოგო კათოლიკეა. ჯადოქრობა უყვარს და თავისი ღმერთი ჯერ ვერ უპოვია. მისი სწორ გზაზე დაყენებაა საჭირო.

პასტორი ფალკისთვის სიტყვა „კათოლიკეს“ აშკარად შეურაცხმყოფელი მნიშვნელობა ჰქონდა.

– მეგონა, ჰარიეტი „ორმოცდაათიანელი“ იყო.

– არა, არა, „ორმოცდაათიანელი“ არაა. აკრძალულ სიმართლეს ეძიებს. ის კარგი ქრისტიანი არ არის.

მერე პასტორ ფალკს ბლუმკვისტი სულ მიავიწყდა და სხვა პაციენტებთან გააბა საუბარი.

უკვე სამი საათი დაწყებულიყო, როცა ჰედებიზე დაბრუნდა. პირდაპირ სესილია ვანგერის სახლთან მივიდა და კარზე დააკაკუნა, მაგრამ ამაოდ. კვლავ დარეკა მის მობილურზე, მაგრამ სესილიამ არც ამჯერად უპასუხა.

ბლუმკვისტმა ერთი სახანძრო სიგნალიზაცია სამზარეულოს კედელზე დააყენა, მეორე – წინკართან. ერთი ცეცხლმაქრობი საძინებლის კართან, ღუმლის გვერდით დადო, მეორე – სააბაზანოს კართან. მერე სენდვიჩები და ყავა მოიმზადა და ეზოში

გავიდა. სადილობდა და პასტორ ფალკთან გამართული საუბრის ჩანაწერები კომპიუტერში შეჰქონდა. ბეჭდვას რომ მორჩა, თავი ასწია და ეკლესიას მიაშტერდა.

ეკლესიიდან რამდენიმე ათეულ მეტრში მდგარი ჰედების ახალი პასტორის სახლი საკმაოდ თანამედროვე იყო. ბლუმკვისტი ოთხ საათზე ეწვია პასტორ მარგარეტა სტრანდს და უთხრა, თეოლოგიურ საკითხზე მსურდა თქვენი აზრის გაგებაო. მარგარეტა სტრანდი დაახლოებით ბლუმკვისტის ხნის, შავთმიანი ქალი იყო, ჯინსის შარვალი და ფლანელის პერანგი ეცვა. ფეხშიშველა და ფეხის ფრჩხილებზე ლაქწასმული გამოეგება. ბლუმკვისტი მას „სუზანის კაფეში“ რამდენჯერმე უკვე შეხვედროდა და პასტორ ფალკზეც ელაპარაკათ. მარგარეტა მეგობრულად მიესალმა სტუმარს და სასაუბროდ ეზოში შეიპატიჟა.

ბლუმკვისტმა უთხრა, ოტო ფალკს ვესაუბრეო და მოხუცის ნაამბობი უამბო. პასტორმა სტრანდმა გულდასმით მოუსმინა და მერე სიტყვასიტყვით გაამეორებინა იგივე.

– მე აქ სამი წლის წინ გამომგზავნეს და პასტორ ფალკს არასდროს შევხვედრივარ. ჩემამდე რამდენიმე წლით ადრე დაანება თავი მღვდელმსახურებას, თუმცა, ჩემი აზრით, ის ძველი ეკლესიური ტრადიციების მიმდევარი იყო. მის მიერ თქვენთვის ნათქვამი ლათინური სიტყვები ასე ითარგმნება: sola scriptura ნიშნავს „მხოლოდ წმინდა წერილები“ იწამე და sufficientia scripturae – „ესეც საკმარისია“. იგულისხმება, რომ უბრალო მორწმუნეთათვის „წმინდა წერილებიც“ საკმარისია. sola fide „მხოლოდ რწმენას“ ან „ჭეშმარიტ რწმენას“ ნიშნავს.

– ახლა გასაგებია.

– ეს, ასე ვთქვათ, ძირითადი დოგმებია. ქრისტიანული ეკლესია ამას ეფუძნება, ასე რომ, უჩვეულო ამ სიტყვებში არაფერი იმალება. უფრო მარტივად რომ გადმოვცეთ, ფალკმა ეს გითხრათ: „წაიკითხე ბიბლია, ის საკმარის ცოდნას მოგცემს და ჭეშმარიტი მორწმუნე გახდები“.

მიქაელმა ცოტა დაიმორცხვა.

– ახლა კი მითხარით, რატომ გითხრათ ეს სიტყვები ოტო ფალკმა? – დაინტერესდა პასტორი სტრანდი.

– თავის ძველ ნაცნობზე ვკითხე, ვისზეც ახლა წიგნს ვწერ.

– მორწმუნეა?

– დაახლოებით.

– გასაგებია, კონტექსტს ვხვდები. თქვენ ასევე მითხარით, პასტორმა ფალკმა თქვა „იოსეფი მათ გამორიცხავს. არაკანონიკურიაო“. იქნებ შეცდომით გაიგეთ და მან იოსეფის ნაცვლად იოსები იგულისხმა? სინამდვილეში, ეს ერთი და იგივე სახელია.

– შეიძლება, – უპასუხა ბლუმკვისტმა, – მასთან საუბარი დიქტოფონზე ჩავიწერე და, თუ გნებავთ, მოგასმენინებთ.

– არა, საჭირო არაა. ეს ბოლო სიტყვები მის ნათქვამს აზრს სძენს. იოსებში ალბათ იოსებ ფლავიუსი იგულისხმება, ებრაელი ისტორიკოსი; სიტყვები „არაკანონიკურია“ კი ნიშნავს, „ებრაულ კანონებში არ შედის“.

– ანუ?

პასტორს გაეცინა.

– პასტორ ფალკის თქმით, მისი ძველი ნაცნობი ეზოთერული სწავლებებით, განსაკუთრებით, აპოკრიფებით იყო გატაცებული. ბერძნული სიტყვა Apokryphos, „დამალულს“ ნიშნავს. შესაბამისად, „აპოკრიფები“ დამალული წიგნების კრებულია, რომელიც, ზოგის აზრით, ურთიერთსაწინააღმდეგო შინაარსისაა, სხვების აზრით კი – „ძველ აღთქმაში“ უნდა შედიოდეს. ეს წიგნებია ტობიტის, ივდითის, ესთერის, ბარუქის, ეკლესიასტე, მაკაბელთა და სხვა.

– უცოდინრობაში ნუ ჩამომართმევთ. „აპოკრიფებზე“ კი გამიგია, მაგრამ თქვენ მიერ ჩამოთვლილ წიგნებზე – არაფერი. რამით განსაკუთრებულია?

– სიმართლე ითქვას, არაფრით, გარდა იმისა, რომ „ძველი აღთქმის“ სხვა წიგნებთან შედარებით უფრო გვიან დაიწერა. აპოკრიფები ებრაული ბიბლიიდან იმიტომ კი არ ამოუღიათ, რომ ებრაელ სწავლულებს მისი არ სჯეროდათ, უბრალოდ, როცა „აპოკრიფები“ შეიქმნა, „იოანეს გამოცხადება“ უკვე დასრულებული იყო. მეორე მხრივ, აპოკრიფები ბიბლიის ძველბერძნულ თარგმანში შესულია და, მაგალითად, რომის კათოლიკური ეკლესია მას კანონიკურად მიიჩნევს.

– გასაგებია.

– მაგრამ პროტესტანტული ეკლესია მას საკამათოდ მიიჩნევს. რეფორმაციის პერიოდში თეოლოგები ძველ ებრაულ ბიბლიას ეყრდნობოდნენ. მარტინ ლუთერმა აპოკრიფები ბიბლიიდან ამოიღო, ხოლო მოგვიანებით, კალვინმა ქრისტიანული რწმენისთვის სრულიად შეუსაბამო წიგნად გამოაცხადა. ამგვარად „აპოკრიფები“ ეჭვქვეშ აყენებს „წმინდა წერილის“ სიცხადეს.

– ერთი სიტყვით, „აპოკრიფები“ ცენზურას ემსხვერპლა...

– ზუსტად. მაგალითად, „აპოკრიფების“ მიხედვით, ჯადოქრობა არსებობს და ზოგ შემთხვევაში დასაშვებიცაა. მსგავსი მტკიცებები კი, რასაკვირველია, წმინდა წერილის დოგმატებს აღაშფოთებს.

– მაშასადამე, არაა გამორიცხული, რომ წმინდა წერილით დაინტერესებული რელიგიური პიროვნება შემთხვევით „აპოკრიფებსაც“ გადააწყდეს და ამის გამო პასტორ ფალკის მსგავსი ადამიანები გაუწყრნენ.

– დიახ. თუკი ბიბლიას ან კათოლიციზმს სწავლობ, „აპოკრიფებს“ თავს ვერაფრით აარიდებ; და თუკი ეზოთერიკაც გაინტერესებს, მაშინ ალბათ აუცილებლად წაიკითხავ ამ წიგნებს.

– შემთხვევით „აპოკრიფები“ ხომ არ გაქვთ, რომ მათხოვოთ?

პასტორმა სტრანდმა ისევ გაიცინა, ლაღად და მეგობრულად.

– რასაკირველია, მაქვს. სხვათა შორის, „აპოკრიფები“ ოთხმოციან წლებში ბიბლიის შემსწავლელმა სახელმწიფო კომისიამ გამოსცა.

არმანსკის ძალიან გაუკვირდა, როცა სალანდერმა პირადად შეხვედრა სთხოვა. კაბინეტის კარი მიხურა და გოგონას სავარძელზე დაჯექიო, ანიშნა. სალანდერმა აუხსნა, მიქაელ ბლუმკვისტისთვის ინფორმაციის მოძიებას მოვრჩი და ადვოკატი ფროდე საფასურს თვის ბოლოს გადაიხდის, მაგრამ მე გადავწყვიტე, რომ ბლუმკვისტს გამოძიებაში ბოლომდე დავეხმაროო. ოღონდ მისი ყოველთვიური ანაზღაურება ამ ხნის განმავლობაში იმაზე გაცილებით დაბალი იქნებოდა, ვიდრე არმანსკი უხდიდა.

– მე თავისუფალი კონტრაქტორი ვარ, – თქვა სალანდერმა, – აქამდე სულ შენს შემოთავაზებულ სამუშაოს ვასრულებდი, მაგრამ ახლა სხვის შემოთავაზებას დავთანხმდი და მაინტერესებს, ეს ჩვენ საქმიან ურთიერთობებს ხელს ხომ არ შეუშლის?

არმანსკიმ მხრები აიჩეჩა.

– როგორც აღნიშნე, თავისუფალი კონტრაქტორი ხარ და ვისთანაც გინდა, იმასთან იმუშავებ. მე მხოლოდ მიხარია, რომ საკუთარი შრომით შოულობ ფულს. თუმცა, მეორე მხრივ, უმადურობა იქნება ჩვენთვის პირადი კლიენტების წართმევა.

– ამას არ ვაპირებ. ჩემი სამუშაო ბლუმკვისტთან დადებული კონტრაქტის პირობების სრული დაცვით შევასრულე. ახლა მხოლოდ ის მინდა, რომ ამ საქმის გამოძიებაში მეც მივიღო მონაწილეობა, თუნდაც – უფასოდ.

– უფასოდ არასდროს არაფერი გააკეთო.

– ხომ იცი, რასაც ვგულისხმობ. მაინტერესებს, როგორ დასრულდება ეს ისტორია. ბლუმკვისტი მე დავარწმუნე, რომ ფროდესთვის მის თანაშემწედ ჩემი დატოვება ეთხოვა.

გოგონამ არმანსკის კონტრაქტი გადასცა. ამ უკანასკნელმა სწრაფად ჩაიკითხა დოკუმენტი.

– ეს რა ხელფასია, ლიზბეთ! შენ ნიჭიერი ხარ, ჯიბის ფულისთვის არ უნდა იმუშაო. სრული დატვირთვით რომ მუშაობდე, დიდ ფულს იშოვიდი.

– სამუშაოზე გადაკვდომას არ ვაპირებ, მაგრამ, დრაგან, მე შენ პატივს გცემ. აქ მოსვლის დღიდან ყოველთვის კეთილად მექცევი. მსურს, დავრწმუნდე, რომ წინააღმდეგი არ ხარ ასეთი კონტრაქტისა და ეს ჩვენ შორის უთანხმოებას არ გამოიწვევს.

– გასაგებია, – წუთით დაფიქრდა არმანსკი, – არანაირად არ ვარ წინააღმდეგი. გმადლობ, რომ რჩევა მკითხე. მომავალშიც, თუ მსგავსი არჩევანის წინაშე დადგები, წინასწარ შემატყობინე ხოლმე, რომ ჩვენ შორის გაუგებრობას არ ჰქონდეს ადგილი.

სალანდერი დაფიქრდა, კიდევ რამე ხომ არ მრჩება დასამატებელიო. არმანსკის სიტყვის უთქმელად თვალი გაუსწორა. მერე მხოლოდ თავი დაუქნია, წამოდგა და, ჩვეულებისამებრ, დაუმშვიდობებლად წავიდა. ის პასუხი მიიღო, რაც სჭირდებოდა და არმანსკი მაშინვე გადაავიწყდა.

არმანსკიმ ჩაიცინა. ის, რომ გოგონამ საერთოდ აზრი ჰკითხა, მათი ურთიერთობის უფრო მაღალ საფეხურზე გადასვლას ნიშნავდა.

საქაღალდე გადაშალა, სადაც იმ მუზეუმის უსაფრთხოებაზე, რომელშიც მალე ფრანგი იმპრესიონისტების გამოფენა უნდა გახსნილიყო, მოხსენება იდო. მერე საქაღალდე ისევ მაგიდაზე დადო და კარს გახედა, საიდანაც სალანდერი გავიდა. გაახსენდა, იმ დღეს პატარა კაბინეტში როგორ იცინოდა გოგონა ბლუმკვისტის გვერდით და ჩაფიქრდა, ნეტა ლიზბეთი უკვე მართლა გაიზარდა თუ ბლუმკვისტმა მოხიბლაო. უცნაური მღელვარება მოეძალა. ვერაფრით იცილებდა თავიდან აზრს, რომ ლიზბეთი ყველასთვის იოლი ნადავლი შეიძლებოდა ყოფილიყო. თანაც, ახლა სადღაც გადაკარგულში მიდიოდა ვიღაც გადარეული მკვლელის მოსაძებნად.

ჩრდილოეთში მიმავალმა სალანდერმა გზად დაუგეგმავად შეიარა „აპელვიკენის პანსიონატში“ დედის მოსანახულებლად. შობიდან მოყოლებული მხოლოდ ერთხელ, ივანობის დღეს შეხვედროდა დედას. ყოველთვის ძალიან ნანობდა, რომ ასე იშვიათად იცლიდა ხოლმე მისთვის. და, აი, ჯერ ერთი თვეც არ გასულიყო, ის კი უკვე მეორედ მივიდა დედის მოსანახულებლად.

დედამისი საერთო ოთახში დახვდა. სალანდერი მასთან თითქმის ერთ საათს დარჩა და პანსიონატის ეზოში გუბურამდე გაასეირნა. დედამისს ლიზბეთი ისევ მის დაში ეშლებოდა. როგორც ყოველთვის, აზრებით ცაში დაფრინავდა, მაგრამ რაღაცნაირად მაინც ააღელვა ამ სტუმრობამ.

როცა სალანდერი ემშვიდობებოდა, დედამ ხელი ჩასჭიდა, თითქოს მისი გაშვება არ უნდოდა. სალანდერი დაჰპირდა, მალე გინახულებო, მაგრამ დედამისმა შეწუხებული და სევდიანი მზერით გააცილა, თითქოს მოსალოდნელ უბედურებას წინასწარ გრძნობდა.

ბლუმკვისტმა ორი საათი ეზოში „აპოკრიფების“ კითხვას დაუთმო, მაგრამ ვერაფერი გაარკვია. მერე უცებ ერთმა აზრმა გაუელვა, ნეტა ჰარიეტ ვანგერი სინამდვილეში რამდენად რელიგიური იყო, თუ ბიბლიით გაუჩინარებამდე ერთი წლით ადრე დაინტერესებულმა, რამდენიმე ბიბლიური მუხლი მკვლელობათა სერიას დაუკავშირა და ბოლოს, არა მხოლოდ ბიბლიის, არამედ აპოკრიფების შესწავლა დაიწყო და კათოლიციზმითაც კი დაინტერესდაო.

ეს როგორ უნდა მოეხერხებინა? ვითომ ისეთივე გამოძიებით, როგორსაც ოცდაჩვიდმეტი წლით გვიან სალანდერი და ბლუმკვისტი აწარმოებენ? იქნებ წმინდა წერილებისადმი ინტერესი მკვლელის ძიებამ აღუძრა და არა რელიგიურობამ? პასტორმა ფალკმაც ხომ აღნიშნა, რომ მას კარგ ქრისტიანად არ მიიჩნევდა.

ფიქრი მობილურის წკრიალმა გააწყვეტინა. ბერგერი ურეკავდა.

– იმის შესატყობინებლად დავრეკე, რომ შემდეგ კვირას მე და გრეგერი ერთი თვით დასასვენებლად მივდივართ.

– სად მიდიხართ?

– ნიუ-იორკში. გრეგერს გამოფენა აქვს. ვიფიქრეთ, იქიდან კარიბის კუნძულებზე გადავფრინდეთო. ანტიგუაზე გრეგერის მეგობარი სახლს დაგვითმობს და იქ ორ კვირას დავრჩებით.

– შესანიშნავია. კარგად გაერთეთ. გრეგერი მომიკითხე.

– ჟურნალის ახალი ნომერი მზადაა და შემდეგიც თითქმის დასრულებულია. ძალიან მინდა, ამ საქმეს ახლა შენ ხელმძღვანელობდე, მაგრამ კრისტერი დამპირდა, ყველაფერს მე მივხედავო.

– თუ ჩემი დახმარება დასჭირდება, დამირეკოს. იანე დალმანთან როგორ მიდის საქმე?

ბერგერი წუთით შეყოყმანდა.

– ისიც შვებულებაშია. რედაქტორის თანაშემწეობა დროებით ჰენრის გადავაბარე. ახლა რედაქცია მისი და კრისტერის ხელშია.

– კარგი.

– შვიდ აგვისტოს დავბრუნდები.

საღამოს ბლუმკვისტმა ხუთჯერ სცადა სესილია ვანგერთან დარეკვა. მესიჯიც გაუგზავნა, დამიკავშირდიო, მაგრამ ქალისგან პასუხი არ მიუღია.

„აპოკრიფები“ შიგნით შეიტანა, სპორტული კოსტიუმი ჩაიცვა და წასვლამდე სახლის კარი ჩაკეტა.

სანაპიროს გასწვრივ ვიწრო ბილიკს გაუყვა ძუნძულით და მერე ტყისკენ გადაუხვია. როგორღაც გადალახა ხშირი ბუჩქნარის და წაქცეული ხეების წინაღობა და ქოშინით მიირბინა „ციხესიმაგრემდე“. იქ ერთ ძველ საარტილერიო ბატარეასთან შედგა და ხელ-ფეხი გაივარჯიშა.

უცებ ხმამაღალი ტკაცუნი გაისმა და მის თავზემოთ ბეტონის კედელი ჩამოიფშვნა. მერე საფეთქელი აეწვა, ბეტონის ნაფშვენებმა კანი გაუფხაჭნა.

დაბნეული ბლუმკვისტი დამბლადაცემულივით გაშეშდა, მერე გონს მოეგო, სანგარში ჩახტა, მხრით დაეცა და სიმწრის კვნესა აღმოხდა. დროზე მოასწრო. მეორე ტყვიამ ზედ სანგრის თავზე გაიწუილა და ბეტონის კედელს მოხვდა.

ბლუმკვისტი წამოიმართა და მიმოიხედა. „ციხესიმაგრის“ შუაგულში იდგა. მარჯვნივ და მარცხნივ, მეტრის სიღრმის ვიწრო გასასვლელები 250 მეტრზე გაშლილი სანგრებისკენ მიიწევდა. წელში მოხრილი ბლუმკვისტი ამ ვიწრო ლაბირინთში სამხრეთით გაიქცა.

უეცრად გონებაში მეთაურ ადოლფსონის ხმა ჩაესმა, გაახსენდა, კირუნაში როგორ გადიოდნენ ქვეითთა სამხედრო წვრთნას.

„ჯანდაბა, ბლუმკვისტ, დასწიე ეგ თავი, თუ არ გინდა, რომ მაგ სქელ უკანალში ტყვია მოგხვდეს“.

წლების შემდეგაც კი ახსოვდა მეთაურ ადოლფსონის დანიშნული დამატებითი ვარჯიშები.

სულის მოსათქმელად შედგა. გული გამალებით უცემდა. საკუთარი ქოშინის გარდა არაფერი ესმოდა.

„ადამიანის თვალი მოძრაობას უფრო სწრაფად ამჩნევს, ვიდრე ფიგურებს და ფორმებს. როცა დაზვერვაზე ხარ, ნელა იმოძრავეთ“.

ბლუმკვისტმა სულ ორიოდე სანტიმეტრით ამოიჭყიტა სანგრიდან. მზე ზედ მის თავზე იდგა და დეტალების გარჩევა ვერ შეძლო, მაგრამ მოძრაობა არ შეუმჩნევია.

თავი დასწია და მომდევნო სანგარში გადაინაცვლა.

„მნიშვნელობა არ აქვს, რა იარაღი აქვს მტერს. თუ ვერ დაგინახავს, ვერ გესვრის. არასდროს, არასდროს არ დაენახოთ მტერს. ყოველთვის სამალავი ეძებეთ“.

ოსტერგორდენის ფერმამდე სამასი მეტრი რჩებოდა. იმ ადგილიდან ორმოც მეტრში, სადაც ბლუმკვისტი იდგა, ხშირი, დაბალი ბუჩქების ზოლი იწყებოდა. მაგრამ იქამდე მისასვლელად, სანგრიდან უნდა ამომძვრალიყო და ფერდობზე დაშვებულიყო, ასე კი მტერი აუცილებლად დაინახავდა. არადა, სხვა გზა არ ჰქონდა – ზურგს უკან მხოლოდ ზღვა იყო.

უცებ საფეთქელი უფრო ძლიერ აეწვა. აღმოჩნდა, რომ სისხლი სდიოდა და მაისური სისხლით გაჟღენთილიყო.

„საფეთქლიდან სისხლდენა ძნელი შესაჩერებელია“, – გაიფიქრა, სანამ სხვა ადგილას გადაინაცვლებდა. ერთი ტყვია კიდევ შეიძლება შემთხვევითობა ყოფილიყო, მაგრამ ორი უკვე იმას ნიშნავდა, რომ ვიღაც მის მოკვლას ცდილობდა. არც ის იცოდა, სნაიპერი ისევ ჩასაფრებული უცდიდა თუ არა.

დამშვიდება და აზრის მოკრება სცადა. ან უნდა დაეცადა, ან როგორმე გაქცეულიყო. თუ სნაიპერი უცდიდა, მაშინ ვერსად გაიქცეოდა. მაგრამ დიდხანს ერთ ადგილას მოცდაც ვერ უშველიდა – სნაიპერი მშვიდად მოვიდოდა „ციხესიმაგრესთან“, იპოვიდა და ახლოდან მოკლავდა.

„ამ კაცმა (თუ ქალმა?) ალბათ არ იცის, მე მარცხნივ წავედი თუ მარჯვნივ“.

სავარაუდოდ, სნაიპერი სანადირო თოფით იყო. სამიზნიანი თოფით. რაც ნიშნავდა, რომ სნაიპერის ხედვა შეზღუდული იყო.

„თუ კუთხეში ხარ მიმწყვდეული, პირველმა შენ იმოქმედე. მოცდას ყოველთვის სჯობია“.

ორ წუთს აყურადებდა, ხმაური ხომ არ ისმოდა საიდანმე, მერე სანგრიდან ამოხტა და ფერდობზე სწრაფად დაეშვა.

ნახევარი ფერდობი ჩავლილი ჰქონდა, როცა მესამედაც გაისროლეს. თუმცა, ბლუმკვისტმა ზურგს უკან მხოლოდ ყრუ ტკაცუნი გაიგონა. მსუსხავი ჭინჭრების ზღვაში დაუფიქრებლად შეხტა. მერე სასწრაფოდ წამოხტა და წელში მოხრილი გაიქცა. ყოველ ხუთ მეტრში ჩერდებოდა და აყურადებდა. „ციხესიმაგრესა“ და მას შორის ტოტის ტკაცუნი გაისმა. ბლუმკვისტი მიწაზე პირქვე გაწვა.

„იდაყვებზე მდგარმა იცოცე“, გაახსენდა მეთაურ ადოლფსონის ერთ-ერთი უსაყვარლესი ბრძანება. მცენარეების ზღვაში 150 მეტრი ასე იცოცა. ბუჩქებში მიძვრებოდა, ტოტებს ხელებით სწევდა. ორჯერ მოესმა უკნიდან ტკაცუნი. პირველად მარჯვნიდან, სულ ოციოდე ნაბიჯში. მაშინვე შეწყვიტა ცოცვა და გაშეშდა. ცოტა ხნის შემდეგ თავი ფრთხილად ასწია და მიმოიხედა, მაგრამ ვერავინ დაინახა. დიდხანს იწვა გაუნძრევლად, მზად იყო, გაქცეულიყო, ან თუ მტერი თავზე დაადგებოდა, წინააღმდეგობა გაეწია. მეორე ტკაცუნი უფრო შორიდან გაისმა. მერე სიჩუმე ჩამოწვა.

„იცის, რომ აქ ვარ. იქნებ ჩამისაფრდა და იცდის, როდის ავმოძრავდები? ან იქნებ ხელი ჩაიქნია და წავიდა?“

ბლუმკვისტი ბალახში ცოცვით მიადგა ოსტერგორდენის ღობეს.

კიდევ ერთი კრიტიკული მომენტი აქ დაუდგა. ღობეს შიდა მხრიდან ბილიკი მიუყვებოდა. მიწაზე გაწოლილი იცდიდა. სნაიპერის ადგილას თვითონ იმ ღობის მიღმა ჩასაფრდებოდა.

გამოსვლა ვერ გაბედა. ისევ ბუჩქებში შეძვრა და უკან იხევდა, სანამ მეჩხერ ფიჭვნარში არ აღმოჩნდა.

ოსტერგორდენს და სედერის მთას შორიდან მოუარა. ოსტერგორდენს რომ ჩაუარა, შეამჩნია, რომ მანქანა ადგილზე აღარ იდგა. მთის ფერდობიდან გადახედა ჰედების. მეთევზეთა ნავსადგურთან საზაფხულო კოტეჯებში დამსვენებლები დაბინავებულიყვნენ. საცურაოკოსტიუმიანი ქალები ნაპირთან ისხდნენ და საუბრობდნენ. ეზოში მწვადის სუნი ტრიალებდა. წყალში ბავშვები ჭყუმპალაობდნენ.

ცხრა საათი დაწყებულიყო. ორმოცდაათი წუთი გავიდა მასზე თავდასხმის შემდეგ. ტანზემოთ შიშველი, შორტებიანი ნილსონი თავის მდელოს რწყავდა.

„ნეტა რამდენი ხანია, სახლში ხარ?“

ჰენრიკ ვანგერის სახლში ანას გარდა არავინ იყო. ჰარალდ ვანგერის სახლი, როგორც ყოველთვის, მიტოვებული ჩანდა. იზაბელა ვანგერი თავისი სახლის ბაღში იჯდა. ვიღაცას ესაუბრებოდა. ბლუმკვისტი წამში მიხვდა, რომ ეს 1922 წელს დაბადებული ავადმყოფი გერდა ვანგერი იყო, რომელიც თავის ვაჟ ალექსანდერთან ერთად ჰენრიკის სახლის უკან ცხოვრობდა. ბლუმკვისტი გერდას არასდროს შეხვედროდა, მხოლოდ რამდენჯერმე შორიდან ენახა. სესილია ვანგერის სახლი ცარიელი ჩანდა, მაგრამ უცებ სამზარეულოში ვიღაცამ გაიარა.

„სესილია სახლშია. იქნებ სნაიპერი ქალი იყო?“

სესილიას თოფის ხმარება შეეძლო.

მარტინ ვანგერის მანქანა სახლის წინ იდგა.

„რამდენი ხანია, რაც შინ დაბრუნდი?“

ან იქნებ სხვა ვინმემ ესროლა, ვისზეც მანამდე არ ეჭვობდა? ფროდემ? ალექსანდერმა? ბევრი ვინმე შეიძლებოდა ყოფილიყო.

ფერდობზე დაეშვა და სოფლის გზას გაუყვა; არავინ შეხვედრია. თავისი კოტეჯის კარი ღია დახვდა. ინსტინქტურად მოიხარა წელში და ეზოში ასე შევიდა. უცებ ყავის სუნი ეცა და სამზარეულოს ფანჯრიდან სალანდერი დაინახა.

სალანდერმა მისი ფეხის გაიგონა და შემობრუნდა თუ არა, მაშინვე დაიძაბა. ბლუმკვისტს სახე შედედებული სისხლით მოთხუპვნოდა. თეთრი მაისურის

მარცხენა მხარე მთლიანად წითლად შეღებვოდა. ხელში სისხლით გაჟღენთილი ცხვირსახოცი ეჭირა.

– სისხლდენა არ წყდება, მაგრამ საშიში არაა, – დაასწრო ბლუმკვისტმა, სანამ სალანდერი რამეს ჰკითხავდა.

გოგონამ განჯინიდან პირველადი დახმარების ყუთი გამოიღო; იქ მხოლოდ სახვევების ორი შეკვრა, კოღოების საწინააღმდეგო საცხი და ქირურგიული პლასტირის პატარა რულონი აღმოჩნდა. ბლუმკვისტმა სამოსი გაიხადა, იატაკზე დაყარა და სააბაზანოში შევიდა.

ჭრილობა საფეთქელზე იმდენად ღრმა აღმოჩნდა, რომ ბლუმკვისტმა კანის თხელი ფენის თითებით აწევაც კი შეძლო. სისხლდენა არ წყდებოდა. ჭრილობას გაკერვა სჭირდებოდა, მაგრამ ბლუმკვისტმა იფიქრა, პლასტირს მჭიდროდ დავიწებებ და თავისით შეხორცდებაო. მერე პირსახოცი ცივი წყლით დაასველა და სახე მოიწმინდა.

შხაპის ქვეშ დადგა. პირსახოცი საფეთქელზე მიიდო და თვალები დახუჭა. უცებ მუშტი კაფელით მოპირკეთებულ კედელს ისე ძლიერად დასცხო, რომ ხელზე კანი გადაეყვლიფა.

„შენი დედა მოვტყან, შე ნაბიჭვარო, – გაიფიქრა გულში, – ვინც უნდა იყო, მაინც გიპოვი“.

როცა სალანდერი მკლავზე შეეხო, დენდარტყმულივით შეხტა და ისე შეუბღვირა, რომ გოგონამ უკან დაიხია. მან საპონი მოაწოდა და ისევ სამზარეულოში დაბრუნდა.

ჭრილობაზე სამ ფენად დაიწება ქირურგიული პლასტირი. საძინებელში ჯინსის შარვალი და სუფთა მაისური ჩაიცვა და ამობეჭდილი სურათების საქაღალდესაც დასტაცა ხელი. მრისხანებისგან მთელი ტანი უთრთოდა.

– აქ დარჩი, ლიზბეთ, – მიაძახა გოგონას.

სესილია ვანგერის სახლთან მივიდა და კარზე ზარი დარეკა. ქალმა ნახევარ წუთში გაუღო კარი.

– შენი ნახვა არ მინდა, – უთხრა სესილიამ და უცებ ბლუმკვისტის საფეთქელზე დაწებებული პლასტირის ქვეშიდან გამოჟონილი სისხლი შეამჩნია, – რა ჩაიდინე?

– შემომიშვი. უნდა გელაპარაკო.

– სალაპარაკო არაფერი გვაქვს, – შეყოყმანდა სესილია.

– გვაქვს და თუ შიგნით არ შემიშვებ, კართან ვილაპარაკებთ.

– რა ჩაიდინე? – კითხვა გაუმეორა ქალმა.

– შენი აზრით, ჰარიეტის საქმის გამოძიება ჰენრიკისთვის შრომითი თერაპიაა. შესაძლოა. მაგრამ ერთი საათის წინ ვიღაცამ კინაღამ შუბლი გამიხვრიტა. წუხელ კი – სავარაუდოდ, იმავე ხუმარამ – პარმაღზე დამწვარი კატის გვამი დამიგდო.

სესილიამ პირი დააღო, მაგრამ ბლუმკვისტმა არ დააცადა:

– სესილია, არ ვიცი, რა გაწუხებს, რა პრობლემები გაქვს ან ასე უცებ როგორ შემიძულე, მაგრამ გარწმუნებ, ახლოსაც აღარ გაგეკარები და არც თავს მოგაბეზრებ. ამ წუთას მთელი გულით ვნატრობ, რომ შენზე ან სხვა რომელიმე ვანგერზე არაფერი გამეგო. ახლა რაღაცას გკითხავ და აუცილებლად მიპასუხებ – რაც უფრო მალე, მით უფრო სწრაფად მოგშორდები.

– რა გაინტერესებს?

– პირველი: სად იყავი ერთი საათის წინ?

სესილია მოიქუფრა.

– ერთი საათის წინ ჰედესტადში ვიყავი.

– ვინმეს შეუძლია ამის დამოწმება?

– არ ვიცი და არც მოწმეები მჭირდება.

– მეორე: რატომ გააღე ფანჯარა ჰარიეტის საძინებელში მისი გაუჩინარების დღეს?

– რა?

– რაც გაიგონე. მთელი ეს წლები ჰენრიკი იმის გარკვევას ცდილობდა, ვინ გააღო ჰარიეტის საძინებლის ფანჯარა. ამას ყველა უარყოფს. ვიღაც იტყუება.

– და რატომ გგონია, რომ მე ვიტყუები?

– აი, ამიტომ, – უპასუხა ბლუმკვისტმა და სურათი სასადილო მაგიდაზე დაუგდო.

სესილიამ სურათი აიღო. ბლუმკვისტმა მის სახეზე აღბეჭდილი გაკვირვება შეამჩნია. მერე ქალმა თავი ასწია და თვალი გაუსწორა. ბლუმკვისტმა იგრძნო, როგორ ჩამოუცურდა ლოყაზე თბილი სისხლი და მაისურზე დაეწვეთა.

– იმ დღეს კუნძულზე სამოცი ადამიანი იმყოფებოდა, – თქვა ბლუმკვისტმა, – მათ შორის, ოცდარვა ქალი. ხუთ-ექვს მათგანს მხრებამდე ქერა თმა ჰქონდა და ამ ქერებიდან მხოლოდ ერთს ეცვა ღია ფერის კაბა.

სესილია ფოტოს დააშტერდა.

– და გგონია, რომ ეს მე ვიყავი?

– თუ ამ სურათზე შენ არ ხარ გამოსახული, მაშინ მითხარი, შენი აზრით, ვინ არის. ეს ფოტო მე აღმოვაჩინე. რამდენიმე კვირაა, მის ჩვენებას და შენთან დალაპარაკებას ვცდილობ. შეიძლება სულელურად მოვიქეცი, მაგრამ სურათი არც ჰენრიკისთვის და არც სხვა ვინმესთვის არ მიჩვენებია, რადგან არ მინდა ეჭვი შენზე მიიტანონ და რამე გავნო. მაგრამ პასუხი აუცილებლად მჭირდება.

– პასუხს მიიღებ, – სესილიამ ფოტო უკან დაუბრუნა, – იმ დღეს ჰარიეტის ოთახში მე არ შევსულვარ. ამ ფოტოზე მე არ ვარ გამოსახული და ჰარიეტის გაუჩინარებასთან არანაირი კავშირი არ მაქვს.

ქალი კარისკენ დაიძრა.

– პასუხი უკვე გაგეცი. ახლა კი, თუ შეიძლება, წადი. ოღონდ ექიმთან მიდი, ჭრილობა გასაკერია.

სალანდერმა ბლუმკვისტი ჰედესტადის საავადმყოფოში წაიყვანა. ჭრილობაზე მხოლოდ ორი ნაკერი დაადეს და ზემოდან პლასტირი დააწებეს. ხოლო ჭინჭრით დასუსხული კისრის და ხელების დასაზელად კორტიზონის მალამო მისცეს.

საავადმყოფოდან გამოსული ბლუმკვისტი დიდხანს ფიქრობდა, თავდასხმაზე პოლიციაში ხომ არ განვაცხადოო, მაგრამ მერე წარმოიდგინა, რა მოჰყვებოდა ამ ამბის გახმაურებას; თვალწინ დაუდგა საგაზეთო სათაური – „ცილისწამებაში დადანაშაულებული ჟურნალისტი თავდასხმის მსხვერპლი გახდა“ – და მაშინვე გადაიფიქრა.

– სახლში წავიდეთ, – უთხრა სალანდერს.

ჰედებიზე გვიან ღამით დაბრუნდნენ. სიბნელე სალანდერს სწორედაც რომ აწყობდა. სასადილო მაგიდიდან სპორტული ჩანთა აიღო.

– Milton Security-დან წამოვიღე. დროა, დავაყენოთ.

სალანდერმა სახლის გარშემო ელემენტებზე მომუშავე მოძრაობის დეტექტორები დააყენა და ბლუმკვისტს აუხსნა, თუ სახლს ვინმე მოუახლოვდება, შენს საძინებელში სიგნალიზაცია აწრიპინდებაო. იმავდროულად ხის ტოტებზე ჩამოკიდებული ორი ღამის ხედვის კამერა სიგნალს განჯინაში შედებულ ლეპტოპს გაუგზავნიდა. გოგონამ კამერებს შავი ქსოვილი გადააკრა, რომ თვალში არავის მოხვედროდა.

მესამე ვიდეოკამერა წინა კარის თავზე დაამაგრეს. კაბელის გასაყვანად კედელიც კი გაბურღეს. ობიექტივი გზისკენ და წინკარამდე მომავალი ბილიკისკენ იყო მიმართული. თანაც კამერა ყოველ წამს დაბალი რეზოლუციის ფოტოებს იღებდა და გარდერობში შემალული მეორე ლეპტოპის მყარ დისკზე ავტომატურად ინახავდა.

სალანდერმა ჰოლში სენსორებიანი ხალიჩა დააგო, რომელიც დაწოლაზე რეაგირებდა. თუ ვინმე ეზოში ინფრაწითელ დეტექტორებს დაუსხლტებოდა და

სახლში შემოვიდოდა, 115 დეციბელიანი სირენა ჩაირთვებოდა. სალანდერმა ბლუმკვისტს ასწავლა, როგორ გამოერთო სირენა გარდერობში შენახულ ყუთში გასაღების გადატრიალებით. გოგონას ღამის ხედვის ბინოკლიც წამოეღო.

– ყველაფერი გაგითვალისწინებია, – შენიშნა ბლუმკვისტმა და სალანდერს ყავა დაუსხა.

– დაიმახსოვრე, სანამ ამ საქმეს არ გავხსნით, აღარ ივარჯიშებ.

– დამიჯერე, ცხოვრებაში აღარ ვირბენ.

– არ გეხუმრები. თავიდან შეიძლება ყველაფერი ისტორიულ გამოძიებას ჰგავდა, მაგრამ რახან მკვდარ კატებს გვიგდებენ და შუბლის გასახვრეტად დაგვდევენ, ესე იგი, სწორ კვალს დავადექით.

გვიან ისადილეს. ბლუმკვისტს დაღლილობა მოერია და თავი საშინლად ასტკივდა. ლაპარაკის ძალა აღარ ჰქონდა, ამიტომ დასაძინებლად წავიდა.

სალანდერი ორ საათამდე კითხულობდა საგამოძიებო მასალებს.

თავი XXIII

პარასკევი, 11/VII

ბლუმკვისტს დილის ექვს საათზე გაეღვიძა. ფარდებს შორის დარჩენილი ნაპრალიდან მზის სხივები პირდაპირ სახეზე ეცემოდა. თავი სტკიოდა. ჭრილობა ისევ ეწვოდა. სალანდერი მუცელზე იწვა და ცალი ხელი მის მკერდზე ედო. ბლუმკვისტმა მის ბეჭზე დახატული დრაკონის ტატუ შეათვალიერა.

მერე გოგონას ტატუები დათვალა. კისერზე კრაზანის გარდა, კოჭზე რკალი, მარცხენა მკლავის კუნთის გარშემო კიდევ ერთი რკალი, თეძოზე ჩინური იეროგლიფი და ბარძაყზე ვარდი ჰქონდა დახატული.

ბლუმკვისტი წამოდგა, ფანჯარას ფარდები მჭიდროდ ჩამოაფარა და სააბაზანოში გავიდა. უკან ფეხაკრეფით გამობრუნდა და საწოლში ფრთხილად ჩაწვა, რომ სალანდერი არ გაეღვიძებინა.

ორი საათის შემდეგ, საუზმობისას, ბლუმკვისტმა თქვა:

– ეს თავსატეხი როგორ უნდა ამოვხსნათ?

– ჩვენს ხელთ არსებულ ფაქტებზე დაყრდნობით. გარდა ამისა, ახალ ფაქტებსაც უნდა მივაკვლიოთ.

– ერთ რამეს გკითხავ: რატომ? იმიტომ, რომ ჰარიეტის გაუჩინარების საიდუმლოს დადგენა გვინდა თუ აქამდე უცნობი სერიული მკვლელის პოვნა?

– მათ შორის უეჭველად არსებობს კავშირი, – უპასუხა სალანდერმა, – თუ ჰარიეტი იმას მიხვდა, რომ სერიული მკვლელი არსებობდა, მაშასადამე, ეს ვიღაც მისი ნაცნობი იყო. თუ სავარაუდო კანდიდატების სიას გადავხედავთ, სამოციან წლებში ასეთი ოცი პიროვნება მაინც იყო. დღეს მათგან თითქმის არავინაა დარჩენილი, გარდა ჰარალდ ვანგერისა, რომელიც, ძნელად სავარაუდოა, რომ ოთხმოცდაცამეტი წლის ასაკში ფროსკოგენის ტყეში სანადირო თოფით ხელში დარბოდეს. იმ დღეს კუნძულზე მყოფ ეჭვმიტანილთაგან უმეტესობა დღეს ძალიან ბებერია იმისთვის, რომ ასეთი საშიშები იყვნენ, ხოლო შედარებით უმცროსები, ორმოცდაათიანებში ძალიან ახალგაზრდები იქნებოდნენ, რომ ეს საზარელი მკვლელობები ჩაედინათ. ასე რომ საწყის წერტილს ვუბრუნდებით...

–თუკი მკვლელს ახალგაზრდა თანამზრახველიც არ ჰყავს.

– ჰარალდსა და სესილიაზე ეჭვობ? მე ეს ნაკლებად სავარაუდო მგონია. ჩემი აზრით, სესილია არ ტყუოდა, როცა მითხრა, სურათზე მე არ ვარ გამოსახულიო.

– მაშ, ვინ გააღო იმ დღეს ჰარიეტის საძინებლის ფანჯარა?

ბლუმკვისტის „აიბუქი“ ჩართეს და მომდევნო ერთი საათის განმავლობაში დეტალურად იკვლევდნენ ავტოავარიის ამსახველ სცენებს და ხიდზე მდგარ ხალხს.

– ჩემი აზრით, წარმოუდგენელია, მთელი სოფელი ავარიის ადგილას არ შეკრებილიყო, ამ სანახაობას არავინ გამოტოვებდა. სექტემბერი იყო. უმეტესობას ჟაკეტები და სვიტერები აცვია. მხოლოდ ერთ ქერათმიანს აცვია ღია ფერის კაბა.

– სესილია ვანგერი ბევრ ფოტოზეა გამოსახული. თითქოს ყველგანაა. სახლებსა და ბრბოს შორის ტრიალებს. აქ იზაბელას ელაპარაკება. აქ პასტორ ფალკის გვერდით დგას. აქ გრეგერ ვანგერთანაა, შუათანა ძმასთან.

– ერთი წუთით, – წამოიძახა ბლუმკვისტმა, – გრეგერს ხელში რა უჭირავს?

– რაღაც ოთხკუთხა ნივთია. ყუთს ჰგავს.

– ეს „ჰასელბლადია“. მაშ, გრეგერსაც ჰქონია ფოტოკამერა.

კიდევ ერთხელ გადაათვალიერეს ფოტოები. უმეტესობაზე გრეგერიც იდგა, ოღონდ ხშირად ბუნდოვნად ჩანდა. საბედნიეროდ, ერთ სურათზე ცხადად ჩანდა, რომ მას ხელში ფოტოკამერა ეჭირა.

– მართალი ხარ, ეს ფოტოკამერაა.

– ანუ, ფოტოებზე ნადირობა გრძელდება.

– დიახ, მაგრამ მოიცადე, – თქვა სალანდერმა, – ერთი აზრი გამიჩნდა.

– გისმენ.

– იქნებ რომელიმე ახალგაზრდა ვანგერმა იცის, რომ ძველი თაობის რომელიღაც ვანგერი სერიული მკვლელია, მაგრამ ამის გამჟღავნება არ უნდა? ხომ ხვდები, ოჯახის სახელის და ღირსების შესანარჩუნებლად და რამე. ამგვარად, გამოვა, რომ ორი პიროვნება მოქმედებს, მაგრამ თანამზრახველები არ არიან. შეიძლება სერიული მკვლელი წლების წინ მოკვდა, ხოლო ჩვენი მტერი მხოლოდ იმას ცდილობს, რომ გამოძიება შევწყვიტოთ.

– მაშინ დამწვარი კატა კარის წინ რატომ დაგვიგდო? ეს ხომ ცხადად მიანიშნებს მკვლელობებზე, – ბლუმკვისტმა ჰარიეტის ბიბლიაზე დააკაკუნა თითი, – პაროდია დასაწვავ შესაწირავებზე.

სალანდერი სკამის საზურგეზე გადაწვა და ბიბლიის მუხლი ისე ჩაარაკრაკა, ეკლესიისთვის თვალი არ მოუცილებია. თითქოს თავს ელაპარაკებოდა:

„დაიკლას მოზვერი უფლის წინაშე; მიიტანონ აარონის ვაჟებმა, მღვდლებმა, სისხლი და მოასხურონ სამსხვერპლოს, რომელიც შეხვედრის კარვის შესასვლელთანაა. დასაწვავი შესაწირავი უნდა გატყავდეს და დაიჭრას“.

სალანდერი გაჩუმდა, იგრძნო, რომ ბლუმკვისტი დაჟინებით უყურებდა. კაცმა ბიბლია ლევიანების პირველ თავზე გადაშალა.

– მეთორმეტე მუხლიც იცი?

სალანდერმა არაფერი უპასუხა.

– „დაიჭრას ის... – დაიწყო ბლუმკვისტმა.

„დაიჭრას ის, მისი თავიცა და ქონიც, და მღვდელმა ისინი სამსხვერპლოს ცეცხლზე დალაგებულ შეშაზე დააწყოს“. – ყინულივით ცივ ხმაზე წარმოთქვა სალანდერმა.

– მომდევნო მუხლი?

სალანდერი მკვეთრად წამოდგა.

– ლიზბეთ, შენ ფოტოგრაფიული მეხსიერება გაქვს, – წამოიძახა გაკვირვებულმა ბლუმკვისტმა, – ამიტომ ახერხებ ერთი გვერდის წაკითხვას ათ წამში.

სალანდერმა ისე მძულვარედ შეუბღვირა, რომ ბლუმკვისტი გაოგნებული გაშეშდა სკამზე. მერე გოგონას სახეზე სევდა აღებეჭდა და უკან მოუხედავად გაიქცა კარისკენ.

– ლიზბეთ, – დაუძახა ბლუმკვისტმა.

გოგონა გზაზე გადავიდა და თვალს მიეფარა.

მიქაელმა კომპიუტერი შიგნით შეიტანა, სიგნალიზაცია ჩართო და სანამ სალანდერის მოსაძებნად წავიდოდა, სახლის კარი ჩაკეტა. გოგონა ოცი წუთის შემდეგ ნავსადგომზე იპოვა. ნაპირთან ჩამომჯარიყო, ფეხები წყალში ჩაეყო და სიგარეტს ეწეოდა. გაიგონა, რომ ბლუმკვისტი უახლოვდებოდა და დაიძაბა. ბლუმკვისტი მისგან რამდენიმე ნაბიჯის დაშორებით შედგა.

– არ ვიცი, რა ჩავიდინე, მაგრამ შენი წყენინება ნამდვილად არ მინდოდა, – უთხრა ბლუმკვისტმა და მის გვერდით ჩამოჯდა. ხელი მორიდებით დაადო მხარზე, – გთხოვ, ლიზბეთ, დამელაპარაკე.

– სალაპარაკო არაფერი გვაქვს, – მისკენ შემობრუნდა გოგონა, – უბრალოდ, გიჟი ვარ.

– შენნაირი მახსოვრობა რომ მქონდეს, მხოლოდ გავიხარებდი.

სალანდერმა სიგარეტის ნამწვი ისროლა წყალში.

მიქაელი კარგა ხანს ჩუმად იჯდა და ფიქრობდა.

„რა ვთქვა? ჩვეულებრივი გოგონა ხარ. მერე რა, რომ სულ, სულ ოდნავ განსხვავდები სხვებისგან? ნუთუ ძალიან თვითკრიტიკული ხარ?“

– დანახვისთანავე განსხვავებული მომეჩვენე, – ხმამაღლა ეს თქვა, – იცი, რატომ? უკვე დიდი ხანია, გაცნობისთანავე უცნობზე დადებითი შთაბეჭდილება არ შემქმნია.

ნავსადგომთან ახლოს მდგარი კოტეჯიდან ბავშვები გამოვიდნენ და წყალში საბანაოდ ჩახტნენ. მხატვარი ეუგენ ნორმანი, ვისაც ბლუმკვისტი ჯერ ერთხელაც არ გამოლაპარაკებოდა, თავისი ქოხის წინ სკამზე იჯდა და პირში ჩიბუხგარჭობილი უყურებდა ბლუმკვისტს და სალანდერს.

– თუ თანახმა ხარ, ვიმეგობროთ, – თქვა ბლუმკვისტმა, – არჩევანი შენზეა. ახლა სახლში დავბრუნდები და ყავას მოვადუღებ. როცა თავს უკეთ იგრძნობ, დაბრუნდი.

ბლუმკვისტი წამოდგა და გოგონა ნავსადგომზე მარტო დატოვა. აღმართს მიუყვებოდა, როცა უკნიდან მისი ფეხის ხმა მოესმა. სახლამდე ჩუმად იარეს.

სახლს უახლოვდებოდნენ, როცა სალანდერმა გააჩერა.

– ერთ თეორიას ვამუშავებდი... უკვე ვისაუბრეთ, რომ ყველაფერი ბიბლიის პაროდიას ჰგავს. მართალია, უცნობმა კატა გაფატრა, მაგრამ მოზვერს შეუმჩნევლად, აბა, საიდან გააჩენდა! თუმცა, ძირითად მითითებებს ზედმიწევნით ასრულებს. საინტერესოა... – სალანდერმა ისევ ეკლესიას შეხედა, – „მოასხურონ სისხლი სამსხვერპლოს, რომელიც შეხვედრის კარვის შესასვლელთანაა...“

ხიდზე გადავიდნენ და ეკლესიას მიადგნენ. კარი ჩაკეტილი დაუხვდათ. ცოტა ხანს ეზოში იხეტიალეს, საფლავის ქვებს ათვალიერებდნენ. მერე მოშორებით, წყლის ნაპირთან მდგარ სამლოცველოსთან მივიდნენ. უეცრად ბლუმკვისტს თვალები გაუფართოვდა. აღმოჩნდა, რომ ეს სამლოცველი კი არა, აკლდამა იყო. კარს ზემოთ, ქვაზე „ვანგერი“ და გაურკვეველი ლათინური წარწერა იყო ამოტვიფრული.

– „მშვიდად განისვენე ქვეყნიერების აღსასრულამდე“, – უთარგმნა ბლუმკვისტს მის ზურგს უკან მდგარმა სალანდერმა.

ბლუმკვისტი მისკენ შეტრიალდა. გოგონამ მხრები აიჩეჩა.

– სადღაც წამიკითხავს.

ბლუმკვისტმა გადაიხარხარა. გოგონა კი დაიძაბა, მაგრამ მალევე მიხვდა, რომ კაცი შექმნილ სიტუაციაზე იცინოდა, და მოეშვა.

აკლდამის კარიც ჩაეკეტათ. ბლუმკვისტი წუთით ჩაფიქრდა. მერე სალანდერს სთხოვა, აქ დამელოდეო, და თვითონ ჰენრიკ ვანგერის სახლში წავიდა. ანა ნიგრენთან მივიდა და უთხრა, საგვარეულოს აკლდამის დათვალიერება მსურს და ხომ არ იცით, ჰენრიკი გასაღებს სად ინახავსო. ანამ ერთი კი შეხედა ეჭვის თვალით, მაგრამ ჰენრიკის საწერი მაგიდის უჯრიდან გასაღები მაინც გამოუღო.

როგორც კი აკლდამის კარი გააღეს, მიხვდნენ, რომ სწორ გზას ადგნენ. ჰაერში დამწვარი ლეშის და დანახშირებული ნარჩენების მძიმე სუნი ტრიალებდა. თუმცა, კატის მწამებელს კოცონი არ გაეჩაღებინა. ერთ კუთხეში სარჩილავი ლამპა იდო, რომელსაც მოთხილამურეები თხილამურების გასასანთლად იყენებენ. სალანდერმა ჯინსის კაბის ჯიბიდან ფოტოკამერა ამოიღო და რამდენიმე სურათი გადაიღო. შემდეგ ფრთხილად აიღო სარჩილავი ლამპა.

– სამხილად გამოგვადგება. შეიძლება ზედ თითების ანაბეჭდი დარჩა, – თქვა მან.

– ჰო, აბა, მივალთ და ვანგერებს სათითაოდ ავუღებთ თითის ანაბეჭდებს, – ჩაიცინა ბლუმკვისტმა, – დიდი სიამოვნებით ვუყურებ, იზაბელასთან რომ მიხვალ ამის სათხოვნელად.

– ანაბეჭდების აღება სხვანაირადაც შეიძლება, – თქვა სალანდერმა.

იატაკზე სისხლის გუბე იდგა. იქვე ეგდო ჭანჭიკების მჭრელი, რომლითაც, სავარაუდოდ, კატისთვის თავი მოეგლიჯათ.

ბლუმკვისტმა მიმოიხედა. ყველაზე დიდი სარკოფაგი ალექსანდერ ვანგეერსადის იყო, ხოლო ოთხ საფლავში ოჯახის პირველი წინაპრები ესვენა. დანარჩენი ვანგერები კრემაციაზე გადასულიყვნენ. კედლებში ამოჭრილი ოცდაათი ნიშის ქვეშ დაფები იყო მიმაგრებული და ზედ სახელები ეწერა. ბლუმკვისტმა აკლდამა დაიარა, თან ფიქრობდა, ნეტა სხვა ნათესავებს, ვინც საგვარეულო აკლდამის ღირსად არ ჩათვალეს, სად კრძალავენო.

– ახლა უკვე ვიცით, რომ მანიაკს დავდევთ, – თქვა ბლუმკვისტმა, როცა ხიდით ისევ კუნძულზე გადადიოდნენ.

– რას გულისხმობ?

ბლუმკვისტი შუა ხიდზე შედგა და მოაჯირს ჩამოეყრდნო.

– ვინმე უბრალო ჭკუაშერყეული რომ ყოფილიყო, კატას სადმე გარაჟში ან ტყეში მოკლავდა, მაგრამ ის აკლდამაში შევიდა. წარმოიდგინე, როგორ გარისკა. ზაფხულია, ხალხი ღამღამობით ქუჩაში სეირნობს. აკლდამა ჰედების ორი ბოლოს დამაკავშირებელ გზასთან ახლოა. თუნდაც იმ კაცს კარი ჩაეკეტა, კატის ჩხავილი ალბათ მკვდარსაც კი გააღვიძებდა; თან დამწვრის სუნიც დადგებოდა.

– კაცს?

– ჰო. არ მჯერა, რომ სესილია ვანგერი აქ შუაღამით სარჩილავი ლამპით დაიპარება.

სალანდერმა მხრები აიჩეჩა.

– მე არც ერთს არ ვენდობი, მათ შორის, არც ფროდეს ან შენს მეგობარ ჰენრიკს. ყველანი ერთი ოჯახის წევრები არიან და, თუ დასჭირდათ, პირველი შესაძლებლობისთანავე დაუფიქრებლად გაგყიდიან. კარგი, ახლა რას ვაპირებთ?

– შენზე ბევრი რამ გავიგე, – თქვა ბლუმკვისტმა, – ჩემ გარდა კიდევ ბევრმა იცის, რომ ჰაკერი ხარ?

– არავინ.

– ჩემ გარდა არავინ?

– პირდაპირ მითხარი, რა გაინტერესებს.

– მაინტერესებს, თუ მეთანხმები ან თუ მენდობი.

გოგონა კარგა ხანს აკვირდებოდა სახეზე. მერე მხრები აიჩეჩა.

– რა მნიშვნელობა აქვს.

– მენდობი თუ არა? – ჩაეძია ბლუმკვისტი.

– ჯერჯერობით კი.

– კარგი. წამოდი, ფროდე უნდა ვნახოთ.

ადვოკატ ფროდეს ცოლს სალანდერი მანამდე არ ენახა და მიუხედავად იმისა, რომ თბილად გაუღიმა, მაინც თვალებგაფართოებულმა შეათვალიერა გოგონა. ფროდეს მის დანახვაზე სახე გაუნათდა. სკამიდან წამოდგა და სტუმრებს მიეგება.

– მიხარია, რომ შეგხვდით, – თქვა მან, – ჩვენთვის გაწეული სამსახურის გამო მადლობის თქმა ვერ მოვახერხე. შარშან ზამთარში და ახლა ზაფხულშიც ძალიან დაგვეხმარეთ.

სალანდერმა დაეჭვებით შეუბღვირა მოხუც ადვოკატს.

– საქმის სანაცვლოდ ფული გადამიხადეს, – მშრალად თქვა მან.

– სხვა რამ ვიგულისხმე. პირველი შეხვედრისას თქვენზე მცდარი შთაბეჭდილება შემექმნა. იმედია, ამის გამო არ გამიწყრებით.

ბლუმკვისტმა გაოცება ვერ დამალა. ფროდემ პატიება სთხოვა ოცდახუთი წლის ტატუიან და პირსინგიან გოგოს, თუმცა საბოდიშო არაფერი ჰქონდა! ბლუმკვისტის თვალში ადვოკატი ერთი-ორად ამაღლდა, მაგრამ სალანდერი უაზროდ იყურებოდა სადღაც ფროდეს ზურგს უკან.

ფროდემ ბლუმკვისტს შეხედა.

– შუბლზე რა დაგემართათ?

დასხდნენ. ბლუმკვისტმა მოკლედ უამბო ბოლო ოცდაოთხ საათში მომხდარი ამბები. როცა იმას ყვებოდა, როგორ ესროლა „ციხესიმაგრესთან“ ვიღაცამ ტყვია, ფროდე ფეხზე წამოხტა.

– რა სიგიჟეა, – წამოიძახა მან და ბლუმკვისტს მიაშტერდა, – მაპატიეთ, მაგრამ ეს ყველაფერი უნდა შეწყდეს. ამას ვერ დავუშვებ. ჰენრიკს დაველაპარაკები და კონტრაქტს გავაწყვეტინებ.

– თუ შეიძლება, დაბრძანდით, – სთხოვა ბლუმკვისტმა.

– თქვენ ვერ ხვდებით...

– მე იმას ვხვდები, რომ მე და ლიზბეთი უკვე ძალიან მივუახლოვდით მას, ვინც ამ გაუჩინარების უკან დგას და შიშისგან თავს ვეღარ აკონტროლებს. რამდენიმე შეკითხვა გვაქვს. პირველი: ვანგერების საგვარეულო აკლდამის კარის გასაღები რამდენია და ვის აქვს?

– ამაზე მე ვერაფერს გეტყვით, – უპასუხა ფროდემ, – ალბათ ოჯახის რამდენიმე წევრს მაინც. ვიცი, რომ ჰენრიკს აქვს და აკლდამაში იზაბელაც მინახავს, ოღონდ არ ვიცი, თავის გასაღები აქვს თუ ჰენრიკისგან თხოულობს.

– გასაგებია. თქვენ კორპორაციის დირექტორთა საბჭოს წევრი ხართ. კორპორაციულ არქივებამდე თუ მიგიწვდებათ ხელი? არსებობს რამე ბიბლიოთეკისმაგვარი, სადაც ფირმის შესახებ სხვადასხვა წლებში გამოქვეყნებული ცნობებია დაცული?

– დიახ, ჰედესტადში. კორპორაციის მთავარ განყოფილებაში.

– იქ უნდა მოვხვდეთ. ძველი საშტატო პერსონალის ჟურნალები და ჩანაწერები თუ გაქვთ?

– ოცდაათი წელია, იმ არქივში არ ვყოფილვარ. ამის თაობაზე ბოდილ ლინდგრენს უნდა დაელაპარაკოთ.

– შეგიძლიათ დაურეკოთ და სთხოვოთ, ლიზბეთი არქივში შეუშვას? „ვანგერების კორპორაციაზე“ გამოქვეყნებულ ძველ სტატიებს უნდა გაეცნოს.

– ამას უპრობლემოდ შევძლებ. სხვა რამეც ხომ არ გჭირდებათ?

– დიახ. გრეგერ ვანგერს იმ დღეს, როცა ხიდზე ავარია მოხდა და ჰარიეტი დაიკარგა, ხელში ფოტოკამერა ეჭირა. ეს კი იმას ნიშნავს, რომ, სავარაუდოდ, ფოტოებს გადაიღებდა. ხომ არ იცით, მისი სიკვდილის შემდეგ ეს ფოტოები სად შეიძლება ინახებოდეს?

– თუ ლოგიკურად ვიმსჯელებთ, მის ქვრივს ექნება ან – ვაჟს. ალექსანდერს დავურეკავ და ვკითხავ.

– რა უნდა მოვძებნო? – ჰკითხა სალანდერმა, როცა სახლში ბრუნდებოდნენ.

– ძველი სტატიები და საშტატო პერსონალის ჟურნალი. მინდა, ყურადღება ორმოცდაათ-სამოციან წლებში მომხდარი მკვლელობების თარიღებზე გაამახვილო. თუ რამე საეჭვოდ მოგეჩვენება, ჩაინიშნე. აჯობებს, ამ საქმეს შენ მიხედო. შენი მეხსიერება...

სალანდერმა გვერდში იდაყვი გაჰკრა.

ხუთი წუთის შემდეგ მისი „კავასაკი“ უკვე ხიდზე მიგრიხინებდა.

ბლუმკვისტმა ალექსანდერ ვანგერს ხელი ჩამოართვა. ალექსანდერი უმეტესად მოგზაურობდა. როცა ჰარიეტი გაუჩინარდა, ის ოცი წლის იყო.

– დირკმა მითხრა, რომ ძველი ფოტოების დათვალიერება გნებავთ.

– როგორც ვიცი, მამათქვენს „ჰასელბლადის“ ფოტოკამერა ჰქონდა.

– დიახ. მას დღემდე ვინახავთ, მაგრამ აღარ ვიყენებთ.

– ალბათ იცით, რომ ჰენრიკმა ჰარიეტის საქმის გამოძიება დამავალა.

– ამას თვითონ მივხვდი. სხვათა შორის, ძალიან ბევრია ამით უკმაყოფილო.

– როგორც ვხედავ, ასეა და, რასაკვირველია, თუ არ გნებავთ, სურათებს ნუ მაჩვენებთ.

– როგორ გეკადრებათ... რომელი სურათების ნახვა გსურთ?

– მაინტერესებს, მამათქვენს ჰარიეტის გაუჩინარების და ხიდზე მომხდარი ავტოავარიის დღეს ხომ არ გადაუღია სურათები?

სხვენზე ავიდნენ. ალექსანდერი რამდენიმე წუთს ეძებდა ფოტოებით სავსე ყუთს.

– ეს ყუთი წაიღეთ, – უთხრა ბლუმკვისტს, – თუ მამაჩემმა იმ დღეს რამე გადაიღო, ყველაფერი ამ ყუთში იდება.

გრეგერ ვანგერის ყუთში ოჯახური ქრონიკებისთვის ნამდვილად ფასდაუდებელი მასალა აღმოჩნდა. რამდენიმე სურათზე გრეგერი ორმოციანი წლების შვედ ნაცისტთა ლიდერის, სვენ ულოფ ლინდჰოლმის გვერდით იდგა. ბლუმკვისტმა ეს სურათები ცალკე გადადო.

რამდენიმე კონვერტში საზაფხულო შვებულებებსა და არდადეგებზე – მაგალითად, იტალიაში მოგზაურობისას ან მთებში თევზაობისას – გადაღებული ოჯახური ფოტოები იდო.

ბლუმკვისტმა ავტოავარიის ამსახველი სულ ოთხი ფოტო იპოვა. მიუხედავად იმისა, რომ პროფესიონალური ფოტოკამერა ჰქონდა, გრეგერი საშინელი ფოტოგრაფი

ყოფილა. ორ ფოტოზე გადაყირავებული სატვირთო მანქანა ჩანდა ახლოდან, ორზე – მანქანას გარს შემოხვეული ადამიანების ზურგები. სესილია ვანგერი მხოლოდ ერთ ფოტოზე იდგა, ისიც – პროფილში.

მართალია, იცოდა, რომ ახალს ვერაფერს აღმოაჩენდა, მაგრამ ბლუმკვისტმა ფოტოები მაინც დაასკანერა. მერე ყველაფერი ისევ ყუთში ჩააწყო, თვითონ კი სენდვიჩებით ისადილა. ნასადილევს ანას სანახავად წავიდა.

– ხომ არ იცით, ჰენრიკს ჰარიეტის გამოძიებასთან დაკავშირებული ფოტოალბომების გარდა სხვებიც ხომ არ ჰქონდა?

– დიახ, როგორც ვიცი, ჰენრიკი ახალგაზრდობიდან ფოტოგრაფიითაა გატაცებული. კაბინეტში უამრავ ფოტოალბომს ინახავს.

– ხომ ვერ მაჩვენებდით?

ანას ცხადად დაეტყო, რომ ყოყმანებდა. ბლუმკვისტისთვის აკლდამის გასაღების მიცემა ერთი იყო – იქ, ბოლოს და ბოლოს, უფალი ბატონობდა – მაგრამ ჰენრიკ ვანგერის კაბინეტში მისი შეშვება – სულ სხვა. ამ კაბინეტში ღმერთის ძალაუფლებაც კი არ ვრცელდებოდა. ბლუმკვისტმა ურჩია, ფროდეს დაურეკეთ და ნებართვა მისგან აიღეთო. ბოლოს, ანამ კაბინეტში მაინც შეუშვა. კარადის სამ ქვედა თაროზე სულ ფოტოალბომები ეწყო. ბლუმკვისტი საწერ მაგიდას მიუჯდა და პირველი ალბომი გადაშალა.

ჰენრიკ ვანგერს თითქმის ყველანაირი ოჯახური ფოტო შეენახა. ბევრი ფოტო აშკარად მის დაბადებამდე იყო გადაღებული. მათ შორის, ძმები ვანგერების მშობლების ფოტოები. ერთ-ერთზე ჰენრიკის მამა ნათესავებთან ერთად სანდჰამნში 1906 წლის ივანობას ზეიმობდა. კიდევ ერთ სანდჰამნურ ფოტოზე ფრედრიკ ვანგერი და მისი ცოლი, ულრიკა, ანდერს ცორნთან და ალბერტ ენგსტრომთან ერთად მაგიდას მისხდომოდნენ. სხვა სურათებზე ქარხნის მუშები და თანამშრომლები ქარხანაში ან ოფისებში იყვნენ გადაღებულები. ბლუმკვისტი კაპიტან ოსკარ გრანატის ფოტოსაც გადააწყდა; სწორედ კაპიტანმა გრანატმა გადაიყვანა ჰენრიკი და მისი შეყვარებული ედით ლობახი უსაფრთხოდ კარლსკრონაში.

ანამ ფინჯნით ყავა შემოუტანა. ბლუმკვისტმა მადლობა გადაუხადა. უკვე სამოციანი წლების ფოტოებს ათვალიერებდა – ახალგაზრდა, ძალ-ღონით სავსე ჰენრიკ ვანგერი ახალ ქარხნებს ხსნიდა, ხელს ართმევდა ტაგე ერლანდერს; ორი სახელგანთქმული, მდიდარი კაპიტალისტი – ჰენრიკი და მარკუს ვალენბერგი – ერთმანეთს მკაცრად შეჰყურებდა...

იმავე ალბომში ერთ-ერთ გვერდზე ჰენრიკ ვანგერს ფანქრით წაეწერა: „ოჯახური შეკრება. 1966 წელი“. ორ ფერად ფოტოზე მამაკაცები ერთმანეთს ესაუბრებოდნენ და სიგარას აბოლებდნენ. ბლუმკვისტმა ჰენრიკი, ჰარალდი, გრეგერი და იოჰან ვანგერის

სიძეები ამოიცნო. ორ ფოტოზე ოფიციალური სადილი აღებეჭდათ, ორმოცი კაცი და ქალი ობიექტივს უყურებდა. ფოტოები ხიდზე მომხდარი ავარიის შემდეგ გადაეღოთ, მაგრამ ჯერ არ იცოდნენ, რომ ჰარიეტი გაუჩინარდა. ბლუმკვისტმა ფოტოზე გამოსახულთა სახეების შესწავლა დაიწყო. ამ სადილს ჰარიეტიც უნდა დასწრებოდა. ნეტა რომელიმე მათგანმა უკვე იცოდა, რომ ჰარიეტი დაიკარგა? ფოტოები ამაზე პასუხს არ იძლეოდა.

უცებ ისეთი რამ შეამჩნია, რომ ყავა გადასცდა და ხველა აუტყდა. სკამზე გაიმართა. მაგიდის მეორე თავთან ღია ფერის კაბაში გამოწყობილი სესილია ვანგერი იჯდა და ფოტოკამერას უღიმოდა. გვერდით გრძელთმიანი ქერა ქალი ეჯდა ზუსტად ისეთივე კაბით. ერთმანეთს ტყუპებივით ჰგავდნენ. უცებ ყველაფერი დალაგდა. ჰარიეტის საძინებლის ფანჯარაში სესილია კი არა, მისი ორი წლით უმცროსი და, ახლა ლონდონში მცხოვრები ანიტა ჩანდა.

რას ამბობდა სალანდერი? სესილია ბევრ ფოტოზე ჩანსო. სულაც არა. ორი გოგო იყო, რომლებიც, სამწუხაროდ, მხოლოდ ერთ ფოტოზე ნახა გვერდიგვერდ. შორიდან გადაღებულ შავ-თეთრ ფოტოებზე მათი ერთმანეთისგან გარჩევა შეუძლებელი იყო. ჰენრიკ ვანგერი ალბათ ყოველთვის არჩევდა დებს, მაგრამ სალანდერს და ბლუმკვისტს ისინი ერთი და იგივე პიროვნება ეგონათ. არც არავისთვის უკითხავთ რჩევა, რომ შეცდომაზე სხვებს მაინც მიეთითებინათ.

ბლუმკვისტმა მომდევნო გვერდზე გადაშალა და იგრძნო, რომ კეფაზე თმა ყალყზე დაუდგა, თითქოს ოთახში ცივმა ნიავმა დაუბერაო.

ეს ფოტოები მომდევნო დღეს, ჰარიეტის ძიების დაწყების შემდეგ გადაეღოთ. ახალგაზრდა ინსპექტორი მორელი საგამოძიებო ჯგუფს, რომელიც ორი უნიფორმიანი პოლიციელისა და ათი ჩექმიანი მამაკაცისგან შედგებოდა, მითითებებს აძლევდა. ჰენრიკ ვანგერს მუხლებამდე ლაბადა ეცვა და ვიწროფარფლებიანი ინგლისური ქუდი ეხურა.

მეორე ფოტოზე ახალგაზრდა, ოდნავ მომრგვალებულსახიანი და გრძელთმიანი მამაკაცი იდგა. ტანთ ეცვა შავი დალიანდაგებული ქურთუკი წითელი სამხრეებით. მისი სახე ცხადად ჩანდა. ბლუმკვისტმა ის და მისი ქურთუკი მაშინვე იცნო, მაგრამ გადასამოწმებლად ფოტო ანასთან ჩაიტანა. ქალმა დაუდასტურა:

– დიახ, რა თქმა უნდა, ეს მარტინია.

სალანდერი საგაზეთო სტატიებს ქრონოლოგიურად მიჰყვებოდა. ძიება 1949 წლით დაიწყო. არქივი ძალიან დიდი გამოდგა. გარკვეული დროის მანძილზე „ვანგერების კორპორაციას“ არა მხოლოდ ადგილობრივ, არამედ სახელმწიფო მედიასაშუალებებში ლამის ყოველდღე ახსენებდნენ. ფინანსური ანალიზები, მოლაპარაკებები პროფკავშირებთან, გაფიცვები, ქარხნების გახსნა-დახურვები, ყოველწლიური მოხსენებები, ხელმძღვანელთა ცვლილებები, ახალი პროდუქციის

წარმოება... ინფორმაციული ნაკადი არ წყდებოდა. წკაპ-წკაპ-წკაპ. სალანდერის ტვინი მთელი ძალით მუშაობდა და გადაყვითლებული ფურცლებიდან ინფორმაციას ითვისებდა.

რამდენიმე საათის შემდეგ ერთი აზრი გაუჩნდა და არქივის ხელმძღვანელს სთხოვა, თუ შეიძლება მაჩვენეთ სია, სადაც 50-60-იან წლებში „ვანგერების კორპორაციის“ კუთვნილი ქარხნების და ფირმების ჩამონათვალი იქნებაო.

ბოდილ ლინდგრენმა დაუფარავი სიმკაცრით შეხედა სალანდერს. სულ არ ეხალისებოდა კორპორაციის არქივებში სრულიად უცნობი პიროვნების შეშვება და მისთვის ძვირფასი მასალების ჩვენება. თანაც, ეს გოგონა თხუთმეტი წლის ქარაფშუტა ანარქისტს ჰგავდა. მაგრამ ჰერ ფროდეს პირდაპირ ბრძანებას ვერ გადაუხვევდა – გოგონა ყველგან უნდა შეეშვა, სადაც მოისურვებდა! დაყოვნების გარეშე! ამიტომაც ლინდგრენმა სალანდერს ყოველწლიური ანგარიშების ნაბეჭდი ვერსია მიუტანა; ყოველი მოხსენება შეიცავდა რუკასაც, სადაც აღნიშნული იყო ის შვედური კომპანიები, რომლებიც „ვანგერების კორპორაციის“ შემადგენლობაში შედიოდა.

კორპორაცია მრავალ ქარხანას, ფილიალს და სავაჭრო ქსელს ფლობდა. სალანდერმა შენიშნა, რომ ყველა ის ქალაქი თუ მცირე დასახლება, სადაც ქალების მკვლელობა მოხდა, რუკაზე ერთი ან ზოგჯერ რამდენიმე წითელი წერტილით იყო მონიშნული, რაც „ვანგერების კორპორაციის“ კუთვნილებაზე მიუთითებდა.

პირველ კავშირს 1957 წელს მიაგნო. რაკელ ლუნდე, ლანდსკრონაში, მკვდარი ეპოვათ ზუსტად იმის მომდევნო დღეს, რაც ვანგერების და კარლენების სამშენებლო კომპანიამ რამდენიმემილიონიანი კონტრაქტი დადო ქალაქში ახალი სავაჭრო ცენტრის ასაშენებლად. ადგილობრივ გაზეთს კონრაქტისთვის ხელის მოსაწერად ქალაქში ჩასული გოტფრიდ ვანგერისთვის ინტერვიუ ჩამოერთმია.

უცებ სალანდერს გაახსენდა, რა წაიკითხა ლანდსკრონას პოლიციის განყოფილების არქივში: რაკელ ლუნდე, თავისუფალ დროს ბანქოზე მკითხავი, სამშენებლო კომპანიაში დამლაგებლად მუშაობდა.

საღამოს შვიდ საათზე ბლუმკვისტმა სალანდერს დაურეკა, მაგრამ გოგონას მობილური გამორთული ჰქონდა. მას არ ეცალა.

ბლუმკვისტი სახლში წრიალებდა. ჰენრიკ ვანგერის ჩანაწერებს გადახედა, სადაც აღნიშნული იყო, სად იმყოფებოდა და რას შვრებოდა მარტინი ჰარიეტის გაუჩინარების დღეს.

1966 წელს მარტინ ვანგერი უფსალას მოსამზადებელი სკოლის ბოლო კლასში სწავლობდა.

„უფსალა. ლენა ანდერსონი, ჩვიდმეტი წლისა, სკოლის მოსწავლე. თავი და ქონი განცალკევებულია“.

ბლუმკვისტმა საკუთარ ბლოკნოტში გადაამოწმა ჰენრიკ ვანგერის სიტყვები: მარტინ ვანგერი გულჩათხრობილი ბიჭი იყო. მასზე ღელავდნენ. მამამისის წყალში დახრჩობის შემდეგ იზაბელამ უფსალაში გაგზავნა, სადაც ჰარალდ ვანგერთან დაბინავდა.

„ჰარალდი და მარტინი?“

ნაკლებად სავარაუდო ჩანდა.

მარტინ ვანგერი ჰარალდ ვანგერის მანქანით არ ჩასულა ჰედესტადში, მატარებელზეც დაიგვიანა და დაახლოებით საღამოს ექვს საათზე კუნძულზე ნავით გადავიდა. სხვებთან ერთად მას პირადად ჰენრიკ ვანგერი შეეგება. ჰენრიკის აზრით, მარტინს ჰარიეტის გაუჩინარებაში არანაირი ბრალი არ მიუძღოდა.

მარტინის თქმით, მას იმ დღეს ჰარიეტი საერთოდ არ უნახავს. აშკარად ცრუობდა. ის ჰედესტადში შუადღისას ჩავიდა და იერნვეგსგატანზე საკუთარი და დაინახა. ბლუმკვისტს მისი სიცრუის დამტკიცება ორმოცი წლის განმავლობაში დაკარგული ფოტოს მეშვეობით შეეძლო.

ჰარიეტ ვანგერმაც დაინახა თავის ძმა და დაფრთხა. ის მაშინვე ჰედების კუნძულზე გაიქცა და ჰენრიკთან დალაპარაკება სცადა. სამწუხაროდ, ეს ვერ მოახერხა; მერე კი გაუჩინარდა.

„ნეტა ჰენრიკისთვის რის თქმა გინდოდა? უფსალის მკვლელობაზე? მაგრამ ლენა ანდერსონი შენს სიაში არ ყოფილა. მასზე არ იცოდი“.

რაღაც მაინც არ ემთხვეოდა. ჰარიეტი დღის სამ საათზე გაუჩინარდა. მარტინი ამ დროს მეორე ნაპირზე იდგა. ამას ეკლესიის ბორცვიდან გადაღებული ფოტოები ადასტურებდა. კუნძულზე ჰარიეტს ხელს ვერანაირად ახლებდა. თავსატეხს ერთი დეტალი აკლდა. ვითომ მარტინს თანამზრახველი ჰყავდა? ანიტა?

არქივების კვლევისას სალანდერმა აღმოაჩინა, რომ გოტფრიდ ვანგერის პოზიცია კორპორაციაში დროთა განმავლობაში ბევრჯერ შეცვლილიყო. 1947 წელს ოცი წლის ასაკში ის იზაბელას შეხვდა და მაშინვე დააფეხმძიმა; მარტინ ვანგერი 1948 წელს დაიბადა და ცხადი გახდა, რომ ახალგაზრდა წყვილი დაქორწინდებოდა.

ოცდაორი წლის გოტფრიდი ჰენრიკ ვანგერმა „ვანგერების კორპორაციის“ სათაო ოფისში გადაიყვანა. გოტფრიდი ნიჭიერი იყო და ეტყობა, მასზე დიდ იმედს ამყარებდნენ. ოცდახუთი წლის ასაკში დააწინაურეს და, როგორც კომპანიის ბიზნეს-განვითარების განყოფილების ხელმძღვანელი, დირექტორთა საბჭოს წევრიც გახდა. გოტფრიდი ამომავალ ვარსკვლავად ითვლებოდა.

მაგრამ ორმოცდაათიანი წლების შუაში მისმა ვარსკვლავმა ქრობა დაიწყო. „ის სვამდა. იზაბელასთან უთანხმოება შეექმნა და ოჯახი ნგრევის საშიშროების წინაშე დადგა. მისი შვილები, ჰარიეტი და მარტინი, იტანჯებოდნენ. ჰენრიკმა ჩარევა გადაწყვიტა“. გოტფრიდის კარიერამ ზენიტს მიაღწია. 1956 წელს ბიზნეს-განვითარების განყოფილებას მეორე ხელმძღვანელიც დაუნიშნეს. სანამ გოტფრიდი ლოთობდა და სამსახურში თვეობით არ დადიოდა, საქმეს მეორე ხელმძღვანელი აკეთებდა.

თუმცა, გოტფრიდი კვლავაც ვანგერი იყო, მომხიბვლელი და მჭევრმეტყველი. 1957 წლიდან მის ძირითად მოვალეობად ქვეყნის გარშემო მოგზაურობა, სხვადასხვა ქალაქსა და რეგიონში ქარხნების გახსნა, ადგილობრივი კონფლიქტების გადაწყვეტა და კომპანიის მზრუნველი იმიჯის განმტკიცება გახდა. კორპორაცია მისი პირით ყველას ეუბნებოდა: „ჩვენ თქვენ სერიოზულად აღგიქვამთ და თქვენთან ჩვენი ოჯახის შვილს ვგზავნით“.

მალე სალანდერმა მეორე კავშირსაც მიაგნო. გოტფრიდ ვანგერს კარლსტადში სატყეო მასალის გადამამუშავებელ კომპანიასთან მოლაპარაკებაში მიეღო მონაწილეობა. მომდევნო დღეს ფერმერის ცოლი მაგდა ლოვისა შებერგი მკვდარი იპოვეს.

მესამე კავშირს თხუთმეტი წუთის შემდეგ მიაგნო. უდევალა, 1962 წელი. იმავე დღეს, როცა ლეა პარსონი გაუჩინარდა, ადგილობრივ გაზეთს გოტფრიდ ვანგერისთვის ნავსადგურის შესაძლო გაფართოების თაობაზე ინტერვიუ ჩამოერთმია.

საღამოს ექვსის ნახევარზე ფრუ ლინდგრენმა სახლში წასვლა და არქივის დაკეტვა მოინდომა, მაგრამ სალანდერმა უთხრა, გასაღები დამიტოვეთ და, თქვენ თუ გნებავთ, მიბრძანდითო. „ვიღაც ცინგლიანი გოგოს“ თავხედურმა ტონმა არქივის ხელმძღვანელი ისე გააბრაზა, რომ ჰერ ფროდეს დაურეკა. ჰერ ფროდემ პირდაპირ უთხრა, სალანდერს რამდენ ხანსაც უნდა დარჩეს და ბარემ დაცვაც გააფრთხილეთ, რომ წასვლისას გოგონას პრობლემა არ შეუქმნანო.

ცხრის ნახევრისთვის სალანდერი უკვე საბოლოოდ დარწმუნდა, რომ რვიდან ხუთ შემთხვევაში, ერთი დღით ადრე ან მოგვიანებით, გოტფრიდი იმ ადგილის სიახლოვეს იმყოფებოდა, სადაც მკვლელობები ჩაიდინეს. 1949 და 1954 წლებში მომხდარ მკვლელობებზე ვერაფერს მიაგნო. გოტფრიდის გაზეთში გამოქვეყნებულ ფოტოს დახედა. გამხდარი, სიმპათიური მამაკაცი ღია ფერის თმით; კლარკ გეიბლს ჰგავდა „ქარწაღებულებიდან“.

1949 წელს გოტფრიდი 22 წლის იყო. პირველი მკვლელობა მის მეზობლად მოხდა, ჰედესტადში. მოკლეს რებეკა იაკობსონი, რომელიც „ვანგერების კორპორაციაში“ მუშაობდა.

„ნეტა სად შეხვდი რებეკას? ან ასეთს რას დაჰპირდი?“

სალანდერმა ტუჩზე იკბინა. პრობლემას ის ქმნიდა, რომ გოტფრიდ ვანგერი 1965 წელს დაიხრჩო წყალში, ხოლო ბოლო მკვლელობა უფსალაში 1966 წლის თებერვალში მოხდა. გაიფიქრა, იქნებ შევცდი, რომ სიას ჩვიდმეტი წლის სკოლის მოსწავლე, ლენა ანდერსონი დავამატეო.

„არა, შეიძლება ცოტა განსხვავებული ხელწერაა, მაგრამ ბიბლიური პაროდია იგივეა. მკვლელობებს შორის კავშირი უნდა არსებობდეს“.

ცხრა საათზე ჩამობნელდა. აგრილდა და გაწვიმდა. მიქაელი სამზარეულოში იჯდა და თითებს მაგიდაზე აკაკუნებდა, როცა მარტინ ვანგერის „ვოლვო“ ხიდზე გადმოვიდა და კონცხისკენ გაუხვია. გონებაში კვლავ ათასგვარი აზრი წამოუტივტივდა.

არ იცოდა, რა ექნა. მთელი არსებით სურდა, მარტინს მივარდნოდა და მისთვის კითხვები მიეყარა. ეს, რასაკვირველია, არც ისე გონივრული იქნებოდა იმ დროს, როცა მარტინ ვანგერს შეშლილ სერიულ მკვლელად თვლიდა, ვინც თავისი და და უფსალელი გოგონა მოკლა, და მასაც კინაღამ შუბლი გაუხვრიტა. მაგრამ მარტინი მაგნიტივით იზიდავდა. მარტინმა ჯერ არ იცოდა, რომ ბლუმკვისტმა ყველაფერი შეიტყო. იფიქრა, იქნებ რამე მოვიმიზეზო და მივიდეო... მაგალითად, გოტფრიდ ვანგერის ქოხის გასაღების დასაბრუნებლად. ბლუმკვისტმა სახლის კარი ჩაკეტა და კონცხისკენ დაიძრა.

ჰარალდ ვანგერის სახლი, როგორც ყოველთვის, ჩაბნელებული იყო. ჰენრიკის სახლის ფანჯრებიც ჩაებნელებინათ, მხოლოდ ეზოს მხარეს გამოდიოდა შუქი ქვედა ფანჯრიდან. ანა უკვე დაწოლილიყო. იზაბელას სახლშიც ბნელოდა. სესილია შინ არ იყო. ალექსანდერის სახლის ზედა სართულზე შუქი ენთო, ხოლო მის მეზობლად მდგარ სახლებში, სადაც ვანგერები არ ცხოვრობდნენ, უკვე ჩაექროთ. გზაში სულიერი არავინ შეხვედრია.

მარტინ ვანგერის სახლთან შედგა, მობილური ამოიღო და სალანდერს დაურეკა. გოგონამ არც ამჯერად უპასუხა. ბლუმკვისტმა მობილური გამორთო, რომ უცებ არ აწკრიალებულიყო და საუბრისას ხელი არ შეეშალა.

ქვედა სართულზე შუქი ენთო. ბლუმკვისტმა მდელო გადაჭრა და ფანჯრიდან სამზარეულოში შეიჭყიტა. ვერავინ დაინახა. სახლს წრე დაარტყა და ყველა ფანჯარაში შეიხედა, მაგრამ მარტინი არსად ჩანდა. უცებ შეამჩნია, რომ გარაჟის გვერდითა კარი გამოღებული იყო.

„ნუ სულელობ!“

მაგრამ ცდუნებას ვერ გაუძლო.

პირველივე, რაც დაინახა, ხის დასამუშავებელ დაზგაზე გახსნილი სანადირო თოფის აღჭურვილობის ყუთი იყო. დაზგის გვერდით, იატაკზე, ბენზინის ორი ბიდონი იდგა.

„მორიგი ღამეული სტუმრობისთვის ემზადები, მარტინ?“

– შემოდი, მიქაელ, გზაზე დაგინახე.

ბლუმკვისტს გული გაუჩერდა. ნელა მიაბრუნა თავი და კართან, ბნელში მდგარი მარტინი დაინახა.

– მაინც ვერ მოითმინე და მოხვედი, არა? – მშვიდ, მეგობრულ ხმაზე თქვა მან.

– გამარჯობა, მარტინ.

– შემოდი, – გაიმეორა მარტინმა, წინ წამოვიდა, ოდნავ განზე გადგა და ბლუმკვისტს მარჯვენა ხელით ანიშნა, შემოდიო. მის ხელში ლითონის ნივთმა მქრქალად გაიელვა.

– პისტოლეტი მაქვს. სისულელეს ნუ ჩაიდენ. ასე ახლოდან ნაღდად აღარ ავაცდენ.

ბლუმკვისტი ნელა მიუახლოვდა მას და თვალი თვალში გაუყარა.

– უნდა მოვსულიყავი. ძალიან ბევრი შეკითხვა დამიგროვდა.

– გასაგებია. შიგნით შემოდი.

ბლუმკვისტი სახლში შევიდა. ვიწრო შესასვლელი სამზარეულოს გვერდით მდებარე ჰოლისკენ მიდიოდა, მაგრამ მარტინმა მხარზე ხელის დადებით შეაჩერა ბლუმკვისტი.

– არა, იქით არა! მარჯვნივ. კარი შეაღე.

სარდაფი. ბლუმკვისტს ნახევარი კიბე ჩავლილი ჰქონდა, როცა მარტინმა შუქი აანთო. მარჯვენა ოთახში ცენტრალური გათბობა იყო დამონტაჟებული, წინიდან სამრეცხაოს სუნი სცემდა. მარტინი მარცხნივ, საწყობში შეუძღვა, სადაც ძველი ავეჯი და ყუთები ინახებოდა. საწყობის ბოლოს კარი იყო ურდულიანი საკეტით.

– გამომართვი, – გასაღები გადაუგდო მარტინმა ბლუმკვისტს, – გააღე. შუქის ჩამრთველი მარცხნივაა.

ბლუმკვისტმა ჯოჯოხეთის კარი შეაღო.

ცხრა საათზე სალანდერმა დერეფანში მდგარი ავტომატიდან პარკში შეფუთული სენდვიჩი და ყავა წამოიღო. ძველი დოკუმენტების ფურცვლას აგრძელებდა, რათა 1954 წელს კალმარში გოტფრიდ ვანგერის კვალისთვის მიეგნო. ვერაფერი იპოვა.

უნდოდა ბლუმკვისტვისთვის დაერეკა, მაგრამ გადაიფიქრა, ჯერ საშტატო პერსონალის ჟურნალებსაც გადავხედავო.

დაახლოებით 5X10 მეტრის სიფართის ოთახი, ბლუმკვისტის აზრით, სახლის ჩრდილოეთ ნაწილში მდებარეობდა.

მარტინ ვანგერს საწამებელი ოთახი პირადი გემოვნებით მოეწყო. მარცხნივ კედლებსა და ჭერზე ჯაჭვები და რკინის კაუჭები ეკიდა, იქვე იდგა ტყავის ღვედებიანი მაგიდა მსხვერპლის დასაბმელად. ვიდეომოწყობილობაც გაემზადებინა. ოთახის ბოლოში სტუმრების ჩასამწყვდევი რკინის გალია იდგა, კარისგან მარჯვნივ – სკამი, საწოლი და კედელზე მიჭედებულ თაროზე ტელევიზორი ვიდეომაგნიტოფონით.

ოთახში შესვლისთანავე მარტინმა პისტოლეტი ბლუმკვისტს დაუმიზნა და უბრძანა, იატაკზე პირქვე დაწექიო. ბლუმკვისტმა იუარა.

– მაშ, თუ ეგრეა, მუხლში გესვრი, – დაემუქრა მარტინი და პისტოლეტი ისევ დაუმიზნა.

ბლუმკვისტი დანებდა. იმედოვნებდა, იქნებ მარტინმა წამით მოადუნოს ყურადღება და მაშინვე დავეტაკებიო. ეჭვიც არ ეპარებოდა, რომ ხელჩართულ ბრძოლაში მას ადვილად მოერეოდა. დერეფანში ჩამოსვლისასაც კი ჰქონდა შანსი, როცა მარტინმა მხარზე ხელი დაადო, მაგრამ მაშინ შებრუნება ვერ გაბედა. მას მერე მარტინი ახლოს არ მისულა მასთან. მუხლში რომ დაეჭრა, ყველანაირ შანსს დაკარგავდა. ამიტომაც გაწვა იატაკზე.

მარტინმა უბრძანა ხელები უკან დაიწყვეო. ხელბორკილები დაადო. მერე საზარდულში ფეხი ჩაარტყა, მუცელში ჩააზილა წიხლი. მერე რამდენიმე წუთს გაუჩერებლად ურტყამდა.

შემდეგ ყველაფერი კოშმარს დაემსგავსა. მარტინი ხან მშვიდდებოდა, ხან გალიაში გამომწყვდეული მხეცივით გადარეული წრიალებდა ოთახში. ბლუმკვისტს ურტყამდა. ბლუმკვისტი სახეზე ხელს იფარებდა და იმას ცდილობდა, როგორმე სხეულის უფრო რბილ ადგილებში მიეღო დარტყმა.

პირველი ნახევარი საათის განმავლობაში მარტინი არაფერს ამბობდა, ზედმეტი ემოციებისგან ლაპარაკის უნარი წართმეოდა. მერე თანდათან თავი ხელში აიყვანა, ჯაჭვი აიღო, ბლუმკვისტს ყელზე შემოახვია, ჯაჭვის ბოლო იატაკზე დამაგრებულ კაუჭს ბოქლომით მიაბა და თვითონ სადღაც წავიდა. უკან თხუთმეტ წუთში დაბრუნდა წყლით სავსე ბოთლით, სკამზე ჩამოჯდა და წყალი მოსვა, თან ბლუმკვისტს თვალს არ აცილებდა.

– თუ შეიძლება, მეც დამალევინე წყალი, – სთხოვა ბლუმკვისტმა.

მარტინი დაიხარა და ბოთლი პირთან მიუტანა. ბლუმკვისტმა ნახევარი ბოთლი გამოცალა.

– გმადლობ.

– თავაზიან მანერებს არ ივიწყებ, კალე ბლუმკვისტ.

– ეს წიხლის რტყმა რა საჭირო იყო?

– იმიტომ, რომ ძალიან გამაბრაზე. იმსახურებ დასჯას. არ შეგეძლო, უბრალოდ შინ დაბრუნებულიყავი? „მილენიუმს“ სჭირდებოდი. მე სერიოზულად გითხარი – ერთად დიდებულ ჟურნალს შევქმნიდით. მრავალი წელი შეხმატკბილებულად ვიმუშავებდით.

ბლუმკვისტმა ირონიულად ჩაიცინა და უფრო მოხერხებულად მოწყობა სცადა. სრულიად დაუცველი იყო. მხოლოდ ხმის ამოღება შეეძლო.

– როგორც ვატყობ, შანსი ხელიდან გავუშვი, – თქვა მან.

მარტინ ვანგერს გაეცინა.

– ვწუხვარ, მიქაელ, მაგრამ ალბათ მშვენივრად გესმის, რომ ამაღამ მოკვდები.

ბლუმკვისტმა თავი დაუქნია.

– რანაირად მოახერხეთ ჩემამდე გამოსვლა შენ და მაგ შენმა გაჩხინკულმა ჭინკამ, რომელიც ამ საქმეში ჩაითრიე?

– შენ იცრუე, იმ დღეს ჰარიეტი არ მინახავსო. არადა, ჰედესტადში იყავი ბავშვთა დღისადმი მიძღვნილ აღლუმზე. იქ სურათი გადაგიღეს, რომელზეც ჰარიეტს უყურებ.

– ნორშეში ამიტომ წახვედი?

– დიახ, ფოტოს მოსაძებნად. ახალდაქორწინებულმა წყვილმა გადაიღო, რომელიც იმ დღეს ჰედესტადში იყო.

მარტინ ვანგერმა თავი გააქნია.

– ცრუობ.

ბლუმკვისტი თავს იმტვრევდა, რა ვუთხრა, რომ სიკვდილი თავიდან ავიცილო ან გადავავადოო.

– ახლა სადაა ფოტო?

– ფირი? ჰედესტადის საბანკო სეიფ-დეპოზიტში... არ იცოდი, რომ აქ დეპოზიტი მაქვს? – ჩაიცინა ბლუმკვისტმა, – ასლები სხვაგანაც შევინახე. ჩემს კომპიუტერში,

სალანდერისაში, „მილენიუმის“ სერვერზე, Milton Security-საზეც, სადაც გოგონა მუშაობს.

მარტინი ჩუმად იყო და იმის გამოცნობას ცდილობდა, იტყუებოდა ბლუმკვისტი თუ არა.

– გოგონამ იცის რამე?

ბლუმკვისტი შეყოყმანდა. სალანდერი ამ მომენტში მისი გადარჩენის ერთადერთი გზა იყო.

„ნეტა სახლში რომ არ დავხვდები, ლიზბეთი რას იფიქრებს? – წითელსამხრეებიან ქურთუკში ჩაცმული მარტინ ვანგერის ფოტო სასადილო მაგიდაზე დატოვა, – ვითომ მიხვდება? განგაშს ატეხს? არა, პოლიციაში არ დარეკავს. პრობლემაც ისაა, რომ პირდაპირ მარტინს მოადგება და კარზე ზარს დარეკავს, ბლუმკვისტი სად არისო“.

– მიპასუხე! – მკაცრად უბრძანა მარტინ ვანგერმა.

– ვფიქრობ, მან ზუსტად იმდენი იცის, რამდენიც მე. შეიძლება უფრო მეტიც. დიახ, მგონი, უფრო მეტი იცის. სწორედ მან შეძლო ლენა ანდერსონის მკვლელობის საქმესთან დაკავშირება.

– ლენა ანდერსონის? – შეცბა მარტინი.

– გოგონასი, რომელიც 1966 წელს უფსალაში აწამე და მოკალი. არ მითხრა, რომ დაგავიწყდა!

– არ ვიცი, რაზე ამბობ, – იუარა მარტინმა, მაგრამ ხმა პირველად აუკანკალდა. ლენა ანდერსონი ჰარიეტის სიაში არ ეწერა – აქამდე არავინ აკავშირებდა მას ამ საქმესთან.

– მარტინ, – რაც შეიძლებოდა მტკიცედ მიმართა ბლუმკვისტმა, – ყველაფერი დამთავრდა. რომც მომკლა, ვეღარაფერი გიშველის. ძალიან ბევრმა იცის სიმართლე.

მარტინი ბოლთის ცემას მოჰყვა.

„ის ფსიქიკურად გაუწონასწორებელია. უნდა მახსოვდეს კატა. მას შეეძლო კატა ამ სარდაფში მოეკლა, მაგრამ აკლდამაში შესვლა გარისკა“.

უცებ მარტინი გაჩერდა.

– ჩემი აზრით, შენ ცრუობ. სიმართლე მხოლოდ შენ და სალანდერმა იცით. ვინმესთვის რომ რამე გაგემხილა, პოლიცია უკვე აქ იქნებოდა. შენს პაწია ქოხს ამაღამ ცეცხლს წავუკიდებ და ყველა სამხილი დაიწვება.

– და თუ არ ვცრუობ?

– მაშინ მართლა ყველაფერი დამთავრდება. ოღონდ, არა მგონია, ვცდებოდე. დაგენაძლევები, იტყუები. ან სხვა რა არჩევანი მაქვს? მოდი, დავფიქრდები. სუსტი რგოლი ის გამხდარი კახპაა.

– ლიზბეთი შუადღით სტოკჰოლმში წავიდა.

მარტინმა გაიცინა.

– მიდი, გააგრძელე ტყუილების თქმა, მიქაელ. ის კახპა მთელი საღამო „ვანგერების კორპორაციის“ არქივში იჯდა.

ბლუმკვისტს სუნთქვა შეეკრა.

„იცოდა, მარტინმა თავიდანვე იცოდა“.

– დიახ. გეგმის მიხედვით ჯერ არქივში შევიდა, მერე სტოკჰოლმში უნდა წასულიყო, – თქვა ბლუმკვისტმა, – არ ვიცოდი, ამდენ ხანს თუ დარჩა იქ.

– გეყოფა, მიქაელ. ბოდილ ლიდნგრენმა მაცნობა, რომ დირკ ფროდეს ბრძანებით, სალანდერს არქივში დარჩენის ნება მისცა. რაც იმას ნიშნავს, რომ ამაღამ სტოკჰოლმში აღარ წავა. როგორც კი არქივს დატოვებს, ღამის დარაჯი დამირეკავს.

მეოთხე ნაწილი. Hostile Takeover

11 ივლისი – 30 დეკემბერი

შვედეთში ქალების 92%-ს, რომლებიც სექსუალური ძალადობის მსხვერპლნი გახდნენ, უკანასკნელი ძალადობის ფაქტის შესახებ პოლიციაში არ განუცხადებიათ.

თავი XXIV

პარასკევი, 11/VII – შაბათი, 12/VII

მარტინ ვანგერმა ბლუმკვისტს ჯიბეები გაუჩხრიკა და გასაღები ამოაცალა.

– საკეტის გამოცვლა კარგად მოგიფიქრებია, – თქვა მან, – შენს მეგობარსაც მივხედავ, როცა დაბრუნდება.

ბლუმკვისტმა თავს შეახსენა, რომ ბიზნეს-მოლაპარაკებებში გამოცდილი მარტინის მოტყუება ადვილი არ იყო, და პირდაპირ ჰკითხა:

– რატომ?

– რა რატომ?

– ამ ყველაფერს რატომ აკეთებ?

მარტინი დაიხარა, ბლუმკვისტს ხელი ნიკაპქვეშ ამოსდო და თავი ააწევინა, რომ მისთვის თვალებში ჩაეხედა.

– იმიტომ, რომ ძალიან ადვილია, – თქვა მან, – ქალები ყოველთვის იკარგებიან. მათ არავინ ეძებს. ემიგრანტები, რუსი მეძავები. ყოველწლიურად ათასობით ადამიანი კვეთს შვედეთის საზღვარს.

მარტინმა ბლუმკვისტს ხელი გაუშვა და წამოდგა.

მისმა სიტყვებმა ბლუმკვისტზე სახეში გაწნული სილასავით იმოქმედა.

„ღმერთო დიდებულო, ეს ისტორიული თავსატეხი არაა. მარტინ ვანგერი დღესაც ხოცავს ქალებს. მე კი პირდაპირ შევაბიჯე მის...“

– როგორც ხედავ, ამჯერად სტუმარი არ მყავს. მაგრამ გაგაკვირვებ და გეტყვი, რომ სანამ შენ და ჰენრიკი მთელი ზამთარი და გაზაფხული უაზროდ ლაყბობდით, აქ გოგონა მყავდა. ირინა ბელარუსიდან. შენ რომ აქ ჩემთან სადილობდი და სვამდი, ირინა ამ გალიაში იჯდა. გახსოვს ის მშვენიერი საღამო?

მარტინი მაგიდაზე ჩამომჯდარიყო და ფეხებს უდარდელად აქანავებდა. ბლუმკვისტმა თვალები დახუჭა. ხახა ეწვოდა. ნერწყვი ძლივძლივობით გადაყლაპა. იგრძნო, რომ დაბეგვილი გვერდები უსივდებოდა.

– გვამებს რას უშვრები?

– ნავსადგომი აქვეა, იქ ჩემი ნავი დგას. გვამებს ზღვაში ვყრი. მამაჩემივით კვალს კი არ ვტოვებ. ის მთელ შვედეთს იყო მოდებული.

თავსატეხის დეტალები თავ-თავის ადგილას ლაგდებოდა.

„გოტფრიდ ვანგერი. 1949-იდან 1965 წლამდე. 1966 წლიდან მარტინ ვანგერი. პირველი მკვლელობა უფსალაში“.

– მამაშენზე აღფრთოვანებით საუბრობ.

– ის ჩემი მასწავლებელი იყო. სწორედ მან დამაწყებინა ეს საქმე თოთხმეტი წლის ასაკში.

– უდევალაში, ლეა პარსონით.

– უჰ, რა ჭკვიანი ხარ! დიახ, იქ ვიყავი. მხოლოდ ვუყურებდი, მაგრამ იქ ვიყავი.

– 1964 წელი. სარა ვიტი რონებიში.

– თექვსმეტის ვიყავი. მაშინ პირველად ვიწექი ქალთან. მამაჩემი მასწავლიდა. სარა მე დავახრჩვე.

„ტრაბახობს. ღმერთო, რა გულისამრევი ავადმყოფების ოჯახი ყოფილა“.

– არ გეჩვენება, რომ ეს სრული სიგიჟეა?

– შენ ერთი ჩვეულებრივი კაცუნა ხარ, მიქაელ. ვერც კი წარმოიდგენ, რა ღვთიური შეგრძნებაა, როცა ვიღაცის სიცოცხლე შენს ხელშია.

– შენ ქალების წამება და ხოცვა გსიამოვნებს, მარტინ.

– მე ასე არ ვფიქრობ. თუ კარგად გავაანალიზებთ, მე უფრო სერიული მოძალადე ვარ, ვიდრე – სერიული მკვლელი. უფრო ზუსტად, სერიული გამტაცებელი ვარ. მკვლელობა კი იძულებითი დასასრულია, რადგან დანაშაულის დაფარვა მიწევს.

რასაკვირველია, ჩემი ქმედება საზოგადოებისთვის მიუღებელია, მაგრამ უპირველესად საზოგადოებრივი ჩვეულებების წინააღმდეგაა მიმართული. სტუმრებს მხოლოდ მაშინ ვკლავ, როცა თავს მაბეზრებენ. მათი იმედგაცრუების ხილვა ერთ რამედ ღირს.

– იმედგაცრუების?

– დიახ. იმედგაცრუების. ჰგონიათ, რომ თუ მთხოვენ და თავს შემაცოდებენ, გადარჩებიან. ჩემს წესებს ემორჩილებიან. მენდობიან და მიმეგობრდებიან იმ იმედით, რომ მეგობრობა რამეს ნიშნავს. იმედგაცრუება კი მაშინ ეუფლებათ, როცა ცხადად აცნობიერებენ, რომ ისინი უბრალოდ მოვატყუე და ვიხმარე.

მარტინ ვანგერმა მაგიდას შემოუარა და რკინის გალიას მიეყუდა.

– შენ შენი ბურჟუაზიული შეხედულებებით ამას ვერ ჩასწვდები, მაგრამ მთელი სიამოვნება გატაცების დაგეგმვაშია. ამას დაუფიქრებლად არ ვაკეთებ – ასეთი გამტაცებლები ადვილად გამოსაჭერები არიან. მე ყოველ წვრილმანს ავწონ-დავწონი ხოლმე. მე ვარჩევ მსხვერპლს, ვადგენ, ვინ არის ან სადაურია, ვეძებ მასთან დაკავშირების გზებს, ვცდილობ, ისე მოვახერხო მასთან განმარტოება, რომ ჩემი ვინაობა ვერ გაიგოს ან ჩემი სახელი მომავალში გამოძიებისას არ ამოტივტივდეს.

„მოკეტე!“ – გაიფიქრა ბლუმკვისტმა.

– მართლა გინდა ამის მოსმენა, მიქაელ?

მარტინი დაიხარა და ბლუმკვისტს ლოყაზე ხელი ჩამოუსვა. ნაზად მოეფერა.

– ალბათ ხვდები, რომ ამ ამბავს მხოლოდ ერთი დასასრული აქვს. წინააღმდეგი ხომ არ იქნები, რომ მოვწიო?

– სიგარეტზე არც მე ვიტყოდი უარს, – უთხრა ბლუმკვისტმა.

მარტინმა ორ ღერს მოუკიდა და ერთი ღერი ფრთხილად ჩაუდო ბლუმკვისტს პირში. ბლუმკვისტმა ღრმა ნაფაზი დაარტყა.

– გმადლობ, – ავტომატურად უპასუხა მარტინს.

მარტინ ვანგერს ისევ გაეცინა.

– ხედავ, უკვე შენც მორჩილი ხდები. შენი სიცოცხლე ჩემს ხელშია, მიქაელ. იცი, რომ ყოველ წამს შემიძლია მოგკლა. შენ მცირე სიამოვნების მინიჭება მთხოვე და ამისთვის თავაზიანი მანერები გამოიყენე. ამიტომ დაჯილდოვდი.

მიქაელმა თავი დაუქნია. მის გულს ბაგაბუგი გაუდიოდა.

თორმეტის თხუთმეტ წუთზე სალანდერმა პლასტიკატის ბოთლიდან წყლის ბოლო ყლუპი მოსვა და მომდევნო გვერდზე გადაფურცლა. განსხვავებით ბლუმკვისტისგან, რომელსაც ყავა გადასცდა, გოგონას ხველა არ ასტყდომია. თუმცა, თვალები გაკვირვებისგან მასაც გაუფართოვდა.

წკაპ!

თითქმის ორი საათის განმავლობაში საშტატო პერსონალის ჟურნალებს იკვლევდა. მთავარ ჟურნალს „ინფორმაცია კომპანიაზე“ ერქვა. ყდაზე ვანგერების ლოგო ეხატა – ქარზე აფრიალებული შვედეთის დროშა, რომელიც ისრის ფორმის ძელზე იყო მიმაგრებული. გამოცემა კომპანიის სარეკლამო განყოფილებას პროპაგანდისტული მიზნებით შეედგინა, რათა თანამშრობლებისთვის შთაეგონებინა, რომ ისინი ერთი დიდი ოჯახის წევრები იყვნენ.

1967 წლის თებერვალში, ზამთრის არდადეგების დროს, ჰენრიკ ვანგერს კორპორაციის სათაო ოფისის ორმოცდაათი თანამშრომელი ოჯახითურთ ჰარიედალენში თხილამურებზე სასრიალოდ დიდსულოვნად დაეპატიჟებინა. კომპანიას წინა წელს რეკორდული მოგება მიეღო. საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილებას ამ არდადეგების სურათები გადაეღო.

ბევრი სურათი ფერდობზე თხილამურებით დაშვებისას გადაეღოთ. ზოგიერთზე აღებეჭდათ, როგორ უჭახუნებენ ბარში შეკრებილი კოლეგები ლუდის კათხებს. ორ ფოტოზე ჩანდა, როგორ აჯილდოებს ჰენრიკ ვანგერი „წლის საუკეთესო თანამშრომელს“ ულა-ბრიტ მოგრენს. ქალს ხუთასი კრონის ოდენობის ფულადი პრემია და ბროლის თასი გადაეცა.

დაჯილდოების ცერემონიალი სასტუმროს ტერასაზე დილაადრიან გაემართათ, სანამ დამსვენებლები ისევ სასრიალოდ გაემართებოდნენ და დაიფანტებოდნენ. ფოტოზე ოცი ადამიანი მაინც ჩანდა.

მარჯვენა შორეულ კუთხეში, ჰენრიკ ვანგერის უკან, მუქი ქერათმიანი მამაკაცი იდგა. ტანთ ეცვა შავი დალიანდაგებული ქურთუკი გამოკვეთილად სხვა ფერის სამხრეებით. ფოტო შავ-თეთრი იყო, ამიტომ სამხრეების ფერს ვერ გაარჩევდი, მაგრამ სალანდერი თავს დადებდა, რომ სამხრეები წითელი იყო.

ფოტოს ქვეშ წარწერა ერთვოდა და ის ყველაფერს ცხადს ხდიდა:

„...შორეულ მარჯვენა კუთხეში: მარტინ ვანგერი (19), რომელიც უფსალაში სწავლობს. მას უკვე უწინასწარმეტყველებენ წარმატებულ კარიერას კომპანიის მმართველობაში“.

– გამოგიჭირე! – დაიჩურჩულა სალანდერმა. მან მაგიდის ლამპა გამორთო და ერთმანეთზე დახვავებული საქაღალდეები იქვე დატოვა.

„იმ ძუკნა ლინდგრენმა რაღაც ხომ უნდა აკეთოს ხვალ დილით“.

ავტოსადგომზე გვერდითა კარიდან გავიდა. კარს რომ ხურავდა, გაახსენდა, წასვლამდე ღამის დარაჯის გაფრთხილება დამავალესო. შეჩერდა და მიმოიხედა. დარაჯის ოთახი შენობის მეორე მხარეს იყო. შენობისთვის შემოვლა დაეზარა.

– მეტი საქმე არა მაქვს, – ჩაილაპარაკა თავისთვის.

სანამ ჩაფხუტს დაიხურავდა, მობილური ჩართო და ბლუმკვისტს დაურეკა. ავტომოპასუხემ უპასუხა, აბონენტი მიუწვდომელიაო. გაირკვა, რომ ბლუმკვისტს ოთხის ნახევრიდან ცხრა საათამდე ცამეტჯერ ეცადა მასთან დარეკვა. ბოლო ორ საათში კი ერთი ზარიც არ შემოსულიყო.

სალანდერმა კოტეჯში სახლის ტელეფონზე დარეკა, მაგრამ არც იმ ნომერზე უპასუხეს. გოგონა მოიღუშა, ლეპტოპი სავარძლის ქვეშ დაამაგრა, ჩაფხუტი დაიხურა და მოტოციკლეტი დაქოქა. ჰედესტადის სამრეწველო რაიონში მდებარე კორპორაციის სათაო ოფისიდან ჰედების კუნძულამდე ათ წუთში მივიდა. სამზარეულოში შუქი ენთო.

სალანდერმა მიმოიხედა. თავიდან იფიქრა, ბლუმკვისტი ალბათ ფროდესთან წავიდაო, მაგრამ ხიდზე გადმოსვლისას უკვე შეენიშნა, რომ ფროდეს სახლში შუქი არ ენთო. მაჯის საათზე დაიხედა. 11:40 იყო.

კოტეჯში შევიდა და გარდერობიდან ორი ლეპტოპი გამოიღო, რომლებშიც ფარული კამერების მიერ გადაღებული ფოტოები ავტომატურად ინახებოდა. რამდენიმე წუთის შემდეგ უკვე იცოდა, როგორ განვითარდა მოვლენები.

15:32-ზე კოტეჯში ბლუმკვისტი შემოვიდა.

16:03-ზე ფინჯანი ყავით ხელში ბაღში გავიდა. თან საქაღალდე წაიღო. ეზოში ყოფნისას, სამჯერ სცადა ტელეფონით დარეკვა. დრო ზუსტად ემთხვეოდა მის მობილურზე შემოსული უპასუხო ზარების დროს.

17:21-ზე ბლუმკვისტი კოტეჯიდან გავიდა. უკან თხუთმეტიოდე წუთში დაბრუნდა.

18:20-ზე ჭიშკართან მივიდა და ხიდის მხარეს გაიხედა.

21:03-ზე წავიდა და უკან აღარ დაბრუნებულა.

სალანდერმა სწრაფად გადაახვია მეორე ლეპტოპზე შენახული ფოტოები, რომლებზეც ჭიშკარი და გზა იყო აღბეჭდილი. აინტერესებდა, ვინ გაიარა გზაზე დღის განმავლობაში.

19:12-ზე ნილსონი სახლში დაბრუნდა.

19:42-ზე ოსტერგორდენის მიმართულებით მიმავალმა „სააბმა“ გაიარა.

20:02-ზე „სააბმა“ უკან გამოიარა.

21:00-ზე მარტინ ვანგერის მანქანამ გაიარა. სამი წუთის შემდეგ ბლუმკვისტიც გავიდა სახლიდან.

21:50-ზე კამერის ობიექტივში მარტინ ვანგერი მოექცა. ის წუთით ჭიშკართან შეყოვნდა. სახლს გახედა, მერე სამზარეულოს ფანჯარაში შეიჭყიტა. წინა კართან

მივიდა და საკეტისთვის გასაღების მორგება სცადა. ალბათ მიხვდა, რომ საკეტი გამოცვლილი იყო. რამდენიმე წუთს გაუნძრევლად იდგა, მერე შეტრიალდა და წავიდა.

სალანდერს ცივმა ჟრუანტელმა დაუარა.

მარტინ ვანგერმა კიდევ ერთხელ დატოვა ბლუმკვისტი. ეს უკანასკნელი კვლავაც უხერხულ მდგომარეობაში ეგდო, ხელები შეკრული ჰქონდა, ხოლო ყელზე შემოხვეული წვრილი ჯაჭვით იატაკზე დამაგრებულ კაუჭზე იყო მიბმული. ხელების გათავისუფლების არანაირი შანსი არ ჰქონდა, ბორკილები ისე უჭერდა, რომ მაჯები სტკიოდა.

თვალები დახუჭა.

არ იცოდა, რამდენი დრო გავიდა, როცა მარტინის ფეხის ხმა გაიგონა. მის წინ დადგა. აღელვებული ჩანდა.

– უხერხულად წევხარ?

– ძალიან, – უპასუხა ბლუმკვისტმა.

– შენს თავს დააბრალე. სტოკჰოლმში უნდა დაბრუნებულიყავი.

– რატომ ხოცავ ქალებს, მარტინ?

– ასეთი არჩევანი გავაკეთე. შემიძლია, ჩემი ქმედების მორალურ და ინტელექტუალურ მხარეებზე მთელი ღამე გესაუბრო, მაგრამ არაფერი შეიცვლება. სცადე ამას სხვა კუთხით შეხედო: ადამიანი ჭურჭელია, რომელიც უჯრედებს, სისხლს და ქიმიურ ნივითიერებებს შეიცავს. ძალიან ცოტა ადამიანი რჩება ისტორიის წიგნებში. უმრავლესობა კვდება და უკვალოდ ქრება.

– შენ მხოლოდ ქალებს ხოცავ.

– ჩვენ, ვინც საკუთარი სიამოვნებისთვის ვკლავთ – დიახ, ასეთი ჰობი მხოლოდ მე არ მაქვს – სრული სიცოცხლით ვცხოვრობთ.

– მაგრამ ჰარიეტი? შენი და?

უეცრად მარტინმა ბლუმკვისტს ქეჩოში წაავლო ხელი.

– მითხარი, რა დაემართა მას, შე ნაბიჭვარო! ახლავე!

– მე გითხრა? – წამოიკვნესა ბლუმკვისტმა და თავის შებრუნება სცადა, რომ ტკივილი შეემსუბუქებინა. ჯაჭვი ყელზე ძლიერად უჭერდა.

– შენ და სალანდერმა მასზე რა დაადგინეთ?

– თუ შეიძლება, გამიშვი, თორემ ვერ დაგელაპარაკები.

მარტინ ვანგერმა ხელი გაუშვა და მის წინ იატაკზე ფეხებგადაჯვარედინებული დაჯდა. ქურთუკის ჯიბიდან ჯაყვა ამოიღო და გახსნა. დანის წვერი ბლუმკვისტს პირდაპირ თვალის უპეზე მიადო. ბლუმკვისტმა მაინც მტკიცედ გაუსწორა მარტინს თვალი.

– რა ჯანდაბა შეემთხვა ჰარიეტს, შე ნაბიჭვარო?

– მე მეგონა, ის შენ მოკალი.

მარტინ ვანგერი კარგა ხანს დაძაბული მისჩერებოდა ბლუმკვისტს. ბოლოს მოეშვა. წამოდგა, ჩაფიქრებული მიმოდიოდა წინ და უკან. მერე დანა იატაკზე დააგდო და, სანამ ბლუმკვისტს მიუახლოვდებოდა, გაიცინა.

– ჰარიეტი, ჰარიეტი, სულ ჰარიეტი. ჩვენ ვცადეთ... მასთან დალაპარაკება. გოტფრიდი ცდილობდა მისთვის ესწავლებინა. გვეგონა, რომ ისიც ერთ-ერთი ჩვენგანი იყო და თავის მოვალეობას შეასრულებდა, მაგრამ ის... ჩვეულებრივი ბოზი გამოდგა. კონტროლქვეშ მყავდა, ყოველ შემთხვევაში, ასე ვფიქრობდი. მაგრამ მან ჩემი ჰენრიკთან დაბეზღება გადაწყვიტა და მივხვდი, რომ მისი ნდობა აღარ შეიძლებოდა. ადრე თუ გვიან ჩემზე ვინმეს გაუმხელდა.

– ამიტომაც მოკალი.

– მინდოდა მისი მოკვლა! უკვე დაგეგმილი მქონდა, მაგრამ დამაგვიანდა. კუნძულზე დროულად ვერ გადმოვედი.

მიქაელ ბლუმკვისტს ამ ინფორმაციის დამუშავება უნდოდა, მაგრამ გონებაში თითქოს შეტყობინება იწერებოდა: INFORMATION OVERLOAD. მარტინ ვანგერმა არ იცოდა, რა დაემართა მის დას.

უცებ მარტინმა ჯიბიდან მობილური ამოიღო და ეკრანს დახედა. მერე მობილური სკამზე პისტოლეტის გვერდით დადო.

– დროა ამ ყველაფერს მოვრჩეთ. ამაღამ შენი გამხდარი ძუკნაც უნდა მოვიშორო თავიდან.

მან კარადიდან ტყავის თასმა გამოიღო და ბლუმკვისტს ყელზე ყულფივით ჩამოაცვა. მერე ჯაჭვი, რომლითაც იატაკზე ჰყავდა მიბმული, მოუშვა, ბლუმკვისტი ფეხზე წამოაყენა და კედლისკენ უბიძგა. ტყავის თასმა ბლუმკვისტის თავზე ჩამოკიდებულ რგოლში გააცურა და ისე ძლიერად დაქაჩა, რომ ბლუმკვისტს ფეხისწვერებზე მოუწია შედგომა.

– ძალიან ხომ არ გიჭერს? სუნთქვა შეგიძლია? – მარტინმა ოდნავ შეამსუბუქა კვანძი და თასმის მეორე ბოლო კედელზე მიაბა.

ყულფი ბლუმკვისტს ისე ძლიერ უჭერდა, რომ სიტყვის წარმოთქმის უნარი დაჰკარგვოდა.

მარტინი ყურადღებით აკვირდებოდა მას. უცებ ბლუმკვისტს შარვალი გაუხსნა და ტრუსთან ერთად ჩახადა. ბლუმკვისტს ფეხი დაუცურდა და სანამ ისევ საყრდენს იპოვიდა, რამდენიმე წამს ჰაერში ეკიდა. მარტინმა კარადიდან მაკრატელი გამოიღო. ბლუმკვისტის მაისური ჩაჭრა და ნაფხრეწები იატაკზე დაყარა. მერე ოდნავ უკან გადგა და მსხვერპლი შემფასებლურად შეათვალიერა.

– აქ ბიჭი არასდროს მყოლია, – სრულიად სერიოზულად თქვა მარტინმა, – სხვათა შორის, სხვა კაცს არასდროს შევხებივარ... გარდა მამაჩემისა. ეს ჩემი ვალი იყო.

ბლუმკვისტს ლამის საფეთქლები დასკდომოდა. წონასწორობის შენარჩუნება უჭირდა. ცდილობდა ზურგს უკან ბეტონის კედლისთვის მიეწვდინა თითები, მაგრამ ხელჩასაჭიდი არაფერი იყო.

– დროა, – თქვა მარტინ ვანგერმა და თასმა ძლიერად დაქაჩა.

ბლუმკვისტს ყულფი ღრმად ჩაერჭო კანში.

– ყოველთვის მაინტერესებდა როგორი გემო აქვს მამაკაცს.

მარტინმა კიდევ უფრო დაქაჩა თასმა და წინ გადაიხარა, რომ ბლუმკვისტისთვის ტუჩებში ეკოცნა, მაგრამ ამ დროს ოთახში ყინულივით ცივი ხმა გაისმა.

– ეი, შე შეშლილო ნაბიჭვარო, ამ შენს სანაგვეში მაგ ტუჩების კოცნაზე მე მაქვს მონოპოლია.

ბლუმკვისტმა სალანდერის ხმა წითელ ნისლში გაიგონა. ჩასისხლიანებული თვალებით დაინახა კართან მდგარი გოგონა, რომელიც მარტინ ვანგერს აუღელვებლად მისჩერებოდა.

– გაი... ქეცი... – ამოიხრიალა ბლუმკვისტმა.

ბლუმკვისტს მარტინის სახე არ დაუნახავს, მაგრამ ლამის ფიზიკურად იგრძნო შოკი, რომელიც მას დაეუფლა. წამით თითქოს დრო გაჩერდა. მერე მარტინმა პისტოლეტის ასაღებად სკამისკენ გაიწია.

სალანდერმა სამი სწრაფი ნაბიჯი გადადგა წინ და აქამდე დამალული გოლფის ჯოხი მოიქნია. რკინის ჯოხმა ჰაერში ფართო ნახევარწრე შემოხაზა და მარტინს ლავიწის ძვალზე მოხვდა. დარტყმა ისეთი ძლიერი იყო, რომ ბლუმკვისტმა ძვლის ტკაცუნი გაიგონა. მარტინმა შეჰყმუვლა.

– რაო, მოგეწონა, ნაბიჭვარო? – ცივად ჰკითხა სალანდერმა.

ბლუმკვისტს სიცოცხლის ბოლომდე არ დაავიწყდებოდა მისი სახე; სალანდერს მსხვერპლის თავს დამცხრალი მხეცივით დაეკრიჭა კბილები. ნახშირივით შავი თვალები მრისხანედ უელავდა. ტარანტულივით სხარტად მოძრაობდა. სრულიად კონცენტრირებულმა, ხელმეორედ მოქნეული გოლფის ჯოხი მარტინს ამჯერად ნეკნებში მოსცხო.

მარტინი სკამს გამოედო და წაიქცა. მისი ხელიდან გავარდნილი პისტოლეტი სალანდერის ფეხებთან დაეცა. გოგონამ პისტოლეტს ფეხი გაჰკრა და განზე მოისროლა.

მერე მესამედ მოუქნია ჯოხი მარტინ ვანგერს, რომელიც წამოდგომას ცდილობდა. ჯოხი შხუილით დაეშვა მის თეძოზე. მარტინ ვანგერმა საწყლად შეჰკივლა. მეოთხე დარტყმა მან უკნიდან ბეჭებს შუა მიიღო.

– ლიზ... ეეთ... – ხრიალებდა ბლუმკვისტი. უკვე გონს კარგავდა, ტკივილის გაძლება აღარ შეეძლო. სახე პომიდორივით გასწითლებოდა, თვალები გადმოეკარკლა და ენა გადმოეგდო.

გოგონამ ეს შეამჩნია. მიმოიხედა. იატაკზე დაგდებული დანა დაინახა. მარტინს გახედა. ის ცალ მკლავჩამოგდებული მიხოხავდა და თავის გადარჩენას ცდილობდა. მისგან რამდენიმე წუთს მაინც საფრთხე აღარ ელოდა, ამიტომ სალანდერმა გოლფის ჯოხი გადააგდო და დანას დასტაცა ხელი. დანას ბასრი წვერი ჰქონდა, მაგრამ – ბლაგვი პირი. გოგონა ფეხის წვერებზე შედგა და თასმის გადაჭრა სცადა. რამდენიმე წამში ბლუმკვისტი იატაკზე ჩაიკეცა, მაგრამ ყელზე ყულფი მაინც ძლიერად უჭერდა.

სალანდერმა კვლავ გახედა მარტინ ვანგერს. ის უკვე ფეხზე წამომდგარიყო, მაგრამ წელში ვერ იმართებოდა. გოგონამ ყულფს თითები გამოსდო, ოდნავ შეამსუბუქა, მერე მხნეობა მოიკრიბა და დანის წვერი ქვეშ შეაცურა. ყულფის გადაჭრას რომ ცდილობდა, დანით ბლუმკვისტს კანი დაუსერა. ბოლოს, როგორც იქნა, ყულფი გადაჭრა და ბლუმკვისტმა რამდენჯერმე ამოიხროტინა.

წუთით ბლუმკვისტს მგრძნობელობა გაუძლიერდა. იგრძნო, როგორ უბრუნდებოდა სხეულში სული. ოთახში მტვრის უწვრილეს ნაწილაკებს ამჩნევდა. ყოველი ამოსუნქთვა, სამოსის შარიშური – თითქოს ყურსასმენები უკეთიაო – მკაფიოდ ესმოდა. სალანდერის ტყავის ქურთუკისა და ოფლის სუნი სცემდა. მერე სისხლმა მის თავამდე მიაღწია და ილუზია გაქრა.

სალანდერი ზუსტად იმ წამს მიტრიალდა, რა წამსაც მარტინ ვანგერი ოთახიდან გავიდა. გოგონა წამოდგა, პისტოლეტი აიტაცა, სავაზნე შეამოწმა და დამცველი მოხსნა.

– მე დავიჭერ, – კარისკენ გაიქცა სალანდერი, გზად მაგიდიდან ხელბორკილების გასაღები აიღო და უკან შეუბრუნებლად გადაუგდო ბლუმკვისტს.

ბლუმკვისტმა სცადა დაეყვირა, დაიცადეო, მაგრამ მხოლოდ კვნესა აღმოხდა. ამასობაში გოგონა გაუჩინარდა.

სალანდერს ახსოვდა, რომ მარტინ ვანგერს სადღაც სანადირო თოფი ჰქონდა და ფრთხილად უნდა ყოფილიყო. პისტოლეტი წინ გაიშვირა და გარაჟსა და სამზარეულოს შორის გამავალ დერეფანში ასე ავიდა. მიაყურადა, მაგრამ ჩამიჩუმი არ ისმოდა. სალანდერი სამზარეულოსთან მიიპარა და უცებ ეზოდან მანქანის დაქოქვის ხმა მოესმა.

მთელი სისწრაფით ქუჩაში გავარდა. მანქანამ ჰენრიკ ვანგერის სახლს ჩაუარა და ხიდისკენ გაუხვია. გოგონამ პისტოლეტი ქურთუკის ჯიბეში ჩაიდო და ჩაფხუტი არც დაუხურავს, ისე შემოახტა მოტოციკლეტს.

მარტინ ვანგერი ალბათ ოთხმოცდაათი წამით უსწრებდა, როცა E4 გზატკეცილის გადასახვევს მიუახლოვდა. გოგონა მის მანქანას ვეღარ ხედავდა. დაამუხრუჭა და მისაყურადებლად ძრავა გამორთო.

ცა სქელ ღრუბლებს დაეფარა. ჰორიზონტს დილის ნათელი შეჰპარვოდა. უცებ ძრავის ხმა გაიგონა, E4 გზატკეცილზე სამხრეთით მიმავალი მანქანის უკანა ფარების ციმციმს მოჰკრა თვალი. სალანდერმა მოტოციკლეტი ისევ დაქოქა, აქსელერატორს დააწვა და ვიადუკზე გადაიქროლა. მოსახვევში 80 კმ/სთ-ით შევიდა. საგაზაო ნიშანი არსად ჩანდა, ამიტომ სიჩქარეს უფრო მოუმატა. მიხვეულ-მოხვეულ დაღმართზე მაქსიმალური, 170 კმ/სთ-ით მიაქროლებდა თავის ზემსუბუქ მოტოციკლეტს. ორი წუთის შემდეგ ოთხასიოდე მეტრით წინ მარტინ ვანგერის მანქანაც გამოჩნდა.

„მოსალოდნელ შედეგებზე იფიქირე, – შეახსენა თავს, – როგორ მოვიქცე?“

სიჩქარეს 120 კმ/სთ-მდე დაუკლო და დისტანციის შენარჩუნება სცადა. მოსახვევებში მარტინის მანქანა რამდენჯერმე დაკარგა თვალთახედვის არედან. მერე გზა გასწორდა. მისგან მხოლოდ ორასი მეტრი აშორებდა.

ალბათ მარტინ ვანგერმაც შეამჩნია გოგონას მოტოციკლეტი და გრძელ მოსახვევში სიჩქარეს მოუმატა. სალანდერიც აჩქარდა, მაგრამ მოსახვევებში მაინც ჩამორჩა.

უცებ წინ სატვირთოს შორსმაშუქები დაინახა. ეს მარტინ ვანგერმაც შეამჩნია. მან სიჩქარეს კიდევ მოუმატა და შემხვედრ ზოლზე გადავიდა. სატვირთომ დაუსიგნალა და დამუხრუჭება სცადა, მაგრამ მარტინ ვანგერი არ გაჩერებულა და პირდაპირ სატვირთოს შეასკდა. გამაყრუებელი ჭახანი გაისმა.

სალანდერმა დაამუხრუჭა. სატვირთოს მისაბმელი გადაყირავდა. გოგონა ისევ გაზს დააწვა და სანამ მისაბმელი გზას გადაღობავდა, უკანასკნელ წამს გაძვრა მის მიღმა. გვერდით ჩავლისას ცალი თვალით დაინახა, როგორ ამოვარდა სატვირთოს კაბინიდან ცეცხლის ალი.

კიდევ ას ორმოცდაათი მეტრის გავლის შემდეგ დაამუხრუჭა და უკან შებრუნდა. სატვირთოს კაბინიდან მძღოლი გადმოხტა. გოგონამ მოტოციკლეტი ისევ დაძრა. ორი კილომეტრით სამხრეთით, აკერბისთან, მარცხნივ გაუხვია და E4 გზატკეცილის პარალელური, ძველი გზით ისევ ჩრდილოეთში დაბრუნდა. ავტოავარიის სცენას აღმართიდან მოჰკრა თვალი. ორი მანქანა გაჩერებულიყო. სატვირთოს ქვეშ მოქცეულ მარტინის მანქანას ცეცხლი ეკიდა. ვიღაც კაცი ცეცხლმაქრობით ცდილობდა ხანძრის ჩაქრობას.

რამდენიმე წუთის შემდეგ სალანდერი ნელა გადაგრიხინდა ჰედების ხიდზე, მოტოციკლეტი კოტეჯის წინ გააჩერა და ფეხით წავიდა მარტინ ვანგერის სახლისკენ.

მიქაელი კვლავ ხელბორკილებს ეჯაჯგურებოდა. ხელები დაბუჟებოდა და გასაღები უვარდებოდა. სალანდერმა ბორკილები მოხსნა და მხარში ედგა, სანამ ბლუმკვისტის კიდურებში სისხლი ისევ ამოძრავდებოდა.

– მარტინი? – ხრინწიან ხმაზე ჰკითხა ბლუმკვისტმა.

– მოკვდა. E4 გზატკეცილზე, აქედან რამდენიმე კილომეტრით სამხრეთით სატვირთო მანქანას შეეჯახა.

ბლუმკვისტმა გაკვირვებით შეხედა. გოგონა სულ მცირე ხნით იყო წასული.

– პოლიციას... უნდა დავურეკოთ, – ხველა აუტყდა ბლუმკვისტს.

– რატომ? – დაინტერესდა სალანდერი.

მთელი ათი წუთის განმავლობაში ბლუმკვისტი ფეხზე ვერ დგებოდა. შიშველი იჯდა იატაკზე და კედელს ეყრდნობოდა. მერე ყელი დაიზილა და დაბუჟებული ხელით ძლივს აიღო წყლის ბოთლი. სალანდერი მოთმინებით იცდიდა, სანამ კაცს მგრძნობელობა დაუბრუნდებოდა; თან ფიქრობდა.

– შარვალი ჩაიცვი.

გოგონამ ბლუმკვისტის მაისურის ნაგლეჯებით ხელბორკილები, დანა და გოლფის ჯოხი გაწმინდა, რომ ზედ თითების ანაბეჭდი არ დარჩენილიყო. თავისი წყლის ბოთლიც აიღო.

– რას აკეთებ?

– ჩაიცვი, მალე გათენდება.

ბლუმკვისტი ძლივძლივობით წამოდგა და ტრუსი და ჯინსის შარვალი აიწია. ფეხები სპორტულ ფეხსაცმელში ჩაყო. სალანდერმა მისი წინდები ქურთუკის ჯიბეში ჩაიჩურთა.

– აქ ქვემოთ რამეს ხომ არ შეხებიხარ?

ბლუმკვისტმა მიმოიხედა. გახსენება სცადა. ბოლოს უპასუხა, კარის და გასაღების გარდა არაფერს შევხებივარო. სალანდერმა გასაღები სკამის საზურგეზე გადაკიდებულ მარტინ ვანგერის ქურთუკში იპოვა, კარის სახელური გაწმინდა და ოთახში შუქი ჩააქრო. ბლუმკვისტს კიბეზე ასვლაში დაეხმარა და უთხრა, დერეფანში დამელოდე, გოლფის ჯოხს თავის ადგილზე დავაბრუნებო. უკან მარტინ ვანგერის შავი მაისურით ხელში დაბრუნდა.

– ეს ჩაიცვი. არ მინდა, ვინმემ ქუჩაში შიშვლად მოსეირნე დაგინახოს.

ბლუმკვისტი შოკში იყო. უფროსობა სალანდერს აეღო თავის თავზე და ამიტომ მის ბრძანებას დაემორჩილა. გოგონამ მარტინის სახლიდან გაიყვანა. გზაშიც ხელს არ უშვებდა, რომ არ წაქცეულიყო. მხოლოდ თავიანთ კოტეჯში შესვლისას შეაჩერა.

– თუ ვინმემ დაგვინახა და გკითხეს, წუხელ რას აკეთებდითო, ეტყვი, რომ კონცხზე გავისეირნეთ და ღია ცის ქვეშ სექსი გვქონდა.

– ლიზბეთ, არ შემიძლია...

– სააბაზანოში შედი. ახლავე.

გოგონა ბლუმკვისტს ტანსაცმლის გახდაში დაეხმარა და სააბაზანოში გაგზავნა. მერე ყავისთვის წყალი დაადგა და ყველიანი, სოსისიანი და მწნილიანი სენდვიჩები მოამზადა. მაგიდასთან იჯდა და ფიქრობდა, როცა სააბაზანოდან ბლუმკვისტი გამოვიდა კოჭლობით. გოგონამ მისი დალილავებული და დაკაწრული სხეული შეათვალიერა. კაცს ყელზე მუქი წითელი ლაქა ეტყობოდა, ხოლო მარცხენა მხარეს ყულფის გადაჭრისას დასერილი კანიდან, სისხლი მოსდიოდა.

– დაწექი, – უთხრა მას სალანდერმა.

გოგონამ ჭრილობა შეუხვია და ზემოდან კომპრესი დაადო. მერე ყავა დაუსხა და სენდვიჩები მიაწოდა.

– არ მშია, – იუარა ბლუმკვისტმა.

– არ მაინტერესებს, ჭამე, – უბრძანა სალანდერმა და თავის სენდვიჩი ხარბად ჩაკბიჩა.

ბლუმკვისტმა თვალები დახუჭა, წამოჯდა და სენდვიჩი ჩაკბიჩა. ხახა ისე ჩაფხრეწოდა, რომ ნერწყვის ჩაყლაპვა უჭირდა.

სალანდერმა ტყავის ქურთუკი გაიხადა და სააბაზანოდან თავისი ბალზამის ქილა გამოიტანა.

– სანამ ყავა გაგრილდება, მუცელზე დაწექი.

ხუთ წუთს უზელდა ზურგს. მერე გადმოაბრუნა და გულმკერდიც დაუზილა.

– კარგა ხანს ტანი სულ დალურჯებული გექნება.

– ლიზბეთ, პოლიციას უნდა შევატყობინოთ.

– არა, – ისე ავად წარმოთქვა სალანდერმა, რომ გაკვირვებულმა ბლუმკვისტმა თვალები გაახილა, – თუ პოლიციას დაურეკავ, მე წავალ. მათთან საქმის დაჭერა არ მინდა. მარტინ ვანგერი მოკვდა. ავტოავარიაში დაიღუპა. მანქანაში მარტო იჯდა. მოწმეები არსებობს. დაე, ის დაწყევლილი საწამებელი ოთახი პოლიციამ აღმოაჩინოს. როგორც სოფლის სხვა მცხოვრებლებმა, ვითომ მე და შენც არაფერი ვიცით მასზე.

– რატომ?

გოგონამ არაფერი უპასუხა, მხოლოდ მისი ბარძაყის ზელა განაგრძო.

– ლიზბეთ, არ შეიძლება...

– თუ წუწუნს გააგრძელებ, მარტინის ბუნაგში მე თვითონ ჩაგათრევ და ისევ ჯაჭვებით დაგაბამ.

სალანდერმა ეს თქვა თუ არა, ბლუმკვისტს ჩაეძინა, თითქოს გული წაუვიდაო.

თავი XXV

შაბათი, 12/VII – ორშაბათი, 14/VII

ბლუმკვისტს დილის ხუთ საათზე უეცრად გამოეღვიძა; ეგონა, რომ ისევ ყულფი ჰქონდა ჩამოცმული და ყელზე იტაცა ხელი. თვალები გაახილა და სალანდერს უაზროდ გახედა.

– არ ვიცოდი, გოლფს თუ თამაშობდი, – უთხრა მას და თვალები ისევ დახუჭა. გოგონა რამდენიმე წუთს გვერდით ეჯდა, სანამ არ დარწმუნდა, რომ ბლუმკვისტს ისევ ჩაეძინა. სანამ კაცს ეძინა, სალანდერი მარტინ ვანგერის სარდაფში ხელახლა ჩაპარულიყო დანაშაულის ადგილის დასათვალიერებლად და გადასაღებად. საწამებელი იარაღების გარდა, გოგონამ უამრავი პორნოგრაფიული ჟურნალი და ალბომში ჩაწებებული „პოლაროიდის“ ფოტოები იპოვა.

ვერანაირ დღიურს ვერ მიაგნო. სამაგიეროდ, ორი საქაღალდე აღმოაჩინა; საქაღალდეებში საპასპორტო სურათები და უცნობი ქალების ხელნაწერი დახასიათებები იდო. სალანდერმა საქაღალდეები ნეილონის ჩანთაში შეინახა. ჩანთაშივე ჩაიდო მარტინ ვანგერის ლეპტოპი, რომელიც სამზარეულოს მაგიდიდან აიღო.

სანამ ბლუმკვისტს ეძინა, გოგონა მარტინის კომპიუტერსა და საქაღალდეებს იკვლევდა. ლეპტოპი მხოლოდ დილის ექვს საათზე გამორთო და სიგარეტს მოუკიდა.

მას და მიქაელ ბლუმკვისტს ეგონათ, რომ სერიულ მკვლელს ეძებდნენ, მაგრამ საბოლოოდ სრულიად განსხვავებულ რამეს მიაგნეს. სალანდერს წარმოდგენაც კი უჭირდა: ალბათ რა საშინელებები ხდებოდა მარტინის სარდაფში, ამ მყუდრო და მოწესრიგებული სახლის ქვეშ.

წარმოდგენა უჭირდა, მაგრამ მაინც ცდილობდა მიმხვდარიყო.

„მარტინ ვანგერი თურმე სამოციანი წლებიდან მოყოლებული ხოცავდა ქალებს. ბოლო თხუთმეტი წლის განმავლობაში წელიწადში ერთი-ორ ქალს მაინც კლავდა. მკველობას ისე გონივრულად გეგმავდა, რომ სერიული მკვლელის არსებობაზე არავინ ეჭვობდა. ამას როგორ ახერხებდა?“

საქაღალდეები ნაწილობრივ იძლეოდა ამის პასუხს.

მარტინის მსხვერპლთა უმეტესობა უცხოელი იყო, ემიგრანტი გოგონები, რომლებსაც შვედეთში არც მეგობრები ჰყავდათ და არც – ნაცნობები. მეძავები, ნარკომანები და საზოგადოებისგან გარიყული თუ სოციალურად დაუცველი ქალები...

სექსუალური სადიზმის ფსიქოლოგიაზე სალანდერს საკმაოდ ბევრი წაეკითხა და იცოდა, რომ ასეთი მკვლელები თავიანთ მსხვერპლთაგან სუვენირების კოლექციას აგროვებენ. ეს სუვენირები მკვლელს განცდილ სიამოვნებას ახსენებს. მარტინ ვანგერსაც შეედგინა „სიკვდილის წიგნი“ – მსხვერპლთა სია აღწერით, როგორ აწამა თითოეული მათგანი. მათი წამება და სიკვდილი ვიდეოფირზე ჩაეწერა, მოკლულებისთვის ფოტოები გადაეღო.

საბოლოო მიზანი ქალების წამება და დახოცვა იყო, მაგრამ სალანდერი მიხვდა, რომ მარტინს უფრო მეტად მათზე ნადირობა სიამოვნებდა. მას ლეპტოპში მონაცემთა ბაზა ჰქონდა შექმნილი, რომელშიც ასობით ქალის მონაცემი შედიოდა. ქალებს შორის იყვნენ „ვანგერების კორპორაციის“ თანამშრომლები, იმ რესტორნების მიმტანები, სადაც მარტინი ხშირად სადილობდა, სასტუმროს ადმინისტრატორები, სოციალური დაზღვევის სააგენტოს კლერკები, თავისი ბიზნეს-პარტნიორების მდივნები და სხვები. მარტინ ვანგერს ლამის ყველა ქალი აღერიცხა, ვისაც კი ოდესმე შეხვედროდა.

მათგან, რასაკვირველია, მხოლოდ რაღაც ნაწილი დაეხოცა, მაგრამ მის გარშემო ყველა ქალი პოტენციურ მსხვერპლად ითვლებოდა. მონაცემთა ბაზა იმდენად სრულყოფილი იყო, აშკარად ჩანდა, რომ მარტინი გულმოდგინედ და გატაცებით მუშაობდა მის შექმნაზე. პასუხებს ეძებდა შემდეგ კითხვებზე:

„ეს ქალი გათხოვილია თუ მარტოხელა? შვილები ან ოჯახი თუ ჰყავს? სად მუშაობს? სად ცხოვრობს? რომელი მოდელის მანქანა ჰყავს? განათლებულია თუ არა? სად სწავლობდა? რა ფერის თმა აქვს? რა ფერის კანი აქვს? აღნაგობა?“

პოტენციურ მსხვერპლზე პირადი ინფორმაციის მოძიება მარტინ ვანგერის სექსუალური ფანტაზიების უმთავრესი მახასიათებელი იყო. ერთი სიტყვით, მას უფრო მეტად ქალებზე ნადირობა სიამოვნებდა და მხოლოდ ამის შემდეგ – მათი ხოცვა.

როცა კითხვას მორჩა, სალანდერი ერთ-ერთ საქაღალდეში კონვერტს გადააწყდა. კონვერტიდან ორი გაცრეცილი და ფერგადასული პოლაროდის ფოტო ამოიღო. პირველ სურათზე შავთმიანი გოგონა მაგიდასთან იჯდა. გოგონას მუქი ჯინსის შარვალი ეცვა, წელზემოთ კი შიშველი იყო და პატარა ძუძუები მოუჩანდა. გოგონას თავი მიებრუნებინა და მკლავი აეწია, თითქოს სახეს მალავსო. მეორე სურათზე ლურჯზეწარგადაფარებულ საწოლში სრულიად შიშველი იგივე გოგონა მუცელზე გაწოლილიყო. ფოტოკამერას კვლავ სახეს უმალავდა.

სალანდერმა ფოტოებიანი კონვერტი ქურთუკის ჯიბეში ჩაიდო. შემდეგ საქაღალდეები შეშის ღუმელში შეაგდო და ცეცხლი წაუკიდა. გარეთ კოკისპირულად წვიმდა. გოგონა ხიდთან მივიდა, ვითომ ფეხსაცმლის თასმის შესაკრავად დაიხარა და მარტინ ვანგერის ლეპტოპი უჩუმრად წყალში ისროლა.

როცა იმ დილით რვის ნახევარზე კოტეჯში ფროდემ შეაბიჯა, სალანდერი სასადილოს მაგიდასთან ყავას სვამდა და სიგარეტს ეწეოდა. ფროდეს სახეზე ნაცრისფერი დასდებოდა, თითქოს დილაუთენია საშინელი ცნობით გამოაღვიძესო.

– მიქაელი სადაა? – იკითხა მან.

– ჯერ არ გაუღვიძია.

ფროდე მძიმედ ჩამოჯდა სკამზე. სალანდერმა ყავა დაუსხა და ფინჯანი მისკენ გააჩოჩა.

– მარტინი... ახლახან მაცნობეს, რომ მარტინი წუხელ ავტოავარიაში დაიღუპა.

– სამწუხაროა, – სალანდერმა ყავა მოწრუპა.

ფროდემ გოგონას გახედა. თავიდან დაბნეული შეჰყურებდა, მერე გაკვირვებისგან თვალები გაუფართოვდა.

– რა...?

– მანქანა დაეჯახა. რა ცუდია.

– რამე იცით ამის შესახებ?

– პირდაპირ სატვირთო მანქანას დაეჯახა. თავი მოიკლა. ზეწოლა, სტრესი, ნგრევის პირას მისული ფინანსური იმპერია და ასე შემდეგ და ასე შემდეგ. ამხელა წნეხს ვეღარ გაუძლო. ყოველ შემთხვევაში, გაზეთებში ალბათ ასეთი ვერსია გაჟღერდება.

ფროდეს ისეთი სახე ჰქონდა, თითქოს ცოტაც და ინფარქტი დაარტყამსო. სკამიდან წამოხტა და ბარბაცით წავიდა საძინებლისკენ.

– აცადეთ, იძინოს, – მკაცრად გააფრთხილა სალანდერმა.

ფროდემ მძინარე ბლუმკვისტს დახედა. მის სახესა და მკერდზე მუქი ლურჯი ლაქები შეამჩნია; ყელზე – წითელი რკალი. სალანდერმა მოხუცს მკლავზე წაავლო ხელი და საძინებლის კარი დახურა. ფროდე უკან გამობანცალდა და სკამზე მოწყვეტით დაეშვა.

ლიზბეთ სალანდერმა ფროდეს მოკლედ უამბო, რაც ღამით მოხდა. აღუწერა მარტინ ვანგერის საშინელებათა ოთახი და ისიც, როგორ მიუსწრო „ვანგერების კორპორაციის“ გენერალურ დირექტორს, რომელიც შარვალჩახდილი მიქაელის წინ იდგა და მის დახრჩობას ცდილობდა. კომპანიის არქივებში მიკვლეულ ცნობებზეც უამბო და იმაზეც, თუ როგორ დააკავშირა სულ ცოტა შვიდი ქალის მკვლელობა გოტფრიდ ვანგერის სახელთან.

ფროდემ მხოლოდ ერთხელ გააწყვეტინა სიტყვა. როცა სალანდერი მოყოლას მორჩა, ფროდე რამდენიმე წუთს ჩუმად იჯდა და ფიქრობდა. ბოლოს, ხმა ამოიღო:

– ახლა რაღა ვქნათ?

– ეს ჩემი გადასაწყვეტი არაა, – უპასუხა სალანდერმა.

– მაგრამ...

– მე საერთოდ არ მსურს იმის გამჟღავნება, რომ ამ გამოძიებაში ვმონაწილეობდი.

– ვერ მიგიხვდით.

– ჩემი სახელი ოფიციალური გამოძიებისას ნახსენები არ უნდა იყოს. ამ საქმესთან არანაირი კავშირი არ მაქვს. თუკი ჩემს გარევას დააპირებთ, ვიტყვი, რომ ჰედესტადში ფეხი არ დამიდგამს და არც ერთ კითხვას არ ვუპასუხებ.

– მაინც ვერ ვხვდები.

– არაფრის მიხვედრა არაა საჭირო.

– მაშ, რა უნდა ვქნა?

– თვითონ მოიფიქრეთ. ოღონდ მე და მიქაელს ნურაფერში გაგვრევთ.

ფროდეს მკვდრის ფერი დაედო.

– ამ საკითხს სხვა მხრიდან მიუდექით: თქვენ მხოლოდ ის იცით, რომ მარტინ ვანგერი ავტოავარიაში დაიღუპა. არანაირი წარმოდგენა არ გაქვთ იმაზე, რომ მარტინი შეშლილი, ავადმყოფი სერიული მკვლელი იყო. არც მის საწამებელ ოთახზე გსმენიათ რამე.

გოგონამ სარდაფის გასაღები მაგიდაზე დაუდო.

– ჯერ კიდევ გაქვთ დრო, სანამ მარტინ ვანგერის სახლში ვინმე შესულა და ის სარდაფი აღმოუჩენია.

– პოლიციას უნდა შევატყობინოთ.

– თუ გინდათ, შეატყობინეთ. თქვენი გადასაწყვეტია.

– ამ ამბავზე თვალს ვერ დავხუჭავთ.

– არც გეუბნებით, თვალი დახუჭეთ-მეთქი. ოღონდ მე და მიქაელს ნურსად გვახსენებთ. ჯერ ის ოთახი ნახეთ და მერე გადაწყვიტეთ, ვის რა უთხრათ.

– თუ ის მართალია, რაც მიამბეთ, გამოდის, რომ მარტინი ქალებს იტაცებდა და ხოცავდა... ალბათ მათი ოჯახები დღემდე ეძებენ და დარდობენ დაკარგულ შვილებზე. არ შეიძლება ასე უბრალოდ...

– მართალი ხართ, მაგრამ ერთი პრობლემა გვაქვს. გვამები აღარ არსებობს. მხოლოდ პასპორტებს ან პირადობის მოწმობებს თუ იპოვით უჯრაში. შეიძლება რამდენიმე მსხვერპლის ამოცნობა ვიდეოფირზე მოხერხდეს. მაგრამ დღეს ნუ იჩქარებთ გადაწყვეტილების მიღებას. კარგად დაფიქრდით.

ფროდე შეშინებული ჩანდა.

– ღმერთო, კომპანიისთვის ეს სასიკვდილო დარტყმის ტოლფასი იქნება. წარმომიდგენია, რამდენი ოჯახი დარჩება საარსებო წყაროს გარეშე, თუ მარტინის ამბავი გახმაურდება...

ფროდე მორალური დილემის წინაშე აღმოჩნდა.

– ეს ერთი პრობლემაა. მაგრამ მარტინის მემკვიდრე ალბათ იზაბელა ვანგერი გახდება და არა მგონია, მართებული იყოს, შვილის ჰობიზე მან პირველმა შეიტყოს.

– უნდა წავიდე და ვნახო...

– ჩემი აზრით, დღეს იმ ოთახს ახლოს არ უნდა გაეკაროთ, – ურჩია სალანდერმა, – სხვა ბევრი რამაა მოსაგვარებელი. ჰენრიკს ყველაფერი უნდა უამბოთ, მერე დირექტორთა კრება მოიწვიოთ და ყველა ღონისძიება გაატაროთ, რაც გენერალური დირექტორის გარდაცვალებისასაა საჭირო.

ფროდე გოგონას სიტყვებზე დაფიქრდა. გული ძლიერად უცემდა. მას, მოხუც ადვოკატს, უნდა გადაეჭრა პრობლემა და მოსალოდნელი შედეგებიც წინასწარ გაეთვალისწინებინა, მაგრამ თავი უძლურად იგრძნო. ჭკუას ბავშვი არიგებდა! ლიზბეთ სალანდერი უხსნიდა, რა როგორ გაეკეთებინა, რადგან თვითონ სიტუაციაში გარკვევის უნარი დაჰკარგვოდა.

– და ჰარიეტი...?

– გამოძიება არ დაგვისრულებია, მაგრამ შეგიძლიათ ჰერ ვანგერს გადასცეთ, რომ ამ საიდუმლოსაც უეჭველად ამოვხსნით.

ცხრა საათზე, როცა ბლუმკვისტმა გაიღვიძა, რადიოს საინფორმაციო გამოშვებაში მარტინ ვანგერის უეცარ სიკვდილს გადმოსცემდნენ. მხოლოდ ის თქვეს, რომ ცნობილი ინდუსტრიალისტი დიდი სიჩქარით მართავდა მანქანას და შემთხვევით გზის საპირისპირო ზოლზე გადავიდა. მანქანაში მის გარდა არავინ მჯდარა.

ადგილობრივი რადიო „ვანგერების კორპორაციის“ მომავლით დაინტერესდა, მარტინ ვანგერის უეცარი დაღუპვა კომპანიას ალბათ მძიმე შედეგებს მოუტანსო.

ნაჩქარევად შედგენილ „TT საინფორმაციო სააგენტოს“ სტატიას ასეთი სათაური ჰქონდა: „ქალაქი შოკშია“. მასში მოკლედ იყო ჩამოთვლილი „ვანგერების კორპორაციის“ პრობლემები. არავის გამორჩენია, რომ 21 000-იანი ჰედესტადის 3000 მოქალაქე ამ კომპანიაში მუშაობდა ან ნაწილობრივ მაინც იყო დამოკიდებული კომპანიის კეთილდღეობაზე. ფირმის გენერალური დირექტორი მოკვდა, ხოლო ყოფილმა დირექტორმა სერიოზული ინფარქტი გადაიტანა. პირდაპირი მემკვიდრე არ არსებობდა. კომპანიას არსებობის ისტორიაში ყველაზე კრიტიკული დღეები დაუდგა.

მიქაელ ბლუმკვისტს ღამითვე შეეძლო ჰედესტადში წასულიყო და მომხდარზე პოლიციაში განეცხადებინა, მაგრამ დილით სალანდერს უკვე ყველაფერი სათავისოდ შეებრუნებინა და რაც მეტი დრო გადიოდა, ამის გაკეთება მით უფრო უძნელდებოდა. სამზარეულოში სკამზე ჩუმად იჯდა და ფანჯრიდან წვიმას გაჰყურებდა. ათ საათზე კოკისპირულად გაწვიმდა, მაგრამ შუადღისთვის გადაიღო და ქარიც ჩადგა. ეზოში გავიდა, მაგიდა და სკამი გადაწმინდა და ყავის დასალევად ჩამოჯდა. პერანგი ეცვა და საყელო ბოლომდე შეეკრა.

მარტინის სიკვდილმა ჰედების კუნძულის ყოველდღიურობა, რასაკვირველია, შეცვალა. იზაბელას სახლის წინ მანქანების რიგი გაჩნდა. ხალხი მისასამძიმრებლად მიდიოდა. სალანდერი გულგრილად ადევნებდა თვალს ამ პროცესიას.

– თავს როგორ გრძნობ? – ჰკითხა ბოლოს ბლუმკვისტს.

– მგონი, ჯერ ისევ შოკში ვარ, – უპასუხა მიქაელმა, – ხელფეხშეკრული ვეგდე. რამდენიმე საათით სრულიად დარწმუნებული ვიყავი, რომ მოვკვდებოდი. სიკვდილი მიახლოვდებოდა, მე კი არაფერი შემეძლო...

– გმადლობ, – ბლუმკვისტმა სალანდერს მუხლზე ხელი დაადო, – შენ რომ არა, მკვდარი ვიქნებოდი.

სალანდერმა ალმაცერად გაუღიმა.

– და მაინც... ვერ ვხვდები, ასე სულელურად რატომ მოიქეცი და მას მარტომ შეუტიე. იატაკზე მიბმული რომ ვეგდე, გულში ვლოცულობდი, ნეტა სურათს ნახავდეს, ყველაფერს მიხვდებოდეს და პოლიციას დაურეკავდეს-მეთქი.

– პოლიციას რომ დავლოდებოდი, ვერ გადაგარჩენდი. იმ ნაბიჭვარს შენს მოკვლას ვერ დავანებებდი.

– რატომ არ გინდა, რომ პოლიციაში განვაცხადოთ?

– მთავრობის ხალხთან ურთიერთობა არ მიყვარს.

– რატომ?

– ეს ჩემი საქმეა. შენს შემთხვევაში კი... არა მგონია, შენს კარიერას რამით წაადგეს იმის საქვეყნოდ გახმაურება, რომ ცნობილი სერიული მკვლელის, მარტინ ვანგერის წინ შიშველი ეკიდე. თუ მეტსახელი „კალე ბლუმკვისტი“ არ მოგწონს, წარმოიდგინე, ამ „საგმირო საქმის“ შემდეგ რა ეპითეტებით შეგამკობდნენ.

ბლუმკვისტმა გოგონა ყურადღებით შეათვალიერა, მაგრამ აღარ ჩასძიებია.

– პრობლემა მაინც გვაქვს, – შენიშნა გოგონამ.

– ჰო, – თავი დაუქნია ბლუმკვისტმა, – არ ვიცით, ჰარიეტს რა შეემთხვა.

სალანდერმა პოლაროიდის ორი ფოტო დაუდო წინ და ისიც აუხსნა, სადაც იპოვა. მიქაელი კარგა ხანს ათვალიერებდა სურათებს.

– შეიძლება ეს იყოს, – თავი ასწია მან, – სრულიად დარწმუნებული არ ვარ, მაგრამ აღნაგობითაც და ქერა თმითაც მას მაგონებს.

მიქაელი და ლიზბეთი მთელ საათს ისხდნენ ეზოში და დეტალებს აჯამებდნენ. როგორც გაირკვა, ორივეს დამოუკიდებლად და სხვადასხვა წყაროებიდან დაედგინა, რომ მარტინ ვანგერი უნდა ეძებნა.

სალანდერს სულაც არ უნახავს ფოტო, რომელიც ბლუმკვისტმა სასადილო მაგიდაზე დატოვა.

– კამერით გადაღებული ფოტოების ნახვის შემდეგ ვიფიქრე, რომ რაღაც სისულელე ჩაიდინე. მარტინ ვანგერის სახლთან მივიპარე და ყველა ფანჯარაში შევიჭყიტე. პირველ სართულზე ვერც ერთი კარი და ფანჯარა ვერ გავაღე. მერე მეორე სართულის აივანზე გადავძვერი. კარგა ხანს ბნელ ოთახებში დავიპარებოდი. ბოლოს სარადაფში ჩასასვლელ კიბეს მივაგენი. მარტინი უყურადღებოდ მოქცეულა. საწამებელი ოთახის კარი ღია დაუტოვებია, მეც უცებ გავერკვიე სიტუაციაში.

ბლუმკვისტმა ჰკითხა, ყველაფერი თუ მოისმინე, რაც მარტინმა თქვაო.

– ვერა. მაშინ მოვედი, როცა ჰარიეტზე გკითხა და ყულფი ჩამოგაცვა. მერე რამდენიმე წუთით იარაღის მოსაძებნად გავედი.

– მარტინმა არ იცოდა, ჰარიეტს რა შეემთხვა, – უთხრა ბლუმკვისტმა.

– გჯერა მაგის?

– დიახ, – უყოყმანოდ უპასუხა ბლუმკვისტმა, – მარტინ ვანგერი სიფილისიან ქრცვინზე გიჟი იყო – ნეტა ეს მეტაფორები საიდან მომაქვს? – მაგრამ მან ყველა თავისი დანაშაული აღიარა. მგონი, მეტრაბახებოდა. აი, როცა ჰარიეტზე ვკითხე, ისიც ჰენრიკ ვანგერივით ჩამაცივდა, მაინტერესებს, მას რა მოუვიდაო.

– მაშ... ეს რაზე მიგვანიშნებს?

– ესე იგი, ვიცით, რომ 1949-დან 1965 წლამდე ქალებს გოტფრიდი ხოცავდა.

– აჰა. თან საქმის გამგრძელებლად პატარა მარტინს ამზადებდა.

– გახსოვდეს, ჩვენ ქმედუუნარო ოჯახზე ვსაუბრობთ, – თქვა ბლუმკვისტმა, – მარტინს შანსი არ ჰქონია.

სალანდერმა ცნობისმოყვარედ გამოხედა.

– მარტინის უაზრო ლაყბობიდან ასეთი აზრი გამოვიტანე, რომ მამამისმა მისი წვრთნა მოზარდობის ასაკში დაიწყო. მარტინი 1962 წელს უდევალაში ლეას მკვლელობას ესწრებოდა. ღმერთო, მაშინ სულ თოთხმეტი წლისა იყო. 1964 წელს სარას მკვლელობაში კი თვითონაც აქტიურად მონაწილეობდა. მაშინ უკვე თექვსმეტისა იყო.

– და რა?

– მან მითხრა, მამაჩემის გარდა სხვა მამაკაცს არასოდეს შევხებივარო. ამან იმ დასკვნამდე მიმიყვანა... მოკლედ, ჩემი აზრით, მარტინი მამამისმა გააუპატიურა. მარტინმა თქვა, ეს „ჩემი ვალი“ იყოო. მასზე სექსუალური ძალადობა ალბათ დიდხანს გრძელდებოდა. შეიძლება ითქვას, რომ მარტინი მამის გაზრდილია.

– სრული სისულელეა, – ცივად წარმოთქვა უცებ სალანდერმა.

ბლუმკვისტი გაკვირვებით მიაშტერდა მას. გოგონას თვალებში სიბრალულის კვალი არსად ჩანდა.

– მარტინს წინააღმდეგობის გაწევის ისეთივე შანსი ჰქონდა, როგორც სხვა ყველას. ის ხოცავდა და აუპატიურებდა ქალებს იმიტომ, რომ ეს მოსწონდა.

– ამას არც მე უარვყოფ, მაგრამ მარტინი რეპრესირებული ბიჭი იყო, მამამისის ზეგავლენის ქვეშ მოქცეული; ისევე, როგორც გოტფრიდი იყო ნაცისტი მამისგან დამონებული.

– მაშ, მიგაჩნია, რომ მარტინს თავისი ნება არ გააჩნდა და ადამიანი ისეთად ყალიბდება, როგორადაც გაზრდიან?

– ამ საკითხზე ცხარდები... – ფრთხილად ჩაიცინა ბლუმკვისტმა.

სალანდერს ბრაზით აუელვარდა თვალები. ბლუმკვისტმა მაშინვე განაგრძო:

– მხოლოდ იმას ვამბობ, რომ აღზრდას დიდი მნიშვნელობა აქვს პიროვნების ჩამოყალიბებაში. გოტფრიდს მამამისი უმოწყალოდ სცემდა ხოლმე. ეს ადამიანს დაღს ასვამს.

– სისულელეა, – გაიმეორა სალანდერმა, – ამქვეყნად სხვა მამებიც სცემენ თავიანთ ვაჟიშვილებს. მაგრამ ეს მათ უფლებას არ აძლევს, ქალები ხოცონ. გოტფრიდმა თავად გააკეთა არჩევანი და მარტინიც მამის გზას დაადგა.

ბლუმკვისტმა ხელი ასწია.

– მოდი, ნუ ვიკამათებთ.

– მე არ ვკამათობ. უბრალოდ, მაღიზიანებს, რომ ყველა შეშლილი ნაბიჭვარი თავის პრობლემებს ყოველთვის ვიღაც სხვას აბრალებს.

– კარგი, ამაზე მოგვიანებით ვისაუბროთ. ახლა მთავარი ისაა, რომ მარტინი ჩვიდმეტი წლის იყო, როცა გოტფრიდი დაიხრჩო, და მასწავლებლის გარეშე დარჩა. მან 1966 წელს, უფსალაში მამის დაწყებული საქმის გაგრძელება სცადა.

ბლუმკვისტმა სალანდერის სიგარეტის კოლოფიდან ერთი ღერი ამოიღო.

– მარჩიელობას არ დავიწყებ, რა მიზანი ჰქონდა ან მხოლოდ სიამოვნებისთვის ხოცავდა თუ არა გოტფრიდი. ამ ბიბლიურ აბდაუბდაში, რაც დასჯას და განწმენდას ეხება, ალბათ ფსიქიატრი უკეთ გაერკვეოდა. მნიშვნელობა არა აქვს, გოტფრიდი თავის მკვლელობებს რით ამართლებდა. ის ერთი შეშლილი სერიული მკვლელი იყო, ქალების ხოცვა უნდოდა და ამ სურვილს ფსევდორელიგიური სისულელეებით ფუთავდა. მარტინს კი არანაირი საბაბი არ სჭირდებოდა. ის გატაცებებს წინასწარ გეგმავდა და სისტემატურად ხოცავდა ქალებს. თავის ჰობისთვის ფულიც საკმარისი ჰქონდა. ის მამამისზე წინდახედული იყო. გოტფრიდი ქალებს ხოცავდა და გვამებს დანაშაულის ადგილზე ტოვებდა, რაც პოლიციას შანსს აძლევდა დამნაშავისთვის მიეკვლია ან, სულ ცოტა, მკვლელობები ერთმანეთთან მაინც დაეკავშირებინა.

– მარტინ ვანგერმა სახლი სამოცდაათიან წლებში ააშენა, – შენიშნა სალანდერმა.

– თუ არ ვცდები, ჰენრიკმა მითხრა, 1978 წელს აიშენაო. ალბათ ცალკე ოთახი მნიშვნელოვანი საბუთების შესანახად მჭირდებაო, მოიმიზეზა და, რკინისკარიანი, ხმაგაუმტარი და უსარკმლებო ოთახი გააკეთებინა.

– ეს ოთახი ოცდახუთი წელი ჰქონდა.

ორივენი გაჩუმდნენ. ბლუმკვისტმა წარმოიდგინა, რა საშინელებები ხდებოდა იმ ოთახში მეოთხედი საუკუნის განმავლობაში. სალანდერს წარმოდგენა არ სჭირდებოდა, მან საკუთარი თვალით უყურა ვიდეოჩანაწერებს. უცებ გოგონამ შეამჩნია, რომ ბლუმკვისტი გაუცნობიერებლად ისრესდა ყელს.

– გოტფრიდს ქალები სძულდა და თავის შვილსაც ასწავლიდა მათ სიძულვილს, თან აუპატიურებდა. თუმცა, მგონი, საქმე სხვა რამეა... ეტყობა, გოტფრიდს მიაჩნდა, რომ მის, რბილად რომ ვთქვათ, გარყვნილ შეხედულებებს, შვილებიც გაიზიარებდნენ. როცა მარტინს ჰარიეტზე, მის დაზე ვკითხე, მიპასუხა, მასთან დალაპარაკებაც

ვცადეთ, მაგრამ ჩვეულებრივი ბოზი გამოდგა და ჰენრიკისთვის ყველაფრის თქმას აპირებდაო.

– ეს მეც გავიგონე. სარდაფში მაგ დროს ჩამოვედი. და ახლა უკვე ვიცით, რატომ უნდოდა ჰარიეტს იმ დღეს ჰენრიკთან შეხვედრა.

– სულაც არა, – მოიღუშა ბლუმკვისტი, – თარიღებს დაუკვირდი. ჩვენთვის უცნობია, როდის გააუპატიურა გოტფრიდმა თავისი ვაჟი, მაგრამ თან ჰყავდა, როცა 1962 წელს უდევალაში ლეა პარსონი მოკლა. გოტფრიდი 1965 წელს დაიხრჩო. მანამდე მან და მარტინმა ჰარიეტთან „დალაპარაკება“ სცადეს. აბა, ამაზე რას იტყვი?

– გოტფრიდი მხოლოდ მარტინზე არ ძალადობდა. მან ჰარიეტიც გააუპატიურა.

– გოტფრიდი მასწავლებელი იყო, მარტინი – მოსწავლე. ჰარიეტი? მათი სათამაშო?

– გოტფრიდმა მარტინს ასწავლა, როგორ ეხმარა საკუთარი და, – სალანდერმა ბლუმკვისტს პოლაროიდის ფოტოებზე ანიშნა, – ჰარიეტის განწყობის დადგენა ძნელია, მაგრამ ორივე ფოტოზე სახეს აშკარად მალავს.

– დავუშვათ, ეს ყველაფერი 1964 წელს დაიწყო, როცა ჰარიეტი თოთხმეტისა იყო. ალბათ წინააღმდეგობის გაწევას ცდილობდა, „თავის მოვალეობას არ ასრულებდა“, როგორც მარტინმა აღნიშნა. მერე დაიმუქრა, ჰენრიკს ყველაფერს ვეტყვიო. აი, მარტინს კი მამისთვის არანაირი წინააღმდეგობა არ გაუწევია. ის და მამამისი, შეიძლება ითქვას, შეთანხმდნენ... და ცდილობდნენ, ჰარიეტიც ჩაერთოთ თავიანთ კავშირში.

– შენს ბლოკნოტში აღნიშნული გაქვს, რომ 1964 წლის ზამთარში ჰენრიკმა ჰარიეტი თავისთან გადაიყვანა საცხოვრებლად, – თქვა სალანდერმა.

– ჰენრიკი ამჩნევდა, რომ გოტფრიდის ოჯახს პრობლემები ჰქონდა. შესაძლოა, ამის მიზეზად გოტფრიდის და იზაბელას მუდმივი ჩხუბი და უთანხმოება მიაჩნდა. გოგონა თავისთან ალბათ იმიტომ გადაიყვანა, რომ კონფლიქტური გარემოსთვის მოერიდებინა და მისთვის სწავლის საშუალება მიეცა.

– გოტფრიდი და მარტინი ამას არ ელოდნენ. ჰარიეტის ცხოვრებაში ადვილად ვეღარ ჩაერეოდნენ, მაგრამ ზოგჯერ მაინც ახერხებდნენ მის ხელში ჩაგდებას... ნეტა სად აუპატიურებდნენ ხოლმე?

– ალბათ გოტფრიდის ქოხში. თითქმის დარწმუნებული ვარ, რომ ფოტოები იქაა გადაღებული – გადმოწმებაც შეგვიძლია. ქოხი იდეალური ადგილია, სოფლისგან მოშორებით. მაგრამ ერთხელაც გოტფრიდი დათვრა, წყალში ჩავარდა და დაიხრჩო.

– ჩემი აზრით, გოტფრიდი ჰარიეტს მასთან დაწოლას აიძულებდა, მაგრამ ქალების ხოცვაში გოგონას მონაწილეობა არ მიუღია.

ბუნდოვან მონაკვეთს მიადგნენ. ჰარიეტმა გოტფრიდის მსხვერპლთა სია შეადგინა, ისინი ბიბლიის კონკრეტულ მუხლებთან დააკავშირა, მაგრამ რელიგიით ის მხოლოდ გაუჩინარებამდე ერთი წლით ადრე დაინტერესდა. ამ დროს გოტფრიდი უკვე მკვდარი იყო. ბლუმკვისტი შეყოვნდა, ლოგიკური ახსნის მოფიქრება სცადა.

– ეტყობა, ჰარიეტმა უფრო ადრე შეიტყო, რომ გოტფრიდი არა მხოლოდ ინცესტში იყო დამნაშავე, არამედ ქალებსაც აუპატიურებდა და ხოცავდა, – თქვა ბოლოს.

– საინტერესოა, ზუსტად როდის გაიგო ჰარიეტმა ამ მკვლელობებზე. სავარაუდოდ, გოტფრიდის დახრჩობამდე. ან შეიძლება, დახრჩობის შემდეგაც – ვინ იცის, იქნებ გოტფრიდსაც ჰქონდა თავისი დღიური ან თავის მიერ ჩადენილ მკვლელობებზე გამოქვეყნებულ სტატიებს ინახავდა. ჰარიეტი როგორღაც გავიდა მის კვალზე.

– მაგრამ ჰენრიკთან ამის გამხელით აშკარად არ იმუქრებოდა, – თქვა ბლუმკვისტმა.

– ის მარტინს აშინებდა, – თქვა სალანდერმა, – მარტინი მამის სიკვდილის შემდეგაც აგრძელებდა მის გაუპატიურებას.

– ზუსტად.

– თუმცა, ჰარიეტი ერთი წელი ითმენდა.

– შენ რას იზამდი, რომ გაგეგო, მამაშენი მკვლელია, რომელიც შენს ძმას აუპატიურებს?

– მაგ ნაბიჭვარს მაშინვე ჩავაძაღლებდი, – სალანდერმა ისე მტკიცედ უპასუხა, რომ ბლუმკვისტს მის სიტყვებში ეჭვი არ შეჰპარვია. გაახსენდა, რა სახე ჰქონდა გოგონას, როცა მარტინ ვანგერს შეუტია, და უხალისოდ ჩაეცინა.

– გასაგებია, მაგრამ ჰარიეტი შენნაირი არ იყო. გოტფრიდი მანამდე მოკვდა, სანამ ჰარიეტი რამეს მოიმოქმედებდა. ასე უფრო ლოგიკურია. გოტფრიდის სიკვდილის შემდეგ, იზაბელამ მარტინი უფსალაში გაგზავნა. სავარაუდოდ, საშობაოდ ან სხვა დღესასწაულებზე ჩამოდიოდა სახლში, მაგრამ იმ წელს ჰარიეტს ხშირად ვეღარ ხედავდა. გოგონამ მისგან თავის დაღწევა შეძლო.

– და ბიბლიის შესწავლა დაიწყო.

– რაც, როგორც გავარკვიეთ, რელიგიური მიზეზებით სულაც არ ყოფილა განპირობებული. იქნებ ჰარიეტს მხოლოდ იმის გაგება უნდოდა, რას სჩადიოდა მამამისი? 1966 წლის ბავშვთა დღესაც კი ამაზე ფიქრობდა. მერე იერნვეგსგატანზე თავის ძმას მოჰკრა თვალი და მიხვდა, რომ ის დაბრუნდა. უცნობია, ერთმანეთს გამოელაპარაკნენ თუ არა. ასე იყო თუ ისე, ჰარიეტი სასწრაფოდ დაბრუნდა ჰედებიზე და ჰენრიკთან საუბარი მოინდომა.

– და მერე გაუჩინარდა.

ამგვარი მსჯელობებით დაახლოებით ჩამოაყალიბეს, რა შეიძლებოდა მომხდარიყო. მერე ბლუმკვისტმა და სალანდერმა ბარგი ჩაალაგეს. წასვლამდე ფროდეს დაურეკეს და გააფრთხილეს, რომ დროებით მიდიოდნენ, მაგრამ მანამდე აუცილებლად ჰენრიკ ვანგერს უნდა შეხვედროდნენ.

ბლუმკვისტი დაინტერესდა, რა უამბო ფროდემ ჰენრიკს. ფროდემ უპასუხა, ჰენრიკს მხოლოდ ის ვუთხარი, მარტინი ავტოავარიაში დაიღუპაო.

როცა ბლუმკვისტმა მანქანა ჰედესტადის საავადმყოფოს წინ გააჩერა, ქუხდა და ცა სქელი ღრუბლებით იყო დაფარული. სანამ გაწვიმდებოდა, ბლუმკვისტმა სწრაფად შეირბინა შენობაში.

ჰენრიკ ვანგერი თავისი პალატის ფანჯარასთან, მაგიდასთან ხალათშემოსხმული იჯდა. ავადმყოფობას მისთვის თავისი კვალი დაეჩნია, მაგრამ სახეზე ფერი დაბრუნებოდა და ჩანდა, რომ გამოკეთების გზას ადგა. ერთმანეთს ხელი ჩამოართვეს. ბლუმკვისტმა ექთანს სთხოვა, ცოტა ხნით მოხუცთან მარტო დაეტოვებინა.

– დიდი ხანია, თავს მარიდებ, – უთხრა ჰენრიკმა.

მიქაელმა თავი დაუქნია.

– ასე სპეციალურად ვიქცეოდი. თქვენს ოჯახს საერთოდ არ სურდა, რომ შეგხვედროდით, მაგრამ დღეს ყველა იზაბელასთანაა შეკრებილი.

– საბრალო მარტინი, – ჩაილაპარაკა ჰენრიკმა.

– ჰენრიკ, თქვენ მე ჰარიეტის გაუჩინარების გამოძიება დამავალეთ. გნებავთ, რომ მწარე სიმართლე გაიგოთ?

მოხუცს გაოცებისგან თვალები გაუფართოვდა.

– მარტინი...

– ამ ამბის ნაწილია.

ჰენრიკმა თვალები დახუჭა.

– ერთი რამ უნდა გკითხოთ.

– მიდი, – ნება დართო ჰენრიკმა.

– მაინც გსურთ გაიგოთ სინამდვილეში რა მოხდა? თუნდაც სიმართლე მტკივნეული და იმაზე უარესი გამოდგეს, ვიდრე წარმოგედგინათ?

ჰენრიკ ვანგერი რამდენიმე წუთს უხმოდ შეჰყურებდა ბლუმკვისტს. ბოლოს უთხრა:

– დიახ, მინდა. შენ სწორედ ამიტომ დაგიქირავე.

– კარგი. მგონი, უკვე ვიცი, ჰარიეტს რაც მოუვიდა. ოღონდ ჯერ თავსატეხის ბოლო დეტალი გვაკლია და სრულიად დარწმუნებული ვერ ვიქნები.

– მიამბე.

– არა. დღეს არა. ჯერ უნდა დაისვენოთ. ექიმებმა მითხრეს, რომ კრიზისს გაუძელით და თანდათან გამოჯანმრთელდებით.

– ბავშვივით ნუ მეპყრობი, ახალგაზრდავ.

– გამოძიება ბოლომდე არ დამისრულებია. ეს მხოლოდ თეორიაა. ჯერ თავსატეხის ბოლო დეტალი უნდა ვიპოვო. მომდევნო შეხვედრისას ყველაფერს გიამბობთ. შეიძლება კარგა ხანს არ გამოვჩნდე, მაგრამ მინდა იცოდეთ, რომ აუცილებლად დავბრუნდები და თქვენ სიმართლეს შეიტყობთ.

სალანდერმა თავის მოტოციკლეტს ბრეზენტი გადააფარა და ქოხის ჩრდილიან მხარეს დააყენა. თვითონ ფროდესგან ნათხოვარ ბლუმკვისტის მანქანაში ჩაჯდა. წვიმა გაორმაგებული ძალით განახლებულიყო და იევლესგან სამხრეთით ისეთი თავსხმა იყო, რომ ბლუმკვისტი გზას ძლივს არჩევდა. გადაწყვიტეს, ცოტა ხნით ბენზინგასამართ სადგურზე დაეცადათ. როგორც კი წვიმამ ოდნავ იკლო, ისევ დაიძრნენ და საღამოს შვიდ საათზე სტოკჰოლმში იყვნენ. ბლუმკვისტმა სალანდერს თავისი სადარბაზოს კარის კოდი მისცა და მეტროსადგურთან ჩამოსვა. თავად სახლში წავიდა. ბინის კარი რომ შეაღო და შიგნით შევიდა, იქაურობა ეუცხოვა.

სანამ სალანდერი სუნდბიბერგის უბანში Plague-ს სანახავად იყო წასული, ბინა გამოგავა და გამოწმინდა. გოგონა ბლუმკვისტის ბინაში შუაღამისას მოვიდა და ათ წუთში ყოველი კუთხე-კუნჭული გადაჩხრიკა. მერე კარგა ხანს ფანჯარასთან იდგა და სლუსენის ხედით ტკბებოდა.

მერე გაიხადეს და დაიძინეს.

მომდევნო დღეს მათი თვითმფრინავი ლონდონის გეთვიკის აეროპორტში დაეშვა. იქაც წვიმა დახვდათ. ბლუმკვისტს წინასწარ დაეჯავშნა ნომერი სასტუმრო „ჯეიმსში“, ჰაიდ-პარკში მდებარე მშვენიერ სასტუმროში, რომელიც აშკარად სჯობდა იმ ერთვარსკვლავიან სასტუმროებს, სადაც ბლუმკვისტი ლონდონში წინა ვიზიტებისას ბინავდებოდა.

ხუთ საათზე ბარში დახლთან იდგნენ, როცა მათ ახალგაზრდა მამაკაცი მიუახლოვდა. ნახევრად მელოტი იყო, ყვითელწვერიანი, ჯინსის შარვალი და თავისთვის ზედმეტად გრძელი ქურთუკი ეცვა.

– Wasp?

– Trinity? – მიბრუნდა სალანდერი. ერთმანეთს თავი დაუკრეს. ახალგაზრდას ბლუმკვისტის ვინაობა არ უკითხავს.

Trinity -ს მეგობარს Bob the Dog ერქვა. ის ქუჩის კუთხეში ძველი „ფოლკსვაგენის“ მინივენში იცდიდა. შიგ ჩასხდნენ. სანამ Bob the Dog ლონდონის ქუჩებს მიუყვებოდა Wasp და Trinity საუბრობდნენ.

– Plague-მ მითხრა, რომ საქმე crash-bang job-ს ეხება.

– დიახ, ტელეფონის მოსმენა და კომპიუტერში ელფოსტის შემოწმება გვჭირდება. შეიძლება უცებ მოვრჩეთ, შეიძლება რამდენიმე დღე დასჭირდეს, გააჩნია, ეს რამდენად მოახერხებს ზემოქმედებას, – ცერა თითით ბლუმკვისტზე ანიშნა სალანდერმა, – შეძლებთ?

– შენ როგორ გგონია? – ჰკითხა Trinity-მ.

ანიტა ვანგერი ჩრდილოეთით, მანქანით ერთი საათის სავალზე მდებარე პატარა ქალაქ სენტ-ოლბენსის მყუდრო უბანში, ტერასიან სახლში ცხოვრობდა. მინივენიდან უთვალთვალებდნენ, როგორ შევიდა ის სახლში საღამოს რვის ნახევარზე. დაიცადეს, სანამ გამოიცვლიდა, ივახშმებდა და ტელევიზორს ჩართავდა. მერე ბლუმკვისტმა კარზე ზარი დარეკა.

სესილია ვანგერის ორეულმა კარი გაუღო და ცნობისმოყვარედ ახედ-დახედა.

– გამარჯობა, ანიტა. მე მიქაელ ბლუმკვისტი ვარ. ჰენრიკ ვანგერმა მთხოვა, მენახეთ. მგონი, უკვე შეიტყვეთ მარტინის ამბავი.

ანიტას სახეზე ცნობისმოყვარეობა სიფრთხილემ შეცვალა. მაშინვე იცნო მიქაელ ბლუმკვისტი, მაგრამ ჰენრიკის სახელის ხსენებაზე იძულებული გახდა, ბლუმკვისტი შინ შეეპატიჟებინა. მისაღები ოთახი მყუდრო და ლამაზი აღმოჩნდა. მიქაელმა ბუხრის თავზე ანდერს ცორნის ავტოგრაფიანი გრავიურა შეამჩნია.

– მაპატიეთ, რომ გაუფრთხილებლად გეწვიეთ, მაგრამ სენტ-ოლბენსში ვიყავი და დღის განმავლობაში რამდენჯერმე ვცადე თქვენთან ტელეფონით დაკავშირება.

– რით შემიძლია დაგეხმაროთ?

– დაკრძალვაზე ჩამოსვლას არ აპირებთ?

– სხვათა შორის, არა. მე და მარტინს არცთუ კარგი ურთიერთობა გვქონდა; თანაც, ახლა არ მცალია.

მას მერე, რაც მამამისი კუნძულზე დაბრუნდა საცხოვრებლად, ანიტა ვანგერს იქ ფეხი აღარ დაედგა.

– მაინტერესებს, რა შეემთხვა ჰარიეტ ვანგერს, ანიტა. დროა, სიმართლე გაამხილოთ.

– ჰარიეტს? ვერ ვხვდები, რას გულისხმობთ.

ბლუმკვისტს ქალის ყალბ გაკვირვებაზე ჩაეღიმა.

– თქვენ ჰარიეტის უახლოესი მეგობარი იყავით. სწორედ თქვენ გაგიმხილათ ის საშინელი ამბავი.

– მაინც ვერ ვხვდები, რას გულისხმობთ, – გაიმეორა ანიტამ.

– ანიტა, თქვენ იმ დღეს ჰარიეტის ოთახში შეხვედით. ინსპექტორი მორელი კი მოატყუეთ, მაგრამ მე ამის დამტკიცება ფოტოთი შემიძლია. რამდენიმე დღის შემდეგ ყველაფრის ჰენრიკისთვის მოყოლა მომიწევს და მასთან მოგიწევთ საქმის გარკვევა. ასე რომ, აჯობებს მე მითხრათ, რაც მოხდა.

ანიტა ვანგერი წამოდგა.

– ახლავე მიბრძანდით ჩემი სახლიდან.

ბლუმკვისტიც წამოდგა.

– ადრე თუ გვიან მაინც მოგიწევთ ჩემთვის სიმართლის გამხელა.

– სათქმელი არაფერი მაქვს და არც მექნება, მით უმეტეს, თქვენთვის.

– მარტინი მკვდარია, – თქვა ბლუმკვისტმა, – ის არასდროს მოგწონდათ. ჩემი აზრით, ლონდონში არა მხოლოდ მამის სიძულვილის გამო გადმოსახლდით, მარტინისგან თავის არიდებაც გინდოდათ. ეს ნიშნავს, რომ მარტინზე ყველაფერი იცოდით. ამ სიმართლეს მხოლოდ ჰარიეტისგან თუ გაიგებდით. საინტერესო მხოლოდ ესაა: როგორ გამოიყენეთ თქვენი ცოდნა?

ანიტა ვანგერმა კარი ცხვირწინ მიუხურა.

სალანდერმა კმაყოფილებით ჩაიღიმა, როცა ბლუმკვისტს პერანგიდან მიკროფონი მოხსნა.

– კარი წესიერად მიხურული არც ჰქონდა, რომ უკვე ტელეფონის ყურმილს დასწვდა, – აცნობა მიქაელს.

– ავსტრალიის სატელეფონო კოდია, – ყურსასმენები მოიხსნა Trinity-მ, – ახლა რეგიონის კოდიც დავადგინოთ, – და ლეპტოპისკენ მიტრიალდა. – მაშ ასე, ქალი ქალაქ ტენანტ-კრიკში რეკავს. ეს ქალაქი ელის-სპრინგსისგან ჩრდილოეთით მდებარეობს. საუბრის მოსმენა გინდათ?

ბლუმკვისტმა თავი დაუქნია.

– ავსტრალიაში ახლა რომელი საათია?

– დილის ხუთი საათი, – Trinity-მ ციფრული ფლეიერი ჩართო და ხმა დინამიკებზე გადართო. მიქაელმა რვა ზუმერი დაითვალა, სანამ ყურმილს აიღებდნენ. საუბარი ინგლისურად წარიმართა.

– გამარჯობა. მე ვარ.

– ჰმმ... ვიცი, დილით ადრე ვიღვიძებ ხოლმე, მაგრამ...

– გუშინ ვაპირებდი შენთან დარეკვას... მარტინი მოკვდა. გუშინწინ სატვირთო მანქანას დაეჯახა.

სიჩუმე ჩამოვარდა. მერე ისეთნაირად ჩაახველა, თითქოს ამის გაგება ესიამოვნაო.

– მაგრამ პრობლემა გვაქვს. დღეს ჰენრიკის დაქირავებული ის საძაგელი ჟურნალისტი მომადგა აქ, სენტ-ოლბენსში. 1966 წელს რა მოხდაო, კითხვებს მისვამდა. რაღაც იცის.

კვლავ სიჩუმე ჩამოვარდა. მერე ბრძანება გაისმა.

– ანიტა, ახლავე დაკიდე ყურმილი. ცოტა ხნით ჩემთან აღარ დარეკო.

– მაგრამ...

– წერილი მომწერე. ამიხსენი, რა ხდება, – და ამით საუბარი დასრულდა.

– ეს რა მიხვედრილი გოგო ყოფილა, – შენიშნა სალანდერმა.

სასტუმროში ღამის თერთმეტზე დაბრუნდნენ. ადმინისტრატორი მათ ავსტრალიის რეისზე ბილეთების დაჯავშნაში დაეხმარა. მომდევნო საღამოს რვის ხუთ წუთზე მელბურნის რეისით მიფრინავდნენ, სინგაპურში გადასხდებოდნენ.

სალანდერი პირველად იმყოფებოდა ლონდონში. დილით კოვენტ-გარდენიდან სოჰომდე გაისეირნეს. ლატეს დასალევად ოლდ-კომპტონ-როუდზე შეჩერდნენ. სამ საათზე სასტუმროში დაბრუნდნენ ბარგის ჩასალაგებლად. ბლუმკვისტი ანგარიშს ასწორებდა, როცა სალანდერმა მობილური ჩართო. მესიჯი მოსვლოდა.

– არმანსკი მთხოვს, გადმომირეკეო.

უფროსს ვესტიბიულიდან დაურეკა. ბლუმკვისტი ოდნავ მოშორებით იდგა. გოგონა მისკენ გაქვავებული სახით მიტრიალდა. ბლუმკვისტი მაშინვე მასთან გაჩნდა.

– რა მოხდა?

– დედაჩემი მოკვდა. შინ უნდა დავბრუნდე.

ბლუმკვისტმა დამწუხრებული სალანდერი გულში ჩაიკრა. გოგონა მაშინვე დაუსხლტა მკლავებიდან.

სასტუმროს ბარში ისხდნენ. ბლუმკვისტმა შესთავაზა, ავსტრალიის რეისზე ბილეთს გავაუქმებ და თან გამოგყვებიო, მაგრამ სალანდერმა თავი გააქნია.

– არა, – თქვა მან, – საქმეს შუა გზაზე ვერ მივატოვებთ. მარტო უნდა წახვიდე.

სასტუმროს წინ გამოეთხოვნენ ერთმანეთს და სხვადასხვა აეროპორტებში წავიდნენ.

თავი XXVI

სამშაბათი, 15/VII – ხუთშაბათი, 17/VII

ბლუმკვისტი მელბურნიდან ელის-სპირნგში გადაფრინდა. დარჩენილი ოთხასი კილომეტრის გასავლელად ჩარტერული რეისის ლოდინს, მანქანის დაქირავება არჩია.

უცნობ პიროვნებას ბიბლიური ისუს ხელმოწერით (ალბათ Plague-ის ან Trinity -ს საიდუმლო საერთაშორისო ქსელის წევრი იყო), მისთვის აეროპორტის საინფორმაციო ბიუროში კონვერტი დაეტოვებინა.

სატელეფონო ნომერი, რომელზეც ანიტამ დარეკა, კოხრენის ცხვრების ფერმას ეკუთვნოდა. წერილში ინტერნეტში ფერმაზე მოძიებული ცნობები ეწერა.

„ავსტრალიის მოსახლეობა: 18 მილიონი; მეცხვარე ფერმერი: დაახლოებით 53 000; 120 მილიონი სული ცხვარი; მატყლის ყოველწლიური ექსპორტიდან შემოსავალი: დაახლოებით 3,5 მილიარდი დოლარი. ავსტრალია აგრეთვე ყიდის 700 მილიონ ტონა ცხვრის ხორცს და ტყავს. ხორცის და მატყლის წარმოება ქვეყნის უმნიშვნელოვანეს სამრეწველო დარგს წარმოადგენს...“

„კოხრენის ფერმა, დაარსებული 1891 წელს ჯერემი კოხრენის მიერ, ავსტრალიის სიდიდით მეხუთე სასოფლო-სამეურნეო საწარმო; ფერმაში მოშენებულია დაახლოებით 60 000-მდე სული მერინოსის ჯიშის ცხვარი; აგრეთვე – ძროხები, ღორები და ქათმები. კოხრენის ფერმა აშშ-ში, იაპონიაში, ჩინეთსა და ევროპაში აწარმოებს ექსპორტს და შთამბეჭდავი წლიური ბრუნვა აქვს“.

ფერმის მფლობელთა ბიოგრაფიებიც შთამბეჭდავი იყო.

„1972 წელს ფერმა რეიმონდ კოხრენისგან მემკვიდრეობით სპენსერ კოხრენს გადაეცა. სპენსერი 1994 წელს გარდაიცვალა, ფერმა ახლა მისი ქვრივის მფლობელობაშია“.

კონვერტში კოხრენის ფერმის ვებგვერდიდან ჩამოტვირთული დაბალი რეზოლუციის ფოტოც იდო. ფოტოზე გამოსახული ქალი მოკლე, ქერა თმით, რომელსაც სახე ნაწილობრივ არ უჩანდა, ცხვარს ვარცხნიდა. მას ანიტა კოხრენი ერქვა.

ბლუმკვისტმა ღამე მიყრუებულ უდაბნოში გაატარა. არადა, ქალაქს იმედის მომცემი სახელი „ვონადუ“[ix] ერქვა. ადგილობრივ პაბში ცხვრის მწვადი მიირთვა და სამი კათხა ლუდი დალია ვიღაც ტიპებთან ერთად, რომლებიც რატომღაც „ძმაოს“ ეძახდნენ.

სანამ დასაძინებლად დაწვებოდა, ნიუ-იორკში ბერგერს დაურეკა.

– მაპატიე, რიკი, დასარეკად აქამდე ვერ მოვიცალე.

– რა ჯანდაბა ხდება? – აყვირდა ქალი, – კრისტერმა დამირეკა, მარტინ ვანგერი ავტოავარიაში დაიღუპაო.

– გრძელი ამბავია.

– ჩემს სატელეფონო ზარებს რატომ არ პასუხობდი? ორი დღეა, გიჟივით გირეკავ.

– აქ არ იჭერდა.

– სად აქ?

– ამ წუთას ელის-სპრინგსიდან ორასი კილომეტრით ჩრდილოეთით ვიმყოფები. ავსტრალიაში.

ბერგერის გაკვირვება ადვილი არ იყო, მაგრამ ამჯერად თითქმის ათი წამი ხმა არ ამოუღია.

– შეიძლება გავიგო, ავსტრალიაში რა გინდა.

– გამოძიებას ვამთავრებ. რამდენიმე დღეში დავბრუნდები. მხოლოდ იმის სათქმელად დაგირეკე, რომ ჰენრიკ ვანგერის დავალება მალე შესრულებული იქნება.

მომდევნო დღეს კოხრენის ფერმაში რომ მივიდა, ანიტა კოხრენი იქ არ დახვდა. ქალი ას ოცი კილომეტრით დასავლეთით მდებარე მაკავაკაში წასულიყო, სადაც ცხვრების ფარეხი იდგა.

მიქაელმა კიდევ რამდენიმე საათს იარა მტვრიან გზაზე და დღის ოთხ საათზე როგორღაც მიაგნო მაკავაკას. ჭიშკართან ჯიპის კაპოტზე მეცხვარეებს მცირე სადილი გაეშალათ და ყავას სვამდნენ. ბლუმკვისტი მათ მიუახლოვდა და ანიტა კოხრენი იკითხა. ყველანი დაკუნთული ახალგაზრდა მამაკაცისკენ მიტრიალდნენ, აშკარად ის იყო მათი ხელმძღვანელი. ტანზემოთ შიშველი, გარუჯული იყო და ფართოფარფლიანი ქუდი ეხურა.

– ბოსი აქედან ოცდაათ კილომეტრშია, – ცერა თითით ანიშნა მიმართულება მან.

მერე ბლუმკვისტის მანქანას შეავლო თვალი და ჩაიცინა, ამ იაპონური სათამაშოთი იქამდე მისვლა ცუდი აზრიაო. აღმოჩნდა, რომ გარუჯული ათლეტიც იქით მიდიოდა

და ბლუმკვისტს შესთავაზა, ჩემი ჯიპით წაგიყვანო. ბლუმკვისტმა მადლობა გადაუხადა და მანქანიდან კომპიუტერიანი ჩანთა გამოიღო.

მეგზურს ჯეფი ერქვა. ასე გაეცნო, „ფარეხის მენეჯერი ვარ სადგურზეო“. ბლუმკვისტმა ჰკითხა, ეგ რას ნიშნავსო. ჯეფმა გვერდულად გამოხედა და დაასკვნა, აქაური არ უნდა იყოო. „ფარეხის მენეჯერი“ ბანკის ფინანსური მენეჯერივითაა, ოღონდ ფულის ნაცვლად ცხვრებს მართავს, ხოლო „სადგურს“ ავსტრალიელები რანჩოს უწოდებენო.

ჯეფი ენაწყლიანი ვინმე გამოდგა, ლაპარაკობდა და 20°-იან დაღმართზე 15 კმ/სთ სიჩქარით ეშვებოდა. ბლუმკვისტმა ზეცას მადლობა შესწირა, რომ მეგზური გამოუჩნდა და თავისი მანქანით არ მოუწია ამ ხეობაში დაშვება. როგორც ჯეფმა აუხსნა, ხეობაში ცხვრების საძოვრები იყო.

– როგორც ჩანს, კოხრენის ფერმა დიდი რანჩო უნდა იყოს.

– ავსტრალიაში ერთ-ერთი უდიდესია, – ამაყად დააზუსტა ჯეფმა, – დაახლოებით ცხრა ათასი სული ცხვარი გვყავს მაკავაკაში, თუმცა სადგურები სამხრეთ უელსსა და დასავლეთ ავსტრალიაშიც გვაქვს. პლუს სამოცი ათასი სული.

ხეობიდან მთა-გორაკიან, მაგრამ შედარებით ადვილად გასავლელ გარემოში გავიდნენ. უცებ ბლუმკვისტმა გასროლის ხმა გაიგონა. მერე დახოცილი ცხვრების ზვინი, მრავალგან დანთებული კოცონი და ათობით მოჯამაგირე დაინახა. რამდენიმე მათგანი თოფით იყო შეიარაღებული და ცხვრებს ხოცავდა.

ბლუმკვისტმა, თავისდა უნებურად, ბიბლიურ მსხვერპლშეწირვაზე გაიფიქრა.

მერე ქერათმიანი ქალი დაინახა, ჯინსის შარვალი და თეთრ-წითელი კუბოკრული პერანგი ეცვა. ჯეფი მისგან რამდენიმე ნაბიჯში შეჩერდა.

– გამარჯობა, ბოს, ტურისტი გვყავს, – მიმართა ქალს.

ბლუმკვისტი ჯიპიდან გადავიდა და ქალს შეხედა. ქალმა ცნობისმოყვარედ გამოხედა.

– გამარჯობა, ჰარიეტ, დიდი ხანია, არ მინახავხარ, – შვედურად მიესალმა ბლუმკვისტი.

ანიტა კოხრენის არც ერთ მოჯამაგირეს არ გაუგია, რა თქვა ბლუმკვისტმა, მაგრამ ქალის რეაქცია ყველამ შეამჩნია. გაოგნებულმა ანიტამ უკან დაიხია. მოჯამაგირეებმა უდარდელი ლაყბობა შეწყვიტეს და წელში გაიმართნენ, რომ საჭიროების შემთხვევაში უცნაურ უცნობს გადაღობებოდნენ. ჯეფის მეგობრულობაც სადღაც გაქრა და ისიც ბლუმკვისტისკენ წამოვიდა.

ბლუმკვისტი სრულიად დაუცველი იყო. ანიტა კოხრენის ერთი სიტყვა და შუაზე გაგლეჯდნენ.

შემდეგ დაბნეულობის წუთმა გაიარა. ჰარიეტ ვანგერმა მშვიდობის ნიშნად აიქნია ხელი და მოჯამაგირეებიც დაიშალნენ. ქალი ბლუმკვისტს მიუახლოვდა და თვალი გაუსწორა. მას სახე გაოფლილი და ჭუჭყიანი ჰქონდა, ქერა თმის ღერის ძირები – მუქი; უკვე დაბერებულიყო და გამხდარიყო, მაგრამ ზუსტად იმ ლამაზ ქალად ქცეულიყო, კონფირმაციის პორტრეტი რომ წინასწარმეტყველებდა.

– ვიცნობთ ერთმანეთს? – ჰკითხა ჰარიეტმა.

– დიახ. მე მიქაელ ბლუმკვისტი ვარ. სამი წლის ვიყავი, როცა ზაფხულში ჰედებიზე მივლიდი ხოლმე. შენ მაშინ თორმეტი ან ცამეტი წლის იქნებოდი.

ქალი რამდენიმე წამს იხსენებდა, მერე მისი დაბნეული გამომეტყველება შეიცვალა – ბლუმკვისტი იცნო.

– რა გნებავთ?

– ჰარიეტ, მე თქვენი მტერი არ ვარ. არც თქვენთვის პრობლემის შესაქმნელად ჩამოვსულვარ, მხოლოდ საუბარი მინდა.

ქალმა ჯეფს უთხრა, საქმეს შენ მიხედეო, თვითონ კი ბლუმკვისტს ანიშნა, გამომყევითო. ორასიოდე მეტრის გავლის შემდეგ, ხეებთან, თეთრი ბრეზენტის კარვის წინ გაჩერდნენ. ჰარიეტმა ბლუმკვისტს ხის სკამი შესთავაზა, თვითონ ძველ მაგიდაზე ჯამი შემოდგა და შიგ წყალი ჩაასხა. ხელ-პირი დაიბანა, გაიმშრალა და კარავში შევიდა პერანგის გამოსაცვლელად. მაცივრიდან ორი ქილა ლუდი გამოიღო.

– მიდით, დაიწყეთ.

– ცხვრებს რატომ კლავთ?

– ინფექციური ეპიდემიაა. ცხვრების უმეტესობა ალბათ ჯანმრთელია, მაგრამ ავადმყოფობის გავრცელებას ვერ გავრისკავთ. ერთ კვირაში ექვსასი სულის მოკვლა მოგვიწევს. ამიტომ კარგ განწყობაზე სულაც არ ვარ.

– რამდენიმე დღის წინ თქვენი ძმა ავტოავარიაში დაიღუპა, – უთხრა ბლუმკვისტმა.

– უკვე გავიგე.

– დიახ, ანიტამ დაგირეკათ.

ქალმა გამჭოლი მზერა მიაპყრო ბლუმკვისტს. მერე თავი დაუქნია. მიხვდა, რომ უარყოფას აზრი არ ჰქონდა.

– როგორ მიპოვეთ?

– ანიტას ტელეფონს ვუსმენდით, – ჰარიეტის მოტყუების არანაირი საბაბი არ არსებობდა, – თქვენი ძმა სიკვდილამდე რამდენიმე წუთით ადრე ვნახე.

ჰარიეტ ვანგერი მოიღუშა. ბლუმკვისტმა მას თვალი გაუსწორა. მერე შარფი მოიხსნა, პერანგის საყელო ჩაიხსნა და ქალს ყულფისგან დატოვებული წითელი ზოლი დაანახვა. ბლუმკვისტს ნაიარევი მარტინ ვანგერისგან სამუდამო სახსოვრად დარჩა.

– თქვენი ძმა ჩამოხრჩობას მიპირებდა, მაგრამ, საბედნიეროდ, ჩემმა მეწყვილემ დროზე მომისწრო და სიკვდილისგან მიხსნა.

ჰარიეტს მრისხანედ აუელვარდა თვალები.

– აჯობებს, თავიდან ბოლომდე მომიყვეთ, რაც მოხდა.

ამბის მოყოლას ერთი საათი დასჭირდა. მიქაელმა ჰარიეტს აუხსნა, ვინ იყო და რაზე მუშაობდა. უამბო, როგორ დაიქირავა ჰენრიკ ვანგერმა მას მერე, რაც პოლიციის გამოძიება ჩიხში შევიდა, ხოლო ჰენრიკ ვანგერის მრავალწლიანმა კერძო ძიებამ შედეგი ვერ გამოიღო. ისიც დაწვრილებით აღწერა, როგორ მიაგნო იერნვეგსგატანზე გადაღებულ სურათებს, რითაც გაუჩინარების იდუმალი და საშინელი მიზეზი დაადგინეს და ბოლოს, ყველაფერი მარტინ ვანგერის თვითმკვლელობით დასრულდა.

ამასობაში მოსაღამოვდა. მოჯამაგირეებმა მუშაობა შეწყვიტეს და კოცონებს შემოუსხდნენ სავახშმოდ. ბლუმკვისტმა შეამჩნია, რომ ჯეფი ბოსს არ სცილდებოდა და მათზე თვალი ეჭირა. მზარეულმა საჭმელი მოამზადა. კიდევ ერთი ქილა ლუდი გამოცალეს. ნავახშმევს ჰარიეტი კარგა ხანს ჩუმად იჯდა, ბოლოს თქვა:

– როცა მამაჩემი მოკვდა, ძალიან გამიხარდა. მეგონა, ძალადობას ბოლო მოეღებოდა. არ მეგონა, თუ მარტინი... მიხარია, რომ მოკვდა.

– მესმის თქვენი.

– მაინც არ გითქვამთ, როგორ დაადგინეთ, მე რომ ცოცხალი ვარ.

– როგორც კი გავარკვიეთ, სინამდვილეში რა მოხდა, დანარჩენის გარკვევა არ გაგვჭირვებია. გასაუჩინარებლად დახმარება გჭირდებოდათ. ანიტა თქვენი ერთადერთი მეგობარი იყო, მხოლოდ მას ენდობოდით. ზაფხული ერთად გაატარეთ. მამათქვენის ქოხში რჩებოდით. თუ ვინმეს თქვენი დახმარება შეეძლო, ეს ანიტა იყო – სხვათა შორის, მას მართვის მოწმობა ახალი აღებული ჰქონდა.

ჰარიეტმა არაფრის მთქმელი გამომეტყველება მიეღო.

– ახლა ხომ უკვე იცით, რომ ცოცხალი ვარ. რას აპირებთ?

– ჰენრიკს უნდა ვუთხრა. ამას იმსახურებს.

– მერე? თქვენ ხომ ჟურნალისტი ხართ?

– მე თქვენი ამბის გახმაურებას არ ვაპირებ. ამ ალიაქოთში იმდენი წესი დავარღვიე და იმდენი არაპროფესიონალური ნაბიჯი გადავდგი, რომ ჟურნალისტთა ასოციაცია დაუფიქრებლად გამრიცხავდა თავისი რიგებიდან, – ბლუმკვისტი ხუმრობას ცდილობდა, – ერთი ჟურნალისტით მეტი იქნება თუ ნაკლები, მათთვის რა მნიშვნელობა აქვს. თანაც, არ მინდა, ჩემი ძველი მომვლელი გავაბრაზო.

ჰარიეტს არც კი გაღიმებია.

– სიმართლე რამდენმა ადამიანმა იცის?

– რომ ცოცხალი ხართ? ჯერ მხოლოდ თქვენ, მე, ანიტამ და ჩემმა თანაშემწემ. ჰენრიკის ადვოკატმა თითქმის ყველაფერი იცის, მაგრამ ჯერ კიდევ ჰგონია, რომ სამოციან წლებში დაიღუპეთ.

ჰარიეტ ვანგერი რაღაცაზე ჩაფიქრდა. სიბნელეში იცქირებოდა. მიქაელმა კიდევ ერთხელ გაიფიქრა, რომ უამრავი უცნობით გარშემორტყმული სრულიად მარტო ვარო. ყოველი შემთხვევისთვის დაიხსომა, რომ ჰარიეტ ვანგერის თოფი რამდენიმე მეტრის მოშორებით კარავთან იყო აყუდებული. მერე თავი გააქნია და უსიამოვნო აზრები თავიდან გამოიბერტყა. თემა შეცვალა.

– მაგრამ ავსტრალიაში ფერმერად თქვენს ხილვას ნამდვილად ვერ ვიფიქრებდი. უკვე ვიცი, რომ მეორე დღეს ჰედების კუნძულიდან ანიტამ თავის მანქანით უჩუმრად გაგიყვანათ; ალბათ, საბარგულში იმალებოდით.

– სინამდვილეში, უკანა სავარძლის იატაკზე ვიყავი ჩაწოლილი და ზედ საბანი მეფარა. არავის დავუნახივარ. როცა ანიტა კუნძულზე ჩამოვიდა, მაშინვე ვთხოვე, რომ გაქცევაში დამხმარებოდა. სწორედ გამოიცანით, მას ვენდე. ის დამეხმარა და მთელი ეს წლები ჩემს ერთგულ მეგობრად რჩებოდა.

– ავსტრალიაში რამ ჩამოგიყვანათ?

– რამდენიმე კვირა სტოკჰოლმში, ანიტას ბინაში ვიმალებოდი. ანიტას თავის ფული ჰქონდა და უანგაროდ მასესხა. თავის პასპორტიც მომცა. ერთმანეთს ძალიან ვგავართ, ამიტომ მხოლოდ თმის შეღებვა მომიხდა. ოთხი წელი იტალიაში, ერთ მონასტერში ვცხოვრობდი, ოღონდ მონაზონი არ ვყოფილვარ. იქ ზოგიერთ მონასტერში ოთახის იაფად დაქირავება შეგიძლია, ცხოვრობ შენთვის მშვიდად და ფიქრობ. მერე სპენსერ კოხრენს შევხვდი. ის ჩემზე რამდენიმე წლით უფროსი იყო; ოქსფორდში სწავლა ახალი დამთავრებული ჰქონდა და ევროპის გარშემო მოგზაურობდა. შემიყვარდა. მასაც შევუყვარდი. სულ ესაა. „ანიტა“ ვანგერი 1971 წელს გათხოვდა. ეს არასდროს მინანია. სპენსერი შესანიშნავი ადამიანი იყო. სამწუხაროდ, ის რვა წლის წინ გარდაიცვალა და მე ამ ფერმის მფლობელი გავხდი.

– მაგრამ თქვენი პასპორტი? ვინმე აუცილებლად შეამჩნევდა, რომ ორი ანიტა ვანგერი არსებობს.

– რატომ? შვედი გოგო ანიტა ვანგერი სპენსერ კოხრენს მისთხოვდა. ლონდონში ცხოვრობს თუ ავსტრალიაში, რა მნიშვნელობა აქვს? ლონდონში მცხოვრები ანიტა ვითომ სპენსერისგან განცალკევებით ცხოვრობს, ხოლო ავსტრალიელი ანიტა – ნამდვილად მასთან. კანბერა და ლონდონი კომპიუტერულ მონაცემებს არ ადარებდნენ. გარდა ამისა, მალე ქმრის გვარით ავსტრალიური პასპორტი ავიღე. პრობლემა მხოლოდ მაშინ შეიძლებოდა წარმოქმნილიყო, თუ ანიტა გათხოვებას მოინდომებდა. ასეთ შემთხვევაში ჩემი ქორწინების შვედეთის ეროვნულ რეესტრში დარეგისტრირება გახდებოდა საჭირო.

– მაგრამ ანიტა არასდროს გათხოვილა.

– მიმტკიცებს, შესაფერისი კაცი ვერ ვიპოვეო, მაგრამ ვიცი, რომ ასე ჩემ გამო მოიქცა. ის ნამდვილი მეგობარია.

– იმ დღეს შენს ოთახში რას აკეთებდა?

– იმ დღეს ძალიან ვღელავდი. მარტინის ძალიან მეშინოდა, მაგრამ სანამ უფსალაში იყო, პრობლემებს როგორღაც ვივიწყებდი ხოლმე. მერე უცებ ჰედესტადში გამოჩნდა და მივხვდი, რომ მთელი ცხოვრება არ მომასვენებდა. ვყოყმანებდი, არ ვიცოდი, ჰენრიკისთვის სიმართლე გამემხილა თუ გავქცეულიყავი. ჰენრიკმა ჩემთან დასალაპარაკებლად ვერ მოიცალა და მე სოფელში უაზროდ ხეტიალი დავიწყე. ხიდზე მომხდარმა ავტოავარიამ მთელი სოფლის ყურადღება მიიპყრო, მაგრამ არა – ჩემი. მე ჩემი პრობლემები მაწუხებდა, ავტოავარია საერთოდ არ მანაღვლებდა. მერე ანიტას შევხვდი, რომელიც გერდას და ალექსანდერის სახლთან, სტუმრებისთვის განკუთვნილ კოტეჯში ცხოვრობდა. სწორედ მაშინ მივიღე გადაწყვეტილება. მასთან დავრჩი, გარეთ გასვლას ვერ ვბედავდი. მაგრამ ერთი რამ მჭირდებოდა – ჩემი დღიური, სადაც ვიწერდი, რაც თავს გადამხდა, და ტანსაცმელიც. ყველაფერი ანიტამ მომიტანა.

– მაგრამ ხიდზე სეირის ყურების ცდუნებას ვერც მან გაუძლო და ფანჯრიდან გაიხედა, – შენიშნა ბლუმკვისტმა, – ოღონდ მაინც ვერ ვხვდები, ჰენრიკს ყველაფერი რატომ არ გაუმხილეთ, როგორც განზრახული გქონდათ.

– თქვენ როგორ ფიქრობთ?

– ნამდვილად არ ვიცი. ჰენრიკი აუცილებლად დაგეხმარებოდათ. მარტინს აუცილებლად მოგაშორებდნენ – სადმე ავსტრალიაში გაგზავნიდნენ სამკურნალოდ.

– ბოლომდე მაინც ვერ დაგიდგენიათ, რა მოხდა.

ამ მომენტამდე ბლუმკვისტს მაინც არ სჯეროდა, რომ გოტფრიდმა მარტინთან ერთად ჰარიეტიც გააუპატიურა.

– გოტფრიდი მარტინზე ძალადობდა, – ფრთხილად თქვა მან, – და, როგორც ირკვევა, თქვენზეც.

ჰარიეტს ვანგერს წარბი არ შეუხრია. მერე ამოიხვნეშა და სახე ხელებში ჩარგო. ხუთ წამში ჯეფი მასთან გაჩნდა, ჰკითხა, ხომ ყველაფერი რიგზეაო. ჰარიეტმა მას სუსტად გაუღიმა. მერე ბლუმკვისტისდა გასაოცრად, „ფარეხის მენეჯერს“ გადაეხვია და ლოყაზე აკოცა. ბლუმკვისტისკენ ჯეფის მხარზე ხელგადახვეული შეტრიალდა.

– ჯეფ, ეს მიქაელია, ჩემი... ძველი მეგობარი. მან ცუდი ამბავი და პრობლემები მოგვიტანა, მაგრამ მის მოკვლას არ ვაპირებთ. მიქაელ, ეს ჯეფ კოხრენია, ჩემი უფროსი ვაჟი. მის გარდა კიდევ ერთი ვაჟიშვილი და ქალიშვილი მყავს.

ბლუმკვისტი წამოდგა და ჯეფს ხელი ჩამოართვა, ვწუხვარ, რომ ცუდი ამბავი მოვიტანე და დედათქვენი დავამწუხრეო. მერე ჰარიეტმა ჯეფი სხვაგან გაგზავნა, თვითონ კი ისევ ჩამოჯდა.

– მორჩა, აღარ მოვიტყუები, – გადაჭრით თქვა მან, – ყველაფერი დამთავრდა. ამ დღეს 1966 წლიდან ველოდი. სულ შიშში ვიყავი, რომ ვიღაც მოვიდოდა და ნამდვილი სახელით მომმართავდა. მაგრამ, იცით რა? უკვე აღარ მეშინია. დანაშაული დიდი ხნის წინ ჩავიდინე და სულ აღარ მაინტერესებს, რას იფიქრებს ხალხი ჩემზე.

– დანაშაული? – დაინტერესდა მიქაელი, რომელიც ჯერ კიდევ ვერ მიმხვდარიყო, რას გულისხმობდა ჰარიეტი.

– თექვსმეტი წლის ვიყავი, შეშინებული, შერცხვენილი, სასოწარკვეთილი, ეული. სიმართლე მხოლოდ ანიტამ და მარტინმა იცოდნენ. ანიტას გოტფრიდის სექსუალურ ძალადობაზე ვუამბე, მაგრამ იმის გამხელა, რომ ის ქალებზე მონადირე შეშლილი მანიაკიც იყო, ვერ გავბედე. ანიტამ ეს არ იცოდა. სამაგიეროდ, ჩემი დანაშაული გავუმხილე. ანიტას კი გავუმხილე, მაგრამ ჰენრიკისთვის ამ საშინელების გამხელის მეშინოდა. ღმერთს ვთხოვდი, რომ ეპატიებინა ჩემთვის. რამდენიმე წელი მონასტერში ვინანიებდი ცოდვას.

– ჰარიეტ, მამათქვენი მოძალადე და მკვლელი იყო, თქვენ არაფერში მიგიძღვით ბრალი.

– ვიცი. მამაჩემი ერთი წლის განმავლობაში მუდმივად მაუპატიურებდა. ყველანაირად ვცდილობდი მისთვის თავის არიდებას... მაგრამ ის მამაჩემი იყო, ვერაფერს მოვიმიზეზებდი. ყველას თავს ვაჩვენებდი, რომ ყველაფერი რიგზე იყო. ხოლო მამაჩემის სიახლოვეს მარტო დარჩენას ვერიდებოდი. რასაკვირველია, დედაჩემმა იცოდა, გოტფრიდი როგორც მექცეოდა, მაგრამ ეს სულ არ ანაღვლებდა.

– იზაბელამ იცოდა?

– დიახ, იცოდა, – ჰარიეტს ხმა გაუმკაცრდა, – იზაბელამ ყველაფერი იცოდა, რაც ჩვენს ოჯახში ხდებოდა. მაგრამ ყველაფერი ფეხებზე ეკიდა. მამაჩემს შეეძლო პირდაპირ მის თვალწინ, შუა ოთახში ძალა ეხმარა ჩემზე, მაგრამ იზაბელა ალბათ არაფერს შეიმჩნევდა. მას არ სურდა იმის აღიარება, რომ მის ან ჩემს ცხოვრებაში ცუდი რამ ხდებოდა.

– იზაბელას მეც შევხვდი. ნამდვილად არ მეხატება გულზე.

– მთელი ცხოვრება ეგეთი იყო. ჩემი მშობლების ურთიერთობაზე ბევრჯერ მიფიქრია. მგონი, ჩემი დაბადების შემდეგ, ერთად იშვიათად წვებოდნენ ან საერთოდ არ წოლილან. მამაჩემს სხვა ქალებთან ჰქონდა სექსი, მაგრამ რატომღაც დედაჩემისა ეშინოდა. ყოველთვის გაურბოდა, მაგრამ ვერც მასთან განქორწინებას ბედავდა.

– არც ერთი ვანგერი არ ეყრება მეუღლეს.

ჰარიეტს გაეცინა.

– ჰო, ეგრეა. მოკლედ, საქმე ისაა, რომ სიმართლის გამხელა არ შემეძლო. მაშინ მთელი ქვეყანა გაიგებდა. ჩემი თანაკლასელები, ნათესავები...

– ჰარიეტ, ძალიან ვწუხვარ.

– პირველად თოთხმეტისა გამაუპატიურა. მას მერე ხშირად მივყავდი თავის ქოხში. ხშირად მარტინიც გვიერთდებოდა. მე და მარტინს გვაიძულებდა მასთან დავწოლილიყავით. ხელებს მიკავებდა, სანამ მარტინი თავის საქმეს მოითავებდა. მამაჩემის სიკვდილის შემდეგ მისი ადგილი მარტინმა დაიკავა. ეგონა, რომ მისი საყვარელი გავხდებოდი და ამაში არაბუნებრივს ვერაფერს ხედავდა. სხვა გამოსავალი არ მქონდა. მარტინს უნდა დავმორჩილებოდი. ერთი მოძალადე მომცილდა, მაგრამ მეორის ხელში აღმოვჩნდი. ზოგჯერ ვახერხებდი, რომ მასთან მარტო არ დავრჩენილიყავი...

– ჰენრიკი აუცილებლად...

– ჯერ კიდევ ვერ მიხვდით.

ჰარიეტმა ხმას აუწია. ბლუმკვისტმა შეამჩნია, რომ მეზობელი კარვის წინ მსხდარმა მოჯამაგირეებმა მათკენ გამოიხედეს. ქალმა ხმას ისევ დაუწია და მისკენ გადაიხარა.

– მთელი დასტა გახსნილია. დანარჩენს თვითონ უნდა მიხვდეთ.

ჰარიეტი წამოდგა და მაცივრიდან ორი ქილა ლუდი გამოიღო.

– გოტფრიდი...

ჰარიეტმა თავი დაუქნია.

– 1965 წლის შვიდ აგვისტოს მამაჩემმა თავის ქოხში ძალით წამიყვანა. ჰენრიკი სოფელში არ იყო. მამაჩემი დათვრა და ჩემთან დაწოლა მოინდომა, მაგრამ არ უდგებოდა და სულ გადაირია. როცა მასთან მარტო ვრჩებოდი, ყოველთვის მეუხეშებოდა, მაგრამ იმ დღეს საერთოდ ყოველგვარ ზღვარს გავიდა. ზედ დამაფსა, თან მემუქრებოდა, ამას გიზამ, იმას გიზამო. ტრაბახობდა, ქალებს ვხოცავო. ბიბლიიდან მუხლები მოჰყავდა. ეს ერთ საათს გრძელდებოდა. მე მისი ნათქვამიდან ნახევარი არ მესმოდა, მაგრამ საბოლოოდ დავრწმუნდი, რომ ის ავადმყოფი იყო.

ჰარიეტმა ლუდი მოსვა.

– შუაღამით სიბრაზის მორიგმა შეტევამ წამოუარა. სულ მთლად შეიშალა. საწოლში ვიწექით. მაისური ყელზე ძლიერად წამიჭირა. გონება დავკარგე. ეჭვიც არ მეპარება, რომ ჩემი დახრჩობა უნდოდა. იმ ღამით პირველად შეძლო გათავება.

ჰარიეტმა ბლუმკვისტს შეხედა. მისი თვალები თანაგრძნობას ითხოვდა.

– მაგრამ ისეთი მთვრალი იყო, რომ როგორღაც მისი ხელიდან დასხლტომა მოვახერხე. ფანჯრიდან გადავხტი და გავიქეცი. შიშველმა ჩავირბინე წყლის ნაპირამდე. მამაჩემი ბარბაცით მომდევდა.

ბლუმკვისტს უეცრად ამბის ბოლომდე მოსმენის სურვილი დაეკარგა.

– ძალა მოვიკრიბე და მოხუცი ლოთი წყალში გადავაგდე. სანამ დგაფუნი არ შეწყვიტა, ზემოდან ნიჩბით ვაწვებოდი. მისი დახრჩობა არ გამჭირვებია.

ჰარიეტი გაჩუმდა და სამარისებური სიჩუმე ჩამოწვა.

– თავი რომ ავწიე, მარტინი დავინახე. შეძრწუნებული იყო, მაგრამ იღიმებოდა. არ ვიცი, რამდენ ხანს იდგა ქოხთან და გვითვალთვალებდა. იმ წუთიდან მის ხელში აღმოვჩნდი. მან თმაში ჩამავლო ხელი, ისევ ქოხში შემათრია, გოტფრიდის საწოლზე მიმაბა და გამაუპატიურა, როცა მამაჩვენის გვამი ჯერ კიდევ წყალში ტივტივებდა. მე წინააღმდეგობის გაწევა აღარ შემეძლო.

ბლუმკვისტმა თვალები დახუჭა. თავს ძალიან უხერხულად გრძნობდა, ნატრობდა, ნეტა საერთოდ არ ჩამოვსულიყავი და ჰარიეტ ვანგერი არ შემეწუხებინაო. თუმცა, უცებ ქალის ხმამ მტკიცედ გაიჟღერა.

– იმ დღიდან მარტინს ვემორჩილებოდი, მის ყველა ბრძანებას ვასრულებდი. ხელ-ფეხი შეკრული მქონდა. მხოლოდ იმან გადამარჩინა, რომ იზაბელამ – ან შეიძლება, ეს ძია ჰენრიკის იდეა იყო – მამის სიკვდილის შემდეგ გარემოს გამოსაცვლელად მარტინი უფსალაში გაგზავნა. ალბათ დედაჩემმა ამით სცადა პრობლემების გადაჭრა. მან ხომ იცოდა, მარტინი როგორც მეპყრობოდა. დარწმუნებული ვარ, მარტინს ეს ძალიან ეწყინა. მომდევნო წელს მხოლოდ საშობაო არდადეგებზე მოახერხა შინ

დაბრუნება. იმ დღეს მისგან თავის არიდება შევძელი. ჰენრიკს კოპენჰაგენში გავყევი და ახალ წლამდე არ ჩამოვსულვართ. ზაფხულის არდადეგებზე ანიტა ჩამოვიდა და მას ყველაფერი გავუმხილე. ის მარტო არ მტოვებდა, რომ მარტინს ჩემთან მოახლოება ვერ გაებედა.

– სანამ იერნვეგსგატანზე არ დაინახე.

– მეგონა, ოჯახურ შეკრებაზე ჩამოსვლას არ აპირებდა და უფსალაში რჩებოდა. უცებ ქუჩის მეორე მხარეს დავინახე. გამიცინა. თითქოს კოშმარში აღმოვჩნდი. მამაჩემი მოვკალი, მაგრამ ჩემი ძმისგან თავის დაღწევა შეუძლებელი იყო. ერთხანს თავის მოკვლაზეც კი ვფიქრობდი, მაგრამ გაქცევა ვარჩიე, – ჰარიეტმა ბლუმკვისტს გულიდან მძიმე ლოდახსნილი ადამიანივით შეხედა, – წარმოუდგენელია, რომ სიმართლის თქმა შევძელი. ახლა უკვე ყველაფერი იცით.

თავი XXVII

შაბათი, 26/VII – ორშაბათი, 28/VII

ბლუმკვისტმა სალანდერი ლუნდაგატანზე, სადარბაზოსთან დილის ათ საათზე აიყვანა და კრემატორიუმში წავიდნენ. კარგა ხანს მათ და პასტორის გარდა სხვა ჭირისუფალი არავინ გამოჩენილა, მაგრამ დაკრძალვის ცერემონია დაიწყო თუ არა, შიგნით დრაგან არმანსკი შემოვიდა. მან მისალმების ნიშნად თავი დაუკრა ბლუმკვისტს და სალანდერის უკან დადგა. არმანსკიმ გოგონას მხარზე ნაზად მოუთათუნა ხელი. სალანდერმაც თავი დაუქნია, თითქოს უკან მიუხედავად მიხვდა, ვინც მოვიდა. მერე ბლუმკვისტიც და არმანსკიც გადაავიწყდა.

სალანდერს მათთვის დედამისზე არასდროს არაფერი უთქვამს, მაგრამ პასტორი პანსიონატში მომვლელებს დალაპარაკებოდა და ბლუმკვისტმა მისგან გაიგო, რომ ქალი ტვინში სისხლჩაქცევით გარდაცვლილიყო. ცერემონიაზე გოგონას ხმა არ ამოუღია. პასტორს ორჯერ გაუწყდა სიტყვა, როცა სალანდერი მას არაფრის მთქმელი გამომეტყველებით მიაჩერდა და თვალი თვალში გაუყარა. ცერემონიის დამთავრებისთანავე გოგონა შეტრიალდა და დაუმშვიდობებლად წავიდა. ბლუმკვისტმა და არმანსკიმ ამოიოხრეს და ერთმანეთს შეხედეს.

– თავს ძალიან ცუდად გრძნობს, – თქვა არმანსკიმ.

– ვიცი, – თქვა ბლუმკვისტმა, – კარგია, რომ მოხვედით.

– მეეჭვება.

არმანსკიმ ბლუმკვისტს გამჭოლი მზერა მიაპყრო.

– თუ ისევ ჩრდილოეთში ბრუნდებით, გთხოვთ, გაუფრთხილდით მას.

ბლუმკვისტმა პირობა მისცა, რომ ასე მოიქცეოდა და ეკლესიის კართან პასტორსაც დაემშვიდობნენ. სალანდერი უკვე მანქანაში იჯდა და იცდიდა.

გოგონას ჰედესტადიდან თავისი მოტოციკლეტი უნდა წამოეყვანა და Milton Security-სგან ნათხოვარი ტექნიკაც წამოეღო. სალანდერმა ხმა მხოლოდ მაშინ ამოიღო, უფსალას რომ გასცდნენ – ბლუმკვისტს ჰკითხა, ავსტრალიაში შენმა მოგზაურობამ როგორ ჩაიარაო. ნახევრად გამოუძინებელმა ბლუმკვისტმა, რომელიც შვედეთში წინა ღამით ჩამოფრენილიყო, ჰარიეტ ვანგერის ისტორია უამბო. სალანდერმა მხოლოდ ნახევარსაათიანი ფიქრის შემდეგ თქვა:

– ეგ ძუკნა.

– ვინ?

– ვინ და ეგ ნაბოზარი ჰარიეტ ვანგერი. 1966 წელს რომ რამე მოემოქმედებინა, მარტინ ვანგერი ოცდაჩვიდმეტი წელი ვეღარ გააგრძელებდა ქალების გაუპატიურებას და ხოცვას.

– ჰარიეტმა იცოდა, რომ მამამისი ხოცავდა ქალებს, მაგრამ წარმოდგენა არ ჰქონდა, ამაში მარტინიც თუ მონაწილეობდა. ის მოძალადე ძმას გაექცა, რომელიც დაუმორჩილებლობის შემთხვევაში მას მამის მკვლელობაში დადანაშაულებით ემუქრებოდა.

– სრული სისულელეა.

ჰედესტამდე ხმა აღარ ამოუღიათ. ბლუმკვისტს შეხვედრაზე აგვიანდებოდა, ამიტომ სალანდერი ჰედების კუნძულის გზის მოსახვევთან ჩამოსვა, თან სთხოვა, ამაღამ სახლში დამხვდიო.

– ამაღამ აქ აპირებ დარჩენას? – ჰკითხა სალანდერმა.

– ჰო.

– გინდა, რომ მეც დავრჩე?

ბლუმკვისტი მანქანიდან გადავიდა, მანქანას შემოუარა და სალანდერს წელზე ხელები შემოჰხვია. გოგონამ ხელის კვრით მოიცილა. ბლუმკვისტმა უკან დაიხია.

– ლიზბეთ, მე შენი მეგობარი ვარ.

– იმისთვის დავრჩე, რომ ამაღამ ქალი გინდა?

ბლუმკვისტი კარგა ხანს მისჩერებოდა გოგონას, მერე შებრუნდა, მანქანაში ჩაჯდა და დაქოქა. წასვალმდე მინას ჩაუწია და მტრულად მომზირალ სალანდერს უთხრა: – მე შენთან მეგობრობა მინდა, მაგრამ თუ შენ უარზე ხარ, შეგიძლია, ამაღამ აქ არ დარჩე.

ჰენრიკ ვანგერს ტანთ ჩაეცვა და წამომჯდარიყო, როცა დირკ ფროდემ ბლუმკვისტი პალატაში შეიყვანა.

– ხვალ მარტინის დაკრძალვაზე წასვლის ნება მომცეს.

– დირკმა რა გიამბოთ?

ჰენრიკმა თავი ჩაქინდრა.

– მითხრა, მარტინი და გოტფრიდი რასაც სჩადიოდნენ. ასეთ საშინელებას ნამდვილად ვერ წარმოვიდგენდი.

– მე ვიცი, რა მოუვიდა ჰარიეტს.

– მომიყევი, როგორ მოკვდა ის.

– ის არ მომკვდარა. დღესაც ცოცხალია. თუ მოისურვებთ, სიამოვნებით შეგხვდებათ.

ჰენრიკ ვანგერი და დირკ ფროდე ბლუმკვისტს ისე მიაშტერდნენ, თითქოს სამყარო ამოყირავებულიყოს.

– დიდხანს ვარწმუნებდი და როგორღაც დავითანხმე. ჰარიეტი ცოცხალია და უკვე ჰედესტადშია. დღეს დილით ჩამოვიდა. ერთ საათში გინახულებთ, თუ მოისურვებთ.

ბლუმკვისტს ყველაფრის თავიდან ბოლომდე მოყოლა მოუწია. რამდენჯერმე ჰენრიკი ჩაერთო და რაღაცეები გაამეორებინა. ფროდეს სიტყვა არ უთქვამს.

ამბის ბოლომდე მოსმენის შემდეგ ჰენრიკი კარგა ხანს ჩუმად იჯდა. ბლუმკვისტს შეეშინდა, მოხუცი ემოციურად ხომ არ გადაიტვირთაო, მაგრამ ჰენრიკს არანაირი მღელვარება არ დასტყობია, მხოლოდ ხმა ჩახრინწვოდა, როცა სიჩუმე დაარღვია.

– საბრალო ჰარიეტი. ნეტა ყველაფერი ჩემთვის გაემხილა.

ბლუმკვისტმა კედლის საათს შეხედა. ოთხს ხუთი წუთი აკლდა.

– მისი ნახვა გინდათ? ჰარიეტს ეშინოდა, რომ მას მერე, რაც ჩაიდინა, მის ნახვას აღარ მოინდომებდით.

– და ყვავილები? – დაინტერესდა ჰენრიკი.

– ყვავილებზე თვითმფრინავში ვკითხე. ჰარიეტს ოჯახში ანიტას გარდა მხოლოდ ერთი ადამიანი უყვარდა და ეს თქვენ ხართ. ყვავილებსაც სწორედ ის გიგზავნიდათ. ასე მითხრა, ვიმედოვნებდი, ამით მიხვდებოდა, რომ ცოცხალი ვარ და თავს კარგად

ვგრძნობო. მაგრამ ვინაიდან მისი ინფორმაციის ერთადერთი წყარო, ანიტა, სწავლის დამთავრების შემდეგ ლონდონში დასახლდა და ჰედესტადს იშვიათად სტუმრობდა, ჰარიეტი ბევრს ვეღარაფერს გებულობდა თქვენზე. მან არ იცოდა, რომ ასე იტანჯებოდით და გეგონათ, რომ მისი მკვლელი თქვენს ჭკუიდან შეშლას ცდილობდა.

– ყვავილებს ალბათ ანიტას საშუალებით მიგზავნიდა.

– ანიტა ავიაკომპანიაში მუშაობდა და მთელ მსოფლიოში დაფრინავდა. საიდანაც უნდოდა, იქიდან გზავნიდა ყვავილებს.

– მაგრამ როგორ გაიგეთ, რომ მას ანიტა დაეხმარა?

– ფოტოზე ჰარიეტის საძინებლის ფანჯარაში სწორედ ის ჩანს.

– მაგრამ ხომ შეიძლებოდა ის დანაშაულში გარეული... ხომ შეიძლებოდა, რომ მკვლელი ის ყოფილიყო. როგორ გაიგეთ, რომ ჰარიეტი არ მომკვდარა?

ბლუმკვისტი ჰენრიკს მიაჩერდა. მერე ჰედესტადში ჩამოსვლიდან პირველად გაეღიმა.

– ანიტა ჰარიეტის გაუჩინარებაში მონაწილეობდა, მაგრამ ის მკვლელი არ იყო.

– რატომ იყავით ამაში ასე დარწმუნებული?

– ჯანდაბა, იმიტომ, რომ ეს რეალობაა და არა დეტექტიური რომანი. ანიტას რომ ჰარიეტი მოეკლა, მის გვამს წლების წინ იპოვიდით. ამგვარად, ერთადერთი ლოგიკური ახსნა ის იყო, რომ ანიტა ჰარიეტს გაქცევასა და დამალვაში დაეხმარა. გნებავთ მისი ნახვა?

– რა თქმა უნდა.

ბლუმკვისტმა ჰარიეტი საავადმყოფოს ჰოლში, ლიფტთან ახლოს მჯდარი იპოვა. თავიდან ვერ იცნო. ქალს აეროპორტში მასთან დაშორების შემდეგ თმა წაბლისფრად შეეღება. შავი შარვალი, თეთრი კოფთა და კოხტა ნაცრისფერი ქურთუკი ეცვა. მომხიბვლელად გამოიყურებოდა და ბლუმკვისტიც ლოყაზე კოცნით მიესალმა.

როცა მიქაელმა პალატის კარი შეაღო, ჰენრიკი ფეხზე წამოდგა. ჰარიეტმა ღრმად ჩაისუნთქა.

– გამარჯობა, ჰენრიკ, – თქვა მან.

მოხუცმა ჰარიეტი თავით ფეხებამდე შეათვალიერა. ჰარიეტი მასთან მივიდა და გადაეხვია. ბლუმკვისტმა ფროდეს თავი დაუკრა და პალატის კარი გაიხურა.

ჰედების კუნძულზე დაბრუნებულ ბლუმკვისტს სალანდერი კოტეჯში არ დაუხვდა. ვიდეოტექნიკა და მისი მოტოციკლეტი არსად ჩანდა, ისევე, როგორც მისი ტანსაცმელი და პირადი ჰიგიენის ჩანთა. კოტეჯში სიცარიელე გამეფებულიყო. უცებ ბლუმკვისტს იქაურობა უცხო და არარეალური მოეჩვენა. კაბინეტში საწერ მაგიდაზე დახვავებული ქაღალდების გროვას დახედა. ეს ყველაფერი ყუთში უნდა ჩაელაგებინა და ჰენრიკთან წაეღო, მაგრამ საქმეს გული ვერ დაუდო.

სასურსათო მაღაზიაში წავიდა და სავახშმოდ პური, ყველი და რძე იყიდა. შინ ყავისთვის წყალი დაადგა მოსადუღებლად, თვითონ ეზოში მაგიდას მიუჯდა და საღამოს გაზეთი გადაშალა.

ექვსის ნახევარზე ხიდზე ცარიელი ტაქსი გადმოვიდა. სამ წუთში ტაქსი უკან გაბრუნდა. ამჯერად უკანა სავარძელზე იზაბელა ვანგერი იჯდა.

სკამზე ჩათვლიმა და შვიდი საათი იყო, როცა ფროდემ გააღვიძა.

– ჰენრიკი და ჰარიეტი როგორ არიან? – ჰკითხა ბლუმკვისტმა.

– ამ სევდიან ამბავს თავშესაქცევი მომენტებიც ახლავს, – ჩაიცინა ფროდემ, – წარმოიდგინეთ, იზაბელა ჰენრიკის პალატაში შემოვარდა. ეტყობა, შეამჩნია, რომ დაბრუნდით და სასაყვედუროდ მოვიდა. აყვირდა, ახლავე ბოლო მოეღოს ჰარიეტის ამ უთავბოლო ძიებასო და, სხვათა შორის, ისიც კი დაგაბრალათ, მარტინი სიკვდილამდე სწორედ ბლუმკვისტმა მიიყვანაო.

– ერთი მხრივ, სიმართლე უთქვამს.

– ჰენრიკს მოსთხოვა, ბლუმკვისტს უბრძანე, სასწრაფოდ მოშორდეს აქაურობას და მოჩვენებების ძიება შეწყვიტოსო.

– ოჰო!

– ჰენრიკის საწოლთან მჯდარი ქალისთვის ყურდღება საერთოდ არ მიუქცევია. ალბათ ექთანი ეგონა. არასდროს დამავიწყდება ის მომენტი, როცა ჰარიეტი წამოდგა და მიესალმა, გამარჯობა, დედაო.

– რა მოხდა?

– იზაბელას მოსასულიერებლად ექიმის დაძახება დაგვჭირდა. ახლაც არ იჯერებს, რომ ჰარიეტი ნამდვილად ჰარიეტია. ბრალს გდებს, ვიღაც თვითმარქვია მოიყვანაო.

ფროდეს სესიალიასთან და ალექსანდერთან ეჩქარებოდა, რომ მათთვისაც ეხარებინა საიქიოდან დაბრუნებული ჰარიეტის ამბავი. წავიდა და ბლუმკვისტი ისევ სრულ მარტოობაში დატოვა.

რამდენიმესაათიანი უკან მოუხედავი რბოლის შემდეგ ლიზბეთ სალანდერი უფსალადან ჩრდილოეთით ბენზინგასამართ სადგურში გაჩერებულიყო ავზის

ასავსებად. საფასური სწრაფად გადაიხადა და ისევ მოტოციკლეტს შემოახტა. მოტოციკლეტი დაქოქა და გასასვლელისკენ დაიძრა, მაგრამ რამდენიმე მეტრის მოშორებით ისევ გაჩერდა. ორჭოფობდა.

ისევ საშინელ განწყობაზე იყო. ჰედებიდან რომ წამოვიდა, ბრაზისგან გული უდუღდა, მაგრამ მგზავრობისას ცოტათი დამშვიდდა. ვერ ხვდებოდა, რატომ ბრაზობდა ბლუმკვისტზე ან, საერთოდ, მასზე ბრაზობდა თუ არა.

გაახსენდა მარტინ ვანგერი, ნაბოზარი ჰარიეტ ვანგერი, წყეული დირკ ფროდე... ვანგერების დამპალი ოჯახი, რომელიც ჰედესტადში დაბუდებულიყო და იქიდან მართავდა თავის იმპერიას; ნათესავები ერთმანეთის წინააღმდეგ ინტრიგებს ხლართავდნენ. ქუჩაში რომ შემთხვევით შეხვედროდა, არც ერთი მათგანი ზედაც არ შეხედავდა სალანდერს, არათუ მათი ოჯახის საიდუმლოებაში ჩახედვის უფლებას მისცემდა, მაგრამ მისი დახმარება მაინც დასჭირდათ...

ამ გარეწართა ხროვას.

ღრმად ჩაისუნთქა და დედა გაიხსენა, რომლის ცხედარიც დილით ფერფლად აქცია. უკეთესობის იმედი გადაეწურა. დედამისის სიკვდილი იმას ნიშნავდა, რომ მისი ჭრილობები ვეღარასდროს შეხორცდებოდა, ვეღარავის დაუსვამდა კითხვებს, რომლებზე პასუხიც ასე ძალიან უნდოდა.

კრემატორიუმში მის ზურგს უკან მდგარი არმანსკი გაახსენდა. ინანა, რომ არ გამოელაპარაკა და არც არანაირად ანიშნა, რომ მისი მოსვლა ესიამოვნა. მაგრამ ეს რომ ექნა, არმანსკი ჩათვლიდა, სალანდერის ცხოვრებაში ჩარევის უფლება მაქვსო. ეს კი არ სურდა, რადგან არმანსკი მას ვერასდროს გაუგებდა.

გაახსენდა ადვოკატი ბიურმანი – ჯერაც მისი მეურვე, რომელიც ჯერჯერობით გაუვნებელყოფილი იყო და იმას აკეთებდა, რასაც გოგონა უბრძანებდა.

ბოღმა მოაწვა და მის მიმართ ზიზღი იგრძნო.

მერე მიქაელ ბლუმკვისტზე დაფიქრდა.

„ნეტა რომ გაიგოს სასამართლოს ჭკუასუსტად ვყავარ გამოცხადებული, ხოლო მთელი ჩემი ცხოვრება დიდი დომხალი და ნაგავია, ჩემზე რას იფიქრებს?“

უცებ გაიაზრა, რომ ბლუმკვისტზე სულაც არ ბრაზობდა. მასზე მხოლოდ თავის ბოღმას ანთხევდა, სინამდვილეში კი სხვების მოკვლა სურდა. ბლუმკვისტზე გაბრაზებას აზრი არ ჰქონდა.

მის მიმართ გაორებული გრძნობა ჰქონდა.

ის სხვის საქმეებში ცხვირს ჰყოფდა და მის ცხოვრებაშიც იქექებოდა... მაგრამ... მასთან მუშაობა მოსწონდა. მიუხედავად იმისა, რომ სხვებთან ერთად მუშაობას მიუჩვეველი

იყო. არც ელოდა, რომ ასეთი ადვილი იქნებოდა. ბლუმკვისტი მას არც ჭკუას ასწავლიდა და არც თავს აბეზრებდა.

ბლუმკვისტი თვითონ შეაცდინა და არა – პირიქით.

მასთან სექსიც ძალიან მოეწონა.

„მაშინ რატომ მინდა, რომ სიფათი მივუნგრიო?“

სალანდერმა სევდიანად ამოიოხრა, თავი ასწია და თვალი გააყოლა სატვირთო მანქანას, რომელმაც E4 გზატკეცილის საპირისპირო ზოლზე ღმუილით ჩაიარა.

ბლუმკვისტი ისევ ეზოში იჯდა, როცა რვა საათზე მოტოციკლეტის ძრავის ხმამ გამოაღვიძა. კოტეჯისკენ სალანდერი მოდიოდა. მოტოციკლეტი ჭიშკართან გააჩერა და ჩაფხუტი მოიხსნა. მაგიდასთან მოვიდა. ყავადანი ცარიელი და ცივი იყო. ბლუმკვისტი გაკვირვებული წამოდგა. გოგონამ ყავადანი აიღო და სამზარეულოში შევიდა. გარეთ ჯინსის შარვლითა და მაისურით გამოვიდა; ტყავის ქურთუკი და შარვალი გაეხადა. მაისურზე ეწერა: I can be a regular bitch. Just try me.[x]

– მეგონა, სტოკჰოლმში დაბრუნდი.

– უფსალიდან უკან გამოვბრუნდი.

– კარგა შორს წასულხარ.

– სახსრები გამიშეშდა.

– რატომ დაბრუნდი?

გოგონამ არ უპასუხა. ბლუმკვისტი იცდიდა, სანამ ის ყავას წრუპავდა. ათი წუთის შემდეგ სალანდერმა უხალისოდ უპასუხა:

– შენთან ყოფნა მომწონს.

ასეთი სიტყვები ადრე არასდროს წამოსცდენოდა.

– შენთან ერთად... ამ საქმეზე მუშაობა მომეწონა.

– მეც, – თქვა ბლუმკვისტმა.

– ჰმმ.

– დიახ, ასეთ შესანიშნავ მკვლევართან არასდროს მიმუშავია. კი, ვიცი, რომ ჰაკერი ხარ, რომელიც საეჭვო წრეში ტრიალებს და ოცდაოთხ საათში ლონდონში უკანონო სატელეფონო მოსმენის ორგანიზებას ახერხებს, მაგრამ ამან შედეგი მოგვიტანა.

გოგონამ პირველად შეხედა ბლუმკვისტს მას მერე, რაც მაგიდას მიუჯდა. მიქაელმა მეტისმეტად ბევრი შეიტყო მასზე.

– უბრალოდ, კომპიუტერებში ვერკვევი, ხოლო ტექსტის წაკითხვის და წაკითხულის დამახსოვრების პრობლემა არც არასდროს მქონია.

– შენ ფოტოგრაფიული მახსოვრობა გაქვს, – ჩუმად აღნიშნა ბლუმკვისტმა.

– დიახ, მაქვს, ოღონდ ეს ჩემდა უნებურად ხდება. არა მხოლოდ კომპიუტერებსა და სატელეფონო ქსელებში, ჩემი მოტოციკლეტის ნაწილებში, ტელევიზორებში, მტვერსასრუტებში, ქიმიურ პროცესებსა და ასტრონომიულ ფორმულებშიც კარგად ვერკვევი. ვაღიარებ, შეშლილი ვარ: გიჟი.

ბლუმკვისტი მოიღუშა. კარგა ხანს ჩუმად იჯდა.

„ასპერგერის სინდრომი, – გაიფიქრა მან, – ან რაღაც ამის მსგავსი. ფორმების გარჩევის და აბსტრაქტული აზრების გაგების ნიჭი, როცა სხვებს მხოლოდ თეთრი ხმაური ესმით“.

სალანდერს თავი ჩაექინდრა.

– ბევრი ადამიანი რას არ დათმობდა, რომ ასეთი ნიჭი ჰქონდეს.

– აღარ მინდა ამაზე საუბარი.

– კარგი, მოვრჩეთ. გიხარია, რომ დაბრუნდი?

– არ ვიცი. შეიძლება, შევცდი, რომ დავბრუნდი.

– ლიზბეთ, შეგიძლია, სიტყვა „მეგობრობის“ მნიშვნელობა მითხრა?

– მეგობრობაა, როცა ვიღაც მოგწონს.

– დიახ, მაგრამ რატომ მოგწონს ხოლმე ეს ვიღაც?

სალანდერმა მხრები აიჩეჩა.

– „მეგობრობა“ ჩემი განსაზღვრებით ორ რამეს ემყარება, – დაიწყო ბლუმკვისტმა, – პატივისცემას და ნდობას. ორივე ელემენტი საჭიროა. შეიძლება პატივს სცემდე ვიღაცას, მაგრამ თუ არ ენდობი, ის შენი მეგობარი ვერასდროს გახდება.

სალანდერი ხმას არ იღებდა.

– ვიცი, რომ ჩემთან საკუთარ თავზე საუბარი არ გსურს, მაგრამ ოდესმე უნდა გადაწყვიტო, მენდობი თუ არა. მინდა, რომ დავმეგობრდეთ, მაგრამ ამას მარტო მე ვერ ვიზამ.

– შენთან სექსი მომწონს.

– სექსს მეგობრობასთან საერთო არაფერი აქვს, ლიზბეთ. კი, შეიძლება, მეგობართანაც გქონდეს სექსი, მაგრამ სექსსა და მეგობრობას შორის რომ მომიწიოს არჩევა, შენს შემთხვევაში ზუსტად ვიცი, რასაც ავირჩევ.

– ვერ გავიგე. ჩემთან სექსი გინდა თუ არა?

– წესით, თანამშორმელთან სექსი არაა კარგი აზრი, – ჩაიბურტყუნა ბლუმკვისტმა, – ეს ყოველთვის პრობლემებს ქმნის.

– მე რამე გამომრჩა თუ ის ტყუილია, რომ შენ და ერიკა ბერგერი შანსს არ უშვებთ ხელიდან, რომ იჟიმაოთ? თანაც ის გათხოვილია.

– ჩემი და ერიკას ამბავი უფრო ადრე დაიწყო, ვიდრე თანამშრომლები გავხდებოდით. ხოლო ის, რომ ერიკა გათხოვილია, შენი საქმე არაა.

– ო, ხედავ, ახლა უკვე შენ არ გინდა საკუთარ თავზე საუბარი. მე კიდევ ნდობასა და მეგობრობაზე მიტარებდი ლექციას.

– მე იმის თქმა მინდა, რომ მეგობარზე ზურგს უკან ჭორაობა ცუდია. არც ერიკასთან ვიჭორავებ შენზე შენს ზურგს უკან.

სალანდერი ჩაფიქრდა. უხერხული ვითარება შეიქმნა, მას კი უხერხული საუბრები არ მოსწონდა.

– მე შენთან სექსი მომწონს, – თქვა მან.

– მეც მომწონს... მაგრამ მე მამად უფრო გერგები.

– შენი ასაკი სულ ფეხებზე მკიდია.

– არა, ასაკში სხვაობას ყოველთვის ყურადღება უნდა მიაქციო. ხანგრძლივი ურთიერთობებისთვის ეს აუცილებელია.

– ხანგრძლივ ურთიერთობაზე არაფერი მითქვამს, – თქვა სალანდერმა, – ახლახან დანაშაული გავხსენით, რომლის მთავარი გმირიც შეშლილი სექსუალური მოძალადე იყო. ჩემი ნება რომ იყოს, ეგეთ კაცებს ერთიანად ამოვწყვეტდი.

– მოკლედ, დანდობა არ იცი.

– არა, – ალმაცერად გაუღიმა სალანდერმა, – მაგრამ შენ შესანდობი არაფერი გჭირს, – და წამოდგა, – ახლა შხაპს მივიღებ და შენს საწოლში შიშველი დაგხვდები. თუ ფიქრობ, რომ ჩემთვის ძალიან ბებერი ხარ, შეგიძლია, დივანზე დაიძინო.

სალანდერი მორიდებულობით აშკარად არ გამოირჩეოდა. ბლუმკვისტმა გაიფიქრა, მასთან კამათს აზრი არ აქვსო. ყავის ფინჯნები გარეცხა და მერე საძინებელში შევიდა.

ათ საათზე ადგნენ, შხაპი ერთად მიიღეს და ეზოში ისაუზმეს. თერთმეტ საათზე ბლუმკვისტს დირკ ფროდემ დაურეკა, მარტინის დაკრძალვა ორ საათზე გაიმართება და მოსვლას თუ აპირებთო.

– არა მგონია, – უპასუხა ბლუმკვისტმა.

ფროდემ შესთავაზა, ექვს საათზე შემოგივლიო, და მიქაელიც დასთანხმდა.

ბლუმკვისტი რამდენიმე საათის განმავლობაში საქაღალდეებს და საგამოძიებო მასალებს ყუთებში ალაგებდა და ჰენრიკის სახლში მიჰქონდა. ბოლოს მის საწერ მაგიდაზე მხოლოდ თავისი ბლოკნოტები და ჰანს-ერიკ ვენერსტრომის საქმესთან დაკავშირებული მასალების ორი საქაღალდე დარჩა. საქაღალდეებისთვის ბოლო ექვს თვეს ხელი არ დაეკარებინა. ბლუმკვისტმა ამოიოხრა და საქაღალდეები ჩანთაში ჩააწყო.

ფროდემ კიდევ ერთხელ დაურეკა, დამაგვიანდებაო, და შეხვედრა საღამოს რვა საათისთვის გადაიტანეს. კოტეჯში რომ მოვიდა და სკამზე ჩამოჯდა, ფროდეს ჯერაც შავი კოსტიუმი ეცვა. სალანდერმა ყავა შესთავაზა და ისიც სიამოვნებით დასთანხმდა. გოგონა კომპიუტერთან იჯდა, სანამ ბლუმკვისტი ფროდეს გამოჰკითხავდა, ჰარიეტის დაბრუნება ოჯახმა როგორ მიიღოო.

– ამან მარტინის სიკვდილიც კი გადაჩრდილა. პრესამაც შეიტყო.

– ამ სიტუაციის ახსნას როგორ აპირებთ?

– ჰარიეტი Hedestads-Kuriren-ის კორესპონდენტს ესაუბრა. ასეთი ისტორია შეთხზა, ოჯახს ვერ ვეწყობოდი და გავიქეცი, მაგრამ დამოუკიდებლადაც მივაღწიე წარმატებას და ფინანსურად ძლიერი საწარმოს ხელმძღვანელი ვარო.

ბლუმკვისტმა დაუსტვინა.

– ვიცი, რომ ავსტრალიურ მეცხვარეობაში დიდი ფული ტრიალებს, მაგრამ არ მეგონა, ჰარიეტის ფერმა თუ ასეთი წარმატებულია.

– დიახ, ასეა, მაგრამ ის მხოლოდ მეცხვარეობით არ შოულობს ფულს. „კოხრენების კორპორაცია“ მადნეულის მოპოვებით, გადაზიდვებით, ელექტროტექნიკის წარმოებით და სხვა ათასი რამითაცაა დაკავებული.

– ოჰო! ახლა რა მოხდება?

– გულწრფელად გითხრათ, არ ვიცი. ოჯახი სრული შემადგენლობით ბოლო წლების განმავლობაში პირველად შეიკრიბა. ფრედრიკის და იოჰანის მხრიდანაც მოვიდნენ ნათესავები, მათ შორის, ახალი თაობაც – ოცდაათამდე წლის ახალგაზრდები. ამ საღამოს ჰედესტადში ორმოცი ვანგერია შეკრებილი. ნახევარი საავადმყოფოშია და ჰენრიკს თავს აბეზრებს, დანარჩენები სასტუმროში ჰარიეტს ესაუბრებიან.

– ჰარიეტის გამოჩენა ალბათ დიდ სენსაციად იქცა. მარტინზე თუ იციან რამე?

– ჯერ მხოლოდ მე, ჰენრიკმა და ჰარიეტმა ვიცით. ერთად დიდხანს ვთათბირობდით. მარტინი და მისი... საშინელი წარსული, თქვენ რომ ფარდა ახადეთ, ძალიან გვაშფოთებს. კომპანია კრიზისის წინაშე აღმოჩნდა.

– ეს გასაგებია.

– პირდაპირი მემკვიდრე არ არსებობს, მაგრამ ჰარიეტი ცოტა ხნით დარჩენას აპირებს. ოჯახმა უნდა გაარკვიოს, ვინ რას ფლობს და ქონება როგორ უნდა გადანაწილდეს. სხვათა შორის, ჰარიეტს საკმაოდ მოზრდილი წილი ერგება. ნამდვილი კოშმარია.

ბლუმკვისტს გაეცინა. აი, ფროდეს სულაც არ ეცინებოდა.

– იზაბელა დაკრძალვაზე ცუდად გახდა. ახლა საავადმყოფოში წევს. ჰენრიკი აცხადებს, მის მონახულებას არ ვაპირებო.

–ყოჩაღ, ჰენრიკ!

– ლონდონიდან ანიტაც ჩამოვა. მომდევნო კვირას ოჯახის ოფიციალური კრება უნდა მოვიწვიო. ანიტა ამ კრებაში ბოლოს ოცდახუთი წლის წინ მონაწილეობდა.

– ახალ გენერალურ დირექტორად ვის აირჩევენ?

– ბირგერს კი აქვს სურვილი, მაგრამ მაგის დანიშვნა გამორიცხულია. ჯერჯერობით დირექტორის მოვალეობას ჰენრიკი შეასრულებს საავადმყოფოდან, ამასობაში ან გარედან შევარჩევთ შესაფერის კანდიდატურას ან ოჯახის წევრებიდან...

ბლუმკვისტს გაკვირვებისგან თვალები გაუფართოვდა.

– ჰარიეტს? ხუმრობთ?

– რატომაც არა? ჩვენ გამოცდილ და საქმიან ქალზე ვსაუბრობთ.

– მას ავსტრალიაში თავისი კომპანია აქვს.

– დიახ, მაგრამ ჰარიეტის არყოფნაში საქმეს მისი ვაჟი ჯეფ კოხრენი გაუძღვება.

– ის „ფარეხის მენეჯერია რანჩოში“. თუ სწორად მივხვდი, ერთადერთი ის ევალება, ვერძებს წყვილები შეურჩიოს და ცხვრები ამშობიაროს.

– ჯეფი ოქსფორდის უნივერსიტეტის კურსდამთავრებული ეკონომისტი და მელბურნის უნივერსიტეტის კურსდამთავრებული იურისტია.

ბლუმკვისტს გაოფლილი, დაკუნთული კაცი გაახსენდა, რომელმაც ჯიპით ხეობაში წაიყვანა და ის ოფიციალურ კოსტიუმში წარმოიდგინა.

„ჰმ, რატომაც არა?“

– ეს ყველაფერი დროს წაიღებს, – თქვა ფროდემ, – მაგრამ ჰარიეტი შესანიშნავი გენერალური დირექტორი იქნება. შესაბამისი მხარდაჭერის შემთხვევაში კომპანიას ხელახლა წამოაყენებს ფეხზე.

– მას გამოცდილება არ აქვს...

– ეგეც მართალია. ასე უცებ საიდანღაც გამომხტარი ქალი კომპანიის მართვას თავზე ვერ აიღებს... „ვანგერების კორპორაცია“ საერთაშორისოა, შეგვიძლია, ვინმე ამერიკელი დავნიშნოთ გენერალურ დირექტორად, რომელსაც შვედურად ერთი სიტყვაც არ ეცოდინება... ბოლოს და ბოლოს, ბიზნესი ბიზნესია.

– ადრე თუ გვიან, მარტინის სარდაფის ამბავი მაინც გასკდება.

– ვიცი. მაგრამ, ახლა რომ რამე გავამჟღავნოთ, ეს ჰარიეტსაც გაანადგურებს... მიხარია, რომ ასეთი გადაწყვეტილებების მიღება მე არ მიწევს.

– ჯანდაბა, დირკ, სამუდამოდ ვერ დამალავთ იმ ფაქტს, რომ მარტინი სერიული მკვლელი იყო.

– მიქაელ, მე უხერხულ მდგომარეობაში ვარ...

– რა ხდება?

– ჰენრიკისგან შეტყობინება მოგიტანეთ. მადლობას გიხდით შესრულებული სამუშაოსთვის და ხელშეკრულების პირობებს შესრულებულად მიიჩნევს. ეს ნიშნავს, რომ ყველანირი ვალდებულები მოგეხსნათ და შეგიძლიათ, ჰედესტადიდან წახვიდეთ. მოკლედ, აუცილებელი არაა აქ დარჩეთ. დაუბრუნდით სტოკჰოლმს და თქვენს ძველ საქმიანობას.

– ანუ, სცენიდან გავქრე, არა?

– სულაც არა. მთხოვა მინახულოს და მომავალზე მოვითათბირებთო. იმედოვნებს, რომ „მილენიუმის“ საბჭოში თავის მოვალეობების შესრულებაში ავადმყოფობა ხელს არ შეუშლის. მაგრამ...

ფროდე კიდევ უფრო უხერხულად შეიშმუშნა.

– არ მითხრათ, დირკ, რომ ვანგერების ოჯახზე წიგნის დაწერა გადაიფიქრა.

დირკ ფროდემ თავი დაუქნია. ჯიბიდან ბლოკნოტი ამოიღო, გაშალა და ბლუმკვისტს გაუწოდა.

– წერილი მოგწერათ.

„ძვირფასო მიქაელ,

შენს პროფესიულ დამოუკიდებლობას პატივს ვცემ, ამიტომ თავს უფლებას ვერ მივცემ, რამეზე მიგითითო. შეგიძლია დაწერო და გამოაქვეყნო, რაც მოგესურვება. შენზე ზეწოლას არ მოვახდენ.

ჩვენი ხელშეკრულება ძალაში რჩება, თუ შენ ამის სურვილი გაქვს. უკვე საკმარის მასალას ფლობ იმისთვის, რომ ვანგერების ოჯახზე წიგნის წერა დაასრულო.

მიქაელ, ცხოვრებაში არავისთვის არაფერი მითხოვია. ყოველთვის მიმაჩნდა, რომ ადამიანი თავის მორალურ შეხედულებებს და პრინციპებს უნდა იცავდეს. ამჯერად არჩევანის წინაშე დავდექი.

ამ წერილში, როგორც მეგობარი და „მილენიუმის“ თანამფლობელი, გთხოვ, რომ გოტფრიდსა და მარტინზე სიმართლის გამოქვეყნებისგან თავი შეიკავო. ვიცი, რომ ეს არასწორია, მაგრამ ამ სიბნელიდან სხვა გამოსავალს ვერ ვხედავ. ორ ბოროტებას შორის მიწევს არჩევანის გაკეთება და, სამწუხაროდ, გამარჯვებული არავინ დარჩება.

გთხოვ, ისეთს ნურაფერს დაწერ, რაც ჰარიეტს კიდევ ერთხელ ავნებს. შენ ხომ საკუთარ თავზე გამოგიცდია, მედიის ყბაში ჩავარდნა რასაც ნიშნავს. შენ წინააღმდეგ აგორებული კამპანია ამასთან შედარებით არაფერი იქნება. ალბათ ხვდები, რა სკანდალი ატყდება, თუ ჰარიეტის შესახებ სიმართლე საქვეყნოდ გახმაურდება. საბრალო ჰარიეტი ორმოცი წელი იტანჯებოდა და საკმარისია. უფრო მეტად რატომ უნდა დაიტანჯოს იმ დანაშაულებისთვის, რაც მისმა მამამ და ძმამ ჩაიდინეს? გთხოვ, იმაზეც დაფიქრდე, რა შედეგს მოუტანს ეს სკანდალი ჩვენი კომპანიის ათასობით თანამშრომელს. ჰარიეტს საბოლოოდ გაანადგურებს, ხოლო ჩვენ საერთოდ გაგვაკოტრებს.

ჰენრიკი“.

– ჰენრიკმა ასევე დამავალა მეთქვა, რომ წიგნის გამოუქვეყნებლობით გამოწვეულ ყველანაირ შესაძლო ზარალს აგინაზღაურებთ. შეგიძლიათ ფინანსური კომპენსაციისათვის თანხის ოდენობა დაასახელოთ და ამაზე ვითათბირებთ.

– ჰენრიკ ვანგერი ჩემს გაჩუმებას ცდილობს. ასე გადაეცით, ბლუმკვისტი ნანობს, რომ ამ საქმეზე საერთოდ დაგთანხმდათო.

– დამიჯერეთ, ჰენრიკიც ძალიან უხერხულად გრძნობს თავს. მას ძალიან მოსწონხართ და მეგობრად მიაჩნიხართ.

– ჰენრიკ ვანგერი ცბიერი ნაბიჭვარია, – გაცხარდა ბლუმკვისტი, – უნდა ეს ამბავი მიჩქმალოს. იცის, რომ მეც კეთილად ვარ მის მიმართ განწყობილი და ჩემს ემოციებზე თამაშობს. თან მეუბნება მე არაფერს გიკრძალავო, თან შეფარვით მემუქრება, შეიძლება „მილენიუმზე“ შეხედულება შემეცვალოსო.

– ჰარიეტის გამოჩენამ ყველაფერი შეცვალა.

– და ჰენრიკ ვანგერს აინტერესებს, რამდენად ვიყიდები. მე ჰარიეტისთვის პრობლემების შექმნა სულაც არ მინდა, მაგრამ მარტინის სარდაფში წამებით მოკლული ქალები როგორ უნდა დავივიწყოთ? დირკ, ისიც კი არ ვიცით, რამდენი ქალია მოკლული. მათი სახელი ვინ უნდა დაიცვას?

უცებ სალანდერმა თავი წამოყო და ფროდეს ძლივს გასაგონად ჰკითხა: – და ჩემს გაჩუმებას არავინ აპირებს?

ფროდე გაშრა. როგორღაც შეძლო და ამ კითხვას წაუყრუა.

– მარტინ ვანგერი რომ ცოცხალი იყოს, მასზე ყველაფერს საქვეყნოდ განვაცხადებდი, – გააგრძელა გოგონამ, – არ მაინტერესებს, მიქაელი რაზე შეგითანხმდათ, საქმის დეტალებს უახლოესი საღამოს გაზეთის რედაქციაში გავგზავნიდი. მარტინს კი თავის საწამებელ ბუნაგში მაგიდაზე დავაბამდი და ყვერებს ნემსებით დავუჩხვლეტდი. სამწუხაროა, რომ მოკვდა.

სალანდერი ბლუმკვისტს მიუბრუნდა.

– ჰენრიკის შეთავაზება შენთვის საუკეთესო გამოსავალია. მარტინ ვანგერის მიერ დახოცილ ქალებს ვეღარ გააცოცხლებ. საინტერესო ვითარება შეიქმნა. შენს ხელშია უდანაშაულო ქალების ბედი – განსაკუთრებით, ჰარიეტისა, რომელსაც სხვათა შორის, აქეთობისას, მანქანაში გულმხურვალედ იცავდი. გეკითხები, რა უფრო უარესია: ის, რომ მარტინ ვანგერმა ის ქოხში გააუპატიურა თუ ის, რომ ამას შენი წიგნის ფურცლებზე საქვეყნოდ გაიმეორებ? დილემაც ამას ჰქვია. იქნებ ჟურნალისტთა ასოციაციამ გირჩიოს რამე...?

გოგონა შეყოვნდა. ბლუმკვისტი მას თვალს ვერ უსწორებდა. თავი ჩაექინდრა.

– აი, მე კი ჟურნალისტი არ ვარ, – დაასრულა სალანდერმა.

– რას ითხოვთ? – ჰკითხა მას ფროდემ.

– მარტინმა ყველა მსხვერპლი ვიდეოფირზე გადაიღო. მინდა, რომ რაც შეიძლება ბევრი მათგანი ამოიცნოთ და მათ ოჯახებს სოლიდური ფულადი კომპენსაცია გადაუხადოთ. გარდა ამისა, ვითხოვ, რომ „ვანგერების კორპორაციამ“ ყოველწლიურად ორი მილიონი კრონა გადაურიცხოს „ქალთა კრიზისული ცენტრის ეროვნულ ორგანიზაციას“ და „შვედეთის გოგონათა კრიზისულ ცენტრს“.

ფროდე მცირე ხნით ჩაფიქრდა ფასზე. მერე სალანდერს თავი დაუქნია.

– შენ რას იტყვი, მიქაელ? – ჰკითხა სალანდერმა ბლუმკვისტს.

ბლუმკვისტს სასოწარკვეთილება მოერია. მარტინ ვანგერის სარდაფში მომხდარ საზარელ მკვლელობებზე თვალის დახუჭვა უჭირდა. მას, რომელიც კოლეგა

ჟურნალისტებს სიმართლის დამალვის გამო ხშირად აკრიტიკებდა, აიძულებდნენ, ურცხვად ეცრუა.

კარგა ხანს ჩუმად იჯდა. მერე თანხმობის ნიშნად მანაც თავი დააქნია.

– ესეც ასე, – თქვა ფროდემ, – რაც შეეხება ჰენრიკის შემოთავაზებულ ფინანსურ კომპენსაციას...

– შეუძლია უკან გაითხაროს... ახლავე წადით აქედან. მესმის თქვენი, მაგრამ ახლა ისეთი გაბრაზებული ვარ თქვენზე, ჰენრიკსა და ჰარიეტზე, რომ ჩვენი მეგობრობა აქვე დასრულდება.

ფროდე არც კი განძრეულა.

– ვერ წავალ, ჯერ არ დამიმთავრებია. კიდევ ერთი შეტყობინება უნდა გადმოგცეთ. თუმცა, არც ეს მოგეწონებათ. ჰენრიკმა დაიჟინა, ამაღამვე უთხარიო. ჯერ მომისმინეთ და ხვალ დილით, შეგიძლიათ საავადმყოფოში მიხვიდეთ და ყველაფერი პირში მიახალოთ, მასზე რასაც ფიქრობთ.

ბლუმკვისტმა გაკვირვებით შეხედა მოხუც ადვოკატს.

– ცხოვრებაში პირველად აღმოვჩნდი ასეთ მძიმე მდგომარეობაში, – გააგრძელა ფროდემ, – მაგრამ კარტის ბოლომდე გახსნა და გულწრფელობა ახლა ყველაფერს აჯობებს.

– მაშ, მხოლოდ ახლა დადგა გულწრფელობის დრო?

– როცა ჰენრიკმა დეკემბერში ამ საქმეზე დაგითანხმათ, – ბლუმკვისტის სარკასტული შენიშვნისთვის ყურადღების მიუქცევლად დაიწყო ფროდემ, – არ გვეგონა, რომ რამეს გაარკვევდით. სწორედ ასე მითხრა ჰენრიკმა, მაგრამ უნდოდა, ბოლოჯერ მაინც ეცადა. თქვენი სიტუაცია ფრეკენ სალანდერის მოხსენებაზე დაყრდნობით გავაანალიზეთ. ჰენრიკმა თქვენი მძიმე მდგომარეობით ისარგებლა, კარგი ფასი შემოგთავაზათ და სატყუარაც გადმოგიგდოთ.

– ვენერსტრომი.

– დიახ.

– მაშ, მომატყუეთ?

– არა, არა, – თქვა ფროდემ.

დაინტერესებულმა სალანდერმა ცალი წარბი ასწია.

– ჰენრიკი დანაპირებს შეასრულებს. ის ინტერვიუს მისცემს და საჯაროდ დაადანაშაულებს ვენერსტრომს. დეტალებს მოგვიანებით გაგაცნობთ, მაგრამ

მოკლედ ამას გეტყვით: როცა ვენერსტორომი „ვანგერების კორპორაციის“ ფინანსურ განყოფილებაში მუშაობდა, უცხოური ვალუტით სპეკულაციებზე რამდენიმე მილიონი კრონა გაფლანგა. ეს ჯერ კიდევ იმ დროს მოხდა, სანამ სავალუტო მაქინაციები დღევანდელ მასშტაბებს შეიძენდა. ვენერსტრომმა უნებართვოდ იმოქმედა. საქმეები ცუდად წაუვიდა და შვიდი მილიონი კრონა ვალად დაედო. სცადა საბუღალტრო წიგნების გაყალბებით და განმეორებითი სპეკულაციებით დაეფარა ეს დანაკლისი, მაგრამ გამოვიჭირეთ და დავითხოვეთ.

– თვითონ თუ მოახერხა ფულის შოვნა?

– დიახ, ნახევარი მილიონი კრონის. ბედის ირონიით, სწორედ ეს ფული იქცა მის საწყის კაპიტალად „ვენერსტრომ-გრუპის“ დასაარსებლად. მისი დანაშაულის დამამტკიცებელი ყველანაირი დოკუმენტი გაგვაჩნია. შეგიძლიათ გამოიყენოთ. ჰენრიკი საჯაროდ დაამოწმებს მათ ნამდვილობას. მაგრამ...

– დიახ, „მაგრამ“, დირკ! მაგრამ დღეს ამ ინფორმაციას არანაირი ფასი არ აქვს, – მაგიდას მუშტი დასცხო ბლუმკვისტმა, – ყველაფერი ოცდაათ წელზე მეტი ხნის წინ მოხდა და ეს საქმე წარსულს ჩაბარდა.

– ეს ინფორმაცია ადასტურებს, რომ ვენერსტრომი თაღლითია.

– ამ ინფორმაციის გამოქვეყნება ვენერსტრომს მხოლოდ გააბრაზებს, მაგრამ ვერანაირ ზიანს ვერ მიაყენებს. საპასუხო განცხადებას გამოაქვეყნებს, მოხუცი ჰენრიკი ჩემთვის რომელიმე ბიზნესის წართმევას ცდილობსო; თავის გასამართლებლად კი იმას იტყვის, ოცდაათი წლის წინ თავად ჰენრიკის დავალებით ვმოქმედებდიო. თუნდაც უდანაშაულობა ვერ დაამტკიცოს, იმდენს იზამს, რომ ეს ამბავი სერიოზულად არავინ მიიღოს.

ფროდემ მოიწყინა.

– თქვენ მე გადამაგდეთ, – თქვა ბლუმკვისტმა.

– ეს სულაც არ გვინდოდა.

– ჩემი ბრალია. არ უნდა დამეჯერებინა, – ბლუმკვისტს გაეცინა უეცრად, – ჰენრიკი ბებერი ზვიგენია. პროდუქციას ყიდდა და შემოსასაღებლად ის მითხრა, რაც მინდოდა. თქვენი წასვლის დროა, დირკ.

– მიქაელ, ძალიან ვწუხვარ...

– დირკ, წადით.

სალანდერმა არ იცოდა, ბლუმკვისტთან მისულიყო თუ თავი დაენებებინა. მიქაელმა პრობლემა იმით გადაწყვიტა, რომ ტყავის ქურთუკი ჩაიცვა და გარეთ გავიდა.

გოგონა სამზარეულოში იცდიდა. გულის გადასაყოლებლად მაგიდა აალაგა და ჭურჭელი დარეცხა – ადრე ამას მხოლოდ ბლუმკვისტი აკეთებდა. ხშირ-ხშირად ფანჯარასთან მიდიოდა და ამოწმებდა, მიქაელი ხომ არსად ჩანსო. ბოლოს იმდენად განერვიულდა, თვითონაც ჩაიცვა ქურთუკი და მის მოსაძებნად წავიდა.

ჯერ სანაპიროზე ჩავიდა. იქ, ქოხებში ისევ შუქი ენთო, მაგრამ ბლუმკვისტი ვერსად იპოვა. სანაპიროზე ბილიკს გაუყვა, სადაც საღამოობით სეირნობდნენ ხოლმე. მარტინ ვანგერის ჩაბნელებული სახლი უკვე მიტოვებულს ჰგავდა. კონცხზეც შეამოწმა, სადაც ქვის ლოდებზე ისხდნენ და საუბრობდნენ. იქიდან კვლავ სახლში დაბრუნდა, მაგრამ ბლუმკვისტი ჯერაც არ დაბრუნებულიყო.

ეკლესიისკენ წავიდა. ვერც იქ იპოვა. დაიბნა, აღარ იცოდა, რა ექნა. უკან, მოტოციკლეტთან დაბრუნდა, სავარძლის ქვემოდან ფანარი გამოიღო და ისევ სანაპიროს დაუყვა. ბალახწამოზრდილ ბილიკზე სვლა გაუჭირდა და გოტფრიდის ქოხამდე გზა ძლივს გაიგნო. ბოლოს, როგორც იქნა, ხეების რიგებიდან გააღწია და ბნელში ქოხიც გამოიკვეთა. ბლუმკვისტი ეზოში არ იდგა, ხოლო ქოხის კარი ჩაკეტილი იყო.

გოგონა ისევ სოფელში აპირებდა დაბრუნებას, მაგრამ უცებ შეჩერდა და სანაპიროსკენ შეტრიალდა. ნავმისაბმელთან, სადაც ჰარიეტ ვანგერმა მამამისი გოტფრიდი მოკლა, ბლუმკვისტის სილუეტს მოჰკრა თვალი. სალანდერმა შვებით ამოისუნთქა.

ბლუმკვისტმა სალანდერის ნაბიჯის ხმა გაიგონა და შემობრუნდა. გოგონა მის გვერდით უსიტყვოდ ჩამოჯდა.

– მაპატიე, განმარტოება მინდოდა, – სიჩუმე კაცმა დაარღვია.

– ვიცი.

სალანდერმა ორ ღერ სიგარეტს მოუკიდა და ერთი ბლუმკვისტს მისცა. ბლუმკვისტმა გაკვირვებით შეხედა. სალანდერი ყველაზე ასოციალური პიროვნება იყო, რომელსაც ოდესმე შეხვედროდა; ის პირადულ თემებზე საუბარს ყოველთვის ერიდებოდა და არც ვინმეს მიმართ თანაგრძნობა გამოეხატა ოდესმე.

„მან მე სიკვდილს გადამარჩინა, ახლა კი ჩემს მოსაძებნად ღამით ამხელა გზა გამოიარა“.

ბლუმკვისტმა სალანდერს მხრებზე ხელი გადახვია.

– უკვე ვიცი, რამდენად გავიყიდე, – უთხრა გოგონას, – ჩვენ ის საბრალო გოგოები დავივიწყეთ. მთელ ამ ამბავს მიჩქმალავენ. მარტინის სარდაფი სამუდამოდ გაქრება.

სალანდერმა არაფერი უპასუხა.

– ერიკა სწორს მირჩევდა, – გააგრძელა ბლუმკვისტმა, – ერთი თვით ესპანეთში უნდა წავსულიყავი, დამესვენა, გამოვცოცხლებულიყავი და განახლებული ძალებით ისევ ვენერსტრომისთვის შემეტია. ამდენი თვე უქმად დავხარჯე.

– ესპანეთში რომ წასულიყავი, მარტინ ვანგერი სარდაფში ქალების წამებას და ხოცვას ისევ გააგრძელებდა.

კარგა ხანს ჩუმად ისხდნენ. ბოლოს ბლუმკვისტი წამოდგა და სალანდერს შინ დაბრუნება შესთავაზა.

ბლუმკვისტს სალანდერზე ადრე ჩაეძინა. გოგონა შიშველი იწვა და მის ფშვინვას უსმენდა. ცოტა ხნის მერე სამზარეულოში გავიდა და იქ სკამზე ჩამოჯდა. ფიქრებში გართული სიგარეტს სიგარეტზე ეწეოდა. მან ყოველთვის იცოდა, რომ ფროდე და ჰენრიკი ბლუმკვისტს მოატყუებდნენ. ეს მათი ბუნების ნაწილი იყო.

„მაგრამ ეს მიქაელის პრობლემაა და არა ჩემი. თუ ჩემიც არის?“

ბოლოს გადაწყვეტილება მიიღო. სიგარეტის ნამწვი გადააგდო, საძინებელში შევიდა, ლამპა აანთო და ბლუმკვისტი შეანჯღრია.

ღამის სამის ნახევარი იყო.

– რა ხდება?

– ერთი კითხვა მაქვს. წამოჯექი.

ნახევრად მძინარე ბლუმკვისტი საწოლში წამოჯდა.

– სასამართლო პროცესზე თავი რატომ არ დაიცავი?

ბლუმკვისტმა თვალები მოიფშვნიტა. საათს შეხედა.

– გრძელი ამბავია, ლიზბეთ.

– არსად მეჩქარება. მომიყევი.

ბლუმკვისტი კარგა ხანს ყოყმანებდა, რა ეთქვა. ბოლოს სიმართლის თქმა გადაწყვიტა.

– თავს ვერ დავიცავდი. სტატიაში გამოქვეყნებული ინფორმაცია ყალბი იყო.

– შენი კომპიუტერი რომ გავტეხე, შენს ელფოსტაშიც შევედი. ბერგერისთვის გაგზავნილ წერილებში დეტალურად განიხილავდი სასამართლო პროცესის მიმდინარეობას, მაგრამ ერთხელაც არ გიხსენებიათ, სინამდვილეში რა მოხდა. მითხარი, სად დაუშვი შეცდომა.

– ლიზბეთ, მთელ ამბავს ვერ მოგიყვები. მახეში გავები. მე და ერიკა შევთანხმდით, რომ საჯაროდ სიმართლის გამხელა ჩვენი ჟურნალის იმიჯს კიდევ უფრო შეარყევდა.

– მისმინე, კალე ბლუმკვისტ, გუშინ საღამოს მეგობრობაზე, ნდობასა და ეგეთ რამეებზე ქადაგებით ყურები გამომიჭედე. დამიჯერე, ამ ინფორმაციას ინტერნეტში არ გავავრცელებ.

ბლუმკვისტი აწუწუნდა, ამ შუაღამისას მოყოლა მეზარებაო, მაგრამ სალანდერი ჯიუტად არ ეშვებოდა და ბოლოს დანებდა. ბლუმკვისტმა სააბაზანოში სახეზე წყალი შეისხა გამოსაფხიზლებლად და ყავა დაადგა მოსადუღებლად. მერე ისევ საწოლზე ჩამოჯდა და სალანდერს უამბო, არჰოლმის ნავსადგომში როგორ შეხვდა თავის სკოლის დროინდელ მეგობარ რობერტ ლინდბერგს, რომელმაც საინტერესო ცნობები მიაწოდა.

– მაშ, შენმა ძმაკაცმა მოგატყუა?

– არა, სულაც არა. მან სიმართლე მიამბო. მისი სიტყვები ფინანსური რეგულირების და ზედამხედველობის სამმართველოს აუდიტით მტკიცდებოდა. პოლონეთშიც კი წავედი და იმ დაჟანგულღობიანი შენობის ფოტოც გადავიღე, სადაც „მინოსის“ „დიდი“ ქარხანა იდგა. ქარხნის ყოფილ მუშებსაც შევხვდი და ინტერვიუ ჩამოვართვი. ყველამ ერთი და იგივე გაიმეორა.

– მაშ, რა მოხდა?

ბლუმკვისტმა ამოიოხრა. საუბარი მხოლოდ წუთის შემდეგ გააგრძელა:

– ხელთ დიდებული მასალა ჩამივარდა. ვენერსტრომს ადრე არასდროს დავპირისპირებოდი, მაგრამ სტატია რომ მაშინვე გამომექვეყნებინა, მაგრად დავურხევდი. შესაძლოა, თაღლითობაში ვერ დაედოთ ბრალი – მას ხომ აუდიტის დასკვნა ჰქონდა – მაგრამ რეპუტაციას კი ნაღდად შევულახავდი.

– აბა, შეცდომა სად დაუშვი?

– სანამ სტატიას გამოვაქვეყნებდი, ვიღაცამ შეიტყო, რაშიც ვიქექებოდი და ვენერსტრომს აცნობა. უცებ უცნაური შემთხვევების მთელი სერია დაგვატყდა თავს. ჯერ ანონიმურმა პიროვნებამ ამოუცნობი სატელეფონო ნომრიდან დამირეკა და დამემუქრა. მერე ერიკასაც დაემუქრნენ. გვაშინებდნენ, იცოდეთ, ამ საქმეს შეეშვით, თორემ საკუთარი სახლის კარზე მიგაჭედებთო და ასე შემდეგ. რასაკვირველია, ერიკა ძალიან გაცხარდა.

ბლუმკვისტმა კოლოფიდან სიგარეტი ამოიღო.

– შემდეგ ძალიან უსიამოვნო რამ მოხდა. ერთ საღამოს რედაქციიდან რომ გამოვდიოდი, ორი კაცი თავს დამესხა და მუშტები დამაყარეს. ტუჩი გამისკდა და ძირს დავეცი. ვერც ერთი ვერ ვიცანი, მაგრამ ერთი ძველ ბაიკერს მივამსგავსე.

– კარგი. მერე?

– ამ მუქარებმა და თავდასხმებმა ის შედეგი გამოიღო, რომ ერიკა უფრო გაბრაზდა, მე კი გავჯიუტდი. „მილენიუმის“ დაცვა გავაძლიერეთ. დავეჭვდით. ამხელა ზეწოლას ახდენდნენ ისეთი მასალების გამო, რომელიც ამდენ გარისკვად ნაღდად არ ღირდა.

– მაგრამ თქვენ სრულიად სხვა შინაარსის სტატია გამოაქვეყნეთ.

– დიახ, რადგან ჩვენი ეჭვების დასტურად, ვენერსტრომის ნაცნობთა წრიდან ანონიმი ინფორმატორი გამოგვიჩნდა. ინფორმატორს ძალიან ეშინოდა, ამიტომ მხოლოდ სასტუმროს ნომრებში ვხვდებოდით. მან გვითხრა, რომ „მინოსის“ საქმისთვის გამოყოფილი სახელმწიფო სახსრები სინამდვილეში იუგოსლავიის ომში იარაღით სავაჭროდ გამოიყენეს. ვენერსტრომი ხორვატიაში მემარჯვენე „უსტაშებთან“ იყოო გარიგებული. ეს კი არა, ინფორმატორმა ამის დასამტკიცებელი დოკუმენტებიც მოგვცა.

– მას დაუჯერეთ?

– ცბიერი ვინმე იყო. მხოლოდ იმდენ ინფორმაციას გვაწვდიდა, რომ ამის დასამტკიცებლად სხვა წყაროების მოძიება გვიხდებოდა. ფოტოც კი მოგვცა, რომელზეც ვენერსტრომი იარაღის შემსყიდველს ხელს ართმევდა. ერთი სიტყვით, გვეგონა, რომ გადამოწმებული და ნამდვილი მასალები გამოვაქვეყნეთ.

– მაგრამ ყალბი აღმოჩნდა.

– თავიდან ბოლომდე. ყველა დოკუმენტი უმაღლეს დონეზე გაეყალბებინათ. სასამართლოზე ვენერსტრომის ადვოკატმა დაამტკიცა, რომ ვენერსტრომის და „უსტაშების“ ლიდერის ფოტო ორი სხვადასხვა სურათის მონტაჟი იყო.

– წარმოუდგენელია, – წამოიძახა სალანდერმა.

– მაშინღა მივხვდით, რა გონივრულად გაგვაცურეს. ის მასალები, რომელიც ხელთ გვქონდა, ვენერსტრომს ნამდვილად ზიანს მიაყენებდა, მაგრამ ფალსიფიცირებულ სტატიაში, ისინიც ყალბ მასალებად იქცა. ვენერსტრომმა ძალით შემოგვაჩეჩა ყალბი ცნობები, რომ მერე თავისი უდანაშაულობა დაემტკიცებინა.

– სიმართლე მაინც რატომ არ გაამხილეთ? ნუთუ ვერაფრით დაამტკიცებდით, რომ ვენერსტრომმა მასალები გააყალბა?

– კიდევ ვენერსტრომი რომ დაგვედანაშაულებინა, ყველა იფიქრებდა, თავიანთი სულელური შეცდომის გამოსწორებას, უცოდველ მეწარმზე ბრალის დადებით ცდილობენო.

– გასაგებია.

– ვენერსტრომს ორი ადვოკატი ჰყავდა. თუნდაც დაგვემტკიცებინა, რომ ფალსიფიცირებული მასალები შემოგვაჩეჩეს, იმდენს იზამდა, რომ ამაში ბრალს თავის რომელიმე კონკურენტს დასდებდა. ეს კიდევ უფრო შელახავდა „მილენიუმის“ რეპუტაციას – იფიქრებდნენ, რომ ვიღაცის სატყუარას წამოვეგეთ.

– ამიტომ თავის დაცვას არჩიე, დაედანაშაულებინე და ციხეში ჩამჯდარიყავი.

– მე ეს დავიმსახურე, – თქვა ბლუმკვისტმა, – ცილისწამებაში ვარ დამნაშავე. ახლა უკვე ყველაფერი იცი. შეიძლება დავიძინო?

ბლუმკვისტმა ლამპა გამორთო და თვალები დახუჭა. სალანდერი გვერდით მიუწვა.

– ვენერსტრომი განგსტერია.

– ვიცი.

– არა, ის ნამდვილი განგსტერია. რუსული მაფიით დაწყებული კოლუმბიური ნარკოკარტელებით დამთავრებული, ყველასთან აქვს საქმე.

– რას გულისხმობ?

– შენზე ჩატარებული კვლევის შემდეგ, ფროდემ კიდევ ერთი დავალება მომცა. მთხოვა, დაადგინე, სასამართლო პროცესზე სინამდვილეში რა მოხდაო. სამუშაო ახალი დაწყებული მქონდა, როცა მან არმანსკის დაურეკა და დავალება გააუქმა.

– ნეტა რატომ?

– ალბათ იმიტომ, რომ ჰენრიკ ვანგერის შეთავაზებას დათანხმდი. მსგავსი სახის ინფორმაცია აღარ სჭირდებოდათ.

– და?

– მაგრამ მე საქმის შუა გზაზე მიტოვება არ მიყვარს. რამდენიმე კვირით... გაზაფხულზე თავისუფალი ვიყავი, არმანსკის ჩემთვის არც ერთი საქმე არ ჰქონდა, ამიტომ გასართობად ვენერსტრომზე დავიწყე ცნობების მოძიება.

ბლუმკვისტი წამოჯდა, ლამპა აანთო და სალანდერს შეხედა. გოგონას თვალებში სინანული შეამჩნია.

– რამეს მიაგენი?

– ყველაფერი ჩემს კომპიუტერში გადმოვწერე. ვენერსტრომის განგსტერობის დამამტკიცებელი საბუთები თავზე საყრელად მაქვს.

თავი XXVIII

სამშაბათი, 29/VII – პარასკევი, 24/X

ქაღალდის ფურცლებზე ამობეჭდილი ვენერსტრომის დოკუმენტები ყუთებში აღარ ეტეოდა. ბლუმკვისტმა მათ წაკითხვას სამი დღე მოანდომა. თემები გამუდმებით იცვლებოდა: საოფციო ვაჭრობა ლონდონში, სავალუტო ხელშეკრულება აგენტის მეშვეობით პარიზში, ოფშორული კომპანია გიბრალტარში, ნიუ-იორკის Chase Manhattan Bank-ში უეცრად გაორმაგებული ანგარიში და ა. შ.

გარდა ამისა, ბლუმკვისტი ძალიან დააინტერესა ხუთი წლით ადრე ჩილეს დედაქალაქ სანტიაგოში დარეგისტრირებულმა – სხვა თორმეტ ქვეყანაში დარეგისტრირებულის მსგავსმა სავაჭრო კომპანიამ, რომლის ანგარიშზეც ხელშეუხებლად ირიცხებოდა 200 000 შვედური კრონა, მაგრამ მცირე მინიშნებაც კი არსად იყო, თუ რა ტიპის საქმიანობას ეწეოდა კომპანია.

„ვითომ მთვლემარე კომპანიაა? მაგრამ რისთვის შეიქმნა? სხვა საქმიანობების გადასაფარად?“

კომპიუტერში ამაზე პასუხი ვერ იპოვა. ალბათ ასეთ ინფორმაციას ვენერსტრომი თავში ინახავდა და არა – ელექტრონულ დოკუმენტებში.

სალანდერის აზრით, კითხვების უმეტესობაზე პასუხს ვერასდროს მიიღებდნენ. ტექსტი ხელთ ჰქონდათ, მაგრამ დამატებითი ცნობების გარეშე მათ ვერ გაშიფრავდნენ. ვენერსტრომის იმპერია ხახვს ჰგავდა – ერთი ფურცლის ქვეშ მეორე ხვდებოდათ; მთელი ლაბირინთი იყო ერთმანეთზე დაქვემდებარებული საწარმოებისა. კომპანიები, საბანკო ანგარიშები, ფონდები, ფასიანი ქაღალდები – ალბათ თვით ვენერსტრომიც კი ვერ ერკვეოდა წესიერად ამდენ რამეში. ვენერსტრომის იმპერია ცოცხალ ორგანიზმს ჰგავდა, რომელიც საკუთარი ცხოვრებით ცხოვრობდა.

ერთადერთი ძირითადი მახასიათებელი ერთმანეთზე დაქვემდებარებული საწარმოების ლაბირინთი იყო. ვენერსტრომის იმპერიის ფასი 100-დან 400 მილიარდ კრონამდე მერყეობდა. გააჩნია, ვის ჰკითხავდით და როგორ შეაფასებდით.

როცა კომპანიები ერთმანეთს ფლობენ, მათი ნამდვილი ღირებულება რა იქნება? – ამ კითხვაზე პასუხი არც ბლუმკვისტს ჰქონდა და არც – სალანდერს.

ჰედების კუნძული დილაადრიან ნაჩქარევად დატოვეს. მას მერე, რაც სალანდერმა სკანდალური მასალები მიაწოდა, ბლუმკვისტი სხვაზე ვეღარაფერზე ფიქრობდა. მთელი ორი დღე სალანდერის ბინიდან არ გამოსულან. კომპიუტერთან ისხდნენ და გოგონა ვენერსტრომის სამყაროში მეგზურობდა. ბლუმკვისტს უამრავი შეკითხვა ჰქონდა. ერთი კითხვა მხოლოდ და მხოლოდ ცნობისმოყვარეობის გამო გაუჩნდა.

– ლიზბეთ, ვენერსტრომის კომპიუტერში შეღწევას და მის მართვას როგორ ახერხებ?

– ჩემი მეგობარი Plague-ის გამოგონების წყალობით. ვენერსტრომს IBM-ის ლეპტოპი აქვს – სახლშიც და სამსახურშიც. რაც ნიშნავს, რომ მთელი ინფორმაცია ერთ მყარ დისკზეა შენახული. სახლში მას საკაბელო ინტერნეტი აქვს. Plague-მ ერთგვარი „მანჭეტი“ გამოიგონა, რომელიც ინტერნეტის კაბელზე მაგრდება. „მანჭეტი“ გამოსაცდელად წამოვიღე. ყველაფერი, რასაც ვენერსტრომი თავის კომპიუტერში ხედავს, „მანჭეტზე“ იწერება და მონაცემებს დაუყოვნებლივ სხვა სერვერზე გზავნის.

– მერედა, ვენერსტრომს დამცავი პროგრამები არ აქვს დაყენებული?

სალანდერს ჩაეცინა.

– რასაკვირველია, ფაირვოლი აქვს. მაგრამ საქმეც ისაა, რომ „მანჭეტი“ დამცავი პროგრამასავით მუშაობს. ამ გზით კომპიუტერის გატეხას დრო სჭირდება. დავუშვათ, ვენერსტრომმა იმეილი მიიღო; ის ჯერ Plague-ის „მანჭეტში“ გაივლის და მხოლოდ ამის შემდეგ ფაირვოლში. ამგვარად, ელექტრონულ წერილებს პირველად ჩვენ წავიკითხავთ. უფრო გენიალური კი ისაა, რომ წერილი ხელახლა გადაიწერება და რამდენიმეგიგაბიტიანი წყაროს კოდი დაემატება. ასე მეორდება ყოველთვის, როცა ვენერსტრომი ინტერნეტიდან კომპიუტერში რამეს ჩამოტვირთავს. სურათების შემთხვევაში კიდევ უფრო ადვილია. ვენერსტრომი ქსელში ხშირად დაძვრება

ხოლმე. ყოველთვის, როცა პორნოსურათს ხსნის ან ახალ-ახალ გვერდებს ინიშნავს, რამდენიმეხაზიან წყაროს კოდს ვამატებთ. რამდენიმე ხნის, საათის ან დღის შემდეგ – გააჩნია, რამდენად ხშირად იყენებს ვენერსტრომი კომპიუტერს – ის დაახლოებით სამ მეგაბაიტიან პროგრამას ჩატვირთავს კომპიუტერში. ამ პროგრამაში თითოეული ბიტი ერთმანეთთანაა დაკავშირებული.

– მერე?

– როგორც კი ბიტები ერთმანეთს გადაებმება, პროგრამა ინტერნეტ-ბრაუზერში ინტეგრირდება. ვენერსტრომს ჰგონია, რომ კომპიუტერმა გაჭედა და ოპერატიულ სისტემას არესტარტებს. დარესტარტებისას სრულიად განსხვავებული პროგრამა ყენდება. ვენერსტრომი „ინტერნეტ ექსპლორერს“ იყენებს. „ექსპლორერში“ ხელახლა შესვლისას, სრულიად ახალი პროგრამა იხსნება, ოღონდ ეს მისი კომპიუტერის ეკრანზე არ ჩანს და საერთოდ ვერ ხვდება, რომ რამე შეიცვალა. სინამდვილეში პროგრამა ძალიან ბევრ რამეს აკეთებს. უპირველესად კი ფაირვოლს იმორჩილებს, მაგრამ სხვა პროგრამები ჩვეულებრივად აგრძელებს მუშაობას. მერე ჩვენი პროგრამა კომპიუტერის სკანირებას იწყებს და მაუსის ყოველ დაწკაპუნებაზე ნაწილ-ნაწილ იწერს ინფორმაციას მყარი დისკიდან. მოკლედ, რაც უფრო ხშირად შედის ვენერსტრომი ინტერნეტში, მით მალე იტვირთება ინფორმაცია მისი მყარი დისკიდან ჩვენს სერვერზე. მერე კი HT-ის, დრო დგება.

– HT რას ნიშნავს?

– უკაცრავად. Plague შემოკლებით ასე ეძახის. Hostile Takeover-ის შემოკლებაა და „ძალით დამორჩილებას“ ნიშნავს.

– გასაგებია.

– მთავარი ამის შემდეგ ხდება: როცა სტრუქტურა საბოლოოდ ჩამოყალიბდება, ვენერსტრომს ორი მყარი დისკი უჩნდება – ერთი მის კოპიუტერშია, მეორე – ჩვენს სერვერზე. ამიერიდან თუ კომპიუტერს ჩართავს, სინამდვილეში მისი კომპიუტერის ასლი ჩაიტვირთება. ახლა ის თავის კომპიუტერში კი არა, ჩვენს სერვერში მუშაობს. მისი კომპიუტერი ოდნავ უფრო ნელა იმუშავებს, მაგრამ ეს ძნელად შესამჩნევია. ნებისმიერ დროს, როცა მის სერვერს ვუკავშირდები, შემიძლია „ვენერსტრომის კომპიუტერი“ ჩავრთო. ყოველთვის, როცა ვენერსტრომი კლავიატურის ღილაკს აწვება, ამას ჩემს კომპიუტერში ვხედავ.

– შენი მეგობარიც ჰაკერია?

– სწორედ მან დამაკავშირა ლონდონელებთან. Plague ცოტა კარჩაკეტილი ტიპია, მაგრამ ქსელში ნამდვილი ლეგენდაა.

– გასაგებია, – თავაზიანად გაუღიმა სალანდერს ბლუმკვისტმა, – მეორე შეკითხვა: ვენერსტრომზე აქამდე რატომ არ მითხარი?

– არ გიკითხავს.

– და არასდროს რომ არ მეკითხა? დავუშვათ, არასდროს შევხვედროდით ერთმანეთს – რა, ასე გულხელდაკრეფილი იჯდებოდი, როცა განგსტერი ვენერსტრომის წყალობით „მილენიუმი“ საბოლოოდ გაკოტრდებოდა?

– ჩემთვის არავის უთხოვია, ვენერსტრომი გამოააშკარავეო, – ყოვლისმცოდნესავით თავადაჯერებულად უპასუხა სალანდერმა.

– კარგი. და მე რომ არ მეკითხა?

– ოდესმე გეტყოდი.

ბლუმკვისტმა თემა შეცვალა.

სალანდერმა ვენერსტრომის მყარი დისკიდან ხუთი გიგაბაიტის მოცულობის მონაცემები ათ კომპაქტ-დისკზე გადაწერა.

გოგონას ისეთი გრძნობა დაეუფლა, თითქოს ბლუმკვისტის ბინაში თვითონ გადასახლებულიყოს. მოთმინებით პასუხობდა მის ყოველ კითხვას.

– ვერ დამიჯერებია, ასეთი სულელი როგორაა, რომ თავისი ბინძური თეთრეული ერთ მყარ დისკზე აქვს გამოფენილი, – შენიშნა ბლუმკვისტმა, – პოლიციას რომ ჩაუვარდეს ხელში...

– ხალხი ხშირად უგუნურად იქცევა. ეტყობა, ვენერსტრომს ვერაფრით წარმოუდგენია, რომ პოლიციას მისთვის კომპიუტერის ჩამორთმევა ოდესმე აზრად მოუვა.

– ჰგონია, რომ მასზე ეჭვის მიტანას ვერავინ გაბედავს. გეთანხმები, ქედმაღალი ნაბიჭვარია, მაგრამ უსაფრთხოების საკითხებში კონსულტანტები მაინც არ ჰყავს, რომ კომპიუტერებზე რამე ასწავლოს? აქ 1993 წლის მასალებიცაა შენახული.

– თვითონ ლეპტოპი საკმაოდ ახალია. ერთი წლის წინაა გამოშვებული. ეტყობა, კომპაქტ-დისკებზე შენახვის ნაცვლად, ძველი კომპიუტერიდან ინფორმაცია აქ გადმოტვირთა. ყოველ შემთხვევაში, დამშიფრავ პროგრამებს იყენებს.

– რაც სრულიად უსარგებლოა, თუ მის კომპიუტერში ხარ და მის ნებისმიერ პაროლს იმახსოვრებ.

სტოკჰოლმში ოთხი დღის ჩასულები იყვნენ, როცა კრისტერ მალმმა ბლუმკვისტს ღამის ოთხ საათზე მობილურზე დაურეკა.

– ამაღამ ბარში ჰენრი კორტესი იყო თავის მეგობარ გოგონასთან ერთად.

– მერე? – თქვა ნახევრად მძინარე ბლუმკვისტმა.

– სახლისკენ მიმავლებმა გზად რკინიგზის სადგურთან ბარში შეიარეს.

– ვინმეს საცდუნებლად არც ისე კარგი ადგილია.

– მისმინე. ხომ იცი, რომ დალმანი შვებულებაშია? ჰოდა, დღეს ჰენრიმ ვიღაც ტიპთან ერთად დაინახა მაგიდასთან.

– და?

– ჰენრიმ ის ტიპი თავის სტატიებისთვის თანდართული ფოტოებიდან იცნო. კრისტერ სოდერია.

– სახელი არ მეცნობა, მაგრამ...

– „ვენერსტრომ-გრუპში“ შემავალ Finansmagasinet monopol-ში მუშაობს.

ბლუმკვისტი საწოლში წამოჯდა.

– გესმის?

– დიახ, დიახ. მისმინე, შეიძლება მხოლოდ დამთხვევაა. სოდერიც ჟურნალისტია და იქნებ ძველი მეგობრები არიან.

– არ ვიცი, პარანოია დამეწყო თუ არა, მაგრამ რამდენიმე თვის წინ „მილენიუმმა“ ჟურნალისტისგან სტატია იყიდა, მაგრამ სანამ ჩვენ დავბეჭდავდით, სოდერმა ლამის იდენტური მასალა გამოაქვეყნა. ხომ გახსოვს ის სტატია მობილური ტელეფონების მწარმოებელსა და დეფექტიან ნაწილებზე?

– გასაგებია, მაგრამ ეგეთი რამეებიც ხდება ხოლმე. ერიკას ელაპარაკე?

– არა, ის კიდევ ერთი კვირა არ დაბრუნდება.

– ნურაფერს მოიმოქმედებ. მე თვითონ დაგიკავშირდები, – დაარიგა ბლუმკვისტმა.

– პრობლემაა რამე? – ჰკითხა მას სალანდერმა.

– დიახ, „მილენიუმთან“ დაკავშირებით, – უპასუხა ბლუმკვისტმა, – რედაქციაში უნდა წავიდე. გინდა შენც წამოხვიდე?

რედაქციის ოფისი ცარიელი იყო. სალანდერმა სამ წუთში მოახერხა დალმანის კომპიუტერზე პაროლის გატეხა და ორ წუთში მთელი მისი მყარი დისკი ბლუმკვისტის „აიბუქში“ გადატვირთა.

დალმანის იმეილების უმეტესობა ალბათ მის ლეპტოპზე ინახებოდა, მაგრამ „მილენიუმის“ კომპიუტერის მეშვეობით სალანდერმა დაადგინა, რომ ჟურნალის კერძო ელფოსტის გარდა, დალმანს Hotmail-მისამართიც ჰქონდა. გოგონამ იმის კოდიც ექვს წუთში გატეხა და მთელი გასული წლის ფოსტა გადმოტვირთა. ხუთი

წუთის შემდეგ ბლუმკვისტმა უკვე იცოდა, რომ დალმანი „მილენიუმის“ მდგომარეობის შესახებ ინფორმაციას Finansmagasinet Monopol-ის რედაქტორს გადასცემდა, მათ შორის, იმასაც, თუ რის გამოქვეყნებას გეგმავდა ხოლმე ბერგერი ჟურნალის ახალ ნომრებში. დალმანს ჯაშუშობა გასულ შემოდგომას დაეწყო.

კომპიუტერები გამორთეს, ბლუმკვისტის ბინაში დაბრუნდნენ და დაიძინეს. დილის ათ საათზე ბლუმკვისტმა კრისტერ მალმს დაურეკა.

– დამამტკიცებელი საბუთი მაქვს, რომ დალმანი ვენერსტრომის სასარგებლოდ ჯაშუშობს.

– ასეც ვიცოდი. შესანიშნავია. მაგ ღორს დღესვე დავიფრენ.

– არა, ნურაფერს იზამ.

– რატომ?

– კრისტერ, დამიჯერე. დალმანი ხომ ისევ შვებულებაშია?

– დიახ. ორშაბათს ბრუნდება.

– დღეს რედაქციაში ვინ იქნება?

– ნახევარი რედაქცია ისევ აქ ვართ.

– შეგიძლია ორ საათისთვის კრება დანიშნო? ნურავის ეტყვი, კრებას რასთან დაკავშირებით ნიშნავ. მეც მოვალ.

საკონფერენციო მაგიდასთან ექვსი ადამიანი იჯდა. მალმი გადაღლილი ჩანდა. ჰენრიკ კორტესი შეყვარებულს ჰგავდა, ოცდაოთხი წლის მამაკაცი სხვანაირად არც შეიძლება გამოიყურებოდეს. ნილსონი სკამზე ცქმუტავდა – მალმს არავისთვის გაემხილა, რატომ დანიშნა შეხვედრა, ნილსონი კი ჟურნალის ძველი თანამშრომელი იყო და არ მოსწონდა, როცა საქმის კურსში წინასწარ არ აყენებდნენ; არადა, აშკარად რაღაც ხდებოდა. მშვიდად იჯდა მხოლოდ ინგელა ისაქსონი, რომელიც კვირაში მხოლოდ ორი დღე მუშაობდა და უბრალო ადმინისტრაციულ საქმეებს აგვარებდა, ხელმომწერთა სიებს ადგენდა და ა. შ. მას ორი წლის ბავშვი ჰყავდა და მუდმივად დაქანცული სახე ჰქონდა. თავისუფალი კონტრაქტორი ლოტა კარიმი შვებულებიდან ერთი კვირის წინ დაბრუნებულიყო. მალმს მაგნუსონიც მოეყვანა, მიუხედავად იმისა, რომ ისიც შვებულებაში იყო.

ბლუმკვისტი შეკრებილებს თბილად მიესალმა და მოუბოდიშა, რომ დიდი ხნის განმავლობაში არ ჩანდა.

– დღევანდელი შეხვედრის თემაზე მე და მალმმა ერიკასთან მოთათბირება ვერ მოვახერხეთ, მაგრამ ერიკას სახელითაც მე ვილაპარაკებ. დღეს „მილენიუმის“ მომავალზე ვისმჯელებთ.

ბლუმკვისტი შეყოვნდა, რომ შეკრებილთათვის ამ სიტყვების გააზრების საშუალება მიეცა. კითხვა არავის დაუსვამს.

– უკანასკნელი წელი მძიმე გამოდგა. გაოცებული ვარ და მეამაყება, რომ არც ერთი თქვენგანი არ შედრკა და სამუშაოს სხვაგან მოძებნა არ მოინდომა. ჩემი აზრით, ან ყველანი სრული შეშლილები ხართ, ან – ძალიან ერთგულები და ამ ჟურნალში მუშაობა მოგწონთ. ამიტომაც დღეს ყველაფერს გაგიმხელთ და თქვენს დახმარებას უკანასკნელად მოვითხოვ.

– უკანასკნელად? – თქვა ნილსონმა, – ისე ჟღერს, ჟურნალის დახურვას უნდა აპირებდე.

– დიახ, მონიკა, – უპასუხა ბლუმკვისტმა, – მიხარია, რომ თვითონ მიხვდი. როგორც კი ერიკა შვებულებიდან დაბრუნდება, კრებას დანიშნავს, სადაც გამოცხადდება, რომ ჟურნალი „მილენიუმი“ საშობაოდ დაიხურება და თქვენ ყველანი უმუშევრები დარჩებით.

მაგიდის გარშემო ნერვიული ჩურჩული ატყდა. თვით მალმიც კი დაეჭვდა, ბლუმკვისტი ხომ არ ხუმრობსო, მაგრამ ამ დროს ყველამ დაინახა, როგორ გაეცინა ბლუმკვისტს.

– ამ შემოდგომაზე ორმაგ თამაშში ჩაერთვებით. საქმე ისაა, რომ ჩვენი აღმასრულებელი რედაქტორი, იანე დალმანი ჰანს-ერიკ ვენერსტრომის ჯაშუშია. რაც ნიშნავს, რომ მტერს ჩვენს შიდა ინფორმაციას აწვდის. სწორედ ამით აიხსნება ის უამრავი უიღბლობა, რაც ამ ერთი წლის განმავლობაში ბევრჯერ განვიცადეთ. განსაკუთრებით კარგად ეს შენ მოგეხსენება, სონი, როცა დამკვეთებმა ყოველგვარი ახსნა-განმარტების გარეშე თქვეს რეკლამის განთავსებაზე უარი.

დალმანი რედაქციაში არავის მოსწონდა, ამიტომ ამ ამბის გაგება არავის გაჰკვირვებია. ბლუმკვისტმა სწრაფად გააგრძელა.

– თქვენ ყველას გენდობით და პირდაპირ გაგიმხილეთ სიმართლე. არც თქვენს შესაძლებლობებში მეპარება ეჭვი, ამიტომაც მჯერა, რომ საკუთარ როლებს ყველანი ზუსტად შეასრულებთ. აუცილებელია, ვენერსტრომმა დაიჯეროს, რომ „მილენიუმი“ გაკოტრების ზღვარზეა.

– სინამდვილეში როგორ მდგომარეობაში ვართ? – იკითხა კორტესმა.

– გეტყვით: ყველანაირი მონაცემებით, ახლა ცალი ფეხი სამარეში გვიდგას, მაგრამ სიტყვას გაძლევთ, ჩვენ გადავრჩებით. „მილენიუმი“ დღეს უფრო ძლიერია, ვიდრე ერთი წლის წინ იყო. ამ შეხვედრის დასრულებისთანავე კიდევ ორი თვით გავუჩინარდები. ოქტომბრის ბოლოს დავბრუნდები და მერე ყველა ერთად ვენერსტრომს ძირს დავცემთ.

– რანაირად? – დაინტერესდა ნილსონი.

– მაპატიე, მონიკა, მაგრამ დეტალურად ვერ აგიხსნი. ახალ სტატიას ვწერ და ამჯერად ყველაფერი კარგად იქნება. ვაპირებ ვენერსტრომი საშობაოდ შევბრაწო და რამდენიმე კრიტიკოსი დესერტად ზედ მივაყოლო.

განწყობა ყველას გამოუკეთდა. ბლუმკვისტმა გაიფიქრა, ნეტა მე რას ვიგრძნობდი, მათ რიგებში მჯდომი მსმენელი რომ ვყოფილიყავიო. ვითომ დაეჭვდებოდა? ალბათ კი.

„საბედნიეროდ, „მილენიუმის“ თანამშრომელთა მცირერიცხოვანი ჯგუფი ისევ მენდობა“.

ბლუმკვისტმა ხელი ასწია მათ დასაშოშმინებლად.

– ვენერსტრომმა უნდა დაიჯეროს, რომ „მილენიუმი“ გაკოტრების ზღვარზეა, რადგან არ მინდა, რომ რამეში დაეჭვდეს და ის სამხილები თავიდან მოიცილოს, რომელთა გამოქვეყნებასაც მე ვაპირებ. სცენარს დავწერთ და მომდევნო თვეების განმავლობაში ყველანი თქვენს როლებს შეასრულებთ. მთავარია, დღეს აქ ნათქვამი და განხილული წერილობით არსად იყოს ნახსენები – მათ შორის ელექტრონულ წერილებში. უცნობია, ვის კომპიუტერებში იქექება დალმანი. როგორც გავარკვიე, თანამშრომელთა იმელების წაკითხვა ადვილი ყოფილა. ამგვარად, ყველაფერს სიტყვიერად შევათანხმებთ. თუ რამის დაზუსტება დაგჭირდებათ, კრისტერთან სახლში მიხვალთ. სიფრთხილე უნდა დავიცვათ.

ბლუმკვისტმა დაფაზე „არანაირი იმეილი“ მიაწერა.

– მეორე: მინდა, რომ ბევრი იწუწუნოთ და დალმანის სიახლოვეს ხშირად მლანძღოთ. ოღონდ ძალიან ნუ გადაამლაშებთ. ბუნებრივად უნდა გამოგივიდეთ. კრისტერ, მინდა, რომ შენ და ერიკამ მუდმივად იკამათოთ. შენი წარმოსახვა მოიშველიე და მიზეზები საიდუმლოდ შეინახე.

ბლუმკვისტმა დაფაზე „ხშირად ვიწუწუნოთ“ მიაწერა.

– მესამე, როცა ერიკა დაბრუნდება, მას დაევალება, იანე დალმანი დააჯეროს, რომ „ვანგერების კორპორაციასთან“ ჩვენი ხელშეკრულება ჩაიშალა – სინამდვილეში კი, ის ძველებურად მხარს გვიჭერს – ვითომ ჰენრიკ ვანგერის მძიმე ავადმყოფობისა და მარტინ ვანგერის ავტოავარიაში დაღუპვის გამო.

ბლუმკვისტმა ამჯერად დაფაზე „დეზინფორმაცია“ მიაწერა.

– ხელშეკრულება ხომ ისევ ძალაშია? – ყოველი შემთხვევისათვის იკითხა ნილსონმა.

– მერწმუნე, „ვანგერების კორპორაცია“ ყველაფერზე წავა „მილენიუმის“ გადასარჩენად, – უპასუხა ბლუმკვისტმა, – რამდენიმე კვირაში, დაახლოებით

აგვისტოს ბოლოს, ერიკა ბერგერი კრებას მოიწვევს და მოსალოდნელ შემცირებებზე განაცხადებს. ყველამ იცოდეთ, რომ ეს ცრუინფორმაცია იქნება და აქედან მხოლოდ იანე დალმანს დაითხოვენ. თუმცა, თქვენ მაინც დაიწყეთ ახალი სამუშაოს ძებნა, თან იწუწუნეთ, რეზიუმეში „მილენიუმის“ ხსენება ძალიან არამომგებიანიაო.

– მართლა გგონია, რომ ეს თამაში „მილენიუმს“ იხსნის? – ჰკითხა მაგნუსონმა ბლუმკვისტს.

– დარწმუნებული ვარ. სონი, მინდა რომ ყოველთვიურად გააყალბო სტატისტიკური მონაცემები. თქვი, რომ სარეკლამო შემოსავლები იკლებს და ხელმომწერთა რაოდენობაც მცირდება.

– მგონი, კარგად ვიხალისებთ, – თქვა ნილსონმა, – ამ ინფორმაციამ პრესაშიც უნდა გაჟონოს თუ რედაქციას არ უნდა გასცდეს?

– რედაქციას არ უნდა გასცდეს. თუ პრესაში ამაზე დაიწერება, გვეცოდინება, ეს ვინც გააკეთა. რამდენიმე თვის შემდეგ კი, თუ ვინმე გვკითხავს, ვუპასუხებთ, რომ ეს მხოლოდ ჭორები იყო და „მილენიუმის“ დახურვაზე არასდროს გვიფიქრია. ყველაზე კარგი იქნება, დალმანი თუ მართლა მიაწვდის ასეთ ცნობებს მედიასაშუალებებს. მომავალში მათ წინაშე ნამდვილ სულელად გამოჩნდება. ასე რომ, დალმანისთვის რაც შეიძლება სულელური და დაუჯერებელი ცნობების მიწოდებას ნუ დაიზარებთ.

მომდევნო ერთი საათის განმავლობაში სცენარს წერდნენ და როლებს ინაწილებდნენ.

შეხვედრის შემდეგ ბლუმკვისტმა და მალმმა ყავა დალიეს „იავაში“ ჰორნსგატსპუკელნზე.

– კრისტერ, ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ერიკას აეროპორტში დახვდე და ყველაფერი აუხსნა. უნდა დაარწმუნო, რომ თამაშში აგვყვეს. მისი ხასიათი რომ ვიცი, დალმანს დაუყოვნებლივ დაუპირისპირდება, ეს კი სრულიად დაუშვებელია. არ მინდა, ვენერსტრომმა რამე იეჭვოს და სამხილები გადამალოს.

– ჩემი იმედი გქონდეს.

– და კიდევ, სანამ დამშიფრავ პროგრამას არ დააყენებს და მის გამოყენებას არ ისწავლის, ერიკა ელფოსტას არ გააკარო. დარწმუნებული ვარ, დალმანის მეშვეობით, ვენერსტრომი ჩვენს მიმოწერას ეცნობოდა. რედაქციაში ყველამ დაიყენოს PGP. ეს ჩვეულებრივად უნდა მოხდეს. კომპიუტერული კონსულტანტის სახელს მოგცემ, მას დაუკავშირდები და ქსელისა და რედაქციის კომპიუტერების შემოწმებას სთხოვ. დანარჩენს ის ტიპი თვითონ მიხედავს და, რაც საჭიროა, ყველაფერს დააყენებს.

– რაც შემიძლია, ყველაფერს ვიზამ. მაგრამ, მიქაელ, მითხარი, რაზე მუშაობ?

– ვენერსტრომზე.

– უფრო კონკრეტულად?

– ჯერჯერობით ამას საიდუმლოდ ვინახავ.

მალმი უხერხულად შეიშმუშნა.

– მე ყოველთვის გენდობოდი, მიქაელ. შენ არ მენდობი?

ბლუმკვისტს გაეცინა.

– რასაკვირველია, გენდობი. მაგრამ ამჟამად საჭირო მასალების მოძიებას... ასე ვთქვათ, დანაშაულებრივი გზებით ვცდილობ, რაც შეიძლება ორწლიან პატიმრობად დამიჯდეს. ვენერსტრომს მისივე მეთოდებით ვებრძვი. არ მინდა, შენ, ერიკა ან „მილენიუმის“ რომელიმე თანამშრომელი გაგრიოთ ამ საქმეში.

– ძალიან მაშინებ.

– დაწყნარდი, კრისტერ, და ერიკას უთხარი, სტატია სკანდალური გამოვა-თქო. ნამდვილი ბომბი იქნება.

– ხომ იცი, არ მოისვენებს, სანამ არ გაიგებს, რაზე მუშაობ...

მიქაელი წამით ჩაფიქრდა. მერე გაიღიმა.

– უთხარი, გაზაფხულზე ჩემს დაუკითხავად ჰენრიკ ვანგერთან შეთანხმებით, ცხადად მიმანიშნა, რომ ამჟამად მხოლოდ თავისუფალი ჟურნალისტი ვარ, რომელსაც „მილენიუმის“ სარედაქციო პოლიტიკაზე არანაირი გავლენა არ აქვს. ჰოდა, მეც აღარ მევალება, მას რამე შევუთანხმო. მაგრამ პირობას ვდებ, რომ თუ კარგად მოიქცევა, დასრულებულ სტატიას პირველს მას წავაკითხებ.

– ნაღდად გადაირევა, – გამხიარულდა მალმი.

ბლუმკვისტი მალმთან ბოლომდე გულწრფელი არ ყოფილა. ბერგერს განგებ არიდებდა თავს. უკეთესი იქნებოდა, პირადად დაკავშირებოდა მას და ყველაფერი აეხსნა, მაგრამ მასთან საუბარი არ სურდა. რამდენჯერაც მობილური ამოიღო, ბერგერთან დარეკვა იმდენჯერ გადაიფიქრა.

პრობლემა ის იყო, რომ მისთვის თვალის გასწორების ერიდებოდა. პროფესიული თვალსაზრისით, ჰედესტადში ბლუმკვისტმა უდიდესი შეცდომა დაუშვა. წარმოდგენა არ ჰქონდა, როგორ აეხსნა ბერგერისთვის, რომ დანაშაულზე თვალის დახუჭვას დათანხმდა. მეორე მხრივ კი, ერიკა ბერგერის მოტყუება ბლუმკვისტს არ უყვარდა.

გარდა ამისა, უკვე მთლიანად ვენერსტრომზე იყო გადართული და სხვა არაფრისთვის ეცალა. ამიტომაც ბერგერის ნახვა გადაიფიქრა და მობილურიც გამორთო, რომ თუნდაც დროებით მასთან საუბარი გადაედო.

რედაქციაში გამართული კრების შემდეგ, ბლუმკვისტი სანდჰამნში, თავის საზაფხულო აგარაკზე გადავიდა; ბოლოს იქ ერთი წლის წინ იყო. თან ამობეჭდილი დოკუმენტებით სავსე ორი ყუთი და სალანდერის მოცემული ათი კომპაქტ-დისკი მიჰქონდა. საჭმელ-სასმელი ბლომად მოიმარაგა, კარი ჩაკეტა, „აიბუქი“ ჩართო და წერა დაიწყო. ყოველდღე ცოტას გაისეირნებდა, გაზეთებს იყიდდა და სურსათის მაღაზიაში შეივლიდა ხოლმე. ნავსადგომი იახტებით იყო სავსე და მდიდარი მამების შვილები „მყვინთავების ბარში“ უგონოდ ილეშებოდნენ. ბლუმკვისტი ყურადღებას არავის აქცევდა. დილით გაღვიძებისთანავე კომპიუტერს მიუჯდებოდა და გვიან ღამემდე, სანამ დაღლილობისგან თვალები არ მოეხუჭებოდა, არ წვებოდა.

დაშიფრული იმეილი:

მთავარი რედაქტორი <erika.berger@millennium.se>-სგან

შვებულებაში მყოფ რედაქტორს

<mikael.blomkvist@millennium.se>-ს:

„მიქაელ, მაინტერესებს რა ხდება. შვებულებიდან დაბრუნებულს სრული ქაოსი დამხვდა. იანე დალმანი ჯაშუში ყოფილა, შენ რაღაც ორმაგი თამაში წამოგიწყია, მარტინ ვანგერი მოკვდა, ჰარიეტ ვანგერი ცოცხალია... ჰედებიზე რა ხდება? სად ხარ? რამეზე მუშაობ? მობილურზე რატომ არ მპასუხობ?

ერიკა.

p.s. მივხვდი, რაზეც მიმანიშნე იმ შენი ირონიული დაპირებით, რომელიც კრისტერმა დიდი „სიამოვნებით“ გადმომცა. მაგ სიტყვებს ინანებ. სერიოზულად მიბრაზდები?“

<mikael.blomkvist@millennium.se>-სგან

<erika.berger@millennium.se>-ს:

„გამარჯობა, რიკი. თუ ღმერთი გწამს, საიდან მოიგონე, რომ გიბრაზდები? მაპატიე, რომ შენთან დალაპარაკება ვერ მოვახერხე, მაგრამ ეს ბოლო თვეები ჩემს ცხოვრებაში ყველაზე არეულ-დარეული იყო. ყველაფერს მოგიყვები, ოღონდ პირისპირ შეხვედრისას და არა – იმეილით. მე სანდჰამნში ვარ. დიახ, ვმუშაობ, მაგრამ არა ჰარიეტ ვანგერის საქმეზე. ცოტა ხნით კომპიუტერს უნდა მივეჯაჭვო. მალე ყველაფერი დამთავრდება. დამიჯერე.

გეხვევი და გკოცნი. მიქაელი“.

<erika.berger@millennium.se>-სგან

<mikael.blomkvist@millennium.se>-ს:

„სანდჰამნში? ახლავე მოვდივარ შენს სანახავად“.

<mikael.blomkvist@millennium.se>-სგან

<erika.berger@millennium.se>-ს:

„ჯერ არ ჩამოხვიდე. დაიცადე, სანამ წერას მოვრჩები. თანაც, სტუმარს ველოდები“.

<erika.berger@millennium.se>-სგან

<mikael.blomkvist@millennium.se>-ს:

„თუ ეგრეა, აღარ ჩამოვალ. მაგრამ უნდა ვიცოდე, რა ხდება. ჰენრიკ ვანგერი ისევ გენერალური დირექტორი გახდა, მაგრამ ჩემს ზარებს არ პასუხობს. თუ ვანგერთან ხელშეკრულება გაუქმებულია, აუცილებლად უნდა გამაგებინო.

რიკი.

p.s. ვინ არის ეგ შენი სტუმარი?“

<mikael.blomkvist@millennium.se>-სგან

<erika.berger@millennium.se>-ს:

„პირველი: ჰენრიკთან ხელშეკრულება არ გაუქმებულა. მაგრამ მოხუცი ჯერ კიდევ არ გამოკეთებულა, თანაც ჰარიეტის დაბრუნებამ და მარტინის სიკვდილმა ისეთი ქაოსი გამოიწვია, ალბათ ცოტა ხნით სხვა არაფრისთვის სცალია. მეორე: „მილენიუმი“ გადარჩება. ჩემს კარიერაში უმნიშვნელოვანეს სტატიას ვწერ, რომელიც ვენერსტრომს ერთხელ და სამუდამოდ ჩაძირავს. მესამე: ჩემი ცხოვრება ამ მომენტში თავდაყირა დგას, მაგრამ შენთვის, ჩემთვის და „მილენიუმისთვის“ არაფერი იცვლება. დამიჯერე. გკოცნი. მიქაელი.

p.s. ჩემს სტუმარს შესაძლებლობისთანავე გაგაცნობ“.

სანდჰამნში ჩასულ სალანდერს ბლუმკვისტი წვერგაუპარსავი და თვალებჩაცვენილი დახვდა. ის სწრაფად გადაეხვია გოგონას, ლოყაზე აკოცა და უთხრა, ყავა მოიდუღეო, თვითონ კი ისევ კომპიუტერს მიუჯდა, რაღაც უნდა ჩავამთავროო.

სალანდერმა ქოხი მოათვალიერა და მოეწონა. ნავსაბმელთან ახლოს იდგა, კარიდან სამ ნაბიჯში სანაპირო იყო. ქოხის ფართობი სულ ოცდაათი კვადრატული მეტრი იქნებოდა, სამაგიეროდ, დიდი ჭერი და საძინებლიანი ანტრესოლი ჰქონდა. გოგონა იქ წელში გამართული იდგა, ბლუმკვისტს კი ოდნავ მოხრა უწევდა, თუმცა, ფართო საწოლზე ორივე თავისუფლად ეტეოდა.

კარის გვერდით, კედელზე ამოჭრილი დიდი ფანჯრიდან, წყლის ხედი იშლებოდა. სწორედ ფანჯარასთან იდგა სასადილო მაგიდა, რომელიც ბლუმკვისტისთვის სამუშაო მაგიდის მოვალეობას ასრულებდა. მის თავზე თარო ეკიდა, სადაც CD

ფლეიერი და ელვის პრესლის და მძიმე როკის შემსრულებელი ჯგუფების კომპაქტ-დისკები ეწყო. სალანდერი ამ კოლექციამ დიდად ვერ მოხიბლა.

კუთხეში წინიდან შემინული სტეატიტის ქურა იდგა. ქოხის დანარჩენი ავეჯი თუ მორთულობა მხოლოდ დიდი გარდერობისგან, ჭურჭლის სარეცხ-გასამშრალებელი ტილოებისგან და ნიჟარისგან შედგებოდა. ნიჟარა აგრეთვე პირსაბანის მოვალეობასაც ასრულებდა. ნიჟარის ზემოთ ამოჭრილი პატარა ფანჯარა ქოხის უკანა ეზოს გადაჰყურებდა. ანტრესოლამდე ასასვლელი სპირალური კიბის ქვეშ ბლუმკვისტს ბიოტუალეტისთვის სივრცე შემოეტიხრა. ერთი სიტყვით, ქოხი გემის კაიუტას ჰგავდა.

მიქაელ ბლუმკვისტზე ჩატარებული პირადი კვლევისას სალანდერს აღმოეჩინა, რომ ქოხი თვითონ ბლუმკვისტს გაერემონტებინა და ავეჯიც საკუთარი ხელით დაემზადებინა. ასეთი დასკვნა გოგონამ ახლობლის მიერ მიქაელისთვის გაგზავნილ იმეილზე დაყრდნობით გამოიტანა. ეს ახლობელი ბლუმკვისტის ხელმარჯვეობით აღფრთოვანებას ვერ მალავდა. იქაურობა უბრალო, სუფთა და ერთი შეხედვით, არაფრით გამორჩეული იყო, ლამის სპარტული წესით მოწყობილი. გოგონა მაშინვე მიხვდა, რატომ მოსწონდა ბლუმკვისტს თავისი ქოხი.

ორსაათიანი მცდელობის შემდეგ სალანდერმა როგორღაც მოსწყვიტა ბლუმკვისტი კომპიუტერს, წვერი ძალით გააპარსვინა და მცირე ექსკურსიის მოწყობაზე დაითანხმა. მოღრუბლული და ქარიანი დღე იყო, ამიტომ ადგილობრივ ლუდხანას შეაფარეს თავი. ბლუმკვისტმა აუხსნა, რასაც წერდა, ხოლო სალანდერმა კომპაქტ-დისკი გადასცა, სადაც ვენერსტრომის კომპიუტერიდან გადმოტვირთული უახლესი ინფორმაცია ჩაეწერა.

მერე ქოხში დაბრუნდნენ და სალანდერმა ბლუმკვისტის საწოლში შეთრევაც მოახერხა. ღამით რომ გამოეღვიძა, საწოლში მარტო იწვა. ქვემოთ ჩაიხედა. ბლუმკვისტი ისევ კომპიუტერს მისჯდომოდა. სალანდერს დიდხანს აღარ დასძინებია, იდაყვზე დაყრდნობილი იწვა და ბლუმკვისტს უყურებდა. კაცი ბედნიერი ჩანდა; თვითონაც უჩვეულოდ კმაყოფილი იყო ცხოვრებით.

სალანდერი ხუთი დღის შემდეგ სტოკჰოლმში წავიდა არმანსკის დავალების შესასრულებლად. თერთმეტ დღეში საქმეს მორჩა, მოხსენებაც დაწერა და ისევ სანდჰამნში დაბრუნდა. მიქაელის „აიბუქის“ გვერდით პრინტერით ამობეჭდილი ქაღალდის ფურცლების ზვინი უფრო და უფრო იზრდებოდა.

ამჯერად გოგონა ერთი თვით დარჩა და ბლუმკვისტთან ერთად ყოველდღიურ რუტინაში ჩაება. დილის რვა საათზე დგებოდნენ, საუზმობდნენ და ერთ საათს ერთად ატარებდნენ. მერე მიქაელი სადილობამდე მუშაობდა. ნასადილევს სეირნობდნენ და საუბრობდნენ. სალანდერი უმეტეს დროს საწოლში ატარებდა; ხან წიგნებს კითხულობდა, ხან ბლუმკვისტის ADSL-ში მოდემის დახმარებით

ინტერნეტში იქექებოდა. ცდილობდა, მუშაობისას მიქაელისთვის ხელი არ შეეშალა. გვიან ღამით ივახშმებდნენ და ნავახშმევს სალანდერი ძალით აათრევდა ხოლმე ბლუმკვისტს ზევით. საწოლში კი ბლუმკვისტი მას მაქსიმალურ ყურადღებას უთმობდა.

სალანდერი თავის პირველ, ნამდვილ შვებულებაში იმყოფებოდა.

დაშიფრული იმეილი:

<erika.berger@millennium.se>-სგან

<mikael.blomkvist@millennium.se>-ს:

„გამარჯობა, მიქაელ,

ოფიციალურ სიახლეს გატყობინებ. იანე დალმანი ჩვენი ჟურნალიდან წავიდა და სამ კვირაში Finansmagasinet Monopols-ში იწყებს მუშაობას. შენი თხოვნისამებრ, არაფერი მითქვამს. სხვებიც თავიანთ როლებს ასრულებენ და თვალთმაქცობას აგრძელებენ.

ერიკა.

p.s. სხვათა შორის, ძალიან ხალისობენ. ჰენრი და ლოტა „წაკამათდნენ“ და დალმანის დასანახად ერთმანეთს ნივთების სროლა დაუწყეს. დაუჯერებელია, მაგრამ დალმანი ვერ მიხვდა, რომ ყველაფერი დადგმული იყო“.

<mikael.blomkvist@millennium.se>-სგან

<erika.berger@millennium.se>-ს:

„დალმანს ჩემი სახელით წარმატებები უსურვე და თავის გზაზე გაუშვი. მაგრამ ყველაფრისთვის მზად იყავით. გეხვევი და გკოცნი.

მიქაელი“.

<erika.berger@millennium.se>-სგან

<mikael.blomkvist@millennium.se>-ს:

„აღმასრულებელი რედაქტორი აღარ მყავს, ორ კვირაში კი ჟურნალის ახალი ნომერი გამოდის. ჩემი საუკეთესო რეპორტიორი სანდჰამნშია და ჩემთან საუბარი არ სურს. მიკე, მუხლმოდრეკით გევედრები, ჩამოდი!

ერიკა“.

<mikael.blomkvist@millennium.se>-სგან

<erika.berger@millennium.se>-ს:

„კიდევ რამდენიმე კვირა გაძელი და ამასობაში ფინიშამდეც მივაღწევთ. დეკემბრის ნომრის მომზადება დაიწყე. ჟურნალის ისტორიაში გამორჩეული ნომერი იქნება. ჩემი სტატია ორმოცგვერდიანი უნდა გამოვიდეს.

მიქაელი“.

<erika.berger@millennium.se>-სგან

<mikael.blomkvist@millennium.se>-ს:

„ორმოცგვერდიანი!!! გაგიჟდი?“

<mikael.blomkvist@millennium.se>-სგან

<erika.berger@millennium.se>-ს:

„სპეციალური გამოშვება იქნება. კიდევ სამი კვირა მჭირდება. გთხოვ ეს გააკეთე:

1) „მილენიუმის“ სახელით საგამომცემლო კომპანია დაარეგისტრირე.

2) ISBN ნომერი აიღე.

3) კრისტერს ახალი კომპანიისთვის მოხდენილი ლოგოს დამზადება სთხოვე.

4) კარგი სტამბა იპოვე, რომელიც ხარისხიანად და იაფად დაბეჭდავს თხელყდიან ტირაჟს. და კიდევ, ჩვენი პირველი წიგნის გამოსაცემად ფინანსები დაგვჭირდება.

გკოცნი, მიქაელი“.

<erika.berger@millennium.se>-სგან

<mikael.blomkvist@millennium.se>-ს:

„სპეციალური გამოშვება. საგამომცემლო სახლი. ფული. კიდევ რით შემიძლია გემსახუროთ? სლუსპლანზე შიშველმა ხომ არ ვიცეკვო?

ერიკა.

p.s. იმედი მაქვს, იცი, რასაც აკეთებ. მაგრამ დალმანს რა მოვუხერხო?“

<mikael.blomkvist@millennium.se>-სგან

<erika.berger@millennium.se>-ს:

„დალმანს თავი დაანებე. უთხარი, რომ გათავისუფლებულია. Monopol დიდხანს ვერ გაქაჩავს. ამ ნომერში დამოუკიდებელი ჟურნალისტების სტატიები დაბეჭდეთ. და კიდევ, ბოლოს და ბოლოს, ახალი აღმასრულებელი რედაქტორი აიყვანე.

მიქაელი.

p.s. სლუსპლანზე იცეკვებ? მოვდივარ“.

<erika.berger@millennium.se>-სგან

<mikael.blomkvist@millennium.se>-ს:

„სლუსპლანზე ჩემს ცეკვას ოცნებაშიც ვერ ეღირსები. რაც შეეხება ახალი თანამშრომლის აყვანას, ამას ხომ ყოველთვის ერთად ვაკეთებდით?

რიკი“.

<mikael.blomkvist@millennium.se>-სგან

<erika.berger@millennium.se>-ს:

„და ყოველთვის ერთმანეთს ვეთანხმებოდით. ამჯერადაც ასე იქნება, იმისდა მიუხედავად, თუ ვის აიყვან სამსახურში. ვენერსტრომი უნდა გავანადგუროთ. მთავარი ესაა. ცოტაც მაცალე, რომ მშვიდად დავასრულო მუშაობა.

მიქაელი“.

ოქტომბრის დასაწყისში სალანდერმა Hedestads-Kuriren-ის ინტერნეტ-ვერსიაში სტატია წაიკითხა, რომელიც ბლუმკვისტსაც გააცნო. ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ იზაბელა ვანგერი გარდაცვლილიყო. მას ავსტრალიიდან დაბრუნებული ქალიშვილი ჰარიეტ ვანგერი დაკრძალავდა.

დაშიფრული იმეილი <erika.berger@millennium.se>-სგან

<mikael.blomkvist@millennium.se>-ს:

„გამარჯობა, მიქაელ,

დღეს რედაქციაში ჰარიეტ ვანგერი მესტუმრა. ხუთი წუთით ადრე დამირეკა და სრულიად მოუმზადებელი დავხვდი. ლამაზი ქალი ყოფილა, ელეგანტური ჩაცმულობით და ცივი მზერით. შემატყობინა, საბჭოში მარტინის ნაცვლად ჰენრიკის წარმომადგენელი ამიერიდან მე ვიქნებიო. თავაზიანად და თბილად მესაუბრა. დამარწმუნა, „ვანგერების კორპორაცია“ შეთანხმების პირობების შესრულებას გააგრძელებს და მთელი ოჯახი ჟურნალს სრულ მხარდაჭერას უცხადებსო. რედაქცია დავათვალიერებინე. გამომკითხა, ჟურნალის დღევანდელ მდგომარეობას როგორ შეაფასებდითო. სიმართლე ვუთხარი, რომ თავს დაუცველად ვგრძნობ, რომ სანდჰამნში ჩამოსვლა ამიკრძალე და მხოლოდ ის ვიცი, რომ ვენერსტრომის ჩაძირვას აპირებ, ოღონდ არ მიმხელ, როგორ. (ამ ფაქტის დამალვა საჭიროდ არ ჩავთვალე, ბოლოს და ბოლოს, ჰარიეტი ჩვენი საბჭოს წევრია). მან გაიცინა და მკითხა, ბლუმკვისტის წარმატებაში ეჭვი ხომ არ გეპარებათო. რა მეთქვა? ვუთხარი, მშვიდად მაინც დავიძინებდი, რომ ვიცოდე, რას წერს-მეთქი. ჯანდაბა, რასაკვირველია, შენ გენდობი, მაგრამ ლამისაა, ჭკუიდან შემშალო. ჰარიეტსაც ვკითხე, იქნებ თქვენ

იცოდეთ, ბლუმკვისტი რაზე მუშაობს-მეთქი. არაფერი ვიციო, მიპასუხა, მაგრამ დაამატა, ბლუმკვისტი გამჭრიახი ადამიანია ინოვაციური აზროვნების უნარითო (ეს მისი სიტყვებია). მერე მისი ისტორიით დავინტერესდი, ვიცი, რომ ჰედესტადში რაღაც ტრაგიკული ამბავი მოხდა-მეთქი. მოკლედ, სულელურ მდგომარეობაში აღმოვჩნდი. ჩამეძია, ნუთუ ბლუმკვისტს თქვენთვის არაფერი უთქვამსო. დამარწმუნა, თქვენ ორს ისეთი ურთიერთობა უნდა გქონდეთ, რომ, ბლუმკვისტი როგორც კი მოიცლის, ყველაფერს მოგიყვებათო. შემდეგ მკითხა, თქვენი ნდობა თუ შეიძლებაო. რა მეთქვა? ის „მილენიუმის“ თანამფლობელია, არც შენ მიმხელ რამეს. ჰარიეტმა უცნაური რამ მითხრა. ნურც მე განმსჯით მკაცრად და ნურც – ბლუმკვისტსო. ბლუმკვისტისგან დავალებული ვარ და ძალიან გამიხარდება, თუ ჩვენც დავმეგობრდებითო. იმასაც დამპირდა, თუ ბლუმკვისტი არაფერს გაგიმხელთ, ჩემს ამბავს ოდესმე თავად გიამბობთო. ჰარიეტი ნახევარი საათის წინ წავიდა, მე კი ჯერაც გონს ვერ მოვსულვარ. მგონი, ჰარიეტი მომწონს, მაგრამ საერთოდ რომ არ ვიცნობ?

ერიკა.

p.s. მენატრები. ვგრძნობ, რომ ჰედესტადში რაღაც ცუდი მოხდა. კრისტერმა მითხრა, რომ ყელზე უცნაური ნაიარევი გატყვია“.

<mikael.blomkvist@millennium.se>-სგან

<erika.berger@millennium.se>-ს:

„გამარჯობა, რიკი,

ჰარიეტის ამბავი ისეთი ტრაგიკულია, ვერც წარმოიდგენ. კარგი იქნება, მართლა თვითონ რომ მოგიყვებოდეს. პირადად მე გახსენებაც კი მიჭირს. და კიდევ, მისი ნდობა შეგიძლია. ჩემგან ნამდვილად დავალებულია. დამიჯერე, „მილენიუმის“ საზიანოდ არასდროს არაფერს ჩაიდენს. თუ მოგეწონა, შეგიძლია დაუმეგობრდე. პატივისცემას იმსახურებს. საქმიანი ქალია.

მიქაელი“.

მომდევნო დღეს მიქაელმა კიდევ ერთი იმეილი მიიღო.

<harriet.vanger@vangerindustries.com>-სგან

<mikael.blomkvist@millennium.se>-ს:

„გამარჯობა მიქაელ,

უკვე რამდენიმე კვირაა, თქვენთვის წერილის მოწერას ვცდილობ, მაგრამ ვერაფრით მოვიცალე. ჰედებიდან ისე წახვედით, დამშვიდობება ვერ მოვასწარი. შვედეთში დაბრუნების შემდეგ ათასგვარი შთაბეჭდილებებით და უამრავი საზრუნავით ვარ

გადატვირთული. „ვანგერების კორპორაცია“ ქაოსშია და ჰენრიკთან ერთად ბევრს ვმუშაობ, რომ პრობლემები მოვაგვაროთ. გუშინ „მილენიუმის“ რედაქციაში ვიყავი; ჰენრიკის წარმომადგენელი ამიერიდან მე ვიქნები. ჰენრიკმა ჟურნალის და თქვენი მდგომარეობა დეტალურად გამაცნო. იმედია, წინააღმდეგი არ იქნებით ჩემი უეცარი გამოჩენის. თუ ჩემი ან ოჯახის რომელიმე წევრის საბჭოში ჩართვის წინააღმდეგი ხართ, გაგიგებთ, მაგრამ მინდა დაგარწმუნოთ, რომ „მილენიუმის“ მხარდასაჭერად თავს არ დავზოგავ. თქვენგან დიდად დავალებული ვარ და ჩემს მიმართ გამოჩენილ დიდსულოვნებას არასდროს დაგივიწყებთ. თქვენს კოლეგა ერიკა ბერგერს შევხვდი. არ ვიცი, ჩემზე რა შთაბეჭდილება დარჩა, მაგრამ ძალიან გამიკვირდა, რომ მისთვის ჩემ შესახებ არაფერი გითქვამთ. ძალიან მინდა, დავმეგობრდეთ, თუ, რასაკვირველია, ვანგერების ოჯახმა უკვე თავი არ მოგაბეზრათ.

საუკეთესო სურვილებით, ჰარიეტი.

p.s. ერიკასგან შევიტყვე, რომ ვენერსტრომს ისევ უნდა დაუპირისპირდეთ. ფროდემ მიამბო, ჰენრიკმა როგორ გაგაცურათ. რა გითხრათ? ძალიან ვწუხვარ. თუ დახმარება დაგჭირდებათ, შემატყობინეთ“.

<mikael.blomkvist@millennium.se>-სგან

<harriet.vanger@vangerindustries.com>-ს:

„გამარჯობა ჰარიეტ,

ჰედები ნაჩქარევად დავტოვე და ახლა იმ საქმეზე ვმუშაობ, რომელიც აქამდეც უნდა დამემთავრებინა. სანამ ჩემი სტატია გამოქვეყნდება, თქვენც საქმის კურსში ჩაგაყენებთ, მაგრამ თამამად შემიძლია იმის თქმა, რომ ჟურნალის ერთწლიანი პრობლემები მალე წარსულს ჩაბარდება. იმედი მაქვს, თქვენ და ერიკა დამეგობრდებით... რა თქმა უნდა, „მილენიუმის“ საბჭოში თქვენი ყოფნის წინააღმდეგი არ ვარ. თუ თქვენ საჭიროდ ჩათვლით, თქვენს ისტორიას ერიკას მოვუყვები. უბრალოდ, ჰენრიკმა მთხოვა, არავისთვის არაფერი გამემხილა. ჯერჯერობით კი ამისთვის არც დრო მაქვს და არც სურვილი. ახლა მხოლოდ სიმშვიდე და განმარტოება მჭირდება. კიდევ შემომეხმიანეთ.

საუკეთესო სურვილებით, მიქაელი“.

სალანდერს არ აინტერესებდა, რას წერდა მიქაელი. მაგრამ უცებ ბლუმკვისტმა რაღაც წამოიძახა და გოგონამ წიგნი გადადო.

– უკაცრავად, ხმამაღლა ვფიქრობდი. ჩემი აზრით, ეს საშინელებაა.

– რაა საშინელება?

– ვენერსტრომმა ოცდაორი წლის მიმტანი გოგონა დააორსულა. ადვოკატთან მის მიმოწერას თუ გაეცანი?

– ძვირფასო მიქაელ, მაგ მყარ დისკზე ათი წლის მიმოწერა, შეთანხმებები, სამგზავრო დოკუმენტები და, ღმერთმა უწყის, კიდევ რამდენი რამაა ჩაწერილი. მეტი საქმე არ მაქვს, ექვსგიგაბაიტიანი ნაგვით თავი გამოვიტენო. ცნობისმოყვარეობის დასაკმაყოფილებლად ზერელედ გადავავლე თვალი და იმითაც მივხვდი, რომ საქმე ნამდვილ განგსტერთან გვაქვს.

– კარგი. მოკლედ, მიმტანი 1997 წელს დააორსულა. გოგონა კომპენსაციას ითხოვდა, მაგრამ ვენერსტრომმა ვიღაც მიუგზავნა, რომ აბორტზე დაეთანხმებინა. ჩემი აზრით, აბორტის გასაკეთებლად ფულს სთავაზობდნენ, მაგრამ გოგონამ უარი განაცხადა. მაშინ მას თავი წყალში ჩააყოფინეს და დახრჩობით დაემუქრნენ, თუ ვენერსტრომს არ შეეშვებოდა. ეს ვენერსტრომის დაქირავებული რეგვენი ამ ყველაფერს ადვოკატს წერს, მართალია, დაშიფრულ იმეილში, მაგრამ მაინც... დიდი ჭკუით ვერ უნდა გამოირჩეოდნენ.

– გოგონას რა ბედი ეწია?

– აბორტი გაიკეთა და ვენერსტრომიც დამშვიდდა.

სალანდერი ათი წუთის განმავლობაში დუმდა. მერე ბრაზით თვალებანთებულმა სიძულვილით ჩაიბურტყუნა:

– კიდევ ერთი ქალთმოძულე კაცი.

ბლუმკვისტს კომპაქტ-დისკები გამოართვა და მომდევნო დღეები ვენერსტრომის იმეილების და დოკუმენტების კითხვას დაუთმო. სანამ ბლუმკვისტი სტატიაზე მუშაობდა, საწოლზე ჩამომჯდარ სალანდერს „პაუერბუქი“ მუხლებზე ედო და ვენერსტრომის უჩვეულო იმპერიაზე ფიქრობდა.

უცებ თავში ერთი საინტერესო აზრი მოუვიდა. ისეთი საინტერესო, რომ გაუკვირდა კიდეც, ეს უფრო ადრე რატომ არ მომაფიქრდაო.

ოქტომბრის მიწურულს, დილის თერთმეტ საათზე, ბლუმკვისტმა კომპიუტერი გამორთო. ანტრესოლში ავიდა და თავისი ნაშრომი სალანდერს გაუწოდა, თვითონ კი დაიძინა. საღამოს სალანდერმა გააღვიძა და სტატიის შესახებ თავისი აზრი მოახსენა.

ღამის ორი საათისთვის ბლუმკვისტმა სტატიაში უკანასკნელი შესწორებების შეტანა დაასრულა.

მეორე დღეს დარაბები დახურა და ქოხის კარი ჩაკეტა. სალანდერის შვებულება დასრულდა. სტოკჰოლმში ერთად დაბრუნდნენ.

ვაქსჰოლმის ბორანზე ქაღალდის ჭიქებით ყავას სვამდნენ, როცა ბლუმკვისტმა დელიკატურ საკითხზე ჩამოაგდო სიტყვა:

– უნდა გადავწყვიტოთ, ერიკას რას ვეტყვით. სანამ არ ავუხსნი, მასალა ხელში საიდან ჩავიგდე, დაბეჭდვის უფლებას არ მომცემს.

ერიკა ბერგერი. „მილენიუმის“ მთავარი რედაქტორი და ბლუმკვისტის დიდი ხნის საყვარელი. სალანდერი მას არასდროს შეხვედროდა და ამის არც სურვილი ჰქონდა. ერიკას არსებობა რაღაცნაირად არ სიამოვნებდა.

– ჩემზე რა იცის?

– არაფერი, – ამოიოხრა ბლუმკვისტმა, – საქმე ისაა, რომ ზაფხულიდან მოყოლებული ერიკასთან შეხვედრას თავს ვარიდებ. ძალიან განაწყენებულია, რომ რაც ჰედესტადში მოხდა, ჯერ მისთვის არ მითქვამს. რასაკვირველია, იცის, რომ სანდჰამნში ვიყავი და ვმუშაობდი, მაგრამ სტატიის შინაარსზე არაფერი იცის.

– ჰმმმ.

– რამდენიმე საათში ტექსტი მის მაგიდაზე იდება. მერე კი დაკითხვას მომიწყობს. საკითხავი ისაა, მას რა ვუამბო?

– რის თქმა გინდა?

– სიმართლის.

სალანდერი მოიღუშა.

– ლიზბეთ, მე და ერიკა გამუდმებით ვკამათობთ. შეიძლება ითქვას, რომ სხვანაირად ურთიერთობა არ შეგვიძლია. მაგრამ ის სანდო პიროვნებაა. შენ ჩვენი ინფორმატორი ხარ – მოკვდება, მაგრამ შენს ვინაობას არ გაამხელს.

– კიდევ ვის უნდა უთხრათ ჩემზე?

– არავის. ამ ამბავს მე და ერიკა საფლავში ჩავიტანთ. თუმცა, თუ შენ წინააღმდეგი ხარ, არც ერიკას გავუმხელ შენზე. მეორე მხრივ, ძალიან არ მინდა, რომ ერიკა მოვატყუო და ვიღაც არარსებული ინფორმატორი გამოვიგონო.

სალანდერი დიდხანს ფიქრობდა, სანამ ბორანი „გრანდ ჰოტელთან“ არ გაჩერდა. „გააანალიზე მოსალოდნელი შედეგები“. ბოლოს უხალისოდ დასთანხმდა ბლუმკვისტს, რომ მისი თავი ერიკასთვის წარედგინა. ბლუმკვისტმა მობილური ჩართო და ბერგერს დაურეკა.

ერიკა ბერგერი მალინ ერიქსონთან სადილობდა, მას აღმასრულებელი რედაქტორის თანამდებობა შესთავაზა. ოცდაცხრა წლის ერიქსონს ბოლო ხუთ წელიწადში ბევრი დროებითი სამსახური გამოეცვალა. უკვე ეჭვიც კი ეპარებოდა, რომ მუდმივ სამუშაოს იშოვიდა, როცა ბერგერმა დაურეკა და „მილენიუმში“ დასაქმება შესთავაზა.

– დროებითი, სამთვიანი სამუშაოა, – უთხრა ბერგერმა, სწორედ იმ დღეს, როცა მალინი უკანასკნელი სამსახურიდან დაითხოვეს, – მაგრამ თუ საქმე კარგად წაგვივა, მუდმივი გახდება.

– ხმა დადის, „მილენიუმს“ მძიმე დრო უდგასო.

ბერგერმა გაიცინა.

– ხმებს არ უნდა ენდოთ.

– ეგ დალმანი, მე რომ უნდა შევცვალო... – შეყოყმანდა ერიქსონი, – როგორც გავიგე, ჰანს-ერიკ ვენერსტრომის ჟურნალში იწყებს მუშაობას...

– ალბათ არავისთვის საიდუმლოს არ წარმოადგენს, რომ ვენერსტრომთან კონფლიქტი გვაქვს. არავინ მოსწონს, ვინც „მილენიუმში“ მუშაობს.

– ანუ მეც ასეთთა რიგებში ჩავეწერები?

– სავარუდოდ, დიახ.

– მაგრამ დალმანი ხომ Finansmagasinet Monopol-ში გადავიდა?

– დიახ, ვენერსტრომმა გაწეული სამსახურისთვის მადლობა ასე გადაუხადა. აბა, დაინტერესდით ჩემი შემოთავაზებით?

– საქმეს როდის შევუდგე? – კითხვაზე კითხვით უპასუხა ერიქსონმა.

ამ დროს ბერგერს ბლუმკვისტმა დაურეკა.

ბერგერმა ბლუმკვისტის ბინის კარი თავისი გასაღებით გააღო. ზაფხულში რედაქციაში ხანმოკლე ვიზიტის შემდეგ, ბლუმკვისტს არ შეხვედროდა. მისაღებ ოთახში დივანზე ანორექსიკივით გამხდარი გოგონა იჯდა; მას ტყავის ქურთუკი ეცვა და ფეხები ყავის მაგიდაზე შემოეწყო. სანამ თვალებში ჩახედავდა, ბერგერმა ის თხუთმეტი წლის გოგონად მიიჩნია. როცა ოთახში ბლუმკვისტი შემოვიდა ყავადნით და ნამცხვრით ხელში, ბერგერი ისევ ამ არსებას მისჩერებოდა.

– მაპატიე, რომ აუტანლად ვიქცეოდი, – უთხრა მას ბლუმკვისტმა.

ბერგერმა გვერდულად გამოხედა. ბლუმკვისტი შეცვლილიყო. გამხდარი და გადაღლილი ჩანდა. დარცხვენილი მზერა ჰქონდა და ქალს თავს არიდებდა. ყელზე წითელი რკალი ცხადად ეტყობოდა.

– თავს გარიდებდი. გრძელი ამბავია. სულაც არ მეამაყება, რომ მასში ვმონაწილეობდი. ოღონდ ამაზე მოგვიანებით ვისაუბროთ... ნება მომეცი, ეს ახალგაზრდა ქალი გაგაცნო. ერიკა, ეს ლიზბეთ სალანდერია. ლიზბეთ, ერიკა ბერგერი, „მილენიუმის“ მთავარი რედაქტორი და ჩემი საუკეთესო მეგობარი.

სალანდერმა ყურადღებით შეათვალიერა ელეგანტურად ჩაცმული ბერგერი, რომელიც თავდაჭერილად იქცეოდა და, ათ წამში დაასკვნა, ეს ჩემი საუკეთესო მეგობარი ვერასდროს გახდებაო.

შეხვედრა ხუთ საათს გაგრძელდა. ბერგერმა ორჯერ დარეკა სადღაც სხვა შეხვედრების გასაუქმებლად. ის ბლუმკვისტის ნაშრომს კითხულობდა. ათასი კითხვა ჰქონდა, მაგრამ მათზე პასუხის მიღებას მთელი კვირა დასჭირდებოდა. ჯერჯერობით ამ ნაშრომის წაკითხვა იყო მთავარი. ბოლოს ტექსტი განზე გადადო. ზედაპირულად თვალის გადავლებითაც მიხვდა, რომ ვითარება სრულიად შეიცვალა.

ბერგერმა ბლუმკვისტს შეხედა. მას მიქაელის პატიოსნებაში ეჭვი არასდროს ეპარებოდა, მაგრამ ახლა დაეჭვდა, ვაითუ ვენერსტრომის საქმემ საბოლოოდ გატეხა და ეს დაუჯერებელი სტატია მისი წარმოსახვის ნაყოფიაო. მაგრამ როცა ბლუმკვისტმა ამობეჭდილი დოკუმენტებით სავსე ყუთი გამოათრია, ბერგერი გაფითრდა. რასაკვირველია, მაშინვე მოითხოვა, ამიხსენი, ეს მასალები როგორ მოიპოვეო.

ბლუმკვისტმა ვერაფრით დააჯერა, რომ გოგონამ, რომელსაც მთელი შეხვედრის მანძილზე ხმა ერთხელაც არ ამოუღია, ვენერსტრომის კომპიუტერი გატეხა, და არა მხოლოდ ვენერსტრომისა, არამედ – მისი პარტნიორებისა და ადვოკატებისაც.

ბერგერმა მექანიკურად გააპროტესტა, არალეგალურად მოპოვებული მასალების გამოყენება დაუშვებელიაო, მაგრამ ბლუმკვისტი შეეწინააღმდეგა. სულაც არ იყო აუცილებელი, აეხსნათ, ეს მასალები როგორ მოიპოვეს. შეეძლოთ ეთქვათ, რომ მათ ინფორმატორს ვენერსტრომის კომპიუტერამდე ხელი მიუწვდებოდა და მისი მყარი დისკიდან ინფორმაცია კომპაქტ-დისკებზე გადმოწერა.

ბოლოს, ბერგერიც მიხვდა, რომ ხელთ დამანგრეველი იარაღი ეპყრა. მას უფრო მეტი კითხვა გაუჩნდა, მაგრამ არ იცოდა, რომლით დაეწყო.

– მიქაელ, ჰედესტადში რა შეგემთხვა?

სალანდერმა ბერგერს ჯიქურ გახედა. ბლუმკვისტმა კითხვითვე უპასუხა.

– ჰარიეტ ვანგერს როგორ ეწყობი?

– მშვენივრად, მგონი. ორჯერ შევხვდი. მე და კრისტერი გასულ კვირას ჰედესტადში ვიყავით საბჭოს შეხვედრაზე. ღვინით დავთვერით.

– საბჭოს სხდომამ როგორ ჩაიარა?

– ჰარიეტმა სიტყვა შეასრულა.

– რიკი, ვიცი, ჩემზე ბრაზობდი, რომ არაფერს გიმხელდი. ჩვენ შორის საიდუმლოებები არ არსებობდა და უცებ ჩემი ცხოვრების ბოლო ექვსმა თვემ... შენგან მალულად განვლო.

ბერგერმა ბლუმკვისტს თვალი თვალში გაუყარა. მას მოხარშულს იცნობდა, მაგრამ ახლა მის თვალებში რაღაც განსხვავებული დაინახა. მიქაელი თითქოს სთხოვდა, ნურაფერს მკითხავო.

სალანდერი მათ უსიტყვო დიალოგს თვალს ადევნებდა. ის საერთოდ მიავიწყდათ.

– ცუდი რამ?

– ცუდზე უარესი. ამ საუბარს ძალიან ვუფრთხოდი. გპირდები, ყველაფერს მოგიყვები, მაგრამ ვენერსტრომის საქმეზე გადართულმა, როგორღაც შევძელი იმ საშინელების დავიწყება... არც ახლა ვარ მზად მის მოსაყოლად. მირჩევნია, ყველაფერი ჰარიეტმა გიამბოს.

– ყელზე რა ნაიარევი გატყვია?

– ჰედესტადში ლიზბეთმა გადამარჩინა. ის რომ არა, დღეს ცოცხალი არ ვიქნებოდი.

ბერგერი თვალებდაჭყეტილი მიაშტერდა ტყავისქურთუკიან გოგონას.

– ახლა თქვენ ორნი უნდა შეთანხმდეთ. ის ჩვენი ინფორმატორია.

ბერგერი მცირე ხნით ჩაფიქრდა. შემდეგ ისეთი რამ გააკეთა, რომ ბლუმკვისტი გაოცდა, სალანდერი კი დაფრთხა; თავისი საქციელი თვითონ ბერგერსაც გაუკვირდა; მთელი ეს დრო ხომ ჩუმი გოგონა მტრულად უმზერდა.

ბერგერი წამოდგა, მაგიდას შემოუარა და გოგონას გადაეხვია. სალანდერი ანკესის კავზე წამოცმული ჭიაღუასავით დაიკლაკნა.

თავი XXIX

შაბათი, 1/XI – სამშაბათი, 25/XI

ლიზბეთ სალანდერი ჰანს-ერიკ ვენერსტრომის კიბერ-იმპერიაში უჩუმრად დაძვრებოდა. უკვე მეთერთმეტე საათი იწურებოდა, რაც კომპიუტერის ეკრანს მიშტერებოდა. სანდჰამნში გაჩენილ აზრს მისი გონება სრულად დაემონებინა. ბოლო ოთხი კვირა ბინაში გამოკეტილი იჯდა და არმანსკის აღარ ეკონტაქტებოდა. ყოველდღიურად თორმეტ საათს კომპიუტერთან ატარებდა და თუ ეღვიძა, სულ ჩანაფიქრის განხორციელების გზებზე იმტვრევდა თავს.

ბოლო თვის განმავლობაში ბლუმკვისტსაც იშვიათად უკავშირდებოდა. ისიც თავის საქმეებში იყო ჩაფლული და არ ეცალა. ერთმანეთს კვირაში ერთხელ ურეკავდნენ და სალანდერი ბლუმკვისტს ვენერსტრომის ახალ კორესპონდენციებსა ან სხვა სიახლეებზე ცნობებს აწვდიდა.

გოგონა კიდევ ერთხელ ჩაუღრმავდა დეტალებს. იმის კი არ ეშინოდა, რომ რამე გამორჩა, არამედ დარწუნებული არ იყო, რომ ყველა დეტალის ერთმანეთთან სწორად დაკავშირება შეძლო.

ვენერსტრომის იმპერია ცოცხალი, უფორმო, მფეთქავი ორგანიზმი იყო, რომელიც გამუდმებით იცვლიდა ფორმას. ეს იმპერია ოფციების, აქციების, წილების, პარტნიორული ორგანიზაციების, საპროცენტო სესხების, დივიდენდების, ანაბრების, საბანკო ანგარიშების, ტრანსფერების და ათასი სხვა ელემენტისგან შედგებოდა.

აქტივების უდიდესი ნაწილი ერთიმეორის დაქვემდებარებაში მყოფ ოფშორულ კომპანიებში იყო დაბანდებული.

ფინანსური ექსპერტების ყველაზე გადაჭარბებული შეფასებით „ვენერსტრომ-გრუპი“ 900 მილიარდი კრონის ქონებას ფლობდა, თუმცა, ეს რიცხვი აშკარად გაბერილი იყო. რასაკვირველია, ვენერსტრომს ღარიბს ვერ უწოდებდით, მაგრამ სალანდერის გამოთვლებით, მისი აქტივების ღირებულება დაახლოებით 90-100 მილიარდ კრონას თუ შეადგენდა; ისე, არც ეს იყო ცოტა თანხა. მთელი კორპორაციის აუდიტს ალბათ წლები დასჭირდებოდა. სალანდერმა მთელ მსოფლიოში გახსნილი სამი ათასამდე საბანკო ანგარიში დათვალა. ვენერსტრომის თაღლითობას იმხელა მასშტაბებისთვის მიეღწია, რომ ამას უბრალო დანაშაულს ვეღარ უწოდებდით – ეს უკვე ჭეშმარიტი ბიზნესი იყო.

მაგრამ საფუძვლიანი კვლევის შედეგად დაადგენდით, რომ ვენერსტრომის იმპერია სამ ძირითად მახასიათებელს ემყარებოდა. ფიქსირებული შვედური აქტივები გამჭვირვალე და საჯარო ზედამხედველობისა თუ აუდიტისთვის მუდმივად ხელმისაწვდომი იყო. ამერიკული ფირმაც სოლიდურ ფულად ოპერაციებს აწარმოებდა ცნობილი ნიუ-იორკის ბანკის მეშვეობით. მაგრამ ყველაზე დიდ ინტერესს გიბრალტარზე, კვიპროსსა და მაკაოზე გახსნილი ოფშორული კომპანიები იწვევდა. „ვენერსტრომ-გრუპი“ სამრეცხაოს ჰგავდა, რომელიც იარაღის არალეგალური ვაჭრობით გაკეთებულ ფულს და საეჭვო კოლუმბიური თუ რუსული საწარმოების შემოსავლებს ათეთრებდა.

კაიმანის კუნძულებზე გახსნილი ანონიმური ანგარიში იმით გამოირჩეოდა, რომ პირადად ვენერსტრომისგან კონტროლდებოდა, მაგრამ არც ერთ კომპანიასთან არ იყო დაკავშირებული. სხვადასხვა ბიზნესიდან მიღებული შემოსავლების რამდენიმე პროცენტს ვენერსტრომი ოფშორული კომპანიების მეშვეობით ყოველთვის ამ ანგარიშზე რიცხავდა.

სალანდერი ნახევრად გაბრუებული მუშაობდა. ანგარიში – წკაპ, ელფოსტა – წკაპ, საბუღალტრო აღრიცხვები – წკაპ. უკანასკნელ გადარიცხვებს ინიშნავდა. მცირე ტრანზაქციის კვალს ბოლომდე მისდია – იაპონიიდან სინგაპურამდე და სინგაპურიდან ლუქსემბურგის გავლით კაიმანის კუნძულამდე. გაარკვია, ეს როგორ კეთდებოდა. კიბერსივრცეში მომხდარ უმცირეს ცვლილებებს უკვე ინსტინქტურად ხვდებოდა. უკანასკნელი იმეილი შეამოწმა. ღამის ათ საათზე დაშიფრული მოკლე შეტყობინება გაგზავნეს; მაგრამ ვერანაირი დამცავი პროგრამა ვერ შეუშლიდა ხელს ადამიანს, რომელიც ვენერსტრომის კომპიუტერში იმყოფებოდა. სალანდერმა წერილი წაიკითხა:

„ბერგერმა სარეკლამო შემოსავლების კლებაზე წუწუნი შეწყვიტა. უცნობია, ხელი ჩაიქნია თუ რამეს აპირებს. თქვენმა ინფორმატორმა ჟურნალიდან გვაცნობა, რომ „მილენიუმი“ გაკოტრების ზღვარზეა, მაგრამ ახლა გაირკვა, ახალი თანამშრომელი

აიყვანეს. გაარკვიეთ, რა ხდება. ბლუმკვისტი რამდენიმე კვირის განმავლობაში სანდჰამნში მუშაობდა, მაგრამ არავინ იცის, რას წერდა. ბოლო დღეებია, რედაქციის ოფისში ხედავენ. შეგიძლიათ „მილენიუმის“ ახალი ნომერი წინასწარ მიშოვოთ? ჰ. ე. ვ.“

„საშიში არაფერია. დაე, ინერვიულოს. შენი საქმე წასულია, ძმაო“.

გამთენიისას სალანდერმა კომპიუტერი გამორთო და სიგარეტის მოსაწევად წამოდგა. ღამით ოთხი, არა, ხუთი ქილა „კოკა-კოლა“ უკვე დაელია. მეექვსე ქილას დასწვდა და დივანზე ჩამოჯდა. მხოლოდ ტრუსები და მწვანე სამხედრო მაისური ეცვა, ჟურნალ „იღბლიანი ჯარისკაცების“ რეკლამით; მაისურზე სლოგანი ეწერა: Kill them all and let God sort them out.[xi] შესცივდა. ტანზე საბანი შემოიხვია.

დაბოლილივით გაბრუებული იყო. ფანჯრიდან ლამპიონით გაჩახჩახებულ ქუჩას მისჩერებოდა, მაგრამ მისი ტვინი მთელი ძალით მუშაობდა. დედა – წკაპ – და – წკაპ – მიმი – წკაპ – ჰოლგერ პალმგრენი. Evil Fingers, არმანსკი, სამსახური, ჰარიეტ ვანგერი – წკაპ. მარტინ ვანგერი – წკაპ. გოლფ კლუბი – წკაპ. ადვოკატი ბიურმანი – წკაპ. რამდენიც უნდა ეცადა, ამ დეტალებს ვერაფრით ივიწყებდა.

გაიფიქრა, ნეტა ბიურმანი ქალთან ოდესმე ისევ თუ გაშიშვლდება, მუცელზე დახატულ ტატუებზე რას ეტყვის ან ექიმთან რომ მივა გამოსაკვლევად, ტანსაცმელს გაიხდის თუ არაო?

მიქაელ ბლუმკვისტი – წკაპ.

ბლუმკვისტს კარგ პიროვნებად მიიჩნევდა; ის ზოგჯერ ზედმეტად იჭრებოდა პრაქტიკული გოჭის როლში, მაგრამ მაინც. სამწუხაროდ, მორალის ზოგიერთ ელემენტარულ საკითხთან მიმართებაში აუტანელ გულუბრყვილობას იჩენდა. მიმნდობი და მოწყალე ბუნებისა იყო, ყოველთვის ცდილობდა ადამიანის საქციელისთვის ახსნა მოეძებნა და გაემართლებინა. არადა, მსოფლიოს მტაცებლებს მხოლოდ ერთი ენა ესმით. ყოველთვის, როცა მასზე ფიქრობდა, სალანდერს მისი დაცვის სურვილი უჩნდებოდა.

ვერ გაიხსენა, როდის ჩაეძინა, მაგრამ კედელზე მიყრდნობილს დილის ცხრა საათზე გამოეღვიძა. კისერი გაშეშებოდა. საძინებელში შებანცალდა და საწოლში ჩაწვა ძილის გასაგრძელებლად.

მართლაც უმნიშვნელოვანესი სტატია გამოუვიდათ. ბოლო წელიწად-ნახევრის განმავლობაში ბერგერი თავს ნამდვილად ბედნიერ მთავარ რედაქტორად გრძნობდა. ის და ბლუმკვისტი სტატიას საბოლოო სახეს აძლევდნენ, როცა მიქაელს მობილურზე სალანდერმა დაურეკა.

– დამავიწყდა მეთქვა, რომ ვენერსტრომი დაინტერესდა, რას საქმიანობდი სანდჰამნში. გარდა ამისა, ჟურნალის ახალ ნომერს წინასწარ ითხოვს.

– საიდან გაიგე... აჰ, ჰო, კარგი. შენი აზრით, რას აპირებს?

– რა ვიცი. მხოლოდ ლოგიკურად თუ ვივარაუდებ.

ბლუმკვისტი წამით ჩაფიქრდა.

– სტამბა, – წამოიძახა მან.

ბერგერმა შუბლი შეკრა.

– რედაქციიდან ინფორმაცია არ გადის, ამიტომ ვერაფერსაც ვერ გაიგებს. რასაკირველია, თუ მისი დამქაშები ღამით რედაქციის გატეხას არ ეცდებიან.

ბლუმკვისტი ბერგერისკენ შეტრიალდა.

– ნომერს სხვა სტამბაში დავბეჭდავთ. დრაგან არმანსკის დაურეკე – ღამღამობით დაცვა დავაყენოთ, – მერე ისევ სალანდერთან ლაპარაკი გააგრძელა, – გმადლობ, ლიზბეთ.

– რამდენს გადამიხდი?

– რას გულისხმობ?

– ჩემს ინფორმაციაში რამდენს გადამიხდი?

– რამდენი გინდა?

– კაფეში შევხვდეთ და იქ გეტყვი. ახლავე წამოდი.

ჰორნსგატანზე კაფე-ბარში შეხვდნენ. სალანდერს ისეთი სერიოზული სახე მიეღო, რომ ბლუმკვისტი ცოტათი შეშფოთდა კიდეც. როგორც ყოველთვის, გოგონა პირდაპირ საქმეზე გადავიდა.

– ფული უნდა მასესხო.

ბლუმკვისტმა სულელურად გაუღიმა და საფულე ამოიღო.

– უპრობლემოდ. რამდენი გინდა?

– 120 000 კრონა.

– ოო, მოიცა, – საფულე ისევ ჯიბეში ჩაიდო ბლუმკვისტმა.

– არ გეხუმრები. 120 000 კრონა უნდა მასესხო... დაახლოებით ექვსი კვირით. ერთ მომგებიან საქმეში ვაპირებ ჩადებას, მაგრამ შენ გარდა სხვა ვერავინ დამეხმარება. ამ წუთას მიმდინარე ანგარიშზე 140 000 კრონა გაქვს. ვალს აუცილებლად დაგიბრუნებ.

ბლუმკვისტმა საჭიროდ არ ჩათვალა ეკითხა, ჩემს მიმდინარე ანგარიშზე როგორ შეიტყვეო.

– ჩემგან ფულის სესხება არ გჭირდება, – უთხრა ბლუმკვისტმა, – ჯერ შენს წილზე არ გვისაუბრია, მაგრამ იმაზე ბევრად მეტს მიიღებ, ვიდრე ახლა მთხოვ.

– ჩემს წილზე?

– ლიზბეთ, ვერც დაიჯერებ, ჰენრიკ ვანგერმა წლის ბოლოს რამხელა თანხა უნდა გადამიხადოს. უშენოდ მე ცოცხალი არ ვიქნებოდი და „მილენიუმიც“ საბოლოოდ გაკოტრდებოდა, ამიტომ ჩემი ჰონორარის ნახევარს შენ მოგცემ.

სალანდერმა ბლუმკვისტს გამჭოლი მზერა მიაპყრო და მოიღუშა. ბლუმკვისტი მის სიტყვაძუნწობას მიჩვეული იყო. ბოლოს გოგონამ თავი გააქნია.

– შენი ფული არ მჭირდება.

– მაგრამ...

– შენგან ერთი კრონაც არ მინდა, თუ დაბადების დღის საჩუქრის ფორმით არ იქნება გადმოცემული.

– საინტერესო აზრია, მაგრამ რომ არ ვიცი, შენი დაბადების დღე როდისაა?

– შენ ხომ ჟურნალისტი ხარ, თავად დაადგინე.

– სერიოზულად გეუბნები, ლიზბეთ, ფულს შუაზე გაგიყოფ.

– მეც სერიოზულად გეუბნები, მხოლოდ უნდა მასესხო, თან ხვალვე.

„არც კი დაინტერესებულა, მისი წილი რამდენი იქნება“, – გაიფიქრა ბლუმკვისტმა.

– კეთილი, დღესვე წავიდეთ ბანკში და ფულს გასესხებ. ოღონდ წლის ბოლოს კიდევ ერთხელ დავილაპარაკოთ შენს წილზე, – დანებდა მიქაელი, – სხვათა შორის, არ მეტყვი, დაბადების დღე როდის გაქვს?

– ვალპურგის ღამეს, – უპასუხა სალანდერმა, – ზუსტად შემეფერება, არა? ამ დღეს ცოცხს შემოვახტები ხოლმე და დავფრინავ.

სალანდერი ციურიხში საღამოს რვის ნახევარზე ჩაფრინდა და ტაქსით სასტუმრო „მატერჰორნში“ წავიდა. სასტუმროს ნომერი წინასწარ დაეჯავშნა ირენე ნესერის სახელზე; ადმინისტრატორს ნორვეგიული პასპორტიც წარუდგინა ვინაობის დასამოწმებლად. ირენე ნესერს მხრებამდე ქერა თმა ჰქონდა. სალანდერს სტოკჰოლმში პარიკი ეყიდა და ბლუმკვისტისგან ნასესხები ფულიდან 10 000 კრონა ორი პასპორტის შეძენაში დაეხარჯა. პასპორტი Plague-ის საერთაშორისო ქსელის მეშვეობით იშოვა.

ნომერში ავიდა, კარი ჩაკეტა და ტანსაცმელი გაიხადა. ლოგინზე დაწვა და ჭერს მიაშტერდა. ამ ნომერში ერთი ღამის გატარება 1600 კრონა ღირდა. თავი

გამოფიტულად იგრძნო. ნასესხები ფულის ნახევარი უკვე დაეხარჯა და, მიუხედავად იმისა, რომ თავის დანაზოგიც დაემატებინა, ბიუჯეტი მაინც მწირი ჰქონდა. ფიქრი შეწყვიტა თუ არა, მაშინვე ჩაეძინა.

დილის ექვსი იყო დაწყებული, როცა გაეღვიძა. შხაპი მიიღო. ტონალური კრემით და ფხვნილით დიდხანს იფარავდა ყელზე ტატუს. მერე სასტუმროს ფოიეში მოთავსებულ ძვირადღირებული სილამაზის სალონში რვის ნახევრისთვის ჩაეწერა. იქ კიდევ ერთი ქერათმიანი პარიკი იყიდა, ოღონდ ამჯერად მოკლედ შეკრეჭილი. შემდეგ ხელოვნურ ფრჩხილებზე ვარდისფერი მანიკური წაასმევინა. ასევე გაიკეთა ხელოვნური წამწამები, წაიცხო ფერუმარილი, შეიღება თვალები და წაისვა პომადა.

ეს ყველაფერი რვა ათასი კრონა დაუჯდა. გადაიხადა საკრედიტო ბარათით, რომელიც მონიკა შოულსს ეკუთვნოდა. პირადობის დასამოწმებლად ბრიტანული პასპორტიც წარადგინა.

მომდევნო გაჩერება ქუჩის ბოლოს, „კამილას მოდის ატელიე“ იყო. ერთი საათის შემდეგ იქიდან შავი ჩექმებით, ქვიშისფერი ქვედაბოლოთი და მისი შესაფერისი კოფთით, მოკლე, ტანზე მომდგარი ქურთუკით და ბერეტით გამოვიდა. ყველაფერი ძვირადღირებული დიზაინისა იყო. სამოსის ასარჩევად გამყიდველი გოგონა დაიხმარა. გარდა ამისა, ექსკლუზიური ტყავის კეისი და „სამსონაიტის“ ჩემოდანიც შეიძინა. მდიდრულად გამოპრანჭვა მცირე ზომის საყურეების და უბრალო ოქროს ყელსაბამის შეძენით დააგვირგვინა. საკრედიტო ბარათის ანგარიში კიდევ 44 000 კრონით შემცირდა.

სალანდერს პირველად გამოეკვეთა მკერდი; სარკეში ჩახედვისას სუნთქვაც კი შეეკრა, ისე მოეწონა თავისი ანარეკლი. ეს ძუძუებიც ისეთივე ყალბი იყო, როგორც მონიკა შოულსი. ლატექსისა იყო და კოპენჰაგენში, ტრანსვესისტების მაღაზიაში შეეძინა.

სალანდერი ბრძოლისთვის მზად იყო.

ათი საათი დაწყებულიყო, როცა ორი კვარტლის მოშორებით მდებარე სასტუმრო „ციმერტალში“ მივიდა, სადაც მონიკა შოულსის სახელზე ნომერი დაეჯავშნა. ბიჭს, რომელმაც ჩემოდანი (ჩემოდანში თავის სამგზავრო ჩანთა ედო) ნომერში აატანინა, გულუხვად გადაუხადა ფეხის ქირა. პატარა ოთახი იყო, იქ ერთი დღის გატარება 22 000 კრონა ღირდა. მარტო დარჩენილმა მიმოიხედა. ფანჯრიდან ციურიხის ტბის თვალისმომჭრელი ხედი იშლებოდა, მაგრამ სალანდერი ტბით საერთოდ არ დაინტერესებულა. სარკეში თავის თავს ათვალიერებდა. სარკიდან სრულიად უცხო პიროვნება შემოსცქეროდა. დიდმკერდიანი მონიკა შოულსი მოკლედ შეჭრილი ქერა თმით და ისეთი მაკიაჟით, რომ სალანდერს არც დაესიზმრებოდა. ერთი სიტყვით, განსხვავებულად გამოიყურებოდა.

ათის ნახევარზე სასტუმროს ბარში ისაუზმა ორი ფინჯანი ყავითა და ჯემიანი ფუნთუშით. საუზმეში 210 კრონა გადაიხადა.

„ესენი ჭკუაზე ვერ უნდა იყვნენ“, – გაიფიქრა გულში.

ათი საათი სრულდებოდა, როცა მონიკა შოულსმა ყავის ფინჯანი მაგიდაზე დადგა, მობილური ჩართო და ჰავაიზე მოდემთან დასაკავშირებელი ნომერი აკრიფა. სამი ზუმერის შემდეგ წკრიალი გაისმა. მოდემთან დაკავშირება მოხერხდა. მონიკა შოულსმა ექვსციფრიანი კოდი აკრიფა და გაგზავნა მესიჯი, რომელიც შეიცავდა ინსტრუქციას სალანდერის მიერ სპეციალურად ამ მიზნით შექმნილი პროგრამის ჩასატვირთად.

ჰონოლულუში პროგრამა ოფიციალურად რომელიღაც უნივერსიტეტის სერვერის გვერდზე ჩაირთო. უბრალო პროგრამა იყო. მას ერთადერთი ფუნქცია ჰქონდა: გაეგზავნა ბრძანება სხვა პროგრამის გასაშვებად. მეორე პროგრამა სულ სხვა სერვერზე, ჩვეულებრივ ჰოლანდიურ სარეკლამო საიტზე უნდა ჩართულიყო, ჰანს-ერიკ ვენერსტრომის კომპიუტერის მყარი დისკის ასლი მოეძებნა და დაემორჩილებინა მესამე პროგრამა, რომელიც მსოფლიოს სხვადასხვა წერტილში გახსნილ ვენერსტრომის 3000 საბანკო ანგარიშს აჩვენებდა.

სალანდერს ერთი კონკრეტული ანგარიში აინტერესებდა. თვალთვალისას დაედგინა, რომ ვენერსტრომი ამ ანგარიშს კვირაში რამდენჯერმე ამოწმებდა. ახლა რომ ვენერსტრომს კომპიუტერი ჩაერთო, უჩვეულოს ვერაფერს შეამჩნევდა. პროგრამამ უმნიშვნელო სხვაობა აჩვენა, რაც ბოლო ექვს თვეში ანგარიშზე არსებული თანხის ხშირი ცვლის შემდეგ მოსალოდნელიც იყო. თუ მომდევნო ორმოცდარვა საათის განმავლობაში ვენერსტრომი თანხის გატანის ან შეტანის ბრძანებას გასცემდა, პროგრამა დაადასტურებდა, რომ ბრძანება შესრულებულია. სინამდვილეში ცვლილება მხოლოდ ჰოლანდიურ სერვერზე, მყარი დისკის ასლზე მოხდებოდა.

მონიკა შოულსმა ოთხი მოკლე ზუმერი გაიგონა, დარწმუნდა, რომ პროგრამა ჩაირთო და მობილური გამორთო.

სასტუმრო „ციმერტალიდან“ ქუჩის გადაღმა ბანკ Hauser General-ში შევიდა. ათ საათზე ჰერ ვაგნერთან, ბანკის მმართველთან დაეთქვა შეხვედრა. ის სამი წუთით ადრე შევიდა შენობაში და სპეციალურად სათვალთვალო კამერის წინ იპოზიორა. კამერამ მას რამდენიმე ფოტო გადაუღო, როცა სალანდერი პირადი კონსულტაციების განყოფილებისკენ მიდიოდა.

– რამდენიმე ტრანზაქციასთან დაკავშირებით დახმარება მჭირდება, – უზადო, გამართული ინგლისურით დაილაპარაკა, როცა კეისი გახსნა, სასტუმრო „ციმერტალიდან“ წამოღებული კალამი ძირს დაუვარდა. ჰერ ვაგნერმა კალამი აიღო და თავაზიანად დაუბრუნა. გოგონამ ეშმაკურად გაუღიმა და მაგიდაზე გადაშლილ ბლოკნოტზე ანგარიშის ნომერი დაწერა.

ჰერ ვაგნერმა დაასკვნა, ალბათ რომელიმე ფულიანი ბიძის გაფუჭებული ქალიშვილია ან საყვარელიაო.

– კაიმანის კუნძულებზე კრონენფელდის ბანკის რამდენიმე ანგარიშიდან, – გააგრძელა სალანდერმა, – ავტომატური ტრანსფერის განხორციელება თანმიმდევრული კლირინგული კოდებითაა შესაძლებელი.

– ფროლაინ შოულს, ბუნებრივია, ყველა საჭირო კოდი გეცოდინებათ.

– Aber natürlich, – მძიმე აქცენტით უპასუხა გოგონამ იმაზე ხაზგასასმელად, რომ გერმანულს მხოლოდ დაწყებითი კლასების დონეზე ფლობდა.

თექვსმეტციფრიანი კოდი ზეპირად უკარნახა ისე, რომ ქაღალდებში არც ჩაუხედავს. ჰერ ვაგნერი მიხვდა, რომ წინ ხანგრძლივი სამუშაო ელოდა, მაგრამ ამხელა ტრანზაქციიდან მისაღები ოთხპროცენტიანი საკომისიოს გამო სადილის გამოტოვებაც ღირდა.

ბანკ Hauser General დაგეგმილზე ოდნავ გვიან, პირველი ნახევრისთვის დატოვა და სასტუმრო „ციმერტალში“ დაბრუნდა. სპეციალურად დაენახვა ადმინისტრატორს, სანამ ნომერში ავიდოდა და ნაყიდ ტანსაცმელს გაიხდიდა. ლატექსის ძუძუები დაიტოვა, სამაგიეროდ მოკლეთმიანი პარიკი ირენე ნესერის გრძელთმიანი პარიკით შეიცვალა. უფრო შესაფერისი სამოსი ჩაიცვა: მაღალქუსლიანი ფეხსაცმელი, შავი შარვალი, უბრალო პერანგი და სტოკჰოლმში მალუნგსბოდენზე ნაყიდი ტყავის ქურთუკი. სარკეში საკუთარი ანარეკლი შეათვალიერა. მდიდარ მემკვიდრეს აღარ ჰგავდა. სანამ ნომერს დატოვებდა, ირენე ნესერმა ობლიგაციები თხელ საქაღალდეში ჩააწყო.

ორის ხუთ წუთზე, დაგეგმილზე რამდენიმე წუთით გვიან, ბანკ Hauser General -იდან სამოცდაათი მეტრის მოშორებით მდებარე ბანკ Dorffmann-ში შევიდა. ირენე ნესერს წინასწარ დაეთქვა შეხვედრა ჰერ ჰასელმანთან. დაგვიანებისთვის მოიბოდიშა. უზადო გერმანულით საუბრობდა, ოღონდ ნორვეგიული აქცენტით.

– არა უშავს, ფროილაინ, – თქვა ჰერ ჰასელმანმა, – რით შემიძლია გემსახუროთ?

– ანგარიშის გახსნა მინდა. პირადი ობლიგაციების კონვერტირება მსურს.

ირენე ნესერმა ჰერ ჰასელმანს საქაღალდე მაგიდაზე დაუდო.

ჰერ ჰასელმანმა ობლიგაციებს გადახედა, თავიდან ჩქარობდა, მაგრამ მერე უფრო ყურადღებით თვალიერებაზე გადავიდა. წარბები აზიდა და თავაზიანად გაიღიმა.

გოგონამ ხუთი ნომრიანი ანგარიში გახსნა, რომლებიც ინტერნეტითაც ხელმისაწვდომი იყო და გიბრალტარზე დარეგისტრირებულ უცნობ ოფშორულ კომპანიას ეკუთვნოდა. ეს კომპანია ბლუმკვისტისგან ნასესხები 50 ათასი კრონის სანაცვლოდ სალანდერისთვის ადგილობრივ ბროკერს დაერეგისტრირებინა. გოგონამ ორმოცდაათი ობლიგაცია ნაღდ ფულად აქცია და თანხა ნომრიან ანგარიშებზე შეიტანა. თითო ობლიგაციის ფასი მილიონ კრონას შეადგენდა.

ბანკ Dorffmann-შიც დაგეგმილზე დიდხანს შეყოვნდა, ამიტომ გრაფიკს კიდევ უფრო ჩამორჩა. ბოლო ტრანზაქციების განხორციელებას ვეღარ მოასწრებდა, რადგან ბანკებში სამუშაო დღე უკვე სრულდებოდა. ირენე ნესერი სასტუმრო „მატერჰორნში“ დაბრუნდა და ერთ საათს წინ და უკან იარა, რომ მისი იქ ყოფნა შეემჩნიათ. მაგრამ მერე ვითომ თავი ასტკივდა და ადრიანად დაწოლა გადაწყვიტა. დაწოლამდე ასპირინი იყიდა და ადმინისტრატორს დაუბარა დილის რვა საათზე გამაღვიძეთო.

საღამოს ხუთი საათი სრულდებოდა და ევროპის ყველა ბანკი დასახურად ემზადებოდა. სამაგიეროდ, ჩრდილოეთ და სამხრეთ ამერიკაში ბანკები ღია იყო. სალანდერმა „პაუერბუქი“ ჩართო, მობილური ტელეფონით ინტერნეტს დაუკავშირდა და ერთ საათში ბანკ Dorffmann-ში დღისით გახსნილი ანგარიშებიდან მთელი თანხა მოხსნა.

ფული მცირე ნაწილებად დაყო და მთელი მსოფლიოს მასშტაბით გახსნილი უამრავი ფიქტიური კომპანიის ზედნადებების დასაფარად გამოიყენა. როცა ამ საქმეს მორჩა, მეტად გასაკვირად, მთელი თანხა ისევ კაიმანის კუნძულებზე კრონენფელდის ბანკის ანგარიშზე დაირიცხა, ოღონდ არა იმაზე, საიდანაც დილით მოხსნა.

ირენე ნესერმა პირველი ნაბიჯი უსაფრთხოდ და თითქმის შეუმჩნევლად გადადგა. კრონენფელდის ბანკის ანგარიშიდან ერთი გადარიცხვა განახორციელა: ერთი მილიონი კრონა თავის საკრედიტო ბარათის ანგარიშზე დასვა. ეს ანგარიში გიბრალტარში დარეგისტრირებულ Wasp Enterprises-ს ეკუთვნოდა.

რამდენიმე წუთის მოგვიანებით გოგონა ბიჭურად შეჭრილი მოკლე ქერა თმით „მატერჰორნის“ ბარიდან გარეთ გავიდა. მონიკა შოულსი სასტუმრო „ციმერტალში“ შევიდა, ადმინისტრატორს თავაზიანად თავი დაუკრა და ლიფტით თავის ნომერში ავიდა.

ნომერში მონიკა შოულსი საბრძოლო უნიფორმით შეიმოსა, მაკიაჟი გაიკეთა და ტატუ კიდევ ერთხელ დაიფარა ტონალური კრემის სქელი ფენით. მერე სასტუმროს რესტორანში ჩავიდა და სადილად გემრიელი თევზი მიირთვა. 1200 კრონის ღირებულების ღვინოსაც გაუსინჯა გემო, მაგრამ ერთი ჭიქის მეტი არ დაულევია, ნახევრად სავსე ბოთლი კი უდარდელად დატოვა მაგიდაზე. თვითონ ბარში გადაინაცვლა. გზადაგზა ყველას ჩაის ფულს უტოვებდა, რათა მომსახურე პერსონალს მისი საქციელი თვალში მოხვედროდა.

მერე ვიღაც მთვრალ იტალიელს, არისტოკრატული სახელით, რომლის დამახსოვრება არც უცდია, გაეარშიყა. ორი ბოთლი შამპანური შეუკვეთეს, თუმცა, გოგონამ მხოლოდ ერთი ჭიქა დალია.

ღამის თერთმეტი საათისთვის გალეშილი თაყვანისმცემელი მისკენ გადმოიხარა და მკერდზე ურცხვად დაუწყო ხელის ფათური. კმაყოფილმა გოგონამ მისი ხელი მაგიდის ქვეშ ჩააცურა. ეტყობა, მთვრალი იტალიელი ვერ მიხვდა, რომ რბილ

ლატექსს უჭერდა ხელს. ხანდახან ისე ახმაურდებოდნენ, რამდენიმე სტუმარმა საყვედურიც გამოთქვა. შუაღამეს ცოტა უკლდა, როცა მონიკა შოულსმა შეამჩნია, რომ პორტიე მათკენ საეჭვოდ იყურებოდა. წამოდგნენ. მონიკა იტალიელს ნომერში ასვლაში დაეხმარა.

სანამ კაცი ტუალეტში იყო, გოგონამ ჭიქა ღვინით შეუვსო. მერე დაკეცილი ქაღალდის პაკეტი გახსნა და ღვინოში როჰიპნოლის დაფხვნილი საძილე აბი ჩაყარა. გოგონასთან ერთად სადღეგრძელოს შესმიდან ერთ წუთში საბრალო იტალიელი გათიშული დაებერტყა საწოლზე. გოგონამ ჰალსტუხი მოხსნა, ფეხსაცმელი გახადა და საბანი გადააფარა. მერე ღვინო გადაასხა და ჭიქები სააბაზანოში გარეცხა, სანამ თავის ნომერში დაბრუნდებოდა.

მონიკა შოულსმა დილის ექვს საათზე თავის ნომერში ისაუზმა. შვიდს რომ ხუთი აკლდა, თანხა გადაიხადა და „ციმერტალი“ დატოვა. წასვლამდე ოთახის კარის სახელური, გარდერობი, ტუალეტი, ტელეფონის ყურმილი და სხვა საგნები, რასაც შეხებოდა, კარგად გაწმინდა, რომ ზედ მისი თითის ანაბეჭდები არ დარჩენილიყო.

ირენე ნესერმა „მატერჰორნი“ ცხრის ნახევარზე, „გაღვიძებიდან“ ნახევარ საათში დატოვა. რკინიგზის სადგურში ტაქსით წავიდა და თავის ბარგი შემნახველ საკანში ჩააბარა. მომდევნო რამდენიმე საათის განმავლობაში ცხრა კერძო ბანკი შემოიარა, სადაც კაიმანური ობლიგაციები გადაანაწილა. დღის სამი საათისთვის ობლიგაციების ათი პროცენტი უკვე ნაღდ ფულად აქცია და ეს ფული ოცდაათ სხვადასხვა ანგარიშზე გადარიცხა. დანარჩენი ობლიგაციები ბანკის სეიფ-დეპოზიტზე შეინახა.

ირენე ნესერს ციურიხში სტუმრობა კიდევ მოუწევდა, მაგრამ საჩქარო არაფერი იყო.

იმავე დღის ხუთის ნახევარზე ირენე ნესერი აეროპორტში წავიდა. ქალების ტუალეტში მონიკა შოულსის პასპორტი რამდენიმე ნაწილად დაჭრა და უნიტაზში ჩარეცხა. საკრედიტო ბარათსაც იგივე ბედი ეწია. მაკრატელი სანაგვე ურნაში ჩააგდო – თერთმეტი სექტემბრის მოვლენების შემდეგ ბარგში მჭრელი საგნების აღმოჩენა არავისთვისაა მიზანშეწონილი.

ირენე ნესერი „ლუფტჰანზის“ რეისი N GD890-ით გაფრინდა ოსლოში. აეროპორტის ავტობუსით ოსლოს რკინიგზის სადგურში მივიდა. იქ ქალთა ტუალეტში თავისი ტანსაცმელი გადაახარისხა. მონიკა შოულსის მოკლეთმიანი პარიკი და ძვირფასი ტანისამოსი სამ პლასტიკატის პაკეტში ჩაყარა და სამ სხვადასხვა სანაგვეში ჩააგდო. „სამსონაიტის“ ცარიელი ჩემოდანი ღია შემნახველ საკანში დატოვა. ოქროს ყელსაბამით და საყურეებით მისი მიგნება შეიძლებოდა, ამიტომ სადგურიდან გარეთ გასულმა არხში გადაყარა.

მცირე ყოყმანის შემდეგ ირენე ნესერმა ლატექსის ბიუსტის შენარჩუნება გადაწყვიტა.

იმის შიშით, არ დამაგვიანდესო, „მაკდონალდსში“ ჰამბურგერით საჩქაროდ წაიხემსა და მდიდრული ტყავის კეისიდან ყველაფერი თავის სამგზავრო ჩანთაში გადააწყო. კეისი მაგიდის ქვეშ დატოვა. გზად ჯიხურში ლატე იყიდა და სირბილ-სირბილით წავიდა ბაქნისკენ, საიდანაც სტოკჰოლმის ღამის მატარებელი გადიოდა. ნახევრად ჩაკეტილ კარში შეხტა. კუპეს ბილეთი წინასწარ ჰქონდა დაჯავშნილი.

როცა კუპეში შევიდა, იგრძნო, რომ ბოლო ორი დღის განმავლობაში მის ძარღვებში ადრენალინი ნორმალურ დონეს პირველად დაუბრუნდა. ფანჯარა ჩასწია და, აკრძალვის მიუხედავად, სიგარეტს მოუკიდა. ეწეოდა და ყავას წრუპავდა, მატარებელი კი ამასობაში ოსლოდან გავიდა.

სალანდერმა ყველაფრის დეტალურად გახსენება დაიწყო, რამე ხომ არ გამომრჩა ან არასწორად გავაკეთეო. რამდენიმე წუთის შემდეგ მოიღუშა და ჯიბეები ამოიქექა. „ციმერტალიდან“ გამოყოლილ ავტოკალამს წუთით დააჩერდა და მერე ფანჯრიდან მოისროლა.

თხუთმეტი წუთის შემდეგ დაწვა და მაშინვე ჩაეძინა.

ეპილოგი: საბოლოო აუდიტი

ხუთშაბათი, 27/XI – სამშაბათი, 30/XII

„მილენიუმის“ სპეციალურ გამოშვებაში ჰანს-ერიკ ვენერსტრომზე სტატიამ ჟურნალის ორმოცდაექვსი გვერდი დაიკავა და ნოემბრის ბოლოს ბომბის აფეთქების ეფექტი მოახდინა. სტატიის ავტორებად მიქაელ ბლუმკვისტი და ერიკა ბერგერი იყვნენ მითითებულები. დაბნეულმა მასმედიამ პირველი რამდენიმე საათის განმავლობაში არ იცოდა, რა კომენტარი გაეკეთებინა გამოქვეყნებულ მასალასთან დაკავშირებით. დაახლოებით იმავე შინაარსის სტატიის დაბეჭდვისთვის, ბლუმკვისტს ცილისწამების მუხლით ხომ სამთვიანი სასჯელი მოეხადა ციხეში და „მილენიუმიდანაც“ დაეთხოვათ. ამის გამო მის ობიექტურობაში ბევრს ეჭვი ეპარებოდა. და, აი, იმავე ჟურნალისტმა იმავე ჟურნალში ბევრად უფრო სერიოზულ კრიმინალში დასდო ბრალი ვენერსტრომს. ზოგიერთი ბრალდება მეტისმეტად აბსურდულადაც კი ჟღერდა. ამიტომ შვედური მედიასაშუალებები მხოლოდ იცდიდნენ.

იმ საღამოს ბლუმკვისტის ახალი ბრალდებები TV4-ის თერთმეტწუთიან საავტორო გადაცემაში შეაჯამეს. ბერგერი წამყვანს რამდენიმე დღით ადრე დაკავშირებოდა და სტატიის მოკლე შინაარსი წინასწარ გაეცნო მისთვის.

TV4-მა დაასწრო სახელმწიფო ტელეარხებს, რომლებმაც ინფორმაცია მხოლოდ ცხრასაათიან საინფორმაციო გამოშვებებში გადასცეს. ამ დროისთვის „TT სააგენტოს“ უკვე გაევრცელებინა სტატია სათაურით: ცილისწამებაში დადანაშაულებული ჟურნალისტი ცნობილ ბიზნესმენს სერიოზულ კრიმინალში სდებს ბრალს. სტატია სატელევიზიო სიუჟეტის შემოკლებულ ვარიანტს წარმოადგენდა, მაგრამ იმ ფაქტმა, რომ „TT სააგენტომ“ მისი გავრცელება გადაწყვიტა, კონსერვატულ დილის გაზეთებსა და მსხვილ რეგიონალურ გამოცემებში სერიოზული აჟიოტაჟი გამოიწვია. ყველა ცდილობდა გაზეთის პირველი გვერდების შეცვლა ღამითვე, ნომრის სტამბაში

დასაბეჭდად გაგზავნამდე, მოესწრო. მანამდე რატომღაც გაზეთებს „მილენიუმში“ გამოქვეყნებული ბრალდებების იგნორირება გადაეწყვიტათ.

ლიბერალური დილის გაზეთი „მილენიუმის“ სტატიას თავად მთავარი რედაქტორის კომენტარით გამოეხმაურა. მთავარ რედაქტორს თავის მოსაზრება ჯერ კიდევ წინა დღით, TV4-ის გამოშვებამდე დაეწერა და საქმიან შეხვედრაზე წასულიყო. მისთვის მის მოადგილეს დაერეკა, როგორც ჩანს, ბლუმკვისტის სტატია არც ისეთი უმნიშვნელო უნდა იყოსო, მაგრამ მთავარ რედაქტორს შემდეგი სიტყვებით ეპასუხა: „სისულელეა. ეგ ბრალდებები მართალი რომ იყოს, ჩვენი ეკონომიკური მიმომხილველები დიდი ხნის წინ აღმოაჩენდნენ“. შედეგად, ლიბერალური დილის გაზეთი ერთადერთი აღმოჩნდა, რომელმაც „მილენიუმის“ ბრალდებები მწვავედ გააკრიტიკა: „ეს პერსონალური ვენდეტაა, ბინძური კრიმინალური ჟურნალისტიკაო“, და მოითხოვა „პატივსაცემი მოქალაქეებისთვის მიყენებული პიროვნული შეურაცხყოფისთვის ეს ჟურნალისტები სამაგალითად დაისაჯონო“. თუმცა, ამ სტატიის შემდეგ ლიბერალური გაზეთის მთავარი რედაქტორი საყოველთაო დებატებში აღარ ჩართულა.

იმ საღამოს „მილენიუმის“ რედაქცია მთელი შემადგენლობით ოფისში შეიკრიბა. შეთანხმების მიხედვით, სატელეფონო ზარებს ერიკა ბერგერი და ახალი აღმასრულებელი რედაქტორი მალინ ერიქსონი პასუხობდნენ. ღამის ათი საათისთვის მათ ოფისში ყოფილი თანამშრომლები და სხვა თავისუფალი კონტრაქტორებიც შეუერთდნენ. შუაღამისას კრისტერ მალმმა შამპანურის ბოთლი გახსნა, რადგან სტამბაში მომუშავე ახლობელმა ერთ-ერთი საღამოს გაზეთის სასიგნალო ვერსია გამოგზავნა. გაზეთში ვენერსტრომთან დაკავშირებით თექვსმეტგვერდიანი სტატია ქვეყნდებოდა სათაურით: „ფინანსური მაფია“.

მომდევნო საღამოს გაზეთის გამოსვლასთან ერთად ნამდვილი მედიააურზაური ატყდა.

ერიქსონმა „მილენიუმში“ სამუშაოდ დარჩენაზე თანხმობა განაცხადა.

მომდევნო რამდენიმე კვირის განმავლობაში შვედეთის საფონდო ბირჟა ნამდვილ კრიზისში იყო. საფინანსო პოლიციამ მაქინაციური ოპერაციების შემოწმება დაიწყო, პროკურორებმა საქმეები აღძრეს, ბირჟა პანიკამ მოიცვა. ბლუმკვისტის სტატიის გამოქვეყნებიდან ორ დღეში ეკონომიკის და ფინანსთა სამინისტრომ „ვენერსტრომის საქმეზე“ განცხადება გააკეთა.

მედიააჟიოტაჟი არ დამცხრალა, მაგრამ მედიასაშუალებებს „მილენიუმის“ მტკიცებულებები კრიტიკის გარეშე სულაც არ მიუღიათ – ამისთვის ბრალდებები მეტისმეტად სერიოზული იყო.

თუმცა, განსხვავებით პირველი „ვენერსტრომის საქმისგან“, „მილენიუმმა“ დამაჯერებელი სამხილები წარმოადგინა: ვენერსტრომის პირადი იმეილები, მისი

კომპიუტერიდან გადმოწერილი საბუღალტრო მონაცემები, კაიმანის კუნძულებზე და სხვა ოცამდე ქვეყანაში გახსნილი საიდუმლო საბანკო ანგარიშების ნომრები, საიდუმლო შეთანხმებები და ა. შ., რასაც ფრთხილი რეკეტიორი თავისი კომპიუტერის მყარ დისკზე არასდროს შეინახავდა. თუ „მილენიუმის“ ბრალდებები სასამართლოს განხილვის საგანი გახდებოდა – რაშიც ეჭვი არავის ეპარებოდა – შვედეთის ფინანსურ სამყაროში 1932 წლის კროგერის კრახის შემდეგ ყველაზე დიდი საპნის ბუშტი გასკდებოდა. ვენერსტრომის საქმესთან შედარებით „გოტაბანკის“ გაკოტრება და „ტრასტორის“ თაღლითური მაქინაციებიც კი ფერმკრთალდებოდა. ვენერსტომი იმდენად მასშტაბურ თაღლითობას ეწეოდა, რომ ვერავინ ბედავდა ფიქრს, რამდენი კანონი ექნებოდა დარღვეული.

შვედურ ეკონომიკურ მედიაში პირველად გამოიყენეს ტერმინები „ორგანიზებული დანაშაული“, „მაფია“ და „განგსტერული იმპერია“. ვენერსტრომი, მისი ახალგაზრდა საბირჟო ბროკერები, „არმანის“ კოსტიუმებში გამოწკეპილი იურისტები და სხვა პარტნიორები ყაჩაღების ბანდად იქცა.

მედიააჟიოტაჟის პირველი კვირა ბლუმკვისტმა მალვაში გაატარა. იმეილებს არ პასუხობდა და ვერც ტელეფონით უკავშირდებოდნენ. „მილენიუმის“ სახელით კომენტარს მხოლოდ მთავარი რედაქტორი აკეთებდა. ბერგერი კმაყოფილებისგან კატასავით კრუტუნებდა, როცა შვედეთის ნაციონალური არხები ან მსხვილი რეგიონული გაზეთების რეპორტიორები ართმევდნენ ინტერვიუს. ცოტა ხანში უცხოური მედიასაშუალებებიც დაინტერესდნენ. ყოველთვის, როცა ეკითხებოდნენ, ვენერსტრომის პირადი კორესპონდენციები ან კომპანიის შიდა ინფორმაცია ხელში როგორ ჩაიგდეთო, ბერგერი ალმაცერი ღიმილით პასუხობდა, ინფორმატორის ვინაობას ვერ გავამხელო.

თუ ჰკითხავდნენ, ვენერსტრომის გამოაშკარავების შარშანდელი მცდელობა ფიასკოთი რატომ დასრულდაო, უფრო იდუმალად პასუხობდა. არ ტყუოდა, მაგრამ არც სრულ სიმართლეს ამხელდა. როცა ჟურნალისტი მიკროფონს გამორთავდა, რაღაცას გაურკვევლად ჩაილაპარაკებდა ხოლმე, რის გამოც მცდარი დასკვნები გამოჰქონდათ და მალე ლეგენდები გავრცელდა, შარშან ბლუმკვისტი სასამართლოზე თავს იმიტომ არ იცავდა, არც განაჩენი გაუსაჩივრებია და ჯარიმის გადახდაზეც იმიტომ დათანხმდა, რომ ამ შემთხვევაში ინფორმატორის ვინაობის გამხელა მოუწევდაო. მას იმ სამაგალითო ამერიკელ ჟურნალისტებს ადარებდნენ, რომლებიც ინფორმაციის წყაროს დასახელებას ციხეში ჩაჯდომას არჩევდნენ. მოკლედ, ბლუმკვისტი გმირად შერაცხეს, რის გამოც მიქაელი ცოტათი უხერხულად გრძნობდა თავს. მაგრამ ამ ხმების და ლეგენდების გაფანტვის დრო ნამდვილად არ ჰქონდა.

ერთ რამეზე ყველა თანხმდებოდა, რომ ინფორმატორი ვენერსტრომთან დაახლოებული პირი იყო. გაჩაღდა კამათი, თუ კონკრეტულად ვინ შეიძლებოდა ყოფილიყო ანონიმი ჩამშვები: განაწყენებული კოლეგა, ადვოკატი თუ თვით

ვენერსტრომის ნარკომანი ქალიშვილი ან რომელიმე ნათესავი. ამ თემაზე კომენტარის გაკეთებისგან ბერგერიც და ბლუმკვისტიც თავს იკავებდნენ.

მხიარულად მოღიმარმა ბერგერმა მედიააჟიოტაჟის მესამე დღეს საწერ მაგიდაზე კიდევ ერთი საღამოს გაზეთი დააგდო. გაზეთის პირველ გვერდზე მსხვილი შრიფტით ეწერა: „მილენიუმის“ შურისძიება“. მათ გაიმარჯვეს. სტატიას თან ერთვოდა „მილენიუმის“ ილუსტრაცია და ჟურნალის თანამშრომლების ფოტო ისევე, როგორც მთავარი რედაქტორი ერიკა ბერგერის პორტრეტი. ბერგერს პორტრეტი ძალიან მოეწონა, მასზე ლამაზად გამოიყურებოდა. ქვეშ წაეწერათ: „საგამომძიებლო ჟურნალისტიკის დედოფალი“. ასეთი სტატიებით ქულებს იწერდა და „დიდი ჟურნალისტური ჯილდოს“ მოპოვების შანსიც გაუჩნდა.

„მილენიუმის“ სკანდალური ნომრის გამოსვლიდან ხუთ დღეში წიგნის მაღაზიების თაროებზე ბლუმკვისტის წიგნი „მაფიის ბანკირი“ გამოჩნდა. წიგნი ბლუმკვისტს სანდჰამნში ყოფნისას სექტემბერ-ოქტომბერში სწრაფ ტემპში დაეწერა და მორგონგავაში სრულიად საიდუმლოდ დაებეჭდა Hallvigs Reklam-ს. ეს „მილენიუმის“ ლოგოთი დაბეჭდილი პირველი წიგნი იყო. წიგნი ეძღვნებოდა „სალის, რომელმაც მიჩვენა, რა სარგებლობა მოაქვს გოლფის თამაშს“.

თხელყდიანი და ექვსასრვაგვერდიანი ჯიბის ფორმატის გამოცემა იყო. წიგნის მცირე 2000-იანი ტირაჟი ერთი შეხედვით მის არამომგებიანობაზე მეტყველებდა, მაგრამ რამდენიმე დღეში მთელი ტირაჟი გაიყიდა და ბერგერმა ტირაჟი 10 000-მდე გაზარდა.

რეცენზენტების უმეტესობამ დაასკვნა, ამჯერად ბლუმკვისტს სიძუნწე აღარ გამოუჩენია და წიგნს სამხილები ბლომად დაურთოო. წიგნის ორი მესამედი ვენერსტრომის კომპიუტერიდან გადმოწერილი მასალების ასლებს ეთმობოდა. წიგნის გამოსვლასთან ერთად, „მილენიუმმა“ იგივე მასალები PDF ფაილების სახით ჟურნალის ვებ-გვერდზე გამოაქვეყნა, რათა მათი ჩამოტვირთვა და გაცნობა ნებისმიერ დაინტერესებულ პირს შესძლებოდა.

ბლუმკვისტის პრესისგან მალვაც მისი და ბერგერის მიერ ერთობლივად იყო დაგეგმილი. ქვეყნის ყველა გაზეთი ბლუმკვისტს ეძებდა. ბლუმკვისტმა მხოლოდ წიგნის გამოსვლის შემდეგ მისცა ინტერვიუ TV4-ის საავტორო გადაცემას და კიდევ ერთხელ გაუცრუა იმედი სახელმწიფო არხებს. თუმცა, გადაცემაში მისთვის იოლი კითხვები სულაც არ დაუსვამთ.

მოგვიანებით ბლუმკვისტმა გადაცემის ვიდეოჩანაწერს უყურა და ინტერვიუს ერთი მონაკვეთი განსაკუთრებით მოეწონა. გადაცემის პირდაპირი ეთერის პარალელურად სტოკჰოლმის საფონდო ბირჟა თავისუფალი ვარდნის მდგომარეობაში იყო და მრავალი გამწარებული ახალგაზრდა ბროკერი ლამის ფანჯრიდან გადამხტარიყო.

წამყვანმა კითხვა დაუსვა, ხომ არ ფიქრობთ, რომ შვედეთის ეკონომიკური კრახის წინაშე აღმოჩენა „მილენიუმის“ „დამსახურებაა“.

– შვედეთის ეკონომიკას არანაირი კრახი არ ემუქრება, სისულელეა, – თქვა ბლუმკვისტმა.

TV4-ის საავტორო გადაცემის წამყვანი ქალი დაიბნა. ბლუმკვისტისგან ასეთ პასუხს არ ელოდა, ამიტომ იმპროვიზაციას მიმართა. ბლუმკვისტმა კი სწორედ ის შეკითხვა მიიღო, რომელსაც ელოდა.

– შვედეთის საფონდო ბირჟის ისტორიაში ყველაზე დიდი ვარდნაა მოსალოდნელი და ეს სისულელეა?

– აუცილებელია განასხვავოთ ერთმანეთისგან შვედეთის ეკონომიკა და შვედეთის საფონდო ბირჟა. შვედეთის ეკონომიკა – ეს არის ჯამი იმ პროდუქციისა და მომსახურებისა, რომელიც ქვეყანაში ყოველდღიურად იწარმოება. მაგალითად, „ერიქსონის“ ტელეფონები, „ვოლვოს“ ავტომობილები, „სკანის“ ქათმები, გადაზიდვები კირუნადან შევდემდე. შვედეთის ეკონომიკას მე ამას ვუწოდებ და ის ისეთსავე მდგომარეობაშია, როგორც ერთი კვირის წინ იყო.

ბლუმკვისტი მეტი ეფექტის მოსახდენად შეყოვნდა და ჭიქიდან წყალი მოსვა.

– საფონდო ბირჟა კი სულ სხვა რამაა. იქ არც პროდუქცია იწარმოება და არც მომსახურებას გთავაზობენ. ვიღაც ტიპები დგანან და ფანტაზიორობენ, ამ წუთას ეს კომპანია ღირს მილიარდიო, იმ წუთას – მეორეო. ბირჟას რეალობასთან ან შვედეთის ეკონომიკასთან არაფერი აქვს საერთო.

– მაშ, თქვენი აზრით, საშიში არაა, რომ ბირჟაზე ფასები კატასტროფულად ეცემა?

– არა, არანაირად არაა საშიში, – მისანივით თავდაჯერებულად უპასუხა ბლუმკვისტმა. მისი სიტყვები მომდევნო წლის განმავლობაში ბევრჯერ გაიმეორეს ციტატების სახით.

– ეს მხოლოდ იმას ნიშნავს, – განაგრძო ბლუმკვისტმა, – რომ მსხვილი საბირჟო სპეკულანტების ხროვას ახლა თავისი აქციები შვედური კომპანიებიდან გერმანულში გადააქვს. ეკონომიკურ მიმომხილველებს გვევალება ასეთი ფინანსისტი კაცუნების აღმოჩენა და მათი მოღალატეებად გამოცხადება. სწორედ ისინი აყენებენ სისტემატურად ზიანს შვედეთის ეკონომიკას თავიანთი კლიენტების ეკონომიკური ინტერესების დაკმაყოფილების ხარჯზე.

შემდეგ წამყვანი შეცდა და ზუსტად ის შეკითხვა დასვა, რომლის გაგონებასაც ბლუმკვისტი ნატრობდა.

– ერთი სიტყვით, თქვენ ამბობთ, რომ მედიას ამ კრიზისზე არანაირი გავლენა არ მოუხდენია?

– პირიქით, მედიამ დიდი გავლენა მოახდინა. ოცი წელი ეკონომიკური მიმომხილველები ჰანს-ერიკ ვენერსტრომის თაღლითურ საქმიანობაზე არაფერს წერდნენ. ის კი არა, ბრიყვული სტატიებით და საქებარი სიტყვებით პრესტიჟული იმიჯი შეუქმნეს. თავიანთი საქმე რომ კარგად ეკეთებინათ, დღეს ასეთ სიტუაციაში არ აღმოვჩნდებოდით.

ბლუმკვისტის სატელევიზიო ინტერვიუ გარდამტეხი მომენტი აღმოჩნდა. მიუხედავად იმისა, რომ მთელი კვირის მანძილზე „მილენიუმი“ შვედური გაზეთების პირველი გვერდიდან არ ჩამოდიოდა, ბერგერი სწორედ ბლუმკვისტის ტელევიზიით გამოსვლის და თავისი პოზიციის მშვიდად და არგუმენტირებულად დაცვის შემდეგ მიხვდა, რომ მათი მტკიცებულებების უტყუარობაში შვედურ მედიას ეჭვი აღარ ეპარებოდა. ბლუმკვისტმა თავისი განწყობით ამ ამბავს ახლებური მიმართულება მისცა.

ამ ინტერვიუს შემდეგ „ვენერსტრომის საქმის“ განხილვამ ეკონომიკის გვერდებიდან კრიმინალის გვერდებზე გადაინაცვლა. წარსულში კრიმინალის განყოფილებებში ფინანსურ დანაშაულებებზე იშვიათად წერდნენ – თუ არ ჩავთვლით რუსულ მაფიას ან სიგარეტის იუგოსლავიელ კონტრაბანდისტებს. კრიმინალის მიმომხილველები საბირჟო მაქინაციებზე წერას მიუჩვევლები იყვნენ. ერთ-ერთმა ასეთმა ჟურნალისტმა გადაუმოწმებლად დაბეჭდა ბლუმკვისტის სიტყვები, რამდენიმე მნიშვნელოვანი საბროკერო ფირმა გერმანული ფასიანი ქაღალდების შესყიდვას აპირებსო. სტატიას თან ცნობილი ბროკერების ფოტოებიც ერთვოდა. ხოლო სტატიის სათაური იუწყებოდა: „ქვეყნის გამყიდველები“. დადანაშაულებული ბროკერები კომენტარის გასაკეთებლად რედაქციაში მიიწვიეს, მაგრამ ბრალდებები ყველამ უარყო. თუმცა, იმ დღეს ბირჟაზე აქციებით ვაჭრობის წილმა მკვეთრად იკლო, ხოლო რამდენიმე ბროკერმა, რომელთაც თავის პროგრესულ პატრიოტებად ჩვენება სურდათ, საერთოდ, დინების სააწინააღმდეგოდ ცურვა გადაწყვიტა. ბლუმკვისტმა ამის გაგებაზე გულიანად გადაიხარხარა.

ზეწოლა იმდენად გაძლიერდა, რომ შავ კოსტიუმებში გამოწკეპილი სერიოზული ტიპებიც კი შეწუხდნენ და შვედი ფინანსისტების ვიწრო და ექსკლუზიური წრის მთავარი წესი დაარღვიეს: თავიანთ კოლეგაზე საყვედურის გამოთქმა დაიწყეს. უეცრად ტელევიზიით პენსიაზე გასული ინდუსტრიალისტები და ბანკის პრეზიდენტები გამოჩნდნენ დამაზარალებელი სიტუაციის განსამუხტად. ვითარების სერიოზულობა ყველამ იგრძნო და „ვენერსტრომ-გრუპისგან“ სწრაფად დისტანცირება დაიწყეს, მის აქციებს ყიდდნენ. ყველა ერთხმად იმეორებდა, ვენერსტრომი ნამდვილი ინდუსტრიალისტი სულაც არ არის, ჩვენი „კლუბის“ წევრიც არასდროს ყოფილაო. ზოგიერთი იმასაც აღნიშავდა, ამ ნორლანდელი მუშის შვილს უეცარი წარმატება ალბათ თავში აუვარდაო. ზოგი მის ქმედებას „პირად ტრაგედიას“ უწოდებდა. სხვებს ახლა გაახსენდათ, რომ ვენერსტრომი ყოველთვის აეჭვებდათ, რადგან ტრაბახა და გადამგდები იყო.

მომდევნო რამდენიმე კვირის განმავლობაში, „მილენიუმში“ გამოქვეყნებული მასალის გულდასმით და დეტალურად შესწავლის შემდეგ, გაირკვა, რომ ფიქტიურ და გაურკვეველი დანიშნულების კომპანიებზე დაფუძნებული ვენერსტრომის იმპერია საერთაშორისო მაფიასთან იყო დაკავშირებული. მაფიოზური საქმიანობა მოიცავდა თითქმის ყველაფერს, დაწყებული იარაღით არალეგალური ვაჭრობით და სამხრეთ ამერიკული ნარკოკარტელების შავი ფულის გათეთრებით, დამთავრებული პროსტიტუციით ნიუ-იორკში და თვით არასრულწლოვანთა სექს-ტრეფიკით მექსიკაში. კვიპროსზე დარეგისტრირებულ ვენერსტრომის ერთ-ერთ კომპანიას უკრაინის შავ ბაზარზე ურანის ყიდვაც კი ეცადა. ამ ამბის გახმაურებას დიდი სკანდალი მოჰყვა. ხოლო მთელ მსოფლიოში ათასგვარი სახის საწარმოსთან საეჭვოდ დაკავშირებულ ვენერსტრომის ოფშორულ კომპანიებს კი თვლა არ ჰქონდა.

ბერგერის აზრით, ბლუმკვისტის წიგნი მისი საუკეთესო ნამუშევარი იყო. მართალია, სტილისტურად გაუმართავი იყო და ტექსტის ზოგიერთი მონაკვეთის გასასწორებლად დროც არ ეყოთ, მაგრამ მასში ავტორის მრისხანება ცხადად იგრძნობოდა და ეს მკითხველსაც მოსწონდა.

ერთ დღეს ბლუმკვისტი თავის ძველ მტერს, ყოფილ ეკონომიკურ მიმომხილველს, უილიამ ბორგს შეხვდა. ბლუმკვისტი, ბერგერი და მალმი ჟურნალის სხვა თანამშრომლებთან ერთად ბარში წმინდა ლუსიას დღესასწაულს ზეიმობდნენ და ლუდს ჟურნალის ხარჯზე მიირთმევდნენ. ბორგს თან სალანდერის ხნის მთვრალი გოგონა ახლდა.

ბლუმკვისტს ბორგი ყოველთვის ეზიზღებოდა. საბედნიეროდ, ბერგერმა ივარგა და ბორგის დანახვაზე მამლაყინწასავით გაფხორილი ბლუმკვისტი განზე ლამის ძალით გაათრია.

ბლუმკვისტმა გადაწყვიტა, მორიგი შეხვედრისას სალანდერს ვთხოვ, ბორგზეც გამოქექოს პირადი ინფორმაციაო; ისე, მხოლოდ ფორმის შენარჩუნების მიზნით.

მთელი მედიაშტორმის მთავარი გმირი ვენერსტრომი არსად ჩანდა. იმ დღეს, როცა „მილენიუმის“ სკანდალური ნომერი გამოვიდა, ვენერსტრომი სულ სხვა საკითხთან დაკავშირებულ პრესკონფერენციაზე იმყოფებოდა და იძულებული გახდა ამ სტატიაზე დასმულ კითხვაზე ეპასუხა.

ვენერსტრომმა წაყენებულ ბრალდებებს უსაფუძვლო უწოდა და ბლუმკვისტი დოკუმენტების გაყალბებაში დაადანაშაულა. მან ყველას შეახსენა, ეს ჟურნალისტი ერთი წლის წინ ცილისწამებისთვის ციხეში იჯდაო.

მას შემდეგ პრესის წინაშე მხოლოდ ვენერსტრომის ადვოკატები ჩნდებოდნენ. ბლუმკვისტის წიგნის გამოსვლიდან ორ დღეში ხმა გავრცელდა, რომ ვენერსტრომმა შვედეთი დატოვა. საღამოს გაზეთებმა დაწერეს, რომ ის „გაიქცა“. მომდევნო კვირას მასთან დაკავშირება ფინანსურმა პოლიციამ სცადა, მაგრამ ვერსად მიაგნეს. შუა

დეკემბერში პოლიციამ ოფიციალურად გამოაცხადა ვენერსტრომი ძებნილად და ოცდათერთმეტ დეკემბერს საერთაშორისო პოლიციურ ორგანიზაციას შეტყობინებები დაეგზავნა. იმავე დღეს ვენერსტრომის ერთ-ერთი მრჩეველი დააკავეს არლანდას აეროპორტში, როცა ეს უკანასკნელი ლონდონის რეისზე აპირებდა ასვლას.

რამდენიმე კვირის შემდეგ შვედმა ტურისტმა პოლიციას აცნობა, რომ ბარბადოსის დედაქალაქ ბრიჯტაუნში მანქანაში მჯდარი ვენერსტრომი დაინახა. თავისი სიტყვების დასამოწმებლად ტურისტმა საკმაოდ შორიდან გადაღებული სურათი წარმოადგინა. მასზე ჩანდა, როგორ ჯდებოდა მანქანაში თეთრკანიანი მამაკაცი მზის სათვალით, თეთრი პერანგით და ღია ფერის შარვლით. მისი ზუსტად ამოცნობა შეუძლებელი იყო, მაგრამ საღამოს გაზეთებმა ბარბადოსზე რეპორტიორები გაგზავნეს. სამწუხაროდ, ძებნილ მილიარდერს მათ ვერსად მიაგნეს.

ექვსი თვის შემდეგ ძებნა შეწყდა. და უცებ ვენერსტრომი ესპანეთში, მარბელას სასტუმროში მკვდარი იპოვეს. ის იქ ვიქტორ ფლემინგის სახელით იმალებოდა. მისთვის ახლოდან სამჯერ ესროლათ თავში ტყვია. ესპანური პოლიცია იმ ვერსიაზე მუშაობდა, რომ ვენერსტრომი უეცრად ბინაში შეპარულ მძარცველს დაადგა თავზე.

სალანდერს ვენერსტრომის სიკვდილი არ გაჰკვირვებია. გოგონას აზრით, ვენერსტრომის სიკვდილი იმან გამოიწვია, რომ მას კაიმანის კუნძულებზე გახსნილ საიდუმლო საბანკო ანგარიშამდე ხელი აღარ მოუწვდებოდა, ხოლო ფული კოლუმბიელი ნარკობარონებისთვის ვალის გადასახდელად სჭირდებოდა.

ისე, არავინ სთხოვა, თორემ სალანდერი ალბათ ერთ დღეში დაადგენდა ვენერსტრომის ადგილმდებარეობას. ინტერნეტის მეშვეობით თვალს ადევნებდა მის მოგზაურობას ათობით ქვეყანაში და მის მიერ გაგზავნილ იმეილებში ყოველდღიურად უფრო და უფრო მეტ სასოწარკვეთილებას ამჩნევდა.

მაგრამ, ეტყობა, თვით ბლუმკვისტიც კი ვერ წარმოიდგენდა, რომ დევნილი ექს-მილიარდერი იმავე კომპიუტერს დაათრევდა თან, რომლიდანაც ინფორმაცია მოჰპარეს.

ექვსი თვის შემდეგ სალანდერს ვენერსტრომის თვალთვალი მობეზრდა. გასარკვევი მხოლოდ ის რჩებოდა, თვითონ რა მოემოქმედებინა. რასაკვირველია, ვენერსტრომი დიდი თაღლითი იყო, მაგრამ სალანდერი მას პირად მტრად არ მიიჩნევდა. ბლუმკვისტისთვის რომ ეთქვა, ვენერსტრომი სადაც იმალებოდა, ის ალბათ მორიგ სტატიას გამოაცხობდა. პოლიციისთვის რომ ეთქვა, სავარაუდოდ, ვენერსტრომს ვინმე წინასწარ გააფრთხილებდა და სხვაგან გაიქცეოდა. გარდა ამისა, სალანდერი პრინციპულად უარს ამბობდა პოლიციასთან ურთიერთობაზე.

თუმცა, ვენერსტრომს სხვა ვალებიც ჰქონდა გადასახდელი. სალანდერს გაახსენდა მისგან დაფეხმძიმებული მიმტანი გოგონა, რომელსაც თავი წყალში ჩააყოფინეს და საკუთარ აბაზანაში დახრჩობით ემუქრებოდნენ.

ოთხი დღით ადრე, სანამ ვენერსტრომის გვამს იპოვიდნენ, სალანდერმა გადაწყვეტილება მიიღო, მობილური ჩართო და მაიამიში ერთ ადვოკატს დაურეკა. ვენერსტრომი ყველანაირად ცდილობდა ამ ადვოკატისგან დამალვას. სალანდერი მის მდივანს დაელაპარაკა და მხოლოდ ვენერსტრომის სახელი და მარბელაში მისი მისამართი უკარნახა ადვოკატისთვის გადასაცემად. მერე მობილური სასწრაფოდ გათიშა.

ტელევიზორში ვენერსტრომის სიკვდილი რომ გამოაცხადეს, ბოლომდე არ მოუსმენია. ტელევიზორი გამორთო, ყავა მოსადუღებლად დაადგა და სადილად ხორციანი და კიტრის მწნილიანი სენდვიჩი მოიმზადა.

ერიკა ბერგერი და კრისტერ მალმი ყოველწლიურ საშობაო საზრუნავში იყვნენ ჩაფლულები, მიქაელ ბლუმკვისტი კი ბერგერის სავარძელში იჯდა, გლოგს სვამდა და მათ უყურებდა. ჟურნალის ყველა თანამშრომელი – შტატიანი თუ თავისუფალი კონტრაქტორი – საშობაო საჩუქრად წელს „მილენიუმის“ ლოგოიან მხარზე გადასაკიდებელ ჩანთას მიიღებდა. საჩუქრების შეფუთვას რომ მორჩნენ, სტამბებისთვის, ფოტოგრაფებისა და სხვა მედიაკოლეგებისთვის გასაგზავნი 200 საშობაო მისალოცი ბარათის შევსება დაიწყეს.

ბლუმკვისტი დიდხანს იკავებდა თავს, მაგრამ ბოლოს ცდუნებას ვერ გაუძლო. უკანასკნელ ბარათს დასწვდა და ზედ წააწერა:

„შობა-ახალ წელს გილოცავ. შარშან უდიდესი დახმარება გაგვიწიე!“

მილოცვის ქვეშ ხელი მოაწერა და ბარათი ასე დაამისამართა: „იანე დალმანს, Finansmagasinet Monopol-ის რედაქციაში“.

შინ დაბრუნებულ ბლუმკვისტს წერილი მოსვლოდა მისთვის გამოგზავნილი ამანათის შესახებ. ამანათი დილით გამოიტანა და ოფისში გახსნა. ყუთში კოღოების საწინააღმდეგო საცხი და რაიმერსჰოლმური აკვავიტე იდო. ბარათზე ეწერა:

„თუ სხვა გეგმები არ გაქვს, ივანობის დღეს არჰოლმას ნავსადგურში დაგელოდები“.

ბარათს რობერტ ლინდბერგი აწერდა ხელს.

როგორც წესი, „მილენიუმი“ შობამდე ერთი კვირით ადრე ნაახალწლევამდე იხურებოდა. წელს ასე არ გამოვიდა. მცირერიცხოვანი პერსონალი საქმეს ვერ აუდიოდა. ჟურნალისტები ყოველდღიურად რეკავდნენ მთელი მსოფლიოდან. შობის წინადღეს ბლუმკვისტი შემთხვევით გადააწყდა The Financial Times-ის სტატიას, რომელშიც ვენერსტრომის იმპერიის დაცემის მიზეზების გამოსაკვლევად საჩქაროდ

შექმნილი საერთაშორისო საბანკო კომისიის დასკვნები იყო შეჯამებული. კომისია მიიჩნევდა, რომ ვენერსტრომი ბოლო წუთს როგორღაც გააფრთხილეს მოსალოდნელი მხილების შესახებ.

კაიმანის კუნძულებზე კრონენფელდის ბანკში გახსნილი მისი ანგარიშიდან 260 მილიონი აშშ დოლარი, ანუ დაახლოებით 2,5 მილიარდი შვედური კრონა „მილენიუმის“ სკანდალური ნომრის გამოსვლამდე ერთი დღით ადრე მოეხსნათ.

ფული სხვადასხვა ანგარიშებში იყო გადანაწილებული და ვენერსტრომის გარდა მათზე ხელი არავის მიუწვდებოდა. თანხის გასატანად მას ბანკში მისვლაც არ სჭირდებოდა; კლირინგული კოდების წარდგენითაც კი თავისუფლად გადარიცხავდა მსოფლიოს ნებისმიერ ბანკში.

ფული შვეიცარიაში გადაერიცხათ, სადაც ვენერსტრომის ქალ თანამზრახველს მთელი თანხა პირად ობლიგაციებად გადაექცია. კლირინგული კოდები წესრიგში იყო.

ევროპოლს ძებნა გამოეცხადებინა ქალზე, რომელსაც მონიკა შოულსის სახელზე გაცემული ყალბი ბრიტანული პასპორტი გამოეყენებინა და, როგორც ირკვეოდა, ციურიხის ერთ-ერთ ყველაზე ძვირადღირებულ სასტუმროში ყოფილა დაბინავებული. სათვალთვალო კამერით გადაღებულ ფოტოზე ჩანდა ძვირფას სამოსში ჩაცმული, ოქროსსამკაულებიანი ტანდაბალი ქალი ბიჭურად შეჭრილი მოკლე ქერა თმით, ფართო პირითა და სავსე მკერდით.

ბლუმკვისტმა თავიდან ზერელედ დახედა სურათს, შემდეგ დაეჭვებული დააშტერდა. უჯრიდან ლუპა ამოიღო და ფოტოზე გამოსახული ქალის სახის ნაკვთები გულდასმით შეისწავლა.

ბოლოს ენაჩავარდნილმა გადადო გაზეთი განზე და სავარძელზე გადაწვა. რამდენიმე წუთის შემდეგ ისეთი ისტერიკული ხარხარი აუტყდა, რომ ოთახში კრისტერ მალმმა შემოყო თავი, რა ხდებაო.

შობის დილას ბლუმკვისტი არსტაში ყოფილი ცოლის და ქალიშვილ პერნილას მოსანახულებლად წავიდა. პერნილამ დედ-მამისგან ერთობლივი საჩუქარი, ნანატრი კომპიუტერი მიიღო. მონიკამ ბლუმკვისტს ჰალსტუხი აჩუქა, ხოლო პერნილამ – აკე ედვარდსონის დეტექტიური რომანი. წინა შობისგან განსხვავებით, ახლა ყველანი ამაღლებულ განწყობაზე იყვნენ „მილენიუმის“ გარშემო განვითარებული მედიადრამის გამო.

ერთად ისადილეს. ბლუმკვისტმა პერნილასკენ გააპარა მზერა. ქალიშვილი ჰედესტადში მისი სტუმრობის შემდეგ არ ენახა. გაახსენდა, რომ პერნილას რელიგიურ სექტაში ჩართვის თაობაზე მონიკასთან სურდა საუბარი, მაგრამ აქამდე

ამისთვის დრო ვერ გამოენახა. იმის გამხელა, რომ პერნილას ბიბლიის ცოდნა ჰარიეტ ვანგერის გაუჩინარების მიზეზების დადგენაში დაეხმარა, არ შეეძლო.

„მას მერე ჩემს შვილთან არც მილაპარაკია. ცუდი მამა ვარ“.

ნასადილევს პერნილას ლოყაზე კოცნით დაემშვიდობა და სალანდერთან შესახვედრად წავიდა. ერთმანეთი „მილენიუმის“ ბომბის გასკდომის შემდეგ არ ენახათ. ბლუმკვისტი და სალანდერი ერთად წავიდნენ სანდჰამნში და დღესასწაულზე იქ დარჩნენ.

ბლუმკვისტის კომპანიაში, როგორც ყოველთვის, არ მოიწყენდი, მაგრამ სალანდერს მოეჩვენა, რომ მიქაელმა ეშმაკურად გახედა, როცა ნასესხები 120 000 კრონის ჩეკი უკან დაუბრუნა.

ტროვილამდე და უკან ფეხით გაისეირნეს (რაც, სალანდერის აზრით, დროის ფუჭად ხარჯვა იყო), მერე დუქანში საშობაო სადილი მიირთვეს და ქოხში დაბრუნდნენ. ღუმელში ცეცხლი დაანთეს, ელვის პრესლის კომპაქტ-დისკი ჩართეს და უპრეტენზიო სექსით ტკბობასაც მიეცნენ.

სანამ ბლუმკვისტს ეძინა, სალადერმა თავის გრძნობებში გარკვევა სცადა. ბლუმკვისტი კარგი საყვარელი იყო. გარეგნულადაც იზიდავდა და არც ჭკუის დარიგებით აბეზრებდა თავს.

გოგონას მხოლოდ ის აწუხებდა, რომ თავისი გრძნობების ბლუმკვისტისთვის აღწერა არ შეეძლო. ასე ახლოს ადრე არასდროს არავისთან ყოფილიყო. სიმართლე ითქვას, ბლუმკვისტმა ბევრჯერ სცადა სალანდერთან პირად საკითხებზე და გრძნობებზე გასაუბრება. მართალია, გოგონა შეკითხვების უმეტესობას თავს არიდებდა, ბევრ თემაზე მაინც გულახდილად ესაუბრებოდა ხოლმე. სალანდერი თვით სიკვდილის მუქარის ქვეშ არ გაუმხელდა სხვებს ამდენს. სხვათა შორის, ეს ძალიან აშინებდა, ეჩვენებოდა, რომ ბლუმკვისტის წინაშე გაშიშვლებული და დაუცველი რჩებოდა.

იმავდროულად, როცა მძინარე ბლუმკვისტის სხეულს დახედავდა და მის ფშვინვას გაიგონებდა, ისეთი გრძნობა ეუფლებოდა, რომ ასეთი სანდო ადამიანი პირველად ჰყავდა გვერდით. ეჭვი არ ეპარებოდა, რომ მიქაელი ამ ცოდნას მის საზიანოდ არასდროს გამოიყენებდა. ეს ბლუკვისტის ხასიათში არ ჯდებოდა.

თავიანთი ურთიერთობის განხილვას არ ჩქარობდნენ. სალანდერი ვერ ბედავდა, ბლუმკვისტი კი ამ თემას არასდროს ეხებოდა.

მეორე დილით სალანდერი საშინელ რამეს მიხვდა: რომ, თავისდა უნებურად, ცხოვრებაში პირველად შეუყვარდა ვიღაც.

ბლუმკვისტი მასზე ორჯერ უფროსი იყო, მაგრამ ეს არ ანაღვლებდა. არც ის, რომ მისთვის საყვარელი მამაკაცი ამ მომენტისთვის შვედეთში ყველაზე პოპულარული

პიროვნება იყო და მისი ფოტო Newsweek-ის გარეკანზეც მოხვდა – ეს დიდხანს არ გაგრძელდებოდა, მაგრამ ბლუმკვისტი მისთვის ეროტიკული ფანტაზია ან ოცნება არ იყო. ვაიდა, არაფერი გამოსულიყო!

„მე რაში ვჭირდები? იქნებ ჩემთან მხოლოდ ერთობა, სანამ ისეთ ვინმეს არ იპოვის, ვისი ცხოვრებაც ნაგავი არაა?“

თურმე სიყვარული ის წამი ყოფილა, როცა შეიძლება გული გაგისკდეს.

ბლუმკვისტმა რომ გაიღვიძა, სალანდერს ყავაც მზად ჰქონდა და პურიც – ნაყიდი. ბლუმკვისტი მაგიდას მიუჯდა და მაშინვე შეამჩნია, რომ გოგონას განწყობა შესცვლოდა. უფრო თავშეკავებული გამხდარიყო. როცა ჰკითხა, რამე ხომ არ ხდებაო, სალანდერმა ცივი, არაფრის მთქმელი მზერა მიაპყრო.

შობის მომდევნო დღეს ბლუმკვისტი მატარებლით ჰედესტადში გაემგზავრა. ამჯერად ზამთრის თბილი სამოსი და ფეხსაცმლები ეცვა. სადგურში ფროდე დახვდა და წარმატებები ჩუმად მიულოცა. აგვისტოს შემდეგ პირველად ჩავიდა ჰედეტსადში და თითქმის წელი გასულიყო, რაც ფროდეს პირველად შეხვდა. თავაზიანად მიესალმნენ ერთმანეთს. საუბარი გააბეს, მაგრამ მათ შორის იმდენი რამ დარჩენილიყო უთქმელი, რომ ბლუმკვისტი თავს ოდნავ უხერხულად გრძნობდა.

ყველაფერი წინასწარ მოემზადებინათ და დირკ ფროდე პირდაპირ საქმეზე გადავიდა. ბლუმკვისტს შესთავაზა ჰონორარს თქვენთვის მოსახერხებელი უცხოური ბანკის ანგარიშზე გადაგირიცხავთო, მაგრამ ბლუმკვისტმა დაიჟინა, ჟურნალის ანგარიშზე ჩამირიცხეთო.

– ამ მომენტში გადახდის ნებისმიერი სხვა ფორმის წინააღმდეგი ვარ, – მოკლედ მოუჭრა გაკვირვებულ ფროდეს.

ბლუმკვისტი ჰედესტადში მხოლოდ ფინანსური მიზნებით არ ჩასულა. ჰედებიდან სალანდერთან ერთად ნაჩქარევად წამოსვლისას კოტეჯში თავისი ტანსაცმელი, წიგნები და სხვა ნივთები დაეტოვებინა და მათი წაღებაც სურდა.

ვანგერი ავადმყოფობის შემდეგ ისევ სუსტად იყო, მაგრამ უკვე სახლში გაეწერათ. მას პირადი მომვლელი ჰყავდა, რომელიც ფეხით დიდხანს სიარულს, კიბეზე ასვლას ან ამაღლვებელ თემებზე საუბარს უკრძალავდა. დღესასწაულებზე ჰენრიკი გაციებულიყო და ბლუმკვისტს საწოლში დახვდა.

– ამ მომვლელს ძალიან ბევრს ვუხდით, – დაიწუწუნა ვანგერმა.

იმის გათვალისწინებით, თუ რამდენი გადასახადი ჰქონდა დამალული მას მთელი ცხოვრების განმავლობაში, ბლუმკვისტმა იცოდა, რომ მოხუცს მომვლელისთვის გადასახდელი ფული არ უჭირდა. ჰენრიკ ვანგერმა ბლუმკვისტს ჯერ მოღუშულმა შეხედა, მერე გაეცინა.

– ნუ ღელავ, შენთვის გადასახდელ არც ერთ კრონას არ ვნანობ. ყოველთვის ვიცოდი, რომ ამად ღირდი.

– სიმართლე გითხრათ, არასდროს მჯეროდა, რომ ამ თავსატეხს ამოვხსნიდი.

– შენთვის მადლობის გადახდას არ ვაპირებ, – უთხრა ჰენრიკ ვანგერმა.

– ამას არც ველოდი. მხოლოდ იმის სათქმელად მოვედი, რომ სამუშაოს დასრულებულად მივიჩნევ.

– სამუშაო ჯერ არ დაგისრულებია, – ჩაილაპარაკა ვანგერმა.

– ვიცი.

– ჩვენ ვანგერების ოჯახის ქრონიკების დაწერაზეც შევთანხმდით.

– ვიცი, მაგრამ წიგნის დაწერას არ ვაპირებ. უფრო სწორად, ვეღარ ვწერ. ვანგერების ოჯახზე დავწერო და უკანასკნელი ათწლეულების უმნიშვნელოვანესი შემთხვევა გამოვტოვო? მარტინის გენერალური დირექტორობის პერიოდი აღვწერო და მისი საწამებელი სარდაფი არ ვახსენო? ვერ დავწერ წიგნს, რომელიც ჰარიეტს ცხოვრებას ხელახლა დაუნგრევს.

– ვხვდები, რომ დილემის წინაშე დგახარ და, გმადლობ, რომ ასეთი არჩევანი გააკეთე.

– გილოცავთ, ჩემი „გაფუჭებაც“ შეძელით, მომისყიდეთ. ჩვენი საუბრების აუდიოფირებს და ჩანაწერებს გავანადგურებ.

– არ მგონია, რომ მოგისყიდეთ.

– ასეთი გრძნობა მაქვს და ასეც არის.

– ჟურნალისტურ და ადამიანურ მოვალეობას შორის მოგიხდა არჩევანის გაკეთება. მე შენს მოსყიდვას ვერასდროს შევძლებდი. დარწმუნებული ვარ, ჩვენს საიდუმლოს აუცილებლად გაამჟღავნებდი, ჰარიეტი თავისი ოჯახის დანაშაულებრივ საქმიანობაში როგორღაც ჩართული რომ ყოფილიყო ან მე სულელ არამზადად მიგეჩნიე.

ბლუმკვისტმა არაფერი უპასუხა.

– სესილიას ყველაფერი ვუამბეთ. მე და ფროდე ხნიერები ვართ, ალბათ მალე მოვკვდებით, ჰარიეტს კი ოჯახში მხარდამჭერი დასჭირდება. სესილია მმართველ საბჭოში აქტიურ როლს შეასრულებს. დღეიდან კორპორაციას ის და ჰარიეტი უხელმძღვანელებენ.

– სესილიამ ეს ამბავი როგორ მიიღო?

– ამან შეძრა. მცირე ხნით საზღვარგარეთ იმყოფებოდა. შემეშინდა, ვაითუ საერთოდ აღარ დაბრუნდეს-მეთქი.

– მაგრამ დაბრუნდა.

– მარტინი იმ იშვიათთაგანი იყო ჩვენს ოჯახში, ვისაც სესილია ეწყობოდა. მასზე სიმართლის გაგებამ სესიალიაზე ძლიერ იმოქმედა. ისიც გაიგო, ჩვენი ოჯახისთვის რაც გააკეთე.

ბლუმკვისტმა მხრები აიჩეჩა.

– ასე რომ, გმადლობ, მიქაელ, – თქვა ჰენრიკ ვანგერმა.

– გარდა ამისა, წიგნს იმიტომაც ვერ დავწერ, რომ ვანგერების ოჯახი უკვე ყელში ამომივიდა. მითხარით, გენერალური დირექტორის თანამდებობაზე დაბრუნება როგორი გრძნობაა?

– ეს ხომ დროებითია, მაგრამ... ნეტა ახალგაზრდა ვიყო. დღეში მხოლოდ სამ საათს ვმუშაობ. ყველა შეხვედრა ამ ოთახში იმართება. დირკი ისევ ჩემს აღმასრულებლად იქცა და თუ ვინმე პრობლემის შექმნას იწყებს, ყველას ის უტევს.

– ახალგაზრდა აღმასრულებლები ალბათ შიშით კანკალებენ. მე კარგა ხნის შემდეგ მივხვდი, რომ დირკი მხოლოდ კეთილი ფინანსური მრჩეველი კი არა, თქვენი პრობლემების მომგვარებელიცაა.

– დიახ, ეგრეა. მაგრამ ახლა გადაწყვეტილებებს ჰარიეტთან ერთად ვიღებთ, საოფისე საქმეებს ის წარმართავს.

– ის როგორ გრძნობს თავს?

– დედისა და ძმისგან მემკვიდრეობით აქციები მიიღო. ახლა 33 პროცენტს აკონტროლებს.

– ეს საკმარისია?

– არ ვიცი. ბერგერი მისთვის ფეხის დადებას ცდილობს. ალექსანდერმა გადაწყვიტა თვითონაც მნიშვნელოვანი ფიგურა გახდეს და მას შეუამხანაგდა. ჩემს ძმას, ჰარალდს, კიბო აქვს და დიდხანს ვეღარ გაატანს. ის ერთადერთი აქციონერია, ვინც ყველაზე დიდ, შვიდპროცენტიან წილს ფლობს. ეს წილი მემკვიდროებით მის შვილებს გადაეცემა. სესილია და ანიტა ჰარიეტს დაუჭერენ მხარს.

– ესე იგი, მთლიანად... 45 პროცენტს გააკონტროლებენ.

– აქციონერთა ასეთი მსხვილი გაერთიანება ოჯახში არასდროს ყოფილა. ერთ ან ორპროცენტიანი მფლობელები ალბათ ჩვენს წინააღმდეგ მისცემენ ხმას, მაგრამ თებერვალში ჩემს ადგილს მაინც ჰარიეტი დაიკავებს.

– არ მგონია, ეს ძალიან უხაროდეს.

– არა, მაგრამ ასეა საჭირო. ახალი პარტნიორები და სისხლი გვჭირდება. ავსტრალიაში მის კომპანიასთანაც დავამყარებთ ურთიერთობას. ახალი შესაძლობლებები გამოგვიჩნდა.

– ჰარიეტი ახლა სადაა?

– სამწუხაროდ, ამჟამად ლონდონშია. თუმცა, შენი ნახვა ძალიან უნდა.

– ალბათ იანვარში ჟურნალის საბჭოს შეხვედრაზე შევხვდები, თუ თქვენი წარმომადგენელი ის გახდება.

– ჰო, ვიცი.

– იმედია, ხვდება, რომ არ ვაპირებ ვინმეს გავუმხილო, რა შეემთხვა მას სამოციან წლებში, მათ შორის, ერიკა ბერგერსაც თუ ასე იქნება საჭირო...

– დიახ, ხვდება. შენ პატიოსანი ადამიანი ხარ, მიქაელ.

– მაგრამ გადაეცით, რომ დღეიდან მის საქმიანობას ჟურნალი თვალს ადევნებს. არც „ვანგერების კორპორაციაა“ დაზღვეული „მილენიუმის“ კრიტიკისგან.

– აუცილებლად გავაფრთხილებ.

ჰენრიკ ვანგერს ძილი მოერია და ბლუმკვისტიც წავიდა. თავისი ბარგი ორ ჩემოდანში ჩაატია. როცა კოტეჯის კარს კეტავდა, შეყოვნდა და სესილიას სანახავად გაემართა. კარზე დააკაკუნა, მაგრამ სესილია შინ არ იყო. ბლუმკვისტმა ბლოკნოტიდან ფურცელი ამოხია და ზედ დაწერა:

„ყველაფერს საუკეთესოს გისურვებ. იმედია, მაპატიებ.მიქაელი“.

და ფურცელი საფოსტო ყუთში ჩააგდო.

მარტინ ვანგერის ცარიელი სახლის ფანჯარაში საშობაო ელექტროსანთელი ენთო.

ბლუმკვისტი სტოკჰოლმში უკანასკნელი მატარებლით დაბრუნდა.

დღესასწაულებზე სალანდერი გარე სამყაროს მთლიანად მოსწყდა. არც სატელეფონო ზარებს პასუხობდა და არც – კომპიუტერს რთავდა. ორი დღე სარეცხის რეცხვას, იატაკის ხეხვას და ბინის დალაგებას დაუთმო. ერთი წლის წინანდელი პიცის ყუთები და ძველი გაზეთები გადაყარა. ბინიდან ათი სანაგვე პაკეტი და გაზეთებით სავსე ოცი მუყაოს ყუთი გაზიდა. ისეთი გრძნობა ჰქონდა, თითქოს ახალ ცხოვრებას იწყებდა. გადაწყვიტა, როგორც კი რამე შესაფერისს ვიპოვი, ახალ ბინას ვიყიდიო, მაგრამ მანამდე ამჟამინდელი ბინა დააწკრიალა.

მერე დამბლადაცემულივით გაშეშებული ჩამოჯდა და ჩაფიქრდა. ასე ძლიერ არასდროს მონატრებია ვინმე. უნდოდა კარზე მიქაელ ბლუმკვისტს დაერეკა და... რა? ხელში აეყვანა, ძლიერად ჩაეხუტებინა? საძინებელში შეეყვანა და ტანზე ტანსაცმელი შემოეხია? არა, მხოლოდ მისი სიახლოვე ენატრებოდა. უნდოდა, მისგან მოესმინა, რომ ისეთი მოსწონდა, როგორიცაა და რომ მის ცხოვრებაში განსაკუთრებულ როლს თამაშობს. უნდოდა, რომ ბლუმკვისტი მოსიყვარულებოდა.

„მგონი, ვგიჟდები“, – გაიფიქრა სალანდერმა.

საკუთარ შესაძლებლობებში ეჭვი ეპარებოდა. ბლუმკვისტი ისეთ სამყაროში ცხოვრობდა, სადაც ადამიანებს რესპექტაბელური სამსახური აქვთ, მოწესრიგებულად ცხოვრობენ და ზრდასრულებივით აზროვნებენ. ბლუმკვისტის მეგობრები სერიოზული საქმიანობით იყვნენ დაკავებულები, მათ სატელევიზიო გადაცემებში იწვევდნენ და მათზე გაზეთებში სტატიებს აქვეყნებდნენ.

„ნეტა მე რაში გჭირდები?“

სალანდერს თითქმის მანიაკალურად ეშინოდა, რომ ეს ხალხი მის გრძნობებს დასცინებდა. ისეთი შეგრძნება ჰქონდა, თითქოს წლობით გამომუშავებული თვითრწმენა უეცრად ერთი ხელის მოსმით დაენგრა.

ამან გადაწყვეტილების მიღება გაუადვილა. მხნეობის მოსაკრებად რამდენიმე საათს ყოყმანებდა, მაგრამ, ბოლოს და ბოლოს, მიხვდა, რომ ბლუმკვისტთან თავის გრძნობებზე გასაუბრება უნდა გაებედა.

სხვა გამოსავალი არ ჰქონდა.

ბლუმკვისტისთვის საჩუქარი ჯერ არ ეჩუქებინა, ამიტომ მასთან მისასვლელად ეს მოიმიზეზა. უკვე იცოდა, მისთვის რა უნდა ეყიდა. ძველმანების მაღაზიაში რკინის სარეკლამო აბრა შეერჩია, რომელზეც ამოკვეთილი იყო ელვის პრესლი მხარზე გადაკიდებული გიტარით და „Heartbreak Hotel“-ის ტექსტით. ბინის ინტერიერს ალბათ ვერა, მაგრამ სანდჰამნის ქოხს აშკარად მოერგებოდა. 780 კრონა ღირდა, მაგრამ სალანდერი გამყიდველს პრინციპის გამო შეევაჭრა და ფასი 700 კრონამდე დააკლებინა. საჩუქარი ბრჭყვიალა ქაღალდით შეაფუთინა, იღლიაში ამოიჩარა და ბელმანსგატანისკენ წავიდა.

ჰორნსგატანზე შემთხვევით კაფე-ბარიდან გამომავალი ბლუმკვისტი დაინახა. მას ბერგერისთვის მხრებზე გადაეხვია ხელი. ბლუმკვისტმა რაღაც უთხრა და ქალს გაეცინა. მერე ბლუმკვისტს წელზე ხელი შემოჰხვია და ლოყაზე აკოცა. ბრანჩირკაკგატანამდე ასე ჩახუტებულები ჩავიდნენ და ბელმანსგატანისკენ გაუხვიეს. მათი სხეულის ენა ნათლად გამოსახავდა, რასაც აპირებდნენ.

ტკივილი იმდენად ძლიერი იყო, რომ სალანდერი ადგილზე გაშეშდა. გაკიდება და რკინის აბრით ბერგერისთვის თავის ორად გაპობა მოუნდა. მისი გონებაში გიჟური აზრები ფუთფუთებდა.

„გააანალიზე მოსალოდნელი შედეგი“, – შეახსენა გოგონამ თავს.

ბოლოს დამშვიდდა.

– საწყალი სულელი ხარ, სალანდერ, – წარმოთქვა ხმამაღლა, შეტრიალდა და თავის დაწკრიალებული ბინისკენ წავიდა. ცინკენდამზე თოვამ მოუსწრო. ელვისის აბრა სანაგვე ურნაში ჩააგდო.